

მერაბ ჩუხუა

**ქართველურ ენა-კილოთა
შედარებითი
ლექსიკონი**

**თბილისი
2000-2003**

IBERO-CAUCASICA

**Mérab Tchoukhua
Dictionnaire comparé
des Kartvéliens**

**Merab Chukhua
The Kartvelian Comparative
Dictionary**

**Мераб Чухуа
Сравнительный словарь
кارتвельских диалектов**

მერაბ ჩუხუა

ვუძღვნი პროფესორ
გიორგი როგავას ხსოვნას

**ქართველურ ენა-კილოთა
შედარებითი
ლექსიკონი**

დამატებითი მასალები ისტორიულ-ეტიმოლოგიური
ლექსიკონისათვის

თბილისი
2000-2003

ლექსიკონში მოცემულია ძიებანი ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკიდან. გამოვლენილია საერთო-ქართველური ფუძეენიდან მომდინარე ასეულობით ლექსიკური ერთეული, რომელზეც ადრე არ იყო მითითებული საენათმეცნიერო ლიტერატურაში. ავტორი უხვად მოიხმობს გენეტურად საერთო მასალას მონათესავე იბერიულ-კავკასიური ენებიდან. ეტიმოლოგიზებულ ძირთა გარკვეული ნაწილი ინტერესს იწვევს პროტოქართველთა წინარე კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც.

შრომის შესავალ ნაწილში განიხილება ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის აქტუალური საკითხები. აღწერილია აქამდე უცნობი ფონეტიკური პროცესები სვანურში.

წიგნი განკუთვნილია ფილოლოგიის, ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტების სტუდენტთა, მასწავლებელთა და ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

შინაარსი

	83.
წინასიტყვაობა	5
ისტორიული ფონეტიკის ზოგიერთი საკითხის თაობაზე	
სვანურში: სონანტთა სისტემა ლ რ მ ნ ჟ	15
§ 1. ლ	15
§ 2. ს.-ქართვ. ლ → სვან. ღ	15
§ 3. ლ → ჟ	16
§ 4. ლ → მ	17
§ 5. ლ → ნ	17
§ 6. ლ → რ	18
§ 7. ა	19
§ 8. ს.-ქართვ. მ → სვან. ნ	19
§ 9. მ → ლ	19
§ 10. მ → ბ	20
§ 11. ნ	20
§ 12. ს.-ქართვ. ნ → სვან. რ	20
§ 13. ნ → მ	21
§ 14. ნ → ლ	22
§ 15. რ	22
§ 16. ს.-ქართვ. რ → სვან. ლ	22
§ 17. რ → ნ	23
§ 18. რ → მ	23
§ 19. ჟ → ბ	24
§ 20. ფონეტიკურ პროცესთა ზოგადი კანონზომიერებისათვის	
სვანურში	24
§ 21. ვ → ნ პროცესისათვის ქართველურ ენებში.	24
§ 22. საერთოქართველური სლ თანმიმდევრობის რეალიზა-	
ციისათვის სვანურში	25
§ 23. შიშინა → სისინა გადაბგერებისათვის სიბილანტებში	27
§ 24. ს.-ქართვ. ძ ც წ ს → ძგ ცქ წკ სქ პროცესისათვის	
სვანურსა და ზანურში	30
§ 25. ს.-ქართვ. ს → ქართ. ს : ზან. სქ : სვან. სგ/სკ ←* სქ .	30
§ 26. ს.-ქართვ. წ → ქართ. წ : ზან. წკ : სვან. წკ/სკ	31

§ 27. ს.-ქართვ. ძ → ქართ. ძ : ზან. ძგ : სვან. ძგ →	
სგ/სკ	31
§ 28. ს.-ქართვ. ც → ქართ. ც : ზან. ცქ/ჩ : სვან. სგ ←* ცქ	31
§ 29. უკანაენისმიერთა დაკარგვის შემთხვევები თანხმოვან- კომპლექსებში	32
§ 30. ს.-ქართვ. სთ, თ ქართველურ ენებში	33
§ 31. საერთოქართველური ჭ წკ -ს შესატყვისები სვანურში	36
§ 32. გ/ღ → ზ პროცესისათვის სვანურში	37
§ 33. ტკ კომპლექსისათვის სვანურში	38
§ 34. საერთოქართველური ყ სვანურში	38
§ 35. სისინა შიშინა სიბილანტთა სუბსტიტუციისათვის სა- ერთოქართველურში	39
§ 36. ზმნური სუფიქსაციის ზოგიერთი საკითხი სვანურში	43
§ 37. -არ	43
§ 38. -ერ	44
§ 39. -ებ → -ზბ → -აბ	44
§ 40. -ეფ → -წფ → -აფ	45
ლექსიკონი ა — ჰ	47-426
ბოლოთქმა	427
საერთოქართველურ არქეტიპთა ინდექსი	429
გამოყენებული ლიტერატურა	445
შემოკლებათა განმარტება (ენები, დიალექტები)	451
გაანალიზებულ ძირ-ფუძეთა საძიებელი	454

ქართველურ ენა-კილოთა ლექსიკის შედარებითი შესწავლა გასული საუკუნის 80-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე სწავლისას დაიწყო პროფ. გ. როგავას ხელმძღვანელობით. მოგვიანებით კვლევის შედეგები წერილებისა და თეზისების სახით პერიოდულად ქვეყნდებოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულში „ეტიმოლოგიური ძიებანი“, ასევე სხვადასხვა სამეცნიერო სესიათა მასალებში.

1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოში განხორციელებული სამხედრო-კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ, როცა ქართველი ერის მტრებმა საქართველოდან განდევნეს **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას** ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლება, ნეობოლშევიკურ-ანტიქართული რეჟიმის პირობებში ჩვენ იძულებით დავტოვეთ სამშობლო და დღემდე დევნილობაში ვაგრძნობთ დამოუკიდებელ სამეცნიერო მუშაობას.

წინამდებარე მონოგრაფიის გამოქვეყნებაზე ფიქრი შესაძლებელი გახდა ახლადგამოცემული სვანური ლექსიკონის წყალობით (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000). მისგან დიდად არის დავალებული ჩვენი ნაშრომი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას: სვანური ლექსიკონი საიმედო (მყარი) საფუძველია ქართველურ ენა-კილოთა ლექსიკის გაღრმავებული ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისა. და გვჯერა, რომ იგი საპატიო ადგილს დაიჭერს ამ რიგის სხვა ლექსიკონთა შორის.

ნაშრომი იქმნებოდა ცნობილი ქართველი ლექსიკოგრაფის ი. ჭყონიასეული განწყობით. ჩვენთვის ახლოა ავტორის გულისტკივილი გამოტოვებულ ქართულ სიტყვებზე. აკი სათაურშივე მოსთქვამდა კიდევ: „სიტყვის კონა, საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები“. სწორედ სხვა ლექსიკონებში (შედარებითი, ეტიმოლოგიური) „გამოტოვებულ“ საერთოქართველურ სიტყვათა კვალდაკვალ ძებნაში მოპოვებულმა მასალამ მოიყარა თავი ამ ლექსიკონში.

ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი უწინარესად სვანურს ეძღვნება. ჩვენი მიზანია, გამოვავლინოთ საერთოქართველურ ძირ-ფუძეთა სვანური ეკვივალენტები. ახსნას ვუძებნით აქამდე თითქოსდა განმარტოებით მდგომ სვანურ სიტყვებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, წარმოვაჩინოთ სვანური ლექსიკის იმ ნაწილს, რომელიც კანონზომიერ ფონეტიკურ-სემანტიკურ შესატყვისობებს იძლევა ძველი ქართულის (იბერიულის) მიმართ (არნ. ჩიქობავა). ამიტომაც მეთაურ სიტყვად სვანური გამოვიტანეთ, სადაც სვანური ერთეული ვერ გამოვლინდა, იქ — ქართული.

მასალებში შემოვიდა მხოლოდ ისეთი შეპირისპირებები, რომლებიც ჩვენ მიერ იქნა გამოვლენილი; ან ძველ შესატყვისობებს დამატებულია ამა თუ იმ ქართველური ენის (დიალექტის) სათანადო, აქამდე უცნობი, ეკვივალენტი (აგრეთვე იბერიულ-კავკასიური ბარალელები).

ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ფონეტიკური პროცესების აღწერას. ამიტომაც ლექსიკონის შესავალ ნაწილში სპეციალური პარაგრაფები ეძღვნება ახალგამოვლენილ ფონეტიკურ შეფარდებებს ქართველურ დიალექტთა შორის.

ნაშრომი შესრულებულია თანამედროვე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მიღწევათა საფუძველზე. ჩვენ, როგორც ამ ენათა სხვა მრავალი სპეცია-

ლისტი, ვიზიარებთ იბერიულ-კავკასიურ ენათა და ხალხთა გენეტური ნათესაობის, საერთო წარმომავლობის, ცნობილ თეორიას (ივანე ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა), ამიტომაც უხვად მოვიხმობთ საერთოქართველურ ძირ-ფუძეებთან მონათესავე ლექსიკურ მასალას მთის იბერიულ-კავკასიური ენებიდან.

განსახილველი სიტყვები დალაგებულია ანბანთრიგზე.

* * *

ავტორი გულწრფელ მადლობას მოახსენებს მეგობრებს: გოჩა ნაჭყებიას, მედეა სიხარულიძეს, დათო შამუგიას, რომლებიც არაერთი წლის მანძილზე შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ხელი შეეწყობთ სამეცნიერო მუშაობაში.

და ბოლოს, მოგვიტევეთ იმ ავტორებმა, რომელთა კვლევის შედეგების გამოყენება ვერ მოგვიხერხდა ფორსმაჟორული პირობებისა გამო.

მარიამობისთვე, 2001 წელი.


წინასიტყვაობა

ქართველური ენა-კილოები (ქართული, ზანური ანუ მეგრულ-ჭანური,¹ სვანური) შემოდის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის იბერიულ (ქართველურ) ქვეჯგუფში აფხაზურ-ადილური (აბაზური, აფხაზური, ადიღური, უბიხური, ყაბარდოული (ჩერქეზული)), ნახური (ბაცბური, ინგუშური, ჩაჩნური (იჩქერიული)) და დაღესტნური (ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ-რი, ლაკურ-დარგუული, ლეზგიური...) ქვეჯგუფის ენებთან ერთად (არნ. ჩიქობავა).

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში ერთიანდება ძველი სამყაროს უძველესი ცივილიზაციის მკვდარი ენებიც: შუმერული, ეტრუსკულ-პელაზგური, ხათური (ანუ პროტოხეთური), ურარტული, ჰურიტული, ელამური, ლელეგური... აგრეთვე თანამედროვე ბასკური ენა (ი. ბრაუნი).

ზემოთჩამოთვლილ ცალკეულ ენათა და ქვეჯგუფთა ნათესაობრივი ურთიერთდამოკიდებულება სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება:

¹ მეგრულისა და ჭანურის (ლაზურის) დამოუკიდებელ ენებად კვალიფიკაცია ზოგიერთი ენათმეცნიერის მიერ (გ. დეეტერსი, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე...) სამეცნიერო თვალსაზრისით უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი. საინტერესოა, რატომ არ შეიტანეს თავიანთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ფენრიხ-სარჯველაძემ დამოუკიდებელ ლექსიკურ სტატიებად ჭანურ-მეგრული იზოგლოსები (არგუნი „ნაჯანი“, ბიგა „ჯონი“, ნეძ-ი „კაკალი“...)? თუ მეგრული და ჭანური დამოუკიდებელი ენებია, მაშინ მათ შორის ფიქსირებული საერთო ლექსიკური მასალაც უნდა ასახულიყო ისეთ ლექსიკონში, როგორც ეტიმოლოგიურია. ავტორების მიერ შემოთავაზებული პრინციპი ამას მოითხოვდა. მაგრამ ეს არ გაკეთდა. — რატომ? პასუხი არასამეცნიერო შეიძლება იყოს...



წარმოდგენილი სქემის ქართველურ ნაწილში განმარტებას ითხოვს საერთოქართველური (იბერიული) სამწერლო ენისა და საერთოქართველური ხალხური (სამეტყველო) ენის ურთიერთმიმართების საკითხი. ვფიქრობთ, საერთოქართველური (იბერიული) სამწერლო ენა შეიქმნა წინარე-ქართველური (იბერიული) დიალექტურად ჯერ კიდევ გაუდიფერენცირებელი ენის ბაზაზე. როცა სამწერლო ენა და ცოცხალი მეტყველება მეტ-ნაკლებად ერთმანეთის იდენტურ-იგივეობრივი იყო. და მხოლოდ მომდევნო ეტაპზე სამეტყველო ენის ბაზაზე იკიდებს ფეხს ქართულ-ზანურ-სვანური დიალექტური სხვაობა ანუ კილოურად დიფერენცირებული საერო (ხალხური) ზეპირმეტყველება. სწორედ **ხალხური** იბერიულისგან იღებს სათავეს თანამედროვე ქართველური დიალექტები, მაგრამ იმავდროულად განსხვავებულად მომეტყველე კილოურ ჯგუფებს ყოველთვის აერთიანებდა სამწერლო იბერიული (საერთოქართველური) ენა, როგორც კულტურის, განათლების, რელიგიის და საერთოდ სახელმწიფოს ენა. ამგვარი მიმართება გრძელდებოდა ქართველთა ცხოვრების ისტორიულ პერიოდშიც. ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული ძველი ქართული სამწერლო ენა უშუალოდ აგრძელებდა საერთოქართველური (იბერიული) სამწერლო ენის უწყვეტ ტრადიციას ტრანსფორმაციის უმნიშვნელოდ ნელი ტემპით მაშინ, როდესაც ქართველური დიალექტების ენებად ჩამოყალიბების პროცესი უკვე დასრულებული იყო. თვით ქართული საერო მეტყველება თითქმის არასდროს არ იყო იდენტური ძველი ქართული სამწერლო ენისა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სხვადასხვა ისტორიული ეპოქების მონაცემებია. ქართლური, მესხური, კახური, იმერული... ისევე სხვაობდა ძველ ქართულ სახელმწიფო სამწერლო ენასთან, როგორც მეგრული ან რომელიმე სხვა ქართველური დიალექტი (შდრ. ძველი ლათინური სამწერლო სახელმწიფო ენა და ძველი ლათინური სამეტყველო ენა, როცა ლათინური ენის ისტორიული დიალექტების შედარებით ანალიზით რეკონსტრუირებული სიტყვა-ფორმები არ ემთხვევა ძველი ლათინური სამწერლო ენის რეალურ ფაქტებს (ა. მეიე)). ისტორიულად არსებული საერთო სურათი მეტნაკლები განსხვავებით დღესაც ჩვენს სინამდვილეშიც ანალოგიურია.

საერთოქართველური ფუძეების რეალურად არსებობაზე მეტყველებს ისეთი კომპოზიტების არსებობა, რომლებიც ადიან საერთოქართველური ერთიანობის ქრონოლოგიურ დონემდე, შდრ.: ქართ. **ვენ-აგ-ი** : ზან. **ბინ-ეხ-ი** : სვან. **ჟენ-აჰ**, ს.-ქართვ. ***ჟინ-აჰ-**; საერთოქართველური ***ჟინ-აჰ-**რთული შედგენილობისაა: პირველი **ჟინ-** სეგმენტი იგივე ძირია, რაც ს.-ქართვ. ***ღჟინ-(ო)** სიტყვაში მეორდება (ქართ. **ღვინ-ო**, ზან. **ღ(ვ)ინ-ი**, სვან. **ღჟინ-ელ**). **ჟ-**ს წინ **ღ-**ს განვითარება (ვ. თოფურია) მომხდარა ცალკე აღებულ ***ჟინ-ო** სიტყვაში საერთოქართველურ დონეზე, ამიტომაც დასტურდება **ღ** ფონემიანი ფუძეები ყველა ქართველურ ენაში. **ვენ-აგ-**ის ***ჟინ-აგ-**იდან მომდინარეობას მხარს უჭერს **ინ-**იანი ფორმების არსებობა ზანურში — **ბინ-ეხ-** ← ***ვინ-ახ-**, რომელიც აგრძელებს საერთოქართვე-

ლურ **ი** გახმოვანებას, რაც **ღვინო**-შიცაა დაცული. მეორე ნაწილი კომპოზიციისა **აჯ-** დღეს დამოუკიდებლად არ იხმარება, მხოლოდ ვენ-**აჯ-**შია შემორჩენილი, მისი მონათესავე ძირები დასტურდება დაღესტნურ ენებში: ხუნდ. **ახ**, ბოთლ., ლოდ. **ახი**, ახვან. **აკი**, ანდ. **ოხი**, დიდ. **ახ**, ხვარშ. **ოჰ**, კაბ., ჰუნზ. **აჰ**, ჰინუხ. **ახი**-ბაკ „ზვარი“, დარგ. **ანჯ**, ლაკ. **აჯ** „ბალი“. ე. ი. **ვენ-აჯ-ი** კომპოზიტია და ნიშნავს ღვინის (***ჟინ-**) ბაღს (***აჯ-**).¹

ამრიგად, საერთოქართველურ სამწერლო ენაში (ფუძეენა) არსებობდა დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები: ***ჟინ-(ო) → ღჟინ-ო** და **აჯ-** „ბალი“, მათი შერწყმით (კომპოზიციით) საერთოქართველურშივე შეიქმნა **ჟინ-აჯ-** „ვენახი“ კომპოზიტი, რომელიც შესატყვისებს იძლევა ისტორიულ ქართველურ ენებში. აქედან დასკვნა: **ჟინ-აჯ-** სიტყვათწარმოება საერთოქართველური დონისაა. და მიუთითებს საერთოქართველური ფუძეენის რეალურად არსებობაზე, რადგანაც ქართული, ზანური თუ სვანური ენობრივი ცნობიერებისთვის ვ ე ნ ა ხ ი ერთი სიტყვაა, მისი შემდგომი სეგმენტაცია სპეციალური სამეცნიერო კვლევის გარეშე შეუძლებელია.

ვ ე ნ ა ხ ი არ არის ერთადერთი სიტყვა, რომელიც რთული შედგენილობისაა და საერთოქართველური ფუძეენიდან მომდინარეობს. ფუძეენის წიაღში შექმნილად მიიჩნევა ქართული სიტყვა **ქეწნა**. მის შესახებ არნ. ჩიქობავა წერდა: „**ქეწნა-ა/ი : ქელ-წნ-** (ზმნა: წნ-ავ-ს) (სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ. 1942, გვ. 33)“.

როგორც ვხედავთ **ქე-წნ-** ← ***ქელ-წნ-**, სადაც **ქელ-** იგივეა, რაც ზანური **ჯა(ლ-)** „ხე“, ხოლო **წნ-** — **წან-** „წვნა“, ე. ი. **ქე-წნ-ი/ა** ← ***ქელ-წნ-ი/ა** „ხე წნული“. რა მდგომარეობაა ქართველურ ენებში? ისევე როგორც ვ ე ნ ა ხ ი ს შემთხვევაში, აქაც ზანური და სვანური შესატყვისობებს იძლევიან მთლიანად **ქე-წნ-** ფუძის მიმართ, შდრ. ზან. (მეგრ.) **ზი-ჰონ-ი** ← **ჯი-ჰონ-ი** (შდრ. გვარი **ჯი-ჰონ-აია**), სვან. **ჰე-ჰენ-**დ ზს., **ჩე-ჰენ-**დ ლშ., **ჩი-ჰენ-**დ (ვ. თოფურია). და ეს მაშინ, როცა სვანურს ცალკე აღებული არც **ქელ-**ის და არც **წან-** „წვნა“ ზმნის შესატყვისის არ მოეპოვება, დაკარგული აქვს.

სხვა მხრივაც არის **ქე-წნ-** ფუძე საინტერესო. აქ ყურადღებას მიიპყრობს **ლ-**ს დაკარგვის ფონეტიკური პროცესი ფუძეენაში. ანუ **ქელ-წნ-** → **ქე-წნ-** იმ ენაში განხორციელდა, რომლის ნიადაგზეც თვითონ კომპოზიტია შექმნილი, ხოლო ქართველური ენები (ქართული, მეგრულ-ჰანური, სვანური) შესატყვისობებს იძლევიან სწორედ **ლ** დაკარგულვარიანტიანი ალომორფის მიმართ. ფონეტიკური პროცესების მოქმედება საერთოქართველური ფუძეენის დონეზე მტკიცდება კონკრეტული ფაქტების მიხედვით. შეგვიძლია მივუთითოთ ორ ამგვარ პროცესზე: **ლ-**ს განვითარება **ჟ-**ს წინა პოზიციაში (***ჟინ-ო → *ღჟინ-ო**) და **ლ** სონანტის გაუჩინარება

¹ ს.-ქართვ. ***ჟინ-(ო)** „ღვინო“ სიტყვის შესატყვისებია: ნახ. **ვენ**, აფხაზ. ა-**ჟგ(ნ)** „ღვინო“. მონათესავე ენათა ჩვენება ძვირფასია **ღვინ-ო** სიტყვის ისტორიის კვლევის გზაზე.

წ-სთან პრეპოზიციაში (ძელ-წნ- → ძე-წნ-, შდრ. ს.-ქართვ. ძელ + ქვა, სადაც ლ შენარჩუნებულია).

ასევე საერთოქართველური (იბერიული) სამწერლო ენის სიტყვაწარმოების ნიმუშად ივარგებს რთული აგებულების **ზა-მთ-არ-ი** სიტყვა, რომელიც **ზა-** „დრო, წელი“ და **მ-თ-არ-ი** „თოვლიანად“ ითარგმნება, შდრ. ზან. **ზო-თ-ონჯ-ი** „ზამთარი“, სვან. **ზა-ჲ** „წელი“...

მეგრული (resp. ზანური) ამ შემთხვევაშიც კანონზომიერ შესატყვისს **ზამ-თ-არ-** კომპოზიტის მიმართ იძლევა, თორემ ცალკე **ზო-** და **თ-ონჯ-** ←***მთ-ოჯ-ი** ფორმები მისთვის უცნობია.¹

ზემოთაღწერილი საერთოქართველური ენობრივი ერთიანობიდან მომდინარე კომპოზიტების ანალიზი ცხადყოფს, რომ საერთოიბერიული ფუძეენა არ არის მხოლოდ თეორიულად ნავარაუდევი სუბსტანცია, იგი რეალურად არსებობდა კონკრეტულ დროსა და სივრცეში. მისგან უშუალოდ მომდინარეობს ძველი ქართული სამწერლო ენა, რომელიც განაგრძობდა დიდი ხნის წინათ შექმნილი საერთოქართველური სამწერლო ენის ტრადიციებს. ამდენად ქართველური (ქართული) სამწერლო ენის (დამწერლობის) შექმნა ქრონოლოგიურად ემთხვევა საერთოქართველური ფუძეენის არსებობის პერიოდს. ამის დამადასტურებელი სხვა კონკრეტული ფაქტების კვლევა-ძიება მომავლის საქმეა.

საერთოქართველური ფუძეენის დიფერენციაციის მომდევნო ეტაპზე ქართველურ ენებს შორის საბოლოოდ ჩამოყალიბდა რეგულარულ და კანონზომიერ ბგერათმესატყვისობათა შემდეგი ფორმულები:

ს.-ქართვ. ფონოლოგიური სისტემა	ქართული	ზანური	სვანური
*ა	ა/ე	ო → /უ	ა → ა/ე/ი
*ე	ე	ა → /ე	ე → /ა
*ი	ი	ი/ე	ი/ე
*ო	ო	ო → /უ → /ე/ი	ო → /ო/რე
*უ	უ	უ → /ო → /ე/ი	უ → /უ/რე
*ბ	ბ	ბ/მ/ფ	ბ/მ/ფ
*ფ	ფ	ფ	ფ
*კ	კ	კ	კ

¹ **ზო-თონჯ-**ში გამოყოფილი **ზო-** სემანტი, რომელიც შესატყვისია ქართული **ზა-** (**ზა-მთ-არ-ი**, **ზა-ფხ-ულ-ი**), სვანური **ზა(ჲ)** || **ზა-ჲ** „წელი; ზაფხული“ სიტყვებისა (ნ. მარი), შეიძლება ჩანდეს სვანურ **ზო-მზა** „ახალი წელი“ სიტყვაში. ეს უკანასკნელი ზანური წარმოშობისა უნდა იყოს, რაზეც ა → ო (**ზა-** → **ზო-**) გარდაქმნის გარდა ე → ა-ც მიუთითებს (**ზო-მზა**), შდრ.: სვან. **ზა(ჲ)მანე** || **ზამანე** || **ზამანე** „ახალი წელი“ : ზან. **ზომზა** ←***ზო-მოსა** (**მაკე/მოკა...**) „ახალი წელი“... იხ. აქვე.

ს.-ქართვ. ფონოლოგიური სისტემა	ქართული	ზანური	სვანური
*ღ	ღ	ღ	ღ
*თ	თ	თ	თ → მთ
*ტ	ტ	ტ	ტ
*ძ	ძ → ჯ	ჯ/ძგ	ჯ/ძგ
*ც	ც → ჩ	ჩ/ცქ	ჩ (→ ჰ)/ცქ
*წ	წ → ჳ	ჳ/წკ	ჳ (→ ჰ)/წკ
*ზ	ზ → ე	ე → ზ	ე → ზ
*ს	ს → მ	მ/სქ	მ/სქ
*ჯ	ჯ	ჯგ → ძგ(ტ)	ჯგ → ძგ(ტ)
*ჩ	ჩ	ჩქ → ცქ(ტ)/(რ)ცქ	ჩქ → ცქ(ტ)
*ჰ	ჰ	ჰკ → წკ(ტ)/(რ)წკ	ჰკ → შკ/წკ(ტ)
*შ	შ	შქ → სქ(ტ)	შქ/სქ(ტ)
*გ	გ	გ	გ → ჯ/ძ
*ქ	ქ	ქ	ქ → ჩ
*კ	კ	კ	კ → ჳ
*ღ	ღ	ღ	ღ
*ხ	ხ	ხ	ხ → ჰ
*ც	წ	ქ	ღ
*წ	წ/ხ	ქ/ხ	წ
*ყ	ყ	ყ → ლ/Ø	ყ → ჳ
*ფ	ლ/რ(ტ)	ლ/რ(ტ)	ლ/რ(ტ)
*ჰ	ხ/ქ	ხ/ქ	ხ/ქ
*მ	მ	მ	მ/ლ
*ნ	ნ	ნ	ნ/რ
*რ	რ	რ (→ ლ)/ჯ	რ (→ მ)ნ/ლ(შ)
*ლ	ლ	ლ → რ/ლ(შ)	ლ (→ ტ)რ/მ(შ)
*ტ/ვ	ტ/ვ	ვ/მ/ზ	ტ/მ/ზ
*ფ	ფ	*ფ → ე	ფ → ჰ

წარმოდგენილ კონსონანტურ მიმართებათა ფონზე ნათლად ვლინდება ზოგადი ტენდენცია: 1. ლაბიალური, დენტალური, ველარული, ფარინგალური თანხმოვნები ძირითადად **იდენტური** შესატყვისებითაა წარმოდგენილი, სხვაობა ენებს შორის მინიმალურია; 2. ძირითად სხვაობას

ქმნის სიბილანტური რიგი. აქ ქართულის წინა სიბილანტებს ზანურსა და სვანურში უკანა სიბილანტები შეესატყვისებიან, ხოლო ქართულის უკანა სიბილანტებს — ზანურ-სვანური უკანა სიბილანტი + უკანაენისმიერი ხშული. ამგვარი მიმართება სიბილანტებში აიხსნება როგორც არტიკულაციის უკან გადაწევა ზანურსა და სვანურში, რასაც მხარს უჭერს ა, ე საერთოქართველურ ხმოვანთა ევოლუცია ზანურში: ა → ო, ე → ა (არნ. ჩიქობავა).

ჩვენ მიერ გამოვლენილი დამატებითი მასალის მოხმობით ირკვევა, რომ არტიკულაციის უკან გადაწევის ტენდენცია ქართულსაც ახასიათებდა. პროცესი ქართულში შეჩერდა, აქედან გამომდინარე სისტემად არ ჩამოყალიბდა, თორემ ჩანასახის მდგომარეობა **სისინა** → **შიშინა** გადაბგერებისა აქაც შეიმჩნევა. კერძოდ, ისეთ მიმართებებში, როცა ქართულში შიშინა სიბილანტი გვაქვს, ხოლო ზანურსა და სვანურში სისინა + უკანაენისმიერი ხშული (შდრ. ქართ. ***ჩორ**-/მ-**ჩორ**-ე : ზან. **ცქერ**- : სვან. **ცქერ** „ფადარათი“...) საერთოქართველურისთვის აღდგება არა ***ჩორ**-, არამედ ***ცორ**- არქეტიპი, საიდანაც ქართულში ***ჩორ**- განვითარდა **ც** → **ჩ** გადასვლით, ხოლო ზანურსა და სვანურში — ***ცქორ** — **ც** → **ცქ** პროცესის განვლით. ***ცორ**- სისინა არქეტიპის აღდგენას მხარს უჭერს იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებიც — შდრ. ადიღ. ც^გპ „ნაკელი“, ჰუნზ. **ცუმო**, ლეზგ. **ცაუარ**, არჩიბ. **ცაორი** „შარდი“.

ამით იმის თქმა გვსურს, რომ სისინა რიგის სიბილანტებში არტიკულაციის უკან გადაწევა **სისინა** → **შიშინა** გარდაქმნის გარდა მიიღწეოდა **სისინა** სიბილანტის მომდევნოდ უკანაენისმიერ ხშულთა განვითარებით, ე. ი. ს.-ქართვ. **ძ ც წ ზ ს** → ზან., სვან. **ჯ ჩ ჭ ყ შ** ტრასფორმაციის პარალელურად არსებობდა ალტერნაციული **სისინა სიბილანტი + უკანაენისმიერი ხშული** პროცესი: ს.-ქართვ. **ძ ც წ ზ ს** → ზან., სვან. **ძგ ცქ წკ (ზგ) სქ** — შდრ. ქართ. ღვარძლ-ა (მცენ.) : ზან. ღვანძირ-ა : სვან. ღოსკ ←***ლჟაძგ**... (სხვა ნიმუშები იხ. §§ 25, 26, 27, 28).

ქართ.	← ს.-ქართვ.	→ ზან., სვან.
ჯ/ძ	*ძ	ჯ/ძგ
ჩ/← ც	*ც	ჩ/*ცქ
ჭ/← წ	*წ	ჭ/წკ
ყ/← ზ	*ზ	ყ/(ზგ)
შ/← ს	*ს	შ/სქ

სისინა → **შიშინა** სპორადული პროცესის არსებობით აიხსნება **ჟ**-ს პოვნიერებაც ქართულში, რომელიც საერთოქართველური ***ზ**-საგან მომდინარეობს — **ზ** → **ჟ**. ამიტომაც ქართ. **ჟ** : ზან. **ჟ** : სვან. **ჟ** შესატყვი-

სობისას საერთოქართველურისთვის *ზ სისინა სპირანტი უნდა აღვადგი-
ნოთ, და არა ჟ...

საერთოქართველური *ღ მჟღერი ფარინგალური აფრიკატი აღდგება
ქართ. ჳ : ზან. ქ : სვან. ლ კორესპონდენციის საფუძველზე, რომლისთვის-
საც რამოდენიმე მაგალითი მოიპოვება — ქართ. ჳნდ-ურ-ი || ← ჳად-ურ-ი
: ზან. ქონდ-არ-ი : სვან. ლედ-ერ; ქართ. ჳბ-ორ- „ხბო“ : ზან. ქაბ-ულ-ა :
სვან. ლაბ-ენ-ა. მასალის სიმცირე *ღ-ს დისტრიბუციული შეზღუდულობით
უნდა აიხსნას.

ფარინგალური რიგის სპირანტების (*ჟ, *ჰ) რეფლექსები ქართვე-
ლურ ენებში შეერწყა ლ, ხ და ქ ველარულ თანხმოვნებს. მათი რეკონ-
სტრუქცია შესაძლებელია მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩვენება-
ზე დაყრდნობით, შდრ. ბგერათმეცატიყვისობა ს.-ნახ. ჟ : ს.-ქართვ. ლ—
ნახ. ბჟ-ოტ „კოშკი“: ქართვ. ბედ-ო... ნახ. ჰ : ქართვ. ხ/ქ (ნახ. *ბ-ჰარ
„თხილი“ : ქართვ. *თ-ხილ-..., ნახ. ჰონ- „ტვინი“ : ქართვ. ქონ- „ქონი,
ტვინი“...). ჟ-ს წინა პოზიციაში ს.-ქართვ. *ჟ გადადიოდა რ-ში — *ჟჟ
→ რჟ : ს.-ნახ. *ნა-ჟჟ- „ძილი“ : ს.-ქართვ. რულ- ← *ჟჟ-ილ- „რული,
ძილი“...

დამატებით დისტრიბუციულ მიმართებაში იმყოფებოდნენ საერთო-
ქართველური ჟ/ვ ბგერები ერთმანეთის მიმართ, რასაც გავაფიქრებინებს
არაერთგვაროვანი რეფლექსები ქართველურ ენებში, შდრ.: ს.-ქართვ.

*ცეჟ- „დაცვა“ → ქართ. ცავ-/ცევ- : ზან. ჩვ-/ჩუ- : სვან. ჟჩ- ← *ჩჟ-,
მაგრამ ს.-ქართვ. *ჟერწყჟ- → ქართ. ვერწყვი : ზან. მანჰკორა : სვან.

ფაშყჟ ← *ბჰყჟ „ფაშარი“, ე. ი. ქართ. ვ : ზან. მ/ბ : სვან. მ/ბ მიმართე-
ბისას საერთოქართველური ჟ უფრო კბილბაგისმიერობისკენ იხრებოდა,
რაც კომბინატორული ფონეტიკური მოვლენაა და არა ფონოლოგიური
(შდრ. ქართ. ვერძ-ი : ზან. ერჯ-ი ← *ჟერჯ-ი, მაგრამ ქართ. ვეძ-ა : ზან.

მენჯ-ი ← *ვეჯ-ი; ქართ. არჩვ-ი : ზან. ერცქემ-ი ← ერჩქევ-ი; ქართ. თივ-
„თივა“ : ზან. თიფ- ← *თიბ-ი ← *თივ- (შდრ. ქართ. თიბ-ავ-ს : სვან.
შდექჟ ← *შთიჟ...).

და ბოლოს, ჩვენ გამოვრიცხავთ საერთოქართველურ (და მით უფ-
რო წინარექართველურ) ენობრივ დონეზე ე. წ. მარცვლოვანი ჳ ნ ჳ ლ
სონანტებისა და ე. წ. სისინ-შიშინა სიბილანტების არსებობას. მათი
შემოტანა მკვლევართა მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში, ჩვენი აზრით, შე-
პირობებულა, არა ფაქტობრივი მდგომარეობით, არამედ საკითხისადმი
სქემატური მიდგომით. სტრუქტურალისტებისაგან ფონეტიკის უარყოფამ
ენათმეცნიერებაში დაამკვიდრა მექანიკური მიდგომა ენობრივი ფაქტებისა-
დმი. არადა, სწორედ ფონეტიკური კანონების აღმოჩენამ აქცია ენათმეც-
ნიერება სამეცნიერო დისციპლინად (ამაზე დაწვრილების სხვაგან და სხვა
დროს).

ჩვენ ასევე ვერ გავიზიარებთ გ. კლიმოვის მიერ შემოთავაზებულ ე. წ. ქართულ-ზანურ ენობრივ ერთობას, სვანურის საპირისპიროდ. რომ, თითქოს, რაღაც ეტაპზე ქართულ-ზანური ერთიანობის არსებობისათვის აღდგება ესა თუ ის სიტყვა, უმთავრესად კულტურული სფეროდან (რკინა, სპილენძი, ვერცხლი...). როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართულ-ზანური რკინის, ს-პილენძის შესატყვისები სვანურშიც მოიპოვება, შდრ. შესაბამისად: სვან. მგ-კრ-ა „სახნისი“ ← ეტ. „რკინა“, ბერეუ „რკინა“ ← „სპილენძი“ და სხვ. როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევებში, როცა საერთო-ქართველური ეკვივალენტები აკლია ზანურს, და არა — სვანურს? ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ზანურს ეს სიტყვები არ ჰქონდა. ჰქონდა, მაგრამ დაიკარგა დროთა განმავლობაში; ან ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი. ან კიდევ: როგორ არის შესაძლებელი სიტყვა „ქართულ-ზანური“ ერთიანობის დროინდელი იყოს და ამიტომ სვანურს არ ჰქონდეს, და ამავე დროს პარალელურად ეძებდე მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, შდრ. ქართ. (რ)კინა; ზან. (რ)კინა-, ერკინა (?); სვან. —: ლეზგ. რაკ, თაბას. რუკ „რკინა“ (Г. Климов, ЭСКЯ, გვ. 156-157). ე. წ. ქართულ-ზანური ერთობის უსაფუძვლობა სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის გაკრიტიკებული (ბ. გიგინეიშვილი). ამიტომ ამაზე აქ ვერ შევჩერდებით.

ისტორიული ფონეტიკის ზოგიერთი საკითხის თაობაზე სვანურში

ამ განაკვეთში ვეცდებით ვაჩვენოთ, თუ რა სახის ტრანსფორმაციები განიცადა საერთოქართველური (იბერიული) კონსონანტური სისტემის ამა თუ იმ ფონემამ სვანურში — როგორი ფონეტიკური პროცესები და ტენდენციებია ძირითადი.

სონანტთა სისტემა ლ რ მ ნ ჟ

§ 1. ლ. სონანტი ლ სვანურში მრავალი მიმართულებით იცვალა, რასაც ცხადყოფს ქართველურ ენათა სათანადო მონაცემებთან შედარება. თავს იჩენს შემდეგი სპორადული ფონეტიკური გარდაქმნები: ლ → დ, ლ → ჟ, ლ → მ, ლ → ნ, ლ → რ. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალცალკე.

§ 2. ს.-ქართვ. ლ → სვან. დ. ბგერათშეფარდებაზე ქართ. ლ : სვან. დ ადრეც მიუთითებდნენ.¹ გ. კლიმოვი ვარაუდობდა უკუპროცესს (დ → ლ) ქართულსა და ზანურში. ამიტომ საერთოქართველური ფორმები აღდგენილია სვანურის ჩვენების ნიადაგზე: ქართ. (მ)გრგუალ- : სვან. გირგოდ, ს.-ქართვ. *მგრგოდ „მრგვალი“; ქართ. ცუილ- : ზან. (მ) ჩირ- სვან. ჯუილ, ს.-ქართვ. *ცუილ „ცვილი“. არადა სვანური მასალის ანალიზი აჩვენებს ამგვარი ვარაუდის უსაფუძვლობას, რადგანაც ლ → დ მოქმედი ფონეტიკური პროცესია სვანურში, ხოლო საპირისპირო დ → ლ ქართულში არ შეინიშნება. ლ → დ გარდაქმნა ნასესხებ, სხვა ენათაგან შეთვისებულ, ერთეულებშიც იჩენს თავს, რაც კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ლ → დ-ს საკუთრივ სვანურის ნიადაგზე ახსნის შესაძლებლობას — შდრ.: ქართ. ქულა → სვან. ქულა „ქულა (მატყლისა, ბამბისა)“, ქართ. დედინაცვალ-ი → სვან. დინეცაწდ, ქართ. შველ-ა → სვან. შედ- „შველა“... ჩვენ მიერ გამოვლენილია ლ → დ გარდაქმნის სხვა ნიმუშებიც: სვან. დგბუგ ბზ., ბქ., დგბუი ლზმ. „გამოლენჩებული“ : ზან. (მეგრ.) ლობუო „ლენჩი“, სვან. დგბუგ, ← ლგბუგ; სვან. თოდ ზს. „შულო“, ი-თუდ-ი ზს., ლზმ. „იქსელავს დართულ ძაფს“ : ქართ. თელ-, თელ-ვა „მატყლის შენაბდვა (საბა)“, სვან. თოდ- ←*თოდ-; სვან. სდუგ-ჟ ←*სგუდ-ჟ „ნაწნავი“, სდუგ- „წვანა“ : ქართ. შულ-, შულ-ო, სვან. სდუგ-ჟ ←*სგუდ-ჟ ←*შქულ-(ჟ); სვან. ჯუილ- (←*ჩუილ-) „თაფლის სანთელი“ : ქართ. ცვლ-ი || ცვილ-ი : ზან. (მ)ჩირ-ი ←*ჩუილ-ი, სვან.

¹ Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М. 1964, გვ. 130, 229.

ჯუილ ←***ჩუილ** (ჩ → ჯ (მას შემდეგ, რაც **ლ** → **დ**) გამჯღერება **დ-ს-თან** ასიმილაციით) ←***ჩუილ**; სვან. **ხიად-** : ზან. **ხიოლ-** „სინხარული“, სვან. **ხიად-** ← **ხიალ-** (შდრ. ქართ. **ხიარ-**, **მხიარ-ულ-ი** ←***მ-ხიალ-ურ-ი**); სვან. **შედ** „ჭურჭელი; ხათანგი“ : ქართ. **სილა** „სილა-ჭურჭელი“, სვან. **შედ** ←***შილა** (ა-ს არსებობაზე ისტორიულად **ი** → **ე** ხმოვანგადასვლაც მოწმობს (მ. ქალდანიის წესი); სვან. **ზად** „საფუარი“ : ქართ. **ზელ-/ზილ-** „ზელა“ : ზან. **ზელ-ი** „ცომი“, სვან. **ზად-** ← **ზად-ა** ←***ზელ-ა**; სვან. **პირისდ-** → || **პრისდ-** „მონათვლა“ : ზან. (ქართ.) **პირისელ-ი** || **პირსელ-ი** „ნათლია“ („кума“), სვან. **პირისდ-** ←***პირისლ-** ← **პირისელ-**; სვან. **მაშდ** : ქართ. (მობ.) **მარსლ-ი**, სვან. **მაშდ** ←***მა(რ)სლ-**; სვან. **შდეკუ-** || **შდოკ-** : ქართ. **სლოკ-** „სლოკინი“, სვან. **შდეკუ-** || ← **შდოკ-** ←***სლოკ-**; სვან. **ჭად-** || **ჭად-** „ფარცხვა“ : ქართ. **კალ-** „ლეწვა“, **კალ-ო**, სვან. **ჭად-** || **ჭად-** ←***კად-** ←***კალ-**; სვან. **გირგოდ** : ქართ. **მ-გრგვალ-** : ზან. **გორგოლ-ია** „გრგოლი“, სვან. **გირგოდ** <***გირგოლ...**

§ 3. **ლ** → **ჟ**. ს.-ქართვ. **ლ** : სვან. **ჟ** შეფარდება ცნობილია (ნ. მარი, ვ. თოფურია, გ. როგავა...); წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მოძიებულ დამატებით მასალას: სვან. **მუ-გჟ** „მტრედი“ : ქართ. **გულ-იო** „მომცრო ტრედია ველური (საბა)“, სვან. **მუ-გჟ** ← **მუ-გუჟ** ←***მუ-გულ**; სვან. **ყანსგჟ** || **ყენსგ** || **ყჟანსგჟ** || **ყანსკჟ** „რიკი“ : ქართ. **ყეჩალ-ი** „ესე არს ორი სწორად ტყუბსავით ჯოხი თუ რკინა“, სვან. **ყანსგჟ** || **ყანსკჟ** ← **ყანსგჟ** ← **ყანსგჟ** ←***ყეჩგჟ** ←***ყეჩგალ**; სვან. **ყჟირყჟ** || **ყჟყჟ** „მარყუჟი“ : ზან. **ყურყელ-** || **ყორყელ-** „ყორყი“, სვან. **ყჟრყჟ** ←***ყჟრყელ-** ←***ყორყელ-**; სვან. **შკჟემფ-**, **ან-შკჟემფ-ე** „გაჯოხავს“ : ქართ. **წკებლ-** „გაწკებლა“, **წკებლ-ი**, სვან. **შკჟემფ-** ←***ჭკჟებ-** ←***ჭკებჟ** ←***ჭკებლ-**; სვან. **ცხურკჟ-**, **ან-ცხურკჟ-ინ-ე** „ხრაკავს, ხრუკავს“ : ქართ. **სხურკლ-**, **და-სხურკლ-ვა** „შებლუნძვით შეხმობა (ტყავთა) (საბა)“, სვან. **ცხურკჟ-** ←***ცხურკლ-**; სვან. **ქიჟ** „ერთი წველა ყველი“ : ქართ. **ქილა**, სვან. **ქიჟ** ← **ქილ** ← **ქილა**; სვან. **ჟჟ** „წოლა, ძილი“, **ი-ჟჟ-ე** „სძინავს“ : ქართ. **ძილ-** „ძილი“ : ზან. **ჯირ-** || **ნჯირ-** „ძილი, წოლა“, სვან. **ჟჟ** ← **ჟჟ-** ← **ჯანჟ** ← **ჯიჟ-** || **ჯილ-**; სვან. **დუხ** || ← **დუხჟ** „ყოჩი, ერკემალი“ : ქართ. **თონლ-ი** „ბატკანი ან ცხვარი ექვესი თვიდან ერთ წლამდე“, სვან. **დუხ** || **დუხჟ** ←***დოხჟ** ←***დოხლ-**; სვან. **ჟიცხ** || **იცხ** „მსხალი“ : ქართ. (მ)**სხალ-** : ზან. **სხულ-**, სვან. **ჟიცხ** || **იცხ** ← **იცხჟ** ←***სხიჟ** ←***სხალ-**; სვან. **იფხ** „გვიმრა“ : ქართ. **იფხლ-** || **იმხლ-**, სვან. **იფხ** ←***იფხჟ** ←***იმხლ-**; სვან. **ფუყჟ** „ჩიყვი“ : ქართ. **ბლიყ-** „ჩიყვი“, სვან. **ფუყიყ** ←

ბუიყ ←***ბლიყ**-; სვან. **შდაჟ**-ალ „მერცხალი“ : ზან. **თოლ**-ია „თოლია“, სვან. **შდაჟ**-ალ ←***შთალ**-ალ; სვან. **უღჟა** || **უღჟა** „უღელი“ : ქართ. **უღელ**- : ზან. **უღუ**, სვან. **უღჟა** || **უღჟა** ← **უღჟ** ← **უღჟა** ←***უღელ**-ა; სვან. **ჟელ** : ქართ. **ძაღლ**- : ზან. **ჯოდორ**-, სვან. **ჟელ** ← **ჟელჟ** ←***ჯელ**-; სვან. **გუი** || **გუ** „გული“ : ქართ. **გულ**- : ზან. **გურ**-, სვან. **გუი** || **გუ** ←***გუჟ** ←***გულ**-, სვან. **მაყალ** → || **მა-ყაჟ** ლხმ. „ში-ში“...

§ 4. **ლ** → **მ**: ამგვარი ცვლებების მაგალითები შედარებით მცირეა, მაგრამ პროცესის უტყუარობას ამოწმებს ქართული ენიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულების ჩვენება — შდრ.: ქართ. **ურდულ**-ი → სვან. **ჭურდუმ** ბზ. „ურდული“; ქართ. **შურდულ**-ი → სვან. **შურდუმ** ბზ., **შურდუმ** ბქ. „შურდული“; სვან. **თომირ** ბზ., ბქ., ლნტ., **თომურ** ლშხ. „ბურვაკი“ : ქართ. **თელი**-ი „გოჭი“ : ზან. (მეგრ.) **თუ**, **თულ**-(ეფ(ი) „გოჭი“, ჭან. **თილ**-ა „გოჭი“ ←***თულ**-ა, სვან. **თომ**-ურ || **თომ**-ირ ←***თამ**-ირ ←***თალ**-ირ ← ს.-ქართვ. ***თალ**- „გოჭი“; სვან. **ჟომ**-, ი-**ჟომ**-ი „იშლება“ : ქართ. **ზულ**-, **ზულ**-ეგ-ა „ჩავარდნა, დაშლა“ : ზან. (ჭან.) **ჟოლ**- || **ჟულ**- „გადავარდნა“, სვან. **ჟომ**- ←***ჟოლ**-; სვან. **კემად** || **კემად** || **კემბტ** „მშვილდი“ : ქართ. **ყოღალ**-ი → **კოღალ**-ი „ისარი“, სვან. **კემად** ← **კემად** ←***კოღალ**; სვან. **ყალ**- → || **ყამ**-, ხ-ა-**ყალ**-უნ-ი (←ხ-ა-**ყალ**-უნ-ი) ბზ., ხ-ა-**ყალ**-უნ-ი ლშხ. „ემინია“ — მაგრამ ხ-ა-**ყამ**-ნი (←ხ-ა-**ყალ**-ნი ← ხ-ა-**ყალ**-უნ-ი) ლნტ. „ემინია“, შდრ. **მა-ყალ** ზს., ქს. „შიში“; სვან. **ლარტამ** || **ჰარტამ** „ბოსტანი“ : ქართ. **მტილ**-ი, სვან. **-რტამ** ←***-რტილ**-...

§ 5. **ლ** → **ნ**: მოქმედებს მხოლოდ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. პროცესი ბუნებრივია როგორც ნასესხებ ლექსიკაში, ისევე საკუთრივ სვანური ფონდის სიტყვებში: ქართ. **ჩერგილ**-ი → სვან. **ჩერგენ**, ქართ. **მტკაველ**-ი → სვან. **კამგლ** ლშხ., || **კამილ** ლნტ. → || **კამინ** ბზ., ბქ.; სვან. **ჭყუნ** || **ჭყონ** „საზარდული“ : ქართ. (ხევს.) მ-**წყვილ**-ი „საზარდული“ : ზან. (მეგრ.) **წყურ**- (←**ჭყურ**-), სვან. **ჭყუნ** || **ჭყონ** ←***ჭყუნ** ←***ჭყული**; სვან. **ჭგმინ** ზს., ქს. „ქერი“: ქართ. **წინოლ**-ი ← **წიმოლ**-ი : ზან. **ჭიმურ**-ი, სვან. **ჭგმინ** ←***ჭგმელ**; სვან. **ქჟან** || **ქჟან** „ქვა, ჭიუხი, კლდოვანი ადგილი“ : ქართ. **ქვა**, **ქოლ**- ←***ქჟა**-ლ-, ჩა-**ქოლ**-ავ-ს : ზან. **ქუა**, **ქუა**-ლ-ეფ-ი „ქვები“, **ქუალ**-ონ-ი || **ქვალ**-ონ-ი (ტოპ., ეტ. „ქვანარი“), სვან. **ქჟან** || **ქჟან** ←***ქჟა**-ლ-; სვან. **ტყენ** „კეტი“ : ქართ. **ტყე**- : ზან. **ტყა**-, **ტყალ**-ეფ-ი „ტყეები“, **ტყალ**-ონ-ა „ტყიანი“, სვან. **ტყენ** ←***ტყე**-ლ (ს.-ქართვ. ***ტყე**-ლ-); სვან. **გენ**- || **გნ**-, ა-**გენ**-აღ-ი „გარეკავს“ :

ქართ. გელ-, მი-ა-გელ-ვ-ებ-ს, სვან. გენ ←*გელ-, სვან. პაშან „ზვინი“ : ქართ. პასალ-ი „ბოძი, პალო“, სვან. პაშან ←*პაშალ...

§ 6. ლ → რ. ამგვარი გადასვლა ცნობილია ზანური ენიდან, სადაც მითითებულია მის პოზიციურ შინაარსზე: ნებისმიერ თანხმოვანთან მე-ზობლობაში, ასევე სახელებში სახელობითის ი ბრუნვის ნიშნის ზეგავლენით (გ. როგავა). სვანურის ლ → რ ფაკულტატიური ფონეტიკური პროცესია და პოზიციით არ არის არც შეზღუდული და არც შეპირობებული: სვან. კრანკ-, ი-კრანკ-ი „გორდება“ : ქართ. კლაკნ- : ზან. კერკ-, ი-კერკ-ელ-უ(ნ) „გორდება“, ი-კიროკ-უ(ნ) „იკლანება“, სვან. კრანკ ← კლაკნ-; სვან. შირ- || შერ-, ხ-ე-შრ-ი „უსველდება“, მგ-შირ „სველი“, შერ- „წყალობა“, ლე-შრ-ი „საბრალო“ (ეტ. საწყალი) : ქართ. ზალ-ა „შარავი, ვითარცა წყალი (საბა)“, ფშ. ზალა „მარილიანი წყალი“ : ზან. (მეგრ.) შვერ-ი ← შორ-ი „სველი“, შვარ-შვალ-ი (რედუბლ.) „წყლიანობა, წვეთება“, სვან. შირ- || შერ- ←*შალ-; სვან. შდერ ← „თავსხმა, წვიმა, თქეში“ : ქართ. ზღველ-, ზღველ-ა „კოკისპირული წვიმა“ : ზან. (მეგრ.) ზღვარ-ზღვალ-ი (რედუბლ.) „ზღველა“, სვან. შდერ ← შდუელ; სვან. ჯინირ „ციყვი“ : ქართ. ძამლ-ი „ვირთავა“ : ზან. (ჭან.) ძემურ-ი ←*ჯომურ-ი, სვან. ჯინირ ← ჯემილ; სვან. ჯამირ || ჯემურ || ჯემერ „საქონლის ფეხების ტყავი“ : ქართ. ჯამლ-ი, მე-ჯამლ-ე, სვან. ჯამირ || ჯემურ || ჯემერ ←*ჯამელ; სვან. ბჟდერ ბქ., ლნტ. „ჩვილი, ყრმა“ : ქართ. ბზლილ-ი „მწერის კვერცხი“ : ზან. ჟდირ-ტ-ალ-ი „ძვალ-რბილი, ჩვილი“, სვან. ბჟდერ ← ბჟდილ; სვან. კუკურ „ხის კვირტი“ : ქართ. კუკულ-ი „კვირტი“ : ზან. კვიკვილ-ი „კვირტი“, სვან. კუკურ ← კუ-კულ; სვან. მგ-ნჩხრ-ი || მგ-ნჩხირ „გავარვარებული; ცხელი“ : ქართ. ცხელ-ი : ზან. ჩხე ← ჩხელ-, სვან. მგ-ნჩხირ ←*მგ-ჩხელ; სვან. ნა-ჟარ „გაძლება“ : ქართ. ძალ- || ძლ-, გა-ძლ-ებ-ა : ზან. ნჯოლ- || ნჯელ- „ძლევა“, სვან. ნა-ჟარ ← ნა-ჯარ ← ნა-ჯალ; სვან. ცილ ზს., ლშხ. ცირ ლნტ. „კანი, ქერქი“ : ქართ. (ზ. იმერ.) ცილ-ი „კანის თეთრი ნაწილი“, სვან. ცირ || ცილ ← ცილ; სვან. ჟაჭუერ || ჟაჭუარ „არყის ხე“ : ქართ. ძაჭუელ-ი || ძაჭველ-ი „ძახველი“, სვან. ჟაჭუარ || ჟაჭუერ ←*ჯაჭუელ; სვან. თეჟერ- || თეჟერ-, ა-თეჟერ-წლ-ი ბზ., ა-თეჟერ-წლ-ი ლშხ., ა-თეჟერ-ალ-ი ლნტ. „ათვალეგრებს“ : ქართ. თვალ-, ა-თვალ-იერ-ებ-ს, სვან. თეჟერ- || თეჟერ- ← თეჟერ- ← თეჟელ- (შდრ. თეჟერ-წლ „თვალეგი“); სვან. ფაქარ „ჩირქი, წყლული“ : ქართ. ფაქლ-ი || ფანქლ-ი || ფანქალ-ი „წყლულება“, სვან. ფაქარ ←*ფაქალ; სვან. ყუირ-, ყუირ-წა || ყუირ-წ „ცალთვალა“ : ქართ. ბრყვილ-ი „უსინათლო“ : ზან. (მეგრ.) სვერ-ე (←*სვირ-ე), სვან. ყუირ- ← ყუილ- ← ბრყვილ-...

§ 7. მ. საერთოქართველური მ სვანურში ძირითადად რეალიზებულია იდენტურად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა მის განვითარებაში საგრძნობი ცვლილებები: **მ → ნ, მ → ლ, მ → ბ.**

§ 8. ს.-ქართვ. **მ** → სვან. **ნ** : სვან. **ნახე** || **ნახე** „იარალი“ : ქართ. **მან**-ე, **მან**-, **მან**-ავ-ს, **მან**-ვ-ილ-ი : ზან. (მეგრ.) **მოლე** ← **მონე** „იარალი“, სვან. **ნახე** || **ნახე** ← ს.-ქართვ. **მან**-ე; სვან. **ჯინირ** „ციყვი“ : ქართ. **ძამლ**-ი „ვირთაგვა“ : ზან. (ჭან.) **ქემურ**-ი ← ***ჯომურ**-ი „ვირთაგვა“, სვან. **ჯინირ** ← ***ჯემილ**; სვან. **შდრან**- || **შდრან**- || **შტრან**-; ა-**შდნ**-ი „გრეხს (თოვს, ტყავს)“ : ქართ. **თრიმ**-ლ- „თრიმლვა“, **თრიმ**-ლ-ი, სვან. **შდრან**- || **შტრან**- ← ***შთრიმ**-ტ; სვან. **გგგგნ**- „გაქვავება, გაჯიუტება“ : ქართ. (ზ.-რაჭ.) **გაგამ**- „მაგარი“, სვან. **გგგგნ**- ← ს.-ქართვ. **გაგამ**-; სვან. **ნჩუერ**- „ძნებად კორნვა“ : ქართ. **მცვერ**- „მცვრევა“, სვან. **ნჩუერ**- ← ს.-ქართვ. **მ-ცუერ**-; სვან. **ჟრინ**-ტ- „წყვეთი, ყლუბი“ : ქართ. **ზრინ**-ტ-ი, **ზრიმ**-ლ-ი, სვან. **ჟრინ**-ტ- ← **ჟრიმ**-ტ-; სვან. **გამ** || **გამ** ზს., მაგრამ **გან** ← **გამ** ლშხ. „სამაგიერო, სანაცვლო“ : ქართ. **მგამ**-ა (არა მგამა) : ზან. (მეგრ.) **გამა** „მაგიერი, მსგავსი“; სვან. **წგემ** || **წგიმ** ბქ., მაგრამ **წგენ** (← **წგემ**) ბზ., ლნტ. „სიმაღლე, სიგრძე“...

§ 9. მ → ლ. საერთოქართველური მ სონანტის ამგვარი გადასვლა დაედო საფუძვლად ბგერათშესატყვისობის შემდეგ სახეობას — ქართ. მ : სვან. ლ; შდრ.: სვან. **ლჩჩუ** ზს., ლნტ., **ლჩჩუ** ლშხ. „ირემი“ : ქართ. (მთიულ.) **მაცალ**-ო „მოზვერი“, სვან. **ლჩჩუ** || **ლჩჩუ** ← ***ლჩჩაუ** ← ***მაჩალ**-; სვან. **გუალ** „ბოსელი“ : ქართ. **გომ**-ი, **გომ**-ურ-ი, სვან. **გუალ** ← ***გოლ** ← **გომ**-; სვან. **ყლა**-ტ „ბავშვი, ყმაწვილი“ : ქართ. **ყმა**, სვან. **ყლა**-ტ ← ***ყალ**-ტ ← ***ყამ**-ტ; სვან. **ყალ**-, **მა-ყალ** „შიში“ : ქართ. (მოხ., თუმ., ქართლ., ქსნის ხეობ...) **ყამ**-ი „შიში“, სვან. **ყალ**- ← ს.-ქართვ. ***ყამ**- (შდრ. ლენტეხური ხ-ა-**ყამ**-ნ-ი „ეშინია“, რომელიც მესამეულ საფეხურს ასახავს, მაგრამ მატერიალურად ამოსავალ **ყამ**-ს ემთხვევა : ს.-ქართვ. **ყამ**- → სვან. ***ყამ**- → **ყალ**- → ლნტ. **ყამ**-(ნ-); სვან. **ქათალ** „ქათამი“ : ქართ. **ქათამ**-ი : ზან. **ქოთომ**-ი (შდრ. ს-ნახ. ***ქოთამ** „ქათამი“), სვან. **ქათალ** ← **ქათამ**-; ს.-ქართვ. მ → სვან. **ლ** ტრანსფორმაციის არ ცოდნა განაპირობებს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სვანურში ჯერ დაიკარგა მ, ხოლო შემდგომ ლ სუფიქსი დაერთო — **ქათამ** ← **ქათა** → **ქათალ** (გ. კლიმოვი). სხვათა აზრით, **ქათ**- ძირად გამოიყოფა, **-ალ** სუფიქსურია (მ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე). ვფიქრობთ, მომავალში საერთო-ქართველური ეტიმოლოგიური ძიებისას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ფონეტიკურ მხარეს სიტყვისას. ეტიმოლოგია მეცნიერებად ფონეტიკის

ჩამოყალიბების შემდგომ იქცა; მისი უგულვებელყოფა კარგს არაფერს უქადის ეტიმოლოგიური ეკვლევის საქმეს.

§ 10. მ → ბ: სვან. **სუიბ-** || **სუბ-** „ცეკვა“ : ქართ. **სამ-**ა, სვან. **სუიბ-** ←***სუბ-** ←***სამ-** (ა-ს ლაბიალიზაციით მივიღეთ უ); სვან. **ღერბეთ** || **ღერმეთ** ზს., ლშხ. **ღერბეთ** ლნტ. „ღმერთი“ : ქართ. **ღმერთ-**ი : ზან. (მეგრ.) **ღორონთ-**ი ← **ღორმოთ-**ი, ჭან. **ღორმოთ-**ი, სვან. **ღერბეთ** ← **ღერმეთ**; სვან. **ბრუჭ** „ბერწი“ : ქართ. **მროწლ-**ე, სვან. **ბრუჭ** ←***მრუჭ** ←***მროჭუ-**; სვან. **ჭანბ-** || **ჭბ-** „დაბარება“ : ქართ. **წამ-** „წამება, შეტყობინება, დაბარება“ : ზან. (ჭან.) **წუმ-**, დო-ვ-უ-**წუმ-**ე „დავუბარე“ (**წუმ-** ←***ჭუმ-**), სვან. **ჭანბ-** || **ჭბ-** ←***ჭამ-**, სვან. **ბანსე** || **ბასე** „მარწყვი“ : ქართ. **მარწყვი-** (ნ. მარი), სვან. **ბანსე** || **ბასე** ←***მანყ** ←***მანყუ-**; სვან. **მგბილ** || **მუბილ** || **მუბულ** „ქვეწარმავალი“ : ქართ. **მუმლ-**ი, სვან. **მგბილ** || **მუბილ** || **მუბულ** ←***მუმილ**; სვან. **მულულ** ბზ., **მულულ** ბქ., **ბულულ** ლშხ., **ბულულ** ლნტ. „ხოჭო“ : ქართ. **მღილ-**ი „ჩრჩილი, მატლი“ : ზან. **მურღულ-**ი, **მურღულ-**ია, სვან. **მულულ** → || **ბულულ**...

სვანურში საპირისპირო ბ → მ გადასვლაც ბუნებრივია: სვან. **მგრშე** „ჭინჭველა“ : ქართ. (ლეჩხ.) **ბუნჭველ-**ი „ჭინჭველა“, სვან. **მგრშე** ←***ბირჭკუ-**; სვან. **მაშე** ზს., ლნტ., **მაშე** ლშხ. „ბარძაყი, ბარკალი“ : ქართ. **ბეჭ-**ი, სვან. **მაშე** || ← **მაშე** ←***ბეჭე**; სვან. **ჩქიმ** : ქართ. **ცქაფ-** ← **ცქაბ-**, სვან. **ჩქიმ** ← **ჩქიბ**; სვან. **შღამ** || **შღუმე** : ქართ. **თებ-**ო, სვან. **შღუმე** ←***შღემ-**უ...

§ 11. ნ. საერთოქართველური ნ სვანურში ძირითადად უცვლელად ნ-ს სახით შემოგვინახა. თუმცა გარკვეული სახის ტრანსორმაციები აქაც შეინიშნება (ზოგიც სერიოზული): ნ → რ (!), ნ → მ, ნ → ლ.

§ 12. ს.-ქართვ. ნ → სვან. რ. ამ ტიპის ცვალეების შედეგად ჩამოყალიბდა ბგერათშესატყვისობის შემდეგი ფორმულა — ქართ. ნ : ზან. ნ : სვან. რ. ნ → რ შესაძლებლობის მიგნებამ სვანურში რეალური გახადა ზოგი ეკვივალენტის ძებნაც (ქართ. ვინა : სვან. **ღერ-** || **ღარ-**, ქართ. -ან „-იან სუფ.“ : სვან. -**წარ** || -**არ**...) — სვან. **ზერდ** ბზ., ბქ., ლნტ., **ზერდ** ლშხ. „ყველის საწური“ : ქართ. **ზინდ-**ალ-ი, სვან. **ზერდ** || **ზერდ** ← **ზინდ**; სვან. **კადარ** ზს., ლნტ., **კადარ** ლშხ. „ხმელი (ადგილი)“ : ქართ. **კადონ-**ი || **კადინ-**ა „კოცონი“, სვან. **კადარ** || **კადარ** ← **კადან-**ა; სვან. **ზაგარ** ზს., ლნტ., **ზაგარ** ლშხ. „ქელი“ : ქართ. **ზეგან-**ი სვან. **ზაგარ** || **ზაგარ** ← **ზეგან**, სვან. **კინტ** ბქ., **კირტ** ლშხ., ლნტ. „ქსოვილის ნაკუწი, ნაჭერი, ნაგლევი“ : ქართ. **კინტ-**უა || **კინტ-**ი „რკინის პატარ-პატარა ნაჭრები“, სვან. **კინტ** → || **კირტ**; სვან. **სგირ-**ი || **სკირ-**ი „სვანური სახლის ქვედა სართული“ : ქართ. (ხევს., თუშ.) **შინ-**ა „ხევსურული სახლის ქვედა

სართული“, სვან. **სგირ**-ი || **სკირ**-ი ←***სქინ**-ი; სვან. **ყერ** „ძალა“ : ზან. **ცონ**-იერ-(ო) „ძალიერი, ძლიერი“, სვან. **ყერ** ← ს.-ქართვ. ***ყაუნ**-; სვან. **ჭერ**- || **ჭრ**-, ი-**ჭრ**-ი (პნ-**ჭერ**) „თავისთან იბარებს, გამოიძახებს“ : ქართ. **წან**- „მოწვევა“, **წან-ა** „წვეულება“ : ზან. **ჭან**-, **ჭან-დ-ა** „წვეულება“, **ჭან-** აფ-ა „დაბარება“, „გამოძახება“, სვან. **ჭრ**- || **ჭერ**- ← სვან. ***ჭენ**- ←***ჭენ**-; სვან. **კარძ**-, ა-**კარძ**-ე || ა-**კანძ**-ე „ბანდავს“, მგ-**კარძ**-ალ-ი „მეწაღე“ : ქართ. **კანძ**-/**კინძ**-, ა-**კინძ**-ავ-ს, სა-**კინძ**-ი, **კანძ**-ი, სვან. **კანძ**- || **კარძ**- ← **კანძ**- ||***კანჯ**-; სვან. **კირბ**-, ა-ს-**კირბ**-ი „ტკეპნის“ : ქართ. **ტკებ**-ნ- || **ტკებ**-ნ-, სვან. **კირბ**- ← **კიბრ**- ←***კიბ**-ნ-; სვან. **სკურ**-, ი-**სკორ**-ე (პნ-**სკურ**) „ფიქრობს“ : ქართ. **სკვენ**- (და-ვ-ა-**სკვენ**-ი), სვან. **სკურ**- ←***სკურენ**-; სვან. **ჭყარ**-, ხ-ა-**ჭყარ**-ნ-ე „ავად ხდება“ : ქართ. **წყენ**-/**წყინ**-, ა-**წყენ**-ს/ა-**წყინ**-ა : ზან. (ჭან.) **ჭკინ**- ← **ჭყინ**-, დი-**ჭკინ**-დ-ინ-უ, სვან. **ჭყარ**- ← **ჭყერ**- ← **ჭყენ**-; სვან. **ხერ**- || **ხერ**- || **ხარ**- „ფხანა“ : ქართ. **ფხან**-, ი-**ფხან**-ს, სვან. **ხერ**- || **ხერ**- || **ხარ**- ← **ფხან**-; სვან. **ძარ** || **ძარ** || **ძერ** „ვინ“ : ქართ. **ვინა** : ზან. **მინ**-, **მინ**-ი, სვან. **ძარ** || **ძარ** || **ძერ** ←***ვენა** ←***ვინა**; სვან. **კარჩხ**- || **კარჩხ** || **კორჩხ**- : ქართ. **კონცხ**-ი, სვან. **კორჩხ** ← **კონჩხ**; სვან. **რადგ** || **რადგ** „ნოყიერი“ : ქართ. **ნიადაგ**-ი, სვან. **რადგ** || **რადგ** ←***ნადგ**; სვან. **მგრშკ** „ჭიანჭველა“ : ქართ. **ბუნჭვე**-ელ-ი, სვან. **მგრშკ** ←***ბინჭკუ**; სვან. **ღურ**- || **ღურენ**-, ხ-ე-**ღურ**-ი „ეფიცება“, ი-**ღურენ**-ე „იფიცავს“ : ქართ. **ხვევენ**- „ხვეწნა“, სვან. **ღურენ**- → || **ღურ**-; სვან. **ბარ**- : ქართ. **ბან**-, სვან. **ბარ**- ← ს.-ქართვ. **ბან**- „დაბანა“...

ერთ ნასესხებ სიტყვაშიც გამოჩნდა **ნ** → **რ** პროცესი, რაც ამაგრებს ჩვენ დებულებას **ნ** → || **რ** ისტორიული გადასვლის არსებობის შესახებ, შდრ. სვან. **ჩერჩ** „მარცვლეულის ჩენჩო“ ← ქართ. **ჩენჩ-ო**.

§ 13. **ნ** → **მ**: სვან. **ჭგრემ** || **ჭერამ** „წითელზოლება“ : ქართ. **წი-რან**-ი „წითელი; ჭერამი“ : ზან. (მეგრ.) **ჭერამ**-ი ←***ჭირონ**-ი, სვან. **ჭგრემ** || **ჭერამ** ← **ჭირან**; სვან. **გამ-აშ-ა** || **გამ-შ-ა** „ძალა, ღონე, შეძლება“ : ქართ. მ-**გნ**-ე, სი-მ-**გნ**-ე, უ-მ-**გნ**-ე, სვან. **გამ**- ← ს.-ქართვ. **გან**-; სვან. **ჩამჭირ** „ღონდლო“ : ქართ. **ცონ**-, მ-**ცონ**-არ-ი, გ-**ცონ**-ინ : ზან. **ჩინ**- || **ჩუნ**-, სვან. **ჩამჭირ** ←***ჩონ**-ირ; სვან. — **ჭკამ**- || **წკაჭამ**- „ნაბერწყალი“ : ქართ. **ბრწყინ**- : ზან. (მეგრ.) (**რ**)**წყინ**- ←***ბრჭკინ**-, სვან. **ჭკამ** || **წკაჭამ** ←***ჭკინ**-(უ); შდრ. აგრეთვე სვან.: **ურეშინ** → || **ურეშიმ** ბზ., **ღეშინ** → || **ღეშიმ** ლხმ., **ლოშინ** → **ლოშიმ** ბქ. „უკან, ბოლოს“, სვან. **ღგრემ** || **ღღღიმ** ← ქართ. **ლოგინ**-ი...

§ 14. ნ → ლ: სვან. ყუელ-, ხ-ყუელ-ენ-ი „სცილდება“ : ქართ. ყუენ-, და-ყუენ-ა „თმის მოშორება, თმის მოცლა, პარსვა“, სვან.. ყუელ- ← ყუენ-, სვან. კულზ-, ი-კულზ-ალ „დაძვრება“ : ქართ. კუნძ-, შე-ი-კუნძ-ა, მო-კუნძ-ულ-ი (საბა), სვან. კულზ- ← კუნძ-; სვან. ფინჯალ „ფინჯანი“ ← ქართ. ფინჯან-ი, სვან. ნან-ვგ → || ლან-ვგ „დედუღეთი“ (შდრ. ქართ. ნენა : ზან. ნანა, ნანა-ია „დედა“); სვან. ღუემალ || ღუემალ, ღომალ ბზ., ღუემალ ბქ., ღემალ || ღომელ ღშზ., ღომალ ღნტ. „ყორანი“ ← ქართ. (ბერძნ.) ყორან-ი...

§ 15. რ. საერთოქართველური რ-ს რეფლექსებიდან აღსანიშნავია ლ (რ → ლ), მ (რ → მ), ნ (რ → ნ) ალოფონები სვანურში. აქედან რ → ლ სპირადულად ზანურშიც იჩენს თავს: ქართ. გორა : ზან. გოლა → || გვალა, ქართ. გარე : ზან. გა-ლე „გარეთ“, ქართ. ქვირით-ი → ზან. ქვილით-ი (გვარი ქვილით-აია), ქართ. წარ- || წერ-ი : ზან. ქვლ-ა || ქილ-ა... რ → მ, რ → ნ სხვა ქართველური ენებისთვის უცხოა.

§ 16. ს.-ქართვ. რ → სვან. ლ. ამგვარი მოდიფიკაცია საერთოქართველური რ ვიბრანტისა სვანურში ცნობილია. არსებობს მისი ახსნის მცდელობაც. ვარაუდობენ რ → ლ-ს იმ ფუძეებში, სადაც ბაგისმიერთაგან ერთერთი თანხმოვანი მოიპოვება — სვან. პილ ← პირ : ქართ. პირ-, სვან. ბელ- ← ბერ- : ქართ. ბერ- „ბერვა“ : ზან. ბარ¹. ბაგისმიერთა პოვნიერება ფუძეში არ უნდა იყოს რ → ლ ცვლების მიზეზი სვანურში, რადგანაც იგი ბაგისმიერთა გარეშეც დასტურდება — შდრ.: სვან. ყულ-ინ, ი-ყულ-ინ-ი „გაჭენდება“ : ქართ. ზრ-ინ-, ზრ-ინ-(ვ-ა) „ჯართ დათქრიალება (საბა)“, სვან. ყულ-ინ- ← ყურ-ინ-; სვან. ღლიჯ- || ← ღლიჯგ- : ქართ. ღრეჯ-ღრიჯ- : ზან. ღინჯგ- ← ღირჯგ-, სვან. ღლიჯგ- ← ღრიჯგ-; სვან. შდურ → || შდულ „კოშკის ქონგური“ : ქართ. თერ-ო : ზან. თარ-ო, სვან. შდულ || ← შდურ ←*შთირ-ჟ ←*შთერ-ო; სვან. ჩუალ || ჩუალ „მეწყერი“, ჩუალ-ობ „მეწყერიანობა“ : ქართ. ცორ-, ცორ-ვ(ა) „თოვლსა და მოლზე ჩაგლინვება (საბა)“, სვან. ჩუალ || ჩუალ ←*ჩორ; სვან. კუილ-ა „ყორე“ : ქართ. ყორ-, ყორ-ე : ზან. ცორ-, სვან. კუილ-ა ← კორ-ე; სვან. უილ ღშზ., ჰუელ ბზ., ჰუილ ბქ. „ჯორი“ : ქართ. ვირ-ი : ზან. გურინ-ი || გურუნ-ი || გირინ-ი || გგრუნ-ი, სვან. ჰუილ || უილ ←*ჟირ; სვან. მშყნჟა || მაშყნჟა „ათინათი, არილი“ : ქართ. მწყაზარ-ი „სუფთა, წმინდა“, სვან. მშყნჟა || მაშყნჟა ←*მაშყნჟალ ←*მაშყნჟარ

¹ გ. მაჭავარიანი, საერთოქართველური კონსონანტური სისტემა, თბ. 1965, გვ. 15; ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1990, გვ. 48, 248.

(**რ** → **ლ** → **ლ** პროცესის დასრულების შემდგომ საკომპენსაციოდ **ო**(←**ა**) დაგრძელდა სვანურში); სვან. **ყუბლ-**ჲდ „უფხო (პურეულის ჯიში)“ : ქართ. **ყვიბარ-ო, ყვიბარ-ი** „ბატარა, ჩია...“ : ზან. (მეგრ.) **ცუბერ-ი** „უმწიფარი (ყურძენი)“, სვან. **ყუბლ-**ჲდ ←***ყუბარ-**ჲდ; საყურადღებოა ნა-სესხებ სიტყვათა ჩვენება, სადაც **რ** → **ლ** უბაგისმიერო ფუძეშიც დადასტურდა: სვან. **მასგლ** ← ქართ. **მასრა**, სვან. **შაშალ** „ლახვარი“ ← ქართ. **შაშარ-ი** „სისხლის გამოსაშვები მახვილი (საბა)“...

§ 17. **რ** → **ნ**: სვან. **წჷინ-** „დამიზნება, გასწორება“ : ქართ. **ს-წორ-** : ზან. **წურ-**, სვან. **წჷინ-** ← **წჷირ-**; სვან. **თეთნ-**ულდ „თეთნულდი“, **თეთნ-ე** || **თეთჷნ-ე** || **თჷეთჷნ-ე** „თეთრი“ : ქართ. **თეთრ-ი**, სვან. **თეთნ-ე** || **თჷეთჷნ-ე** || **თეთჷნ-ე** ←***თეთჷრ-ე**; სვან. **კან** || **კან** „ხარი“ : ქართ. **კარ-ი** : ზან. **ხოჯ-ი**, სვან. **კან** || **კან** ← **კარ**; სვან. **ჟინა** „ძერა“ : ქართ. **ძერა** : ზან. **ჯაჯა-**, **მ-ჯაჯ-ი** „ძერა“, სვან. **ჟინა** ←***ჯენა** ←***ჯერ-ა**; სვან. **სპან** „საქონლის ბაგის თავის გადახურული ნაწილი“ : ქართ. (გურ.) **სპარ-ა-ი** „ქვევრი ზეგითა ნაწილგატეხილი“ (მდრ. ლეჩხ. **სპერ-ვ-ა** „მოკვეთა“), სვან. **სპან** ← **სპარ**; სვან. **ქეშენი** || **ქეშენი** „ქვის კარავი მთაში“ : ქართ. **ქესარ-ი**, სვან. **ქეშენი** || ← **ქეშენი** ←***ქეშარ-ი**; სვან. **ჩხენ-/ჩხინ-**, **ხ-ა-ჩხინ-ა** „გაჩხერილია“ : ქართ. **ჩხერ-/ჩხირ-**, **ჩხირ-ი/ჩხერ-ი** : ზან. **ჩხინჯ-ი**, **ჩხაჟ-ი**, სვან. **ჩხენ-/ჩხინ-** ← ს.-ქართვ. **ჩხერ-/ჩხირ-**; სვან. **კან-/კან-**, **ხ-ო-კან** „სუნი ასდის“ : ქართ. **ყარ-**, **ყარ-ს** : ზან. (მეგრ.) **ცორ-იდ-/ცორ-ად-** „ყროლა“, **ცორ-ად-ილ-ი** „მყრალი“, სვან. **კან-** || **კან-** ←***კარ-**; სვან. **ჰენდ-** → || **ჰანდ-** (ა-**ჰანდ-ურ-ე**) „აწვეთებს“ : ქართ. **წირტ-ა-დ** „წვეთი“, **წრედ-/წრიდ-** : ზან. **წირად-/წირიდ-/წირდ-**, სვან. **ჰანდ-** || **ჰენდ-** ←***ჰერდ-**; სვან. **ხენ-** || **ხენ-**, **ხ-ა-ხენ-ე** ბზ., ლშხ., **ხ-ჲ-ხენ-ე** ბქ., ლნტ. „ახარებს“, **ლი-ხენ-ე** „მიხარება“ : ქართ. **ხარ-**, **ა-ხარ-ებ-ს**, სვან. **ხენ-** || **ხენ-** ←***ხერ-** ←***ხარ-**...

§ 18. **რ** → **მ**. არაანლაუტისთვის დამახასიათებელი პროცესია. სათანადო მასალის სიმცირის გამო ძნელი სათქმელია, ანლაუტში არ გამოჩენა პოზიციური შეზღუდვაა, თუ უბრალოდ არ არის გამოვლენილი შესაძლო შემთხვევები. **რ** → **მ** დაჩნდება როგორც საერთოქართველურ, ისე ნასესხებ სიტყვებში: სვან. **დომეყ** || **დუმეყ**, **ნა-დომყ** „ბერწი“ : ქართ. **დურაყ-ი** „ჩიხვის წალი“ (სემანტიკისთვის მდრ. აჭარ. **ბერწ-ია** „დეკეული“ ← **ბერწ-ი**), სვან. **დომეყ** || **დუმეყ** ← **დურეყ** ← ს.-ქართვ. **დურაყ-**; სვან. **მუ-რ-ყჷამ** „კოშკი“ : ქართ. **ყერ-ო** „ძელი აღმართებით ზღუდედ მოვლებული (საბა)“, სვან. **მუ-რ-ყჷამ** ←***მუ-რ-ყამ-ჷ** ←***მუ-ყარ-ჷ**; სვან. **ჟჷან** „შურთხი“ : ქართ. **ზერან-ი** : ზან. **ჟრუნ-ი** (← **ჟურუნ-ი**),

სვან. **ჟჷან** ← *ჟმან ← *ჟემან- || *ჟერან-; სვან. **ღჷემანლ** || **ღჷამანლ** || **ღომელ** || **ღომალ** ← სვან. *ღორან ← ქართ. (ბერძნ.) **ჟორან-ი**; სვან. **წყგზამ** || **წყგზემ** || ← **წყაზარ** ლნტ. „სუფთა, წმინდა“ ← ქართ. **მწყაზარ-ი** „ლამაზი, წმინდა“; ქართ. **კუკურ** „წვეთი“ : სვან. **კუკუმ** „წვეთი“ ← **კუკურ...**

§ 19. **ჟ** → **ბ**. საერთოქართველური ერთობიდან მომდინარე **ჟ** სვანურში იშვიათად **ბ**-ში გადადის, რითაც ზანურის **გ** → **ბ** პროცესს მოგვაგონებს. განსხვავება იმაშია, რომ ზანურში **გ** → **ბ** უმთავრესად ქართულიდან მომდინარე სიტყვებში დასტურდება: **ყავარ-ი** → **ყამბარ-ი**, **ლავიწი** → **ლაბერწი**... თუმცა — **ვაც-ი** : **ბორ-ი** (ჭან.), ხოლო სვანურში მხოლოდ საკუთარი ფონდის ფორმებში იჩენს თავს: სვან. **ჯაბ** || **ჯჷაბ** „დამლა“ : ქართ. **მ-ძივ-ი**, **ძვ-ინ-ი** „შანთი“, სვან. **ჯაბ** || **ჯჷაბ** ← ***ჯებ-ჟ** ← ***ჯიჟ-ო**; სვან. **ფეშ-** „დალლა“ : ქართ. **ოს-** || **ვას-** || **ვს-**, სვან. **ფეშ-** ← ***ბეშ-** ← ***ჟეშ-**; სვან. **ჩხაფ** „მარცვლეულის საწყაო“ : ქართ. **ცხავ-ი**, სვან. **ჩხაფ** ← ***ჩხაბ** ← ***ჩხაჟ**; სვან. **წობ-**, **ენ-წობ-ე** „მოსრუტა“ : ქართ. **წოვ-**, **წოვ-ს**, **მ-წოვ-ელ-ი** : ზან. **წვ-**, სვან. **წობ-** ← ს.-ქართ. ***წოჟ-** ...

§ 20. **ფონეტიკურ პროცესთა ზოგადი კანონზომიერებისათვის სვანურში**. ზემოთაღწერილ მოვლენებში შეინიშნება ერთი ზოგადი კანონზომიერება, რაც ფონეტიკურ პროცესთა სიმეტრიულობაში გამოიხატება. კერძოდ, ნებისმიერი **A** → **b** გადასვლა იმავდროულად ვარაუდობს საპირისპირო **b** → **A** პროცესს. — შდრ.: **ლ** → **მ**, **მ** → **ლ**; **ლ** → **ნ**, **ნ** → **ლ**; **ლ** → **რ**, **რ** → **ლ**; **მ** → **ნ**, **ნ** → **მ**; **მ** → **ბ**, **ბ** → **მ**; **ნ** → **რ**, **რ** → **ნ** (იხ. აქვე, §§ 4, 5, 6, 8, 9, 11, 12, 13, 15, 16, 17).

§ 21. **გ** → **ნ** პროცესისათვის ქართველურ ენებში. საერთოქართველურ სიტყვათა ერთი ნაწილის ანლაუტში გამოჩნდება ოპოზიცია ქართ. **გ**: ზან. **ნ/გ** : სვან. **ნ/გ**, შდრ.: ქართ. **ვიდრ-ი** „ბზესავით დაფშვნილი ხმელი თივა“ : ზან. — : სვან. **ნადრ-ა/ნადრ-ა** ← ***ნიდრ-ა** „თივის ბულული; ჩალის კონა“ (ს.-ქართვ. ***ჟიდრ-**); ქართ. **ვაკ-ე** : ზან. (მეგრ.) **ნაკ-ა** ← ***ნოკ-ა** : სვან. **ნაკ** „ვაკე“ (ს.-ქართვ. ***ჟაკ-ე**); ქართ. **ნარდ-ი** „ერთგვარი ყვავილი“, **ვარდ-ი** : ზან. **ნორდ-ი** „ხის გადანაჭერზე ამოსული ნორჩი ღერი“ : სვან. — (ს.-ქართვ. ***ჟარდ-**); ქართ. **ვნ-** „ვნება“ : ზან. **ნ-** ← ***ვნ-** „ვნება“, **ნ-ე** ← ***ვნ-ე** „მაჭარი; ნადველი“ : სვან. **ნენ-ირ** || **ნენ-ირ** „ელენთა“, შდრ. **მა-ჟინ-** || **მან-ჟინ** : ქართ. **მა-ვნ-ე**, **ჟენ-ან-** : **ვენ-ან-ი**; **ღჷინ-ელ** ← ***ჟინ-ელ** : **ღვინ-ო** ← ***ვინ-ო** (ს.-ქართვ. ***ჟინ-**).

ამ ტიპის მასალაში **გ** → || **ნ** სუბსტიტუცია ქართველურ ენებში ამოსავლად **ჟ**-ს ვარაუდობს. ეგვიპე **გ** → **ნ** ხომ არ ვიგულისხმობთ ზანურ

ზმნებშიც, შდრ. ქართ. კავ- „დაკავება“ : ზან. კვნ- || კინ- ← *კოვ- (?)...
საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

§ 22. **საერთოქართველური სლ თანმიმდევრობის რეალიზაცი-
ისათვის სვანურში.** ქართველურ მასალაში **სლ** თანმიმდევრობა იშვია-
თად დასტურდება. იგი თავს იჩენს ს.-ქართვ. **სლოკ-ინ-/-სლუკ-უნ-** ფუძე-
ში: ქართ. **სლოკ-ინ-** || **სლუკ-უნ-** : ზან. **შგკ-ინ** || **შიკ-ინ-** „სლოკინი“,
მეგრ. ფ-**შგკ-ინ-უნ-ქ** „ვსლოკინებ“, მ-ო-**შიკ-ინ-აფ-უნ-ან-ს** „მასლოკინებს“
ჭან. **შიკ-ინ-ი** „სლოკინი“, ა-**შიკ-ინ-ენ** „ასლოკინებს“ (არნ. ჩიქობავა). ქარ-
თულ-ზანურ ფუძეთა ანალიზი აჩვენებს, რომ ზანურში **ლ** დაკარგულია,
ხოლო ქართ. **ო/უ**-ს შესატყვისად **გ/ი** დასტურდება. ქართ. **ო/უ** : ზან. -
გ/ი გ. როგავას წესით აიხსნება, როგორც ლაბიალურ ხმოვანთა დელაბია-
ლიზაცია — **უ/ო** → **გ/ი**. ასე რომ, ამოსავალი ზანური შესატყვისი
სლოკ-ინ- ფუძისა ***შლუკ-ინ-** სახეობისა უნდა ყოფილიყო: **სლოკ-ინ-** :
***შლუკ-ინ-** → ***შუკ-ინ-** → **შგკ-ინ-** → || **შიკ-ინ-**. **ლ**-ს გაუჩინარებას ზა-
ნურში მოქმედი ფონოტაქტიკური შეზღუდვა უდევს საფუძვლად, რომ
ყოველი თანხმოვანი + სონანტი აკრძალულია და სუბერირდება ან სონან-
ტის გადასმით (სონანტი + თანხმოვანი), ან ანაბტიქსური ხმოვნის ჩართ-
ვით (თანხმოვანი + ვოკალი + სონანტი), ან სულაც, როგორც ჩვენს შე-
მთხვევაში, სონანტის ჩავარდნით. ზანურში აღწერილი თანხმოვანთმეგრ-
თების ეს წესი უძველესია და თითქმის უგამონაკლისოდ დღემდე მოქმე-
დება, შდრ. ქართ. **ძაღლ-ი** → ზან. (მეგრ.) **ძადილ-ი**, შობელ-**ძადილ-ი**
„მშობელ-ძალი“...

საერთოქართველურ **სლოკ-ინ-** ფუძეს სვანურში შესატყვისი ეძებნე-
ბა **შდგკ-უნ-** „სლოკინი“ ფორმის სახით. აქვე მიუთითებენ ფუძის ხმაბაძ-
ვითობაზე, ამიტომაც არ იძლევაო მკაფიო ბგერათშესატყვისობებს (გ.
კლიმოვი). სხვა ავტორები სიტყვის ექსპრესიულობას იზიარებენ და მითვე
ხსნიან **ლ**-ს რეფლექსების არ არსებობას მეგრულ-ჭანურში და **ო/უ** : **ი**
შეფარდებას ხმოვნებში; სვანურ **შდუკუნ-** || **შტუკუნ-** ფუძესთან მიმარ-
თება მათთვის არ არის ნათელი (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე).

ზანურ შესატყვისზე უკვე გვქონდა საუბარი, რაც შეეხება სვანურს
ს.-ქართვ. ***სლოკ-ინ-**ის შესატყვისად აქ დასტურდება **შდეკჷ-** || **შტეკჷ-**
ალომორფები: ლი-**შდეკჷ** ზს., ლშხ., ლი-**შტეკჷ** ლნტ. „სლოკინი“, ხ-
შდეკ-უნ-ე ზს., ხ-ა-**შდეკ-უნ-ე** ლშხ., ხ-**შტეკჷ-უნ-ე** ლნტ. „ასლოკინებს“,
რომელიც **შდოკ-** || **შტოკ-** უფრო ძველი ფორმებიდან მომდინარეობენ.
უცნაურია სვანური **შდ/შტ** ქართული **ს** (ს.-ქართვ. ***ს**) სიბილანტის შესა-
ტყვისად. როგორც ცნობილია, აქ ან **შ** იყო მოსალოდნელი ან იდენტური
ს (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. მაჭავარიანი...). ჩვენი აზრით,
სვანური **შდ** → || **შტ** ზუსტად ასახავს საერთოქართველურ **სლ** თანმიმ-
დევრობას. და თუ ზანურში ისტორიული **ლ** დაიკარგა **ს(→შ)**-ს მომდე-
ნოდ, სვანურში **სლ** გარდაიქმნა ჯერ **სდ**, ხოლო შემდგომ **შდ** || **შტ** ბგე-
რათკომპლექსად. რასაც მოქმედი ფონეტიკური წესი უდევს საფუძვლად:

რომ ყოველი საერთოქართველური *სლ ბგერათმომდევრობა სვანურში რეალიზდება სლ → შდ || შტ სახეობად.

ერთი ნასესხები სიტყვის ანალიზიც ცხადჰყოფს სლ → სდ გადასვლის რეალურობას სვანურში. მხედველობაშია პრისდ- || პირისდ- || პრისტ- || პირისტ- „მონათვლა“ ზმნა. — შდრ.: ლი-პრისდ-პლ ბზ., ლი-პრისდ-პლ ლშხ., ლი-პრისდ-პლ ბქ., ლი-პრისტ-პლ ლნტ. „ნათლობა“, ა-პრისდ-ე (ოხჷ-პირისდ) ბზ., ა-პრისდ-ი (ოხჷ-პირისდ) ბტ., ა-პრისდ-ე (ოხ-პრისდ) ლშხ., ა-პრისტ-ე (ახჷ-პირისტ) ლნტ. „ნათლავს“. ერთი შეხედვით, შეიძლება კაცმა იფიქროს პრისდ- || პრისტ- ფორმების ქრისტე-საგან მომდინარეობა ისევე, როგორც ქართული ქრისტენა „მირონ-ცხება (საბა)“ ზმნისა. ამგვარად ფიქრი ზედაპირულად გვეჩვენება. სინამდვილეში აქ უნდა ჩანდეს ქართულ-მეგრული (← ბერძნ.?) პირისელ-ი || პირგსელ-ი „ნათლია (кум)“ სიტყვა, რომლითაც ადვილად აიხსნება პირსდ- || პირისტ- სრულხმოვნისანი ალომორფების არსებობაც სვანურში, რომ არაფერი ვთქვათ სრულ ფორმალურ იგივეობაზე. ამრიგად, პირისელ- სახელს თავიდან პირისლ- || პრისლ- რედუქციული ფორმები უნდა მოეცა, საიდანაც სლ → სდ || სტ გადასვლით თანამედროვე პრისდ-||პირისდ- || პრისტ || პირისტ- ზმნური ფუძეები განვითარდა.

ჩვენს მიერ გამოვლენილ საერთოქართველური წარმოშობის სხვა მაგალითებშიც ნათლად მჟღავნდება სლ → სდ გადასვლა ისტორიულ სვანურში. ასეთია მაშდ „ნაღეწი მარცვლეულის ხვავი“ სიტყვა სვანურში. მაშდ ზუსტი შესატყვისია ქართული (resp. მოხეური) მარსლ-ი „დაფშვნილი თივის ხვავი“, „დაფშვნილი თივა (ო. ქაჯაია)“ სახელისა. ვარაუდით აუსლაუტური რშდ თანმომდევრობა გამარტივდა სვანურში — *მარშდ- → მაშდ- : ქართ. მარსლ-ი (ს.-ქართვ. *მარს-ლ-).

რშდ თანხმოვანთკომპლექსის კანონზომიერი გამარტივება ჩანს შემდეგ ქართველურ შეპირისპირებაშიც, სადაც სლ → სდ გარდაქმნა საცნაურია — სვან. ქშდ- ← ქარშდ-, მშ-ქშდ-უნ-ა ზს., მა-ქშდ-უნ-ა ლშხ. ←*მა-ქარშდ-უნ-ა „ლენცოფა“ : ქართ. (კახ.) ქარსლ-ა „სპარსული ღვარძლა (ა. მაყ.)“. გარდა მატერიალური ერთიანობისა ამ სიტყვებს აახლოებს სემანტიკური მხარეც: ლ ე ნ ც ო ფ ა ~ ღ ვ ა რ ძ ლ ა საერთო მოტივაციის ასახვაა. ბუნებრივია სვანურ მშ-ქშდ-უნა || მა-ქშდ-უნ-ა სიტყვაში მა- — -უნ-ა ცირკუმფიქსის გამონაწევრება. ამგვარ დერივაციას ეპარალელუბა მა-ყგ-უნ-ა || მა-ყჷგ-უნ-ა „კოდალა“ ლექსემა სვანურში. ამდენად ქართ. ქარსლ-: სვან. ქშდ- ←*ქარშდ- შეპირისპირება კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს საერთოქართველური სლ თანმომდევრობის შდ-დ ტრანსფორმაციას სვანურში (ს.-ქართვ. *ქარს-ლ-).

ისტორიულად სლ → სდ გადასვლა წინ უსწრებდა ს → შ პროცესს სვანურში, ე. ი. ჯერ სლ → სდ, ხოლო მომდევნო ეტაპზე სდ →

შდ||შტ. რატომ? — პასუხი ერთია: საერთოქართველური **შლ** თანმიმდევრობა არ იძლევა **შქდ** → **შგდ** || **შკდ** კომპლექსებს სვანურში, შდრ.: ქართ. **ვაშლ**-: სვან. **ჟისგჟ** || **ჟისკჟ**...

როგორც უკვე მივუთითებდით (იხ. აქვე, § 2), ს.-ქართვ. **ლ** → სვან. **ღ** დამახასიათებელი პროცესია ხმოვნის მომდევნო პოზიციაშიც, მაგრამ ამგვარ შემთხვევებში **ლ** → **ღ** სპორადულად იჩენს თავს და კანონზომიერებას არ ექვემდებარება. სხვა მდგომარეობაა **სლ** პოზიციაში, აქ ყველა ს.-ქართვ. **სლ** → სვან. **შღ** || **შტ**.

თავისი არსით **სლ** → **სღ** პროცესი პარალელურია **სნ** → **სღ** || **სტ** გარდაქმნისა სვანურში, შდრ. სვან. **ფუსნ** → || **ფუსღ** || **ფუსტ** „ბატონი“, **ნსნაჟ** || **ისნაჟ** → || **ჰისტამ** || **ისტამ** „სიზმარი“, **წუსნ** → **წუსღ** || **წუსტ** „წუწნა“ (←ქართ. **წუწნ**-)...

ტოპოლოგიურად ერთგვაროვანი ფონეტიკური პროცესები დასტურდება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებშიც, შდრ. **რლ** → **რღ** (ინგუშურში), **სნ** → **სთ** (ჩაჩნურ-ინგუშურში), **ლხ** → ***ღხ** → **თხ** (ბაცბურში).

§ 23. **შიშინა** → || **სისინა** **გადაბგერებისათვის სიბილანტებში**. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საერთოქართველურიდან მომდინარე სისინა სიბილანტებს ზანურსა და სვანურში შიშინა სიბილანტები შეესატყვისებინან. მიზეზად ამგვარი გარდაქმნისა აღიარებულია არტიკულაციის უკან გადაწევა, რასაც ზანურში ხმოვანთა ჩვენებაც ამაგრებს (არნ. ჩიქობავა):

ქართ.	←	ს.-ქართვ.	→	ზან.,	სვან.
ძ		*ძ		ჯ	ჯ → /ჟ
ც		*ც		ჩ	ჩ → /შ
წ		*წ		ჭ	ჭ → /წ
ზ		*ზ		ჟ	ჟ
ს		*ს		შ	შ

მაგრამ არაიშვიათია შემთხვევები, როცა ზანურსა და სვანურშიც ქართულისმაგვარი რეფლექსები დასტურდება. ამგვარი ფაქტები უნდა აიხსნას როგორც ბგერათშესატყვისობის დარღვევა, შდრ. ქართ. **წვეთ**- : ზან. **ჭვათ**- → || **წვათ**-, ქართ. **ცელ**- : ზან. **ჩალ**- → || **ცალ**- (გ. როგავა). ჩვენ ვეყრდნობით გ. როგავას ცნობილ დებულებას შიშინა სიბილანტთა მეორეული გასისინების შესახებ ზანურსა და სვანურში, რადგანაც ენაში ყოველთვის მოქმედებს ამა თუ იმ ფონეტიკური პროცესის საწინააღმდეგო ტენდენცია (ა. მეიე). წარმოვადგენთ დამატებით საილუსტრაციო მასალას ს.-ქართვ. **სისინა** → ზან., სვან. **შიშინა** → || **სისინა** სპონტანური პროცესის სასარგებლოდ: 1. **ძ** → **ჯ** → || **ძ**: ქართ. ნეძ „კაკალი“ : ზან.

ლა(ნ)ჯ-ი „იფანი, კობიტი“ : სვან. ნენზ || ← ნენძ ←*ნეჯ „სოჭი“; ქართ. ძამლ-ი : ზან. ძემურ-ი ←*ჯემურ-ი „ვირთავა“ : სვან. ჯინირ „ციყვი“; ქართ. ჯიჯლ-ი „ჩიტია ერთგვ.“ : ზან. ჯღირჯლ-უ : სვან. ძინძლ-უ ←*ჯინჯლ-უ „ნამგალა“ (ს.-ქართვ. *ძიძლ-); ქართ. ძინარ-ა-ე (მცენ.) : ზან. ჯინორ-ია (გვარი) : სვან. ძენერ-ა ←*ჯინერ-ა (ს.-ქართვ. *ძინ-არ-); ქართ. ჯიხვ-ი : ზან. ძიხვ-ი ←*ჯიხვ-ი (შდრ. ნასესხები სიტყვები — ქართ. ჯავ-არ-ი → ზან. ძავარ-ი, სვან. ძავტარ, ქართ. ჯიგარ-ი → ზან. ძავარ-ა...);

2. ც → ჩ → || ც : ქართ. ჩიკვი-ი : ზან. ჩხვირკ-ი : სვან. ცხჷკუ || ← ცხეკუ ←*ჩიკუ „ქორი“ (ს.-ქართვ. *ცხიკუ-). ქართ. ქურცხ-ი : ზან. ქვერჩხ-ი „ბუჩქი“, მაგრამ ქურცხ-ონ-ი ←*ქურჩხ-ონ-ი „ბუჩქნარი“ : სვან. ქეჩხ „სარეველა ბალახი“ (ს.-ქართვ. *ქურცხ-); ქართ. ცარ-/ცერ- „ცრა“ : ზან. ცირ-/ცორ- ← *ჩორ- : სვან. შირ- ←*ჩირ- „ფქვა“ (ს.-ქართვ. *ცარ-); ქართ. კცენ- : ზან. კაშ- ←*კაჩ- : სვან. კცენ-(ენ-) || კცენ-(ენ-) ←*კეჩ-(ენ-) (ს.-ქართვ. *კეცენ-(ენ-); ქართ. ცენდ-არ-ი : ზან. ცანდ- ←*ჩანდ- : სვან. ჩერთ ←*ჩენდ (ს.-ქართვ. *ცენდ-); ქართ. ქერცლ-ი : ზან. ქირცა || ქერცა ←*ქირჩა : სვან. ქარც ბქ. ← || ქარჩ ბზ. „ქერტლი“ (ს.-ქართვ. *ქერცლ-); ქართ. სხურკლ- ←*ცხურკლ- : ზან. ჩხირკ- || ჩხერკ- : სვან. ცხურკლ-ინ- ← *ჩხურკლ-ინ- „მოხრავა“ (ს.-ქართვ. *ცხურკლ-); ქართ. მსხვ-რ- ←*მაცხვ-რ- „მსხვრევა“ : ზან. ფუჩხ-ოლ-/ფუჩხ-ა : სვან. ფაცხ ბქ. || ← ფანჩხუ „ნამსხვრევი“ (ს.-ქართვ. *მაცხუ-); ქართ. სხურტ- ←*ცხურტ- „მოკაფვა“ : ზან. (მეგრ.) ცხონტ || ცხოტ- ← || ჭან. ჩხოტ- (ი. ყიფშიძე) : სვან. — (ს.-ქართვ. *ცხურტ-); ქართ. ცხ-, ცხ-რ-ო : ზან. ჩხურ-ი/უ : სვან. ცხ-, მც-ცხ-ა „სიცივე“, მც-ცხ-ი „ცივი“ ← [ჩხ-] (ს.-ქართვ. *ცხ-);

3. წ → ჭ → || წ : ქართ. მწყვილ-ი „საზარდული“ : ზან. წყურ-ი ←*ჭყურ-ი : სვან. ჭყონ „საზარდული“ (ს.-ქართვ. *წყუთილ-); ქართ. ბოწოწ-ო/ბუწუწ-ი : ზან. ბოწოწ-ი ←*ბოჭოჭ-ი „ხავსი“ : სვან. ბო-ჭოჭ „ყვავილი“ (ს.-ქართვ. *ბოწოწ-); ქართ. წვი-ი/წვივი-ი : ზან. წირღვი-ი ←*ჭიღვი-ი, შდრ. ქართ. (←ზან.) ჭიღვი-ი : სვან. ჯურღუ ←*ჭირღუ (ს.-ქართვ. *წიუ-); ქართ. წამ- „შეტყობინება“ : ზან. წუმ- ←*ჭუმ- : სვან. ჭაბ- ←*ჭამ- „შეტყობინება“ (ს.-ქართვ. *წამ-); ქართ. წენ-ი : ზან. წან-ა ←*ჭან-ა : სვან. ჳნ- (ლე-ჳნ-ა) ←*ჭენ- „გასულ წელს“ (ს.-ქართვ. *წენ-); ქართ. წყ-ენ- „წყენა“ : ზან. წკ-უნ- || წკ-უნ- ←*ჭყ-უნ-, შდრ. გურ. (←ზან.) ჭყ-უნ-ვა „მოწყენა, ტკივილი“ : სვან. ჭყარ- (ს.-ქართვ. *წყენ-); ქართ. წენ- „საწენური“ : ზან. ო-წინ-არ-ი (←*ჭინ-), შდრ. ქართ.

(← ზან.) ა-ჭინ-არ-ი „საკიდელი“ (საბა) : სვან. — (ს.-ქართვ. *წენ-); ქართ. წნებ-, სა-წნებ-ელ-ი : ზან. ო-ჭინახ-უ : სვან. წლიხ- || წილხ- ← *ჭინხ- (ს.-ქართვ. *წნებ-); ქართ. წუელ-ი : ზან. წვალ- || ჭოლ-ი ← *ჭვალ-ი, შდრ. იმერ. (← ზან.) ჭვალ-ო „წბილი, წველი“ : სვან. წუ-არ ← *ჭუ-ალ- (ს.-ქართვ. *წუელ-); ქართ. წურ-¹, წურ-წურ- : ზან. ჭურ-ჭულ- || ჭვარ- ჭვალ- : სვან. წურ- ← *ჭურ- „სითხის დენა“ (ს.-ქართვ. *წურ-); ქართ. წყურ-ტ-ი : ზან. წყერ-ტ-ი ← *ჭყურტ-ი, შდრ. ლეჩხ. (← ზან.) ჭყურ-ტ-ი, მა-ჭყურ-ტ-ია „წყურტი“ : სვან. — (ს.-ქართვ. *წყურ-ტ-); ქართ. კაწ-არ-ი : ზან. კოჭ-ი || კონჭ-ი : სვან. გაწ-რ ← კაწ-რ- ← *კაჭ-არ „წვივი“ (ს.-ქართვ. *კაწ-); ქართ. უ-წყ- : ზან. ო-რ-წყ- ← *ო-რ-ჭყ- : სვან. უ-შხ- ← *უ-შყ- (ს.-ქართვ. *უ-წყ-); ქართ. წუეთ- : ზან. წვათ- || ← ჭვათ- : სვან. უიდ- ← *ჭუიდ- ← *ჭუიდ- (ს.-ქართვ. *წუედ-); ქართ. წით-ელ- : ზან. ჭით-ა : სვან. წად-აჲ || ← წად-აჲ (მ. ქალღანი) ← *ჭიდ-ეჲ „წითელა“ (ს.-ქართვ. *წიდ-(ელ-)); ქართ. ჭიბ-ი : ზან. (მეგრ.) ჭიბ-ე, ჭან. წიბ-ა ← *ჭიბ-ა : სვან. — (წ.-ქართვ. *წიბ-); ქართ. წყალ-ი, სა-წყალ-ი, წყალ-ობ-ა : ზან. ჭყოლ-ოფ-ა „წყალობა“, შდრ. წყორ- ← ჭყოლ- „წყლით გაზავება“ : სვან. — (ს.-ქართვ. *წყ-ალ-); ქართ. წყინ-დ- : ზან. (ჭან.) ჭკინ-დ- || მეგრ. წყინ-დ- ← *ჭყინ-დ- : სვან. — (ს.-ქართვ. *წყინ-(დ)). 4. ს → შ → || ს (ზ → უ → || ზ) : ქართ. სიძე : ზან. სიჯა ← შიჯალ : სვან. ჩიჟე ← *შიჯე (ს.-ქართვ. *სი-ძე(ლ-)); ქართ. სირ-ი : ზან. სინდ-ი ← შინჯ-ი (შდრ. სვან. (← ზან.) წყარ-შინდ „იხვი“) : სვან. მგ-სირ ← *მგ-შირ „რო-ჭო“; ქართ. სამ-ი : ზან. სუმ-ი ← შუმ-ი (ე. ჩელები, რ. ერკერტი, ნ. მარი) : სვან. სემ-ი ← *შამ-ი; ქართ. თხის-ურ-ი : ზან. თხვას- || ← თხვაშ- : სვან. თხის-ჲ || ← თხიშჲ „ბუსუსი“; ქართ. სკ-ა : ზან. ფ-სქ-ა(ლ-) ← *ფ-შქ-ალ- : სვან. შგ-ერ- || შკ-ერ- „ფუტკრის ყრა“; ქართ. შიბ-ი : ზან. სქიბ-უ ← შქიბ-უ „წისქვილის ქვა“ : სვან. შგუაბ ← *შგიბ-ჲ „ქვის ურო“; ქართ. სთ(ვ)- : ზან. სთ- ← შთ- „წყდომა“ : სვან. შდ-გნ- || შტ-გნ- „დავიწყება ← მოწყდომა“; ქართ. სტე : ზან. ფ-სუა(ლ-) ← *შტალ- : სვან. ში || შუ ← *შუი „ხელი“ ← „ფრთა“ (ს.-ქართვ. *სტე(ლ-)); ქართ. სვრ-ე, სვრ-ელ-ი : ზან. სვარ- ← *შვარ- : სვან. შტარ „ჭრილობა“ (ს.-ქართვ. *სტერ-); ქართ. თეს-/თეს-ლ- : ზან. თას-/თას-ი ← *თაშ- : სვან. თაშ(ჲ-) ← *თეშ-ჲ (ს.-ქართვ. *თეს-(ლ)); ქართ. ასო : ზან. ოშე : სვან. ისჲ || ← იშჲ „რბილობი“; ქართ. სულ-(აც) : ზან. შურ-ო(თ) „სულაც, სრულიად“ : სვან. სურ-უ ← *შურ-ჲ „ძალიან, სრულიად“; ქართ. სვილ-(ა) : ზან. შელ-

(ებურ-ი) (←*შვილ-) : სვან. **სუღ-ა** ←*შტილ-ა „შვრია“; ქართ. ხაშარ-ი : ზან. ხოშქორ-ი, შდრ. სვან. (← ქართ.) ხანსარ || ← ხაშარ „თრთვილი“; სვან. ქუმ-ფაშ → || ქუმ-ფას, (შდრ. ქართ. ფაშე-ი) თუ სვან. ქუმფ-აშ/ს (შდრ. სვან. ქუმფ „ბუდე“)... ქართ. ზუთხ-ი : ზან. ზენტხ-ი/უ || ზინთხ-უ ←*ჟუთხ-ი, შდრ. აფხაზ. (← ზან.) ა-ჟენთხ-გ „ზუთხი“; ქართ. ზღველ-ა : ზან. **ზღვარ-ი**, **ზღვარ-ზღვალ-ი** ←*ჟღვალ- : სვან. ჟღერ ←*ჟღტელ...

ზემოთაღწერილი **შიშინა** → **სისინა** გადაბგერება სიბილანტებში იმაზე მიგვიჩვენებს, რომ ისტორიულად ქართ. **სისინა** : ზან. **სისინა** : სვან. **სისინა** შეფარდება უფრო ძველი ქართ. **სისინა** : ზან. **შიშინა** : სვან. **შიშინა** შესატყვისობიდან მომდინარეობს და არ საჭიროებს განსაკუთრებული, რიგით მესამე ე. წ. **სისინ-შიშინა** ლოკალური სიბილანტების პოსტულირებას საერთოქართველურ ფუძეენაში (შდრ. გ. მაჭავარიანი, საერთოქართველური კონსონანტური სისტემა, თბ. 1965, გვ. 28, 29).

§ 24. ს.-ქართვ. **ძ ც წ ს** → **ძგ ცქ წკ სქ პროცესისათვის სვანურსა და ზანურში**. ნაშრომის შესავალ ნაწილში აღვნიშნავდით, რომ არტიკულაციის უკან გადაწევა სვანურსა და ზანურში გარდა **სისინა** → **შიშინა** გადაბგერებისა მიიღწეოდა უკანაენისმიერთა განვითარებით **სისინა** სიბილანტთა მომდევნო პოზიციაში. მართალია, ამგვარი გარდაქმნა ძირითადად პერიფერიულ ლექსიკას მოიცავს, და არცთუ ისე ხშირია, მაგრამ მისი გაუთვალისწინებლობაც არ იქნება. როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი იძლევა გასაღებს ზოგი ანომალური შეფარდებისა ქართველურ ენებში (ქართ. **ც** : სვან. **ქ**).

§ 25. ს.-ქართვ. **ს** → ქართ. **ს** : ზან. **სქ** : სვან **სგ/სკ** ←***სქ**.

(1) სვან. **სგიმ** || **სკიმ** „ვეძა, მჟავე წყალი“ : ქართ. (ხევს.) სიმ-ურ-ი „მღვრიე წყალი“ : ზან. **სქურ-ი** „წყაროსწყალი, მჟავე წყალი“

(2) სვან. **ყტასგ-** || **ყტასკ-**, **მუ-ყტსგ-ი** || **მუ-ყტსკ-ი** „დაუპატიჟებელი სტუმარი“ : ქართ. **ყვას-**, **მო-ყვას-ი** : ზან. —.

(3) სვან. **სგურ** || **სგტირ** ← **სგირ-ტ** „ქსოვილი (კანაფის ძაფის)“ : ქართ. **სერ-ა** „ქოთნის პირის მოსაკრავი“ || **სირ-ა** (საბა) : ზან. —.

(4) სვან. **ნესგ** (კუბან-ნესგ) „გოგრა, კვახი“ : ქართ. **ნესე-ი** : ზან. —.

(5) სვან. — : ქართ. **პრას-ა/ი** : ზან. **პროსქ-ია** || **პურასქ-ია** || **პოროსქ-ია** „პრასა“.

(6) სვან. — : ქართ. **რისუე-** „რისვა; რისვი“ : ზან. **რისქონ-** „ლოღნა, კრეჭა“.

(7) სვან. **სგოჯ-** : ქართ. **საჯ-** : ზან. **ზოგ-** ←***სქოჯ-**.

§ 26. ს.-ქართვ. **წ** → ქართ. **წ** : ზან. **წკ** : სვან. **წკ** → || **სკ**.

(1) სვან. **მგ-სკაღ** || **მგ-სკად** ← **მგ-წკედ** „ბეჭედი“ : ქართ. **წინდ-ი**, **მ-წინდ-ი**, **ღასა-წინდ-ი** : ზან. **მა-(რ)წკინდ-ი** „ბეჭედი“.

(2) სვან. **წკჳრ-ა** || **წკჳერ-ა** „გაბზარვა“ : ქართ. **წერ-**, **გა-წერ-ა** „გაიბზარა“ : ზან. **წწკჳერ-** || **წკჳირ-**, **ი-წკჳირ-ჟ(წ)** „იბზარება“.

(3) სვან. **წკჳნტ** → || **სკანტ** „წვრილი“ : ქართ. **წვტი-** „წვრილი“ : ზან. **წკჳინტ-ალ-** „წვრილა“.

(4) სვან. **სკარ-ჟ**, **ლა-სკარ** || **ლა-სკჳრ** ←***წკარ** „რიგი, ერთობლივი დღესასწაული“ : ქართ. **წარ-** „წესი, რიგი“ : ზან. —.

(5) სვან. **სკგდგლ** || **სკენდგლ** ←***წკუნდილ** „ცინგლი“ : ქართ. **წვინტლ-** : ზან. **წკენტილ-** „ცინგლი“.

(6) სვან. **სკგრ-ე** || **სკგრ-** ←***წკგრ-** „წვრილი“ : ქართ. **წვნ-იკ-** „წვრილი“ : ზან. —.

(7) სვან. **ძგებ** ←***წკებ** „წახნაგი“ : ქართ. **წობ-** : ზან. **ძგობ-** || ← **წკობ-** „წვერი, წახნაგი, ძგიდე“.

(8) სვან. **წკჳლ** „მაშა“ : ქართ. **წალ-**, **წალ-დ-** : ზან. **წკილ-** || **მ-წკილ-** ←***წკოლ-** „მანთი; საჭრეთელი კბილი“.

(9) სვან. — : ქართ. **რწმოლ-** „ჭოტი, ბუ“ : ზან. **რწკომ-** „ჭოტი, ბუ“.

§ 27. ს.-ქართვ. **ძ** → ქართ. **ძ** : ზან. **ძგ** : სვან. **ძგ** → || **სგ/სკ**.

(1) სვან. **ღოსგ** || **ღოსკ** (შდრ. **ზ.-რაჭ. ღოსკ-**) ←***ღჳაძგ** „ღიმი“ : ქართ. **ღვარძლ-** **ი/ა** : ზან. **ღვანძგირ-** „ღვარძლა“.

(2) სვან. — : ქართ. **ძაბ-** „ძაბვა“, **ძაფ-** : ზან. **ძგუფ** || **ძგიფ-** „ჭიმვა“.

(3) სვან. — : ქართ. **ძრ-**, **ნა-ძრ-** **ე-ვით** „გაკვირვებით“ : ზან. **ძგვირ-**, **ძგვირ-ინ-** **ე-ვით** „გაკვირვებით“, **გუ-გ-ო-ძგვირ-ინ-ჟ-ან-ქ** „გაკვირვებ“.

§ 28. ს.-ქართვ. **ც** → ქართ. **ც** : ზან. **ცქ/ჩ** : სვან. **სგ** ←***ცქ**.

(1) სვან. **ცქერ** „ფალარათი“ : ქართ. **ჩორ-** ←***ცორ-** „მ-ჩორ-ე“ : ზან. **ცქერ-** || **ცქირ-** „გაფალარათება“.

(2) სვან. — : ქართ. **ცმორ-** || **ციმორ-** **ი/ა** : ზან. **ცქიმურ-** „თევზის სახეობა“.

(3) სვან. **წასგ** || **წასკ** ← **წაცქ** „ჭალარა“ : ქართ. **მ-წცე** : ზან. **ჩჩ-ე** || **ქჩ-ე** → **ჩჩ-ე** „თეთრი“.

(4) სვან. **ტყჳესგ-** || **ტყჳესკ-** ←***ტყჳეცქ**, **ხ-ე-ტყჳესკ-** **ენ-** „ნაბერ-წკალი უვარდება“, **ა-მ-ტყჳესგ** || **ა-მ-ტყჳესკ** „ნაბერწკალი, ვარსკვლავი“, **მჟ-ტყჳესკ/გ** „ვარსკვლავი“ : ქართ. **ტყვც-** **ი-ალ-** : ზან. **ტყვაც-** ←***ტყვაჩ-** „ჭეჭა“, **ტყვაც-** **უნ-ს** „ჭეჭს, ტყვცილებს“.

(5) სვან. **ტყერსგ-** **ნ-ჳ** || **ტყერსგ-** **ნ-ჳ** ←***ტყერცქ-** **ნ-ჳ-ჳ** „ტკაცუნა“ : ქართ. **ტკრც-** **ი-ალ-**, **ტკაც-** **ან-** **ი/-უნ-** : ზან. **ტკვარჩ-** **ალ-** ←***ტკორჩ-** **ალ-** „კრიახი“.

ზემოთაღწერილი ბგერათფარდობის (ქართ. **ც** : ზან. **ჩ** : სვან. **ცქ** (***წაცქ** : **მ-წცე** : **ქჩ-ე/ჩჩ-ე...**)) შემდგომ ტრანსფორმაციად გვესახება ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკიდან ცნობილი შესატყვისობა

ქართ. ც : ზან. ჩ : სვან. ქ (ცრემლ- : ჩილამურ- : ქიმრ; უ-ცებ-ი, უ-ცბ-ად : უ-ქბ-ად „მალულად, უნებლიედ“...). კერძოდ, სავარაუდოა ცქ → ქ პროცესი სვანურში. ამგვარი გარდაქმნის საფუძველიც ცხადია, ცქ- ისტორიული კომპლექსის გამარტივება შესაძლებელი ხდება ც → ჰ სპორადული ცვალების წყალობით (შდრ. ქართ. მ-ცირ-ე : სვან. მა-ჰტრ-ენ-ე, ქართ. ცალ-ე : სვან. ჰარ-ი (ვ. თოფურია)). როგორც ეტყობა, სიტყვათა ერთ რიგში მოქმედი ც → ჰ სპორადული პროცესი ქს წინა პოზიციაში ბოლომდე იქნა გატარებული — ცქ → ჰქ → ქ. სწორედ ამით აიხსნება ქართ. ც : სვან. ქ. თორემ ენის სისტემურობის პრინციპიდან თუ ამოვალთ, ქართ. ც : სვან. ქ შეფარდების გვერდით უნდა გვქონოდა ქართ. ძ : სვან. გ, ქართ. წ : სვან. კ. მსგავსი ოპოზიცია არ არის გამოვლენილი. რატომ? — პასუხი ერთია : ძგ → გ, წკ → კ გადასვლები სვანურში არ განხორციელდა იმიტომ, რომ ენაში არ არსებობდა სათანადო ფონეტიკური პროცესები: ძ → ჰ → Ø, წ → ჰ → Ø. ამავე მიზეზით დარჩა ხელუხლებელი ზემოთაღწერილი სხვა შეფარდებები ქართ. ძ : სვან. ძგ, ქართ. წ : სვან. წკ¹.

§ 29. უკანენისმიერთა დაკარგვის შემთხვევები თანხმოდან-კომპლექსებში. მას შემდეგ, რაც განხორციელდა ს.-ქართვ. ჯ ჩ ჰ შ შიშინა სიბილანტთა გარდაქმნა ჯგ ჩქ ჰკ შექ კომპლექსებად ზანურსა და სვანურში არტიკულაციის უკან გადაწევის გამო, შეინიშნება უკუპროცესიც, კერძოდ, ფონეტიკურ ნიადაგზე იკარგება მეორე წვერი კომპლექსისა (გ, ქ, კ) — შდრ.: სვან. ფუხულ ბზ. || ფგსგლ ბქ. : ქართ. ბურძგლ-ი : ზან. ბუძგურ-ია; სვან. სედ- || სიდ- : ქართ. შთ-ენ-ა : ზან. სქიდ- || სქულ-, სვან. სედ- ← *სგედ- ← *შქედ-; სვან. სერ-/ს-რ-, ლი-ს-ერ-ე „ჯობნა“ : ქართ. ჯობ- ← *ჯგ-ებ- „ჯობნა“ : ზან. ჯგ- || ჯგვ- „ჯობნა“, სვან. ს-ერ- ← სგ-ერ- ← *ჯგ-ერ-, შდრ. სვან. რე-სგტ- || რე-სკტ- „მორევა, ცემა“ (იხ. აქვე); სვან. მგ-ლღიჯ || მგ-ღიჯგ ← მგ-ღღიჯგ- „კბილებდაკრეჭილი“: ქართ. ღრეჯ-/ღრიჯ- : ზან. ღინჯგ- || ღვინჯგ-; სვან. წაბ-ტ „სამართებელი“, წაბ-ტ-ირ- „ბარსვა“ : ქართ. წიბ-ო : ზან. ბიწკ-ი ← წკიბ-ი „წვერი (ფეხის)“, სვან. წაბ-ტ- ← *წკიბ-ტ-; სვან. წად- || წად- || წედ-, ხ-ე-წად „ხედავს, უყურებს“ : ქართ. — : ზან. წკედ- || წკიდ-, ქიგიბ-წკიდ-ი „შემოვიხედე“, სვან. წად- ← *წკად-; სვან. ფაშგტ- ← *ფაჩქტ- „ფერება“ : ქართ. ფაჩუნ-ი ← *ფაჩგ-ინ-ი : ზან. ფუჩონ-ი ← *ფუჩქგ-ინ-ი „ფერება“; სვან. ფეშგ/კ ← *ფეჩქ- „გახსნა“ : ქართ. ფჩ-ენ-/ფჩ-ინ- „დაფჩენა“ : ზან. ფაჩ- ← *ფაჩქ- „გახსნა, გაგანიერება“, შდრ. იმერ. (← ზან.) ფაჩქ-ვა „გაგანიერება“; სვან.

¹ აღრე ვარაუდობდნენ ქართ. ბრძ-ოლ-ა : სვან. ბერგ-/ზორგ- „ჭილაობა“ საერთობას, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ქართ. ბრძ- || ← ბორძ- ძირს უკავშირდება ზან. ბურჯ- : სვან. ბურჯ- „რქენა“ (იხ. აქვე).

ჭკჭკ ← *ჭიჭკ- „პატარა ჩიტი“ : ქართ. წიწკ-ან-ა : ზან. ჰინჭკ-ა ← ჰინჭკკ-ა „ლობემძვრალა“; სვან. — : ქართ. ბაჭკა : ზან. ბაჭა ← ბაჭკა „ტკიპა“...

კომპლექსებში უკანაენისმიერთა დაკარგვა-გაუჩინარების შესაძლებლობაზე სათანადოდ უნდა გამახვილდეს ყურადღება ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების დროს. მას გარკვეული წვლილი მიუძღვის გრძელი ხმოვნების წარმომობაშიც სვანურში. ამას გვაფიქრებინებს ლაშხური დიალექტის ჩვენებაც, სადაც შედარებით ხშირია უკანაენისმიერ თანხმოვანთა გაუჩინარება, ხოლო გრძელი ხმოვნები უკეთ არის დაცული. ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვს. საზოგადოდ თანხმოვნებში დაწყებულმა პროცესებმა **ჭ** → **ჰ** → **Ø**, **ც** → **ჰ** → **Ø**, **ჭ** → **ჰ/ღ** → **Ø**... სვანურში საკომპენსაციოდ ხმოვანთა დაგრძელება გამოიწვიეს. სწორედ თანხმოვნებში მიმდინარე ფონეტიკურ პროცესებში უნდა ვეძიოთ ხმოვანთა სიგრძის წყარო სვანურში. ტიპოლოგიურად ანალოგიური ვითარებაა ნახურ ენებშიც, სადაც თანხმოვანკომპლექსებში ლაბიალიზაციის მოშლამ ხმოვანთა სიგრძეში იჩინა თავი.

§ 30. **ს.-ქართვ. სთ, თ ქართველურ ენებში.** ა) საერთოქართველური **სთ** კომპლექსი სვანურში წარმოდგენილია **შდ/შტ** ← **შთ** რეფლექსის სახით: სვან. ჰანშდჰჰჰ/ჰანშდჰჰჰ ზს., აშდჰჰჰ ლშზ., აშტჰჰჰ ლნტ. ← ***შთაჰჰ** — „ხელიკი“ : ქართ. ასთაჰჰ-ი, ს.-ქართვ. ***ა-სთაჰჰ**; სვან. **შდიმ** || **შტიმ** ← ***შთუმ**- „ყური“ : ქართ. **სთუმ**-, სა-**სთუმ**-ალ-ი : ზან. ო-**რთუმ**-ელ-ი, ს.-ქართვ. ***სთუმ**- (ე. ოსიძე); სვან. **შდ-გნ**- || **შტ-გნ**- ← ***შთ**-უნ- „დავიწყება“ ← ეტ. „წყდომა“ : ქართ. **სთ-უგნ**- (მო-**სთ-უგნ**-ი-ს), **სთ-უგნ**-ელ-ი → || **სთ-უგნ**-ელ-ი || **რთ-გნ**-ელ-ი : ზან. **სთ**-, მა-**სთ-გნ**-ა-ს „მოწყდეს“, მე-**სთ-უ** „მოწყდა“, ს.-ქართვ. ***სთ-უგნ**-; სვანურში ერთმანეთს ემთხვევა ს.-ქართვ. **სთ** და **სტ** კომპლექსთა რეფლექსები, შდრ.: სვან. ნე-**შტ**-რ-აღ || ნე-**შდ**-რ-აღ pluralia tantum „ნესტოები“ : ქართ. ნე-**სტუ**, ნე-**სტ**-ო : ზან. მი-**შვიტ**-ია „ცხვირი“; სვან. **შდარჰ**-, ხ-**ა-შდარჰ**-ე ← ***ხ-ა-შდარჰ**-ე „აბრალებს“ : ქართ. **სტრან**-, მო-**სტრან**-გ-ა „დაბეზღება“ (ს.-ქართვ. ნე-**სტ**-უ, **სტრ**-ან-).

განსხვავებულია **სთ** კომპლექსის რეფლექსები ზანურში. ჰანურ დიალექტში **სთ** იდენტურ ეკვივალენტს აჩვენებს, სავარაუდოა ს.-ქართვ. **სთ** → **შთ** → **სთ** პროცესი ჰანურისთვის. მეგრულ დიალექტში არაიშვიათად ს.-ქართვ. **სთ** რეალიზებულია **შთ** შიშინა სახეობით, თუმცა ქართულის-მაგვარი **რთ** (← **შთ/სთ**) ალტერნაციაც საგრძნობია. ეს უკანასკნელი მიღებული ჩანს ქართულთან ადაპტაციის გზით. იქ, სადაც ფორმალურ-სემანტიკური სიახლოვე საგრძნობი არ არის (ძირითადად სახელებში), მეგრული საკუთარ **შთ** რეფლექსს ავლენს, ხოლო სადაც იგივეობას ვაწყდებით, თავს იჩენს ქართულის ტიპის **რთ** კომპლექსი (ზმნებში) — შდრ. ყველაფერი ზემოთქმულისთვის ზანური სათანადო მასალა: ქართ. **რთ**-, **ე-რთ**-ობ-ა, **გა-რთ**-ობ-ა : სვან. **შდ**-ერ-, **შდ**-აბ- „გართობა, თამაში, შექცევა,

მუშაობა“ : ჭან. **სთ**-ერ-, **ო-სთ**-ერ-უ „თამაში“, მეგრ. **რთ**-, **ე-რთ**-უ-ან-ს „ართობს“, **ო-რთ**-უ „აკეთებს, მუშაობს“, ს.-ქართვ. ***სთ**- „თამაში, შექცევა, მუშაობა“; ქართ. **სთ**-უგ-ნ-, **სთ**-უგ-ელ- || **სთ**-უ-ელ- : სვან. **შდ-გნ-/შტ-გნ** : ჭან. **სთ**-, **სთ**-ვ-, მე-**სთ**-უ, მეგრ. —; ქართ. ნე-**სტ**-არ-ი : სვან. — : ჭან. —, მეგრ. ნე-**შთ**-ერ-ი, ს.-ქართვ. *ნე-**სთ**-არ (შდრ. სვან. **შდ/ტ-გკ**-(?) „ჩხვლეტა“); ქართ. ქო**სტ**-ი ←*ქვე**სტ**-ი „ციკანი“ : სვან. — : ჭან. —, მეგრ. ქვა**შთ**-ი „ახალგაზრდა ცხვარი“, ს.-ქართვ. *ქტე**სთ**-; შდრ. აგრეთვე მეგრ. **ო-რთ**უმ-ელ-ი : ქართ. სა-**სთ**უმ-ალ-ი (იხ. ზევით)...

ბ) ს.-ქართვ. **სთ** კომპლექსისა და ს.-ქართვ. **თ** ბგერის სვანური შესატყვისები ერთმანეთს ემთხვევა. ცნობილია ქართ. **თ** : ზან. **თ** : სვან.

შდ/შტ ←***შთ** (მ. ჯანაშვილი, ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. როგავა, გ. მაჭავარიანი) შესატყვისობა, შდრ.: სვან. **ჟეშდ** || **ჟეშტ** ←***ჟაშთ** „ათი“ : ქართ. **ათ**-ი : ზან. **ვით**-ი ←***ოთ**-ი; სვან. **დშდჟ** || **დშტჟ** ←***დაშთჟ** „დათვი“ : ქართ. **დათვ**-ი : ზან. **თუთ**-ი || **თუნთ**-ი ←***ლოთვ**-ი; სვან. **შდჟუტ** || **შტჟუტ** ←***შთაგტ** „თაგვი“ : ქართ. **თაგვ**-ი : ზან. **მ-თუგ**-ი ←***თოგვ**-ი; სვან. **შდჟუტე** || **შტჟუტე** ←***შთოტე** „თოვს“ : ქართ. **თოვ**-ს, **თოვ**-ლ-ი : ზან. **თუ**-ალ-ა „თოვა“, **თ**-ირ-ი || **თვ**-ირ-ი „თოვლი“, ს.-ქართვ. ***თ**-ოტ-, ***თ**-ოტ-ლ..., სვან. **შთხარ**- „თხრა“ : ქართ. **თხარ**- : ზან. (ნ)**თხორ**-, ს.-ქართვ. ***თხ**-არ-; სვან. **შდხ** || **შტხ** ←***შთხიტ** ←***შთხილ**- „თხილი“ : ქართ. **თხილ**-ი : ზან. **თხირ**-ი, ს.-ქართვ. ***თხ**-ილ-; სვან. **ჟოშთხტ** || **ჟოშთხტ** ←***ოშთხო** „ოთხი“ : ქართ. **ოთხ**-ი || **ოთხო** : ზან. **ოთხ**-ი || **ოთხო** || **ოთხუ**, ს.-ქართვ. ***ო**-**თხ**-**ო**...

გალრმავებული ეტიმოლოგიური კვლევისას ირკვევა, რომ საერთო-ქართველური **თ** ძირიანი სიტყვების ერთ ნაწილში სვანური შესატყვისად ხან **თ**-ს წარმოაჩენს, ხანაც — **შთ**- → **შდ** || **შტ** ალოფონებს. მხედველობაშია საერთო ძირის სხვადასხვა დერივატები, შდრ.: სვან. **ლუ-ნთ** || **ლი-ნთ**-ჟ ←***ლუ-თ** „ზამთარი“ ← ეტ. „თოვლიანი“ (**ლუ**- ქონების აღმნიშვნელი პრეფიქსია: მუჟ „რქა“ — **ლუ**-მუჟ „რქიანი“, ჭტემ „ტარი“ — **ლუ**-ჭტემ „ტარიანი“...): ქართ. **თ**-, **მ-თ**-არ-ი, **ზა-მ-თ**-არ-ი (ეტ. დრო, წელი (**ზა**-) თოვლიანი (**მ-თ**-არ-ი)) : ზან. **თ**-, **თ-ონჯ**- ←***თ-ოჯ**-, **ზო-თ-ონჯ**-ი „ზამთარი“, ს.-ქართვ. **თ**-. სახელური ს.-ქართვ. **თ**- „თოვლი“ ძირი საერთოა ზმნურ ***თ**-ოტ- „თოვა“ ფუძესთან (იხ. ზევით). გამოდის, რომ სახელური ძირის შესატყვისად სვანურმა იდენტური **თ** მოგვცა, ხოლო ზმნური ს.-ქართვ. ***თ**-ოტ-ის შემთხვევაში **შთ** → **შდ/შტ** — **შდ/ტუტე** „თოვა“. როგორც ქვემოთ დავინახავთ, **თ** — **შთ** შესატყვისითა განაწილებაში ფუძის ზმნურობა/სახელურობა არავითარ როლს არ თამაშობს; სვან. **თერ**- ←***თტერ** „თვალი“, შდრ. სვან. **ა-თეტრ**-ალ-ი ←***ა-თტერ**-ალ-ი „ათვალიერებს“ : ქართ. **თვალ**-ი, **ა-თვალ**-იერ-ებ-ს : ზან. **თოლ**-ი, **ნა-თოლ**-ე/ი

„განათვალა“, ს.-ქართვ. ***თჷლ-**, მაგრამ სვან. ***შდოლ-** → **შოლდ-** || **შგლდ-** || **შელდ-**, ი-**შგლდ-ან-ი** || ი-**შელდ-ან-ი** „ითვლის“, **შელდ** „რიცხვი, სათვალავი“, უ-**შდილ** „მალულად“ ← ეტ. „დაუთვლელად, უთვალოდ“ : ქართ. **თვალ-/თვლ-**, ი-**თვლ-ი-ს**, მი-ი-**თვალ-ა**, ნა-**თვალ-ი** : ზან. **თვალ-**, **თვალ-უნ-ს** „ითვლის, თვლის“, გი-ო-**თვალ-ან-ს** „მოითვლის“; სვან. **თურ-** || **თრ-** || **თ-უნ** || **თ-ნ-**, ლი-**თრ-ე** „სმა“ : ქართ. **თ-რ-/თრ-ე-რ-**, და-ვ-**თვ-ერ** : ზან. რ**თ-ომ-** ← ***თრ-ომ-**, ო-რ**თ-ომ-ელ-ი** ← ***ო-თრ-ომ-ელ-ი** „სასმისი“, მაგრამ სვან. **შდ-გმ-**, ი-**შდ-მ-ი** „თვრება“, მგ-**შდ-მ-ე** „მთვრალი“ : ქართ. მ-**თვრ-ალ-ი** : ზან. — (შდრ. მე-(რ)**თ-ამ-ებ-ულ-ი** „უსიცოცხლო“); სვან. **თჷე** || **თჷ** || **თოჷ** ← ***დთჷე** „თვე“ : ქართ. თვთ-ე, **თთჷ-ე** : ზან. **თჷთ-ა** ← **დჷთ-ა** „თვე, მთვარე“, შდრ. სვან. დო**შდ-ულ** ← ***დჷეშდ-ულ** „მთვარე“.

ზემოთაღწერილ შეპირისპირებებში ნათლად ჩანს **თ** ბგერის შესატყვისთა არასტაბილურობა. სვანური ერთსა და იმავე ძირეულ მასალაში ხან **თ-ს** გამოაჩენს, ხანაც — **შთ** → **შდ/შტ** კომპლექსებს. რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ **თ** → || **შთ** ფონეტიკური პროცესი რეალურია სვანურში. ტიპოლოგიურად მსგავსი გარდაქმნა თავს იჩენს ქართულშიც, შდრ. ტ-ენ-ი, ნო-ტ-იო, მაგრამ ნე-სტ-ი ← ***ნე-ტ-ი**; ოფ-ი/ა (მცენ.), მაგრამ ოსპ-ი ← ოსფ-ი, პილო → სპილო, ნი-კარტ-ი → ნი-სკარტ-ი, ფოთ-ი → **შფოთ-ი**, პილენძ-ი → სპილენძ-ი... ასევე **თ** → **შთ** ისტორიულ სვანურში, მხოლოდ ამგვარ გარდაქმნაზე მსჯელობისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, ყოველი **თ** — **შთ** მიმართებისთვის აუცილებელია საკითხის საგანგებოდ შესწავლა კონკრეტულ მაგალითზე მითითებით.

შეიძლება შემოგვედავონ : ს.-ქართვ. **თ** → სვან. **თ** შესატყვისობის შემთხვევაში ქართულიდან სესხებასთან გვაქვსო საქმე. ვუბასუხებთ: ამგვარი ფიქრი ხელს უშლის პრობლემის გაღრმავებულ შესწავლას, და საკითხის მარტივ გადაწყვეტად გვეჩვენება.

გ) თავად **შდ/შტ** კომპლექსზე კი უნდა შევნიშნოთ, რომ იგი გარკვეულ ფონეტიკურ გარდაქმნებს ექვემდებარება; მხედველობაშია **შდ** კომპლექსის **დ** წევრის ლაბილურობა. შენიშნული გვაქვს მისი (**დ**) საურთიერთო სუბსტიტუცია **გ**-სთან ერთი ძირის ფარგლებში, შდრ.: სვან.

შგურდ- ← ***შდურგ-**, ი-**შგურდ-ენ-ი** ← ი-**შდურგ-ენ-ი** „იზელს (ცომს)“ : ქართ. **თრგ-უნ-**, **თრგ-უნ-ავ-ს** „სრეხს (საბა)“; შდრ. საპირისპირო პროცესიც სვანურიდან: **გ** — **დ** → **დ** — **გ**, სვან. **სდჷგ-ჷ** „ნაწნავი“, **სგჷდ-** „წვანა“ ← ***სგჷდ-ჷ**, ***სგჷდ-** : ქართ. **შულ-**, **შულ-ო...** **შდ** კომპლექსი შეიძლება გამარტივდეს **დ-ს** დაკარგვის ან დისტანციური მეტათეზისის ხარჯზე: სვან. **შიხუნდ** || **შიხუნდ** || **შიხუნლ** ← ***შდიხუნ** „ძლოკვი, ანკარა“ : ქართ. **თხუნ-ელ-ა** (შდრ. ს.-ქართვ. **თხ-არ-** „თხრა“); **შოლდ-** || **შგლდ-** || **შელდ-** || **შდილ-** ← ***შდოლ-** „დათვლა, რიცხვი“, მჷ-**შოლდ-ან-ი** ← ***მჷშ-**

დოლ-ან-ი „დამთვლელი“ : ქართ. თვალ-, და-თვალ-ა (იხ. ზევით); ხშირია **შდ/შტ** კომპლექსის გათიშვის შემთხვევები **ჟ** ბილაბიალური ფრიკატივის მეშვეობით: სვან. მუ-ფშედ-ე ← მუ-ფჟედ-ე ზს., მუ-ფშედ-ი ← მუ-ფჟედ-ი ლშ., შდრ. მგ-ფეშტჟ-ე ლტ. „გამკრეჭი“, ფეშდ(ჟ)- „კრეჭა“ : ქართ. ფეთ-ფით- „ჭრა“, ა-ფთ-ი „იარალი“ ← ეტ. „საჭრელი“; სვან. ლი-ფშედ-ე ზს., ლშ., ლი-ფშეტ-ე ლტ. ← ლი-ფჟეთ-ე „გაშვება, აშვება“, მუ-ფშედ-ე ← მუ-ფჟედ-ე „გამშვები“, შდრ.: ფიშედ-ე || ← ფჟედ-ე ზს., ფჟედ-ე ლშ., ფიშტჟ-ე ← *ფჟეთ-ე ლტ. „უშვებს“ : ქართ. ფოთ-, ფოთ-ე „მოშვებადაც ითქმის... ანუ დაჯსნილად (საბა)“, და-ფოთ-ებ-ულ-ი „მოშვებული“, და-ფჟთ-ებ-ა „მოშვება“... მსგავსი პროცესები დასტურდება **სდ** (← **სნ, შთ**) კომპლექსიან სვანურ სიტყვებშიც : სვან. აფსსდ || აფსსთ || აფსნდ || აფსათ „გარეულ ნადირთა ღმერთი“ : ქართ. აფთარ-ი : ზან. ანთარ-ი || ანატორ-ი || ობინტრ-ე ← *ოფთორ-ი, სვან. *აფშთას → აფშასდ → აფსასდ || აფსნდ; სვან. ფუსდ || ფუსტ „მეუფე, ბატონი, მე-საკუთრე“, ფუსდ-ჰ || ფუსდ-ჰ || ფუსტ-ჰ „საუფლო“, შდრ. ლაშხ. ფუსსნ ← აღიდ. ფსგ(ნ) „აზნაური“; ფუსდ → ფსუდ- ზმნურ ფორმებში: ხ-ა-ფსუდ-ა ბქ., ხ-ა-ფსტჟ-ა ლტ. „დაბატონებულია“, ხ-ე-ფსუდ-ი (ეს-ფუსდ-ნ-ი) ზს., ლშ., ხ-ე-ფსტჟ-ი „ეპატრონება“...

§ 31. **საერთოქართველური ჭ || წკ- შესატყვისები სვანურში.** შესატყვისობა ქართ. **ჭ** : სვან. **ჭკ** : ზან. **ჭკ** კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურიდან (ნ. მარი, ვ. თოფურია, გ. როგავა, გ. მაჭავარიანი...). **ჭკ** კომპლექსის შემდგომ მოდიფიკაციად მიჩნეულია **შკ** ალოფონიანი სახეობები შემდეგ სიტყვებში — სვან. **შკ**დ-/**შკ**იდ- ← ***ჭკ**ედ- : ქართ. **ჭედ-** : ზან. **ჭკად-**; სვან. მგრ**შკ** ← *ბინ**ჭკ**ჟ- : ქართ. ჯინჭვ-ელ-ი ← *დინ**ჭკ**-ელ-ი, ბინ**ჭკ**-ელ-ი „ჭიანჭველა“ : ზან. დიმ**ჭკ**ჟ ← დინ**ჭკ**ჟ. დასახელებულ ნიმუშებში **ჭ** → **შ** პროცესი კანონზომიერად ასახავს სიბილანტ ფრიკატთა დეზაფრიკატიზაციის საერთო ტენდენციას სვანურში, შდრ. ს.-ქართვ. **ძ ც წ** → სვან. ***ჯ ჩ ჭ** → **ჟ შ ჰ** (ვ. თოფურია, გ. როგავა, გ. მაჭავარიანი, კ. შმიდტი...).

ადრე ცნობილ მაგალითებს უნდა დამატოს ჩვენ მიერ გამოვლენილი შესატყვისები სვანურიდან, სადაც **ჭკ** → **შკ** პროცესის რეალურობა უფრო დამაჯერებლად გამოჩნდება — სვან. **შკ**უნთ-, ი-**შკ**უნთ-ი ← ი-***ჭკ**უნთ-ი „იკრუნჩხება“ : ქართ. **ჭ**ინთ-, ი-**ჭ**ინთ-ებ-ა : ზან. —, ს.-ქართვ. ***ჭ**უნთ-; სვან. მა**შკ** || მა**შკ** ← *ბე**ჭკ** „ბარკალი, ბარძაყი“ : ქართ. ბე**ჭ**-ი : ზან. —, ს.-ქართვ. *ბე**ჭ**-; სვან. ნე**შკა** || ნე**შკა** ← *ნე**ჭკა** „სხვენი“ : ქართ. ნე**ჭა** „ჭილობი“ : ზან. —, ს.-ქართვ. *ნე-**ჭა**.

ზემოთაღწერილი მაგალითები კიდევ ერთხელ ცხადად გამოაჩენენ, რომ ს.-ქართვ. **ჭ** შიშინა აბრუპტივის სვანური შესატყვისები მხოლოდ **ჭ**

→ **ჭკ** || **შკ** მიმართულებით იცვლებოდა, და რომ ს.-ქართვ. **წ** სისინა აბ-რუპტივის რეფლექსებისგან განსხვავდებოდა. კერძოდ, გამორიცხულია **წ** → **ჭ** → **ჭ** || **ღ** ტიპის რეფლექსები ს.-ქართვ. **ჭ**-დან მომდინარე **ჭკ** || **შკ** კომპლექსისა სვანურში ისევე, როგორც ს.-ქართვ. **წ**-ს შესატყვისი **ჭ** არ იძლევა **შ**-ს სვანურში არაკომპლექსურ ბოზიციებში — **ჭ** ⇄ **შ**. მაგრამ ახალ შეპირისპირებებში თავი იჩინა ისეთმა პროცესმა, რაზეც ადრე არ იყო მითითებული. აღმოჩნდა, რომ ს.-ქართვ. **ჭ**-ს შესატყვისებს ემთხვევა ს.-ქართვ. **წკ** კომპლექსის რეფლექსებიც სვანურში, თითქმის ყველა ნი-მუშში ცხადდება ქართ. **წკ** : სვან. **შკ** ←***ჭკ**. **ჭკ** მხოლოდ თეორიულად აღდგება¹ — სვან. **შკუემფ-**, ა-**შკუემფ-ე** ←ა-***ჭკუემფ-ე** „გაჯონავს“ : ქართ. **წკებ-ლ-**, გა-**წკებ-(ლ)ა**, **წკებ-ლ-ი/ა** : ზან. **ჭკვებ-** ←***ჭკებ-** „ცემა“, ს.-ქართვ. ***წკებ-**, ***წკებ-ლ-**; სვან. **შკგფ-** ←***ჭკებ-**, ად-**შკგფ-**ნ-ლ-ე „დააკაკუნა“ : ქართ. **წკებ-ნი** „წვეთის ხმა“, **წკებ-უნ-ი** : ზან. **ჭკვებ-ინ-ი** ←***ჭკებ-ინ-ი**, ს.-ქართვ. ***წკებ-**; სვან. **ტიშკ** || **ტიშკუ** || **უშკუ** ← **ჭტიშკ** ←***ჭტიშკ** „პირი, სახე“ : ქართ. **წუწკ-**, **წუწკ-**(ი-ს) „ბ ა გ ი თ ამოწონა (საბა)“ : ზან. —, ს.-ქართვ. ***წუწკ-**.

ჭკ → **შკ** ტრანსფორმაციის ანალოგიურია **ჭყ** → **შყ**, **წკ** → **სკ**, **წყ** → **სყ** პროცესები სვანურში — სვან. ნა**შყუ** ← ნა**ჭყუ** : ქართ. ნერ**წყვ-** : ზან. ლე(რ)**ჭყვა** || ლენ**ჭკვა**; სვან. **სკებ** ←***წკებ-** „მჭიდრო“ : ქართ. **წკებ-**, გა-**წკებ-ილ-ი** : ზან. რ**წკებ-** ←***წკებ-**, რ**წკებ-უა** „მჭიდროდ შემოვლება რაიმესი“, გო-რ**წკებ-ილ-ი** = გა-**წკებ-ილ-ი**; სვან. **სყ** ←***წყ-**, ა-**სყ-**ი „აკეთებს“ : ქართ. **წყ-**, ა-**წყ-ობ-ს**, გა-ა-**წყ-ობ-ს** : ზან. ნ**წყ-** ← **წყ-**, ო-**წყ-**უნ-ს „აწყობს“; სვან. ზი**სყ** ←***გირწყ** : ქართ. გრ**წყილ-ი** || ← გირ-**წყილ-ი** „რწყილი“ : ზან. მ**წყირ-ი** || **წყირ-ი** ←***გწყირ-ი**...

§ 32. **გ/ღ** → **ზ** პროცესისათვის სვანურში. ეს ფონეტიკური გარდაქმნა ენაში თავიდანვე ბოზიციითაა შეპირობებული: **გ/ღ+ჲ, ე, ი** → **ზჲ, ე, ი**. და რა თქმა უნდა, იგი გაშუალებული იყო ***ძ** აფრიკატით — **ძ** → **ზ**. სვანურში გამოვლენილი გადაბგერება სპორადულად ქართულშიც იჩენს თავს: **ღევ-** → || **ძევ-**, **ერღო** → იმერ. **ერძო**, **ღევ-** →***ღევ-ლ-ი** → **ძევ-ლ-ი**, **ღინგელ-ი** → მთიულ. **ძინგელ-ი**, ნო**გა** → ლეჩხ. ნურ**ძა**...

სვანურში **გ/ღ** → **ზ** პროცესის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ შემდეგ ქართველურ მასალას: სვან. **ღ-ინ-** → || **ზ-ინ-** „მისვლა, სვლა, მო-

¹ მხოლოდ ერთგან დავადასტურებ წკ-სგან მომდინარე ჭკ უცვლელად სვანურში, შდრ. სვან. ჭიჭკუ „კვირტი“ : ქართ. წიწკვი : ზან. ჭინჭკვი. ამ მაგალითში ჭკ-ს სტაბილურობას მომდევნო ტ-სთან მეზობლობამ შეუწყო ხელი.

სვლა“ : ქართ. დ-ინ-, დ-ი-ს; სვან. გაგდჷ → || გაგზჷ „ყბელი“ — გაგადა || გაგდა „ქვედა ყბა“; სვან. ზერჩჷ ←*ღირჩჷ ←*ღჷრჩ- : ქართ. ღუც-ი; სვან. ზისხ ←*ღისხ : ზან. (ჭან.) ღიცხ-ირ-ი „სისხლი“; სვან. ზესხ-რა ←*ღესხ-რა : ზან. (ჭან.) ღუცხუ „ცაცხვი“, სვან. ზეჷ ←*ღეშჷ : ზან. ღიშჷ „შეშა“; სვან. ზიგ- ←*ღიგ-/ღეგ- : ქართ. ღეგ- „დგომა“ → ძეგ-ლ-ი; სვან. ზიზ- ←*გიზ- : ქართ. გეზ-, გზ-ა; სვან. ზისყ- ←*გიწყ- : ქართ. გრწყ-ილ-ი ←*გიწყ-ილ-ი „რწყილი“...

§ 33. ტკ კომპლექსისათვის სვანურში. საერთოქართველური ტკ ჰარმონიულ-დევსიური კომპლექსი სვანურში ძირითადად უცვლელად არის შემონახული: ქართ. ტკვერ-/ტკვირ- : ზან. ნტკვარ- || ტკვარ- : სვან. ტკურნ- ←*ტკურნ-; ქართ. ტკეც-/ტკიც- : ზან. ტკარნ- : სვან. ტკერნ-/ტკენრ- || ტკრ- „რტყმა, ცემა“; ქართ. ტკრც- : ზან. ტკარჩ-ალ- : სვან. ტკერჩ- (←*ტკარჩ-) „ტკაცა-ტკუცი“; ქართ. ტკბ- „მოხვევა, ჩახუტება“ : სვან. ტკბ- „დამაგრება, დაწებება“; ქართ. ტკიც-ინ-ა : ზან. ტკინ-ინ- : სვან. ტკგჩ „მაგრად დაჭიმული რამ“ და სხვ. მაგრამ საკმაოდ მოიპოვება ტკ კომპლექსის გამარტივების დამადასტურებელი ნიმუშებიც : ქართ. მ-ტკავ-ელ- : ზან. მ-ტკო- || მ-ტკუ- || ტკო-უ- || ტკუ- : სვან. კამელ || კამილ ← ტკაჷ-ელ; ქართ. ტკებნ- || ტკებნ- : ზან. ნტკაბ- || ტკაბ- || ბატკ- : სვან. კირბ- || კიბნ- || კიმბ- „ტკეპნა“ ← სვან. *ტკიბნ-; ქართ. ტკერჩ-ი „წნელი, წნული“ : სვან. ტკეც- → || კეც- ბქ. „ტკერი, წნელი“; ქართ. ტკბ-, ტკბ-ილ-ი : ზან. ტკაბ- „ტკბობა“ : სვან. კბ- || კაბ- ←*ტკებ- „ფერება“...

ტკ → კ პროცესის საპირისპიროდ კ/ყ მკვეთრთა წინა ბოზიციაში ტკ-ს განვითარების უდაო შემთხვევებსაც შევხვდებით როგორც საკუთარ, ისე სხვა ენებიდან ნასესხებ ლექსიკაში : ქართ. ბრკ-ე : ზან. ფოკ-ა → || ფოკვ-ა „ობი“ : სვან. ბეტკ-ი || ბეტკ „ნაღები“, „ხორცის ნახარშის ცხიმოვანი ქაფი“ (ბეტკ-ი ←*ბეტკ-ი); ქართ. უკუნ-ი „ბნელი“ : ზან. უკუმ-ელ-ა : სვან. უტკუნ → || უტკუნ „ბნელი“ (უტკუნ ← უკუნ); ქართ. კეც-ი : ზან. კეც-ი || კიც-ი : სვან. კეც → || ტკეც ბზ. „ჭურჭელი (საარაყე)“.., ქართ. ორკეც-ი → სვან. უორტკეც; შდრ. ასევე სვან. ბელყჷჩ || ბალყჷჩ „მურყანი“, მაგრამ ლე-ბელტყჷჩ „მურყნარი“ (შდრ. ქართ. ანკეს-ი → მეგრ. ანტკეც-ი...)

§ 34. საერთოქართველური ყ სვანურში. ფუძეენიდან მომდინარე ყ გლოტალი სვანურში იდენტურად აისახა — ქართ. ყ : ზან. ყ (→ ყ/Ø): სვან. ყ (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. მაჭავარიანი, გ. კლიმოვი...).

ჩვენ მიერ გამოვლენილი ახალი ლექსიკური შეპირისპირებები საშუალებას იძლევა გამოვთქვათ აზრი იმის შესახებ, რომ იდენტური ყ-ს გარდა სვანურში ჳ-ც შეეფარდებოდა საერთოქართველურ ყ ფარინგალს. მიზეზი ამგვარი შესატყვისობისა უნდა ჩანდეს ყ → ჳ სპონტანურ ფონეტიკურ პროცესში — შდრ. ყ → || ჳ სუბსტიტუცია სვანურ სიტყვებში: დაყტ → || დაჳტ „ჩაწეული ადგილი“, ფაყმტირ ლხმ. || ფაჳმურ ლშხ. „ზერელე“. ერთგან ყ || ჳ პროცესის ლექსიკალიზაცია შეინიშნება — ყაბ-ტ „წვერი“/ჳაბ-ტ „აღმა“ : ქართ. მ-ყაფ-ი „შედმართი (საბა)“. ყ → || ← ჳ ბუნებრივია ქართულშიც: უ-ყამ-ურ-ი || უ-ჳამ-ურ-ი, (ჳამ-ლ-ი), მყიე || მჳიე „ნაცრისფერი“, ფერჳ-ი || ფეყ- (ინგილ.), შდრ. ბერჳ- ...

სვანურში ყ → ჳ ისტორიული ფონეტიკური პროცესის არსებობაზე მიუთითებს შემდეგი ლექსიკური ერთეულებიც: სვან. აჳზრ : ქართ. აყარ-ი; სვან. ჳამ || ← ჳამ-ტ : ქართ. მ-ყეს-ი : ზან. ჳამ-; სვან. მუჳტარი „ასკილი“ : ქართ. მაყვალ-ი : ზან. მუჳ-ი; სვან. ჳან „სუნის დენა, ყროლა“ : ქართ. ყარ-, მ-ყრ-ალ-ი : ზან. ცორ-იდ-/ცორ-ად-; სვან. ჳემად ←*ჳედამ „მშვილდი“ : ქართ. ყოდალ-ი „ისარი“; სვან. ჳ-ეფ- „კბენა“, ჳ-ემდ- „ყეფა“ : ქართ. ყ-ეფ-ა; სვან. ჳერ-ი „კიდე“ : ქართ. ყურ-ე : ზან. ცურე- „მხარე“; სვან. ჳტილა „ყორე“ : ქართ. ყორ-ე, ყორ- : ზან. ცორ- „აღყორვა“...


ყ → ჳ გადაბგერების პოზიტივობა სვანურში უნდა იქნეს გათვალისწინებული მომდევნო ეტიმოლოგიურ კვლევა-ძიებაში.

§ 35. **სისინა || შიშინა სიბილანტთა სუბსტიტუციისათვის საერთოქართველურში.** წინარეიბერიულ-კავკასიური ფუძეენის დაშლის შემდგომ, რაც გულისხმობს მის დანაწევრებას დამოუკიდებელ ენებად, ერთ-ერთ ერთეულად გამოიყო წინარეიბერიული ანუ წინარექართველური ფუძეენა. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა წინარეიბერიულ-კავკასიური ენის ერთი კილოური სახესხვაობის უშუალო გაგრძელებას. წინარექართველურში ჩასახული ენობრივი მოვლენების შემდგომი დიფერენცირებით ჩამოყალიბებას იწყებს საერთოქართველური (იბერიული) ენა შემდეგი დიალექტური შემადგენლებით: ქართული, ზანური, სვანური (არ გამოირიცხება დიალექტთა მეტი რაოდენობის შესაძლებლობა, თუმცა დღევანდელი მონაცემებით ამაზე გადაჭრით საუბარი ჭირს; მოსალოდნელი კი არის). ამდენად, ქართველური (იბერიული) ფუძეენის განვითარებაში გამოსაყოფია ორი ძირითადი პერიოდი მაინც: 1. წინარეიბერიული ანუ წინარექართველური პერიოდი (resp. ენა), 2. საერთოიბერიული ანუ საერთოქართველური პერიოდი (resp. ენა). წინარექართველური ენა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს საერთოქართველურ ენას და გამოირჩევა მეტი არქაულობით (გრამატიკული კლასის კატეგორია, ზმნისა და სახელის გაუდიფერენცირება...) და მონოლითურობით (დიალექტური სხვაობების არქონა, თითქმის უცვლელი ამოსავალი ფონოლოგიური სისტემა; ფონეტიკური პროცესები მხოლოდ ჩანასახის მდგომარეობაშია...). წინარექართველური ენის (პერიო-

დის) გაგრძელებას წარმოადგენს საერთოქართველური ენა (პერიოდი), რომელსაც სულ მცირე სამი დიალექტი მაინც გააჩნდა (ქართული, ზანურ-რი, სვანური). სადაც უკვე მოქმედებდა მძლავრად განვითარებული ფონეტიკური პროცესები, რის ნიადაგზეც ყალიბდება დღეს კარგად ცნობილი ბგერათმესატყვისობები ისტორიულ ქართველურ ენებს შორის.

ერთ-ერთ ფონეტიკურ პროცესად, რომელიც აღსადგენია საერთო-ქართველური ენობრივი ერთიანობის დონეზე, მივიჩნევთ **სისინა** → || **შიშინა** სიბილანტთა სუბსტიტუციას, რასაც მზარს უჭერს მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ინფორმაცია. კერძოდ, ნახურ-ქართველურ ბგერათმესატყვისობათა კვლევისას ჩვენ მიერ გამოვლენილი იქნა შემდეგი სახის კანონზომიერება, რომ საერთოქართველური **შიშინა** სიბილანტ-აფრიკატები საერთონახურში წინაენისმიერ ხშულებს შეისატყვისებენ — ს.-ქართვ. **ჭ ჩ ჭ** : ს.-ნახ. **დ თ ტ**, რაც, როგორც ირკვევა, წინარენახური შიშინა სიბილანტ-აფრიკატთა დეზაფრიკატიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა: **ჭ ჩ ჭ** → **დ თ ტ**. მაგრამ აქვე დადასტურდა გამონაკლისებიც, როცა ს.-ქართვ. **ჭ ჩ ჭ** სიბილანტებს ს.-ნახ.-შიც იდენტური **ჭ ჩ ჭ** შეეფარდება. სათანადო დალესტურ მასალასთან შედარება არკვევს, რომ ამ ტიპის შეფარდებები მეორეულია, ცვლილება მომხდარია საერთოქართველურში და ს.-ქართვ. **შიშინა** : ს.-ნახ. **შიშინა** შეფარდება ამოსავალში ს.-ქართვ. **სისინა** : ს.-ნახ. **შიშინა** შესატყვისობას ვარაუდობს. ე. ი. წინარექართველური **ძ ც წ** ორგვარად იქნა რეალიზებული საერთოქართველურში: წ.-ქართვ. **ძ ც წ** → ს.-ქართვ. **ძ ც წ** → || **ჭ ჩ ჭ**. ამდენად საერთოქართველურ მასალაში ორგვარი წარმოშობის შიშინა სიბილანტები დასტურდება.

საერთოქართველურში არსებული სუბსტიტუცია **სისინა** → || **შიშინა** (სიბილანტები) ფუძეენის დაშლის წინა პერიოდისათვის სიტყვათა ერთ რიგში საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც შიშინა ალომორფები. ამიტომაც ზანურსა და სვანურში სათანადო ფონემური შესატყვისები რეალიზდებიან როგორც **შიშინა** სიბილანტი + უკანაენისმიერი ხშული. სქემატურად სავარაუდო ფონეტიკური პროცესი შემდეგნაირად ჩაიწერება:



წარმოვადგენთ აღწერილი წინარეისტორიული ფონეტიკური პროცესის საილუსტრაციო საერთოქართველურ ენობრივ მასალას სხვა მონათესავე იბერიულ-კავკასიური ქვეჯგუფის ენათა მონაცემების ფონზე:

(1) ქართ. **ჭიბ-ი**, ზან. (მეგრ.) **ჭიბ-ე**, ჭან. **წიბ-ა** ← **ჭიბ-ა**, ს.-ქართვ. **ჭიბ-** ← **წ.**-ქართვ. ***წიბ-** : ბაცბ. **წამ-¹**, ინგ. **წონ-გ** ← **წომ-გვ**, ჩაჩნ. **წან-გა** || **წონ-გა** ← **წამ-გა**, ს.-ნახ. ***წამ-** : ხუნდ. **წაინო**, ანდ. **წაუნო**, ახვან. **წაუნ-**, ლაკ. **წუნ**, ლეზგ. **ფაიწ** ← **ბიწ** ← **წიბ**, ხინ. **წუმ**, ბუდუხ. **ბუწ** ← **წუმ**, უდ. **ცამ** ← **წამ**., ს.-დალ. ***წიმ-ო**.

(2) ქართ. **ხოჭო**, ზან. **ხოჭო** || **ხოჭუ**, სვან. **ხოჭუ**, ს.-ქართვ. **ხოჭ-ო** ← **წ.**-ქართვ. ***ხოწ-ო** : ბაცბ. **ჩინჭი**, ინგ. **ხინჯ**, ჩაჩნ. **ხინჯა** || **ხინჯი** (ითუმკ.) ← **ხინჯი** „წილი“, ს.-ნახ. **ხინჯი** ← ***ხი(ნ)წ-ი** : ხუნდ. —., **ლეზგ. ხენწ**, თაბ. **ხოწ**, ალ. **ხეწუ**, რუთ. **ხიწ**, არჩიბ. **ხუიმწ** „ტკიპა“, ს.-დალ. ***ხეწ-უ**.

(3) ქართ. **მაჩუ-/მაჩვ-ი**, ზან. **მუნჩქე-ი** || **მუნჩქ-ი** ← **მოჩქე-ი** : სვან. **მინჩქუ** ← **მანჩქუ**, ს.-ქართვ. **მაჩუ-** ← **წ.**-ქართვ. ***მა-ცუ-** : ბაცბ. **ჩა**, ინგ. **ჩა**, ჩაჩნ. **ჩა** „დათვი“, ს.-ნახ. **ჩა** ← ***ცუა** : ხუნდ. **ცი**, ახვან. **ში¹მ**, ბოთლ. **სი¹**, ჰუნზ. **სგ.**, დარგ. **სინ-ქა**, ლაკ. **ცუ-შა** ← ***ცუა-ქა**, ლეზგ. **სეუ**, თაბ. **შეუ**, ხინ. **ფსგ**, უდ. **შუგე** „დათვი“... ს.-დალ. ***ცუა**, შდრ. აფხაზ. **ა-მე¹** „დათვი“.

(4) ქართ. **ჩხართუ-**, ზან. —, სვან. **ჩხურუშტ** || **ჩხორუშედ** ← ***ჩხართუ-**, ს.-ქართვ. ***ჩხართუ-** ← **წ.**-ქართვ. ***ცართხუ-**: ბაცბ. **შურთხ**, ინგ. **შურტყვ** || **შორტყვ** ← ***შორთხვ**, ჩაჩნ. **შარტყა** || **შატყა** ← ***შართხა** „თრიტინა“, ს.-ნახ. **ჩართხუ-ა** ← ***ცართხუ-ა** : ხუნდ. **ცატუ** ← ***ცართუ**, ანდ. **სართუ** ← ***ცართუ**, ჭამ. **სატუ** ← ***ცართუ**, ლოდ. **სართუ** ← ***ცართუ** „თრიტინა“.., ს.-დალ. ***ცართუ-** ← ***ცართხუ-**.

(5) ქართ. **ჩხორ-ე** : ზან. **ცქერ-** || **ცქირ-** : სვან. **ცქერ** „ფალარათი“, ს.-ქართვ. ***ჩორ-** ← **წ.**-ქართვ. ***ცორ-** : ბაცბ. **ჩი-შ**, ინგ. **ჩი-ჟ** ← ***ჩი-შ**, ჩაჩნ. **ჩი-შ** → || **ჩი-ჟ** „შარდი“, ს.-ნახ. **ჩი-შ** pluralia tantum ← ***ცი-** : ანდ. **ჩილ**, ბოთლ. **შილი**, ჭამ. **ში**, ლოდ. **შილი**, ახვან. **შილი**, ხუნდ. **წილ** ← **შილ** ← ***ჩილ** „სკორე“.., ს.-დალ. ***ჩირ** ← ***ცირ**, შდრ. ადიღ. ***ცგვ**, ყაბ. **ცუგ** „ნაკელი“...

(6) ქართ. **შუან-ი** „ეშვი“ : ზან. **ჩქვა(ლ)** : სვან. **ჩქუარ-წ** „ეშვე-ბი“, ს.-ქართვ. ***ჩუალ-** ← **წ.**-ქართვ. ***ცუალ-** : ბაცბ. **ცარ-კ** : ინგ. **ცერ-გ** || **ცარ-გ**, ჩაჩნ. **ცერ-გ** || **ცარ-გ** „ბილი“ ← ***ცუარ-** : ხუნდ. **ცა** ← **ცალ**, ანდ. **სოლ**, ახვან. **ჩილო**, კარ. **სალი**, ტინდ. **სალუ**, ჭამ. **სალ** ← ***ცალუ**, ბოთლ. **სალუ**, ბეჟიტ. **სილა**, ხვარშ. **სელ**, დარგ. **ცულა**, თაბას. **სილ-იბ**, ალ. **სელ-ებ**, რუთ. **სელა**, წახ. **სილი**, ბუდუხ. **სილ**, ხინ. **ცულ-ოზ**, უდ.

ულ-უბ ← ცულ- (უბ მრ. რ. ნიშანია), ს.-დალ. *ცალუ ← *ცჷალ- „კბილი“, შდრ. აფხაზ. ა-ც, ადიღ. ცჷ, ყაბ. ძჷ ← *ცჷ „კბილი“...

(7) ქართ. შინ- „შინება“, ზან. რსქინ- || ცქინ- ← *სქინ-, ს.-ქართვ. შინ- ← წ.-ქართვ. *სინ- : ბაცბ. სემ, ინგ. სიმ, ჩაჩნ. სთიმ- || სიმ- „ნალველი, ღვარძლი“, ს.-ნახ. სიმ : ხუნდ. ცაინ ← სოინ, ანდ. საიმ, ახვან. საიმი., ჰუნზ. სიმ, დარგ. სიმი, ლაკ. საი(ნ), თაბ. სებ, არჩიბ. საამ, რუთ. სჷბ „გინება, რისხვა; ნალველი, ღვარძლი“, ს.-დალ. *სიმ/ნ.

(8) ქართ. შინდ-ი, ზან. სქინდ-ი, სქინდ-ონ-ა, ს.-ქართვ. შინდ- ← წ.-ქართვ. *სინდ- : ბაცბ. «სტავ», ინგ. ძესთძე, ჩაჩნ. ასთი || სთაჷ || სთოჷ „შინდი“, ს.-ნახ. *სნაჷ ← *სან-უ : ხუნდ. სან || სანი, ახვან. შანი ← სანი, კარ. სენი, ტინდ. სანი, ჭამ. სან., ბეჟიტ. სინო, ჰუნზ. სგნუ, რუთ. სგნ, წახ. სუნა „კოწახური“, ს.-დალ. *სან-უ.

(9) ქართ. შთ-ენ-ა, ნა-შთ-ი, ნე-შტ-ი ← ნე-შთ-ი : ზან. სქიდ-/სქად-, სვან. სედ-/სიდ; ← *სქედ-, ს.-ქართვ. *შედ- ← წ.-ქართვ. *ს-ედ- : ბაცბ. დი-ს-, ინგ. დი-ს-, ჩაჩნ. დი-ს- || თი-ს „დატოვება, დარჩენა“, ს.-ნახ. დი-ს- : ხუნდ. ბი-ჩა- ← ბი-შა-, ბოთლ. ბე-შთ-, კარ. ბე-შდ- || ბე-შთ- || ბე-სა-, ჭამ. ბე-სა-, ს.-დალ. *ბე-ს-.

სავარაუდოა, რომ საერთოქართველურში მომხდარი ცვლილებების მიზეზი მდგომარეობდეს არტიკულაციის უკან გადაწევაში (არნ. ჩიქობავა), რაც საფუძვლად დაედო სისინა → || შიშინა სუბსტიტუციას სიბილანტებში. ფუძეენაში ჩასახული სისინა სიბილანტთა გაშიშინების ფაკულტატიური პროცესი სისტემად განვითარდა სვანურსა და ზანურში (ამ უკანასკნელში არტიკულაციის უკან გადაწევა ხმოვნებშიც გამოვლინდა ს.-ქართვ. ა ე → ზან. ო ა (არნ. ჩიქობავა)). მის ნიადაგზე ჩამოყალიბდა ბგერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულა ქართველურ ენებში — ქართ. სისინა : ზან. შიშინა : სვან. შიშინა.

პრეისტორიული სისინა → || შიშინა სუბსტიტუციის სუსტ გამოძახილს წარმოადგენს ფრცხილ-ი → || ფრჩხილ-ი (შდრ. ზან. ბურცხა || ბირცხა) ტიპის მონაცვლეობა საკუთრივ ქართულში: ძმერხლ-ი → || ჭმერხლ-ი, წმანე → || ჭმანე, ძაველ-ი/ა → || ჭაველ-ი/ა, ცახ-ი → || ჩახ-ი, ციბა → || ჩიბა, ზარ- → || ჟარ- „ზრობა“, ღრძ-ილ-ი || ღოჯ-ი...

მე-5, მე-7, მე-8 და მე-9 შესატყვისობებში წარმოდგენილი შეფარდება: ქართ. ჩ : ზან. ცქ : სვან. ცქ, ქართ. შ : ზან. სქ : სვან. სქ არ გულისხმობს ჩქ → ცქ, შქ → სქ გასისინების პროცესს ზანურსა და სვანურში; პირიქით, ქართულშია მომხდარი ც → ჩ და ს → შ გარდაქმნები, რაშიც მტკიცედ გვარწმუნებს ქართ. ძ ც წ ს : ზან. ძგ ცქ წკ სქ :

სვან. სგ/კ ← ძგ, სგ/კ ← ცქ, სკ ← წკ, სგ/კ ← სქ ← ს.-ქართვ. *ძ *ც *წ *ს (იხ. აქვე, § 24) შესაძლებლობა. ე. ი. არტიკულაციის უკან გადაწევა ზანურსა და სვანურში მიიღწეოდა ორგვარად: 1. სისინა → შიშინა გადაბგერების ხარჯზე სიბილანტებში, 2. უკანაენისმიერ ხშულთა განვითარებით სისინა სიბილანტთა მომდევნო პოზიციაში.

§ 36. **ზმნური სუფიქსაციის ზოგიერთი საკითხი სვანურში.** სვანურ ზმნებში სპეციალური ეტიმოლოგიური დაკვირვებების საფუძველზე გამოიყოფა ისეთ სუფიქსთა წყება, რომელნიც დროთა განმავლობაში ფუძეს, ძირს შეხორცებულა და დღეს მოქმედ მორფოლოგიურ ოდენობად არ მოიაზრებიან. ამგვარი სუფიქსების გამოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული მორფოლოგიის თვალსაზრისით. ირკვევა, რომ იქ, სადაც დღეს განსხვავებული სურათია, ადრე იგივეობრივი მდგომარეობა დასტურდებოდა. ასე მაგალითად, თანამედროვე სვანურში გვაკლია ქართ. **-ებ** || **-ეფ** : ზან. **-აბ** || **-აფ** შესატყვისი თემისნიშნები, ქვემოთ მოტანილი შეპირისპირებები სვანურ ზმნებშიც ადვილად გამოანაწევრებენ **-ებ** || **-აბ** || **-აბ**, **-ეფ** || **-აფ** || **-აფ** სუფიქსებს რელიქტის დონეზე. ე. ი. **-ებ** → || **-ეფ** ზმნური სუფიქსური ფორმათ(სიტყვათ)წარმოება აქაც პროდუქტიული იყო ისევე, როგორც ქართულსა და ზანურში. თუ ქართულში **-ებ** სუფიქსი იფართოებს დისტრიბუციის არეალს (არნ. ჩიქობავა), სვანურში პირიქით, მისი ზვედრითი წილი დროდადრო მცირდებოდა, დღეისათვის ცოცხალი წარმოება არც არსებობს. **-ებ** სუფიქსის ფუნქცია სვანურში სხვა სუფიქსებმა იკისრეს.

სვანურ ზმნებში გამოსაყოფია შემდეგი სუფიქსები:

§ 37. **-არ** : სვან. ხ-ე-**დაგ-არ**-ი (ამ-**დაგ-ან**) ზს., ლნტ., ხ-ე-**დაგ-არ**-ი (ამ-**დაგ-ან**) ლშხ. „უკვდება“, შდრ. ხ-ე-**დაგ-ენ**-ი (ლ^ა-მ-**დაგ**) ზს., ხ-ე-**დეგ-ენ**-ი ← *ხ-ე-**დაგ-ენ**-ი (ლ^ა-მ-ე-**დაგ**) ლნტ. „ქრება“ : ქართ. **დაგ-**, **დაგ-ავ-**ს, **და-მ-დაგ-**ა, **ი-დაგ-**ებ-ა : ზან. (მეგრ.) **დგ-უ-დგ-უ-ა** (რედუბლ.), **დგ-უ-დგ-უნ-**ს „დადაგავს, აქრობს“; სვან. ხ-ო-**სგიდ-არ**-ი ბქ., ხ-ო-**სგიდ-არ-ალ** ← *ხ-ო-**სგიდ-არ-ალ** ლშხ. „ათვალიერებს“, შდრ. ხ-ო-**სგდ**-ი ზს., ლშხ., ხ-ო-**სკიდ**-ი ლნტ. „უყურებს, ხედავს“, ლი-**სგდ**-ი ზს., ლშხ., ლი-**სკიდ**-ი ლნტ. „ყურება, შეხედვა, ცქერა“ : ქართ. **ცქეტი-ა** ← ***ცქედ-ა** „ყურება“, სვან. **სგ-იდ-არ-** || **სგ-იდ-** : ქართ. **ცქეტი-**, ს.-ქართვ. ***ცქედ-**, შდრ. ქართ. **ცქერ-** : ზან. **ცქვ-ირ-ინ**-ი „ყურება“; სვან. **ჭკუ-არ-**, ა-**ჭკ-ურ-ე** ← * ა-**ჭკუ-არ-ე** (ოთ-**ჭკუ-არ**) ბზ., ა-**ჭკუ-არ**-ი ბქ., ლნტ., ა-**ჭკუ-არ**-ი || ა-**ჭკუ-არ**-ი ლშხ. „ფიქრობს“, შდრ. ხ-ა-**ჭკ-გრ-ა** ბზ., ლშხ., ხ-ა-**ნჭკ-გრ-ა** ბქ., ხ-ა-**ჭკ-გრ-ა** ლნტ. „ფიქრობს, წუხს“, **ჭკ-გრ-** ← **ჭკ-ურ-** ← **ჭკუ-არ-** : ქართ. **ჭკვ-** || **ჭუვ-**, **ჭუვ**-ილი „წუხილი“, **ჭუვ**-ი-ს „წუხს“ : ზან. **ჭკუ-ა** || **ჭკუვ-ა** ← ***ჭკოვ-ა** „აზრი, ფიქრი, ტვინი“, **ჭკვ-ერ**-ი „ჭკვიანი“, ს.-ქართვ. ***ჭოუ-**; სვან. ხ-ო-**კოკუ-არ**-ი ბზ., ხ-ო-**კუიკუ-არ**-ი ბქ. „უჭვრეტს“, უყურებს“ : ქართ. უ-**კიკ-ინ**-ებს-ს : ზან. (მეგრ.) უ-**კიკ-ინ-ან-ს** || უ-**კვიკვ-ინ-ან-ს** „უჭ-

ვრეტს“; სვან. ი-ჰუნ-არ-ი (ობ-ჰუნ-არ) ზს., ი-უნ-არ-ი ← ი-ჰუნ-არ-ი
 ლშხ., ი-მნ-არ-ი ← ი-უნ-არ-ი ← ი-ჰუნ-არ-ი ლნტ. „ისმენს“ : ქართ. (ფშ.,
 ხევს.) ხუნ-ა „ლაღადება“ : ზან. (მეგრ.) ხონ-არ-ი || ხუნ-არ-ი „ხმა“,
 ს.-ქართვ. *ხუნ-/*ხონ-; -არ სუფიქსად ქართულშიც გამოჩნდება: ტკბ-ობ-
 ა/ტკბ-არ-უნ-ი, ჳმ-ევ-/ჳმ-არ-...

§ 38. -ერ: სვან. ლი-შდ-ერ — ლი-შდ-აბ-ნ-ე „გართობა“, მგ-შდ-რ-ე,
 მგ-შდ-ბ-გნ-ე ლშხ., მგ-შტ-აბ-ნ-ე ლნტ. „გამართობი“: ქართ. რთ- ← *სთ-,
 გა-რთ-ობ-ა, ე-რთ-ობ-ა, ა-რთ-ობ-ს, გა-მ-რთ-ობ-ი (შდრ. მგ-შდ-აბ-გნ-ე) :
 ზან. (მეგრ.) რთ- ← *შთ-, ი-რთ-უ-ან-ს „ირთობს“, ქე-რთ-ე „გაართე“,
 ა-მა-რთ-უ-აფ-ალ-ი „გამართობი“, ჭან. ო-სთ-ერ-უ ← ო-შთ-ერ-უ „გართო-
 ბა, თამაში“, სვან. შდ-ერ- || შდ-აბ- || შტ-აბ- : ქართ. რთ- ← სთ- :
 ზან. რთ- ← *შთ- → სთ-, ს.-ქართვ. *სთ-; სვან. ლი-სგ-ერ ← ლი-სგ-ურ-
 "caccare" : ქართ. ჳურ- : ზან. ძგვ- || ნძგვ- „id“, სვან. სგ-ერ- ← *სგ-ურ-
 ← *ძგ-ურ-; სვან. ი-ქუთ-ერ || ი-ქუთ-ერ ზს., ქს., „იპარავს“, ქუთი
 „ქურდი“ : ქართ. ქურდ-ობ-ს, ქურდ-ი : ზან. ქვირთ-უ „ქურდი“; სვან.
 ს-ერ- || ს-ერ-, ლი-ს-ერ || ლი-ს-ერ ← ლი-სგ-ერ „ჯობნა“, ოთ-ს-ერ- ←
 ოთ-სგ-ერ „აჯობა“ : ქართ. ჳ- „ჯობნა“ : ზან. ჳგ-ინ-ა „ჯობნა“, ს.-ქართვ.
 *ჳ-(-ურ-); სვან. შგ-ერ- || შგ-ერ- „ფუტკრის ყრა“, ი-შგ-ერ-ე || ი-შგ-ერ-ე
 „ფუტკარი იყრის, მრავლდება“ : ქართ. სკ-ა „ფუტკრის სახლი“ : ზან. სქ-
 ა(ლ) || სკ-ა(ლ) „ფუტკრის სახლი, სკა“, (ფ)სკ-ა(ლ)- „ფუტკარი“; სვან.
 ა-ცყ-ერ-ი „არჭობს“, ხ-ა-ცყ-ე ქს., „არჭობს“, ხ-ა-ცყ-ერ-ა „არჭვია“,
 შდრ. ხ-ა-ცყ-ენ-ი ზს. „არჭობს, ასობს“, ცაყ || ცაყ „ჯონი“ : ქართ. ციღვ
 „დანა“ : ზან. ციკ- || ციგ- „რჭობა, სობა“; სვან. ჳყ-ერ-, ჳყ-ერ-ი (ოთ-
 ჳყ-ერ) „ებმის ერთმანეთს“ : ქართ. რ-წყ-, ი-რ-წყ-ამ-ს, ე-რ-წყ-მ-ი-ს, შე-ე-
 რ-წყ-ა, შე-რ-წყ-მ-ულ-ი : ზან. (მეგრ.) ჳყ-ან-, დო-ჳყ-ან-აფ-ა, ი-ჳყ-ან-უ-
 ან-ს „შეირწყამს“, გამგ-ნა-ჳყ-ან-ი „შთამომავალი“ ← ეტ. „მონაბამი, მო-
 ბმული“; სვან. ხუ-ერ-, ხ-ე-ხუ-ერ-ენ-ი, ი-ხუ-რ-ე ← ი-ხუ-ერ-ე „ინგრევს;
 იშლის თმებს“ : ზან. (მეგრ.) ხუ- ← ხუ-, ი-ხუ-აფ-უ(ნ) „ინგრევა, იშლე-
 ბა“, ი-ხუნ-ს ← ი-ხუ-უნ-ს „იშლის (თმებს), თუმა-გო-ხ-ილ-ი „თმაგაშლი-
 ლი“... ზოგან საკუთრივ სვანური მასალის ნიადაგზეც ხერხდება -ერ სუ-
 ფიქსის გამოყოფა: სვან. ხ-ო-ბიდ ზს., ხ-ო-ბდ-ერ ქს. „ეწევა“; ხ-ო-კუდ-ერ
 ზს., ქს. „აკლდება, უკლებს“, მაგრამ ო-ხ-ო-კუდ || ა-ხ-ო-კუდ „დააკ-
 ლდა“..., სვან. ძდ-ერ „ცხიმი“ : ქართ. ძელ- / ძლ- „ძლომა“ : ზან. ძდ-
 „ძლომა“, ძდ-ილ- „სუყება“...

§ 39. -ებ → || -აბ → || -აბ : სვან. გ-ებ-, ხ-ე-გბ-ენ-ი (ოთ-გაბ) ბზ.,
 ლშხ., ხ-ე-გებ-ენ-ი ლნტ. „ელრძობა“, ხ-ო-გბ-ე (ოთ-გობ) „უსხლეტს“ :
 ქართ. გ-ებ-, გ-, გადა-ე-გ-ებ-ა, გადა-ე-გ-ო : ზან. —; სვან. გ-ებ-/გ-იბ- :
 ქართ. გ-ებ-, გ-; სვან. გ-ებ-, ხ-ა-გ-ებ-ე (ლა-ხ-ა-გ-იბ-ე ← ლა-ხ-ა-გ-ებ-ე)

„არჭობს, ასობს“ : ქართ. **გ-ებ-**, **ა-გ-ებ-**ებ-ს, **მი-ა-გ-ებ-**ა, **შე-ე-გ-ებ-**ა : ზან. (მეგრ.) **გ-აფ-**ა ← **გ-აბ-**ა „წამოცმევა“, **მ-ა-გ-ან-**ს „წამოაცვამს“, **მუ-მ-ო-გ-ან-**ს „მარტყამს“, **ო-გ-აფ-**ა → || **ა-გ-აფ-**ა ← ***ო-გ-აბ-**ა „სახვნელი, გუ-თანი“, სვან. **გ-ებ-/გ-იბ-**, ს.-ქართვ. ***გ-ებ-**; სვან. **ტყ-აბ-** ← **ტყ-ებ-**, **ა-ტყ-აბ-**ე „წვავს“, **ლი-ტყ-ებ-**ე „შეწვა“, **ლგ-ტყ-აბ-** „შემწვარი“, **მგ-ტყ-აბ-** „შემწვარი; შემწველი“ : ქართ. **ტყ-ინ-**, **ტყ-ინ-**ებ-ა „ცეცხლის გზება, ნთება“, **მო-ტყ-ინ-**არ-ე „ანთებულვიით (საბა)“, **ტყ-ურ-**ბ-ი ← ***ტყ-ურ-ებ-**რ-ი „დი-დი ცეცხლია აღგზებული ფრიად (საბა)“, სვან. **ტყ-ებ-** → || **ტყ-აბ-** : ქართ. **ტყ-ინ-**, **ტყ-ურ-**ბ-, ს.-ქართვ. ***ტყ-**; სვან. **შდ-აბ-** || **შდ-ერ-** „შე-ქცევა, გართობა“, აქ **-აბ-** ← **-ებ** და **-ერ** სუფიქსები მონაცვლეობს (იხ. აქვე, ზემოთ); სვან. **შხ-იბ** ← ***შხ-ებ** „გამონაწვავი, შავი“, შდრ. ი-**შხ-**ი „იწვის“, მე-**შხ-**ე „შავი“, **ლი-შხ-**ი „წვა“ : ქართ. **ვშ-**, **ნა-ვშ-ირ-**ი, **ნა-ხშ-ირ-**ი || **ნა-შხ-ირ-**ი : ზან. **ნო-შქ-ერ-**ი; საკუთრივ სვანურ შეპირისპირე-ბებში გამოიყოფა ასევე **-აბ** || **-ებ** შემდეგ სიტყვებში: სვან. **ტყ-აბ** ბზ., **ტყ-ებ** ლშხ. „თვალის დახამხამება, მოხუჭვა, რული“, შდრ. სვან. უ-**ტყ-აბ-** ბზ., ლშხ., უ-**ტყ-**უნ-ა ბქ., ლნტ. „დაუნუჭავი“ სვან. **ა-შტ-არ-**უნ-ე ლნტ., **ა-შდ-აბ-**უნ-ე ზს. „თვალებს კარკლავს“...

40. **ეფ** → || **-აფ** → || **-აფ** : სვან. **თხ-ეფ-**, **ხ-ე-თხ-ეფ-**ენ-ი „გადაე-კიდება“; „გადაედება“ : ქართ. **რა-თხ-**, **გან-რ-თხ-**მ-ულ-ი, **გარდა-რ-თხ-**მ-ა შდრ. ქართ. **მო-თხ-** : ზან. **თხ-ემ-** || **თხ-იმ** „გაჭიმვა“, ამავე ძირებს უკავ-შირდება სვანური **ი-რთხ-ინ** || **მე-რთხ-ილ** ზს., **ი-რთხ-ინ** ქს. „ცილა“ (გ. კლიმოვი); სვან. **ტყუ-ეფ-**, **ხ-ა-ტყუ-ეფ-** (ხ-**ა-ტყუ-ეფ**) „სცემს, არტყამს (მათრახს)“ : ქართ. **ტყ-ებ-** || **ტყ-ებ-**, **ტყ-ებ-**ა „თავს ცემა (საბა)“, **ტყ-ებ-**ა ← **ტყ-ებ-**ა, **მი-ტყ-ებ-**ა ცემა-**ტყ-ებ-**ა : ზან. **ტყ-აბ-** ← **ტყ-აბ-** „ტყე-ვა“ (გასარკვევია **ჟ-**ს ფუნქცია სვანურში — **ტყ-ჟ-ეფ-**, ფონეტიკური და-ნართია (?)), ქართ. **ტყ-ებ-**, **ე-ტყ-ებ-**ებ-ა : ზან. (რ)**ტყ-აბ-**, **მი-კა-ა-**(რ)**ტყ-აბ-**უ(ნ) „ეწებება“ : სვან. **ხ-ე-(ნ)ტყ-**ი, **ხ-ე-ბენტყ-**ი ← **ხ-ე-(ნ)ტყ-**ებ-ი „ეწებება“; სვან. **ტყუ-ეფ-**, **ხ-ე-ტყუ-ეფ-**ენ-ი „სძვრება (ტყავი)“ : ქართ. **ტყავ-**ი, **ტყავ-**ებ-, **გადა-ე-ტყავ-**ებ-ა : ზან. **ტყებ-**ი ← **ტყობ-**ი (შდრ. გურ. **ტყობ-**ერ-ა), **ტყაბ-**არ-, **ე-ი-ა-ტყაბ-**არ-უ(ნ) „გადაეტყავება, მოსძვრება“, სვან. **ტყუ-ეფ-** ← ***ტყაუ-**ებ-; სვან. **ყულ-აფ** ზს. „ატყავება, აყვლეფა“, **ყულ-აფ-**დ ლიგნე ბქ. „გადაბუგვა“, **ყულ-აფ** ლშხ. „დამტვრე-ვა, დამსხვრევა“ : ქართ. **ყვლ-ეფ-/ყვლ-იფ-**, **ყულ-იფ-**ი „ძვალი (მხრის)“ : ზან. **ცვილ-**ე „ძვალი“, **ყვილ-**ონ-ი „ძვლიანი“, სვან. **ყულ-აფ** ← **ყულ-ეფ**; სვან. **ყუ-ეფ-/ყუ-იფ-**, **ხ-ა-ყუ-ეფ-** (ა-**ხ-ყუ-იფ**) ზს. ლნტ., **ხ-ა-ყუ-ეფ-** (ა-**ხ-ყუ-იფ**) ლშხ. „აძრობს, ამოყოფს“, **ხ-ე-ყუ-ეფ-**ენ-ი „სძვრება“ : ქართ. **ყოფ-** ← **ყვ-ეფ-**, **გამო-ყოფ-**ა, **ე-ყოფ-**ა, **ნა-ყოფ-**ი ← **ნა-ყვ-ეფ-**ი : ზან. **ყვ-** „გაყოფა“; სვან. **შყუ-ეფ-/შყუ-იფ-**, **ხ-ა-შყუ-ეფ-** (ათ-**შყუ-იფ**) „გადა-აძრობს ტყავს, მოხლის“, **შყუ-ედ-**, **ა-შყუ-ედ-**ი (ა-**შყუ-ედ**) „რეცხავს“ :

ქართ. **რ-წყვ**, გამო-**რ-წყვ**-ა „მუწყუკის შარავის გამოდენა“ : ზან. **ნ-ჰყ** ←***რ-ჰყ**, **ო-ნ-ჰყ**-ან-ს „გამორწყავს, მოხდის“, სვან. **შყუ-ეფ-/შყუ-ედ-** ←***ჰყუ-**, შდრ. **რ-წყ-ევ**-ა, **წყ-ალ**-ი... სვან. **ჩ-იფ**-ე „კვებავს, საჰმელს აძლევს“, მგ-**ჩ-ფ**-ე „მიმცემი“ : ქართ. **ც-**, **ც-ემ**-, მი-მ-**ც-ემ**-ი : ზან. ჩ-, **ჩ-ამ**-ა „ჰმევა“, ჩ-ან-ს „აჰმევა“, **ჩ-უ** „აჰამა“, სვან. **ჩ-იფ** ←***ჩ-ეფ**-, სვან. **ჩხ-ეფ**-, **ჩხ-ეფ**-ენ-ი „გახდება, წონაში დაიკლებს“ : ქართ. **ცხრ-ებ**-, **ცხრ-ებ**-ი-ს, **ცხრ-ომ**-ა „დაკლება, მოკლება“, მ-**ცხრ-ალ**-ი, და-**ცხრ**-ა : ზან. **მა-ჩჩხ-ა** ← **მა-ჩჩრ-ა** „თხელი წყალი (არაღრმა)“ ← ეტ. „დამცხრალი, დაკლებული“, შდრ. სვან. **მე-ჩჩხ-ფ** || ← **მე-ჩჩხ-ეფ**-ე „დაკლებული, გამხდარი“, სვან. **ჩხ-ეფ** ←***ჩჩრ-ეფ**-, სვან. **ჩხ-ეფ**-, **მა-ჩჩხ-ეფ** „ჩანჩქერი“ : ქართ. **ჩქ-ეფ**-ი, **ჩქ-ეფ**-ს, და-**ჩჩქ-ერ**-ი „ჩანჩქერი“ : ზან. (ჰან.) გე-**ჩჩხ-ილ**-ონ-ი „ჩანჩქერი“; სვან. **ჰ-ეფ** „კბენა“, **ჰ-ეფ**-ი „იკბინება“, შდრ. **ჰ-ემ**დ- „ყეფა“, **ჰ-ემ**დ-ე „ყეფს“ : ქართ. **ყ-ეფ**-, **ყ-ეფ**-ს, **ყ-ეფ**-ა, მ-**ყ-ეფ**-არ-ი; სვან. **კ-აფ** || **კ-აფ**-, **ხ-ა-კ-აფ** ზს., ლნტ. **ხ-ა-კ-აფ** ლშხ. „სწადია, ნებავს, სურს“, მ-**ა-კ-აფ** ზს., ლშხ., მ-**ა-კ-აფ** ლნტ. „ნება-სურვილი“, შდრ. სვან. მ-**ა-კ**-უ „მინდა“, ჯ-**ა-კ**-უ „გინდა“, ხ-**ა-კ**-უ „უნდა“ : ქართ. (მ-**ა-კლ**-ს (?)) : ზან. (მეგრ.) მ-**ო-კ**-ო(ნ), გ-**ო-კ**-ო(ნ), **ო-კ**-ო(ნ) „id“, მ-**ო-კ**-ო-ნ-ა(ნ) „გვინდა; საკ. სახ.“, ჰან. **-კ**-ო-ნ, ბ-ჰარ-**ა-კ**-ო-ნ ← ბ-ჰარ-**ა-ო-კ**-ო-ნ „დავწერო (უნდა)“, სვან. **კ-აფ** || **კ-აფ** ←***კ-ეფ**-.
 სვანური **-ებ** || **-ეფ** სუფიქსიანი ზმნები ზოგან კაუზატიურობის შინაარსს ამჟღავნებენ და ეფარდებიან ქართულის **რა-/რ-** კაუზატივის ნიშნებს, შდრ.: სვან. **თხ-ეფ** : ქართ. **რა-თხ-** || **რ-თხ-**, სვან. **შყუ-ეფ-/შყუ-იფ** „გადაადრობს“ : ქართ. **რწყვ** „გამორწყვა“, სვან. ჩ-**იფ**-ე = ა-ჰმ-ეფ-ს...
-ებ-/**-ეფ** სუფიქსების გამოყენება კაუზატიურ ფორმებში ცნობილია ზანურიდანაც : **ო-ჰარ-აფ**-უ-ან-ს „აწერინებს“; ერთგან სვანური **-ეფ** სუფიქსი მონაცვლეობს **-ედ** სუფიქსიან ზმნასთან **შყუ-ეფ-/შყუ-ედ**-. ყოველივე ზემოთქმული იმაზე მიუთითებს, რომ სვანური ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე **-ებ** || **-ეფ** სუფიქსიან სიტყვა და ფორმაწარმოებას გაცილებით მეტი გასაქანი ჰქონდა, ისეთივე, როგორც ქართულსა და ზანურში. დღევანდელი გადასახედიდან ძნელია იმ მიზეზზე მსჯელობა, რომლის წყალობითაც **-ებ** || **-ეფ** სუფიქსებს ფუნქციები შეეკვეცა.

სვან. ა- „სადერივაციო პრეფიქსი“: ა-ყბ-ა „ყბა“, ა-კჷედ || ა-კჷატ „კული“, ა-ბედ || ა-ბედ „აბედი“, ა-რტამ „მტილი“, ა-შტექე || ა-შტექე „მაკე“, ა-მტყჷსგ „ვარსკვლავი“, ა-შხალ „ხის ტოტი“...

ქართ. ა- : ა-ბან-ო, ა-დგილ-ი, ა-ლაგ-ი, ა-ბედ-ი, ა-დვილ-ი, ა-ჩრდილ-ი, ა-ფთ-ი, ა-კიდ-ო...

ზან. ო- : ო-რტვინ-ი „მტილი“, ო-ლაგე „ალაგი“, ო-ბედ-ი (შდრ. ძვ. ქართ. ბდ-ჟ-ინ-გ-ა : სვან. ბიდ- „ანთება, წვა“), ო-რჩხე „ქარქაში“ (შდრ. ქართ. ცხავ-ი), ო-რდ-ო/ა-დრ-ე, ო-რ-ო/ა-რ-ე/ა-რ-ილ-ი, ო-სქუ = ი-შელი-ი, ო-ლე = ა-ლო...

ქართულ-სვანურ პრეფიქსთა ერთიანობა ცნობილია (ვ.თოფურია). ზანურში გამოყოფილი ო- პრეფიქსი კანონზომიერად ასახავს საერთოქართველურ ა- დერივატს. ეგევე ა- გამოიყოფა ქართ. ა-რტალა : ზან. ო-ნტოლო შეპირისპირებაშიც (გ. როგავა).

ს.-ქართვ. *ა „სადერივაციო პრეფიქსი“ → ქართ. ა- : ზან. ო- : სვან. ა-.

სვან. აბაბჷ ბზ., აბაბა ბქ., აბაბა ლშზ., აბაბჷ || აბაბჷ ლნტ. შორისდებული „ვაი, ვაიმე, ავაიმე“.

ქართ. (ფშ.) აბაბა „შორისდებული გაკვირვება-გაოცებისა“.

ზან. (მეგრ.) ოპოპ || ოპოპო „შორისდებული განგამ-საშიშროების აღმნიშვნელი“.

მიუხედავად ქართველურ ფუძეთა აშკარა ონომატოპოეტური აგებულებისა ბგერათმეცნიერების თვალსაზრისით ქართ. ა : ზან. ო : სვან. ა დაცულია. ყურადღებას იქცევს ერთგვაროვანი ბ → პ გლოტალიზაციის პროცესი ლენტეხურ დიალექტსა და მეგრულში.

ს.-ქართვ. *აბაბა- „ვაი, ავაიმე“ → ქართ. აბაბა-ჲ : ზან. ოპოპო ← *ოპოპო : სვან. აბაბა-ჲ || აბაბჷ-ჲ → || აბაბჷ-ჲ || აბაბა-ჲა.

სვან. -აგ → || -აქ „დანიშნულების მაწარმოებელი სუფიქსი“ : ნან-აგ „დედულეთი“ ← ეტ. „სადედო“, ქაშ-აგ „ჩერქეზეთი, ჩერქეზი“, ტიტ-აგ || ტიტ-აშ „ტრიალი“, ჯგერ-აგ || ჯგირ-აგ || ჯგერ-აგ „წმინდა გიორგი“ (შდრ. მეგრ. ჯგერე „წმინდა გიორგი“) ← ეტ. „საწმინდაგიორგო“, ჩიჟე-აქ „სასიძო“, ჩი-აგ „ყველგან“...

ქართ. -აგ : ქად-აგ-ი, (მ)სუნ-აგ-ი, წახნ-აგ-ი...

ზან. -გ || -გა : ჯინ-გ-ი „საფეთქელი“, ყურდ-გ-ი „მყუდრო“, ხან-გა „გიჟი“, ქარ-გა „ჭრელი“...

ქართველური -აგ სუფიქსი ამოსავალში ისეთივე ფუნქციისა უნდა ყოფილიყო როგორც ნახურ ენათა -აგ, რომელიც სა-ს (სა-ვალ-ი, შდრ. სვან ნან-აგ, ჩიქე-აქ... ქართ. წახნ-აგ-ი, ზან. ცინ-გ-ი ← ცინ-აგ-ი „სა-ფეთქელი...“) და მ—ელ-ისაც (მ-სელ-ელ-ი, ქად-აგ-ი || მ-ქად-ნ-ელ-ი), შდრ. ინგ. ვ-ოლ-აგ „მომსვლელი; მოსავალი“, ე. ი. ვინც უნდა მოვიდეს“, ლო-გ ← ლო-აგ „წასასვლელი“, „წამსვლელი“... იმავე ოდენობა ჩანს აფხაზ. -გა „სა-“ : აჟაგ-გა „ბარი“ ← ეტ. „სათხრელი“, ა-ჟა-რა „თხრა“...

-აგ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქციის დაჩრდილვა ქართველურ ენებში უნდა გამოეწვია გვარის გრამატიკული კატეგორიის ჩასახვა-განვითარებას.

საერთოქართველური ფუძეების დონეზე -აგ სუფიქსის პოზიციურებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ ეთნონიმთა კვლევის პერსპექტივის თვალსაზრისით (აბაზ-აგ || აბაზ-გ, ქაშ-აგ...), როცა -აგ სუფიქსიანი სახელი, ვთქვათ, ქაშ-აგ აღნიშნავდა როგორც ჩერქეზ-ეთ-ს ← სა-ჩერქეზოს, ისე ჩერქეზ-(ელ-)ს...

ს.ქართ. *-აგ „სა-, -ეთ“, მ—(-ელ-) → ქართ. -აგ : ზან. -გ || ← -გა ←*-აგ-ა : სვან. -აქ || ← -აგ.

ქართ. აგარა „სადგური (სახლი) საზაფხულო“, აგარაკ-ი „სახლი მთაში“, ანგარი-ი „ეზოს ან ყანის საზღვარზე არსებული ბუნებრივი ან ხელოვნური ზღუდე“.

ზან. (მეგრ.) აგვარა || ანგვარა „საქონლის ჩასამწყვდევი, შემოღობილი ალაგი“, შდრ. ჭან. ონგორე „დირე, საკიდი“.

სვან. —.

ქართულ აგარა-ს შესატყვისად ზანურში *ოგორა უნდა მოეცა (შდრ. არტალა : ონტოლე/ო (გ. როგავა)); დღევანდელი მონაცემებით მსგავსი ფორმის არსებობაზე მსჯელობის შესაძლებლობას იძლევა სვანური აგორა ლნტ. „საქონლის ბაგი“, რომელიც ზანიზმად კვალიფიცირდება — აგორა ←*ოგორა. ანლაუტში ა/← ო მონაცვლეობა საკუთრივ ზანური (მეგრული) მოვლენაა: ოგაფა → || აგაფა „კავი, გუთანა“, ობედ-ი → || აბედ-ი... ე. ი. თავიდან აგარა-ს შესატყვისად ზანურში *ოგორა გვქონდა, საიდანაც ანლაუტური ო →/ა მონაცვლეობით აგორა მივიღეთ (შდრ. სვან. აგორა); შემდგომ ო → ვა (შდრ. ქორა → || ქვარა, ცონა → || ცვანა) გადაბგერებით, რაც მომდევნო ა-ს გავლენით აიხსნება, თანამედროვე ა(ნ)გვარა განვითარდა.

აფხაზური ა-გჟარა „ლობე“ ზანიზმია, ხოლო ა-ბოტრა შესატყვისია ქართველური აგარა-სი, მხოლოდ აფხ. ა-ბოტრა ←*ა-გჟოტრა (გჟ → ბ, შდრ. ქჟ → ფ : ქართვ. ქვირით-ი → აფხ. ა-ფართ-ა).

ქართველურიდანაა შესული ინდოევროპულ ენებში ფრანგული **han-gar** → რუსული **аггар**...

ს.-ქართ. ***ა-გარ-ა** „შემოდობილი ადგილი, სახლი, ბაკი“ → ქართ. **აგარა** || **ანგარ-ი** : ზან. **ა(ნ)გვარა** ← **აგორა** ← ***ოგორა**.

ქართ. **ა-გურ-ი**.

ზან. (მეგრ.) **ო-გურ-ი**, შდრ. **ოგურ-ხინჯ-ი** ხევი (ტობ.).

სვან. —.

აგური ზანურში (resp. მეგრულში) **ანგურა**-თი გადმოიცემა, რაც ქართულ **აგურ**-თან ადაპტირებული ფუძეა. **ა-გურ**- ფუძის კანონზომიერი შესატყვისი ზანური ეკვივალენტი **ო-გურ**- უნდა ყოფილიყო. იგი შემორჩენილია **ოგურ-ხინჯ-ი** ხევის აღმნიშვნელ სიტყვაში (სოფ. ფახულანი). აქ **ოგურ-ხინჯ-ი** = **აგურ-ხიდი-ი**, შდრ.: ჭუბურ-ხინჯ-ი = წაბლის ხიდი, ბული(შ)-ხინჯ-ი = ბალის ხიდი, თხუმ-ხინჯ-ი = თხმელის ხიდი., რომლებიც ადგილის (დედეების) სახელებია სამეგრელოში.

ა-გურ-/ო-გურ- (ქართ. **ა-** „პრეფ.“ : ზან. **ო-** „პრეფ.“ იხ. აქვე) შეპირისპირება გამორიცხავს ქართული **აგურ**-ი სიტყვის სპარსულიდან წარმომავლობის შესაძლებლობას.

ს.-ქართ. ***ა-გურ-** „აგური“ → ქართ. **ა-გურ-ი** : ზან. **ო-გურ-ი/ა** → || **ა-ნგურ-ა**.

სვან. **ალ-ა** ბზ., ლშხ., **ალ-ი** ბქ., **ალ-ე** ქს. „ეს, ეგ“, მრ. რ.: **ალ-ი-ჲრ** || **ალ-ჲ-არ** ზს., **ალ-ჲ-არ** ლშხ., **ალ-მინ** → || **ამ-ნილ** ლნტ.

ქართ. **ამ-ა**, **ამ-**.

ზან. **ამ-**, **ამ-არ-ი** „აგერ“, ჭან. (ჭ)ამ-...

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართ. **ამ-**(ა) ჩვენებით ნაცვალსახელთან დაკავშირებულია სვანური **ამაჟ** „აქამდე“, **ამა**-ს ფუძეები, რაც მისაღებია (გ. კლიმოვი, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე). მაგრამ ამავე ფუძეებს ვერ დავაცილებთ სახელობითის ფორმებში დადასტურებულ სვანურ **ალ-ა** || **ალ-ი** || **ალ-ე** ალმორფებს. ამგვარი შეპირისპირების შესაძლებლობას იძლევა ბგერათმეფარდება ქართ. **მ** : სვან. **ლ**, რასაც **მ** → **ლ** ფონეტიკური პროცესი დაედო საფუძვლად (ამის შესახებ იხ. აქვე, § 9). რატომ განხორციელდა **მ** → **ლ** სახელობით ბრუნვაში, ხოლო დანარჩენ ბრუნვებში ისტორიული **მ** შენარჩუნდა? პასუხი ერთია: სახელობითში ძირეული **მ** ინტერვოკალურ პოზიციაში მკვიდრად იჯდა, ამიტომაც **მ** → **ლ** გადასვლას წინ ვერაფერი აღუდგებოდა, განსხვავებით არანომინატივური ფუძეებისა, სადაც ისტორიულ **მ**-ს თითქმის ყოველთვის თან ახლდა ესა თუ ის თანხმოვანი, რაც ზღუდავდა **მ** → **ლ** გადაბგერებას სვანურში —

შდრ.: **ამ-ნემდ** || **ამ-ნემდ**, **ამ-ნომ** || **ამ-ნოტუმტ**, **ამ-ნპრდ** || **ამ-ნპრილდ**, **ამ-დ**, **ამ-ნემიმ** || **ამ-შა...**

ს.-ქართვ. ***ამ-(ა-)** „ეს, ეგ“ → ქართ. **ამ**, **ამ-ა** : ზან. **ამ-** → || **ჰამ-** : სვან. **ალ-ა** || **ალ-ი** || **ალ-ე** || ← **ამ-ა**.

ქართ. **ალალ-ი** „ოლოლი“.
ზან. **«ოლოლი-ი»** „ზარნაშო, დიდი ბუ“.
სვან. —.

ქართული **ალალ-**ის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ზან. **ოლოლი-**, რომელიც შემონახულია ქართული ენის დიალექტებში. **ოლოლი-**ი საბას ლექსიკონშიც ფიქსირდება, რაც მის ადრეულ ნასესხობაზე უნდა მეტყველებდეს.

ს.-ქართვ. ***ალალ-** „ზარნაშო“ → ქართ. **ალალ-ი** : ზან. **ოლოლი-ი**.
ქართული ენის ფშაურ დიალექტში მსგავსი მნიშვნელობით დასტურდება **ოდოდ-**ა ფორმა, რაც ნახურ ენათაგან არის შეთვისებული, შდრ.: ინგ. **‘ოდოდ**, ჩაჩნ. (ქისტ.) **ჟადჟად** „ოფოფი“. თუ გავითვალისწინებთ **ლ** → **დ** გადასვლის შესაძლებლობას ნახურ ენებში, ს.-ქართვ. **ალალ-** : ს-ნახ. **ოდოდ** საერთო წარმომავლობის სიტყვებად მიიჩნევა.

სვან. **ანკრ** || **ჰნკრ** „ეჭვი, გუმანი“.
ქართ. **ანკრ-**, გურ. **ანკრ-ათ** „ჭორად ნათქვამი“.

ზან. (მეგრ.) **აკან-ო** ← ***ოკან-ო** „ბუნდოვნად; საეჭვოდ“, **აკან-ო** ვორწყექ „ბუნდოვნად ვხედავ“.

მეგრულში შენახული **ა**, რომელიც საერთოქართველურ **ე**-ს ასახავს, სხვა ქართველურ ენებში დაკარგულია. მისი ზეგავლენითაა **ა** → **ჰ** პალატალიზაცია სვანურში განხორციელებული.

ს.-ქართვ. ***ანკერ-** „ეჭვი, ჭორი; ბუნდოვანი“ → ქართ. **ანკრ-** : ზან. **აკან-** ← ***ოკან-** : სვან. **ანკრ** || **ჰნკრ** ← ***ანკერ**.

ქართ. **ანტრ-**, მოხ. **ანტრ-ად** „მრავლად, ძალიან ბევრი“.
ზან. (მეგრ.) **უნტრ-ო(თ)** „მრავალი, მრავლად“.
სვან. —.

შესაბამისი სვანური ფუძე ვერ გამოვავლინეთ.

თავკიდური **ა** ქართულში და **უ** (← **ო**) მეგრულში ძირეული არ ჩანს, ხმოვანბრეფიქსია.

ს.-ქართვ. ***ანტრ-** „მრავალი, ბევრი“ → ქართ. **ანტრ-ად** : ზან. **უნტრო(თ)** ← ***ონტრ-ოდ**.

ქართ. **ატოლ-ი** „ლიმი“.
ზან. **ᲞᲗᲗᲗ-ი Ი ᲞᲗᲗᲗ-ე** „ერთგვარი ქლიავია, მსხვილი და მკვრივი ნაყოფი აქვს“.

სვან. —.

საკუთრივ **ოტურ-ი Ი ᲞᲗᲗᲗ-ე** ალომორფები დღევანდელ ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ცოცხალ მეტყველებაში არ შეგვხვდრია, მაგრამ შემორჩენილია ზანიზმის სახით ზემო აჭარულში, გურულსა და მესხურში **ოტურ-ი** ფორმით, ხოლო ლეჩხუმურში — **ორტოლ-ე** ←***ოტოლ-ი**.

ატოლ-/ოტურ- ფუძეთა სვანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ **ტ** → **თ** (შდრ. ქართ. **ტუნ-ი** : სვან. **თჷელ** ←***ტჷელ**) განმკვეთრების პროცესს სვანურში, აქვე შამოვიდოდა: **ანთრ-ოლ** ზს., **ანთრ-ო** ლშხ. „მსხვილი ვაშლი“.

ს.-ქართვ. ***ა-ტოლ-** „ლიმი; ქლიავი ერთგვარი“ → ქართ. **ატოლ-ი** : ზან. **ორტოლ-ე Ი ᲞᲗᲗᲗ-ი** ←***ოტოლ-ი** : სვან. **ანთრ-ოლ Ი ანთრ-ო** ←***ანტოლ-(ოლ)** ←***ატოლ-(ოლ)**.

ქართ. **არგან-ი** „ჯოხი“, „არგანი არს კვერთხის უსხოსი (საბა)“.

ზან. **არგუნ-ი** „ნაჯახი“.

სვან. —.

ანლაუტში ქართ. **ა** : ზან. **ა** შეფარდება მეორეულია, იგი შედეგია **ო** → **ა** სპორადულ-სპონტანური გადაბგერებისა ზანურში, შდრ. **ობედ-ი** → **აბედ-ი**, **ოგაფა** → **აგაფა**, **ოლაგე** → **ალაგე**, **სოლ-ი** → **სალ-ი** (ქართ. **სოლ-ი**), **ოკანო** → **აკანო...** ე. ი. **არგან-ის** შესატყვისად **ორგუნ-ი** უნდა გვქონოდა მეგრულ-ჭანურში.

საინტერესოა ქართველურ ენათა ჩვენება სემანტიკის დონეზე. აქ ქართულ **ხის ჯოხს** ზანურში **ნაჯახი** შეესატყვისება. ამ მომნაცემიდან ხომ არ გამომდინარეობს, რომ ეტიმონი **ხის ცული** იყო წინარექართველურში. საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

ს.-ქართვ. ***ა-რგ-ან-** „ხის ჯოხი, ცული“ → ქართ. **არგან-ი** : ზან. **არგუნ-ი** ←***ორგუნ-ი**.

სვან. **ა-რშეილ** ზს., **ლნტ.**, **ა-რშულ** ლშხ. „ნიფხავი“.

ქართ. **ცვალ-**, **სა-ცვალ-ი**.

ზან. —.

სვანური სიტყვისათვის ამოსავალი ჩანს ისტორიულად დაკარგული ***(რ)შეილ-/*(რ)შეელ-** (←***ჩჷელ-**) აბლაუტური ზმნური ფუძე, ისევე როგორც ქართულში — **ცვალ-**.

ზანურის დიალექტებში შესაბამისი ძირი არ არის გამოვლენილი. თუმცა სემანტიკური მიმართება **ცვალ-** → სა-**ცვალ-** ი დაცულია, შდრ.: მეგრ. გუმა-**თირ**-ალ-ი „საცვალი“ **თირ**-უ-ა „გამო¹ცვლა“.

ს.-ქართვ. ***ცუალ-** „ცვლა“ → ქართ. **ცვალ-**, სა-**ცვალ-** : სვან. **ა-რშულ** || **ა-რშუილ** ←***ა-ჩუილ**.¹

ქართ. **ასპინძ-**, მ-**ასპინძ-**ელ-ი.

ზან. (მეგრ.) მ-**ინჯ-**ე, ჭან. მ-**ანჯ-**ე „პატრონი“, უ-მ-**ინჯ-**ურ-ი „უბატრონო“, უ-მ-**ინჯ-**ენ-ს „უბატრონებს“.

სვან. —.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია ქართული **მასპინძელ-** სიტყვის სომხურიდან მომდინარეობის ვერსია (ი. ყიფშიძე, ა. ჩიქობავა, ილ. აბულაძე...). მაგრამ ქართველურ ენებს შორის დადასტურებული ბგერათმეცნიერების ცვლილება ქართ. **ძ** : ზან. **ჯ** უძველესია და ნასესხებ სიტყვებში არ დასტურდება. თუ სესხებაზე იქნება საუბარი, უბრალოდ უკუპროცესის დაშვება.

მ-**ასპინძ-**ელ — მ-**ა/ინჯ-**ე შეპირისპირებაში **სპ-** თანმიმდევრობის გაუჩინარება ძალაუფლებურად მოგვაგონებს ანალოგიურ ვითარებას ადრე ცნობილი დაკავშირებიდან, შდრ.: ქართ. **(ს)პილენძ-** : ზან. **ლინჯ-**ი (ა. ცაგარელი). აქვე შემოსატანია სვანური **ბერეუ** „რკინა“, რომელსაც შენარჩუნებული აქვს თავიდაც **ბე-** ← **პი-** პრეფიქსი². გამოდის, რომ **ასპინძ-** ფუძე სომხურმა მაშინ შეითვისა, როცა ქართულში **ს** უკვე განვითარებული იყო ფონეტიკურ ნიადაგზე **პ-**ს წინა პოზიციაში: **პარს** → **სპარს**, **პა** → **სპა** (მზ. ანდრონიკაშვილი).

ქვემო სვანური **მიმეჯე** „მოკეთე, ნათესავი“ მეგრულიდან არის ნასესხები.

ს.-ქართვ. ***ა-პინძ-** „პატრონობა, მასპინძლობა“ → ქართ. **ასპინძ-**ა (ტოპ.), მ-**ასპინძ-**ელ-ი : ზან. მ-**ინჯ-**ე || მ-**ანჯ-**ე ←*მ-**(ს)პინჯ-**ე ←*მ-**ოპინჯ-**ე³.

სვან. **აფსანდ** ბზ., **აფსათ** ბქ., **აფსანთ** || **აფსანდ** ლშხ. „გარეულ ნადირთა ღმერთი“.

ქართ. **აფთარ-**ი (ცხოვ.).

ზან. (მეგრ.) **ანთარ-**ი „შინაური საქონლის მფარველი ღმერთი“.

¹ შეიძლება გვეფიქრა სვანური **არშულ** || **არშუილ** „ნიფხავი“ სიტყვის კანონზომიერ შესატყვისობაზე ქართ. **ასალა** : ზან. **ოსარე** „ნიფხავი“ სიტყვებთან, რასაც გადაულაზავი ფორმალური წინააღმდეგობები ახლავს.

² შდრ. ქართ. **პი-ტალ-ი/ო**, -**ტალი-** : ზან. -**ტოლ-ი**. ისტორიული **პი-** ზანურმა აქაც დაკარგა (**პი-ლენძ-**ი : **ლინჯ-**ი).

³ ქართული **უნჯ- მე-უნჯ-ე** „მცველი“ სიტყვაში ზანიზმი ხომ არ არის — ქართ. **ასპინძ-** : ზან. **უნჯ-** ←***ოპინჯ-**?

ქართველურ ენებს შორის დადასტურებულ ბგერათშესატყვისობათა ჩვენების მიხედვით ქართულ **აფთარ**- ფუძეს სვანურში **აფშდარ** უნდა მოეცა (ქართ. **თ** : სვან. **შდ** ← **შთ**), გვაქვს კი **აფსანდ** ←***აფსდას**. ერთი შეხედვით, უჩვეულოა ქართ. **რ** : სვან. **ს**, მაგრამ ფაქტია, **რ** → **|| ს** სუბსტიტუცია სვანურისთვის დამახასიათებელი პროცესია (შდრ.: სვან. ფან-თქრის || ფანთქურ : ზან. ფუთქურ-ი, სვან. **ტრის** : ქართ. **ტვერ**-„მტვერი“ (იხ. აქვე)...) და ეს ჩანს ამ შეპირისპირებაშიც — **აფთარ**- : **აფსანდ** ←***აფშდას** ←***აფშთას**. **დ/თ**-ს გადასმა სიტყვის ბოლოში განპირობებულია **ფშდ** რთული კომპლექსის სუბერაციით.

მოულოდნელი არც იმაშია რამე, რომ ცხოველის აღმნიშნელი სიტყვა ნადირთა ღმერთად კვალიფიცირებულიყო; მით უფრო ამგვარ გააზრებას ხელს უწყობდა **აფთართან** დაკავშირებული უძველესი რწმენა იმის შესახებ, რომ მას უნარი აქვს თავისი ხმა მიამსგავსოს ადამიანისას და მსხვერპლი მიიტყუოს... უძველეს ადამიანებს სწამდათ, რომ **აფთარი** ბიქსესუალურია; მას საკუთარი სურვილით შეუძლია ხან მდებრი იყოს და ხანაც მამრი (ი. ქერქაძე). **აფთართან** დაკავშირებული რწმენა მისი მრავლისშემძლეობის შესახებ ხელს უწყობდა მის გაღმერთებასაც.

ქართულში **აფთარ**-ი ღმერთის მნიშვნელობით არსად დასტურდება, რომ ჰქონდა მას ამგვარი დატვირთვა ნათლად ჩანს მეგრულ **ანთარ**-ში, რომელიც ფონეტიკური ვარიანტია ქართული **აფთარ**-ისა; აქ **ფთ**-ს შეუძლებლობის გამო **ფ** ჩავარდა, რომლის ადგილიც მოგვიანებით **ნ**-მ დაიკავა — **აფთარ**-ი → ზან. **ათარ**-ი (შდრ. აფხაზ. (← მეგრ.) **აფთარ**) → **ანთარ**-ი. ქართულ **აფთარ**-ს, როცა იგი მეგრულმა შეითვისა, ნადირთა ღმერთის მნიშვნელობა უკვე ჰქონდა (გადაჰყვა).

საკუთრივ ზანური შესატყვისი საერთოქართველური **აფთარ**- ნადირთა ღმერთისა შემონახულია, როგორც ამას სამართლიანად ვარაუდობდა ივანე ჯავახიშვილი, ხევსურულ **ანატორ**-ი ღვთაებაში; ოღონდ **ანატორ**- ←***ანტორ**- (**ნ**-ს გავლენით **ნთ** → **ნტ** : **ანთია/ონტუ** (ქ. ლომთათიძე)) ←***ოფთორ**-, შდრ. ნა-**ოფთგრ**-ი (ტობ.) = ქართ. ნა-**აფთარ**-ი.

ქართული **აფთარ**- ფორმის საკუთრივ ზანური (მეგრულ-ჭანური) სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისი შემონახულია ასევე ცნობილი კომპოზიტის მეორე ნაწილში, შდრ. **ოჩ-ობინტრე** ← **ოჩ**-***ობტირ**-ე, რომელიც ითარგმნება **ვაც-აფთარ**-ად. აღდგენილი **ოჩ**-***ობტირ**-ე ← **ოჩ**-***ოფთგრ**-ე ← **ოჩ**-***ოფთორ**-ე ჭანური დიალექტის კუთვნილებაა, რაზეც სახელობითი ბრუნვის -ე სუფიქსი მიუთითებს (მეგრ. კუჩხ-ი/ჭან. კუჩხ-ე...). პტ || ფთ სუბსტიტუცია ჭანურიდან სესხებისას არის სავარაუდო (**ვით**- || **ვიტ**- „ათი“...).

შესაძლებლად მიიჩნევენ სვანური **აფსად**-ის კავშირს თრაკიულ-სომხურ **საბადიოს-ასჟათ** ღვთაებასთან (ნ. მარი).

ს.-ქართვ. ***აფთარ**¹ „ნადირთა ღმერთი“ → ქართ. **აფთარ**-ი : ზან. **ანატორ**-ი ←***ანტორ**-ი ←**ონთორ**-ი ←***ოფთორ**-ი : სვან. **აფსათ** || **აფსათ** || **აფსანდ** || **აფსანდ** ←***აფსდას** ←***აფშთას** || ***აფშთარ**.

სვან. **აშდᲚᲗ** ლშხ., **ჰაშდᲗ** || **ჰაშდეკუ** ზს., **აშტაკუ** ლნტ. „ხვლიკი“.

ქართ. **ასთაკვ**-ი || **ასთაკვ** „დუმიანი კიბორჩხალი დიდი (საბა)“.

ზან. —.

ქართული **ასთაკვ**-ი ცნობილია ძველი ქართულიდან. საბას ლექსიკონში იგი განიმარტება როგორც „დუმიანი კიბორჩხალი დიდი“; რუსულ-ქართულ ლექსიკონებში **ასთაკვ**-ის ფარდი ლექსემაა რუსული **омар** (შდრ. ფრანგული **homard**).

ასთაკვ-ის კანონზომიერი შესატყვისია სვანურში დადასტურებული **ჰაშდᲗ** → || **ჰაშდეკუ** ზს., **აშდეკუ** ლშხ., **აშტაკუ** ლნტ. „ხვლიკი“. სემანტიკური მიმართების ისტორიის თვალსაზრისით, სვანურის ჩვენება უფრო ძველად გვესახება — ხვლიკი → დიდი კიბორჩხალი. ანლაუტური **ჰ** სვანურ ფორმებში ფშვინვიერ შემართვას ასახავს.

დიდი ღირებულების ჩანს **სთ** კომპლექსის პოზიტივიზაცია წინარექართველურის დონეზე; ბგერათშესატყვისობა ქართ. **სთ** : სვან. **შთ** → **შდ/შტ** უნიკალურია (შდრ. ქართ. სა-**სთუმ**-ალ-ი : ზან. ო-**რთუმ**-ელ-ი : სვან. **შდიმ/შტიმ** „ყური“ (ე. ოსიძე)).

ბერძნული **αστακός** (ასთაქოს) „დუმიანი კიბორჩხალი“ იმეორებს ქართულის სემანტიკას, რაც უშუალოდ ქართულიდან (და არა საერთო-ქართველურიდან) სესხებას გულისხმობს. გასარკვევია, ბერძნული **ოსთრაკუ** || **ოსთრაკონ** „კუს სახეობა“ ზანურ ***ოსთრაკუ**-ს ხომ არ ვარაუდობს წყაროდ?

ს.-ქართვ. ***ა-სთაკუ**- „ხვლიკი“ → ქართ. **ასთაკვ** || **ასთაკვ**-ი : ზან. ***ოსთრაკუ** ←***ოსთარკუ**(?) : სვან. **აშტაკუ** || **ჰაშდეკუ** || **აშდᲚᲗ** || **აშდეკუ** ←***აშთაკუ**.

წინარექართველურიდან მომდინარე ს.-ქართვ. ***ა-სთაკუ** სახელს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: აფხაზ. (აშხარ.) **ა-შთანწიგ** ←***ა-შთაკ** „გველი“: ჩაჩნ. **შალყა**, ინგ. **შო/ულყა** ← ს.-ნაზ. ***შალკუ**-ა „ხვლიკი“ (წ.-ნაზ. ***სთაკუ**-ა) : ხუნძ. **ჩაუთ** || **შაუთ** ←***შაუთკო**, ანდ. **კონჩაუ**, ახვან. **კანცაარა**., ლაკ. **ყურშალა**, არჩ. **უნშა-ლა** ←***ყუნშალა**, თაბ. **ჩურჩულ** ←***ჯუნჩულ** „ხვლიკი“, წახ. **ხონა** ← **ტონა** „გველი“... ხუნძურის ჩვენება (**თ**) ძვირფასია წინარედალესტნური **სთ** → || **შთ** კომპლექსის რეფლექსების ძიების გზაზე (შდრ. მისი შესატყვისი

¹ წინარექართველურში ***აფთარ**- ფორმას მგლის შინაარსი ხომ არ ახასიათებდა: მგელი → აფთარი შეუძლებელი არ ჩანს, ე. ი. ***აფთარ**- წინარექართველთა ტოტემია.

ნახ. ენ. **ლ**, ანდ., ახვახ., არჩ. **ნ** → ლაკ., თაბ. **რ**) — წ.-დად. ***სთაკჷ**
„გველი, ხვლიკი“ → ს.-დად. ***კასთჷ**.

სვან. **აჰწრ** ბქ. „საქსოვი დაზგის საყრდენი ნაწილი“.

ქართ. **აყარ**-ი „სხვენის ლატანი, გინა საკიდრისა (საბა)“, ინგლ.
„სხვენი“, ქართლ. **აყრ**-ებ-ი „სხვენზე გადებული ორი ძელი, რომელზედაც
საკიდელაა ჩამოკიდებული“.

ზან. —.

ქართულ-სვანურ ლექსემებს აერთიანებთ საყრდენი, საკიდარ/საკიდე-
ლი ძელის სემანტიკა.

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით საყურა-
დღებოა შესატყვისობა ქართ. **ყ** : სვან. **ჭ**, რასაც საფუძვლად **ყ** → **ჭ** ფო-
ნეტიკური პროცესი დაედო (იხ. აქვე, § 34. **ყ** → **ჭ**).

ს.-ქართვ. ***ა-ყ-არ**- „საყრდენი, საკიდელი ძელი; დირე“ → ქართ.
ა-ყარ-ი : სვან. **ა-ჭწრ** ← ***აყარ**.

სვან. **-წრ** ბზ., **-წრ** ბქ., ლნტ., **-წრ** ლშხ. „კუთვნილების აღმნიშვნელი
სუფიქსი“ (წიდ-**წრ** ბზ., წიდ-**წრ** ბქ., ლნტ., წიდ-**წრ** „ჭუჭიანი“, წიდ „ჭუ-
ჭყი“; თაშ-**წრ** ბზ., თაშ-**წრ** ლშხ., თაშ-**წრ** ლნტ. „ყველიანი; ხაჭაპური“,
თაშ || **თაშ** „ყველი“...).

ქართ. **-ან** (-ეგ-**ან**, -ე-**ან**, -ი-**ან**, -ოვ-**ან**, -ოს-**ან**...).

ზან. **-ონ** (ჭუბუტრ-**ონ**-ი „წაბლიანი“, ჯუმ-**ონ**-ი „მარილიანი“, ყვილ-
ონ-ი „ძვლოვანი“...).

ს.-ქართვ. **-ან** სუფიქსს სვანურში **-ან** უნდა მოეცა, მაგრამ **ნ** → **რ**
გადასვლით **-არ** მივიღეთ (იხ. აქვე § 12. **ნ** → **რ**).

ს.-ქართვ. ***-ან** „იანი“ → ქართ. **-ან** : ზან. **-ონ** : სვან. **-წრ** || **-წრ** ||
-წრ ← ***-ან**.

სვან. **-წრ** ზს., ლნტ., **-არ** ლშხ. „სახელთა მრ. ნიშანი“.

ქართ. **-ნ** (ქვა-**ნ**-ი, წყალ-**ნ**-ი...).

ზან. **-ონ**.

ზანურ-სვანური მონაცემებით ქართულში **-ან** იყო მოსალოდნელი,
მაგრამ სახელებში **-ან** აღარსად არ ჩანს მრავლობითობის სუფიქსად; ა
ყველგან ჩავარდნილია **-ან** → **-ნ**. ტოპონიმებში გავრცელებული **-ან** (ტი-
ბა-**ან**-ი, გურჯა-**ან**-ი...) სუფიქსი წარმოშობით მრავლობითობის სრულ **-ან**
სახეობას წარმოადგენს.

შეიძლება მრავლობითობის **-ან** და კუთვნილების გამომხატველი ს.-
ქართვ. **-ან** საერთო მონაცემი იყოს.

ბ

სვან. **ბაბან-იკ** ლშხ., ლნტ. „ძვრა, განძრევა“, ა-ბზბ-ე ბზ., ლშხ., ა-ბაბ-ე ბქ., ლნტ. „ანიავებს“ ← ეტ. „ათრთოლებს, შეანძრევს“.

ქართ. (ქართლ., მოხ., ფშ., გუდამაყრ.) **ბაბან**-ი „კანკალი, თრთოლა, ძაგდაგი“; **ბაბან**-ი „სიცივის აყოლის ხმა (საბა)“.

ზან. —.

ს.-ქართვ. ***ბაბ-ან**- „ნიავი, რხევა“ → ქართ. **ბაბან**-ი : სვან. **ბაბ-**, **ბაბ-ან-იკ**.

ქართ. **ბაგვ**-ი „მატყლის სქელი წინდა თოვლში სასიარულოდ“; „ნაბდის თბილი, ყელიანი ფეხსაცმელი“.

ზან. (მეგრ.) **ბუგ**-ი „მატყლის თბილი ფეხსაცმელი“.

სვან. —.

სვანურში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი.

ზანური **ბუგ**- კანონზომიერად ასახავს საერთოქართველურ ***ბაგჷ**-ძირს. თავდაპირველად ზანურში ***ბოგვ**- უნდა გვქონოდა, მაგრამ ამ ტიპის ფუძეები აქ ტრანსფორმაციას განიცდიან; კერძოდ, აუხლაუტური **გ** ერწყმის წინამავალ ინტერკონსონანტურ **ო** ხმოვანს, რის შედეგადაც **ო** → **უ** გადაბგერება ხორციელდება, შდრ.: ქართ. **დათვ**-ი : ზან. **თუთ**-ი ← ***დოთვ**-ი; ქართ. **თაგვ**-ი : ზან. (მ)**თუგ**-ი ← ***თოგვ**-ი; ქართ. **ლაღვ**-ი (შდრ. მო-**ლაღურ**-ი ← ***ლაღვ**-ურ-ი) „ლეღვი“ : ზან. **ლუღ**-ი ← ***ლოღვ**-ი...

ს.-ქართვ. ***ბაგჷ**- „მატყლის თბილი ფეხსაცმელი (წინდა)“ → ქართ. **ბაგვ**-ი : ზან. **ბუგ**-ი ← ***ბოგვ**-ი.

ქართ. **ბად**-, ნა-**ბად**-ი.

ზან. (ჭან.) **ლი-ბად**-ი „ბალტო, მოსასხამი“.

სვან. —.

ჭანურ **ლი-ბად**-ი სიტყვაში გამოყოფილი **ლი**- ← ***ნი**- (შდრ. ნე-რ-წყ-ვ-ი : ლე-მჰკ-ვ-ა) პრეფიქსი ისტორიულად ქართულისთვისაც **ნი**-ს გვავარაუდებინებს; **ი** → **ა** გარდაქმნა ასიმილატიურია — ქართ. ნა-ბად-ი ← ***ნი-ბად**-ი.

ძირად გამოყოფილი **ბად**- იგივე ჩანს, რაც ქართ. **ბად**-ე, **ბად**-ე-ნი : ზან. **ბოდ**-ა : სვან. **ფატ**-ან || **ფატ**-ან „პერანგი“ (იხ. აქვე) სიტყვებში.

ს.-ქართვ. ***ნი-ბად**- „ნაბადი“ → ქართ. **ნა-ბად**-ი ← ***ნი-ბად**-ი : ზან. **ლი-ბად**-ი ← ***ნი-ბოდ**-ი.

სვან. **ბადუ** ზს., **ბანდუ** ლნტ., **ბიდ** ლშხ. „ფეტვის, კანაფის, სელის ჩენჩო“.

ქართ. (აჭარ., გურ.) **ბონდო** „ხმელი ბალახები ერთად თავმოყრილი“. ზან. **ბურდუ**.

ქართული ენის დიალექტებში დადასტურებული **ბურდუ** თავისი გამოვანებით ზანიზმი ჩანს.

სვანურში ამოსავალ სახეობად ***ბოდუ** → ***ბიდუ** ლშხ. უნდა დავსახოთ, საიდანაც, მ. ქალდანის წესის მიხედვით, ჯერ **ბანდუ** ლნტ., ხოლო შემდგომ **ბადუ** ზს. განვითარდა — ***ბიდუ** → **ბანდუ** || → **ბადუ**. აუსლა-უტური -**ო** ქართულში, -**უ** ზანურში და -**უ** (←**ო**) სვანურში შეიძლება აფიქსური იყოს.

ს.-ქართვე. ***ბონდ-ო** „ჩენჩო“ → ქართ. **ბონდო** : ზან. **ბურდუ** : სვან. **ბანდუ** || → **ბანდუ** ←***ბიდუ** ←***ბოდუ**.

სვან. **ბალ-ე** ბზ., ლშხ., **ბანლ-იდ** ბქ., **ბანლ-ე** ლხმ., ლნტ. „ფოთოლი“. ქართ. **ბელ-**, **ბელ-ვ-ა**, **გადა-ბელ-ავ-ს** „ფოთლებსა და ტოტებს ჩამოაჭრის“.

ზან. (მეგრ.) **ფალ-**, **ფალ-უნ-ს** „შეიფოთლება“, **გო-ფალ-ირ-ი** „შეფოთლილი“, **ფალ-უ-ა** „ყვავილება, შეფოთლვა“, **მა-ფალ-უ** „აღმომცენარე“.

სვანური **ბანლ-** და ზანური **ფალ-** ფუძეების ნათესაობა ცნობილი ფაქტია (გ. როგავა). ჩვენი ვარაუდით, ამასვე უკავშირდება ქართული **ბელ-** ზმნური ფუძეც, რომელიც **გადა-ბელ-ვ-ა** სიტყვაშია შემორჩენილი.

ქართულსა და მეგრულში **ბელ-/ფალ-** ← ***ბალ-** ისტორიულად ნასახელარი ზმნა ჩანს, რომელსაც საერთოქართველური ***ბელ-** „ფოთოლი, ყვავილი, ტოტი“ სუბსტანტივი დაედო საფუძვლად. ერთ შემთხვევაში ენამ ფოთოლ/ტოტის ჩამოჭრის აღსანიშნავად გამოიყენა სახელური ფუძე (ქართულში), მეორეგან პირიქით — **ფოთოლ/ყვავილის** მოსხმა გახდა ძირითადი (მეგრულში). ეგვე **ბელ-** ძირისაა ქართული **ბალ-ან-ი** ←***ბელ-ან-ი** სიტყვაც (**უ-ბელ-ო**) (იხ. აქვე).

ს.-ქართვე. ***ბელ-** „ფოთოლი, ყვავილი, ტოტი“ → ქართ. **ბელ-ი**, **ბელ-** : ზან. **ფალ-** ←***ბალ-** : სვან. **ბალ-ე** || ← **ბანლ-ე** ←***ბელ-ე**.

სვან. **ბალ-ე** „ბეწვი“.

ქართ. **ბალ-ან-ი** „ბეწვი, თმა“.

ზან. —

ძირად **ბალ-** გამოიყოფა; ქართ. **-ან**, სვან. **-ე** დამოუკიდებელი სადერეივაციო სუფიქსებია, რომლებიც ფონეტიკურად ერთმანეთზე არ დაიყვანება.

ზანურში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვავლინეთ. ძნელი სათქმელია, ასახავს თუ არა ქართული **ბულ-ულ-**ი ზანურ ეკვივალენტს. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. ***ბალ-** „თმა, ბეწვი“ → ქართ. **ბალ-**ან-ი : სვან. **ბალ-**ე.

ქართ. **ბანც-** || **ბარც,** **ბანც-**ალ-ი, **ბაც-**ბაც-ი, **ბარ-**ბაც-ი.

ზან. (ჭან.) **ბორ-**, **ო-ბორ-**უ „ბორძიკი“, მე-გ-ა-**ბორ-**ა-ს „წაგებორძიკოს“, მეგრ. **ფორჩ-**, **ფორჩ-**უ-ა „ძირს დაცემა“, ქაშა-**ფორჩ-**უ „ძირს დასცა (მრავალი)“.

სვან. —.

ქართველური ენებისთვის ამოსავალია ***ბარც-** არქეტიპი; ასე რომ:

ქართ. **ბარ-**ბაც-ი ← ***ბარც-**ბარც-ი, **ბანც-**ალ-ი ← ***ბარც-**ალ-ი (შდრ. მანგ-ალ-ი/მარგ-ლ-ავ-ს); თუმცა ამ ტიპის (სიმბოლიკური) აგებულების სიტყვებში რწ სონანტთა სიჭარბე ან არარსებობა ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს.

საერთოქართველურ ***ბარც-** ფორმას ზანურში ***ბორჩ-** მოუცია, რაზეც მეგრული **ფორჩ-** ← ***ბორჩ-** მეტყველებს, ჭანურში **რ-**ს გაუჩინარება ჩვეულებრივი მოვლენაა — **ბორ-** ← ***ბორჩ-**.

ს.-ქართვ. ***ბარც-** „ბორძიკი, ბორძიკით სიარული (დაცემა)“ →

ქართ. **ბანც-** || ← **ბარც-**, **ბაც-**ბაც-ი, **ბარ-**ბაც-ი ← ***ბარც-**ბარც-ი : ზან. **ბორ-** || **ფორჩ-** ← ***ბორჩ-**.

სვან. **ბაჟ** „ჭკუა, გონება, გონი (გრძნობა), ცნობა, ცნობიერება“; **ბაჟ-**ინჷ || **ბაჟ-**ჷანჷ || **ბაჟ-**იანჷ „გონიერი, ჭკვიანი, დაკვირვებულნი“, ლი-**ბჟ-**ინ-ე ბჷ., ლ-შჷ., ლი-**ბჟ-**ინ-ე ბჷ., ლი-**ბჟ-**ინ-ე ლნტ. „შეტყობინება“, ხ-ა-**ბჟ-**ინ-ე „ატყობინებს“, ხ-ა-**ბჟ-**ა, ხ-ა-**ბაჟ-**ა „ეჩვენება, ჰგონია“, **ბჟ-**ინ „მაცნე“.

ქართ. **მზ-ერ-/მზ-ირ-**, **მზ-ირ-**ი, გა-**მზ-**ნ-ილ-ი (ქიზიყ.) „ძალიან ნა-სწავლი, გამოცდილი, ბევრის მნახველი“.

ზან. (მეგრ.) **ბჟ-ინ-**, გო-**ბჟ-ინ-**აჷ-ა „ყველასთვის შეტყობინება“, გო-**ბჟ-ინ-**აჷ-ილ-ი „საქვეყნოდ გამოტანილი“.

ქართველურ ენებში ძირად გამონაწევრებული **მზ-**, **ბაჟ-** || **ბჟ-**, **ბჟ-**ინ- ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს **მზის** აღმნიშვნელ სათანადო ძირებს (შდრ. ასევე ქართ. **მზ-**ნ-ელ-ი, სა-**მზნ-**ელ-ი (საბა)).

ს.-ქართვ. ***მზ-**ნ-/**მზ-**ინ- „შეტყობინება, ცნობა“ → ქართ. **მზ-ერ-** || **მზ-ირ-**, **მზ-**ინ- || **მზ-**ნ- : ზან. **ბჟ-ინ-** : სვან. **ბაჟ** || **ბჟ-**, **ბაჟ**, **ბჟ-**ინ- ...

სვან. ბარ- || ბწრ- || ბირ-, ხ-ა-ბრ-ე (ა-ხ-ბირ) ზს., ლნტ., ხ-ა-ბრ-ე ლშხ. „აკლებს“, ხ-ე-ბრ-ენ-ი ზს., ლშხ., ხ-ე-ბერ-ენ-ი (ამ-ე-ბარ) ლნტ. „აკლდება“, ლი-ბერ „გამოკლება“, ბწრ-ა „კლება“.

ქართ. ბარ- || ბრ-, ვ-უ-ბრ-ი, გამო-ვ-უ-ბარ-ე.

ზან. (მეგრ.) ფორ-ა „ნაკლი“.

ქართულ-სვანურ ფუძეთა ერთიანობა ადრეც იყო შენიშნული (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). საერთოქართველური *ბარ- ძირისგან მომდინარედ მიიჩნევა ზანური ფორ-ა, რომელიც ნაკლის აღმნიშვნელია.

ფორ-ა მასდარული ფორმაა ფორ- ←*ბორ- ზმნისა. სამწუხაროდ ამ ზმნის პირიელი ფუძეები ჩვენ ვერ გამოვაველინეთ. სტრუქტურულად მეგრული ფორ-ა ←*ბორ-ა ენათესავება სვანურის ბწრ-ა „კლება“ სახელ-ზმნას.

ს.-ქართვ. *ბარ- „კლება“ → ქართ. ბარ- || ბრ- : ზან. ფორ-ა ←*ბორ-ა : სვან. ბრ- || ბირ- || ბერ- || ბწრ- || ბარ.

სვან. ბარჯ „მხარი“.

ქართ. თეძ-ი, თეძ-ო.

ზან. მენჯ-ი „თეძო“, შდრ. ბანჯ-ი „ფენტხი“.

დაკავშირება პრობლემურია ანლაუტში ბ → მ : თ ← დ მიმართების გამო. ფონეტიკურად ბ ↔ დ გამორიცხულია, ხოლო მორფოლოგიურად ბ/დ ჩანაცვლება დამახასიათებელია ქართველური ენებისთვის, შდრ.: სვან. მერშე : ქართ. (იმერ.) ბინჭვ-ელ-ი, ძვ. ქართ. ჯინჭვ-ელ-ი ←*დინჭვ-ელ-ი (არნ. ჩიქობავა, გ. ბურჭულაძე).

ბ/დ მონაცვლეობა ანლაუტში აიხსნება მხოლოდ მორფოლოგიის დონეზე. როგორც ვთქვით, ფონეტიკურად ბ ↔ დ ტიპის გადასვლა შეუძლებელია ჩვენს ენებში. ვვარაუდობთ, რომ ანლაუტური ბ/დ გამოძახილია ოდინდელი გრამატიკული კლასების არსებობისა წინარექართველურში. ამასვე ადასტურებს ჩვენს მიერ მოპოვებული დამატებითი მასალა: ბ-ინდგელ-/დ-ინდგელ-, ბ-ოჩოლ-ა/დ-ოჩოლ-ა, ბ-უტკო/დ-უტკო, ბ-ოყვ-„ობი“/დ-ოყვ- „მუწუკი“...

სვანური ბარჯ მიღებულია ე → ა → ა უკუმიმართულების უმლაუტის გზით ისტორიული *ბეჯ-ჟ არქეფორმისაგან, სადაც აუსლაუტური -ჟ ფარდია ქართული -ო-სი (თეძ-ო).

ს.-ქართვ. *ბ/დ-ეძ-(ო) „თეძო, მხარი“ → ქართ. თ-ეძ-(ო) ← დ-ეძ-(ო) : ზან. მენჯ-ი ← ბ-ეჯ-ი || ბანჯ-ი : სვან. ბ-არჯ ← ბ-აჯ-ჟ ← ბ-ეჯ-ჟ.

სვან. **ბალ** ზს., ლნტ. „ბელელი“; „პურეულის შესანახი დიდი კიღობანი“.
ქართ. **ბელ-ო**, **ბელ-ელ-ი**.
ზან. **ბალ-უ**.

სვანურში ბოლოკიდური **-ჲ** (**←-ო**) მოკვეცილია. მისი ზეგავლენით განხორციელდა **ე → ა → ა** უკუმიმართულების უმლაუტი სვანურში; ამიტომაც ემსგავსება ზანურ **ბალ-უ** ფორმას. სინამდვილეში კი — **ბალ** **←*ბალ-ჲ** **←*ბელ-ჲ** (იხ. აქვე სვან. **-ჲ** (**← -ო**) : ქართ. **-ო** : ზან. **-უ** „დერივ. სუფ.“).

ს.-ქართვ. ***ბელ-ო** „ბელელი“ → ქართ. **ბელ-ო**, **ბელ-ელ-ი** : ზან.

ბალ-უ : სვან. **ბალ** **←*ბალ-ჲ** **←*ბელ-ჲ**.

ს.-ქართვ. ***ბელ-ო** სიტყვას შესატყვისება: ჩაჩნურ-ინგუშური **ბჟოჲ**
→ || **ვჟოჲ** „საბრძოლო კოშკი“, ხუნძ. **ბოტა**, ანდ. **ბეტაი**, ბოთლ., ღოდ.

ბეტაი, ჭამ. **ბეტა** **←*ბეტაო**, კარ. **ბეტაე**, ახვახ. **ბეტაო** „თავლა, ფარდუ-
ლი, ფარეხი“, ხვარშ. **ბულ'უ** „საჯინიბო“, ჰინ. **ბულ'ე**, ჰუნზ. **ბულ'ი**,
ბეჟ. **ბილ'ო** „სახლი“, აფხაზ. **ა-ბაა** **←*ა-ბააა** „ციხე-სიმაგრე“.

ბელელი, კოშკი, სახლი, თავლა/ფარდული სემანტემათა არსებობა საერთო ძირის სიტყვებში იმაზე მეტყველებს, რომ ამოსავალი მნიშვნელობა **სახლ-კოშკი-სა** უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წინარეიბერიელთა საცხოვრებელი კოშკური ტიპისა ყოფილა. რაც, რა თქმა უნდა, არ ჰგულისხმობს მის ერთადერთობას (მდრ. ს.-ქართვ. ***სა-**

ხალ- → ქართ. **სა-ხლ-ი**, ზან. **ო-ხორ-ი**, სვან. **ლა-ხჲ** (**←*ლა-ხალ-**); ჭამ-
მალ. **ხალ** (**←*ხალ**), კარ. **ხარ**, თაბ. **ხალ**, აღულ. **ხალ**, რუთ. **ხალე** წახ.

ხაჲ (**←*ხალ**) „სახლი...“, ს.-დად. ***ხალ**.

ქართ. (თუშ.) **ბაყვ-ი** „ერთგვარი ფრინველი“.

ზან. (მეგრ.) **ბაყვ-ა** (კვატა) „გარეული იხვის სახეობა“.

სვან. —.

ქართული **ბაყვ-** ფუძის შესატყვისად ზანურში **ბოყვ-** (**ა : ო**) უნდა გვქონოდა. ისტორიულად ასეც იქნებოდა, მაგრამ მავრცობი **ა-ს** (ემფატიკური) ზეგავლენით მოქმედი **ო** → **ვა** პროცესის ჩართვამ მეგრულში კვლავ **ა** დაამკვიდრა; რადგანაც ქართველურ ენებში **ბ ფ პ მ** ბილაბიალურ თანხმოვანთა მომდევნოდ **ვ ვერ** ძლებს და არც არსად დასტურდება: ქართ. **ბაყვ-ი** : ზან. ***ბვაყვ-ა** **←*ბოყვ-ა**.

ს.-ქართვ. ***ბაყჲ-** „გარეული იხვის სახეობა“ → ქართ. **ბაყვ-ი** : ზან.

ბაყვ-ა **←*ბვაყვ-ა** **←*ბოყვ-ა**.

ქართ. **ბაწკ-ი** „სუსტი ძაფი (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **მონჭკ-ი** „მატყლი“.

სვან. —.

მონჭკ-ისთვის ამოსავალ სახეობად ***ბოჭკ-** უნდა გვქონოდა. გვაქვს კიდევაც ქართულში ზანიზმის სახით **ბოჭკ-ო**, **ბოჭკ-ოვან-** სიტყვებში.

ს.-ქართვ. ***ბაწკ-(ო)** „მატყლის ძაფი“ → ქართ. **ბაწკ-ი** : ზან.

მონჭკ-ი ← ***ბოჭკ-ი**.

სვან. **ბაგურ-ა** ლნტ., **ბაგური** ბზ., **ბაგურ** ლშხ., **ბადური** (←**ბაგური**) ბქ. „ქურდი“.

ქართ. **ებგურ-ი** „დარაჯი კოშკით, გინა ხიდალმა ანუ მალლით იდარაჯებდეს (საბა)“.

ზან. —.

მნიშვნელობის მხრივ ქართულსა და სვანურს აერთიანებს **ჩასაფრებულის**, **მოდარაჯის** გაგება, რაც დარაჯსაც ახასიათებს და ქურდ-ყაჩაღსაც.

სტრუქტურულად ქართული მეტ სიძველეს აჩვენებს. ცხადია, **ბ** სვანურში გადასმულია, ხოლო ს.-ქართველური **ე** ხმოვანი მომდევნო **უ**-ს ზეგავლენით გადაბგერდა **ა** || **ა** ხმოვნად (მ. ქალდანის წესის მიხედვით) —

***ბეგურ-ი** → ***ბეგური-** → **ბაგურა** || **ბაგური-** || **ბაგურ**.

ბალსქვემოურში შენიშნული **გ** || ← დ სუბსტიტუცია სვანურის სხვა მასალაშიც იჩენს თავს და მეტად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ძირის ისტორიის თვალსაზრისით.

ს.-ქართვ. ***ე-ბგ-ურ-ი** „მოდარაჯე“ → ქართ. **ებგურ-ი** : სვან.

ბაგური || **ბაგურა** || **ბაგურ** ← ***ბეგური-**.

სვან. **ბასრ** ზს. „ბასრი“; „დაუკოდავი (ვირი, ცხენი...)“.

ქართ. **ბასრ-ი**, ხევს. „მაგარი“, **ბასრ-ი** „ფოლადი რკინა (საბა)“.

ზან. **ბოშ-ი** „ბიჭი, მამრი“.

ქართველურ ენათათვის ნიშანდობლივია „მამრის“, „მჭრელის“ მნიშვნელობა.

ს.-ქართვ. ***ბასრ-** „ბასრი, მჭრელი; მამრი“ → ქართ. **ბასრ-ი** : ზან.

ბოშ-ი : სვან. **ბასრ** ← ***ბაშრ**.

ს.-ქართვ. ***ბასრ-** ფუძეს შეესატყვისება : ჩაჩნ. **ბუორშ-ო** → || **ბუ-**

არჩ, ინგ. **ბორშ**-ა „მამრი; დაუკოდავი“, ხუნძ. **როსა** ← **დ-ოსა**, დარგ. **სუბ**

← **ბ-უს**, ლაკ. **ლას** ← **რ-ას** || ←**დ-ას**, აღ. **შუჟ** ← **ვუშ** ← **ბ-უშ** „ქმარ

რი, მამრი“. თავკიდური **ბ/რ** ← **დ** გრამატიკული კლასის ნიშნებია იბერიულ-კავკასიურ ენებში. საკითხს ვსვამთ ინდოევროპული **ბასრ-** (Барс) ძი-

რის იბერიული წარმომავლობის შესახებ; სემანტიკისთვის შდრ.: ძვ. სპარს. *tigra-* „ბასრი“ : ბერძ. *τιγρις* „ვეფხვი“.

სვან. **ბატკ** ზს., ლნტ. **ბატკ** ლშხ. „მრგვლად შემწვარი თხა, ცხვარი, ხარი, მოზვერი“.

ქართ. **ბატკ-ი** „ჩვილი თიკანი (საბა)“; „შემოდგომაზე ნაშობი შინაური საქონელი: ხბო, ბატკანი ან თიკანი (გურ.)“.

ზან. (მეგრ.) **ბატკ-ი** „ბატკანი; კამეჩის ნაშიერი“.

სვანურში სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა ძირითადად დაცულია, რაც ემთხვევა გურული დიალექტის ჩვენებს, სადაც **ბატკი** სვანურისმარგვარად შინაური საქონლის ნაშიერს აღნიშნავს ზოგადად. ამისავე გამოძახილი უნდა იყოს მეგრულში „კამეჩის ნაშიერისა და ბატკნის“ ერთი ლექსებით გადმოცემა.

ს.-ქართვ. ***ბატკ-** „შინაური საქონლის ნაშიერი“ → ქართ. **ბატკ-ი** : ზან. **ბატკ-ი** ←***ბოტკ-ი** : სვან. **ბატკ-** || **ბატკ-**.

სვან. **ბჷჩ** || **ბეჩ** ზს., ქს. „ქვა“, ა-**ბაჩ-აჷ**-ი „აქვავებს“.

ქართ. **ბიცი**-ი „მიწა მლაშე (საბა)“, გურ. გა-**ბიცი**-ებ-ა → || გა-**ბეცი**-ებ-ა „გაქვავება, გაცივება, გამაგრება“.

ზან. (მეგრ.) **ბეჩა** „გამოქვავული“.

ქართველური ენებისთვის ამოსავალია **ქვის** მნიშვნელობა, საიდანაც განვითარდა მეგრულში გამოქვავულის გაგება (შდრ. ძვ. ქართ. **ქუაბი** (← **ქვა**) „გამოქვავული“), ქართულში სახეზეა **მიწა** ← **ქვა** სემანტიკური ცვალება.

ფორმალურად საინტერესოა ბოლოკიდური **ა** ზანურში, რაც სვანურსაც უნდა ჰქონოდა. მისი არსებობის კვალი ჩანს **ი** → **ე/ვ** გადაბგერებაში — სვან. ***ბიჩა** → **ბეჩ** || **ბჷჩ** (მ. ქალდანის წესის მიხედვით).

ს.-ქართვ. ***ბიცი**-(ა) „ქვა, მიწა“ → ქართ. **ბიცი-ი**, **ბიცი-** || **ბეცი-** : ზან. **ბეჩა** ←***ბიჩა** : სვან. **ბეჩ** || **ბჷჩ** ←***ბიჩა**.

სვან. **ბჷჯჷ** ზს., **ბჷჯჷ** ლშხ. „ტერფი“.

ქართ. **ბოძ**-ი, თუშ. „ჩითას ელემენტი“, **ბოძ**-ალ-ი.

ზან. **ბჷრჯ-ი**.

სვანური **ბჷჯჷ** → || **ბჷჯჷ** ნაუმლაუტარი ფუძე ჩანს: ***ბოჯ** (შდრ. ქართ. **ბოძ**-ი) →***ბოჯ** →***ბჷეჯ** →***ბეჯჷ** → **ბჷჯჷ** → || **ბჷჯჷ**.

ქართულში ბოძი/სვეტი ალბათ ტერფის, როგორც საყრდენის, გაგებიდან განვითარდა.

ს.-ქართვ. *ბოდ- „ტერფი, საყრდენი“ → ქართ. ბოდ-ი, ბოდ-ალ-ი :
ზან. ბურჯ-ი ← *ბორჯ-ი : სვან. ბაჯუ || ბაჯუ ← ბეჯუ ← *ბუეჯ.

სვან. ბაჯუ ზს., ბაჯუ ლშხ. „ჩიყვი“, ლშხ., ლხმ. „სიმსივნე, ხორცმეტი“.
ქართ. ბრძვლ-ი || ბრძვ-ილ-ი „ესე სახელი არს კეთროვანებისა და-
წყებისა, რაჟამს ჯერეთ უჩინო იყოს კეთრი ჯორცთა შინა... (საბა)“, შე-
ბრძვ-ენ-ებ-ა || შე-ბრძვ-ილ-ებ-ა || შე-ბრძვ-ინ-ებ-ა „გარდაბმა (საბა)“.

ზან. ბუჯ-, მე-ბუჯ-ოლ-ერ-ი „მიბმული“.

ქართული ბრძვ-ილ-ი მიმდებარეა ბრძვ- ისტორიული ზმნური ძირი-
სა, რომელიც დამოუკიდებლად არ დასტურდება. ბრძვლ- → || ბრძვნ-
ნასახელარი ზმნებია, და ინარჩუნებენ ამოსავალ, ეტიმონურ მნიშვნელობას
მობმისა, რაც სვანურ ჩიყვ/სიმსივნე/ხორცმეტი სემანტიკებშიც იჩენს თავს,
შდრ. ქართ. ბმა → ბმო „მუწუკი“.

ქართველურ მონაცემთა შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ ინ-
ტერკონსონანტური რ ქართულში ფონეტიკური დანართია, განვითარებუ-
ლი რედუქციის მომდევნო საფეხურზე ბძუ თანმიმდევრობის დასაძლევად:

*ბაძუ- → ბძუ- → ბრძუ-.

ს.-ქართვ. *ბაძუ- „მობმა“, „მბმო“ → ქართ. ბრძუ-, ბრძვ-ილ- ||
ბრძვ-ინ- : ზან. ბუჯ- ← *ბოჯუ- : სვან. ბაჯუ || ბაჯუ ← *ბაჯუ-.

სვან. -ბაჯუ || -ბაჯუ || -ბაჯუ, ლა-ბაჯუ ბზ., ლა-ბაჯუ ლშხ., ლა-ბაჯუ
ლნტ. „თავშესაფარი ადგილი“.

ქართ. ბაო „მცირე ჩრდილი; ჩრდილი“.

ზან. —.

გამოყოფილი ლა- პრეფიქსი ფუნქციურად ქართულ სა-ს შეესატყვი-
სება, ამდენად *ლა-ბაჯუ ეტიმოლოგიით ნიშნავს საჩრდილობელს. მთაში,
მინდვრად საჩრდილობელ ადგილს თავშესაფარის მნიშვნელობა რომ გან-
ვითარებოდა ლოგიკურიცაა და სინამდვილესაც შეეფერება. ძირად
მიჩნეული ბაჯუ || ბაჯუ || ბაჯუ კანონზომიერი სვანური შესატყვისია ქართუ-
ლი ბაო „ჩრდილი“ სიტყვისა — ო → უ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში
ნორმალურ სვანურისათვის. — შდრ.: ქართ. ასო → სვან. ასუ, ქართ. მაქო
→ სვან. მარქუ... ქართულ ბაო-ს საბა თურქულში ქო ლგას შეუფარ-
დებს.

ს.-ქართვ. *ბა-ო „ჩრდილი“ → ქართ. ბაო : სვან. ბაჯუ || ბაჯუ ||
ბაჯუ ← ბაო.

სვან. ბელ „ბელი“, ბელ-ოდ ბზ., ბელ-ილდ ბქ., ბელ-ოდილ ლნტ.
„კნინ-ალერს. ფორმ.“.

ქართ. ბელ-ი, უ-ბელ-ო.

ზან. (მეგრ.) ბერ-ი (გიგი-ბერ-ია, თუთა-ბერ-ი, კაკუ-ბერ-ი...), ჭან.
ბერ-ე „ბიჭი, ბავშვი“.

ჭანურ დიალექტში ბოლოკიდური -ე სახელობითის ი-ს ეპარალელე-
ბა (კუჩხ-ე, მეგრ. კუჩხ-ი „ფეხი“...). მეგრულში ბერ- დამოუკიდებლად არ
იხმარება, მაგრამ გვარებში შვილის ადგილს იკავებს: გიგი-ბერ-ია ნიშნავ-
და გიგის+შვილს, თუთა-ბერ-ი „მთვარიშვილს“...

ვფიქრობთ, ბელ-/ბერ-/ბელ- საერთოქართველური მონაცემია და
თავდაპირველად შვილს, ნაშიერს აღნიშნავდა. სიტყვის მნიშვნელობა ბავ-
შვი → დათვის ბელი ქართულში დავიწროვდა (მდრ. უ-ბელ-ო „უშვი-
ლო“, სვან. სა-ბელ „კვიცი“).

ს.-ქართვ. *ბელ- „შვილი, ნაშიერი, ბავშვი“ → ქართ. ბელ-ი,
უ-ბელ-ო : ზან. ბერ-(ე) : სვან. ბელ, სა-ბელ.

ჭანურ ბერ-ეზე მსჯელობისას არნ. ჩიქობავა ჩაჩნურ ბმერ-ს „შვი-
ლი, ბავშვი“ ახსენებდა; ჩაჩნურ-ინგუშური ბმერ პირდაპირ ვერ დაუკავ-
შირდება ქართვ. ბერ-ს, რადგანაც მისთვის ამოსავალია ბაცბური ბა-
დერ ტიპის ს.-ნახ. ბად-ერ არქეფორმა. რომლის ბად- ძირთანაც ჩვენ სა-
ერთოქართველურ *ბელ- ფორმას ვაახლოებთ — ბელ- : ბად. შესატყვი-
ლობა ს.-ქართვ. ლ : ს.-ნახ. დ ისტორიულად სვანურის ლ → დ ტიპის
გადასვლას ვარაუდობს ნახურ ენებშიც. რასაც სხვა ფუძეშიც ვადასტუ-
რებთ — ს.-ქართვ. ო-ბოლ- : ს.-ნახ. ბად-ო... აფხაზ. აბა, აღიდ. იბპ
„ობოლი“... ს.-ქართვ. *ბელ- ძირს უკავშირდება აფხაზ. ა-ფა „ვაჟიშვი-
ლი“, მდრ. აფხაზური გვარების -ბა დაბოლოება.

სვან. ბერ, შამი-ბერ ბზ., შიმ-ბერ || შიემ-ბერ ბქ. „ხელისგული“,
„ნები“, ჭიშხი-ბერ ზს. „ფეხისგული“.

ქართ. ნებ-ი, ნებ-ოვ-ან-ი.

ზან. —

სვანურში მეტათეზისებული ფუძე ვლინდება — ბერ ←*რებ. სავა-
რაულო *რებ- არქეტიპი მიღებულია სვანურისთვის დამახასიათებელი ნ
→ რ გადასვლით (იხ. აქვე, § 12. ნ → რ).

ს.-ქართვ. *ნებ¹ „ნები“ → ქართ. ნებ-ი, ნებ-ოვ-ან-ი : სვან. ბერ
←*რებ ←*ნებ.

¹ ხომ არ უკავშირდება ს.-ქართვ. *ნებ- ძირს აფხაზური ა-ნაბ (←ა-ნაბ (?)) „ხელი“ (?).

ქართ. (რაჭ.) **ბერ-ა-ო** „მუხლუხო“.

ზან. (მეგრ.) **ბარ-უ-უ** „მუხლუხი“.

სვან. —.

ქართული (რაჭ.) **ბერ-ა-ო** სიტყვის ზუსტ ფონეტიკურ-სემანტიკურ შესატყვისის წარმოადგენს ზანური (მეგრ.) **ბარ-უ-უ** (ქართ. ე : ზან. ა, ქართ. ა : ზან. უ, ქართ. ო : ზან. უ). სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში წარმოჩენილი **-ო/-უ** აფიქსური მასალა არის (შდრ.: ქართ. **ბედ-ო** : ზან. **ბად-უ**, ქართ. **წებ-ო** : ზან. **ჭაბ-უ**...).

სვანურში სათანადო ძირი არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. ***ბერ-ა(-ო)** „მუხლუხი“ → ქართ. **ბერ-ა-ო** : ზან. **ბარ-უ-უ** ← ***ბარ-ო-უ**.

სვან. **ბერეუ** „რკინა“.

ქართ. **პილენძ-ი** || ს-**პილენძ-ი**.

ზან. (მეგრ.) **ლინჯ-ი** „სპილენძი“.

სემანტიკური მიმართება ს პ ი ლ ე ნ ძ ი ~ რ კ ი ნ ა ბუნებრივია და სხვაგანაც მეორდება (შდრ. რუს. Железо და მისი ბერძნული შესატყვისი (მ. ფასმერი)).

თუ ქართველურ ფუძეთა მიმართებას განვიხილავთ ფორმალური თვალსაზრისით, მეტ სიახლოვეს ქართული **პილენძ-ი** სვანურ **ბერეუ**-თან ავლენს. ამ უკანასკნელში ე — ე ხმოვანთანმიდევრობა მეორეულია და ი — ე თანმიმდევრობისგან რეგრესული ასიმილაციითაა მიღებული. საინტერესოა ამ თვალსაზრისით ქართულიდან ნასესხები **სპელენჯ**, რომელშიც ასევე ი — ე → ე — ე დასტურდება. ქართულსა და ზანურში ნ ფონეტიკური დანართი უნდა იყოს. **პი-/ბი-** არაძირეულია (შდრ. ქართ. ტალ-ი — **პი-ტალ-ი**).

ქართველურ ენათა მონაცემები გამორიცხავს სვანური **ბერეუ** სიტყვის სემიტური ენებიდან მომდინარეობას (ვ. ივანოვი).

ს.-ქართვ. *(**პი-**)**ლედ-** „სპილენძი“ → ქართ. **პილენძ-ი** || **სპილენძ-ი** :

ზან. **ლინჯ-ი** ← ***ლიჯ-ი** : სვან. **ბერეუ** ← ***ბი-ლევ**.

საერთოქართველური ***ლედ-** ძირის შესატყვისებია: ჩაჩნ. **დეზ** || **დეძ**, ინგ. **დეძ** „ყვეთელი სპილენძი“; ხუნდ. **რეზი**, ანვან. **ლეზი**, ბოთლ. **რეზი**, ბავგ. **რეზ** „წითელი სპილენძი“...

სვან. **ბეტკ** ზს., **ბეტკი** ქს. „რძის ან მაწვნის ნაღები“, „ხორცის ნახარშის ცხიმოვანი ქაფი (ლნტ.)“.

ქართ. **ბრკე** || **პრკე** || **პკე**, თუშ. **ბიკა-ჲ** „ობი“.

ზან. (მეგრ.) **ფოკა** || **ფოკვა** „ობი“, **ფოკვ-ინ-აფ-ა** „ობის მოკიდება“.

შეპირისპირება სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება **ობი ~ ნალები** სემანტიკური სხვაობის გამო. თუმცა მნიშვნელობის ამგვარი გადაწევა დამახასიათებელია სვანურისთვის. — შდრ.: **ბიჰუ** „ობი“, „ნალები რძისა“

(უშგულ.), ე. ი. **ობი** → **ნალები** სვანურისავე ნიადაგზე აიხსნება.

ფორმალური ანალიზისას სვანური **ე** : ზანური **ო** საერთოქართველურ **ა**-ს აღგვადგენინებს — ***ბაკ-ე**, ხოლო **კ**-ს წინ **ტ**-ს გაჩენა საკუთრივ სვანური პროცესია (შდრ. ქართ. **კეც-ი** → სვან. **ტკეც**).

ს.-ქართვ. ***ბაკ-ე** „ობი“ → ქართ. **ბრკე** || **პრკე** || **პკე** || **ბიკა** : ზან. **ფოკა** || **ფოკვა** ←***ბოკა** : სვან. **ბეტკ** || **ბეტკ-ი** ←***ბეკ-ი**.

სვან. **ბეტკ** „სალტე“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) **ბეტკ-ი** „კალათის (გოდრის) ძირისა და გვერდის ფართე ტკეჩები“.

მეგრულში სახეზეა **ა** → **ე** ისტორიული გადაბგერება — **ბეტკ-ი** ← **ბატკ-ი**. ქართულში მოსალოდნელი **ბეტკ**- არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. ***ბეტკ**- „სალტე; ტკეჩი“ → ქართ. —: ზან. **ბეტკ-ი** ← **ბატკ-ი** : სვან. **ბეტკ**.

სვან. **ბეყუ** ზს., **ბოყუ** ბქ., ლშზ., **ბეყუ-ილ** ლშზ., ლნტ. „ხის ქერქისაგან გაკეთებული ჭურჭელი ხორბლისათვის“.

ქართ. (გურ., იმერ.) **ბოყვ-ი** „ხის ჩარჩო“, ზ. იმერ. „კრამიტის ყალიბი (კეთდება ხისგან)“, აჭარ. „ბოქლომი, კლიტე“.

ზან. (მეგრ.) **ბუყუნ-ი** || **ბუყუნ-ი** „ხის კასრი“.

მეგრული **-ინ** სუფიქსი (ბუყუნ-ი ←*ბუყუ-ინ-ი) სხვაგანაც გამოჩნდება „ზედმეტად“ — შდრ. ქართ. **ვირ-ი** : ზან. **გური/უნ-ი** ←***გვირ-ინ-ი** (ვ. თოფურია).

ს.-ქართვ. ***ბოყუ**- „ხის ჭურჭელი“ → ქართ. **ბოყვ-ი** : ზან. **ბუყუნ-ი** || **ბუყუნ-ი** ←***ბუყუ-ინ-ი** : სვან. **ბეყუ** || ← **ბოყუ**.

სვან. **ბეწუ** „ნეზვი“.

ქართ. **ბუწ-ი** „თოხლი, წლის კრავსა და მცირედ ნაკლებსა ეწოდების (საბა)“; მთიულ. „გამხდარი, გაღეული საქონელი“.

ზან. —.

ბეწუ ნაუმლაუტარი ფუძეა — **ბეწუ** ←***ბიწუ** ←***ბუწ-**. **ი** → **ე**
უმლაუტი მომდევნო **უ**-ს მიეწერება. საინტერესოა, რომ მომდევნო **ე** → **ა**
→ **ა** გადასვლა ამ სიტყვაში არ განხორციელდა.

ს.-ქართვ. ***ბუწ-** „თოხლი, ნეზვი“ → ქართ. **ბუწ-ი** : სვან. **ბეწუ**
←***ბიწუ** ←***ბუწ-**.

ს.-ქართვ. **ბუწ-**ის შესატყვისებია: ხუნძ. **ბოწი**, ანდ. **ბუწი**,
ბოთლ. **ბუწი**, ჭამ. **ბოწი**, ბავ. **ბეწაურ**, ტინდ. **ბოცაორ**, ლოდ. **ბუცაი**,
კარ. **ბეწაურ** „საქონელი, პირუტყვი“.

სვან. **ბეხ** ზს., ქს. „დედალი ცხვარი“; ჯაგლაგი ცხენი (ლშხ.)“.

ქართ. **ბეხ-ი** (ქართლ., ფშ., მთიულ.) „ძალიან დაბერებული საქონელი“.

ზან. **ბახ-ი**, **ბახ-ია** (ად. გვარ.) ჭან. **ბახ-ი** „ავადმყოფი“.

ბახ- ძირი მეგრულში მხოლოდ ად. გვარშია შემორჩენილი (ბახია);
ხოლო დასავლურ დიალექტებში გამოვლენილი **ბახ-ი** „უვარგისი, ძლიერ
გამხდარი ცხენი“ საშუალებას გვაძლევს ზანურის **ბახ-** ძირის სემანტიკაზე
ვიმსჯელოთ; იგი ქართულ-სვანურისას ემთხვევა.

ს.-ქართვ. ***ბეხ-** „დედალი ცხვარი“; „უვარგისი ცხენი (ჭაკი?)“ →
ქართ. **ბეხ-ი** : ზან. **ბახ-ი** : სვან. **ბეხ**.

ქართ. **ბზ-ა**, **ბზ-ე**.

ზან. **ბჟოლ-ი** || **ბჟოლ-ა** „თუთა, თუთის ხე“.

სვან. —

სვანურში სათანადო ფუძე ვერ გამოვავლინეთ.

ახსნას ითხოვს **ბზა/ბჟოლ-** მიმართებაც. ქართულ **ბზა**-ში ისტორი-
ული **ლ** მოკვეცილია — **ბზა** ←***ბზალ-**, შდრ.: ქართ. მართვე : ზან.
(ჭან.) მონთალ-ი, მზე : ბჟა(ლ-), ქვა : ქუა(ლ-), ტყე : ტყა(ლ-), და :
და(ლ-), ძმა(ნ) : ჯიმა(ლ-)... (არნ. ჩიქობავა). სხვა მხრივ, შესატყვისობა
ქართ. **ზ** : ზან. **ჟ**, ქართ. **ა** : ზან. **ო** დაცულია.

სემანტიკური მიმართება **ბზა** ~ **თუთა** ახსნადია; მით უმეტეს, როცა
ბზე სვან ნაწარმოებ სიტყვაში აბრეშუმის გაგება დაჩნდება, შდრ. **ბიზ**-ოვ-
ან-ი „თივა აბრეშუმის მსგავსი (საბა)“. სიტყვის განმარტებისას აბრეშუმის
ხსენება შემთხვევითობად ვერ ჩაითვლება. ის იმაზე მიგვითითებს, რომ საერ-
თოქართველურ ***ბზალ-** არქეტიპს აბრეშუმის ხის მნიშვნელობა ახასიათებდა.

საერთოქართველური ერთიანობის დონეზე „აბრეშუმის ხის“ აღმნიშ-
ვნელი არქეტიპის არსებობა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ უძველეს პერი-
ოდში ჩვენში მეაბრეშუმეობის განვითარებაზე.

ს.-ქართვ. ***ბზ-ალ-** „აბრეშუმის ხე, თუთა“ → ქართ. **ბზა** || **ბზ-ე** :
ზან. **ბჟოლ-ი/ა**.

სვან. **ბიდი** ზს., ქს. „კანაფის თესლის ბუსუსები“, „კანაფის თესლი“. ქართ. (იმერ.) **ბუდარ-ა** „კვანის გული, რომელშიც თესლია მოთავსებული“.

ზან. —.

სვანური უმლაუტის მომდევნო, გამარტივებულ სახეობას წარმოგვიდგენს — **ბიდი** ←***ბიდი** ←***ბუდარ-**.

ს.-ქართვ. ***ბუდ-არ-** „კანაფის, კვანის... გული, თესლი“ → ქართ.

ბუდარ-ა : სვან. **ბიდი** ←***ბუდარ**.

სვან. **ბიმბილ** „მარცვალი (ყურძნისა ან რომელიმე მცენარისა)“.

ქართ. **ბიბილ-ა** „ყვავილი“.

ზან. —.

სვანურში ინლაუტური **მ** განვითარებულია ფონეტიკურ ნიადაგზე **ბ**-ს წინა პოზიციაში. საერთოქართველური **ბიბილ-** უნდა მომდინარეობდეს ***ბილ-ბილ-** არქეტიპისაგან; რედუბლიცირებულ ფუძედ გვეჩვენება.

ძნელი სათქმელია, ისტორიულად რა უფრო ძველია მნიშვნელობის თვალსაზრისით, თუმცა მ ა რ ც ვ ა ლ ი ~ ყ ვ ა ვ ი ლ ი სემანტიკური მიმართება სავსებით ბუნებრივია.

ზანურის დიალექტებში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. ***ბილ-ბილ-** „ყვავილი, მარცვალი“ → ქართ. **ბი-ბილ-ა** :

სვან. **ბიმბილ** ←***ბიბილ**.

ს.-ქართვ. ***ბილ-ბილ-** სიტყვის შესატყვისია ნახურ ენათა ასევე რედუბლიცირებული ***ბუ-ბუ-** ფუძე, შდრ. ბაცბ. **ბუბუ-კ** „ყვავილი“...

სვან. **ბინტუ** || **ბუნტ** „ნისლი, ბურუსი“.

ქართ. **ბუნდ-ი**, **ბუნდ-ოვან-ი**, **ბინდ-ბუნდ-ი**, მთიულ. **ბუნდ-ი** „მუჭიფერისა“.

ზან. —.

სვანურში **ნდ** → **ნტ** გადასვლა განხორციელდა ქ. ლომთათიძის წესის მიხედვით (მჟღერ ხშულთა გამკვეთრება სონანტებთან მეზობლობაში). ისტორიულად ქართული **ბუნდ-** ტიპის ფუძე უნდა გვექონოდა სვანურშიც, საიდანაც ***ბუნდ** → ***ბუნინდ** → ***ბინდუ** საფეხურების გავლით განვითარდა თანამედროვე **ბინტუ** || **ბუნტ**.

ქართულში **ბინდ-/ბუნდ-** მიმართების რკვევისას მნიშვნელოვნად მიგვაჩნია **ბუნდ-ოვან-**ში სწორედ **ბუნდ-** ვარიანტის გამოყენება და არა **ბინდ-ისა**; „ბინდოვან-ი“ ასეთი სიტყვაწარმოება ქართულს არ ახასიათებს(!).

ს.-ქართვ. *ბუნდ- „ნისლი, ბინდი“ → ბუნდ-ი || ბინდ-ი : სვან.
ბუნტ || ბინტუ ← *ბუნდ.

სვან. ბინულ ბზ., ლშხ., ბინილ ლნტ. „წყარო“.
ქართ. (ლენხ.) ბინ-ულ-ი „წყარო მიწიდან ამონაქუხი“, გურ. მინ-
←*ბინ-, გადა-მინ-ვა „წყლის სხვა მხარეს გადაშვება“.
ზან. (მეგრ.) ბუნ-, განო-ბუნ-ა „გადასხმა წყლის“, შდრ. ბინ-ურ-ი
„მდ. ხუნწში“.

შედარებითი ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ სვან. ბინ-ილ || →
ბინ-ულ, ქართ. ბინ-ულ-ი ნაზმნარი სახელებია (შდრ. ზან. ბ-უნ-, გურ.
მინ- ←*ბინ-).

ს.-ქართვ. *ბინ-, ბინ-(ილ-) || ბინ-(ულ-) „ამოსხმა; ამოსხმული
(წყარო)“ → ქართ. ბინ-ულ-ი, *ბინ- → მინ- : ზან. ბ-უნ-, ბ-უნ-ილ-ი ||
ბინ-ურ-ი : სვან. ბინ-ილ → || ბინ-ულ.

სვან. ბირჷ-ა || ბილჷ-ა „ბზ., ბნრჷ-ა ლშხ., ბირჷ-ა ლნტ. „ცე-
ცხლის ალი“.

ქართ. ბოლ-, ბოლ-ი, ბოლ-ავ-ს, ინგილ. ბოლ-ება „ძლიერი ციებ-
ცხელება“.

ზან. ბულ-, ბულ-ა „ორთქლი“, კვამლი, ბოლი“, ჭან. „ღრუბელი“;
(მ-)ბულ-ან-ს „ბოლავს“, (მ-)ბულ-აფ-ი = ბოლ-ავ-ი, ბოლ-ა-ობ-ა.

სვანურ ფორმათაგან ბალსზემოური ბილჷ-ა შედარებით სიძველეს
აჩვენებს. დანარჩენი ალომორფები მიღებულია ლ → რ (იხ. აქვე, § 6. ლ
→ რ) პროცესისა და ჷ → ჸი → ი / ჸი გარდაქმნების შედეგად — სვან.
*ბჸლ-ა (შდრ. ზან. ბულ-ა ←*ბულ-ა) →*ბჸილ-ა → ბილჷ-ა → ||
ბირჷ-ა.

ს.-ქართვ. *ბოლ- „ბოლი; ბოლება“ → ქართ. ბოლ-ი, ბოლ- : ზან.
ბულ-ა ← ბულ-ა, (მ)ბულ- ← ბულ- : სვან. ბნრჷ-ა || ბირჷ-ა || ←
ბილჷ-ა ←*ბჸილ-ა ←*ბჸლ-ა.

ს.-ქართვ. *ბოლ- არქეტის შესატყვისებია: ანდ. ჰალ ← ფალ,
ტინდ. ჰაჲ ← ფარ, ჭამ. ჰარა || ჰაა ← ფარა, ბაგვ. ჰაჲ ← ფარ., არ-
ჩიბ. ჰილ ← ფილ, აღ. ელ ← ჰელ ← ფელ „ორთქლი“ ← ს.-დალ.
*ბალ-(ა).

სვან. **ბოლ-**, ხა-**ბოლ-**ა ბზ., ლშხ., ლნტ. „მინოხებულთა, აცოცებულთა“.
ქართ. (რაჭ.) **ბოლ-იარ-ი** „ოთხფეხთა ყიალი“.

ზან. —.

-**იარ** || -**იალ** ქართულში სუფიქსია (შდრ.: ტრ-იალ-ი, სრ-იალ-ი, ჭრ-იალ-, აღრ-იალ-ი...).

ს.-ქართვ. ***ბოლ-** „ხოხვა, ცოცვა“ → ქართ. **ბოლ-**, **ბოლ-იარ-ი** : სვან. **ბოლ-**.

ქართ. **ბოლ-**, ა-**ბოლ-**ავ-ებ-ა (კახ.) „ურმის აყირავება“, შდრ. **ბოლ-ო(ს)**.

ზან. (მეგრ.) **(მ)ბოლ-**, **ი-(მ)ბოლ-უ(ნ)** „აყირავდება“, მი-(მ)**ბოლ-**უ „აყირავდა“, **ბოლ-ო(ს)** „ბოლო“.

სვან. —.

სვანურში სათანადო ფუძე ვერ გამოვავლინეთ, შდრ. სვან. ა-**ბგლ-**აჟ-ი „ანგრეეს“.

ს.-ქართვ. ***ბოლ-(ო)** → ქართ. **ბოლ-**, **ბოლ-ო(ს)** : ზან. **(მ)ბოლ-**, **ბოლ-ო(ს)** : სვან. **ბგლ** ←***ბოლ-?**.

სვან. **ბოდრო** || **ბნარღუ** ბზ., ლშხ., **ბარღუ** ლნტ. „ფულურო, ღრუ“.

ქართ. (იმერ.) **ბოლო** || **ბოდრო** „ფულურო; დიდი ღრუ“, გურ. ბლორო „id“.

ზან. (მეგრ.) **ბურღუ** „ფულურო (დიდი)“.

ბოლოკიდური -**ო** → || -**უ** სვანურში, -**ო** ქართულში და -**უ** ზანურში სადერივაციო სუფიქსებია.

ს.-ქართვ. ***ბოდრ-ო** „დიდი ფულურო“ → ქართ. **ბოდრო** || **ბლორო** || **ბოლო** : ზან. **ბურღუ** ←***ბურღ-უ** : სვან. **ბნარღუ** || **ბარღუ** || ← **ბოდრო**.

სვან. **ბოჭოჭ** „ყვავილი“ (კნინ. **ბოჭოჭ-ოლ**).

ქართ. **ბოწოწ-ო** „სიმინდის ფოჩი, ჟუნჭრუკი“; **ბუწუწ-ი** „ცული და თხელი თმა“.

ზან. (მეგრ.) **ბოწოწ-ი** „ხავსი“.

მოცემული ფუძე ბგერწერითი აგებულებისაა.

მნიშვნელოვანია **წ** : **ჭ** მიმართება ზანურსა და სვანურს შორის, რაც მხარს უჭერს გ. როგავას დებულებას შიშინა სიბილანტთა გასისინების თაობაზე (შდრ.: ქართ. **წვეთ-** : ზან. **ჭვათ-** || **წვათ-**) ზანურში.

ს.-ქართვ. ***ბოწოწ-** „ყვავილი, ხავსი“ → ქართ. **ბოწოწ-ო** || **ბუწუწ-ი** : ზან. **ბოწოწ-ი** ← ***ბოჭოჭ-ი** : სვან. **ბოჭოჭ**.

სვან. **ბოჯგერ** ბზ., **ბოჯგ** ბქ. „ქუჩი“.
 ქართ. **ბაძგარ-ი** „შქერის მსგავსი ხე“.
 ზან. (მეგრ.) **ფენჯგორ-ე** „ცოცხა“.
 საინტერესოა **ძგ** თანმიმდევრობის პოზიციურება ს.-ქართვ. ფუძეენაში.
 სვანური **ო** ქართული **ა**-ს წილ აიხსნება **ა**-ს პოზიციური ლაბიალიზაციით.
 ს.-ქართვ. ***ბაძგ-არ-** „ცოცხა, შქერი“ → ქართ. **ბაძგარ-ი** : ზან. **ფენჯგორ-ე** ← ***ბონჯგგ-ე** : სვან. **ბოჯგ-ერ** || **ბოჯგ-**.

სვან. **ბჟღ-ერ** ბქ., ლნტ. „ჩვილი, ყრმა“.
 ქართ. **ბზღ-ილ-ი**, **ბზღ-იტ-ი** „მწერის კვერცხი“, „ტილი“.
 ზან. (მეგრ.) **ჟღირ-ტ-ი** || **ჟღირ-ტ-ალ-ი**, „ყრმა“, „ძვალრბილი“, **ო-ჟღირ-ტ-ინ-ან-ს** „ჩვილად გამოიყურება“.
 მეგრული ფუძე ***ბჟღ-ირ** და ***ბჟღ-იტ-** ლექსემათა კონტამინაციად მიიჩნევა.
 სემანტიკური თვალსაზრისით ამოსავალია **პატარის**, **უმწიფარის** გაგება.
 ყურადღებას იქცევს ზანურის მსგავსი **ლ** → **რ** პროცესი სვანურში, რასაც სხვა ფუძეებშიც ვადასტურებთ (იხ. § 6. **ლ** → **რ**).
 ს.-ქართვ. ***ბზღ-ილ-/ბზღ-იტ-** „პატარა, ყრმა; ტილი“ → ქართ. **ბზღ-ილ-ი**, **ბზღ-იტ-ი** : ზან. **ჟღ-ირ-ტ-** ← ***ბჟღ-ირ-ტ-** : სვან. **ბჟღ-ერ** ← **ბჟღ-ილ-**.

სვან. **ბჟღლ-**, **ბჟღლ-მა-ბჟღლ** ბზ., **ბჟღლ-მა-ბჟღლ** ბქ., ლნტ. „ბზუილი“, **ბჟუ-ულ** „ბჟუი“.
 ქართ. **ბზუ-ილ-ი**, **ბზუ-**, **ბზუ-ი**.
 ზან. (ჭან.) **ბჟუ-ალ-ა** „ბზუილი“.
 ქართველური ფუძეები ბგერწერითი ხასიათისაა, ამიტომაც გასაგებია სირთულეები გახმოვანებაში.
 ს.-ქართვ. ***ბჟუ-** || ***ბზუ-** „ბჟუი, ბზუილი“ → ქართ. **ბზუ-ილ-ი**, **ბჟუ-ი** : ზან. **ბჟუ-ალ-ა** ← **ბჟუ-ალ-ა** : სვან. **ბჟუ-ულ-** ← **ბჟუ-ულ**, **ბჟღლ-** ← ***ბჟ-უ-ლ**.
 ს.-ქართვ. ***ბჟუ-** || ***ბზუ-** სახეობებს ეპარალელეა: აფხაზ. **ბჟგ** „ხოჭო“, ადიღ.-ყაბ. **ბჟჳ** „ფუტკარი“...

ქართ. **ბრბ-**, **ბრბ-უნ-ვ-ა** „უსინათლოს ბეცება (საბა)“.
 ზან. **ბურბ-უ** „ლამურა“.
 სვან. —.

ქართულის ვითარებიდან თუ ამოვალთ, გამოდის რომ ზანური **ბურბ**-უ უსინათლობის (უსინათლო) ფრინველია. სხვაგან სახელდების იგივე პრინციპია ქართულშიც გამოყენებული, შდრ. **ღამ-ურ-ა** ე. ი. ღამის ფრინველი (ძვ. ქართ. მ-ღამ-ი, მ-ღამ-ი-ობ-ი).

ზანური **ბურბ-უ** სტრუქტურულად ქართულ **ბრბ-ო** სიტყვას შეესა-ტყვისება. მათ გენეტიკურ კავშირზე საუბარი ნაადრევად გვეჩვენება.

ს.-ქართვ. ***ბარბ**- „ბრბუნვა“ → ქართ. **ბრბ-უნ-** : ზან. **ბურბ-უ** ← ***ბორბ-უ**.

სვან. **ბრუჭ** ზს., ქს. „ბერწი“.

ქართ. **მროწლ-ე** „ნახირი“; საქონელი ერთიდან სამ წლამდის“.

ზან. —.

ანლაუტში დადასტურებული ქართ. **მ** : სვან. **ბ** ჩვეულებრივი მო-ვლენაა (ქართ. **მილილი**-ი : სვან. **ბურღულ**, **ღმერთი** : **ღერბეთ**...). რაც შეეხება ძირისეულ განმოვანებას, სვანური **უ** მიღებულია **ო**-სა და ბოლო-კიდური **უ** (← **ლ**)-ს შერწყმით: ***ბროჭუ** → **ბრუჭ**.

სემანტიკური მიმართება **საქონელი** ~ **ბერწი** არ არის უნიკალური — შდრ.: ქართ. **ღურაყ-ი** „წალი“ : სვან. **ღუმეყ** „ბერწი“; სვან. **ნაქად(უ)** „ორი წლის თხა“; ბზ., ლნტ. „ბერწი“; **ბერწი**-ი → აჭარ. **ბერწი**-ია „დეკეული“...

ს.-ქართვ. ***მროწლ**-(ე) „ნახირი, საქონელი“ → ქართ. **მროწლ-ე** : სვან. **ბრუჭ** ← ***ბროჭუ** ← ***მროჭლ**.

სვან. **ბურღ-**, ი-**ბურღ-ენ**-ი ბზ., ი-**ბურღ-ი** ბქ., ი-**ბურღ-ინ**-ე ლშზ., ი-**ბურღუ**-ინ-ე ლნტ. „ცომს ზელს“, „ფშვნის (ქს.)“.

ქართ. (ქიზიყ.) **ბურღ-ნ**-ა „ფეტვის ლეწვა“, მესხ. **ბურღ-ვ**-ა „ძაფის დაწეწვა“, ფშ. **ბურღ-ო** „ხორბლის, ქერის ან ფეტვის გაღეწილი ჩალა“.

ზან. —.

ქართველური ძირები სტრუქტურულ-სემანტიკურ იდენტურობას ამ-ჟღავნებენ.

ს.-ქართვ. ***ბურღ-** „ფშვნა, ლეწვა“ → ქართ. **ბურღ-**, **ბურღ-ო** : სვან. **ბურღ-**, **ბურღუ-** (ლნტ.) ← ***ბურღო** (?).

სვან. **ბურჯ-**, ხ-ე-**ბურჯ-იწლ**, ხ-ე-**ბურჯ-იელ** ლნტ. „რქენს“ ი-**ბურჯ-**იელ-ხ (პოეზ.) „ირქინებიან“, ი-**ბურჯ-იელ** „ირქინება“, ლი-**ბურჯ-იელ**, ლი-**ბურჯ-იწლ** „რქენა, ჭიდილი“, მგ-**ბურჯ-იწლ**-(ი) „მორქენალი“.

ქართ. **ბრძ**, ჰ-**ბრძ**-ავ-ს, მ-**ბორძ**-ალ-ი, **ბრძ**-ოლ-ა, მე-**ბრძ**-ოლ-ი, ე-**ბრძ**-ვი-ს, ი-**ბრძ**-ვი-ს.

ზან. (მეგრ.) **ბურჯ-**, ი-**ბურჯ-**ან-ს „ბორგავს, შფოთავს“, **ბურჯ-**აფ-ი „ჭიდილი“, მა-**ბურჯ-**ე „მბორგავი“.

ქართულ-ზანურ ფუძეთა საერთო წარმოშობაზე ადრეც მიუთითებდნენ (გ. დეეტერსი). ამავე ძირთან სვანური **ბორგ-** || **ბერგ-** ფორმის დაკავშირება სამართლიანად არის უარყოფილი (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე). ჩვენი დაკვირვებით, ქართ. **ბრძ-** : ზან. **ბურჯ-** : სვან. **ბურჯ-** ზმნურ ფუძეთა ერთიანობა ეჭვს არ იწვევს; ფორმალურ-მატერიალურ იგივეობას სემანტიკური მხარეც ეხმიანება — ბრძოლა, ბორგვა, შფოთი, რქენა/ჭიდილი საერთო ველის სემანტიკებია.

სვანურ-ზანური ფორმები ქართულისთვისაც განმავანებულ სახეობას გვაგარაუდებინებენ, შდრ. ძვ. ქართ. მ-**ბორძ-**ალ-ი.

ს.-ქართვ. ***ბორძ-** „ბრძოლა, ჭიდილი, ქრენა, ბორგვა“ → ქართ. **ბრძ-** || **ბორძ-** : ზან. **ბურძ-** : სვან. **ბურჯ-**.

ს.-ქართვ. ***ბორძ-** „ბრძოლა“ ზმნას ენათესავება იბერიულ-კავკასიურ ენათა შემდეგი მონაცემები: ს.-ნახ. **ეშ-** „დამარცხება“, ანდ. **ბუშ-**, ბოთლ. **ბეშ-**, კარ. **ბიშ-** || **მიშ-**, ახვან. **ბიშ-**, ჰამ. **ბიშ-**, ტინდ. **ბიშ-** || **ბიშ-**, ხუნდ.

ბერძ- (← **ბერშ-**) „გამარჯვება“... ნახურ-დაღესტნური **შ** ამოსავალში **ჭ** (←***ძ**) აფრიკატს ვარაუდობს.

ქართ. (მესხ.) **ბუძ-**ულ-ად „ძუძუ“.

ზან. (ჭან.) **ბუძ-**ი „ძუძუ“.

სვან. —

ქართულ-ჭანური **ბუძ-** ძირი კარგად აჩვენებს, რომ მოცემული სიტყვა არ არის ბერძნულიდან ნასესხები. პირიქით, თუ სიტყვათა ამ რიგში შემოვიტანთ სვანურ **დუდუღ** ფორმას, მაშინ ცხადი ხდება, რომ ანლაუტური **ბ-**, **დ-** გრამატიკული კლასის ნიშნებია. **ბ** — **დ** მიმართებისთვის შდრ. ქართ. ***დინჭუღელ-** || **ბინჭუღელ-** : სვან. **მგრშუკ**, ქართ. **დინდგელ-** || **ბინდგელ-**ა (იმერ.)...

ს.-ქართვ. ***ბ/დ-უძ-(უღ-)** „ძუძუ“ → ქართ. **ძუძუ** ←***დ-უძუ**, **ბუძ-ულ-**ა : ზან. **ბ-უძ-**ი : სვან. **დ-უღ-უღ** ←***დ-უძ-უღ**.

სვან. **ბუჯერ** ლშხ., ლნტ., **ბგჯერ** ლნტ. „თარო (ჭურჭლის დასაწყობი)“.

ქართ. (გურ.) **ბუძ-უ** „თარო“, იმერ. **ბუძ-ო** || **ბუძ-ე** „ურდულის გასაყრელი ყურები“.

ზან. —

ქართული **ბუჯერ-ი** სვანურიდანაა შემოსული.

საერთოქართველურ ფუძეთა შედარება არკვევს, რომ ძირია **ბუძ-**/**ბუჯ-**, ხოლო **-უ** || **-ე**, **-ერ** სადერივაციო სუფიქსებია.

ს.-ქართვ. *ბუძ- „თარო“ → ქართ. ბუძ-ო || ბუძ-უ, ბუძ-ე : სვან.
ბუჯ-ერ → || ბგჯ-ერ.

სვან. ბღეჰ ბზ., ბღე ბქ., ლნტ., ბღეღ ლშხ. „ნაპრალი“.

ქართ. ლღელმ-ა „ბზარი“.

ზან. —.

სვანურში შებრუნებული სახეობის ალომორფები დასტურდება.
მსგავსი ვითარება სხვაგანაც შეინიშნება, შდრ. ქართ. თერძ- : სვან.

ჟეთხ- ← თეჟ- ← თერჯ- (იხ. აქვე, ჟეთხ). ე. ი. თავდაპირველად სვანურშიც *ღელმ უნდა გვქონოდა, საიდანაც საურთიერთო სუბსტიტუცია-მეტათეზისით ბღელ მივიღეთ. ხოლო დამახასიათებელი ლ → უ → ჰ || დ ფონეტიკური გარდაქმნით თანამედროვე ალომორფები განვითარდა:

*ღელმ- → *ბღელ- → *ბღეუ → ბღეჰ || ბღეღ → ბღე.

ს.-ქართვ. *ღელმ- „ბზარი, ნაპრალი“ → ქართ. ლღელმ-ა : სვან.

ბღე || ბღეღ || ბღეჰ ← *ბღეუ-.

სვან. ბძღ-გნ-, ლგ-ბძღ-გნ-ე „გალივებული“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) ბურძღ-ინ-ი, ი-ბურძღ-ინ-უ, დი-ბურძღ-ინ-უ „შეინძრა; გალივდა“.

ქართული შესატყვისის უქონლობის გამო გაძნელებულია საერთო-ქართველურ გახმოვანებაზე საუბარი.

სვან. ბგნ-ღეთ, ბგლ-ნეთ ბზ., ბგნა-ღეთ ლშხ., ბგნ-ღეთ, ბუნა-ღეთ ლნტ. „ბნელი ღამე“.

ქართ. ბნ-ელ-ი, და-ბნ-ელ-ებ-ა, და-ვ-ი-ბენ-ი.

ზან. (მეგრ.) მუნ-აფ-ა „ღრუბელი“, დნ-მუნ-უ „დაბნელდა; მოიღრუბლა“.

სვანური ფორმები კომპოზიტურია; ლღეთ || ლღეთ აშკარად გამოიყოფა და ღამეს აღნიშნავს, ხოლო ბგნ || ბგნა იგივე ჩანს, რაც ქართული ბნ-ელ-ი, ბენ-. მათვე ეკედლება ზან. მუნ- ძირი. მეგრულში სახეზეა ბ → მ (ქართ. ბაწკ-ი : ზან. მონჭკ-ი...).

ს.-ქართვ. *ბან- „დაბნელება, ბნელი“ → ქართ. ბენ-, ბნ-ელ-ი : ზან.

მუნ- ← *ბუნ- : სვან. ბგნ-(ა) ← *ბან-.

სვან. ბგ-ხგ, ბქ. „სტაფილო“.

ქართ. მ-ხალ-ი || ფ-ხალ-ი.

ზან. ხულ-ი „თალგამულა, მიწათხალი“.

სვანურში თავკიდური ბგ- იმავე ფუნქციისა ჩანს, რაც ქართული მ-
(მ-ხალ-ი), ოღონდ სვანური ბ ← მ (იხ. აქვე, ქართ. მ : სვან. ბ § 10.
მ → ბ); აუსლაუტში ლ მოკვეცილია — ბგხგ ←*მგხგლ.

მნიშვნელობის გადაწევა ს ტ ა ფ ი ლ ო ← ფ ხ ა ლ ი / მ ი წ ა -
ფ ხ ა ლ ი სვანურშია საგულვებელი.

ს.-ქართვ. *(მ-)ხალ- „ფხალი, მიწათხალი“ → ქართ. მ-ხალ-ი → ||
ფ-ხალ-ი : ზან. ხულ-ი : სვან. ბგ-ხგ ←*მგ-ხგლ.

ს.-ქართვ. *(მ-)ხალ- სიტყვის მონათესავე ფუძეებს ვადასტურებთ
სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში: ბაცბ. გოჟ, ინგ. გმე ← გო, ჩაჩნ. გო ||
გომ „ლობიო“ ← ს.-ნახ. გოჟ ←*გოლ; ხუნდ. ჰოლო, ანდ. ჰალი, ჭამ.,
ბაგვალ. ჰალ, ახვახ., კარატ., ტინდ., ბოთლ., ლოდ. ჰალი, ხვარშ. ჰელ,
დარგ. გარა, ლაკ. გურუ, ლეზგ. ხარ-ხარ (რედუბლ.), თაბას. ხარ, აღ.
ხარ-ხარ (რედუბლ.), რუთ. ხარ, წახ. ხარა, კრიშ. ხარ-ხარ (რედუბლ.)
„ბარდა“, "ropox" ← ს.-ღალ. ვალ-ა.

ბ

სვან. **განზ** ზს., ქს. „წვივის ძარღვი“, „წვივი“.
ქართ. **გან-**, **გან-ი**, **გან-ა** „კლანჭები“, „ბრჭყალები“, **გან-**ებ-ი „წვი-
ვები; წვივის ძვლები“.

ზან. **გოჯ-ი** „მუხლი“.

სვანურში **ნ** ფონეტიკური დანართია — **განზ** ← **გან** (ს. ჟღენტი,
მ. ქალდანი).

ამოსავალი მნიშვნელობა წვივისა უნდა ყოფილიყო. ზანური
ეკვივალენტი უნდა ჩანდეს ძვ. ქართულ **გოჯ-** „მუხლი“ სიტყვაში.

ს.-ქართვ. ***გან-** „წვივი; წვივის ძვალი (ძარღვი)“ → ქართ. **გან-**(ა) :
ზან. **გოჯ-ი** ← ***გოჯ-ი** : სვან. **განზ** ← ***გან**.

სვან. **გაჟუ** ბქ. „მუჭი, ბუნდოვანი, მკრთალი“.

ქართ. (აჭარ., გურ.) **გოჟო** „ყვითელი, გამხდარი (ბავშვზე იტყვიან)“.

ზან. (მეგრ.) **გგჟ-ე** || **გოჟ-ე** „ნელთბილი“.

სვანურ-ზანურ ფუძეთა განმოვანება ინლაუტში მეორეულია. ამოსა-
ვალია ქართულის ვითარება: სვან. **გაჟუ** ← ***გოჟ-ო**, ზან. **გგჟ-ე** || **გოჟ-ე**
← ***გოჟ-ე**.

ბოლოკიდური **-ო**, **-ე** ქართველური ოდენბმოვნიანი სუფიქსებია.

ს.-ქართვ. ***გოჟ-ო** (← ***გოზ-ო**) „მკრთალი; ნელთბილი“ → ქართ.

გოჟო : ზან. **გგჟ-ე** || **გოჟ-ე** : სვან. **გაჟ-უ** ← ***გოჟ-ო**.

სვან. **გარაშა** ბზ., **გარაშა** ბქ., **გარაშაშა** ლშზ., **გარაშაშა** ლნტ. „ჭა-
რი; გველის პერანგი“.

ქართ. (ქართლ.) **გერსლ-ი** „გინგლი, თმა, ბალანი“, ქვ. ქართლ.,
მოხ. **ქარსლ-ი** „თხელი ტყავი“.

ზან. —.

სვანური ალომორფებიდან უფრო ძველია ლაშხურ-ლენტიკური
გარაშაშა, სადაც ქართული **ლ-**ს პოზიციური შესატყვისი **ჟ** შენახულია,
თუმცა მეტათეზისებულია ფუძის სიღრმეში — **გარაშაშა** ← ***გარაშაშა**.

საერთოქართველური არქეტიპი ***გარსალ-** სახეობისა უნდა ყოფი-
ლიყო, საიდანაც განვითარდა **ა-**ს რედუქციით ქართული **გერსლ-** || **ქარ-**
სლ-; სვანურში დადასტურებული ფორმები საერთოსვანური ***გარაშაშა-**
უძველესი ვარიანტიდან სინჰარმონიზმის მეშვეობით მივიღეთ — ***გარაშაშა-**
→ ***გარაშაშა** → **გარაშაშა** || **გარაშაშა** → || **გარაშა** || **გარაშა**.

შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე ქარი ~ თმა, ბალანი, ტყავი კანონზომიერია.

ს.-ქართვ. *გარს-ალ- „ქარი, კანი“; „თმა, ბალანი“ → ქართ. გერსლ-ი || ქარსლ-ი : სვან. გარაშა || გარაშა || გარაშაშა || გარაშაშა ←*გარაშაშუ ←*გარაშაშუ.

ქართ. (იმერ., გურ., ლეჩხ.) გარო „ხარჩოზე ან ღომზე მოყენებული ქონი (ვ. ბერიძე)“, „მსუქანი ხორცის მოხარშვის შემდეგ წყლის ზედაპირზე მოყენებული ქონი (ს. ჟღენტე)“, „თავზე მორთმეული ქონი ქვაბში საჭმლის მოხარშვისას (მ. ალავეძე)“.

ზან. (მეგრ.) გგრ-ი || გირ-ი „რძის ნახარში“; „შრატი“.

სვან. —

ზანურში ქართული ა-ს შესატყვისად უნდა ყოფილიყო ო, გვაქვს კი — გ || ი; ცხადია, ო → გ || ი განხორციელდა ზანურში გ. როგავას წესის მიხედვით.

აუსლაუტური ქართ. ო : ზან. ი სხვაგანაც დასტურდება (ღვინ-ო : ღ(ვ)ინ-ი...).

ს.-ქართვ. *გარ-ო „ნახარში ქონი, ცხიმი“ → ქართ. გარ-ო : ზან. გგრ-ი || გირ-ი ←*გორ-ო.

სვან. გარ-ჟ „კრიჭა (წისქვილის ნაწილი)“; „გეჭა, როფი“.

ქართ. გარ-ა „ქვაბის ყელ-პირი“, „კოფო“, „ჯონი“.

ზან. (მეგრ.) გუჯ-ი, ლა-გუჯ-ი „საზურგე ტომარა, დაუმუშავებელი ცხვრის ან თხის ტყავისაგან“.

მეგრულში ლა- სემანტიკის პრეფიქსად კვალიფიკაცია ბუნებრივია; აქ ლა-ს მსგავსი ფუნქციით გამოყენება საკმაოდ ხშირად შეინიშნება: ლა-კვატა || ლა-კუჩხა „ჭოლოკი“, ლა-კად-ა : კედ-არ-ო (იხ. აქვე), ლა-გვი-მორია, გვიმორა „გვიმრა“, ლა-ტყვაჟ-ია „ცუდი თოფი“ შდრ. ზმნური

ტყვაჟ-აფ-ა „ცუდად სროლა (ი. ყიფშიძე)“, ლა-ჟურ-ში „ლაყუჩი“... ლა-ს სვანურიდან სესხების დაშვება აუცილებლად არ მიგვაჩნია, რადგანაც ლა-ქართულშიც იჩენს თავს, შდრ. ლა-ფარ-ო/ფარ-ი, ფარ-ვა, ლა-ფერთხ-ა (შდრ. სვან. ფერთხ-ს „ციცხვი“)...

ქართველურ ენებში ძირად გარ- გამოიყოფა, რომელსაც ერთგვარი ჭურჭლის მნიშვნელობა ახასიათებდა.

ს.-ქართვ. *გარ- „ერთგვარი ჭურჭელი“ → ქართ. გარ-ა : ზან. -გუჯ-ი ← -გოჯ-ი : სვან. გარ-ჟ ←*გარ-ო.

სვან. **გაჟ**, **გაჟ**-ა „ძალა, ღონე“, ლგ-**გაჟ** „ღონიერი, ძლიერი“.
ქართ. (გურ.) **გალ**-ა „სუსტი“, **გალ**-, გა-**გალ**-ებ-ა „ძალის, სიმაგრის
დაკარგვა“.

ზან. —.

საყურადღებოა მნიშვნელობის ევოლუცია გურულ დიალექტში, სა-
დაც დიალექტურულად საპირისპირო შინაარსი დასტურდება. თუმცა ძალის
სემის პოვნეირება აქაც საგრძნობია, რამეთუ ძალის ნეგატიურმა გაგებამ
წარმოშვა სისუსტის ცნება: ძ ა ლ ა → ძ ა ლ ი ს და კ ა რ გ ვ ა →
ს ი ს უ ს ტ ე || ს უ ს ტ ი.

სვანურში შეიმჩნევა **ლ** → **ჟ** პროცესი, რაც ბუნებრივია ამ ენის
ფონეტიკისთვის (იხ. აქვე, § 3. **ლ** → **ჟ**).

ს.-ქართვ. ***გალ**- „ძლიერება, ღონე“ → ქართ. **გალ**-ა, **გალ**- : სვან.
გაჟ- ← **გალ**-.

სვან. **გაწ**-რ ბქ. „წვივი“.

ქართ. (ფშ.) **კაწ**-არ-ი „ბრჭყალი“.

ზან. **კონჭ**-ი || **კოჭ**-ი „კოჭი“.

სვანურში შეინიშნება **კ** → **გ** პროცესი, რაც სამეცნიერო ლიტერა-
ტურაში ახსნილია, როგორც მკვეთრთა პოზიციურ-დისიმილაციური გა-
მჟღერება, შდრ.: **ჭაჭ** → **ჭაჭ**, **ტუტა** → **დგტ**... (გ. როგავა). გარდა ამი-
სა, საყურადღებოა **წ** → **ჭ** → **წ** პროცესი სვანურში, რაზეც ზანური ეკ-
ვივალენტი მიანიშნებს — სვან. **გაწ**-რ ← ***კაჭ**-რ ← ***კაჭ**-არ.

ასე რომ, ამ შემთხვევაში საერთოქართველურ ძირად **კაწ**- გამოიყო-
ფა (-**არ**, -**რ** აფიქსებია ქართულსა და სვანურში). მისი ეტიმონი
წ ვ ი ვ - კ ო ჭ ი ს ა უნდა ყოფილიყო. წვივი → ბრჭყალი სემანტიკური
ევოლუციისთვის ქართულში შდრ. **გაზ**-(ებ-)ი ლექსემა რომლისთვის დამა-
ხასიათებელია როგორც „ბრჭყალის“, ისე „წვივის“ სემანტიკა.

ქართული **კოჭ**-ი ზანიზმია, რომელიც **ნ**-ს ფონეტიკურად დართვა-
მდე არის შეთვისებული — ს.-ქართვ. **კაწ**- → ზან. **კოჭ**- → ქართ. **კოჭ**
(შდრ. სომხ. **კუოჭ**).

ს.-ქართვ. ***კაწ**- „წვივი, კოჭი“ → ქართ. **კაწ**-არ-ი : ზან. **კონჭ**-ი ←
კოჭ-ი : სვან. **გაწ**-რ ← ***კაჭ**-რ ← ***კაჭ**-არ.

სვან. **გაღ**- || **გედ**-, **ხ-ა-გად**-ი (ამ-**გაღ**-ინ-და) ბზ., ბქ., **ხ-ა-გად**-ი
(ამ-**გედ**-და) ლშხ., **ხ-ა-გედ**-ი ლნტ. „ეძინება“; ქს. „სძინავს“.

ქართ. **გდ**-, ა-**გდ**-ია, (და)ე-**გდ**-ებ-ა, ე-**გდ**-ო.

ზან. —.

სტრუქტურული იდენტურობა ადვილი დასანახია. ყურადღებას იქცევს სიტყვათა სემანტიკა. მნიშვნელობათა მსგავსი ცვალები კარგად ჩანს ხუნძურ-ანდიურ ენათა მასალაშიც — შდრ. ხუნძ. **გირ-** „დაგდება, დაგორება“, ანდ. **გირ-დ-** „დაწოლა“ : ტინდ. **გორ-დ-** „ძილი, თვლემა“ (ქართ. **გორ-ავ-**ს ტ. გუდავა).

ს.-ქართვ. ***გად-** || ***გდ-** „გდება, ძილი“ → ქართ. **გდ-** : სვან. **განდ-** || **გედ-**.

სვან. **-გან** || **-გენ**, **ლგ-გან** ზს., **ლნტ.**, **ლგ-გენ** უშგ., **ლგ-გან** ლშხ. „განიერი“.

ქართ. **გან-ი**, **გან-იერ-ი**, **გან-** (ზმნისწინი).

ზან. **გო** (←***გონ-**) „გა- ზმნისწ.“.

ს.-ქართვ. ***გან-** „განი, განიერი“ → ქართ. **გან-**, **გან-იერ-ი** : ზან.

გო- ← **გონ-** : სვან. **გან** || **გენ** || ← **გან** (შდრ. ს.-ნახ. **გან-** „შორი“).

სვან. **გატ** ზს., **ლნტ.**, **გატ**. ლშხ. „ქატო“.

ქართ. **ქატ-ო**.

ზან. (მეგრ.) **ქუთ-ია** „მცენარე (თხები ძლიერ ეტანებიან)“.

ქართულ **ქატ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ზანური (მეგრული) **ქუთ-**. ი. ყიფშიძე ლექსიკონში **ქუთ-ია** ფორმასაც უთითებს, რაც არ უნდა იყოს მართებული.

მეგრულის ჩვენება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ აქ მცენარის სახელწოდებაა შემონახული; თორემ ქატოს გაგებით ქართული სიტყვა გამოიყენება.

ს.-ქართვ. ***ქატ-** „ქატო (მცენ.)“ → ქართ. **ქატ-ო** : ზან. **ქუთ-ია** ←***ქოტ-ია** : სვან. **გატ** || **გატ** ←***ქატ**.

ს.-ქართვ. ***ქატ-** უკავშირდება მონათესავე ენათა მონაცემებს წინააზიოდან, შდრ.: ხათური **ქაით**, ჰურიტული **ქადე** || **ქათე** „მარცვალი, ქერი“.

სვან. **გაჟ** ზს., **გაჟ**-აღ ბქ. „ნატეხი“.

ქართ. **გალ-** || **გლ-**, **გა-გალ-ვა** „დანაყვა“, **გლ-**ა „ჩეჩქვა“, ქიზიყ. **ნა-გალ-**ი „ნალეწი“.

ზან. —.

სვანურში გვაკლია ზმნური ფორმები, რომელიც **გაჟ-** ტიპის უნდა ყოფილიყო; ბალსქვემოურ **გაჟ-აღ** სახელში **-აღ** სუფიქსად გამოიყოფა. **ლ** → **ჟ** ფონეტიკურმა პროცესმა აქაც იჩინა თავი (იხ. აქვე, § 3. **ლ** → **ჟ**).

საერთოქართველურ დონეზე აღდგება **გალ-** ზმნური არქეტიპი, რომელსაც ახასიათებდა **გ ა ტ ე ხ ი ს**, **დ ა ნ ა ყ ვ ა** - ჩ ე ჩ ქ ე ი ს შინაარსი.

ს.-ქართვ. *გალ- „ტეხა, დანაყვა-ჩეჩქვა“ → ქართ. გალ- : სვან. გჷუ || გაუ-(ვლ) ← *გალ-.

სვან. გჷჩ ზს., ლნტ., გეჩ ლშხ. „დანა“ (გჷჩჷ-შ ნათ. ბრ. ფორმა).

ქართ. გაცა → || გაც-ი „კერპი, ღმერთი (წარმართული)“.

ზან. გოჩა „ად. საკ. სახელი“.

გჷჩჷ-შ ნათ. ბრ. ფორმა აჩვენებს, რომ სვან. გჷჩ || გეჩ ისტორიულად გოჩა არქეტიპისაგან მომდინარეობს. გჷჩ(ა) : გაცა : გოჩა სემანტიკური შეპირისპირებისას სვან. დანის (იარაღის) გაგება ამოსავალი ჩანს (შდრ. ქართ. წათ-ი „იარაღი“ → წათ-ე „მეფის სახელი“ : ზან. ჯორთ- || ჯვირთ- „წათი“ (გ. როგავა)) ქართველური ენებისათვის და მიგვითითებს, რომ ქართულ წარმართულ პანთეონში გაცა || გაც-ი იარაღის, ომის ღმერთი იყო. ოღონდ კონკრეტულად „დანის“ მნიშვნელობა გვიანდელი ჩანს სვანურში. უფრო ძველი მჭრელი იარაღის (ხმლის, სატევრის) სემა უნდა ყოფილიყო. ხმალი → დანა მნიშვნელობის გადაწვევისათვის შდრ. ქართ. ვმ-ალ-ი „ხმალი“ : ზან. ხამ-უ „დანა“.

(გაცა : გოჩა) ფუძეს მეგრული ქიარ-იშ ხატი „ქიარ-ის ხატი“ უნდა შეიცავდეს: გოჩა → გოჩა-შ-ი → გოა-ჩ-ი → ქიარ-ი.

ს.-ქართვ. *გაცა- „ღმერთი (ომის, იარაღის)“ → ქართ. გაცა || გაც-ი : ზან. გოჩა : სვან. გჷჩ || გეჩ ← გჷჩა.

სვან. გდ-, ხ-ო-გდ-ურ „უჭირავს, ხელი უკიდია“.

ქართ. გდ- „ჩაგდება ხელში“.

ზან. რდ-, ა-რდ-ებ-ა (გდ → რდ გ. როგავა), ქართ. ვარდ- ← ზან. ო-გდ-¹ (არნ. ჩიქობავა).

-ურ ზმნური სუფიქსია სვანურში და სხვაგანაც გამოიყოფა: ხ-წ-ყჷჩ-ე „ატეხს“, ა-ყჷჩ-ურ-ე „ამტვრევს“, ხ-ა-ყჩ-ურ-ე „ატეხს“; ა-ღფ-ი || ა-ღწფ-ი „ღებავს“, ა-ღფ-ურ-ე || ა-ღაფ-ურ-ი „შავად მოსავს“...

აქ აღწერილი ს.-ქართვ. გდ- ძირი უკავშირდება *გად- ზმნას (იხ. ზევით).

სვან. გებ-/გიბ-, ხ-წ-გებ-ე (ლა-ხ-ა-გიბ-ე) „არჭობს, ასობს“.

ქართ. გებ-, ა-გებ-ებ-ს, ა-გებ-ა...

ზან. გ-აფ-ა, ო-გ-აფ-ს || ო-გ-ან-ს „წამოაცვამს, წამოაცმევს“, ო-გაფ-ა „სახუნელი, გუთან“.

ქართულ-სვანურში -ებ სუფიქსი ფუძეს არის შეხორცებული; ზან-ურთან შედარება მას გამოანაწევრებს (შდრ. გებ- : ზან. გ-აფ- ← *გ-აბ-,

ქართ. **დღვებ-** ← **დღვ-ებ-** : ზან. (ჭან.) **დღვ-ალ-** „დღვება“... **-ებ** || **-ეფ** სუფიქსისათვის სვანურში (იხ. აქვე § 39-40).

ს.-ქართვ. ***გ-(ებ-)** „სობა, წამოცმევა, გებება“ → ქართ. **გებ-** : ზან. **გ-აფ-**, **ო-გ-აფ-ა** : სვან. **გებ-/გიბ-**.

სვან. **გებ-/გიბ-**, **ხ-ე-გბ-ენ-ი** (ოთ-**გაბ**) ბზ., ლზზ., **ხ-ე-გებ-ენ-ი** ლნტ. „ელრძობა“, **ხ-ო-გბ-ე** (ოთ-**გიბ**) „უსხლეტს“.

ქართ. **გ-**, **გ-ებ**, **გადა-ე-გ-ებ-ა**, **გადა-ე-გ-ო**.

ზან. **გ-**, **გ-აფ-**; გინო-**გ-აფ-ა** „გადაგება, **ო-გ-აფ-ურ-ი** „საგები“, „გადასახადი“.

-ებ თემის ნიშანი აქაც ფუძეს არის შეხორცებული — **გებ-**, მაგრამ ქართულ-ზანურის ჩვენება მას ცალკე გამოგვაცოფინებს.

„ლრძობის“ მნიშვნელობა სვანურში **გ ა დ ა ს მ ი ს**, **გ ა დ ა გ ე ბ ი ს** (გადაეგო) გვიანდელ განვითარებას წარმოადგენს. მსგავსი შემთხვევა ზანურშიდან არის ცნობილი, შდრ. მეგრ. გინო-**რშუმ-აფ-ა** „ლრძობა“ : ქართ. **გადა-სმ-ა** („ლრძობა“ ← „გადასმა“).

ს.-ქართვ. ***გ-** „გება“ → ქართ. **გ-**, **გ-ებ-** : ზან. **გ-**, **გ-აფ-** : სვან. **გებ-** ← **გ-ებ-**.

სვან. **გემ**, ლე-**გემ** „დასახურავი“, **გუმ** „ხის საცობი“; „ფიჭვის ქერქი კასრის ძირის **ამოსაგმანად**“.

ქართ. **გმ-ან-** „დაცობა, დაგმანვა“, **სა-გმ-ან-ი**.

ზან. —.

გმ-ან- რედუქცირებული ფუძე ჩანს ქართულში: **გVმ-ან-** → **გმ-ან-**. რედუქციის მიზეზი **-ან** სუფიქსის დართვა უნდა იყოს, რომელიც გამოსაყოფია.

ს.-ქართვ. ***გVმ-** „დაცობა, გმანვა“ → ქართ. **გმ-ან-** : სვან. **გემ-** || **გუმ**.

სვან. **გეჭ** ბქ., ლნტ. „თოხი“ (წისქვილის ხორბლის სატრიალებელი რკინა).

ქართ. **გაზ-ი** „მარწუხი“.

ზან. —.

სვან. **ე** კანონზომიერად ასახავს ს.-ქართვ. **ა-ს**, შდრ. ქართ. **ა** : სვან. **ე (სამ-ი : სემი, ძაღლ-ი : ყელ(ჟ)...) .**

ქართ. **გაზ-ი** სპირანტიზებული ვარიანტია ისტორიული **გაძ-**ისა, რაც **ძ** || **ზ** სუბსტიტუციით აიხსნება (შდრ. **ძან-ილ-ი** || → **ზან-ილ-ი**, **ძრან-ვ-ა** || → **ზრან-ვ-ა...**).

ს.-ქართვ. *გაძ- „თოხი, მარწუხი“ → ქართ. **გაზ-ი** (← **გაძ-ი**) : სვან. **გეჯ** ← **გაჯ** (შდრ: ს.-ნახ. **გერძ** „იარალი“, ხუნძ. **გაზა** ← **გაძა**, ანდ. **გაზა** ← **გაძა**, ბაგვ. **გალჭა**, ბოთლ. **გაჯა**, დარგ. **გაძა**, ლაკ. **ქაზა**, წახ. **გაძაძ** „წერაქვი“...)

სვან. **გინდერ** || **გინდორ** „ჩაქინდრვა“.
ქართ. **ქედ-ი**, **ქინდრ-** „ჩაქინდრვა“, გურ. **ქინდრ-**ი „მსუქანი კისერი“, ლეჩხ. **ქინდრ-ებ-ი** „კისერი“ (pluralia tantum).

ზან. **ქინდირ-ი** „კისერი, ქედი“.

ყურადღებას იქცევს **ქ** → **გ** პროცესი სვანურში, რაც არ არის უნიკალური — სვან. **გატ** : ქართ. **ქატო**, სვან **გიცარ** „ვერძი“ : მეგრ. **ქაცარი** „თიკანი“...

ს.-ქართვ. ***ქინდ-Vრ-** „ქედი, კისერი“ → ქართ. **ქინდრ-**, **ქედ-ი** : ზან. **ქინდირ-ი** : სვან. **გინდერ** || **გინდორ** ←***ქინდერ-**.

სვან. **გიცუ-**რ-ილ ბზ., **გიც-**რ-ულ ბქ., ქს. „კვლიავი“.

ქართ. **ქაცვი**-ი (მცენ.).

ზან. (მეგრ.) **ქუც-**ი „ქაცვი“.

ქართულ-ზანურ ფუძეთა საერთო წარმომავლობა ცნობილია (ბ. ჭარაია, გ. კლიმოვი...). მათვე უკავშირდება სვანური **გიცუ-**რ-ილ ←***გიცუ-**რა-ილ (-**რა** მცენარეთა დაბოლოებაა, -**ილ** — კნინობითობის სუფიქსი).

ანლაუტში შეიმჩნევა **ქ** → **გ** და **ა** → **ი** ფონეტიკური პროცესები, რაც დამახასიათებელია სვანურისთვის, შდრ. სვან. **გიცარ** : მეგრ. **ქაცარი**-ი „ციკანი“, იხ. წინა მაგალითი.

შეფარდება სემანტიკურ ღონეზე კ ვ ლ ი ა ვ ი ~ ქ ა ც ვ ი ბუნებრივია.

ს.-ქართვ. ***ქაცუ-** „ქაცვი; კვლიავი“ → ქართ. **ქაცვი**-ი : ზან. **ქუც-**ი ←***ქიცვი**-ი : სვან. **გიც-**რ-ულ || **გიცუ-**რ-ილ ←***ქაცუ-**რა-(ილ).

სვან. **გიჭ-**, ი-**გჭ-**ე (ად-**გიჭ**, ად-**გიჭ-**ე ზს., ლნტ., ოთი-**გჭ**, ედ-**გიჭ**, ედ-**გიჭ-**ე ლშხ.) „აკავებს, იჭერს“, **გაჭა** „გაძლება“, ლე-**გიჭ** „დასაჭერი“.

ქართ. **გაწარი-ი** „გრძლად ნაგები მახე (საბა)“ ← ეტიმ. „საჭერი, დამჭერი“.

ზან. —

სვანური **გიჭ-** შეიძლება აბლაუტური სახენაცვალი იყოს **გაჭა** „გაძლება“ ზმნისა. ამაზე ნათლად მიუთითებს ლე-**გიჭ** „დასაჭერი“ ალომორ-

ფი; ე. ი. **გაჭ-** → **გიჭ-** || **გიჭ-**.

ქართულ **გაწ-არ**-ში **-არ** დერივაციული სუფიქსი ჩანს (შდრ. **ჭაგ-ი** || **ჭაგ-არ-ი...**). ზმნური ***გაწ-** ქართულში ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. ***გაწ-** „დაჭერა, მახე“ → ქართ. **გაწ-არ-ი** : სვან. **გაწ-** || **გაწ-** || **გაწ-**.

სვან. **გოგუერ** (მრ. რ. **გოგორ-ალ**) „ურმის თვალი“.

ქართ. **გოგორ**-ა „ერქვანთ თვალი საბრუნავი“ (საბა), **გორგოლ**-ა || **გორ-გოლ**-აჟი „პატარა ბორბალი“.

ზან. **გორგოლ**-ია „პატარა ბორბალი; რგოლი“.

ქართველური ფუძეები მიღებულია იმ **გორ-** ძირის რედუბლიკაციის (**გორ** + **გორ-**), რომელიც დღესაც ჩანს ქართულ **გორ-** (**გორ-ავ-ს**) ზმნა-ში (შდრ. **ბრ-** „ბრუნავს“ → **ბორ-ბალ-ი**).

აქ წარმოდგენილი ქართველური ფუძეები შეიძლება მეორედბოდეს სხვა საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვებშიც: ქართ. **მ-გრგვალ**-ი : ზან. **კვარკვალ**-ია : სვან. **გირგოდ** ლმზ., **გორგუედ**, **გირგედ** ზს. „რგოლი, რკალი“; ქართ. **გვირგინ**-ი : ზან. **გურგინ**-ი : სვან. **გურგუინ** ბზ., **გუირგუინ** ლნტ. „გვირგინი“... (შდრ. ქართ. **გორგალ**-ი, სვან. **გურ-ან** „გორება“, ზან. **გვანგვალ**-ი „გორვა“...)

ს.-ქართვ. ***გორ-გორ-** „ბორბალი“, ***გორ-** „გორვა“ → ქართ. **გორ-გორ**-ა, **გორ-გოლ**-ა, **გორ-** : ზან. **გორ-გოლ**-ია, **გვან-გვალ**-ი : სვან. **გო-გუერ**- || **გო-გორ**- ← **გორ-გორ-**, **გურ-ან**.

გორ-გორ- სიტყვის შესატყვისებია ასევე გაორკეცებული ფუძეები მონათესავე იბერიულ-კავკასიური ენებიდან: ბაცბ. **გოგო** „რგოლი, რკალი“, **გორგ**-ი „მრგვალი“, ინგ. **გაერგ-ჰ** „მრგვალი“, ჩაჩნ. **გუორგ**-ი; ხუნძ. **გურგინ**-აბ, ანდ. **გურგუმ**-ა, ლოდ. **ჯირჯამ**-უ, ტინდ. **კორკალ**-ობ, კარ. **გერგამ**-ობ, ახვან. **გიგა** || **გირგან**..., ლაკ. **ქურქი**, დარგ. **ურურუა** ← ***გურურუა**, არჩიბ. **გურგო**, თაბას. **გერგმი** „მრგვალი“... შდრ. შუმ. **გი-გირ** „საბრძოლო ეტლი“... **ბორბლის** აღმნიშვნელი ტერმინის არსებობა საერთოიბერიულ-კავკასიური ერთობის დონეზე მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ხალხების კულტურული წარსულის, და, საერთოდ, ცივილიზაციის ისტორიის თვალსაზრისით.

ქართ. **გრაკ-ალ-ი** (მცენ.), **გრკ-ო** „რკო“.

ზან. (ჭან.) **კურკ-ა** „წკა“, მეგრ. **კვ** „რკო“.

სვან. —

წინამდებარე დაკავშირება მოტანილია იმის საილუსტრაციოდ, რომ საერთოქართველურ ენობრივ დონეზე არსებობდა **მურხის** აღმნიშვნელი სხვა სინონიმური სიტყვა. კერძოდ, ჩვენი აზრით, **გრაკ-ალ-ი** იყო მცენარე (მუხა), ხოლო მისი ნაყოფი **გრკ-ო** „რკო“. ე. ი. **წიფელ-ი** (ხე) —

წიფ-ი || **წიფ-წიფ-ი** (ნაყოფი) ტიპის მიმართება უნდა გვექონოდა. მოგვიანებით ისტორიულ ქართულში სურათი შეიცვალა მას შემდგომ, რაც ენაში გარვეცვლდა დაღესტნური წარმომავლობის **მუხა** სიტყვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე თითქოს ირკვევა, რომ ჭანური

კურკ-ა ← ***გურკ-ალ-** ფორმა საერთოქართველური **გრაკალ-**ის (ხის) შესატყვისია, ხოლო მეგრული **კვ** ნაყოფის **გრკ-ო**-ს უშუალო გაგრძელებაა —

გრკ-ო → ***რკ-უ** → **კვ**.

ჭანური **კურკ-** ძირი არის საფუძველი ლათინური **querq-us** „მუხა“ ფუძისთვის. რომელიც აშკარა ქართველური წარმომავლობისა ჩანს.

ს.ქართვ. ***გრაკ-ალ-** „მუხა“, ***გრაკ-ო** || ***გრკ-ო** „რკო“ → ქართ.

გრაკ-ალ-ი, **გრკ-ო** : ზან. **კურკ-ა** ← ***გურკ-ალ-**, **კვ** ← ***რკ-უ** ← ***გრკ-ო**.

ს.ქართვ. ***გრაკ-** ძირის შესატყვისებია: ბეჟიტ. **კჷკჷ**, დიდ. **აკ**, ჰინუხ. **აკ** „წკა“, ხვარშ. **-რკა** (მუჟუ-**რკა**) „რკო“, ლეზგ. **კვკალ**, თაბ. **კე-კელ**, კრიწ. **კაფ**, ბუღლუხ. **კაფ** „წკა“ .., ბაცბ. **კურკო** „რკო“.

სვან. **გურ-** [ლა-ნ-**გურ-**] „ენგური“.

ქართ. ე-ნ-**გურ-ი**, ე-**გრ-ის-ი**, მ-ე-**გრ-ი** || მ-ე-**გრ-ელ-ი**.

ზან. (მეგრ.) ი-ნ-**გგრ-ი** || ი-ნ-**გირ-ი**, მ-ა-**რგ-ალ-ი** ← მ-ა-**გრ-ალ-ი**,

ჭან. მ-ა-**კრ-ონ-ი** ← მ-ა-**გრ-ონ-ი** „მეგრელი“ (ა-**გრ-ონ-ი** „ეგრისი“), **მარგ-ულ-ი** = **მეგრ-ულ-ი**.

ი. ყიფშიძე ჟ. შარდენზე დაყრდნობით **ლანგურ-ი** სახეობას იმოწმებდა მდ. ენგურის აღსანიშნავად. შეიძლება დაისვას საკითხი მისი სვანურობის შესახებ — **ლ-ან-გურ-**. **ლ-**ს დართვა **-ა-**ს წინ არ არის სვანურისთვის უცხო, შდრ. ზან. ორტეინ-ი || ორტილ-ი : სვან. **ლ-ა-რ-ტამ** „ბოსტანი“. ამოსავალი სვანური ვარიანტი **ლ-ენ-გურ-** || **ლ-ენ-გურ-** უნდა ყოფილიყო, საიდანაც **ე** → **ჷ** → **ა** უკუმიმართულების უმლაუტის წესით (მ. ქალღანი) **ლ-ან-გურ-** განვითარდა.

ჭანური **მ-ა-კრ-ონ-ი** (არნ. ჩიქობავა), ჩვენი დაკვირვებით, იძლევა ძვირფას ინფორმაციას ეგრისის სამეფოს საკუთრივ ზანური სახელწოდების შესახებ. ვფიქრობთ, **ე-გრ-ის-ი** მეგრულ-ჭანურად ***ა-გრ-ონ-**ად იწოდებოდა, სადაც **-ონ** მრავლობითობის ზანური სუფიქსია (შდრ. ქვალ-**ონ-ი**, თაგილ-**ონ-ი**, ნიშ-**ონ-ი**...), ხოლო ***მ-ა-გრ-ონ-ი** აღნიშნავდა **ა-გრ-ონ-ი** „ეგრისი“ ქვეყნის მკვიდრს ისევე, როგორც **მ-ე-გრ-ი** **ე-გრ-ის-ის** მკვიდრს ქართულში (**არგონავტ-**შიც მეგრული **არგონ-** ← **ა-გრ-ონ-** „ეგრისი“ სიტყვა ჩანს) (შდრ. **მარგ-ულ-ი** (= **მეგრ-ულ-ი**) „შავქლიავი“, "чернослив").

სამართლიანია ფიქრი **ე-გრ-ის-ისა** და **ე-გურ-** → **ენგურ-**ის საერთო წარმომავლობის შესახებ (ო. კახაძე).

ს.-ქართვ. ***ე-გურ-** „ენგური; ეგრისი“ → ქართ. **ე-ნ-გურ-ი**, **ე-გრ-ის-ი** ← **ე-გურ-ის-ი**, **მ-ე-გრ-ი** || **მ-ე-გრ-ელ-ი** : ზან. **ი-ნ-გგრ-ი** || **ი-ნ-გირ-ი** ← ***ა-ნ-გგრ-ი** ← ***ა-გურ-ი**, **ა-გრ-ონ-ი** ← **ა-გურ-ონ-ი**¹, **მ-ა-კრ-ონ-ი** ← **მ-ა-გრ-ონ-ი** ← **მ-ა-გურ-ონ-ი**, **მ-ა-რგ-ალ-ი** ← **მ-ა-გრ-ალ-ი** ← **მ-ა-გურ-ალ-ი** : სვან. **ლ-ა-ნ-გურ** ← **ლ-ე-ნ-გურ** || ← **ლ-ე-გურ**.

ს.-ქართვ. ***ე-გურ-** სიტყვის შესატყვისია მდინარის აღმნიშვნელი ფორმები იბერიულ-კავკასიურ ენებში: დიდ. **ქერუ**, ხვარშ. **ქულა** ← **ქურა**, ჰინ. **ქორა**, ჰუნზ. **ქურო**, ბეჟიტ. **ქუჟო** ← **ქურო**, კრიწ. **ქურ**, ბუ-დუხ. **ქურ**, უდ. **ქურ** „მდინარე; ნაკადული“.., აფხაზ. **ა-გრ-**უა „მეგრელი“.

სვან. **გურ-ნა** ზს., ლშზ., **გურ-ანა** ლნტ. „ქვასანაყი“.

ქართ. **გორ-ა** || **გორ-ო** „ერთგვარი ჭურჭელი“.

ზან. (მეგრ.) **ქვინჯ-ე** || **ქვიჯ-ე** „როდინი, ქვიჯ-ა“.

საერთოქართველურ ძირად **გორ-** გამოიყოფა, რომლის კანონზომიერი შესატყვისია მეგრული **ქვიჯ-** → || **ქვინჯ-**, სვანური **გურ-** ← **გორ-** (შდრ. **ფხლ-ე** || **ფხულ-ე**) ძირები. ზანურში თავდაპირველად **გორ-**ის კანონზომიერ ეკვივალენტად ***გუჯ-** გვექნებოდა **ო** : **უ**, **რ** : **ჯ** კორესპონდენციებით, მოგვიანებით მისგან **უ** → **ვი** (შდრ. ქართ. **თხორ-ი** : ზან. **თხვირ-ი**...) და **გ** → **ქ** ფაკულტატიური პროცესების გავლით თანამედროვე **ქვიჯ-** || **ქვინჯ-** ჩამოყალიბდა. ქართულსა და მის დიალექტებში გავრცელებული **ქვიჯ-ა** || **ქვიჯ-ე** ზანიზმად კვალიფიცირდება.

საინტერესოა ამ სიტყვის სემანტიკური მხარე. თუ ქართულსა და ზანურში ის ფილ-(შდრ. ფილ-თა ქვა)/როდინ-ჭურჭლის მნიშვნელობით ხასიათდება, სვანურში, პირიქით, ქვასანაყს აღნიშნავს. მსგავსი სემანტიკური სხვაობა აიხსნება საერთოქართველური ფუძის პოლისემიურობით, **გორ-** ერთდროულად როდინსაც შეიცავდა და ქვასანაყსაც (შდრ. ქართ. ფილთაქვა 1. როდინი, 2. ქვასანაყი (ქეგლ-ი)).

ს.-ქართვ. ***გორ-** „ფილთაქვა“ → ქართ. **გორ-ა** || **გორ-ო** : ზან.

ქვიჯ-ე || **ქვინჯ-ე** ← ***გუჯ-ე** : სვან. **გურ-ნა** || **გურ-ანა** ← ***გორ-ანა**.

სვან. **Გ-გჷ**, **მჷ-გჷ** „ტრედი“.

ქართ. **გულ-იო** „მომცრო ტრედია ველური (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **გგ** „როჭო“.

¹ შდრ. ძვ. ქართული პროვინციის სახელი **ა-რ-გ-ჷ-ე-თ-ი** ← ***ა-გ-ჷ-რ-ე-თ-ი** ← ***ა-გ-ჷ-რ-ე-თ-ი** = **ა-გ-რ-ონ-ი** ← ***ა-გ-ჷ-რ-ონ-ი** (მ-ა-რგველ-ი, მ-არგველ-ა-შვილი ← ***მ-ა-გჷრ-ელ-ი**).

სვანურში -**გუ** ძირი მიღებულია შემდეგი საფეხურების გავლით :
მუ-გუ ←***მუ-გუ** ←***მუ-გულ**. **მუ**- პრეფიქსისათვის ფრინველთა სახელ-
წოდებებში შდრ. სვან. **მგ-სირ** ←***მუ-სირ** „როჭო“ : ქართ. **სირ-ი**
(ჰ. ფენრიხი).

ს.-ქართვ. ***გულ**- „ველური მტრედი“ → ქართ. **გულ-იო** : ზან. **გგ**
←***გუ** ←***გულ**- : სვან. **მუ-გუ** ←***მუ-გულ** (შდრ.: ხუნძ. **მეჭუ**, დარგ.
ლადუა „მტრედი“).

სვან. **გუალ** ზს., ქს. „ბოსელი.
ქართ. **გომ-ი**, **გომ-ურ-ი**.
ზან. —.

ყურადღებას იქცევს სვანური ფუძის აუსლაუტი, სადაც ქართული
მ-ს წილ **ლ** სონანტი დასტურდება. შემთხვევა არ არის უნიკალური (ქა-
თამ-ი : ქათალ... იხ. § 9. **ლ** : **მ**). სომხური **გომ** „ბოსელი“ ქართულიდან
არის შეთვისებული.

ს.-ქართვ. ***გომ**- „ბოსელი, გომური“ → ქართ. **გომ-ი**, **გომ-ურ-ი** :
სვან. **გუალ** ←***გოლ**.

სვან. **-გუწალ** || **-გუალ**-, მუ-**გუწალ** ზს., ლნტ., მუ-**გუალ** ლშხ. „კვარი“.
ქართ. **გოლ**-ი „თაფლის ჯუეზა (საბა)“, მთიულ. „ფუტკრების მიერ
აშენებული ფიჭა“, **გოლ**-ეულ-ი.
ზან. —.

ქართველურ ენათა ეს მონაცემი უეჭველ სემანტიკურ-ფორმალურ
ერთიანობას ამჟღავნებს. ამოსავალია თაფლის გაგება (შდრ. ძვ.
ქართ. ...უტკბილეს უფროს თაფლისა და გოლეულისა (ფსალმ.)). „კვარ-
ის“ სემა სვანურში განვითარდა თაფლის სანთლისაგან (შდრ. მეგრ. თო-
ფურ-სანთელი = თაფლ-სანთელი).

ხმოვნური მიმართება სვან. **ტა**: ქართ. **ო** ბუნებრივია (სვან. ჩ**ტა**ლ :
ქართ. ც**ო**რ-, სვან. გ**ტა**ლ- : ქართ. გ**ო**მ-ი).

ს.-ქართვ. ***გოლ**- „თაფლი (ფიჭა)“ → ქართ. **გოლ**-ი, **გოლ**-ეულ-ი :
სვან. მუ-**გუწალ** || ← მუ-**გუალ** ←*მუ-**გოლ**, **გუალ**- ←***გოლ**-.

სვან. **გუწამ** || **გუამ**-, ან-**გუამ**-ე ბზ., ან-**გუამ**-ინ-ე ბქ., ან-**გუამ**-ინ-ე
ლშხ., ან-**გუამ**-ინ-ე ლნტ. „გმობს“.
ქართ. **გმ**- „გმობა“, სა-**გმ**-ობ-ი; ძვ. ქართ. **გი**-ობ-ა „გმობა“, სა-**გი**-
ობ-ელ-ი, ჰ-**გი**-ობ-ს, **გი** ← **გივ**-?.
ზან. —.

თუ ძველი ქართული **გი-ობ-ა** (← **გივ-ობ-ა**) გენეტურად უკავშირდება **გმობა-ს**, მაშინ უძველეს ს.-ქართვ. სახეობად ***გიჟ-ამ-** არის საავარაუდო (შდრ. სვან. **გჟჟმ-** ← **გVჟჟმ-**).

ს.-ქართვ. ***გიჟ-** (← ***გეჟ-?**) → || ***გჟჟ-ამ-** „გმობა“ → ქართ. **გი-**, **გმ-** : სვან. **გჟჟმ-** || **გჟჟმ-** ← ***გVჟჟმ-**.

სვან. **გჟჟ-ან-ჰ** ბზ., **გჟჟ-ან-ა** ბქ., ლნტ., **გჟჟ-ან-აჲ** ლშხ. „მტირალა“, **მა-ნ-გჟჟ-ამ** „სამძიმარი“, **ლა-გჟჟ-ნ-ი** ზს., ლშხ., **ლა-გჟჟ-ან-ი** ლნტ. „სატირალი“, **ლი-გჟჟ-ან-ე** ბზ., **ლი-გჟჟ-ან-ე** ბქ., ლნტ., **ლი-გჟჟ-ან-ე** ლშხ. „ატირება“, **ი-გჟჟ-ან-ე** ბზ., **ი-გჟჟ-ან-ე** ბქ., ლნტ., **ი-გჟჟ-ან-ე** ლშხ. „ტირის“.

ქართ. **გლ-**, **გლ-ა**, **გ-გლ-ის** „გენაღვლების (საბა)“, **მ-გლ-ი-ან**, **გლ-ოვ-ა** „ესე არს სამწუხაროსა ზედა ტირილი... (საბა)“, **მ-გლ-ოვ-იარ-ე**.

ზან. (მეგრ.) **რგ-**, **რგ-უ-ალ-ა** „გლოვა“, **ი-რგ-უნ-ს** „იგლოვს“, **ო-რგ-უ-ალი** „სამგლოვიარო“, **მა-რგ-უ-ალი** „მგლოვიარე“.

ქართულ-ზანურ ფუძეთა ერთიანობა შენიშნულია (გ. კლიმოვი). სვანურში გამოყოფილი **გჟჟ-** კანონზომიერად ასახავს საერთოქართველურ **გლ-** ძირს — **გჟჟ-** ← **გლ-** (**ლ** → **ჟჟ** პროცესისათვის სვანურში იხ. აქვე, § 3.).

მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით უძველესი ვითარება ქართულს დაუცავს, სადაც **გლ-**(**ოვ-**) სიტყვისთვის ბუნებრივია როგორც მწუხარება-გლოვა-ნაღველის (შდრ. ზანური), ისე ტირილის შინაარსი (შდრ. სვანური, საბას განმარტება).

ს.-ქართვ. ***გლ-** „მწუხარება, გლოვა, ტირილი“ → ქართ. **გლ-**, **გლ-ოვ-** : ზან. **რგ-(უ-)** ← **გრ-(უ-)** : სვან. **გჟჟ-** ← **გლ-**.

სვან. **გჟჟარ-** || **გჟჟარ-** || **გჟჟირ-**, **გჟჟარ-ნჰ** ბზ., **გჟჟირ-ნჰ** ბქ., **გჟჟარ-ნაჲ** ლშხ., **გჟჟარ-ნჰ** ლნტ. „ბუტია“, **მჟჟ-გჟჟარ-ი** ზს., ლშხ., **მჟჟ-გჟჟარ-ი** ლნტ. „ნაწყენი, დამღუბებული“.

ქართ. **გან-?**, **გალ-?**.

ზან. **გორ-**, **გორ-აფ-ა** „გინება“, **ო-გორ-ან-ს** „აგინებს“, **ო-გორ-უ** „გინება“.

არსებობს ცდა ქართული **გალ-** „გალობა“ დაუკავშირდეს ზან. **გორ-** „გინება“ ზმნას (ვ. შენგელია); ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ქართლური დიალექტის ჩვენება, მხედველობაშია **გან-**, **გა-გან-ებ-ა** „ურცხვად ლანძღვა“. ვერც **გალ-** „გალობა“, ვერც **გან-** „გაგანება“ ვერ აგვიხსნის **ჟჟ-**ს (**გჟჟარ-**) არსებობას სვანურ ძირში. საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს, ამიტომაც თავს ვიკავებთ ს.-ქართვ. არქეტიპის რეკონსტრუქციისაგან.

სვან. **გუიგუ** ზს., ლნტ., **გუგუ** ლშხ. „გული (კვერცხის...)“.

ქართ. **გუგა-ა** „თვალის გუგა“.

ზან. **გუნგა** „ნაგულა“.

ბოლოკიდური **უ** შეიძლება ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს გაჩენილი (წინამავალ **გუ/გუ** თანმიმდევრობასთან ასიმილაციით), თუმცა არ გამოირიცხება მისი მორფოლოგიური კვალიფიკაციაც (სვან. -**უ** ← **ო** : ქართ. **ა**-(**ციცა** : სვან. **ციც-უ**) მორფოლოგიური შეფარდებაა და არა ფონეტიკური).

ს.-ქართვ. ***გუგ**- „გული, გუგა“ → ქართ. **გუგა-ა** : ზან. **გუნგა-ა** ←***გუგა-ა** : სვან. **გუგ-უ** || **გუიგ-უ** ←***გუგა-ა**.

სვან. **გუიჯ** „წაბლის ნაყოფი“, **გუიჯ-რა** „წაბლის ხე“.

ქართ. **გოზ-ი**, ნი-**გოზ-ი**, **გოზ-ი**-ნაყ-ი.

ზან. —.

ქართ. **გოზ-** (ნი-**გოზ-ი**) ისტორიულად ***გოდ-** უფრო ძველი სახეობიდან მომდინარეობს (შდრ. ქართ. **გაზ-ი** : სვან. **გეჯ-** ...).

ს.-ქართვ. ***გოდ-** „ნიგოზი“ → ქართ. **გოზ-ი**, ნი-**გოზ-ი** : სვან. **გუიჯ-რა** || **გუიჯ-რა** ←***გოჯ-რა**.

სვან. **გგგ-გნ-**, **ი-გგ-გნ-ი** (წდ-**გგგ-ნ-ი**) ზს., ქს. „ქვავედება; ჯიუტდება“.

ქართ. (მესხ.) **გაგა** „უმწიფარი“ ← ეტიმ. „მაგარი“, ზ.-რაჟ. **გაგამ-ა** „მაგარი“, ლეჩხ. **გაგამ-ირ-ებ-ა** „გაჩხირკა“.

ზან. —.

სიმაგრის გაგება ხელშესახებია სვანურშიც და ქართულშიც. გასარკვევია სვან. -**გნ** შეესატყვისება თუ არა ქართ. -**ამ**-ს.

ს.-ქართვ. ***გაგ**-(**ამ**-) „გამაგრება, მაგარი“ → ქართ. **გაგა-ა**, **გაგ-ამ-ა**, **გაგ-ამ-ირ-** : სვან. **გგგ-გნ-** (←***გაგ-ამ-?**).

სვან. **გგგგვ** „ხარის მკერდის თავზე დაგროვილი ქონი“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) **გაგაბ-ი** „ხორცის ნახარში ქონი“.

შესაბამისი ქართული ფუძის უქონლობის გამო ძნელია ფუძის ისტორიულ განმარტებაზე მსჯელობა. სვანურში ირაციონალური **გ** ხმოვანი ყველა ხმოვნისგან მიიღება ფონეტიკურად (გ. როგავა).

საერთოქართველური არქეტიპი რედუბლიცირებული სახეობისა უნდა ყოფილიყო — ***გებ-გებ-** (შდრ. ს.-ქართვ. **ე** → ზან. **ა**).

ს.-ქართვ. *გებ-გებ- „ქონი“ → ქართ. — : ზან. გაგაბ-ი : სვან.
გგგვვ ←*გგგვბ.

სვან. **გგრგვტ** „ჯოჯოხეთი“.
ქართ. **კოწ-**, **კოწ-ოლ-**ი „ცეცხლის ალი“, ფშ. **კოწ-ლ-ვ-**ა „წყლის ან სხვა სითხის ძლიერი დუღილი“, ხევს. **კოწ-ლ-**ისა „იტყვიან მწვავ, ცხელ საჭმელზე“.

ზან. (მეგრ.) **კოჭ-ობ-**ი „ჭრაქი“.
მნიშვნელობის მხრივ ყველა ქართველურ ენას აერთიანებს ცეცხლის / ცხელის / დუღილის სემანტემები, რაც საერთო ჯამში ცეცხლის სემიდან გამოიყვანება. სვანურის ჯოჯოხეთი გადატანით სემანტიკას ასახავს: მდუღარე, ცეცხლი → ჯოჯოხეთი, შდრ. ებრაული **გეენა** „ჯოჯოხეთი, ცეცხლი“.

პრობლემურია სვანური ეკვივალენტის ფორმალური მხარის იდენტიფიკაცია. თანამედროვე **გგრგვტ** ქართული **კოწ-** ძირის შესატყვისი ***კოჭ-** არქეფორმის რედუბლიცირებულ სახეობას წარმოგვიდგენს, ეს უკანასკნელი თავდაპირველად დისიმილაციური გამჟღერებით ***გოჭ-**ს მოგვცემდა (შდრ. ქართ. **ტუტა** → სვან. **დგტ**, ქართ. **ჭაჭა** : სვან. **ჭაჭ...**), საიდანაც ფუძის გაორკეცვით ჯერ **გოჭ-გოჭ**, ხოლო შემდგომ **გოგოჭ** || **გგრგვტ**-ს მივიღებდით. სვანურში ფუძის რედუბლიკაციით მიღწეულ იქნა სიტყვის ექსპრესიული მხარის გაძლიერება.

მეგრულში ბოლოკიდური **ბ** აფიქსური ჩანს, შდრ. ქართ. **კოწ-ოლ-** : მეგრ. **კოჭ-ო-ბ-**, ქართ. **ჭ(რ)იჭინა** : მეგრ. **ჭიჭი-ბ-**...

ს.-ქართვ. ***კოწ-** „ცეცხლი, მდუღარე, ცხელი“ → ქართ. **კოწ-ოლ-**ი, **კოწ-ლ-** : ზან. **კოჭ-ობ-**ი : სვან. **გგრ-გვტ** ←***გო-გოჭ** ←***გოჭ-გოჭ** ←***კოჭ-**.

ს.-ქართვ. ***კოწ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია ს.-ნახ. **კეჭ-** (დახარ) „დუღილი“...

სვან. **გგრჯვბ** „მრგვალი მაგიდა“.
ქართ. **გორძამა** „მსხლის ჭიშია ერთგვარი“.
ზან. (მეგრ.) **გუჯუბ-ა** „მრგვალი კალათი“.
ქართველურ სემანტემებს, მიუხედავად დიდი სხვაობისა, მნიშვნელობის თვალსაზრისით აერთიანებს სიმრგვალის სემა: მრგვალი მაგიდა, მრგვალი მსხალი, მრგვალი კალათი. როგორც ეტყობა, ამ საგანთა სახელდებისას ძირითადია მათი ფორმალური აღწერილობა, მრგვალი და არა, ვთქვათ, ოთხკუთხედი (მაგიდა, კალათი...) ან სხვა ფორმისა.

ფორმალურ ჩვენებათა მიხედვით სურათი იდეალურია, თუ გავითვალისწინებთ **ბ** → **მ** (**გორძამ-ა** ← **გორძაბ-ა**), **ო** → **გ** (**გგრჯაბ** ← **გორჯაბ-ა**), **რ** → **Ø** (**გუჯუბ-ა** ← **გურჯუბ-ა**) ფონეტიკურ პროცესებს ქართველურ ენებში.

ს.-ქართვ. ***გორძ-აბ-ა** „მრგვალი“ → ქართ. **გორძამ-ა** ← ***გორძაბ-ა** : ზან. **გუჯუბ-ა** ← ***გურჯობ-ა** : სვან. **გგრჯაბ** ← ***გორჯაბ-ა**.

-**აბ-ა** საერთოქართველური სადერივაციო სუფიქსია, შდრ. ქართ. **კარ-აბ-ა** (კარ-ი), **კაკ-აბ-ა** (კაკ-ი)... რომელიც სვანურშიც გამოჩნდა — **გგრჯ-აბ** ← ***გორჯ-აბ-ა**.

დ

სვან. **დ-**, **დ-ინ-** || → **ზ-ინ-**, **დ-ერ-**, ი-**ზნ-**ე (ოთ-**ნ-ზინ**) ბზ., ე-დ-**ნ-ზინ**-ე ლშხ., ა-დ-ი-**ზნ-**ე ლნტ.) „ივლის, მოივლის“, შდრ. ნამყოს მკწრივე-ბი: ო-**დ-ერ**, ა-**დ-რ-ი** ბზ., ა-**დ-რ-ინ-ე** ბქ., ო-**დ-ერ**, ა-**დ-რ-ი** ლშხ., ა-**დ-ინ-ე** ლნტ. „მისვლა“.

ქართ. **დ-**, **დ-ი-ს**, **დ-ინ-** „დინებ-ა“, მ-**დ-ინ-**არ-ე.

ზან. —.

სვანურში **ზინ-** || **დინ-** ალომორფების არსებობა უნდა აიხსნას **დ** → **ზ** ფონეტიკური პროცესით, შდრ. სვან. **გაგდამ** ბზ., **გაგზამ** ლშხ., **გაგდამ** ლნტ. „ყბედი, მოლაყბე...“ (იხ. აქვე, § 32).

ს.-ქართვ. ***დ-/დ-ინ-** „სვლა“ → ქართ. **დ-**, **დ-ინ-** : სვან. **დ-**, **დ-ერ-**, **დ-ინ-** → || **ზ-ინ-**.

სვან. **დაგ-** || **დამგ-** || **დეგ-**, ხ-ე-**დგ-არ-**ი (ამ-**დაგ-ან**, ათ-**დაგ-ან**) ზს., ლნტ., ხ-ე-**დგ-არ-**ი ლშხ. „უკვდება, შემოაკვდება“; ხ-ე-**დგ-ენ-**ი (ლ-**ამ-დაგ**, ლა-**ხ-დამგ** ზს., ლე-**მ-დაგ**, ლე-**ხ-დაგ** ლშხ.), ხ-ე-**დეგ-ენ-**ი (ლა-**მ-ე-დაგ**, ლა-**ხ-ე-დაგ**) ლნტ. „ქრება“.

ქართ. **დაგ-** „დაგავს, დამდაგა“, სა-**დაგ-**ი.

ზან. (მეგრ.) **დგუ-დგ-**, **დგუდ-გუნ-**ს „დადაგავს“ (რედუბლ.).

სვანურში „**კვდომისა**“ და „**გაქრობის**“ აღმნიშვნელი ფუძეები საერთო წარმოშობისაა და შეესატყვისება ქართულ **დაგ-** „დადაგვა“ სიტყვას, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ზანურ **დგუდგ-** რედუბლიცირებულ ზმნას, შდრ. ბაცბ. **დ-აკ-** : ინგ. **დ-აგ-** : ჩაჩნ. **დ-აგ-**, ს.-ნახ. **დ-აგ-** „წვა“...

ს.-ქართვ. ***დაგ-** „დადაგვა, გაქრობა, წვა“ → ქართ. **დაგ-** : ზან.

დგუდგ- ← ***დგუგ-** + **დგუგ-** : სვან. **დაგ-** || **დამგ-** || **დეგ-**.

სვან. **დარ-** || **დრ-**, ხ-ე-**დრ-ალ** ბზ., ხ-ე-**დრ-ალ** (ოს-**დარ-ალ**) ბქ., ხ-ე-**დარ-ალ** ლნტ. „უთვალთვალეზს, უდარაჯეზს“.

ქართ. **დარ-** „დარი“, **დარ-ილ-**ი „ჟამთა ძიება თუ მზერა (საბა)“, და-**დარ-ილ-**ეზა „მზერა“.

ზან. (მეგრ.) ე-**დორ-**ია „მარჯვე დრო“, ჭან. ჰე-**მ-ინ-დორ-**ას „იმ დროს“.

სვანური **დარ-** მნიშვნელობით უფრო ქართულის **დარილს**, **დადარილეზს** ეკედლება, ხოლო ზანური ფუძეები ქართულის **დარ-/დრო-**სთან ავლენენ მჭიდრო კავშირს (სემანტიკურ-ფორმობრივად).

ს.-ქართვ. ***დარ-** „დარი, მარჯვე დრო; თვალთვალი, მზერა“ → ქართ. **დარ-ი**, **დარ-ილ-ი** (**დრ-ო?**) : ზან. **დორ-** : სვან. **დარ-**.

სვან. **დარგ** ბზ., ლნტ., ლშხ. „წალი თხა, რომელსაც ჯერ თიკანი არ მოუფია“.

ქართ. **დერგ-ი**.

ზან. (მეგრ.) **დარგა** „თხა (ერთი წლის)“.

სვანურისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ა სუფიქსი სიტყვის ბოლოს, რომელმაც კვალი დატოვა **ე** → **ჲ** → **ა** უკანა მიმართულებების უმლაუტის სახით (მ. ქალდანი) — ზან. **დარგ-ა** : სვან. ***დერგ-ა** → ***დარგ-ა** → **დარგ**.

ს.-ქართვ. ***დერგ-ა** „თხა, რომელსაც ჯერ თიკანი არ მოუფია“ →

ქართ. **დერგ-ი** : ზან. **დარგ-ა** : სვან. **დარგ** ← ***დარგ-ა**.

საერთოქართველურში ა-ს პოვნეირებას მხარს უჭერს მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებიც. — შდრ.: ანდ. **ტუქა**, ბოთლ.

ტუქა, ლოდ. **ტუქა**, კარ. **ტუქა** (|| **ტუქუა**), ახვან. **ტუქა** „თხა“, დიდ. **ტექა**, ხვარშ. **ტექა**, ჰინ. **ტიგა**, ბეჟ. **ტიგა** „მამალი თხა“. ჰინუხურ-ბეჟიტური **ტიგა** ახლოს დგას ს.-დალ. ***დიგა** არქეტიპთან.

სვან. **დალ** ზს., ლნტ., **დალ** ლშხ. „ნადირობის ქალღმერთი“.

ქართ. **დალ-ი** „ნადირობის ქალღმერთი“.

ზან. (მეგრ.) **დო-**, **ო-დო-ია** „ნაყოფიერების ღმერთი“, **დო-უ** (ანთროპ.).

ქართულ-სვანურ ფორმათა ნათესაობა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია (ივ. ჯავახიშვილი, ვ. ბარდაველიძე...). შესაძლებლად მიგვაჩნია მეგრულ **ო-დო-ია**-ში გამოყოფილი **დო-** ძირის დაკავშირება **დალ-** სახელთან **ა** → **ო** და **ლ** → **∅** ზანურისთვის სპეციფიკური ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებით.

თავკიდური **ო** (**ო-დო-ია**) მეგრულში მიმართვის ფორმის **ო** უნდა იყოს, შდრ. ქართ. **ო-დელ-ია**. თუმცა შესაძლებელია მისი სხვაგვარი ახსნაც, შდრ. ქართ. **მტილ-ი** „ბოსტანი“ : ზან. **ო-ნტულ-ე** || **ო-რტინ-ი**, სადაც **ო-** საკუთრივ ზანური მონაცემია (იხ. აქვე, ქართ. **ა-** „პრეფიქსი“ : ზან. **ო-** : სვან. **ა-**).

ს.-ქართვ. ***დალ-** „ნადირობის, ნაყოფიერების (ქალ-)ღმერთი“ →

ქართ. **დალ-ი** : ზან. **«დო-»,** **ო-დო-ია** ← ***ო-დოლ-ია** : სვან. **დალ** || **დალ**.

ს.-ქართვ. ***დალ-** და ს.-ნახ. ***დალ-ე** „ღმერთი“ (ბაცბ. **დალქ** : ინგ.

დალქ : ჩაჩნ. **დმელქ**) საერთო წარმომავლობის სიტყვებია.

სვან. **დაცხ** || **დაცხ-ჟ** ზს., **დაცხ** ლშხ. „სიმსუქნე, კარგი ელფერი“.

ქართ. (ქართლ.) **დრენცხ-ი** „მსუქანი და ზანტი“.

ზან. —

სვანურში ფუძე მეტად შეცვლილია. დაიკარგა **რ** და **ნ** სონანტები; აუსლაუტში მორფოლოგიურ ნიადაგზე გაჩნდა **-ჴ** (← **-ო**) სუფიქსი, რომელმაც ძირეულ **ე**-ზე იქონია ზეგავლენა, კერძოდ, მ. ქალდანის წესით, განხორციელდა **ე** → **ჴ** || **ა** აბლაუტი — **დჴცხ-ჴ** ←***დეცხ-ჴ** ←***დრენცხ-ჴ**.

ს.-ქართვ. ***დრე(ნ)ცხ**- „სიმსუქნე“ → ქართ. **დრენცხ**-ი : სვან. **დჴცხჴ** → || **დაცხ** (←***დეცხ-ჴ**).

სვან. **დიღჴამ** „ნოყიერი (ნიადაგზე იტყვიან)“.
ქართ. (გურ.) **დოდრ**-ი „მსუქანი“, იმერ. **დოყრ**-ო || **დოყ**-ო „ახმახი“.
ზან. (მეგრ.) **დოყორ**-ე „მსუქანი, აყლაყუდა“.
მნიშვნელობის მხრივ ქართველურ ენებში ძირითადია მ ს უ ქ ა ნ ი ს, ნ ო ყ ი ე რ ი ს, დ ი დ ი ს შინაარსი.

ფორმალურად სვანური მეტად ცვლილია. ივარაუდება უძველეს ფორმად ***დოდარ**-ის არსებობა, საიდანაც **ო** → **ჴი** და აუსლაუტში **რ** → **მ** (იხ. აქვე, § 18.) გადასვლით თანამედროვე **დიღჴამ** მივიღეთ — ***დოდარ** → ***დჴიღამ** → **დიღჴამ**.

საყურადღებოა **დ/ყ** მონაცვლეობა ქართველურ დიალექტებში, რაც ფუძის სიმბოლიკით აიხსნება.

ს.-ქართვ. ***დოდ-არ**- || ***დოყ-არ**- „მსუქანი, ნოყიერი“ → ქართ. **დოდრ**-ი || **დოყ**-ო || **დოყრ**-ო : ზან. **დოყორ**-ე ←***დოყორ**-ე : სვან. **დიღჴამ** ←***დჴიღარ** ←***დოდარ**.

სვან. **-დიგ**, **ნჴ-დიგ** ზს., **ნა-დიგ** ლშხ. „საზღაური“.

ქართ. **თიგა** ←***დიგა** „თიხა“.

ზან. **დინა** || **დენა** „მიწა“.

ნჴ- || **ნა**- სადერეივაციო პრეფიქსია სვანურში (**ნჴ-ბოზ** „საღამო“, **ბაზი** „ამაღამ, **ნა-ზემ** „ზომა, „ოდენობა“, **ზომ**- „გაზომვა“...); ძირად გამოყოფილი **დიგ** იგივეა, რაც ქართ. **თიგა**, ზან. **დინა**. ე. ი. **ნა-დიგ**- = **საზღაური** ← ეტ. „სამიწე, მიწისა, ნამიწი“.

ს.-ქართვ. ***დიგ-ა** „მიწა, თიხა“ → ქართ. **თიგა** : ზან. **დინა** : სვან.

დიგ ←***დიგა**.

ს.-ქართვ. ***დიგ-ა**-ს შეესატყვისება: ს.-ნახ. ***გაჴ**; ხუნძ. **რატა**, დიდ.

რიღჴუ, ჰინუხ. **რატა**, ჰუნზ. **რატა** „მიწა“...

სვან. **დინა** ბზ., ლშხ., **დინა** ბქ., **დენა** ლნტ. „ქალიშვილი, გოგო“.
ქართ. (იმერხ.) **დინე** „დედა“.
ზან. —.

შეიძლება ეს სიტყვები შეთვისებული იყოს სხვა ენებიდან. საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

სვან. **დომეყ** ბზ., **დუმეყ** ბქ., ნა-**დმოყ** ქს. „ბერწი (საქონელი)“.
ქართ. **დურაყ-ი** „წალი; ჯიხვი“.

ზან. **დოჟ-ია** || **დუჟ-ია**.

ერთი შეხედვით უცნაურია ბგერათშეფარდება ქართ. **რ** : სვან. **მ**.
აქ ცვლილება სვანურშია მომხდარი **რ** → **მ** (შდრ. ქართ. **წყაზარ-ი** :
სვან. **წყგზამ** || **წყგზემ**), იხ. § 18.

სემანტიკური მიმართება **წალი** ~ **ბერწი** შესაძლებელია ერთი ფუძის ფარგლებშიც დადასტურდეს (სვან. **ნაქად** „ორი წლის თხა; ბერწი“).
რა შეიძლება მათ აერთიანებდეს? ამოსავალი ჩანს **უშობელი (უზვი)** სემა.

ს.-ქართვ. ***დურაყ-** „წალი, ბერწი“ → ქართ. **დურაყ-ი** : ზან. **დოჟ-ია** || **დუჟ-ია** : სვან. **დუმეყ** → || **დომეყ** (←***დურაყ**).

სვან. **დორყუ** || **დურყუ** „შემოზღუდული ადგილი“; „ბაკი“.
ქართ. **ლაყვა** || **ლაკვა** „ჯურღმული ნაგები“ (საბა).
ზან. **ლორყო** || **ლურყუ**.

ქართულ **ლაყვა** სიტყვას ზანურში შესატყვისად **ლოყუ** || **ლუყუ**
→ **ლორყუ** || **ლურყუ** უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამგვარი ფორმები ზანურის დიალექტებში დღეს არ დასტურდება, დაკარგულია. ზანური ეკვივალენტი — საერთოქართველური **ლაყუა** არქექტიპიდან მომდინარე — შემოგვენახა სვანურში **დორყუ** || **დურყუ** ალომორფების სახით. ამ უკანასკნელში **ლ** → **დ** სვანურის ნიადაგზეა მომხდარი (შდრ. ქართ. **ქულა** → სვან. **ქუდა...**); ხოლო ქართული **ა**, **ვა**-ს შესატყვისად **ო/უ** და **უ** ← **გო** სიტყვის მეგრულ-ჭანურობას ამტკიცებს; აქვე გასათვალისწინებელია **რ**-ს ზედმეტობაც სვანურ ფორმაში, რაც ასევე ზანური მოვლენაა. საკუთრივ სვანური შესატყვისი უნდა გვქონდეს სვანურ **დწყუ** → || **დწყუ** „ჩაწეული ადგილი“ ლექსემაში.

ს.-ქართვ. ***ლაყუ-ა** „შემოზღუდული ადგილი; ჯებირი; ბაკი“ → ქართ. **ლაყვა** || **ლაკვა** : ზან. **ლურყუ** || **ლორყუ** ←***ლოყვო** : სვან. **დწყუ** || ← **დწყუ** ←***ლაყუ-**.

სვან. **დუხჷ** ზს., **დუხ** ლშხ., ლნტ. „ერკემალი, ყოჩი“.
ქართ. **თოხლ-ი** „ბატკანი; ცხვარი“.
ზან. (ჭან.) **თოლხ-ი** „ერთი წლის თხა“.

თავკიდური **თ** ქართულში მეორეულია (შდრ. **თიკა** ← **დიკა**...) —

თოხლ-ი ← ***დოხლ-ი**.

ქართ. **ლ** : სვან. **ჷ** ბუნებრივია სიტყვის ბოლოში, და აიხსნება **ლ** → **ჷ** გადასვლით სვანურში (იხ. § 3).

ვფიქრობთ, ეს შეპირისპირება გამორიცხავს ს.-ქართვ. ***დოხლ-** არ-ქეტიბის თურქული **თოქლუ**-სგან მომდინარეობას. შეიძლება დაუშვათ სა-პირისპირო პროცესი, რადგანაც ს.-ქართვ. ***დოხლ-**ს შესატყვისები ეძებნება სხვა იბ.-კავკასიურ ენებში: აფხაზ. **ა-თვლ** „ყოჩი“, ანდ. ენ. **რიხარ** || **რიჰა(რ)** ← ***დინალ** „ცხვარი“...

ს.-ქართვ. ***დოხლ-** „ერკემალი, ცხვარი“ → ქართ. **თოხლ-ი** : ზან.

თოლხ-ი ← ***დოხლ-ი** : სვან. **დუხჷ** → || **დუხ** (← ***დოხჷ**).

სვან. **დუღ**-, ა-**დღ**-მ;ე || ა-**დღგჷ**-ე ბზ., ბქ., ა-**დღიჷ**-ე „კაშკაშებს“.
ქართ. **დუღ-** „დუღს“, **დუღ-ილ-ი**, ნა-**დუღ-ი**, მ-**დუღ-არ-ე**.

ზან. (მეგრ.) **დუღ-ა** „მდუღარე“, **დუღ-უ-ა** „მდუღარეში გავლება“, **დუღ-ილ-ი**, ჭან. **ნდუღ-**, გე-**ნდუღ-ერ-ი** „საჭმლის სახეობა“.

შედარებით უფრო ძველი სახეობა სვანური ალომორფებიდან **დღიჷ-** უნდა იყოს, რომელიც ***დჷიღ-** საფეხურის გავლით არის მიღებული — ***დუღ-** → ***დჷიღ-** → **დღიჷ-**.

„კაშკაშის“ სემას სვანურში „დუღილის“ გაგება უდევს საფუძვლად:

დუღს → **კაშკაშებს**.

ს.-ქართვ. ***დუღ-** „დუღილი, ხარშვა“ → ქართ. **დუღ-**, ნა-**დუღ-ი**, მ-**დუღ-არ-ე** : ზან. (ნ)**დუღ-**, **დუღ-ა** : სვან. **დღ-მ** || **დღგჷ** || **დღიჷ** ← ***დუღ-**.

ს.-ქართვ. ***დუღ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისებია: ს.-ნახ.

დიღლ ← ***დიჷჷ** „ბულიონი“; ხუნძ. **ჰამო**., ბეჟიტ. **მაჷო**, ხვარშ. **მაჷუ**, ჰუნზ. **მაჷუ**, ლაკ. **ნაჷ**, დარგ. **ნირღ**, არჩიბ. **დიჷ**, რუთ. **რიჷ**, აღ. **რაჷ**, წახ. **დჷჷ** || **დიჷ** „ხორცის ნახარში, ბულიონი“ (შდრ. ქართ. ნა-**დუღ-ი**).

სვან. **დღ-**, ა-**დღ-ულ-ინ-ე** ბზ., ა-**დღ-ულ-ინ-ე** ბქ. „აჭენებს“.

ქართ. **დოღ-ი**.

ზან. —.

სვანურში ფუძე რედუცირებულია — **დღ-** ← **დოღ-**.

ს.-ქართვ. ***დოდ-** „ჭენება“ → ქართ. **დოდ-ი** : სვან. **დდ-ულ-**
←***დოდ-ულ-**.

სვან. **დდებ-** || **დდბ-**, მე-**დდბ-**ე ზს., ლშხ., მე-**დდებ-**ე ლნტ. „გა-
ხრწნილი, დამპალი“.

ქართ. **დდრებ-**, მო-**დდრებ-**ულ-ი „მოულონოებული (საბა)“.

ზან. —.

ქართულ-სვანურში გვაკლია ზმნური ფორმები. თუმცა ისტორიუ-
ლად მისი არსებობა უეჭველია.

საერთოქართველური **დდრ-ებ-** ფუძისთვის ამოსავალი მნიშვნელობა
გ ა ხ რ წ ნ ი ს ა უნდა ყოფილიყო.

ს.-ქართვ. ***დდრ-ებ-** „გახრწნა“ → ქართ. **დდრ-ებ-** : სვან. **დდ-ბ-** || ←
დდ-ებ- ←***დდრ-ებ-**.

სვან. **დდბჟგ** ბზ., ბქ., **დდბჟი** ლხმ. „გამოლენჩებული, უსიცოცხლო,
მოუქნელი ადამიანი“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) **ლობჟო** „შტერი, ლენჩი, გაუთლელი“.

ქართულში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვავლინეთ, შდრ. გვარი
ლობჟან-ი-ძე (?).

შეპირისპირება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ **ლ** → **დ**
გადასვლამ ანლაუტშიც იჩინა თავი (იხ. § 2. **ლ** → **დ**).

ს.-ქართვ. ***ლობზ-** „შტერი, ლენჩი“ → ქართ. — : ზან. **ლობჟ-ო** :
სვან. **დდბჟგ** ←***ლობჟგ**.

სვან. **ერქ-** || **ფერქ-**, **ერქ-**გდა || **ფერქ-**გდა ზს., **ფერქ-**წდა || **ფერქ-**და ლშხ., **ერქ-**ედა || **ფერქ-**ედა ლწტ. „ორივე“.

ქართ. **ერგ-**, **ერგ-**ას-ი „ორმოცდაათი“.

ზან. —.

სვანურში ძირად **ერქ-** → **ფერქ-** სეგმენტი გამოიყოფა, **-ედა** || **-გდა** || **-და** სუფიქსია და ქართულ **-ვე** ნაწილაკს ეფარდება ფუნქციურ-მორფოლოგიურად: **სემ-ედა** — სამივე, **ჟომთხტ-წდა** — ოთხი-ვე, **ჟოხუშდ-წდა** — ხუთი-ვე, **ჟეშდ-ედა** — ათი-ვე... (**ერქ-** ფუძისა და სომხური **ერქუ-**ს მსგავსება შემთხვევითია).

ვფიქრობთ, სვანური **ერქ-** → || **ფერქ-** ქართული **ერგ-** ფუძის შესატყვისია, რომელიც შემოგვენახა **ერგ-**ას-ი „ორმოცდაათი“ სიტყვაში. ამ კომპოზიტში **ერგ-** ნახევარს უდრის ე. ი. **ერგ-ას-ი** = **ნახევარ-ას-ი** ანუ ორმოცდაათი. ნახევარი სემანტიკა ორამდე ადვილად დაიყვანება, თუ ვივარაუდებთ, რომ **ერგ-ი** მეორედიდან განვითარდა: ორი → მეორედი → ნახევარი.

მიუთითებენ ქართული **ერგ-** ფუძის რთულ შედგენილობაზეც — **ერ + გ-** (ქ. ლომთათიძე), სადაც გამოყოფილი **ერ-** ეზმიანება **ერ-თ-** რიცხვითი სახელის **ერ-** ძირს (შდრ. ჰან. **არ-** „ერთი“). სვანური მასალის აქ მონაწილის შემთხვევაში გამოდის, რომ ერთის აღმნიშვნელი **ერ-** საერთოქართველური ძირი სვანურ **ერქ-** → || **ფერქ-** „ორი“ სიტყვაშიც იჩენს თავს. საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს¹.

ქართ. **ეტლ-ი**.

ზან. (მეგრ.) **ატარ-**ი „ჯამი, გობი (ხის)“.

სვან. —.

ზანური **ატარ-** შესაძლებლობას გვაძლევს სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მის შესატყვის უძველეს ქართულ ეკვივალენტზე, რომელიც ***ეტელ-** სახეობისა უნდა ყოფილიყო, შდრ. ბგერათშესატყვისობა — ზან.

ა : ქართ. **ე**, ზან. **რ** (აუსლაუტში **ი**-ს წინ) : ქართ. **ლ**. ***ეტელ-** → **ეტლ-** გარდაქმნა (რედუქცია) მიეწერება ძლიერი დინამიკური მახვილის მოქმედებას ქართულში (არნ. ჩიქობავა).

არანაკლებ საყურადღებოდ გვეჩვენება სემანტიკური მიმართება ქართველურ სიტყვებს შორის. ვფიქრობთ, **ეტლი** საერთოქართველურ სინამდვილეში ხელით სატარებელ ხისგან გამოჭრილ საკაცეს თუ აღნიშნავ-

¹ არ არის გამორიცხული სვანური **ფერქ-ედა** სულაც ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს გაჩენილი: **ფერჟ-**ედა „ორივე“ (შდრ. **ფერჟ-**ეშდ = **ორ-ი**-ათ-ი) → ***ფერჟქ-**ედა → **ფერქ-**ედა || **ერქ-**ედა „ორივე“.

და. თავდაპირველად ე ტ ლ ი ბორბლიანი არ უნდა ყოფილიყო, ამაზე მეგრულის სემანტიკა მიუთითებს; შდრ. მეგრ. ატარ-ზიდ-ი „ხის გოდრის მზიდი“.

ს.-ქართვ. *ე-ტელ- „ხისგან გამოჭრილი საკაცე; ვარცლი“ → ქართ. ეტლ-ი ←*ეტელ-ი : ზან. ატარ-ი ←*ატალ-ი.

ქართ. ეწერ-ი „ისლოვან-გვიმროვანი ტყე ველოვანი (საბა)“, „მწირი, უნაყოფო მიწა“, „საქართველოს ზოგ კუთხეში უწოდებენ ბუჩქით, ისლით... დაფარულ დაბლობ ადგილს“ (ქეგლ-ი).

ზან. [აჭარ-ა].

სვან. —.

მხოლოდ ვარაუდის დონეზე გამოვთქვამთ მოსაზრებას საქართველოს ძირძველი კუთხის სახელწოდების (აჭარა) შესაძლო ზანური წარმომავლობის შესახებ. ქართველურ ენებს შორის დადასტურებული შესატყვისობები თითქოს იძლევა ამის საფუძველს — ქართ. ე : ზან. ა, ქართ. წ : ზან. ჭ. მოულოდნელიც არაფერია ეწერ- სიტყვის ტოპონიმად ქცევაში. ეწერ-ი არაერთ სოფელს აქვს სახელად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სახელდება ამგვარ შემთხვევებში მოტივირებულია ადგილის თვისებით (შდრ. ტობ. ეწრ-ოვან-ი...). თავიდან აჭარ-ა-ც ზანურში ქართული ეწერ-ის ფონეტიკურ-სემანტიკური ეკვივალენტი იყო და შემდგომ დღევანდელი აჭარა კუთხის რომელიმე ნაწილს თუ დაერქვა, როგორც ეწერ-ი ნიადგებით (ან ბუჩქით, ისლით...) გამორჩეულ ადგილს. მოგვიანებით მოხდა ტოპონიმის განზოგადება მთელი კუთხის მასშტაბით, შდრ. ოდიშ-ი (სოფლები სამეგრელოში), ოდიშ-ი „სამეგრელო“, ოდიშ-არ-ია „ად. საკ. გვარ, სა-ოდიშ-ე (ქედი)...“

ე. ი. ქართ. ეწერ- ფუძეს ზანურში აჭარ- შეესატყვისებოდა, საიდანაც -ა მატოპონიმებელი აფიქსის დამატებით აჭარ-ა წარმოიშვა. ანალოგიური (-ა სუფიქსიანი) წარმოება გვაქვს ქართულ ეწერ-ა სიტყვაშიც, რომელიც აჭარულში გვიმრას აღნიშნავს — ეწერ-ა „ეწერ ადგილას მზარდი“. ქართული ეწერ-ის საკუთრივ ზანური ეკვივალენტი უნდა ჩანდეს აგრეთვე მეგრულ ო-(ნ)წარ-ე (←*ო-აჭარ-ე) „ჭაობიანი, ტალახიანი ადგილი“ სიტყვაშიც, შდრ. სვან. ლა-ნწუარ ← ლა-ეჭერ-უ „ტალახიანი ადგილი“.

ს.-ქართვ. *ე-წერ- „ეწერი“ → ქართ. ეწერ-ი, ეწერ-ა : ზან. [აჭარ-ი], აჭარ-ა, ო-(ნ)წარ-ე ← *ო-აჭარ-ე : სვან. ლა-(ნ)წუარ ←*ლა-ეჭერ-უ (?).

ქართ. ვარ-ია „სადღვებელი (ხისა)“, მოხ. ვარ-ია-ფ „ხის ურო“.
ზან. ურ-ო „ურო“.

სვან. —.

საერთოქართველურ უროს აღმნიშვნელ სიტყვად აღსდგება *ჟარ- ძირი, რომელმაც ქართულში ვარ- მოგვცა, ხოლო ზანურში ურ-. შესაბამისად -ია ქართულში და -ო ზანურში დამოუკიდებელი სადერივაციო აფიქსებია, რომლებიც მხოლოდ ფუნქციურად (მორფოლოგიურად) შეესატყვისებიან ურთიერთს, შდრ. იმერ., ქართლ. ვარ-იან-ი.

ს.-ქართვე. *ჟარ- ზანურში ჯერ *ვორ-ში გადავიდოდა (ა → ო). მომდევნო ეტაპზე ვ-ს ზეგავლენით განხორციელდა ვო → უ (არნ. ჩიქობავა, ტ. გუდავა) — *ვორ-ო → ურ-ო. ქართული ურო ზანიზმია.

ს.-ქართვე. *ჟარ- „ურო“ → ქართ. ვარ-ია(-ფ), ვარ-იან-ი : ზან. ურ-ო ←*ვორ-ო.

ქართ. ვაცა-ფ იმერ. „მთავარი ბოძი, რომელზედაც დადგმულია სახლის თავი“; გურ. „სახლის სახურავის მწვერვალი და მთავარი ბოძი“.

ზან. «**ოჩო**», **ოჩო**-ფენები „გრძელი ჯოხები, რომლებსაც ფენების დასადგმელი კაუჭები აქვს“.

სვან. —.

ქართული ვაცა- ფუძის შესატყვისი ზანური ეკვივალენტი «**ოჩო**» უნდა ჩანდეს კომპოზიტური აგებულების სიტყვაში **ოჩო**-ფენები. ამის საფუძველს იძლევა ბგერათშესატყვისობის ჩვენება ქართველურ ენებში, რასაც მხარს უჭერს სიტყვის შინაარსობრივი მხარეც.

ს.-ქართვე. *ჟაცა „გრძელი ხის ჯოხი, ბოძი“ → ქართ. ვაცა- : ზან. **ოჩო**-.

ზ

სვან. **ზად** || **ზად** ზს., ქს. „საფუარი“.

ქართ. **ზელ-ზილ-** „ზელა“.

ზან. **ზალ-**ა „ზელა“, **ზელ-**ი „ცომი“.

ზად მიღებულია **ლ** → **დ** და **ე** → **ა** → || **ა** პროცესების გავლით სვანურში — ***ზელ-** → ***ზად** → || **ზად-**.

სემანტიკური შეფარდება „ცომი ~ საფუარი“ ადვილად აიხსნება, თუ დავუშვებთ რომ „საფუარი“ განვითარდა „მოსაზელის“ (ცომის) მნიშვნელობიდან.

ს.-ქართვ. ***ზელ-** || **ზილ-** „ზელა“ → ქართ. **ზელ-** || **ზილ-** : ზან.

ზალ- || **ზელ-**ი : სვან. **ზად-** || **ზად-** ← ***ზელ-**.

ქართ. **ზაკვ-** „ზაკვა“, მ-**ზაკვ-არ-**ი.

ზან. (მეგრ.) **ზოკ-ულ-**ი || **ზუკ-ოლ-**ი „ჭკუის დარიგება“, მ-**ზუკ-ოლ-**არ-ი „ჭკუის დამრიგებელი, მთქმელი“.

სვან. —.

ამ ძირებს ვერ დავაცილებთ ჭანურ **ზობ-**, **ზობ-**ინ-ი „ლაპარაკი“, ო-**ზობ-**ინ-უ-შ-ი „შესატყობინებელი“, რომელიც მიღებულია **ზოკუ-** (ქართ. **ზაკუ-**) ზანური არქეტიპიდან **კუ** → **პ** ბგერათშერწყმით (ქ. ლომთათიძის წესით). ქართული **ზობ-**, მ-**ზობ-**ავ-ი ჭანურიდან არის შეთვისებული. სვანურში შესაბამისი სიტყვა არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. ***ზაკუ-** „თქმა, დარიგება“ → ქართ. **ზაკვ-**, მ-**ზაკვ-**არ-ი : ზან. **ზუკ-** || **ზოკ-** ← ***ზოკუ-**.

ქართ. **ზან-**, ა-**ზან-**ი „დიდგვაროვანი“, „გვარდილობა (საბა)“, ა-**ზან-**ა-ურ-ი.

ზან. (მეგრ.) **ჟინ-**ო-სქუა.

სვან. **ზან-** (?).

მეგრული **ჟინ-ო** სეგმენტის მსგავსება **ჟინ-** „ზედა“ სიტყვასთან შე-მთხვევითად გვეჩვენება. ვფიქრობთ, მეგრული **ჟინ-ო** ისევე მიემართება ქართულ ა-**ზან-**ს, როგორც **ხოლ-ო** — ა-**ხალ-**ს. — ა-**ზან-**ი : **ჟინ-ო**, ა-**ხალ-**ი : **ხოლ-ო** სტრუქტურული იდენტურობა უეჭველია. ინლაუტური ქართ. ა : ზან. ი აიხსნება როგორც **ო** → **გ** → **ი** პროცესის შედეგი ზანურში (გ. როგავა).

ზანური **ჟინ-ო** ეთნონიმად გამოჩნდება შემდეგ მყარ შესიტყვებაში: **ჟინ(ო)** ბორია „აღმოსავლეთის ქარი“ (შდრ. **წარ-ბორა**, **გურულ-ბორია** = გურული ქარი; ქართ. **ზან-ი**, **ზან-ია** (ანთრობ.): ზან. **ჟინ-ო** (ანთრობ.).

ქართული **ა-ზნ-ა-ურ-ი** საფიქრებელია, რომ **ა-ზან-ურ-**ისაგან მომდინარეობდეს. ხოლო **ჟინო-სქუა** იმავე სიტყვათწარმოებას ჰგულისხმობს, რასაც შემდეგი მაგრული სოციალური ტერმინები: **თავად-სქუა** „თავადიშვილი“, **პატრონ-სქუა** „დადიანი“, **ყაზახი-სქუა** „გლეხი“, **გაგე-სქუა** „მზარეული“...

შესაძლოა ეგევე **ზან-** ძირი ჩანდეს სვანურ-ჩერქეზულ **ზან** ეთნონიმში, შდრ.: ქართ. **ზან-ი**, **სა-ზან-ო**, **ზანა-თ-ი** (ტობ.) : მეგრ. **ჟინო-თ-ა** (ტობ.), (**ჟონ-ეთ-ი** (ტობ.) იმერეთში). ეთნონიმის აღმნიშვნელმა სიტყვამ რომ სოციალურად დაწინაურებული ფენის სტატუსი შეითავსოს ამისი მაგალითი ცნობილია ქართველური სინამდვილიდან (შდრ. აფხაზა „ქართველური ტომი; აზნაური“ ←*აფხ-აზან-(ი?), როგორც **ლა-ზ-ი** ← **ლა-ზან-**).

ს.-ქართვ. ***ზან-** „აზანი; ეთნონიმი“ → ქართ. **ა-ზან-ი**, **ზან-ი**, **ა-ზნ-ა-ურ-ი** (←**ა-ზან-ურ-ი**) : ზან. **ჟინ-ო** (← **ჟგნ-ო** ← **ჟონ-ო**) : სვან. **ზან** ← ***ჟან** (**ზან-ჰრ**, მგ-**ზან** „მეგრელი“, ლუ-**ზნ-უ** „მეგრული“).

სვან. **ზა-მახე** ბზ., **ზა-მახე** ბქ., **ზა-მახე** ლშხ., **ზა-მანხე** ლნტ. „ახალი წელი“.

ქართ. —

ზან. **ზო-მხა** „ახალი წელი“.

ახალი წლის (წელი ახალი) გადმომცემი უძველესი კომპოზიტი **ზო-მხა** ←***ზო-მონა** ზანურში დაკარგულია, მაგრამ არა უკვალოდ; იგი უნდა ჩანდეს სვანურ (ბზ., ლშხ.) დიალექტებში ფიქსირებულ **ზო-მხა** სიტყვაში. ***ზო-მონა** ფუძეში მეორე **ო-**ს რედუქცია სვანურის ნიადაგზეა მომხდარი **ო** → **ჟ** → **∅** საფეხურის გავლით — ***ზო-მონა** → ***ზო-მჟხა** → **ზო-მხა**.

უფრო მეტიც, ***ზა-მახე** ტიპის კომპოზიტი უნდა გვქონოდა ქართულშიც, მაგრამ ქრისტიანობის გავრცელებამ ხელი შეუწყო მის გაუჩინარებას, შდრ. **კალანდობა**, **კალანდრა**, გურ.-მეგრ. **კალანდა** „ახალი წელი“ (ლათ. Calandae).

ს.-ქართვ. ***ზა-მახე** „წელი ახალი“ → ქართ. — : ზან. **ზო-მხა** ← **ზო-მონა** : სვან. **ზა-მახე** || **ზა-მახე** || **ზა-მახე** || **ზა-მანხე**.

ქართ. **ზებ-/ზაბ-**, **ზებ-ვ-ა** „ცემა“, მთიულ. **სა-ზებ-ელ-ი** „ბანის მიწის სატკეპნი ხისა“, იმერ., გურ. **ზაბ-უნ-ი** „ცემა რამე რბილ საგანზე“.

ზან. (მეგრ.) **ჟიფ-**, **ჟიფ-უნ-ს** „ზებავს“, **ო-ჟიფ-ალ-ი** „საცემი“, **ჟიფ-ილ-ი** „ნაცემი“, **ჟიფ-უ-ა** „ზებვა“.

სვან. —

ქართულ **ზებ-** ძირის ზანურ შესატყვისად მიჩნეულია ჭანური **ზაბ-** (გ. კლიმოვი; ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე), მიუხედავად იმისა, რომ ქართულში **ზაბ-** ვარიანტიც ბუნებრივია.

ზებ-/ზაბ- მონაცვლეობისას უფრო ძველ სახეობად **ზაბ-** მიიჩნევა (შდრ. **ჭერ-/ჭარ-** ← **ჭარ-**), რომლის კანონზომიერი შესატყვისიც შემონახულა მეგრულში **ზებ-** ქართულიდან ნასესხები ფუძის სინონიმურ **ჟიფ-** ა ზმნაში. აუსლაუტური **პ : ფ** შეფარდება წინააღმდეგობას ვერ შეგვიქმნის, ის ანალოგიურია ქართ. **ბებელ-** ა : ზან. **ფარფალ-** ია მიმართებისა. ზანურის ვოკალიზმი შემდგომი გაგრძელებაა ქართ. **ა** : ზან. **ო-** სი — **ჟიფ-** ← ***ჟფფ-** ← ***ჟუფფ-** ← ***ჟობ-** : **ზაბ-**.

ს.-ქართვ. ***ზაბ-** „ზებვა, ცემა“ → ქართ. **ზაბ-** → || **ზებ-** : ზან.

ჟიფ- || **ჟფფ-** ← ***ჟუფფ-** ← ***ჟობ-**.

სვან. **ზერდ** ბზ., ბქ., ლნტ. **ზერდ** ლშნ. „ყველის საწური ხელსაწყო“. ქართ. (ქართლ., ქიზიყ.) **ზინდ-** ან-ი „საკვერავი“, იმერ. **ზინდ-** ალ-ი „ქვაბის მჭედელთა გრდემლი“.

ზან. —.

ქართ. **ნ** : სვან. **რ** ყველა პოზიციაში დასტურდება (შდრ. **ზეგან-ი** : **ზაგან...** იხ. § 12. **ნ** → **რ**).

ს.-ქართვ. ***ზინდ-** „საკვერავი, საწური“ → ქართ. **ზინდ-** ან-ი || **ზინდ-** ალ-ი : სვან. **ზერდ** || **ზერდ** ← ***ზინდ**.

სვან. **ზერჩჷ** „არჯაკელი (მცენარეა)“.

ქართ. **დუც-** ი.

ზან. **დგრჩ-ე** || **დირჩ-ე**.

ქართულ-ზანურ ფუძეთა ერთიანობა ცნობილია (გ. როგავა). სვანური ეკვივალენტი შემონახულია ლეჩხუმურ დიალექტში ნასესხობის სახით:

სვან. **ზერჩჷ** → ლეჩხ. **ზერჩო** (**ჷ**-ს ვოკალიზაციით სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში).

სავარაუდოდ **ზერჩჷ** სვანურში მიღებულია უფრო ძველი ***დჷრჩ** არქეტიპისაგან **დ** → **ზ** და **ჷ** → **ჷი** პროცესების გავლით: **დუც-** ი : ***დჷრჩ** → ***დჷრჩი** → ***დირჩჷ** → **ზერჩჷ**. **ჷ**-ს დეჟმლაუტიზაციის მომდევნო ეტაპზე **ზირჩჷ** → **ზერჩჷ** (**ი** → **ე**) უკუმიმართულების უმლაუტი განხორციელდა **ჷ**-ს პოზიციური გავლენით (მ. ქალდანი). პალატალური რიგის ხმოვნების წინ (**ჷ, ე, ი**) **გ/დ** → **ზ** გადასვლა სვანურში გავრცელებული მოვლენაა (იხ. აქვე, § 32. **გ/დ** → **ზ**) : სვან. **ზისზ** ← ***დისზ** :

ჭან. დიცხირ-ი „სისხლი“, სვან. ზესხ-რა ←*დესხ-რა : ჭან. დუცხუ, ზექ
 „შეშა“ ←*დუშქა : ზან. დიშქა „შეშა“, სვან. გაგდან → || გაგნან „ყბელი“...
 ს.-ქართვ. *დუც- „დუცი (ბალახი)“ → ქართ. დუცი : ზან. დირჩ-ე
 || დგრჩ-ე (←*დურჩ-ე) : სვან. ზერჩჷ ←*დირჩჷ ←*დჷირჩ
 ←*დჷირჩ.

ქართ. ზვარ-ი „დიდი ვენახი“, მე-ზვრ-ე.
 ზან. (მეგრ.) ჟვერ-ი „მრავალი მცენარე ერთად ამოსული (უმთავრე-
 სად ბუჩქნარი)“.
 სვან. —.

ქართულში დადასტურებული დიდი (ბევრი) ვენახის სემანტიკის გამოძახილად მივიჩნევთ მეგრულში გავრცელებულ მრავალი მცენარის (ერთად ამოსულის) გაგებას. მნიშვნელობის მხრივ სიახლოვე საგრძნობია.

ფორმალური თვალსაზრისით ზვარ-/ჟვერ- ფუძეთა საერთოწარმო-
 მავლობას წინააღმდეგობა არ ახლავს; შდრ. ქართ. ა : ზან. ე (← ო) —
 ქართ. ძარღვ-ი : ზან. ჯერღვ-ი ← ჯორღვ-ი, ქართ. ტყავ-ი : ზან. ტყებ-ი
 ←*ტყობ-ი... ასევე ქართ ზვარ-ი : ზან. ჟვერ-ი ←*ჟვორ-ი.

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (გურ., იმერ., აჭარ.) ფიქსირებული ჟვერ- ფუძე ზანური წარმომავლობისაა, რაზეც ფორმალურ-სემანტიკური იდენტურობა მიანიშნებს.

ს.-ქართვ. *ზჷ-არ- „მრავალი ვაზი (ყურძენი) ერთად; ვენახი (დიდი)“ → ქართ. ზვარ-ი : ზან. ჟვერ-ი ←*ჟვორ-ი.

ს.-ქართვ. *ზჷ-არ- ლექსემის შესატყვისია: აფხაზ. ა-ჟ „ყურძენი“, შდრ. ა-ჟ-ქუაწა „ზვარი, ვენახი“, ა-ჟგ-მჟა „ყურძნის მტევანი“.., ხუნძ. ჟა, ბოთლ. ჟანა „ყურძნის წვენი“.., ჰუნზ. ჟა „ღვინო“ (ჩერქეზ. ზ/სან „წამალი“).

სვან. ზიგ- || ზგ-, ი-ზგ-წლ, ი-ლ-ზიგ-წლ (წდ-ზიგ-ი) ბზ., ი-ზგ-წლ (წდ-ზიგ-ი) ბქ., ი-ზგ-წლ (ედ-ზიგ-ი) ლშხ. „ესახლება“, ი-ზგ-ე „სახლობს“, ლი-ზგ-ე „სახლობა; ცხოვრება“, ლწ-ზგ-ა ზს., ლნტ., ლა-ზგ-ა ლშხ. „სა-ცხოვრებელი“, მე-ზგ-ე „მოსახლე“, ლგ-ზგ-ე „დასახლებული“.

ქართ. დეგ- || დგ-, ვ-დეგ, და-დგ-ა, აღ-დგ-ინ-ებ-ა, და-ვ-ა-დგ-ერ, მ-დეგ-ი, ა-დგ-ილ-ი, ძეგ-ლ-ი, მე-დეგ-ი, მე-დგ-არ-ი, სა-დგ-ურ-ი, სა-დგ-ომ-ი მ-დგ-მ-ურ-ი.

ზან. დგ-, დგ-უ(ნ) „დას“, ო-დგ-ინ-ან-ს „აყენებს, ადგენს“, დგ-უმ-ურ-ი „მდგმური“, და-დგ-ინ-ალ-ი „სადგური, დო-დგ-ინ-უ „დადგომა“, დო-

ვ-ო-დგ-ინ-ი „გავაჩერე“, დგ-უ-ნ „დგას“, დო-დგ-ინ-ა „გაჩერება, ცხოვრება, სახლობა (ი. ყიფშიძე)“.

ზანურში მხოლოდ რედუცირებული ძირი დასტურდება — *დაგ- → დგ-. ქართულსა და სვანურში ორივე სახეობა ჩვეულებრივია. სწორედ განხორციელებულ ფუძეებში განხორციელდა დ → ზ გადასვლა სვანურში, რაც ბუნებრივია პალატალური რიგის ხმოვანთა წინ: დ + ა, ე, ი → ზ + ა, ე, ი, შდრ.: სვან. გაგდა, გაგადა „ქვედა ყბა“ → გაგდა → || გაგადა „ყბელი“; დ → ზ ეპარალელურა გ → ზ პროცესს სვანურში : სვან. ზისყ ← გისყ „რწყილი“ : ქართ. გრწყ-ილ-ი ← *გირწყ-ილ-ი, სვან. ზიზ- ← გიზ- : ქართ. გეზ- (იხ. აქვე)... შდრ. ქართ. ქეგ-ლ-ი ← *დეგ-ლ-ი (კ. მიქაილოვი).

სემანტიკის დონეზე სვანური „სახლობა, მოსახლე“, ახლოსა დგას ქართულის „ადგილი“ || „სადგური“, „მდგმური“ სემანტიკებთან, ხოლო მეგრული დო-დგ-ინ-ა იმეორებს სვანურ მნიშვნელობებს („ცხოვრება, სახლობა“).

ს.-ქართვ. *დეგ- „დგომა, ადგილი“ → ქართ. დეგ- → || დგ-, ა-დგ-ილ-ი : ზან. დგ- ← დაგ- : სვან. ზგ- || ← ზიგ- ← *დიგ-.

ს.-ქართვ. *დეგ- ძირის შესატყვისად მიიჩნევა შემდეგი სახელური ძირები მონათესავე იბერიულ-კავკასიური ენებიდან: ხუნძ. ბ-აკ ← ბ-აკუ, ანდ. მ-ოკუო, ბოთლ. მ-აკუა, ჭამ. მ-აკა || მ-აკუა, ტინდ., ღოდ., ბაგვ., კარ., ახვან. მ-აკუა ← ბ-აკუა „ადგილი“, ხვარშ. მ-უკო || მ-ოკუო, ჰუნზ. ბ-აკ ← ბ-აკუ „ადგილი“, ბეჟ. მ-უკოლ ← ბ-უკუ-ალ „საწოლი“ : ნახ. (ჩაჩნ.) მ-აკა ← *ბ-აკა „საწოლი“... (შდრ. ქართ. ლ-აკ-/ლოგ-ინ-ი ← *ლ-აკ-ინ-ი).

თავკიდური დ-, ბ- → || მ- გაქვევებული გრამატიკული კლასის ნიშნებია იბერიულ-კავკასიურ ენებში.

შეიძლება ვივარაუდოთ ქართული ბაკ-ი „ცხვრის სადგომი“ სიტყვის დადესტურული წარმომავლობა (ხუნძ. ბაკ, ჰუნზ. ბაკ), შდრ. ქართ. ბ-აკა : ზან. ბ-ოკა...

სვან. ზიზ- → || ზგზ- → || ზზ-, ლე-ზიზ ბზ., ლე-ზგზ ლშზ. „საგზალი“, ა-ზზ-ი (ოთ-ზიზ ბზ., ოთ-ზგზ ლშზ.) „აგზანის, ლი-ზზ-ი „გაგზანა“.

ქართ. სა-გზ-ალ-ი, გზ-ავ-ა, გეზ-ი, გზ-ა, მ-გზ-ავ-რ-ი.

ზან. ო-რზ-ოლ-ი (← ო-გზ-ოლ-ი) „საგზალი“, ჭან. ო-გზ-ალ-ონ-ი „საკაცე“, ო-გზ-ალ-უ „სიარული“, ვ-ი-გზ-ალ-ამ „მივემგზავრები“.

საერთოქართველური გეზ- ძირის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს ზიზ- || ზგზ- || ზზ- ალომორფები სვანურში. აქ ი-ს წინა პოზიცია-

ში **გ** → **ზ** გადასვლა შეინიშნება — ***გიზ**- → **ზიზ**-, რაც ბუნებრივია სვანურისთვის, შდრ. ქართ. **გრწყ**-ილ-ი ← **გწყ**-ილ-ი ←***გიწყ**-ილ-ი : სვან. **ზისყ**- ←***გიწყ**- „რწყილი“...

ს.-ქართვ. ***გეზ**- „გაგზავნა, სვლა; გზა, გეზი“ → ქართ. **გეზ**-ი, **გზ**-ა, **გზ**- : ზან. **რზ**- ← **გზ**-, **გზ**-(ალ-) : სვან. **ზზ**- || **ზგზ**- || **ზიზ**- (←***გიზ**- ←***გეზ**-).

ქართ. **ზუთხ**-ი (თევზ.).

ზან. **ზგნთხ**-ი „ზუთხი“, „მზეთუნახავი“.

სვან. —.

ზანურში შიშინა ***ჟუნთხ**-ი ვარიანტიც უნდა გვექონოდა, რასაც ამ-ტკიცებს აფხაზური ა-**ჟუნთხ** „ზუთხი“.

ს.-ქართვ. ***ზუთხ**- „ზუთხი“ → ქართ. **ზუთხ**-ი : ზან. **ზგნთხ**-ი/ჟ ←***ჟუნთხ**-ი.

სვან. **ზგნთხ** ზს., ქს. „შვრია“.

ქართ. **ზანდ**-, **ზანდ**-ურ-ი „ხორბლის ჯიში“.

ზან. —.

სვანურში სიტყვის ბოლოში **ხ** ფონეტიკური დანართია. **ხ**-ს განვითარება ბუნებრივი პროცესია: ქართ. **თრასკ**-ეს-ი „ქარის სახეობა“ : სვან.

თხარსკ ←***თარსკ** „სეტყვა“, ქართ. ვაცკაც-ი → სვან. **ჟესკაჯცხ**... **ზგნთხ** ←***ზანთ** ←***ზანდ**-.

სვანურიდან არის შეთვისებული ადიღეური **ზანთხ** „შვრია“.

ს.-ქართვ. ***ზანდ**- „შვრია“ → ქართ. **ზანდ**-ურ-ი : სვან. **ზგნთხ** ←***ზანთ** ←***ზანდ**-.

თ

სვან. თ-, ლე-თ ბზ., ლშხ., ლე-თ ბქ., ლნტ. „ღამე“, ლე-თ-ი ბზ., ლშხ., ლე-თ-ი ბქ., ლნტ. „წუხელ“.

ქართ. თ-, თ-ევ-, თ-ენ-, მ-თ-ენ-ი, სა-თ-ევ-ი.

ზან. თ-ან- „თენება“, ო-თ-ან-უ-ან-ს „ღამეს ათევეს“, გ-ი-ფ-თ-ან-ე „ღამე ვათიე“, თ-ან-აფ-ა „აღდგომა“.

ვვარაუდობთ სვანურ ფუძეთა მიმღეობურ წარმომავლობას; კერძოდ, ისტორიულად თ- ცალთანხმოვნისანი ზმნური ფუძის არსებობას, რომელსაც „ღამის+თევის“ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ისევე, როგორც ეს ქართულსა და ზანურს დღესაც ახასიათებს. ე. ი. ლე-თ-(ი) ისტორიულად

სა-თ-ევ-ის აღმნიშვნელი იყო და ღამეს მიემართებოდა — სათევი → ღამე (ლე-თი), რაც უნდა გათენდეს.

ცხადია, ჩვენი დაკავშირება არ გამორიცხავს ქართ. თ-ევ-/თ-ენ- : ზან. თ-ან- : სვან. თ-აჟ- „გაჩენა“ ფუძეთა ერთიანობას (ზ. სარჯველაძე). არა, ჩვენ მხოლოდ მის შესაძლო ეტიმოლოგიურ კავშირზე მივუთითებთ სვანურ ლე-თ-/ლე-თ-ი „ღამე, წუხელ“ ლექსებთან — სვან. თ- „თევა“ → ლე-თ-(ი) „სათევი“ → „ღამე“.

ს.-ქართვ. *თ- „თევა, თენება, ოგანათება“ → ქართ. თ-, თ-ევ-, თ-ენ-, მ-თ-ენ-ი, სა-თ-ევ-ი : ზან. თ-, თ-ან- : სვან. თ-, თ-აჟ-, ლე-თ-(ი) || ლე-თ-(ი).

ძვ. ქართ. -თ(ა) ბრ., მრ. რ. სუფიქსი (კაც-თ(ა), ძე-თ(ა), ძირ-თ(ა)...) .

ზან. (მეგრ.) -თა.

სვან. —

ძველი ქართული მრ. რ. სუფ. -თ(ა), როგორც ცნობილია, ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციასაც შეითავსებს (პოლიფუნქციურია). -თ(ა) სუფიქსს შესატყვისი უნდა ჰქონოდა ქართველურ ენებში. ჩვენი ვარაუდით, შესაბამისი -თ(ა) ზანურში რელიქტის სახით შემორჩენილია შემდეგ მყარ შესიტყვებებში: მეგრ. ჯი-თა ჯინჯი || ჯი-თა ჯინს „ძირთა ძირს(ში)“, წვა-თა წვანჯი || წვა-თა წვანს „წვერთა წვერ-ს(ში), ხვა-თა ხვალე || ხვა-თა ხე „მარტოხელი“, ძა-თა ნძალ-ი/ო „ძალთა ძალით“...

წარმოდგენილ მეგრულ მასალაში -თა სუფიქსი გარდა ნათესაობითის ფუნქციისა მრავლობითობის ნიუანსსაც შეითავსებს.

ს.-ქართვ. *-თ(ა) → ქართ. -თ-ა : ზან. -თა.

სვან. **თალ** „სოლი“.

ქართ. (მთიულ., გუდამაყრ., მოხ.) **თალ-ი** „რკინის სალტე“.

ზან. **თურ-** «ო-თურ-ა», „რკინის სოლი“.

ზანურში მოსალოდნელი **თურ-** ფორმა უნდა ჩანდეს გურულ **ო-თურ-ა-** „რკინის სოლი“ სიტყვაში, რომელიც ზანური წარმომავლობისაა.

ს.-ქართვ. ***თალ-** „სოლი, სალტე“ → ქართ. **თალ-ი** : ზან. **თურ-**, **ო-თურ-ა** : სვან. **თალ**.

ქართ. **თარგ-ი, თარგ-ვა, თარგ-ავ-**ს „ჭრის“.

ზან. **თგნგ-** || **თინგ-** „ჭრა“, **თგ/ინგ-**უნ-ს „(გამო)ჭრის“.

რგ თანმიმდევრობა ზანურში (მეგრულში) **ნგ-**თი შეიცვალა. მოვლენა (**რ** → **ნ**) გავრცელებული ფონეტიკური პროცესია (**ცუნვა** „ყრუ“ ← **ცურ+გა** (შდრ. **ცურ-უ** „id“), **გნძე** || **გრძე** : **გრძელი, ნტინ-ი** || **რტინ-ი** : **ლტოლ-ვა...**) ხშირ და სიბილანტ აფრიკატ თანხმოვანთა წინა პოზიციაში.

ხმოვანფარდობა ქართ. **ა** : ზან. **გ/ი** ამოსავალში **ო-**ს ვარაუდობს ზანური დიალექტებისთვის (გ. როგავას წესი).

ს.-ქართვ. ***თარგ-** „ჭრა; თარგი“ → ქართ. **თარგ-**, **თარგ-ი** : ზან. **თგნგ-** → || **თინგ-** (← ***თორგ-**).

სვან. **თაშ** ზს., ლნტ., **თაშ** ლშ. „ყველი“.

ქართ. **თესლი-ი**.

ზან. **თას-ი** „თესლი“.

ზანურ-სვანურში დეტერმინანტი **-ლ** დაკარგულია. თუმცა სვანურის თაშ-ჟ-ემ ფორმაში **-ლ** რეფლექსის სახით (**-ჟ**) შენარჩუნებულია. **-ჟ** (← **-ლ**) სუფიქსის ზეგავლენით განხორციელდა **ე** → **ჰ** || **ა** უკუმიმართულების უმლაუტი (მ. ქალდან) : ***თეშ-ჟ** → **თაშ-ჟ** → || **თაშ** || **თაშ**¹.

უფრო საინტერესოა მნიშვნელობის ცვლა სვანურში — **თესლი** → **ყველი**. ცხადია, **თესლი** სემანტემა ენაში თავდაპირველად კვეთის, დვრიტას სინონიმად გამოიყენებოდა, საიდანაც მოგვიანებით **ყველის** შინაარსი განვითარდა: **თესლი** → **დვრიტა** → **ყველი**, შდრ. მეგრ. **თას-ი** „თესლი“ → მარწვინიშ **თასი** = მაწვნის **დვრიტა**.

ზანურში მნიშვნელოვანია **ს** → **შ** → **ს** პროცესი — **თას-ი** ← ***თაშ-ი**, შდრ. ქართ. **წვეთ-** : ზან. **ჭვათ-** → || **წვათ-** (გ. როგავა).

¹ დღეს გავრცელებული **ლაშ-ი** ბზ., **ლაშ-ი** ბქ., **ლაშ-ი** ლშ., **ლაშ-ი** ლნტ. „თესლი“ წარმოშობით **თეს-** → **თაშ** „თესვა“ ზმნურ ფუძეთაგან ნაწარმოები მიმდებარება: ***ლა-თაშ-ი** „სათესი“ → ***ლაშ-ი** → **ლაშ-ი** „თესლი“ → ა-**ლაშ-ი** „თესავს“...

ს.-ქართვ. ***თეს-ლ-** „თესლი“ → ქართ. **თეს-ლ-ი** : ზან. **თას-ი**
←***თაშ-ი** : სვან. **თაშ-** || **თაშ-(უ)** ←***თეშ-უ**.

სვან. **თეურ-** || **თეურ-**, ხ-ე-**თეურ-**/წლ || ა-**თეურ-**წლ-ი ბზ., ხ-ე-**თეურ-**წლ || ა-**თეურ-**წლ-ი ლშხ., ხ-ე-**თეურ-**წლ || ა-**თეურ-**წლ-ი ლნტ.
„თვალყურს ადევნებს, ათვალყურებს“.

ქართ. **თვალ-**ი, ა-**თვალ-**იერ-ებ-ს.

ზან. **თოლ-**ი „თვალი“, ნა-**თოლ-**ე „განათვალი“.

ზმნური ფუძე უფრო ზუსტად წარმოაჩენს ს.-ქართვ. **თჟალ-** ძირის სვანურ ეკვივალენტს. აქ ცვლილება მინიმალურია — **თეურ-** ←***თჟერ-** („მდრ. **თე(რ)**-ალ „თვალეზი“), სადაც **ე**-ს სიგრძე (**ე**) **უ**-ს გაუჩინარების საკომპენსაციო უნდა იყოს. **ლ** → **რ**-სათვის სვანურში იხ. § 6.

ს.-ქართვ. ***თჟალ-** → ქართ. **თვალ-**ი, **თვალ-** : ზან. **თოლ-**, **თოლ-**ი : სვან. **თე(რ)** || **თეურ-** ←***თჟერ-**.

სვან. **თოდ** ზს. „შულო“, ი-**თუდ-**ი ზს., ლშხ. „იქსელავს დართულ დაფს“.

ქართ. **თელ-**, თელვა „მატყლის შენაბღვა (საბა)“.

ზან. —.

აუსლაუტში განხორციელებული ჩანს **ლ** → **დ** ფაკულტატიური ფონეტიკური პროცესი (იხ. **ლ** → **დ** § 2.).

უჩვეულოა ხმოვანთა შესატყვისობა ქართ. **ე** : სვან. **ო**. შესაძლოა, ისტორიულად **ვე(უე)** თანმიმდევრობის დაშვება ფუძე-ენაში, ამას თითქოს ლაშხურის ჩვენება უჭერს მხარს: ო-ხ-**თჟად**, ენ-**თჟად-**ნ-ე, ენ-**თჟად-**ე, თუმცა ქართ. **შქერ-**ი : სვან. **შგორ-**.

ს.-ქართვ. ***თ(უ)ელ-** „ქსელვა; თელვა“ → ქართ. **თელ-** : სვან. **თოდ** || **თუდ-** || **თჟად-** ← ***თჟელ-**.

სვან. **თომ-ირ** ბზ., ბქ., ლნტ., **თომ-ურ** ლშხ. „ბურვაკი“.

ქართ. **თელ-**ი „გოჭი“.

ზან. **თილ-ა** (← **თულ-ა**), **თუ(ლ-)** „გოჭი“.

-**ირ** საკუთრივ სვანური სუფიქსია, რომელიც მხოლოდ სვანურ შესატყვისებში დასტურდება (მდრ. ქართ. **ას-** : სვან. **აშ-ირ** „ასი“...).

გამოყოფილი სვან. **თომ-** ძირი მიღებულია **ლ** → **მ** (იხ. § 4.) და **ა** → **ო** პოზიციური გადასვლით. **ა**-ს ლაბიალიზაცია მომდევნო მ-ს მიეწერება (გ. მაჭავარიანი).

ს.-ქართვ. *თალ- „გოჭი, ბურვაკი“ → ქართ. თელ-ი : ზან. თულ ||
თილ-ა (← თულ-ა) : სვან. თომ-ირ || თომ-ურ ← *თამ-ირ ← *თალ-ირ.

ქართ. თომ-ი/ა, თომ-, გა-თომ-ვ-ა, გა-თომ-ილ-ი.
ზან. (მეგრ.) თგშქვ-ი || თიშქვ-ი „თოვლჭყაბი“.
სვან. —.

თ ო მ ი ~ თ ო ვ ლ ჭ ყ ა ბ ი შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე
დასაშვებია.

ზანური განმოვანება მეორეულია. თავდაპირველად საერთოქართველურ
თომ- ფორმას აქ *თუშქ- უნდა მოეცა — ქართ. ო : ზან. უ,
ქართ. უ : ზან. შქ. მეგრულ-ჭანურისთვის დამახასიათებელი უ/ო → გ →
|| ი გარდაქმნით *თგშქ-ი || *თიშქ-ი გვექნებოდა, საიდანაც მომდევნო
ეტაპზე ვ-ს ფონეტიკურად განვითარებით თანამედროვე ფორმები მივი-
ღეთ.

ს.-ქართვ. *თომ- „ყინული, თოვლჭყაბი“ → ქართ. თომ-, თომ-ი :
ზან. თიშქვ-ი || თგშქვ-ი ← *თუშქ-ი.

სვან. თჷეთჷნე || თეთჷნე ბზ., თეთნე ბქ., თჷეთჷნე ლშზ.,
თჷეთჷნე ლნტ. „თეთრი“.

ქართ. თეთრ-ი, თეთრ-დ-.

ზან. თუთ-ია.

ზანურში თეთრ-ის შესატყვისი ფუძე არ იყო გამოვლენილი. ვფიქ-
რობთ, უმართებულო არ უნდა იყოს თუთია-ს შემოტანა სიტყვათა ამ
რიგში. შეიძლება მივუთითოთ ზუსტ სტრუქტურულ ანალოგზე (ქართ.
ლელჷ- : ზან. ლულ- — თეთჷ- : თუთ-ია).

თეთრი/ვერცხლი საერთო სემანტიკური ველის წევრებია.

ს.-ქართვ. *თათჷრ- „თეთრი“ → ქართ. თეთრ-ი : ზან. თუთ-ია
← *თოთვ-ია : სვან. თეთნე || თჷეთჷნე || ← თეთჷნე.

სვან. თქ-, ხ-ა-თქ-ე ბზ., ბქ., ხ-ა-თქ-ე ლშზ. „საარაყეს აყენებს“,
ლპ-თქ-ა „საარაყე“, «თქ-» „არაყი“.

ქართ. «თქ-» „არაყი“.

ზან. «თქ-».

ქართულ-ზანურში სათანადო ფუძე დაკარგულია, მაგრამ არა უკვა-
ლოდ, სომხური ცქი ← *თქი „არაყი“ ქართველური ენებიდან ჩანს შეთვი-
სებული.

ს.-ქართვ. ***თქ-** „არაყი“ → ქართ. **«თქ-»** : ზან. **«თქ-»** : სვან. **თქ-**, **ლწ-თქ-ა**.

სვან. **თქჷიმ-**, **თქჷიმ-ე** ზს., **თქუმ-ე** ლშხ. „აქრობს“.

ქართ. **ნთქ-** „ნთქმა, შთანთქმა“.

ზან. **ნთქ-ერ-** || **ნთქ-ორ-**, **ნთქ-ორ-უნ-ს** „შთანთქავს“.

-**უმ** სვანურში ფუძესწეზრდილი თემის ნიშანი უნდა იყოს, მსგავსი ფუნქციისა ჩანს მეგრ. -**ორ** || -**ერ**.

ს.-ქართვ. *(**ნ**)**თქ-** „შთანთქმა“ → ქართ. **ნთქ-** : ზან. **ნთქ-ორ-** || **ნთქ-ერ-** : სვან. **თქ-უმ-** → || **თქ-ჷიმ-**.

სვან. **თხ-ეკ-**, **ხ-ე-თხ-კ-ენ-ი** ზს., ლშხ., **ხ-ე-თხ-ეკ-ენ-ი** ლნტ. „ესხმე-ბა, ეწვევება“.

ქართ. **თხ-ეკ-/თხ-ი(ვ)-**, **სი-თხ-ე**.

ზან. (მეგრ.) **ნთხ-აფ-ა** (ქწ-**ნთხ-აფ-ე** „არწყიე“).

ჩვენს მიერ მოხმობილი სვან. **თხ-ეკ-**, მეგრ. **ნთხ-** (←**თხ-**) იგივე ფუძეებია, რაც ჰან. **ნთხორ-** „ღებინება“, სვან. ლი-**თხ-**უნ-ე „პირღებინება“, ა-**თხ-**არ „გასკდა“, ლი-**თხრ-**ე „სითხიანი ჭურჭლის გახეთქვა“, რომელთაც ადრე სამართლიანად აკავშირებდნენ ქართ. **თხ-** „სითხე, თხევა“ ძირთან (ლ. ნადარეიშვილი). აქვე შემოსატანია : ქართ. **თხრ-**ამ-ლ-ი : ზან. **თხ-**ომ-ურ-ი : სვან. ლე-**თხრ-**ე „მუწუკი“.

ს.-ქართვ. ***თხ-** „სითხე, თხევა“ → ქართ. **თხ-**, **თხ(რ)-**ამ-ლ-ი, **სი-თხ-ე** : ზან. **ნთხ-**, **ნთხ-ორ-**, **თხ-ომ-ურ-ი**. სვან. **თხ-ეკ-**, ლე-**თხრ-**ე, **თხ-უნ-**, **თხ-არ-** || **თხ-რ-**.

სვან. **თხწ-რ-ე** ბზ., ლშხ., **თხწ-რ-ე** უშგ., **თხე-რ-ე** ბქ., ლნტ. „მგე-ლი“, **თხწ-ლ-**, ხ-ე-**თხწ-ლ-ი** „ეძებს“, ლი-**თხწ-ლ-ი** „ძებნა“, მე-**თხწ-**ძწრ ბზ., ლნტ., მე-**თხწ-**წრ ბქ., მე-**თხწ-**ძარ ლშხ. „მონადირე“, ლწ-**თხწ-**იარ || ლწ-**თხწ-**ძარ ბზ., ლა-**თხწ-**არ ბქ., ლა-**თხწ-**ძარ ლშხ., ლა-**თხწ-**წრ ლნტ. „სა-ნადირო“, ი-**თხწ-**იწრ ბზ., ლნტ., ი-**თხწ-**წრ ბქ., ი-**თხწ-**ძარ ლშხ. „ნადი-რობს“.

ქართ. **თხეც-**, ი-**თხეც-ლ-ი**და „თევზაობდა, ნადირობდა“, **თხეც-ლ-ა** „თევზაობა“, მ-**თხეც-ლ-არ-ი** „მონადირე, მეთევზე“.

ზან. —.

აქ ჩამოთვლილ ფუძეთა ერთიანობა ცნობილია (წ. მარი). ჩვენ სიტყვათა ამ რიგში დამატებით შემოვიტანეთ სვანური მ გ ლ ი ს აღმნიშვნელი ალომორფები, რომლებიც ფორმალურად ახლოს დგანან **თხეც-**, **თხწ-**, **თხწ-(ლ-)** ზმნურ ძირებთან. სემანტიკურად სვანურ მ გ ე ლ ს ა

(ნადირსა) და ნადირობას შორის ისეთსავე მიმართებას ვხედავთ, როგორსაც — ქართულში: ნადირი ~ ნადირობა.

ს.-ქართვ. ***თხ-ეჟ**- „ნადირობა (მგელზე)“ → ქართ. **თხევ-ლ-**, **თხევ-**, **მ-თხევ-ლ-არ-ი** : სვან. **თხნ-რ-ე** || **თხწ-რ-ე** || **თხე-რ-ე** ←***თხეჟ-ლ-ე**; **თხნ-ლ** ←***თხ-ეჟ-ლ-** || **თხჟ-** ←***თხეჟ-**.

ს.-ქართვ. ***თხ-ეჟ**- „ნადირობა (მგელზე)“ ძირი უკავშირდება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენათა ძაღლის აღმნიშვნელ ფუძეებს: ს.-ნახ. **ფჰ-უ** (მრ. რ. **ფჰ-არ-ჩ**) „ძაღლი“, ხუნდ. **ჰჟე**, ახვახ. **ხჟაჟ**, კარატ. **ჰჟე** || **ჰჟაჟ**, ჰამალ. **ხჟაჟ**, ბაგვ. **ჰჟაჟ**, ბოთლ. **ხჟაჟ**, ღოდ. **ხჟაჟ**, ანდ. **ხოჟ** ← **ხჟაჟ**... დარგ. **ხა**, თაბ. **ხუჟ**, აღულ. **ხუჟ**, რუთ. **ხჟე**, წახ. **ხჟა**, ხინ. **ფხრა**, კრიწ. **ხჟარ**, ბუდუხ. **ხორ** — **ხჟარ**, უდ. **ხა** ← **ხჟა** „ძაღლი“... ვგონებთ ძაღლი / ნადირობა / მგელი სემანტიკური მიმართება პრობლემური არ უნდა იყოს.

სვან. **თხ-**, ა-**თხ-**ჟდ „ახვედრებს, აპოვნინებს, თავსუყრის“.

ქართ. **მ-თხ-უ-**, **მ-თხ-უ-ეგ-** „შეხვედრა, შემთხვევა“.

ზან. (მეგრ.) **ნთხ**-აფ-ა „დაცემა, თავდასხმა“, ჰან. **ნთხ-**, მ-ი-**ნთხ-უ** „მკრა“, „მემთხვია“.

ამასვე უნდა დავამატოთ კიდევ ერთი სვანური ზმნა **ხ-ა-თხ-**ჟმ ბზ., ლნტ., **ხ-ა-თხ-**ჟმ ლშხ. „შურს, ეხარბება“ (შდრ. მეგრ. **ნთხ-**, მ-ო-**ნთხ-უ**-(ნ) „სუნი მცემს“). „სიხარბის“ ნიუანსი სვანურში სუნის (ცემისაგან) განვითარდა. რასაც ეხარაღელება ქართული **შური-ი**, **შურ-ს** „ეხარბება“, რომლის წყაროსაც ზანური **შური-ი** „სუნი“ წარმოადგენს (საკუთრივ ქართული **სურ-** „სურს“ **სუნ-ს/სულ-**ის ალომორფად გვეჩვენება. იხ. აქვე, სვან. **შონ-**).

ს.-ქართვ. *(**მ**)**თხ-** „შემთხვევა, შეხვედრა, მთხვევა“ → ქართ. **მ-თხ-ჟ-** : ზან. **ნთხ-** (←**თხ-**) : სვან. **თხ-** || **თხ-ამ-**.

სვან. **თხ-ეფ-**, **ხ-ე-თხ-ფ-ენ-ი** ზს., ლშხ., **ხ-ე-თხ-ეფ-ენ-ი** ლნტ. „გადაეკიდება“, **მა-თხ-წფ**, **ლწ-ხ-თხ-წფ** ბზ., **მა-თხ-ეფ**, **ლე-ხ-თხ-აფ** ლშხ., **მა-თხ-აფ**, **ლწ-ხ-ე-თხ-აფ** ლნტ. „მონადები, მოედვა (აჰყვა)“.

ქართ. **რა-თხ-** || **რ-თხ-**, გარდა-**რთხ-მ-ა** „გადაფენასავით (საბა)“, ფშ. **თხ-ეფ-** „გადაკიდება, მოკიდება“.

ზან. **თხ-გმ-** || **თხ-იმ-** „გაჭიმვა, გადაჭიმვა“.

ქართველურ ფუძეთა შედარება არკვევს, რომ **-ეფ/-წფ** ფუძეს შეზრდილი თემისნიშანია სვანურში (იხ. § 39-40).

სვანურ **მათხწფ** ფუძესთან ახლოს დგას სტრუქტურულ-სემანტიკურად სომხური **მართახწფ**-ლუკ „ღამურა“ ← „გადაკიდებული“ (შდრ. სვან.

მეთხეფე || **მეთხეფე** „გადაკიდებული“, **მათხეფ** || **მათხაფ** „ღამურა“), რაც სვანურიდან სესხებით აიხსნება.

ს.-ქართვ. ***თხ-** „გადაკიდება, გადაფენა“ → ქართ. **თხ-**, **რა-თხ-**, **თხ-ეფ-** : ზან. **თხ-იმ-** || **თხ-გმ-** : სვან. **თხ-ეფ-** || **თხ-აფ-** || **თხ-აფ-**, **მა-თხ-აფ-**, **მე-თხ-ეფ-ე** || **მე-თხ-ფ-ე**.

სვან. **თხაჟას** || **თხაჟაშ** || **თხისჟ** || **თხიშჟ** „ბუსუსი, ქინქლი, ღინ-ღლი“, **თხის-წარ** ბზ., **თხისჟ-წარ** ბქ., **თხის-წარ** ლშხ., **თხის-წარ** ლნტ. „ქინქლიანი“.

ქართ. **თხის-ურ-ი** „თივთიკი, თმა“.

ზან. (მეგრ.) **თხვას-** || **თხვაშ-** „გამოყრა (მუწუკების, ჭორფლის...), **თხვას-ილ-ი** || **თხვაშ-ილ-ი** „გამოყრილი“.

სვანურში უფრო ძველ სახეობად **თხისჟ** || **თხიშჟ** გვესახება — **თხისჟ** || **თხიშჟ** → ***თხას/შჟ-** → **თხუას/შ** (მ. ქალდანის წესით).

საყურადღებოა **ს/შ** მონაცვლეობა ზანურ-სვანურ ფუძეებში. ცხადია, **ს** → **შ** → || **ს**.

ს.-ქართვ. ***თხისჟ**-(ირ-) „თივთიკი, ქინქლი“ → ქართ. **თხის-ურ-ი** : ზან. **თხვას-** || **შ-** ← ***თხიშჟ-** : სვან. **თხაჟას** || **თხაჟაშ** ← || **თხიშჟ**.

სვან. **თგ** ლშხ., **თგ-ირ** ზს., **თგ-გრ** ლნტ. 1. „წვეტიანი ჩხირი, წკირი“, 2. ზს. „სადგისი“; **ხ-ა-თგ-გნ-ე** (ლო-ხჟ-**თგ-ინ** ბზ., ლო-ხ-**თგ-გნ** ლშხ.), **ხ-ა-თგ-ი** (ლო-ხჟ-**ა-თგ-ინ**) ლნტ. „არჭობს, ასობს“; ბქ. „ნისკარ-ტით ჩხვლეტს“.

ქართ. **ღგ-**, **სა-ღგ-ის-ი**.

ზან. **ღგ-**, **ო-ღგ-იშ-ი** „სადგისი“.

-**ირ** სახელური სუფიქსია სვანურში (შდრ. **თომ-ირ** : **თელ-ი** : **თუ**; **აშ-ირ** : **ას-ი** : **ოშ-ი**...).

თგ- || **თგ-ირ** იმასაც აჩვენებს, რომ ს.-ქართვ. ძირი გახმოვანებული უნდა ყოფილიყო (ამაზე სხვა იბ.-კავკასიურ ენათა ინფორმაციაც მიუთითებს — ხუნძ. **როკენ** „სადგისი“, ნახ. **თეგ-** „კერვა“...).

ს.-ქართვ. ***ღVგ-** „სადგისი; სობა, რჭობა“ → ქართ. **ღგ-**, **სა-ღგ-ის-ი** : ზან. **ღგ-**, **ო-ღგ-იშ-ი** : სვან. **თგ-**, **თგ** || **თგ-ირ** ← ***ღგ-**.

სვან. **ილუ** ზს., ქს. „შველი“.

ქართ. **ილემ**-ი „ირემი“ (ტობ.).

ზან. **ირემ**-ი „ირემი“, **ო-ირემ**-ე (ტობ.) = სა-ირმ-ე.

ირემ-თან დაკავშირებული ტობონიმი ჩანს ქართული **ილემ**-ი, რო-მელმაც ირმის აღმნიშვნელი უძველესი საკუთრივ ქართული ფორმა შემო-გვინახა. **ლ** ვარიანტიანი ფუძის უძველესობაზე სვანური **ილუ** „შველი“ მეტყველებს. იგი ისტორიულად გახმოვანებული ***ილაჟ**- ტიპისა უნდა ყო-ფილიყო. აუსლაუტში **ვ** || **მ** მონაცვლეობა ცხოველთა სახელწოდებებში ზანურისთვისაც და ქართულისთვისაც დამახასიათებელია, შდრ.: ქართ. არჩვ-ი || არჩემ-ი (ბ. გიგინეიშვილი) : ზან. ერცქემ-ი „არჩვი“, ს.-ქართვ. ***არჩავ**-ი; ქართ. ღლაგ-ი || ღლამ/-ნ-ი : ზან. (მეგრ.) **ღლამ**-ი „დიდი თევ-ზი“... ასევე ქართ. ***ილევ**-ი || **ილემ**-ი : ზან. **ირემ**-ი : სვან. **ილუ**. **ლ** → **რ** გადასვლით ზანური გამოირჩევა ქართველური ენებიდან. ამიტომაც **ირემ**-ი მეგრულ-ჭანური გვგონია (შდრ. აგრეთვე **ვ** → **მ** : ქართ. (სპარს.) **ღევ**-ი → მეგრ. **ღემ**-ი...).

წარმოდგენილი ეტიმოლოგია **ირემ**- სიტყვისა გამორიცხავს უსაფუძ-ვლო ვარაუდს მისი ფინური (?) ჰირვი „ლოხი“ ლექსემისგან მომდინარეო-ბის შესახებ (გ. მელიქიშვილი). რაც შეეხება სემანტიკურ მიმართებას შველი ~ ირემი, იგი სავსებით დასაშვებია, შდრ. ქართ. შველ-ი : ზან. (ჭან.) მ-სქვერ-ი „ირემი“.

ს.-ქართვ. ***ი-ლაჟ**- „ირემი; შველი“ → ქართ. **ილემ**-ი ← ***ილევ**-ი || ***ილაგ**-ი¹ : ზან. **ირემ**-ი ← ***ილემ**-ი ← ***ილოვ**-ი : სვან. **ილუ** ← ***ილაჟ**.

ს.-ქართვ. ***ი-ლაჟ**- „ირემი, შველი“ არქეტაპის შესატყვისია: ს.-ნახ. ***ლუჟ** „შველი“, შდრ.: ინგ. **ლიფ**-გ ← ***ლუჟ**-იგ, ჩაჩნ. **ლუ** ← ***ლუჟ**.

ქართ. **იშელ**-ი „საღორე სახლი (საღორეა) (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **ოსქუ** „საღორე“.

სვან. —.

თავკიდური **ი** ქართულში, **ო** ზანურში დერივაციული პრეფიქსებია (nomina loci **ი-დაყვ**-, **ი-გურდივ**..., ზან. **ო-კიდ-ო**(მა) „აკიდო“, **ო-რდ-ო** „ადრე“...).

¹ იქნებ ქართული **ირაო** ← ***ილაგო** „ნარნარად ფრენა“ უძველეს დროში ირმის ნახტომს აღნიშნავდა და მატერიალურად ***ილაგ**-ი „ირემი“ ფუძის ერთ-ერთი ფონეტიკური ვარიანტია.

ი-შელ- : **ო-სქუ** შეპირისპირებისას საინტერესოა **-ელ** : **-უ** შეფარდება, რაც ცნობილი მოვლენაა სიტყვის ბოლოში — შდრ.: ქართ. **კელი-ი** : ზან. **ხუ-**, ქართ. **წელი-ი** : ზან. **კინუ-**, ქართ. **წელი-ი** : ზან. **კუ-**...

მეგრული **ოსქუ** იმიტაც არის მნიშვნელოვანი, რომ აქ სახეზეა **შქ** ისტორიული კომპლექსის გასისინების უტყუარი ფაქტი — **ოსქუ** ← ***ოშქუ** „საღორე“.

ვეფქობთ, ზემოთ მოცემული დაკავშირება გამორიცხავს ზან. **ოს-ქუ**-ს რამენაირ კავშირს ქართ. **ეშვი** „ტახი“ ლექსემასთან (გ. კლიმოვი).

ს.-ქართვ. ***(ი-)შ-ელ-** „საღორე“ → ქართ. **ი-შელ-ი** : ზან. **ო-სქუ** ← ***ო-შქუ**.

სვან. **იშთხუ** „წიხლი“.

ქართ. (მოხ., მთიულ.) **თხუს-ი** „მსხვილფეხა საქონლის კოჭი“.

ზან. —.

ქართ. **თხუს-** ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება სვან. **იშთხუ** — ქართ. **თხ** : სვან. **თხ**, ქართ. **ს** : სვან. **შ**, ქართ. **უ** : სვან. **ჟი** (← **ჟი**). ოლონდ სვანურში **უ**-ს დიფერენციაციის მომდევნო საფეხურზე ი-სთვის დამახასიათებელი მეტათეზისის გამო ძირი გარეგნულად ძალიან შეიცვალა → ***თხუშ-ი** → ***თხუშ** → ***თხუიშ** → **იშთხუ** (იცხუ ← ***ცხიუ** „მსხალი“).

სემანტიკური მიმართება **საქონლის კოჭი** ~ **წიხლი** ბუნებრივი ჩანს.

ს.-ქართვ. ***თხუს-** „კოჭი, წიხლი“ → ქართ. **თხუს-ი** : სვან. **იშთხუ** (← ***თხუიშ**).

სვან. **იშუ** ზს., ლნტ., **ისუ** ლშხ. „რბილეული, რბილი (ხორცი)“.

ქართ. **ასო** „ეწოდების ჯელსა ანუ ფერჯსა, გინა თითოეულთა ნაკვეთთა კაცისასა (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **ოშე** „შუა ნაწილი“.

ქართველურ ფორმათა ანალიზისას ყურადღებას მიიბჟრობს ანლაუტური მიმართება ხმოვნებში ქართ. **ა** : სვან. **ი**, რაც არაიშვიათად სხვა მასალაშიც დასტურდება (შდრ. ქართ. **ძალ-** : სვან. **ჯილ** „სიმი“...). სვანურის მდგომარეობა გვიანდელია და გვეჩვენება, რომ შუალედური საფეხური **გ** ირაციონალური ხმოვნისა უნდა ყოფილიყო — **იშუ** ← ***გშუ** ← ***აშუ**. თუ რა კანონზომიერებას ექვემდებარება **ა** → **გ** → **ი** პროცესი, ჩვენთვის გაუგებარია.

ს || ← **შ** მონაცვლეობა სვანურში ასახავს შიშინა სიბილანტთა გაშიშვლების (გასისინების) მესამეულ ვითარებას: ს.-ქართვ. **ს** → სვან. **შ** → **ს**, რაც ზანურისთვისაც არ არის უცხო (იხ. აქვე, § 23.).

ბოლოკიდური **-ჟი** სვანურში და **-ო** ქართულში საერთოქართველურიდან მომდინარე **-ო** სადერევაციო აფიქსია.

ს.-ქართვ. ***ას-ო** „სხეულის ნაწილი“ → ქართ. **ას-ო** : ზან. **ოშ-ე** : სვან. **ის-ჟი** || ← **იშ-ჟი** ← ***გშ-ჟი** ← ***აშ-ო**.

სვან. **კაბ-** || **კბ-**, ხ-ე-**კბ-ა**ლ ბზ., ხ-ე-**კბ-ა**ლ ბქ., ხ-ე-**კაბ-ა**ლ ლშხ., ხ-ე-**კაბ-ა**ლ ლნტ. „ეფერება“.

ქართ. **ტკბ-**, ე-**ტკბ-ი**-ს, **ტკბ-ებ-ა**, ა-**ტკბ-ობ-ს**, მ-ი-**ტკბ-ებ-ა**, მ-ე-**ტკბ-ებ-ა**, ი-**ტკბ-არ-უნ-ებ-ს**, **ტკბ-ილ-ი**.

ზან. (მეგრ.) **ტკაბ-**, გე-**ტკაბ-ეს** „ტკბილად მიირთვეს (დალიეს)“, **ტკაბ-უნ-ა**(ნ) „ტკბებიან“, **ტკაბ-ჟ-ა**.

ზანურში ა განზოგანების არსებობა ქართულისთვის **ტკებ-** არქე-ფორმას გვაპარაუდებინებს. სვანურშიც ისტორიულად ე განზოგანებას ვვარაუდობთ, ე → ა ჩვენს შემთხვევაში ასიმილაციურია და მიეწერება მომდევნო -ა^ლ ზმნურ სუფიქსს. აქვე თავს იჩენს **ტკ** → **კ** სვანური სიტყვის ანლაუტში — ***ტკებ-** → **კებ-** → **კაბ-** || **კბ-**. **ტკ-** კომპლექსის გამარტივების სხვა შემთხვევები ცნობილია: სვან. **კამგლ** || **კამილ** ← ***ტკაჟ-ელ** : ქართ. მ-**ტკავ-ელ-** : ზან. (მ) **ტკო-ჟ** || **ტკ-ჟ**, სვან. **ტკეც** ← **კეც** ← **ტკეჩ** : ქართ. **ტკეჩი**-ი „წნელი“... (იხ. აქვე, § 33.).

სემანტიკური მიმართება **ტკ ბ ა** ~ **ფ ე რ ე ბ ა** ბუნებრივია, შდრ. ეფერება = ატკობს.

ს.-ქართვ. ***ტკ-ებ-** „ტკობა, ფერება“ → ქართ. **ტკბ-**, **ტკბ-არ-**, **ტკბ-ილ-ი** : ზან. **ტკაბ-** : სვან. **კბ-** || **კაბ-** ← ***კებ-** ← ***ტკებ-**.

სვან. **კაბ-ა**დ ბზ., **კაბ-ა** ჩზხ. „პირუტყვი, რომელსაც წელზე ან ფეხზე თეთრი ზოლები გაჰყვება“.

ქართ. (იმერ., გურ.) **კაბ-ელ-ა** „ჭრელი (შავთეთრა) საქონელი“, გურ. **კაბ-ია** (შდრ. ქეგლ-ი).

ზან. (მეგრ.) **კაბობა** ← ***კაბ-ობ-ა** „კაბია, კაბელა“.

სვან. -**ა** || **ა** ქართულ -**ია** (კაბ-**ია**) სუფიქსს ეფარდება, ხოლო ზანურში -**ობ-ა** ქართული -**ელ-ა** დაბოლოების ეკვივალენტი.

ს.-ქართვ. ***კაბ-** „თეთრი, შავთეთრი, ჭრელა“ → ქართ. **კაბ-ელ-ა**, **კაბ-ია** : ზან. **კაბ-ობ-ა** ← ***კაბ-ობ-ა** : სვან. **კაბ-ა** || **კაბ-ა**.

სვან. **კადარ** ზს., ლნტ., **კადარ** ლშხ. „ხმელი ადგილი“.

ქართ. (გურ.) **კადონი** „კოცონი“, **კადინ-ა** „მძიმე დიდი ცეცხლი“.

ზან. —.

სემანტიკური სხვაობა ქართულსა და სვანურს შორის შესამჩნევია; **სინმელე**, **გახურება** უნდა იყოს ის ნიუანსი, რაც აერთიანებს **კოცონსა** და **ხმელ ადგილს** (ლგ-**კადარ-ე** „გამხმარი“).

სვანურში სახეზეა ნ → რ გადასვლა (იხ. § 12).

ს.-ქართვ. *კად-ან- „გახმოზა“ → ქართ. კადონ-ი || კადინა : სვან. კადწრ || კადარ, ლგ-კდარ-ე.

სვან. კად-წრ ზს., ლნტ., კად-არ ლშხ. „ხმელეთი“.

ქართ. (ქართლ., გურ., იმერ.) კედ-არ-ო „ქვეყანა, მხარე“, ლეჩხ. კედ-ერ-ო „მხარე, ნაპირი“, კიდ-ე „ნაპირი“, კიდ-ე-გან-ი.

ზან. (მეგრ.) კად-, ლა-კად-ა „მთის განაპირა მხარე“, კად-არ-ი (ტოპ.), «კად-ა».

სვანურისთვის ისტორიულად *კედ-არ ტიპის ფუძე ივარაუდება, სა-
იდანაც სუფიქსისეული ა-ს ზეგავლენით ე → წ → ა უკუმიმართულების
გადაბერება განხორციელდა (მ. ქალდანი).

კედ- გახმოვანების უწინარესობაზე მიუთითებს ზანური კად- ძირიც
(შდრ. ქართ. ე : ზან. ა), ამიტომ ქართული კიდ-ე დისიმილაციური ვა-
რიანტი ჩანს *კედ-ე ისტორიული სახეობისა : ქართ. *კედ-ე : ზან. კად-ა
→ იმერ. კად-ა „კედელი (საცხეველისა)“.

საკითხი ისმის ზემოთაღწერილ ფუძეთა მიმართების შესახებ
ს.-ქართვ. კედ-ელ- ლექსემასთან.

ს.-ქართვ. *კედ- „ნაპირი, კიდე, მხარე“ → ქართ. კედ-, კედ-არ-ი,
კიდ-ე ← კედ-ე : ზან. კად-, კად-ა : სვან. კად-წრ || კად-წრ ← *კედ-არ.

სვან. კათხ ზს., ქს. „ხის ფეხებიანი სასმისი“, კანთ-ტაბჰგ „ქელეხი“.

ქართ. კათხა „ხის მოზრდილი სასმისი“.

ზან. (მეგრ.) კო(რ)თხო „ხის ჭურჭელი (მარცვლეულის საწყაო)“.

ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული (გურ., ზ. აჭარ.,
ლეჩხ.) კოთხო ზანიზმად კვალიფიცირდება (შდრ. ქართ. ა — ა : ზან.
ო — ო); შემთხვევითი არც ის ფაქტია, რომ საბას თავის ლექსიკონში
კოთხო არ შეუტანია. ეტყობა, სესხება უფრო გვიანდელ პერიოდში მოხდა.

ქართველურ ლექსემათა სტრუქტურულ-სემანტიკური ერთიანობა
ადვილი დასაწახია.

ს.-ქართვ. *კათხ-ა „კათხა; კოთხო (ხის)“ → ქართ. კათხ-ა : ზან.

კოთხ-ო : სვან. კათხ ← *კათხ-ა.

ს.-ქართვ. *კათხ-ა ძირის შესატყვისებია: ინგ. ცოართხალ, ჩაჩნ.
ცუორთხალ „ჭურჭელი“; ანდ. კონტია, კარატ. კუანტია, ჭამ. კონტია,
ლოდ. კუანტია.., დიდ. ყილ'უ, ხვარშ. კულ'უ, დარგ. ყაგა, ლეზგ. ყუქ,
თაბ. ყამყ, წახ. კუკ „კოვზი“...

ქართ. (აჭარ.) **კაკ-ან-**, **კაკ-ან-**-ა-ღ „ბატკანი“.

ზან. (მეგრ.) **კოკ-ორ-**ი „ვირის ნაშიერი, ჩოჩორი“.

სვან. —.

სვანურში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი.

ქართულ **კაკ-ან-** სიტყვას კანონზომიერად შეესატყვისება ზანური **კოკ-ორ-**. ბოლოკიდური **-ან/-ორ** შეფარდება შეიძლება მორფოლოგიური იყოს. თუმცა ქართ. **ნ** : ზან. **რ** სხვაგანაც დაჩნდება (შდრ. ქართ. სვან-ი : ზან. შურ-ო, ქედან-ი : ქილორ-ი).

ლეჩხუმურ დიალექტში გავრცელებული **კოკორ-**ი „მუტრუკი“ ზანურ წყაროს ვარაუდობს.

სემანტიკური მიმართება ბ ა ტ კ ა ნ ი ~ ჩ ო ჩ ო რ ი სავსებით დასაშვებია და ნ ა შ ი ე რ ი ს შემდგომ მოდიფიკაციად გვესახება.

ს.-ქართვ. ***კაკ-(ან-)** „ნაშიერი (ვირის, ცხვრის...)“ → ქართ. **კაკ-ან-** ა-ღ : ზან. **კოკ-ორ-**ი.

სვან. **კან-**, **კან-**წრ „ჭუჭყიანი“.

ქართ. **ყანდ-**ი „სიღამპლე, ზადი, ჭუჭყი“, მონ. **ყანდ-**რ-ი „დამბალი“, და-**ყად-**რ-ებ-ა „ხეს რომ სიღამპლე შეერევა“, **ყანდ-**ი-აშვილ-ი „ად. საკ. გვარ.“, **ყარტ-**ლ-ი „სიბინძურე, ჭუჭყი“.

ზან. **კუნდ-**ი „განავალი“, ჭან. **კუნდ-**ალ-ონ-ი „ჭუჭყიანი“.

სვანურში ფუძე გამარტივებულია **კან-** ← ***კანდ-**. თუმცა დასაშვებია **-დ** სეგმენტის აფიქსურობაც ქართულსა და ზანურში.

ქართული **ყარტ-**ლ-ი ამოსავალში ***ყან-დ-ლ-**ის გულისხმობს. სონანტთა გვერდით ხშულთა გამკვეთრების ტენდენცია დადგენილია (ქ. ლომთათიძე), შდრ. ცოტნე ← (მ)ცოდნე...

ყურადღებას იქცევს **ყ/კ** მონაცვლეობა ქართველური ენების მიხედვით, რაც დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია; შდრ.: ქართ. ყულა „სასმისი“ : მეგრ. კულა „სასმისი, ქართ. ყვერბ-ი : ზან. კებურ-ი, ქართ. ყვავ-ი : ზან. კვარ- : სვან. ჭუნერ- ← კუნერ-, ქართ. ყინ-ელ- : სვან. კუნერ-ემ¹...

ს.-ქართვ. ***ყან-დ-** „ზადი, ჭუჭყი, სიღამპლე“ → ქართ. **ყანდ-** || **ყად-რ-** || **ყარტ-**ლ- || **ყანდ-რ-** : ზან. **კუნდ-** ← ***ყონდ-** : სვან. **კან-** ← ***კანდ-** ← ***ყან-დ-**.

¹ შდრ. ნასესხებ სიტყვებშიც **ყ** → **კ** სვანურში: ქართ. ყბა → სვან. კაბჷ ლხმ. „ქვედა ყბა“, ქართ. ყალიბ-ი → სვან. კალიბ || კალიბ...

სვან. **კანდრეჟ** ლშხ., ლნტ. „არჩვის ნაშიერი“.
ქართ. (ფშ.) **კანთურ-ა** „კატის კნუტი (შდრ. ქეგლ-ი)“.
ზან. —.

სვანური ეკვივალენტი ფონეტიკურად სახეცვლილია. ვფიქრობთ, **ჟ** გადასმულია ფუძის შიგნიდან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში — **კანდრეჟ** ← ***კანდურ-ე** ← ***კანთურ-ე**. სვანურში **თრ** → **დრ** პროცესისათვის შდრ. ქართ. **სერთუკ-ი** → სვან. **სურდუქ**.

ქართველური **კანთ-ურ-ა** გენეტიკურად ენათესავება ნახურ ენათა **კანთ** || **კანათ** || **კნათ** „ბავშვი; ბიჭი; ვაჟკაცი“ ფუძეს, შდრ. ქსნის. ხეობ. **კინტ-ურ-ა** „ბიჭი, ვაჟი“, **კინტ-ო**.

ს.-ქართვ. ***კანთ-ურ-** „ნაშიერი, შვილი“ → ქართ. **კანთურ-ა** : სვან. **კანდრეჟ** ← ***კანთურ-ე**.

ქართ. (გუდამაყრ., მთიულ., ფშ., ხევს.) **კაბ-არ-ი**, მომჟავო, დამჟავებელი სასმელი“, გურ., იმერ., ლეჩხ., რაჭ. **კამბ-არ-ი** „ჯონჯოლი, მწნილი“.

ზან. (ჭან.) **კომბ-ო** || **კობ-ო** || **კობ-უ** || **კობ-ალ-ა**, მეგრ. **კობ-უ** „უმწიფარი, კუხი“.

სვან. —.

სათანადო სვანური ფუძე ვერ გამოვავლინეთ.

ქართულ-ზანურ ფორმათა შეპირისპირებისას ირკვევა, რომ **მ** ფონეტიკური დანართია ქართულის დიალექტებსა და ჭანურში. საერთოქართველურ ძირად ***კაბ-** გამოიყოფა, **-არ** ქართულში, **-ო** || **-უ**, **-ალ-ა** ზანურში მაადიექტივებელი აფიქსებია.

ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული მნიშვნელობა ს ი მ - ჟ ა ვ ე ს ი უწინარესად გვესახება (არქაულია).

ს.-ქართვ. ***კაბ-** „მჟავე, დამჟავებელი; კუხი“ → ქართ. **კამბ-არ-ი** || ← **კაბ-არ-ი** : ზან. **კობ-უ** || **-ო** || **-ალ-ა**.

ს.-ქართვ. ***კაბ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია ს.-ნახ. ***კომ-**, შდრ.: ჩაჩნ. **კუონ** (ახ. **კუმ-ა** || **კომ-ა**, ქისტ. **კაჟ**), ინგ. **კომ-ჰ** || **კუომ-ჰ** „მწარე“...

სვან. **კა(რ)** (მრ. რ. **კარ-ჲლ** ბზ., **კარ-ჲრ** ბქ., **კარ-ალ** ლშხ.) „კერია; ფიქალის ქვა“, ლე-**კარ-ე** ბზ., ქს., ლე-**კარ-ე** ბქ. „საფიქალე, გამოსაფიქალე“.

ქართ. **კერ-ა**, **კერ-ია**.

ზან. (ჭან.) **კირ-ა** || **კერ-ა** „კერია“.

სვანურის **ა** გახმოვანებას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქციისათვის. მაშინ ჭანური **ი** გახმოვანებაც გასაგები ხდება: ს.-ქართვ. **ა** → ზან. **ო** → **გ** → **ი**

(გ. როგავა). თუმცა ვერ გამოვრიცხავთ ბოლოკიდური ა-ს (კერ-ა) ზეგავ-
ლენით ე → ა ასიმილაციას სვანურში. და რომ ისტორიულად ა არსე-
ბობდა ფუძის აუსლაუტში, ამაზე ძირეული ა-ს სიგრძე მიუთითებს, რაც
სუფიქსური ა-ს გაუჩინარების საკომპენსაციოდ გვეჩვენება.

მეგრული კერ-იე იმერულ-რაჭულ კერ-იეს იმეორებს, რაც უკანას-
კნელიდან სიტყვის გასესხებას გულისხმობს.

ს.-ქართვ. *კერ-ა „კერია; კერის ქვა“ → ქართ. კერ-ა || კერ-ია :
ზან. კერ-ა || კირ-ა : სვან. კა(რ) || კარ ← *კერ-ა.

სვან. კარძ- → || კარზ-, ა-კარზ-ე ბზ., ა-კარზ-ე ბქ., ა-კარძ-ე ლზზ.,
ა-კარძ-ე ლზტ. „ბანდავს“, მგ-კარძ-ალი-ი „მეწადე“.

ქართ. კინძ- „აკინძვა“, სა-კინძ-ველ-ი || სა-კინძ-ი, კანძ-ი „ერთი
ცხოვარის ნაპარსი (საბა)“.

ზან. კანჯ-ო „ჩამოსაკიდი“.

ნ → რ სვანურში ჩვეულებრივია (იხ. § 12). საინტერესოა რძ || რზ
მონაცვლეობა, რაც მეგრულიდანაც არის ცნობილი (დერძ-ი || დერზ-ი,
ლო-რძ-ამ-ა || ლო-რზ-ამ-ა „დანთება, შენთება...“).

ყურადღებას იქცევს ქართ. ძ : ზან. ჯ : სვან. ძ (← ჯ).

ქართულში ა/ი სუბსტიტუცია (კინძ-/კანძ-) ეპარალელეობა რიცხ-
(გ)-/რაცხ- ფუძეს.

ს.-ქართვ. *კინძ- || *კანძ- „ბანდავა, აკინძვა“ → ქართ. კინძ-, კანძ-ი :
ზან. კანჯ-ო : სვან. კარძ- → || კარზ- (← *კანჯ-).

სვან. კალ- ბზ., კალ ბქ. „ფთილა“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) კვლ-ი || კილ-ი „კონა, შეფუთვა“.

ქართულში შესაბამისი ფუძე საძიებელია; სომხური კოლ-ოლ „ფთი-
ლა“ ზანიზმია, შდრ. ქართ. (← სომხ.) კულ-ულ-ი.

ზანურის გახმოვანება მეორეულია (*კოლ- → კვლ- || კილ-).

ს.-ქართვ. *კალ- „კონა“ → ქართ. — : ზან. კვლ-ი || კილ-ი : სვან.
კალ || კალ.

სვან. კალ-უნ, კალ-კალ-უნ ლზზ., კალ-გნ, კალ-კალ-გნ ჩზზ. „ზოგ-
ჯერ, ღროგამოშვებით, ღროღადრო“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) კან-კალ-ე || კალ-კალ-ე „ზოგი, ზოგიერთი“, კან-კალ-
ე-შ-ა || კალ-კალ-ე-შ-ა „ზოგჯერ“.

სვანურის უმლაუტიანი გახმოვანება (კალ-) მიუთითებს, რომ აღრეულ ეტაბზე **კელ** სახეობაა სავარაუდო — ე → ა მომდევნო უ-ს მიეწერება (მ. ქალდანის წესი). ე-ს პრიმარობას ზანურიც მხარს უჭერს (ს.-ქართვ. ე → ზან. ა).

მოსალოდნელი «**კელ**» ქართულში ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. ***კელ**- „ზოგი, ზოგჯერ“ → ქართ. — : ზან. **კალ-კალ-ე** → || **კან-კალ-ე, კალ-კალ-ეშ-ა** → || **კან-კალ-ე-შ-ა** : სვან. **კალ-უნ** || **კალ-გნ, კალ-კალ-უნ** || **კალ-კალ-გნ**.

სვან. **კანჭ**, ლე-**კანჭ** „გაბრაზება“.

ქართ. **კაწ**-, ფშ. **კაწ**-არ-ეთ-ი „ავი, ბრაზიანი, კაპასი“.

ზან. (მეგრ.) **კონწ**-არ-ი „ავი, ბოროტი“, **კონწ**-არ-ი კოჩ-ი „ავი კაცი“.

სვანურსა და მეგრულში **ნ** ფონეტიკურ ნიადაგზეა გაჩენილი. საერთოქართველურ ძირად ***კაწ**- გამოიყოფა. ზანური **წ** სისინა მკვეთრი სიბილანტი სვანური **ჭ**-ს წილ უნდა აიხსნას შიშინა → სისინა სპორადული გადაბგერების ტენდენციით — ზან. **კონწ**-არ-ი ← ***კოჭ**-არ-ი.

***კაწ**- ძირისათვის დამახასიათებელი იყო **ბ რ ა ზ ი ს**, **ს ი კ ა პ ა - ს ი ს** შინაარსი, რასაც სამივე ქართველური ენის მონაცემი უჭერს მხარს.

ს.-ქართვ. ***კაწ**- „გაბრაზება, კაპასობა“ → ქართ. **კაწ-არ-** : ზან. **კონწ**-არ-ი ← ***კოჭ**-არ-ი : სვან. **კანჭ**- ← ***კანჭ**-.

სვან. **კაბ** || **კამბ** ბზ., **კამბ** ბქ., ლშხ., **კაბ** ლნტ. „ბოძი, საყრდენი“, „ტყავის გასაჭიმი ჯოხი“.

ქართ. (ფშ.) **კაბ**-ი „ხის ტოტი“, აჭარ. **კაბ**-ი „საქონლის დასაბმელი მოღუნული ჯოხი“, შდრ. ორ-**კაბ**-ი (ქეგლ-ი), ქართ. **კაბ**-არჭ-ი¹, ნა-**კაბ**-არ-ი (საბა).

ზან. (მეგრ.) **კომბ**-ულ-ი „ხის საყრდენი ქართულ უნაგირზე“; „ისარი“, ჭან. **კობ-ალ**-ი „ტოტი“.

ქართული **კომბალ**-ი ← **კობალ**-ი ჭანურიდან არის შეთვისებული, შდრ. **კობალ**-ა „წარმართული ღვთაება“.

ს.-ქართვ. ***კაბ**- „ჯოხი, ხის ტოტი“ → ქართ. **კაბ**-ი, ორ-**კაბ**-ი : ზან. **კომბ**-ულ-ი ← ***კობ**-ულ-ი, **კობ-ალ**-ი : სვან. **კაბ** → || **კამბ** || **კაბ**.

¹ -**არჭ**-ის გამონაწევრება სხვა მაგალითშიც არის შესაძლებელი: ძვ. ქართ. **მ-ღულ-ი, ღულ-არჭ**-.

სვან. **კართ-**, **ლა-კართ-** „გლერთა“.

ქართ. **კლერთა** || **გლერთა**.

ზან. **კნატ-**, **ო-კნატ-ო** „გლერთა“.

საინტერესოა, რომ სვანური და ზანური ეკვივალენტები შემორჩენილია მხოლოდ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში. კერძოდ, ზანური სახეობა გურულმა შემოგვინახა — **ო-კნატ-ო** ← ***ო-კანტ-ო**, ხოლო სვანური — ლეჩხუმურმა: **ლა-კართი** ← **ლა-კართ**. სიტყვის პრეფიქსაციის თვალსაზრისით ქართველურ ენებს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც „ბოსტნის“ აღმნიშვნელ ფორმებში, შდრ. ძვ. ქართ. **-მტილ-ი** : ზან. **ო-რტივინ-ი** || **ო-რტილ-ი** || **ო-ნტულ-ე** : სვან. **ლა-რტამ** „ბოსტანი“.

ს.-ქართვ. ***კ(ლ)ერთ-** „გლერთა“ → ქართ. **კლერთა** → || **გლერთა** : ზან. **ო-კნატ-ო** ← ***ო-კართ-ო** : სვან. **ლა-კართ** ← ***ლა-კერტ**.

სვან. **კჳჩ-** || **კაჩ** „აღმართი“, **ა-კჩ-ე** (ყო-ხ-**კჳჩ**) ზს., **ა-კჩ-ენ-ი** ლშხ., **ა-კჳჩ-ე** „ლნტ.“ „აღმართავს, შეაყენებს“, **ი-კჳჩ-ი** „წარიმართება“, **ლგ-კჩ-ე** ზს., **ლშხ.**, **ლგ-კჳჩ-ე** „ზეაწეული, ამართული“.

ქართ. **კეც-** „კეცვა“, **კეც-ავ-ს**.

ზან. **კგჩ-** || **კიჩ-** „კეცვა“.

სვანურში სიტყვის მნიშვნელობა დავიწროვებულია — **კეცვა** → **აკეცვა** → **აღმართვა** || **აღმართი**.

სვანური მონაცემები ისტორიული ფუძის განმოვანების თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი (**კაჩ-** → **კჳჩ-**). ქართული **კეც-** მიღებულია ***კაც-** არქეტიპისაგან (შდრ. **ჭარ-** → || **ჭერ-** „ჭრა, დაჭრა“ : ზან. **ჭკორ-**).

ს.-ქართვ. ***კაც-** „კეცვა“ → ქართ. **კეც-** : ზან. **კგჩ-** || **კიჩ-** ← ***კოჩ-** : სვან. **კჳჩ-** || ← **კაჩ-**.

სვან. **კჳკ-** ბზ., **კაკ-** ლშხ. „კევი“.

ქართ. **კევი-** „ესე არს ხეთაგან გამონადენი ნოტიო რამე საცოხნელი ფისივითა (საბა)“, **კევი-ნ-ა**, „ღეჭვა“, **მ-კუ-არ-ი** || **მ-კვი-არ-ი** „ფიჭვის სანთელი“, **მ-კურ-**ის კევი-ი.

ზან. (მეგრ.) **კორ-** || **ნკორ-**, **ი-ნკორ-ს** „იცოხნება“, **ნკორ-ჟ-ა** „ცოხნა“, **ვე-ნკორ-ს** „არ იცოხნება“, ჭან. **მკორ-**, **ო-მკორ-ჟ** „ცოხნა“, **ი-მკორ-ჟმ-ს** „იცოხნის“..

სვანური **კჳკ-** რედუბლიცირებულ ფუძედ გვეჩვენება — ***კეჳ-კ-** → ***კჳჳ-კ-** → **კჳკ-**ი. **ჳ-**ს არსებობის კვალი ჩანს როგორც ხმოვნის სიგრძეში, ისე **ეჳ** → **ჳ(ჳ)** უკუმიმართულების უმლაჟტში (მ. ქალდანი). ფუძის რედუბლიკაცია მისი ბგერწერითობითაა შეპირობებული.

ქართული **კევ-** და ზანური **კორ-** → || **ნკორ-** შეპირისპირება ანა-ლოგიურია ქართ. **შევ-** „მშევა, შიმშილი“ : ზან. **შქორ-**→**შქირ-** მიმართე-ბისა (შდრ. **ტევ-** : **ნტირ-**). ამ შემთხვევაში ქართ. **-ევ** და ზან. **-ორ** და-მოუკიდებელი ზმნური აფიქსებია და მხოლოდ ფუნქციურ-მორფოლოგიუ-რად შეესატყვისებიან ურთიერთს.

კევ- ფუძის კვალი დასტურდება ქართულ **მ-კუ-არ-** || **მ-კვ-არ-** ლექ-სემაში, რომელიც ***მ-კევ-არ-ი** (შდრ. **მ-წევ-არ-ი**) ისტორიული მიმდევრის რედუცირებული სახეობაა — **მ-კევ-არ-ი** → **მ-კვ-არ-ი** || **მ-კ-უ-არ-ი**. ამ-გვარ ეტიმოლოგიას სიტყვის სემანტიკაც უჭერს მხარს: **მ-კვ-არ-ი** „ფიჭვის სანთელი (საბა)“, ე. ი. ფიჭვის **კ ე ვ ი ს გ ა ნ** დამზადებული სანთელი.

სვანური **კირ-ონ** → || **კირ-უნ** „ცვილის დიდი სანთელი“ ფუძეში უნდა ჩანდეს ქართული **მკვარ-ი** || **მკუარ-ი**-ს ბადალი **-ონ** სუფიქსით ნა-წარმოები ზანურში დაკარგული **კირ-ონ-ი** (შდრ. **ჯიმ-ონ-ი**) ფორმა.

ს.-ქართვ. ***კ-(ე)ჟ-** „კევი; ცოხნა“ → ქართ. **კევ-**, **კენ-**, **მ-კვ-არ-ი** (←***მ-კევ-არ-ი**) : ზან. **კორ-** → || (ნ)-**კ-ორ**, ***კირ-ონ-ი** (←***კვრ-ონ-ი**) : სვან. **კვ-კ-ი** || **კვკ-ი** (←***კვჟ-კ-ი**).

სვან. **კვრჩხ-** || **კვჩჩხ-** || **კვრჩხ-** || **კორჩხ-**, ხ-ე-**კვრჩხ-ი** ბზ., ხ-ე-**კვრჩხ-ი** ბქ., ხ-ე-**კვრჩხ-ი** ლშხ., ხ-ე-**კორჩხ-ი** ლნტ. „ცოცდება (ხეზე, კლდეზე...)“.

ქართ. **კონცხ-ი** „ესე არს ცხვირი კლდეთა (საბა)“.

ზან. **კენჩხ-ი** || **კინჩხ-ი** „ქელი“.

სვანურში ლენტეხური დიალექტის ჩვენება უძველესია; ამოსავალი **ო-ს ჟ** ლაბიალური ელემენტის (**ვა**) გაუჩინარების კვალი ჩანს **ა-ს** სიგრ-ძეში — **კორჩხ-** → ***კუარჩხ-** → **კვრჩხ-** || **კვრჩხ-**. სვანურ წყაროს ვარა-უდობს ლეჩხუმური კანჩხა „ძლიერ მაღალი“.

ქართულ **ნ-ს** ამ შეპირისპირებაშიც **რ** შეესაბამება სვანურში (**ნ** → **რ** გადაბგერებისთვის იხ. § 12).

ს.-ქართვ. ***კონცხ-** „მწვერვალზე ასვლა; მწვერვალი“ → ქართ. **კონცხ-ი** : ზან. **კინჩხ-ი** || **კენჩხ-ი** ← **კონჩხ-ი** : სვან. **კვრჩხ-** || **კვრჩხ** || **კორჩხ-** (←***კონჩხ-**).

სვან. **კაფ-** || **კაფ-** || **კაფ-**, ი-**კაფ-** ბზ., ი-**კაფ-** ლშხ., ი-**კაფ-** ლნტ. „წაიქცევა“, ლი-**კაფ-** ბზ., ლშხ., ლი-**კაფ-** ბქ., ლნტ. „წაიქცევა“.

ქართ. **კაფ- კაფ-** ა „ხეთ გარდაკვეთა (საბა)“.

ზან. **კალიფ-** „ხის გადაჭრა ტოტებზე, ჩამოკაფვა“.

მეგრული **კალიფ**- რთული შედგენილობისაა. ის ერთ-ერთი იმ ძირ-
თავანია, სადაც არაძირეული (აფიქსური) **ლ** გადასმულია ფუძის სიღრმე-
ში — შდრ. **ჭყოლად-ა/ჭყვად-უ-ა** : ქართ. **წყუედ-** : სვან. **შყედ-**. ე. ი.

ჭყოლად-ა „დავიწყება“ ←***ჭყოლ-ალ-ა** (-ალ-ა ზმნური დაბოლოებაა:
თქუ-ალ-ა „თქმა“, **წუ-ალ-ა** „წოვა“, **თხუ-ალ-ა** „თხოვნა“...).

ასე რომ, მეგრული **კალიფ**- მიღებულია უფრო ძველი ***კიფ-ალ-**
საფეხურიდან, რომელიც, თავის მხრივ, ***კუფ-ალ-**იდან მომდინარეობს:

***კუფ-ალ-** → ***კგფ-ალ-** || ***კიფ-ალ-** → **კალიფ-**.

ს.-ქართვ. ***კაფ-** „ჭრა, კაფვა“ → ქართ. **კაფ-** : ზან. ***კუფ-ალ-** →
***კიფ-ალ** || **კალ-იფ-** : სვან. **კაფ-**.

ქართ. **კევ-ი**, მკურის-**კევ-ი**.

ზან. (ჭან.) **კავ-ი** „აბედი“.

ქართულ **კევ-** ძირთან დაკავშირებით უკვე გვქონდა საუბარი (იხ.
სვან. **კჭკი/კჭკი**). აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ჭანური **კავ-ი** ზუსტ ფონე-
ტიკურ შესატყვისობას იძლევა სახელური **კევ-** ძირის მიმართ — **კევ-** :
კავ-. როგორც ეტყობა, საერთოქართველურში მკაფიოდ გაირჩეოდა ზმნუ-
რი **კევ-** სახელური **კევ-**-ისაგან. მეგრულ-ჭანურში **კევ-** ზმნის შესატყვისად
(ნ)კ-ორ- შემოგვენახა (-ევ : -ორ აქ მხოლოდ ფუნქციურია).

ჭანურის სემანტიკა ამაგრებს დებულებას ქართული (მ-)**კვ-არ-ი** სი-
ტყვის **კევ-**თან კავშირის შესახებ, შდრ. ქართ. კ ვ ა რ ი ~ ჭ ა ნ . ა ბ ე -
დ ი ← კ ე ვ ი . ე . ი . „კევი“ იყო მასალა, რისგანაც თავდაპირველად კვა-
რი მზადდებოდა, ხოლო ლაზებში ის ა ბ ე დ ა დ გამოიყენებოდა.

ს.-ქართვ. ***კ-(ეფ)** „კევი“, „კვარი“ → ქართ. **კევ-ი** : ზან. **კავ-**.

ქართ. **კენწ-**, ოკრიბ. **კენწ-ალ-ი** || მე-**კენწ-ალ-ი** „პატარა ტოტი“,
ხევს. **კენწ-ვ-ა** „კენწლაობა“, **კენწ-ლ-ავ-ს**.

ზან. (ჭან.) **კამჭ-** „წნელი, მათრახი“.

სვან. —

ქართ. **კენწ-** : ზან. (ჭან.) **კამჭ-** შეპირისპირება ჭანურისთვის უფ-
რო ძველ ***კანჭ-** ფორმას ვარაუდობს, შდრ. ჭან. დამჭკუ ← ღინჭკუ :
ჯინჭველ-ი.

ამ საერთოქართველური სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა წ ნ ე -
ლ ი ს , პ ა ტ ა რ ა ტ ო ტ ი ს ა უნდა ყოფილიყო.

ქართულში ბუნებრივია როგორც სახელური, ისე ზმნური ფუძეები,
მაშინ როდესაც ჭანურში **კამჭ-** სახელი ერთადერთია. აქაც ქართულის-
ნაირი ვითარება უნდა გვქონოდა. საძიებელია ზმნური ფუძეები.

ს.-ქართვ. ***კენწ-** „წნელით კენწვლა; წნელი“ → ქართ. **კენწ-** || **კენწ-ლ-**, **კენწ-ალ-** || მე-**კენწ-ალ-** : ზან. **კამჭ-** ←***კანჭ-**.

სვან. **კერ** ბქ., ლნტ. ლშხ., **კეძრ** || **კაძრ** ბზ. „კერატი, ტახი“.
ქართ. **კერ-ატ-ი** „მამალი ღორი“, იმერ. **კერ-ი**.
ზან. (მეგრ.) **მა-კერ-იშ-ე**, **კეშ-ი** „კერატი; მამალი ღორი დაუკოდავი“.
უჩვეულოა შესატყვისობა ხმოვნებში ქართ. **ე** : ზან. **ე** : სვან. **ე**;
რომ არაფერი ვთქვათ აუსლაუტის უნიკალურობაზე ქართ.-სვან. **რ** : ზან.
შ (!), შდრ. **თქვირ-** „ათქვირება“ : ზან. (მეგრ.) **თქვიშ-** „id“.
ასახსნელია, თუ რა მიმართებაა ზემოთგანხილულ ლექსემებსა და
ქართ. **კერშ-ილ-ობ-ა** „ნადირთ მაკინტლობა (საბა)“, ზან. **მა-კერ-იშ-ე**
„კერატი“ ფორმებს შორის (ზანიზმია?).

ს.-ქართვ. ***კერ-** „ტახი, დაუკოდავი ღორი“ → ქართ. **კერ-ატ-**,
კერ-ი : ზან. **კეშ-ი**, **მა-კერ-იშ-ე** : სვან. **კერ** || **კეძრ** || **კაძრ**.

სვან. **კენჩხ** ბქ. „მიცვალებულის სულის მოსახსენებლად მომზადებულ
ლი საკურთხი“, **კონჩხ-ჰრ**, **ნა-კუნჩხ-ენ** „მიცვალებულის წლისთავზე გა-
მართული საკურთხი დიდი წვეულებით“.

ქართ. **კიცხ-** „კიცხვა“, **სა-კიცხ-ავ-ი**, **გან-კიცხ-ულ-ი**.
ზან. —.

აღსანიშნია მნიშვნელობის დიამეტრალური ცვლება სვანურში —
პატივი ← **კიცხვა**. რაც არ არის ერთადერთი; სვანურში ქართულიდან
ნასესხებ **კიცხ-ავ**, **საკიცხ-ავ-** ფუძესაც იგივე მნიშვნელობა განუვითარდა :
ქართ. **საკიცხავ-ი** → სვან. **სიკცხაჟ** || **სიკცხაჟ** „პატივი“, ქართ. **კიცხავ-**
ს → სვან. **ხ-ე-ს-კიცხაჟ** „პატივის სცემს, მიაგებს“.

ს.-ქართვ. ***კიცხ-** „კიცხვა“ → ქართ. **კიცხ-**, **სა-კიცხ-ავ-ი** : სვან.
კენჩხ → || **კონჩხ-** → || **კუნჩხ-**.

სვან. **კეშ** ბზ., ლშხ., **კეშ** ბქ., ლნტ. „ტყაბუჭი“, ლე-**კეშ-გრ-ი** ბზ.,
ლშხ., ლე-**კეშ-გრ-ი** ბქ., ლნტ. „სატყაბუჭე“.

ქართ. **კეც-ი**, **რბილ-კეც-ი**, **ჩვილ-კეც-ი**.
ზან. „**კაშ-ი**“, **კაშ-ია** „ად. გვარი“.

სომხური **კაშ** „ტყავი“ ფუძის განზოგანება მის ზანურ წარმომავლო-
ბაზე უნდა მიგვანიშნებდეს (ქართ. **ე** : ზან. **ა** : სვან. **ე**, **კაშ-** ← **კაჩ-**, **ჩ** → **შ**
პროცესისათვის შდრ. ქართ. **კცენ-ა** : ზან. **კაშ-უ-ა**, **ჯოც-** : **ჯუშ-**).

ს.-ქართვ. ***კეც-** „ტყავი (გამხმარი)“ → ქართ. **კეც-ი** : ზან. **კაშ-ი**
← ***კაჩ-ი** : სვან. **კეშ** || **კეშ** ←***კეჩ**.

ქართ. **კვანძ-**, **კვანძ-ვ-**, **კვანძ-ი**, სა-**კვანძ-ო**.
ზან. (ჭან.) **პორჯ-** „კალთა“.
სვან. —.

ქართული **კვ** : ჭან. **პ** ←***კვ** მიმართება ანალოგიურია ქართ. **ზაკვ-** : ჭან. **ზობ-** ← **ზოკვ-** შეპირისპირებისა (იხ. აქვე **ზაკვ-**). **ნ** → **რ** კომპლექსებში ჭანურისთვის ბუნებრივია, შდრ. მეგრ. შინკა, ჭან. შურკა „ნესვი“; მეგრ. ჭინჭა, ჭან. ჭურჭა...

ს.-ქართვ. ***კუანძ-** „კვანძი, კალთა“ → ქართ. **კვანძ-** : ზან. **პორჯ-** ←***კვონჯ-**.

ქართ. **კვაწ-**, **კვაწ-**ია „ბატარა ქოთანი“.
ზან. **კოჭ-**, **კოჭ-**ობ-ი „ქოთანი ერთგვარი“.
სვან. —.

ქართულ **კვაწ-** ძირს ზანურში კანონზომიერი შესატყვისი მოებოვე-ბა **კოჭ-** ←***კვოჭ-** (შდრ. ქართ. **თვალ-**ი : ზან. **თოლ-**ი ←***თვოლ-**ი...) ძირის სახით. შესაბამისად ქართ. **-ია**, ზან. **-ობ** სადერივაციო სუფიქსებია. მათი დართვა ძირზე გვიანდელი ფაქტია და განეკუთვნება დიფერენციაციის მომდევნო ეტაპს; ამიტომაც სხვაობენ ისინი მატერიალურად. ზანურში წარმოდგენილი **-ობ** ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია ქართული **-აბ** სუფიქსისა, შდრ. კაკ-**აბ-**ი „გუთნის ნაწილი“, წარ-**აფ-**ი ← წარ-**აბ-**ი „ორ ნახნავს შორის დარჩენილი კვალი“, კარ-**აბ-**ა „ზღურბლი, შდრ. კარ-ნაგელა „id“...

ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული **კოჭობ-**ი || **კოჭობ-**ა-ფ || **კოჭობ-**ა || **კოჭობ** არქაული ნასესხობაა ზანურიდან; იმდენად ძველი, რომ იგი (**კოჭობ-**ი) საბას ლექსიკონშიც არის განმარტებული.

ს.-ქართვ. ***კუაწ-** „ერთგვარი მცირე ქოთანი“ → ქართ. **კვაწ-**ია : ზან. **კოჭ-**ობ-ი¹.

ქართ. **კვიცა** „მცირე ქოთანი“.
ზან. (ჭან.) **კვანცა** „დოქი, სურა“.
სვან. —.

თანამედროვე ქართული **კვიცა** ფორმა უფრო ძველი **კვეცა-**სგან მომდინარეობს **ე** → **ი** გარდაქმნა მიეწერება **ე** — **ა** ხმოვანთანმიმდევრობის უჩვეულობას ქართულში. რაც **ი** — **ა** ბუნებრივმა შეხამებამ შეცვალა. პროტოქართულში **ე** (კვეცა) ხმოვნის არსებობას მხარს უჭერს ჭანურის მონაცემიც, სადაც **ა** (კვანცა) ხმოვანი ვლინდება, შდრ. ქართ. **ე** : ზან. **ა**. ე. ი. ამოსავალში გვქონდა ქართ. **კვეცა** : ზან. **კვანცა** ←***კვანა**.

¹ ზანური **კოჭობ-**ი „ჭრაქი“ სხვა წარმოშობის სიტყვაა, შდრ. ქართ. **კოწოლ-**ი (იხ. აქვე).

ს.-ქართვ. ***კუნიც-ა** „დოქი, სურა, ქოთან“ → ქართ. **კვიცა** (←***კვიც-ა**) : ზან. **კვანცა** (←***კვან-ა**).

ს.-ქართვ. ***კუნიც-ა** ლექსემის შესატყვისი ჩანს აფხაზური **ა-წიცა** „ჭიქა“, ეს უკანასკნელი მიღებულია ***ა-კიცა** არქეტიპისაგან. კ → წ შესაძლებლობისთვის შდრ. აფხაზ. **ა-გაწ-გც** || ← **ა-გაკ-გც** „გვერდის ძვალი“ : ქართვ. **ნეკ-ნ-ი**.

სვან. **კიბ-ნ-** || **კიმბ-**, **ა-კიმბ-ი** ბზ., **ა-კიმბ-ი** ბქ., **ა-კიმბ-ე** ლშხ., **ა-კიმბ-ე** ლნტ. „ტკეპნის“.

ქართ. **ტკებ-** || **ტკებ-** „ტკეპნა“.

ზან. (მეგრ.) **ტკაბ-** || **ბატკ-** „ტკეპნა სახლში სადგომი მიწისა“.

სვანურში ძირია **კიბ-**, შდრ.: **ა-ს-კირბ-ი** ბქ., **ა-ს-კიბ-ნ-აჟ-ი** ლშხ. „ტკეპნის“, სიტყვის დასაწყისში **ტკ** კომპლექსი გამართივებულია — **ტკ** → **კ** : სვან. ***ტკებ-** → ***ტკიბ-** → **კიბ-**; შდრ. ქართ. **მტკაველ-** „მტკაველი“ : სვან. **კამინ** ზს., **კამელ** ლშხ., **კამილ** ლნტ. „მტკაველი“; სვან. **კეც** ბქ. „წნელი“ ← ქართ. **ტკეჩ-ი**...

ს.-ქართვ. ***ტკებ-** „ტკეპნა“ → ქართ. **ტკებ-** || **ტკებ-** : ზან. **ტკაბ-** → || ***ბატკ-** : სვან. **კიბ-** → || **კირბ-** || **კიმბ-** ←***ტკიბ-** ←***ტკებ-**.

სვან. **კიკბერ** ზს., ლშხ. „გადაკეტილი კარის შესატყვისი ხის მორი (ძველად); ძალა (ახლა)“.

ქართ. (ქართლ., კახ.) **კაკაბ-ი** „ნაწილია გუთნისა; ხის სადგომი“, რაჭ. **კაკაბა** „საცერი“, ლეჩხ. **კაკაბა** „ძირი ძარი“.

ზან. —.

ქართ. **კაკაბ-**თან შედარებით სვანურში **-ერ** „ზედმეტია“; იგი საკუთრივ სვანური აფიქსი ჩანს.

სვანური ფუძის ისტორიისათვის ფასეულია სვანურიდან შეთვისებული ლეჩხუმური **კაკიბერა** „სამზარეულო სახლში შუაღვეცხლის პირდაპირ ზევით გადებული დირე, რომელზედაც საქვაბე ჰკიდია“ — სვან. **კიკბერ** ←***კაკიბერ**.

ს.-ქართვ. ***კაკ-აბ-** „დირე, მორი“ → ქართ. **კაკაბ-ი** || **კაკაბ-ა** : სვან. **კიკბერ**.

სვან. **კიკჟ-** || **კიკ-**, **ხ-ო-კიკჟ-პრ-ი** ბზ., **ხ-ო-კიკჟ-პრ-ი** ბქ. „უჭვრეტს, უყურებს“; **ხ-ა-კიკ-** „ელის“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) **კიკ-ინ-**, **უ-კიკ-ინ-ან-ს** „უჭვრეტს“, **უ-კვიკვ-ინ-ან-ს** „id“.

ზანურ-სვანურ ფუძეთა ანალიზი არკვევს, რომ აქ ძირად **კიკუ**- უნდა გამოვყოთ. ხომ არ უკავშირდება ქართული **კიკვ**-ა „მეომარი, მეთოფე (საბა)“ ამავე ძირს? თუ მსჯელობა სწორია, „მეომრის, მეთოფის“ გავება მეორეული ჩანს, უწინარესი „მეთვალყურის“, „მომლოდინეს“ მნიშვნელობა უნდა იყოს.

ს.-ქართვ. ***კიკუ**- „თვალყურის დევნა“, „თვალთვალი“ → ქართ. **კიკვ**-ა : ზან. **კიკ(უ-)** → || **კვიკვ**-ინ- || **კიკ**-ინ : სვან. **კიკუ**- → || **კიკ**-.

სვან. **კინტ** ბქ., **კირტ** ლშხ., ლნტ. „ნაკუწი, ნაფლეთი, ნაგლეჯი (ქსოვილის)“.

ქართ. (რაჭ.) **კინტ-უა-ები** „პატარ-პატარა ნაჭრები (რკინის)“, ლეჩხ. **კინტ**-ი „საჭვალ“.

ზან. —.

ქართულ-სვანურს აერთიანებს **ნაჭრის, ნაფლეთის** საერთო სემანტიკა.

ნ || **რ** მონაცვლეობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს **ნ** → **რ** პროცესის რეალურობას სვანურში (**კინტ** → **კირტ**).

ს.-ქართვ. ***კინტ**- „ნაჭერი, ნაფლეთი“ → ქართ. **კინტ**-ი : სვან. **კინტ** → || **კირტ**.

სვან. **კირაუ** „საბძელი“.

ქართ. (მთიულ.) **კვილ**-ი „თივის პატარა ზვინი“.

ზან. —.

სვანურში შეინიშნება ზოგი ფონეტიკური ცვლილება. კერძოდ, **უ** მეტათეზირებულია ფუძის ბოლოში, ხოლო ინლაუტური **ლ** გადასულია **რ**-ში, რაც აქ დამახასიათებელი პროცესია — სვან. **კირაუ** ←***კუირ**-ა ←***კუილ**-ა.

შესაბამისი ზანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. ***კუილ**- „თივის ზვინი, საბძელი“ → ქართ. **კვილ**-ი : სვან. **კირაუ** ←***კუირ**-ა ←***კუილ**-ა.

სვან. **კიჩ**-, ხ-ჲ-**კჩ**-ე ბზ., ხ-ა-**კიჩ**-ი ბქ., ხ-ა-**კჩ**-ე ლშხ. „წყვეტს (ვაშლს, მსხალს, ნესეს)“; ხ-ო-**კჩ**-ე ბზ., ლშხ., ლნტ., ხ-ო-**კიჩ**-ი ბქ. „მოუწყვეტს“.

ქართ. **კვეც**- || ინგილ. **კრეც**- „კვეცა“.

ზან. —.

ამ ქართველურ ფუძეებს საერთო სემანტიკა ახასიათებთ. ახსნას ითხოვს სვანურის **ი** განმოვანება ქართული **ვე** თანმიმდევრობის წილ. სა-

ვარაუდოა ლაბიალიზაციის მოშლა (დელაბიალიზაცია) **ე** → **ი** აბლაუტის მომდევნო საფეხურზე: ***კუნი-**/***კუნი-** → **კინ-**; თუმცა ინგილ. **კრეც-** უფრო ფუძის ბგერწერითობას უჭერს მხარს.

ს.-ქართვ. ***კ(უ)იც-** „კვეცა, მოწყვეტა“ → ქართ. **კვეც-**, **კრეც-** სვან. **კინ-** ← ***კ(უ)ინ-**.

სვან. **კობ** ზს., **კობ** ლშ., **კობ** ლტ. „ხის სახელურიანი ჯამი, ხის სასმისი“.

ქართ. (აჭარ., გურ.) **კობ-ე** „ჭურჭელი ქვევრიდან ღვინის ამოსადებად“.

ზან. **კობ-ემ-ია** „ხაბი; კვანი“, **კობ-**ა „**კობე**“.

ზემოსვანურში **ბ** გამჟღერდა დისიმილაციით (გ. როგავას წესი).

ს.-ქართვ. **კობ-** ძირის ალომორფი უნდა იყოს ს.-ქართვ. **გობ-** „გობი“ სიტყვა (შდრ. სვან. **გუბებ**).

ს.-ქართვ. ***კობ-** || ***გობ-** „ჭურჭელი, სასმისი“ → ქართ. **კობ-ე** || **გობ-ი** : ზან. **კობ-**ა, **კობ-ემ-ია** : სვან. **კობ-** || **კობ-** || **გუბებ-**.

ქართ. (ქიზიყ.) **კოკელ-ი** „ქუსლი; თაღის ფეხის საბრჯენი“.

ზან. (მეგრ.) **კონკერ-ი** „კანჭი, წვივი“.

სვან. —.

ზანურში **ნ** ფონეტიკური დანართია; რაც ენაში გავრცელებული პროცესია (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ს. ჟღენტი).

ქართველური ფუძეები ენათესავენ ნახურ ენათა **კჷაკ** || **კოგ** (←**კოკ**) || **კაგ** (←**კაკ**) „ქუსლი, ფეხი“ სიტყვებს, შდრ. დარგ. **ყუყა**, თაბ. **ყამყ**, აღ. **ყუაყუ**, რუთ. **ყუაყუ**, უღ. **ქჷქჷ** „ფეხი“...

ს.-ქართვ. ***კოკ-ელ-** „ქუსლი“ → ქართ. **კოკელ-ი** : ზან. **კონკერ-ი**.

ქართ. **კოკონ-**ა „ბატარა იხვია ერთგვარი“.

ზან. (მეგრ.) **კოკორგნ-**ა „ბატარა გარეული იხვის სახეობა“.

სვან. —.

ქართულ **კოკონ-**ა-ს კანონზომიერად შეესატყვისება ზანური **კო-კორგნ-**ა. სხვაობას სემანტიკის გარდა ქმნის **რ-**ს „ზედმეტობა“ მეგრულში, რაც გამოწვეულია **რ** ბგერის გაჩენისაკენ მიდრეკილებით.

მეგრული **კოკორგნ-**ა იმერულში **კოკორინ-**ა ფორმით არის ათვისებული. მეგრულის ირაციონალური **გ** ქართულმა სრული **ი** ხმოვნით გადმოიტანა. **გ** → **ი** ბუნებრივია ზანურის იმ კილო-თქმებში, სადაც ისტორიული **გ** მოიშალა (სენაკური). იმერული **კოკორინ-**ა-ს მეგრულ

წარმომავლობას ამ სიტყვის სემანტიკაც უჭერს მხარს: „იხვის მაგვარი გარეული ფრინველი“ (ვ. ბერიძე).

ს.-ქართვ. ***კოკონ-ა** „გარეული იხვის სახეობა“ → ქართ. **კოკონ-ა** : ზან. **კოკორგნ-ა**.

ქართ. (კახ., ქიზიყ.) **კორა** „ხის კოჭი, კარის ჩარჩოზეა მიმაგრებული, დახურვისას კარს წამოედება და დაკეტავს“.

ზან. (ჭან.) **კურა-**, **კურა-კიდ-ი** „რაზა“.

სვან. —.

ჭანური სიტყვა რთული შედგენილობისაა. აქ გამოყოფილი **კურა-** კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **კორა-ს**, შდრ. ქართ. **ო** : ზან. **უ**. კომპოზიტის მეორე სეგმენტი **კიდ-ი** ქართულ **კიდ-** „კიდება“ ზმნას ენათესავება. მთლიანად ჭანური **კურა-კიდ-ი** სიტყვა ისეთივე აგებულებისაა, როგორც მეგრულში **ჩაკა-ზიდ-ი** „ცეკა (კალათი) მზიდი“, სადაც სიტყვის ზმნური ნაწილი **ზიდ-ი**, **კიდ-ი** ბრძანებითის ფორმებითაა წარმოდგენილი.

ს.-ქართვ. ***კორ-ა** „ხის კოჭი“ → ქართ. **კორ-ა** : ზან. **კურ-ა**.

სვან. **კოშდ-** || **კოშტ-** „დუღილი“, ნა-ნ-**კოშდ** ზს., ლშხ., ნა-ნ-**კოშტ** ლნტ. „დანადუღარი“.

ქართ. **კოლთ-** „დუღილის ამოდენა (საბა)“, **კოლთ-ოდ-ა** || **კლთ-ოდ-ა**.

ზან. —.

სვანურში საძიებელია ზმნური ფორმები. ქართ. **კოლთ-** : სვან.

კოშდ- || **კოშტ-** მიმართება სვანურისთვის უძველეს ***კოჟშთ-** არქეტიპს გვაპარაუდებინებს. თუმცა **კოთ-** ტიპის ფუძე ქართულისთვისაც არ არის უცხო, შდრ. იმერ. **კოთ-ი** „ხელმეორედ მოდუღებული მკვახე ტყემლის წვენი“.

ს.-ქართვ. ***კო(ლ)თ-** „დუღილი“ → ქართ. **კოლთ-**, **კოთ-ი** : სვან.

კოშდ- || **კოშტ-** (←***კოჟშთ-**).

სვან. **კრანკ-** || **კრანკ-**, ი-**კრანკ-ი** „გორდება“, ი-**კრანკ-წლ** ბზ., ი-**კრანკ-ელ** ბქ., ი-**კრანკ-წლ** ლშხ., ი-**კრანკ-წლ** ლნტ. „გორავს“.

ქართ. **კლაკნ-**, ი-**კლაკნ-ებ-ა**.

ზან. **კერკ-ელ-**, ი-**კერკ-ელ-უ(ნ)** „გორდება, გორაობს“, **კიროკ-**, ი-**კიროკ-უ(ნ)** „იკლაკნება“, **კირო/აკ-ილ-ი** „კლაკნილი“.

ფუძე ბგერწერითი სახეობისაა, ამიტომაც ხმოვნებში ყველგან არ არის დაცული შესატყვისობა ქართ. **ა** : ზან. **ო** : სვან. **ა**. უფრო საინტერესოა **ლ** → **რ** სვანურში (იხ. § 6), აგრეთვე **ნ**-ს მეტათეზისი (**კრანკ-** ←***კრაკნ-**).

ს.-ქართვ. ***კლაკ-ნ**- „გორვა, კლაკნა“ → ქართ. **კლაკნ-** : ზან. **კერკ-ელ-**, **კირაკ-** || **კიროკ-** : სვან. **კრანკ-** || **კრანკ-**.

სვან. **კუკუმ** ზს. „წვეთი“.
ქართ. (ფშ.) **კუკურ-ი** „წვეთი“.
ზან. —.

სვანური **კუკუმ** კანონზომიერი შესატყვისია ქართული **კუკურ-** ფუძისა. აუსლაუტში გამოვლენილი სხვაობა შედეგია **რ-ს** ფონეტიკური ტრანსფორმაციისა სვანურში — **რ** → **მ** (იხ. აქვე, § 18. **რ** → **მ**) : სვან.

წყვზჳმ ← ქართ. **მ-წყაზარ-ი**...

შეიძლება წარმოშობით რედუბლიცირებული სიტყვა იყოს — **კუკურ-** ← **კურ-კურ-**, შდრ. **პ-კურ-ებ-ა**, **სა-პ-კურ-ებ-ელ-ი**.

ს.-ქართვ. ***კურ-კურ-** „წვეთი“ → ქართ. **კუ-კურ-ი** : სვან. **კუ-კუმ** ← ***კუ-კურ**.

სვან. **კუკურ** ლშხ. „ხის კვირტი“.
ქართ. (აჭარ.) **კუკულ-ი** „კვირტი“.
ზან. (მეგრ.) **კვიკვილ-ი**, ჭან. **კუკულ-ი** „კვირტი“.

საკვირველია, სვანურში **ლ** → **რ** განხორციელდა იქ, სადაც მეგრულმა **ლ** შეინარჩუნა (პირიქით კი იყო მოსალოდნელი), იხ. § 6.

ს.-ქართვ. ***კუკ-ულ-** „კვირტი“ → ქართ. **კუკულ-ი** : ზან. **კვიკვილ-ი** || **კუკულ-ი** : სვან. **კუკურ**.

გასარკვევია ქართულ **კოკორ-**, **კოკობ-** ფუძეებთან მიმართება.

სვან. **კუნკუჳს** „ნართი, შულო (ძაფისა)“.
ქართ. (მთიულ.) **კვირსლ-ი** „ბეწვი შალისა“.
ზან. (მეგრ.) **კვარკვაშ-ა** „ქულა (მატყლისა)“.

ყურადღებას მიიქცევს სვანურის აუსლაუტი, სადაც ისტორიული შიშინა სპირანტი **შ** გადასულია **ს**-ში. ამგვარი პროცესი — სისინა → შიშინა → || სისინა — სვანურსა და ზანურში სხვაგანაც შეიმჩნევა (იხ. აქვე, § 23.). აქვე საცნაური ხდება **რ** → **ნ** გადაბგერება; ხოლო რაც შეეხება აუსლაუტურ **ა**-ს მეგრულში, მსგავსი მდგომარეობა საგულგებელია სვანურშიც. მის (**ა**) ზეგავლენას მიეწერება **ი** → **ე** → **ჳ** უკუმიმართულების უმლაუტი სვანურში (მ. ქალდანი).

ფუძის უძველესი სახეობა დაცულია ქართულში, სადაც მარტივი, გაუორკეცებული არქეტიპია შემორჩენილი. ე. ი. სვან. **კუნკუჳს**

←***კუიარ-კუეშ-ა** ←***კუიარშ-კუიარშ-ა**, მეგრ. **კვარკვაშ-ა** ←***კურ-კუშ-ა**
←***კუიარშ-კუიარშ-ა** (უ-უ → ვა-ვა გადასვლისათვის შდრ. ქართ. წურ-
წურ-ი : მეგრ. ჭურ-ჭულ-ი → || ჭვარ-ჭვალ-ი).

ს.-ქართვ. ***კუირს-(ლ-)** „ქულა (მატყლისა)“ → ქართ. **კვირს-ლ-ი** :
ზან. **კვარ-კვაშ-ა** ←***კუიარშ-კუიარშ-ა** : სვან. **კუნკუჰს** ←***კუიარ-კუეშ-ა**
←***კუიარშ-კუიარშ-ა**.

ქართ. **კუნწუხ-ი**, ქიზიყ. **კონწუხ-ი** „მწვერვალი ხისა, მთისა, წვერი,
თხემი“, მთიულ. „შორი, გადაკარგული ადგილი“.

ზან. (მეგრ.) **კვინჭვხ-ე** „თეძო, ბარძაყი“.

სვან. —.

საბამ **კუნწუხ-ი** განმარტა, როგორც „ხეთ ზედათი წვერვალი“;
ქველ-ში **კუნწუხ-ი** „ხის კენწეროს“ ნიშნავს; სხვა მნიშვნელობისათვის იხ.
ზევით.

ფორმალური თვალსაზრისით, უფრო ძველად ქიზიყური **კონწუხ-ი**
გვეჩვენება — **კონწუხ-ი** → || **კუნწუხ-ი** (ასიმილაციით).

არქაულ **კონწუხ-ი** ფუძეს კანონზომიერი შესატყვისი ეძებნება მე-
გრული **კვინჭვხ-ე** || **კვინჭიხ-ე** „თეძო, ბარძაყი“ სიტყვის სახით. აქ პირ-
ველ ნაწილში **ლ** → **ვ** პროცესი ვლინდება, შდრ. სხვა შესატყვისობები —
ქართ. **კ** : ზან. **კ**, ქართ. **ნ** : ზან. **ნ**, **წ** : **ჭ**, **უ** : **გ** → || **ი** ←***უ** (გ. როგავა),
ხ : **ხ**.

კონწუხ-ი/კუნწუხ-ი : **კვინჭვხ-ე** ←***კონჭუხ-ე** შეპირისპირებას უნდა
დაემატოს რაჭ. **კუნწ-ი**, მობ. **კუნწ-ულ-ი**, ქიზიყ. **კუნწ-ულ-ა** „ხეხილის
მსხმოიარე ტოტი“ ქიზიყ. **კოწ-ოლ-ა** „კენწერო“ : ჭან. **კუჭ-ან-ი** „თავი,
კენწერო“, რომლებს **კონწ-** სეგმენტს გამოგვაყოფინებენ საერთო ძირად,
შდრ. **კენწ-ერ-ო** ←***კონწ-ერ-ო**.

ამოსავალი მნიშვნელობა (ეტიმონი) „ამობურცული, ამოწეული ად-
გილისა“ უნდა ყოფილიყო.

ს.-ქართვ. ***კონწ-** „მწვერვალი, კენწერო, თხემი, თეძო“ → ქართ.

კონწ-უ-ხ-ი || **კუნწ-უ-ხ-ი**, **კუნწ-ი**, **კუნწ-ულ-ი/ა**, **კენწ-ერ-ო** ←***კონწ-
ერ-ო** : ზან. **კვინჭ-გ-ხ-ე** ←***კონჭ-უ-ხ-ე**, **კუჭ-ან-ი** ←***კონჭ-ან-ი**.

ს.-ქართვ. ***კონწ-**ს გენეტურად უკავშირდება ს.-ნახ. **კუჭ** „მთის წვერი“.

სვან. **კუტაღ** ბზ., **კუტალ** ლშხ. „ღვინის სასმისი“.

ქართ. (თუშ.) **კუტო-დ** „თუჯის პატარა თუნგი“.

ზან. **კოტო** „თიხის ქოთანი (ჩვეულებრივ ლობიოს მოსახარშად იყე-
ნებენ)“.

სვანურში **-წლ** || **-ალ** გამოსაყოფია ისევე, როგორც **-ო** ქართულსა და ზანურში. მორფოლოგიურ დონეზე ქართ. **ო** : სვან. **-წლ** არ არის მოულოდნელი (ქართ. **ღვინ-ო** : სვან. **ღუინ-წლ**).

ს.-ქართვ. ***კუტ**- „ჭურჭელი, სასმისი“ → ქართ. **კუტ-ო-ფ** : ზან. **კოტ-ო** ← ***კუტ-ო** : სვან. **კუტ-წლ** || **კუტ-ალ**.

სვან. **კურთხ-** ზს., ქს., ი-**კურთხ-წნ**-იელ „იკლაკნება, ფართხალებს, გაასავსავებს (ზელს...)“.

ქართ. **კურთხ**-ი „საგვემელი ჯოხი (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **კვართხ-ალ-**, ი-**კვართხ-ალ-უ(ნ)** „ფართხალებს, იკრუნჩხება“, გილე-**კვართხ-ალ-უ(ნ)** „დაფართხალებს“.

ს.-ქართვ. ***კურთხ**- „კვერთხი; კლაკნა, კრუნჩხვა“ → ქართ. **კვერთხ**-ი : ზან. **კვართხ-ალ-** : სვან. **კურთხ-** ← ***კურთხ-**.

სვან. **კუნჭილ** || **კუნჯილ** ზს., ქს. „კუნჭები“.

ქართ. **კუნჭი**-ი, **კუნჯი**-ი, **კოწოლ**-ი (← **კუნჯოლ**-ი) „თმის ნაწნავი“.

ზან. **კუჭულ**-ი || **კუჭუჭი**-ი „ქოჩორი“, **კოჭო** „ქოჩორა“ (**კოჭო-ყვარია** „ქოჩორა ყვავი“).

სვან. **კუნჯილ** (← **კუჭილ**) ზუსტად ასახავს ძვ. ქართ. **კოწოლ** (← **კუნჯოლ**-), **კუნჯ**-ებში გამოყოფილ **კუნჯ**- (სვან. ***კუჭ**-) ძირს, აქვე შემოვა მეგრული **კუჭ-ულ-ი** და **კოჭ-ო** ← ***კუჭ-ო**; ხოლო **კუჭუჭი**-ი ქართ. **კუნჯი**-ის ფარდია. ყველა ქართველურ ენაში საერთო ძირად **კუნჯ**- || **კოწ**-, **კუჭ**- || **კოჭ**- გამოიყოფა „ქოჩორის“ მნიშვნელობით.

ს.-ქართვ. ***კუნჯ**- „ქოჩორი“ → ქართ. **კუნჯ**-ები, **კუნჯ-უნჯ**-ი, **კოწოლ**-ი : ზან. **კუჭ-ულ-ი** || **კუჭ-უჭი**-ი || **კოჭ-ო** : სვან. **კუნჯილ** || **კუნჯილ** ← ***კუჭილ** (შდრ. ს.-ნახ. **კუჭ** → || **კუჭ** „ქოჩორი“).

სვან. **კუ-** || **კაუ-**, ი-**კუ-ენ**-ი, ი-**კუ-**ი ზს., ლშხ., ი-**კაუ-**ე ლნტ. „იკრძალავს“, ლგ-**კაუ** ზს., ლნტ., ლგ-**კაუ** ლშხ., შდრ. ლგ-**კაუ**-ე ზს., ლგ-**კაბ** ლშხ. „აკრძალული“.

ქართ. **კავ-**, ი-**კავ**-ებს (თავს იკავებს, თავი შეიკავა).

ზან. **კ-ინ**, ი-**კინ**-ან-ს || ი-**კინ**-ენ-ს „უკან იხვევს; იკავებს (შდრ. დ-ბ-**კინ**-ი „უკან დავიხვიე“, დე-ბ-**კინ**-ი „დავიკავე“).

მეგრული **კ-ინ**- სახეობა აჩვენებს, რომ ქართულსა და სვანურში თემისნიშნისეული **-ავ** || **-აუ** ფუძეს არის შეზრდილი.

მნიშვნელობის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით საყურადღებოა მიმართება: ქართ. დაკავება, შეკავება, სვან. აკრძალვა ← თავის შეკავება, მეგრ. დაკავება, უკანდახევა ← თავის შეკავება.

ს.-ქართვ. ***კ-/კ-აჟ-** → ქართ. **კ-ავ-** : ზან. **კ-ინ-** : სვან. **კ-აჟ-** → || **კ-ჟ-** || **კ-აბ-** || ← **კ-აბ-**.

სვან. **კჟაჟ** ზს. **კჟეც** ქს. „კვენესა“, ლი-**კჟეც** „კვენესა“, მგ-**კჟეც**-ი „მკვენესარე“.

ძვ. ქართ. **კუნეს-ა**, **კუნეს-ი-ს**, ახ. ქართ. **კვნეს-ა**.

ზან. (მეგრ.) **კუშ-ინ-**, **კუშ-ინ-უნ-ს** „კვენესის“, ო-**კუშ-ინ-აფ-ჟ-ან-ს** „აკვენესებს“, ჭან. **კუს-ინ-ერ-ი** „ნაკვენესი, ვინც (და)იკვენესა“.

ზემოსვანური **კჟაჟ** ფორმის წარმომავლობა არკვევს **ა**-ს პოზიტივობას ფუძის შიგნით. ივარაუდება **ე** → **ა** გადასვლა ზემოსვანურში მომდევნო მასდარისეული **ა**-ს ზეგავლენით (მ. ქალდანი), რომელიც თავს იჩენს ნათ. ბრ.-ის ფორმაში კჟაჟ-**ა**-ში „კვენესისა“ — **კჟაჟ** ← ***კჟეც-ა**.

ქართულ **კუნეს-**, სვანურ **კჟეც-** ზმნებს აღრე აკავშირებდნენ ზანურ **კუს-** (ო-**კუს-ჟ**, **კუს-აფ-ი**) „კვენესა“ ფორმასთან. რაც არ მიგვაჩნია მართებულად, რადგანაც ზანური **კუს-** ქართული **კუნეს-** ფუძის გამარტივებული სახეობაა (ნასესხებია). ხოლო საკუთრივ ზანური შიშინა სიბილანტიანი კანონზომიერი შესატყვისი ქართული **კუნეს-** ← ***კუს-ენ-** (ჰ. ფოგტი) სიტყვისა ჩანს ჩვენს მიერ მოძიებულ **კუშ-ინ-** „კვენესა“ ფუძეში, რომელიც მეტ სიძველეს აგებულებითაც აჩვენებს. უფრო სწორად, ის, რაც ჰ. ფოგტმა თეორიულად ქართულისთვის ივარაუდა, რეალურად გამოჩნდა ზანურის **კუშ-ინ-** „კვენესა“ ფორმაში. მეგრული **კუშ-ინ-**, ჭან. **კუს-ინ-** ალომორფთა შედარება გამოარკვევს ჭანურ-სვანურ სისინა სახეობათა მეორეულობას — **კუშ-ინ-** → ჭან. **კუს-ინ-** || სვან. **კუს** → **კუც** || **კჟეც-**. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს შიშინა სიბილანტთა შიშინა → სისინა გარდაქმნის რეალურობას ზანურსა და სვანურში (იხ. აქვე § 23.).

ს.-ქართვ. ***კუს-ენ-/*კუს-ინ-** „კვენესა“ → ქართ. **კუ/ვნეს-** ← ***კუს-ენ-** : ზან. **კუშ-ინ-** → || **კუს-ინ-** : სვან. **კჟაჟ-** ← || **კჟეც-** ← ***კუს-** ← ***კუშ-**.

სვან. **კჟერ** ზს., ქს., **კერ** ლხმ. „ჩაქუჩი, კვერი“.

ქართ. **კჟერი-ი** || **კვერი-ი** „ჩაქუჩი, კვერი“; „რკინის საცემელი, რკინის დასაკვერებელი (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **კვალ-**ია „პატარა ნაჯახი“.

სვანური და ქართული ფორმები ფორმალურ-სემანტიკურ ერთიანობას ამჟღავნებენ. განსხვავებული ვითარებაა მეგრულში, **კვერ-**: **კვალ-** შეპირისპირებისას ასახსნელია აუსლაუტური მიმართება ქართ. **რ** : ზან. **ლ**. სავარაუდოა **რ** → **ლ** გარდაქმნა ინტერვოკალურ პოზიციაში, რაც დამახასიათებელია ზანურისთვის — შდრ.: ქართ. **გორა/ზან. გოლა** || **გვალა**, ქართ. **გარე/ზან. გალე**, ქართ. **ჩირ-ი** → **ჩან. ჩილა**... ასევე **კვერ-/ზან. კვალ-**ია.

ნაჯახის სემას მეგრულში **რ კ ი ნ ი ს ჩ ა ქ უ ჩ ი ს მნიშვნელობა** დაედო საფუძვლად.

ს.-ქართვ. ***კუერ-** „რკინის ჩაქუჩი, კვერი“ → ქართ. **კვერ-** : ზან. **კვალ-**ია ← ***კვარ-**ია : სვან. **კუერ** → || **კერ**.

სვან. **კუერ-** || **კუარ-** || **კურ-**, ი-**კურ-**ემ-ი (ან-**კურ-**მ-ან ბზ., ან-**კუერ-**მ-ან ბქ., ენ-**კუერ-**მ-ან ლშხ.), ი-**კუარ-**ემ-ი ლნტ. „ყინება“.

ქართ. **ყინ-**, **ყინ-**ავ-ს, **ყინ-**ელ-ი, **ყინ-**ულ-ი, მ-**ყინ-**ვ-არ-ი.

ზან. (მეგრ.) **ო-ღინ-უ** || **ღინ-უ**-ა „ყინვა“, **ღინ-**ი/უ „ყინული“ „ცივი“, **გო-ღინ-**ილ-ი „გაყინული“, ჭან. **ო-ყინ-უ** „ყინვა“, **ყინ-**ი || **ღინ-**ი „ყინული, ცივი“, **ყინ-**ერ-ი || **ღინ-**ერ-ი || **ინ-**ერ-ი „ყინული“, **კ/ყირ-**ავ-ი „ყინული“.

სვანურში საერთოქართველურ **ყინ-** არქეტიპს **ყ** → **კ** და **ნ** → **რ** სვანურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების შედეგად თავდაპირველად ***კირ-უ** უნდა მოეცა. სადაც **-უ** (← **-ო**) ცნობილი სახელური სუფიქსია (შდრ. მეგრ. **ღინ-უ**, ჭან. **კირ-**ავ-). ამ უკანასკნელის ზეგავლენით წინამავალი ისტორიული **ი** ხმოვანი მ. ქალდანის წესის მიხედვით ჯერ **ე**-ში, ხოლო შემდგომ **ჰ**-ში გადავიდა — ქართ. **ყინ-**(ელ-) : სვან.

***კირ-უ** → **კერ-უ** → **კუერ-** || **კუარ-**. ემ სვანურში ქართული **-ამ-**ის (ზან. **-უმ**) შესატყვისი თემისნიშანია.

სვანურის ინფორმაციაც მხარს უჭერს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას **ყინ-** ფუძის სახელური წარმომავლობის შესახებ ზანურში (არნ. ჩიქობავა).

ს.-ქართვ. ***ყინ-** „ყინული, ყინვა“ → ქართ. **ყინ-**, **ყინ-**ელ- || **ყინ-**ულ- : ზან. **ღინ-** || **ყინ-** || **ინ-**, **ღინ-**ი || **ყინ-უ** || **ყინ-**ი, **ღინ-**ერ- || **ყინ-**ერ- : სვან. **კუარ-** || **კუერ-** ← **კარ-უ** || **კერ-უ** ← ***კირ-უ** ← ***ყინ-ო**.

სვან. **კუილ** ზს., ქს. „კუნძი“, „ხის დაბალი სკამი, ჯორკო“.

ქართ. (ლექს.) **კვილ-**ო „პატარა კუნძი“.

ზან. (მეგრ.) **კველ-**ა „პატარა დაბალი სკამი“, ჭან. **კულ-**ი „სკამი“.

სვანურში გამოვლენილი მნიშვნელობები ცხადად აჩვენებს სემანტიკური ევოლუციის მიმართულებას: **კუნძი** → || **ხის დაბალი სკამი**“.

იმერული **კველ-ა** „პატარა სკამი, ჯორკო“ იმეორებს მეგრულ **კველ-ა-ს**, რაც მისი ზანური წარმომავლობით აიხსნება. ამ უკანასკნელში შეიმჩნევა **ი → ე** გადაბგერება, რაც სპორადულად სხვაგანაც გამოჩნდება — ქართ. წვიმ-ა : ზან. (მეგრ.) ჭვიმ-ა ← ჭვიმ-ა...

ს.-ქართვ. ***კუილ-** „კუნძი; ხის დაბალი სკამი“ → ქართ. **კვილ-ო** : ზან. **კველ-ა** ← ***კვილ-ა**, **კულ-ი** ← ***კვილ-ი** : სვან. **კუილ**.

ს.-ქართვ. **კუილ-** არქეტიპის შესატყვისებია: დიდ. **ყური**, ხვარშ. **ყულე** „სკამი“, დარგ. **ურყული**, ლეზგ. **ყულ**, წახ. **ყუჟა**, თაბას., აღ., რუთ. არჩ. **ყულ**, შდრ. ახვან. **ყორი** „ფიცარი“.

სვან. **კუნ-** || **კუნან-**, ლუ-**კუნ-**ე ზს., ლუ-**კუნ-**არ || ლუ-**კნ-**ე ლშ., ლუ-**კუნან-**ე ლნტ. „სიმინდთან (ან ფეტვთან) ერთად მოზელილი ყველის გულიანი ბური; ყველიანი მჭადი“.

ქართ. **რკნ-**?, მუ-**რკნ-**ა „რეცხვა“.

ზან. (მეგრ.) **რკვან-**, **რკვან-**უნ-ს „შელესავს“, **რკვან-**ილ-ი „შელესილი“.

სვანურისთვის ამოსავალია **მოზელვის**, **მოზელილის** შინაარსი: ე. ი. ლუ-**კუნან-**ე მოზელილს უდრის; **ლუ-ე** ცნობილი სვანური კონფიქსია, ხოლო **კუნან-** (← ***კუნენ-**) — ძირი.

ყველა ქართველური ფუძისთვის ძირითადია ს რ ე ს ი ს (მოზელვა, შელესვა, რეცხვა) მნიშვნელობა.

ქართულში **მუ-** სხვაგანაც გამოიყოფა — შდრ.: **მუ-სრ-/სარ-**, **სრ-**ავ-ს (ა. არაბული).

თავკიდური **რ** ზანურ-ქართულში კაუზატიური ჩანს.

ს.-ქართვ. *(**რ**)**კუნენ-** „სრესა, ზელა“ → ქართ. **რ-კნ-**? (← ***რ-კუნენ-**), მუ-**რ-კნ-**ა : ზან. **რ-კუნან-** სვან. **კუნან-** → || **კუნ-**.

სვან. **კუიკუ** ზს., ლნტ. „განმარტოებით მყოფი პატარა ვინმე ან რამე“.

ქართ. (რაჭ.) **კოკო** „გალეული პატარა ადამიანი“.

ზან. (მეგრ.) **კოკუ** „პატარა (ადამიანი)“, **კოკ-ი** „პატარა კუნძული“.

განმარტოებით ყოფნის ნიუანსი ხელშესახებია სვანურსა და მეგრულში (კუნძული). ხოლო სიმცირის გაგება ყველა ქართველურ ფუძეს ახასიათებს.

ბოლოკიდური **-ჟე** (← **-ო**) სვანურში, **-ო** ქართულში, **-უ** ზანურში სადერივაციო ოდენზმოენიანი სუფიქსია (სვან. **ჟე** : ქართ. **ო** — **ფარ-ჟე** : **ფერ-ო**; ზან. **უ** : ქართ. **ო** — **ბად-უ** : **ბედ-ო...**).

ს.-ქართვ. ***კოკ-ო** „განმარტოებით მყოფი ვინმე ან რამე“ → ქართ. **კოკ-ო** : ზან. **კოკ-უ**, **კოკ-ი** : სვან. **კუიკ-ჟე** ← ***კოკ-ო**.

სვან. **კუიჰ**- || **კუიჰ**-, ი-**კუიჰ**-ფხს., ი-**კუი**-ეს ლშხ., ი-**კუი**-ესკ ლნტ. „იტყობს, იგებს“, ი-**კუიჰ**-წლ-ი ბზ., ი-**კუიჰ**-წლ-ი || ი-**კუიჰ**-ალ-ი ბქ., ი-**კუი**-წლ-ი ლშხ., ი-**კუი**-წლ ლნტ. „მიიკითხ მოიკითხავს“.

ქართ. **რკვევ**- || **რკვი(ვ)**-, ა-**რკვევ**-ს, ა-**რკვი**-ა.

ზან. (მეგრ.) **რკვან**-, **რკვან**-ჟ-ა „გამორკვევა; გარჩევა“, მუნა-**რკვან**-ი.

ქართველურ ფუძეთა შეპირისპირებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ძირად გამოიყოფა **რ-კუ**- „გარკვევის, გარჩევის“ მნიშვნელობით. იგი გართულელებულია ქართულსა და სვანურში **-ევ** || **-ეუ** მორფემით (სვან.

კუიჰ- || **კუიჰ**- → **კუი**- || **კუი**- ←***კუიუ**- || ***კუიუ**-; შდრ. **უ** → **ჰ**-სთვის : ქართ. **ფვ-ავ**- : სვან. **უწჰ** „ზვავი“). ქართულსა და სვანურს ფუძის აბლაუტი ერთნაირად ახასიათებს — **ე/ი**.

მეგრულში **-ევ** არ არის მოსალოდნელი (გ. როგავა), მის ადგილს ფუნქციურად **-ან** იკავებს (შდრ. ქართ.-სვან. **კ-აუ**- : ზან. **კ-ინ**- „შეკავება“ — იხ. ზევით).

ანლაუტში გამოყოფილი **რ-** კაუზატივის პრეფიქსია (გ. თოფურია, ი. ბრაუნი).

ს.-ქართვ. ***რ-კუ**- „რკვევა, რჩევა“ → ქართ. **რ-კვ-ევ/რ-კვ-ივ**- :

ზან. რ-**კვ**-ან- : სვან. **კუ-ეუ/კუ-იჰ**- ←***კუ-ეუ/კუ-იუ**-.

სვან. **კც**-, **კც-ენ**-, ი-**კც-ენ**-ი (ჩუწთუ-ი-**კც**-, ჩუწლ-**კწც**-, ჩუწლ-**კწც**-ე ბზ., ოთ-ი-**კც**-, ალ-**კწც**-, ალ-**კწც**-ენ-ე ბქ.) „იხილავს“, ლი-**კც**-ე „ხილავს“.

ქართ. **კც-ენ**-, **კც-ენ**-ა „ფშვინვა“, **კც-ენ**-ოდ-ა „ფშვინვიდა“.

ზან. (მეგრ.) **კაშ**-, ბ-**კაშ**-ენ-ქ „ვხილავ“, **კაშ**-ჟ-ა „ხილავ“.

მეგრულში სახეზეა შიშინა სიბილანტის დეზაფრიკატიზაცია სპირანტიზაციის გზით — **ჩ** → **შ**, შდრ. ქართ. **კოც**- : ზან. (მეგრ.) **ხუშ**- ←***ხურ**-.

სვანურში ამოსავალი შიშინა სიბილანტი **ჩ** კვლავ **ც**-ში გადასულა:

ც → **ჩ** → **ც**.

ბუნებრივად გვეჩვენება შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე: **ფ შ ვ ი ნ ვ ა ~ ო ხ ვ რ ა ~ ხ ო კ ვ ა**, რაც მწუხარების გამოხატვის სხვადასხვა ფორმას წარმოგვიდგენს.

გასარკვევია სვანური **კუიუც**- „კვნესა“ ფუძის მიმართება ზემოთაღწერილ ქართველურ სიტყვებთან.

ს.-ქართვ. ***კეც(ენ)**- „ფშვინვა, ხილავ“ → ქართ. **კც-ენ**- : ზან.

კაშ- ←***კაჩ**- : სვან. **კც**- || **კც-ენ**- || ← **კწც(ენ)**- ←***კეც(ენ)**-.

სვან. **კენჯაბ** || ← **კანჯაბ** ზს., **კინჯაბ** ლშხ., **კინჯაბ** ლნტ. „კლდე, კლდის ძირი“.

ქართ. **კბოდ-ე** „ზღვისა და წყლის პირი კლდოვან-ფლატოიანი ჩაუვალი (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **კოდუმ-ე** || **კოდემ-ე** „კბოდე“.

სვანურში დაკარგულია სუფიქსი **-ე**, რამაც კვალი დატოვა წინამავალი **ა** ხმოვნის უმლაუტის სახით. სწორედ მისი (**ა**) ზეგავლენით მოხდა **დ-ს** პალატალიზაცია აფრიკატიზაციის გზით — **და** → **ჯა**.

სვანურის ჩვენება სხვა მხრივაც არის საინტერესო. პირველი მარცვლისეული ს.-ქართვ. **ა** ხმოვანი, რომელიც ქართულს დაუკარგავს (**კბოდე** ← **კა-ბოდე**), აქ შენარჩუნებულია; მას ზანურში **ო** შეესატყვისება.

საინტერესოა **ბ-ს** და ***დ-ს** სუბსტიტუცია ქართულში (ურთიერთიანაცვლება).

ს.-ქართვ. ***კადობ-ე** „კბოდე“ → ქართ. **კბოდე** ← ***კადობ-ე** : ზან.

კოდემ-ე || **კოდუმ-ე** (← ***კოდუმ-ე**) : სვან. **კენჯაბ** || **კანჯაბ** || **კინჯაბ** ← ***კანდაბ** ← ***კადობ-ე**.

სვან. **კვრცხ-**, **ა-კვრცხ-ე** ბზ., **ა-კირცხ-ე** ლნტ. „ბელავს“.

ქართ. (მესხ.) **კურცხალ-ი** „ახლადგათიბული ყანა (ხორბალი, ქერი)“.

ზან. —

ძირია **კურცხ-**, **-ალ** ქართულში მასუბსტანტივებელი სუფიქსია (**კურცხალ-**, **წყალ-**... არნ. ჩიქობავა).

სვანურში **უ** → **გ** || **ი** პროცესი დასტურდება. მსგავს გადასვლას ყველა ხმოვანი ექვემდებარება სვანურში (გ. როგავა); მექანიზმი დაუდგენელია.

ს.-ქართვ. ***კურცხ-** „ბელავა, თიბვა“ → ქართ. **კურცხალ-ი** : სვან.

კვრცხ- || **კირცხ-** ← ***კურჩხ-**.

სვან. **კვც** ზს., ლნტ., **კივც** ბქ. „კენკეშა (მცენ.)“.

ქართ. **კივც-ნარა** „ჩიტის ბირკა (მცენ.)“.

ზან. (მეგრ.) **კუც-ი** „ბაძგი (მცენ.)“.

ზანური ეკვივალენტი მიღებულია **-უ** სუფიქსის ძირისეულ **ი** ხმოვანთან შერწყმით: ***კიჩ-უ** → ***კვიც-** → **კუც-¹**.

ქართულ **კივც-ნარა**-ში ორმაგი სუფიქსაცია გვაქვს: **-ნა** და **-რა** (შდრ. **კანკ-რა**, **ძიგ-რა**, **კენკ-რა**...).

ს.-ქართვ. ***კივც-** „კენკეშა; კივცნარა“ → ქართ. **კივც-ნარა** : ზან.

კუც- ← ***კვიც-** ← ***კიჩ-უ** : სვან. **კვც-** || ← **კივც-** ← ***კიჩ-**.

¹ **უ**-ს აუსლაუტური გადასმისათვის სვანურში შდრ.: ქართ. **თოკ-ი** → სვან. ***თოკ** → **თეკუ** ლშხ. → || **თაჟუ** ზს., ლნტ., ქართ. **ფურ-ი** : სვან. **ფურ** → **ფური** → || **ფირუ** ზს., ლნტ...

სვან. **ლაგ-** || **ლანგ-** || **ლგ-**, ა-**ლაგ-**ტენ-ი (ობტ-**ლანგ-**ტენ, ან-**ლანგ-**ტენ-ე) ზს., ა-**ლაგ-**ონ-ი (ობ-**ლანგ-**ონ) ლშხ., ა-**ლაგ-**ტენ-ი (ახტა-**ლანგ-**ონ) ლნტ. „აფასებს, ფასს ადებს“.

ქართ. **ლაგ-**, გადმო-ა-**ლაგ-**ებ-ს, **ლაგ-**ებ-ა.

ზან. (მეგრ.) **ლოგ-**, ბ-**ლოგ-**ინ-ან-ქ „ვაფასებ“, **ლოგ-**ინ-უ-ა „დაფასება“, დო-**ლოგ-**ინ-ეჲს „დააფასეს“.

ფორმალური თვალსაზრისით შეფარდება ქართ. **ლაგ-** : სვან. **ლაგ-/ლანგ-** : ზან. **ლოგ-** კანონზომიერია. ფუძეთა ერთიანობას ზანურსა და სვანურში მხარს უჭერს სიტყვის სემანტიკაც, რაც ერთადერთი ფ ა ს / დ ა ფ ა ს ე - ბ ი ს შინაარსით ვლინდება; ქართულში მსგავსი გაგება არ არის ცნობილი. ცხადია, დ ა ფ ა ს ე ბ ა ქართველურ ენებში დ ა დ გ მ ი ს / დ ა - დ ე ბ ი ს (დალაგების) სემის შემდგომ ევოლუციას წარმოადგენს.

ს.-ქართვ. ***ლაგ-** „დადება/დადგმა, დაფასება“ → ქართ. **ლაგ-** : ზან. **ლოგ-** : სვან. **ლგ-** || **ლანგ-** || **ლაგ-**.

ქართ. **ლანძ-** „ლანძვა“, **ლანძ-**ავ-ს, გა-**ლანძ-**ულ-ი, **ლანძ-**ვ-ა „ცხარე ცეცხლისაგან ზედაპირის წვა“.

ზან. **რუჯ-**, **რუჯ-**ვ-ა „ცეცხლში გავლება (საბა)“, **გო-რუჯ-ილ-ი** = **გა-რუჯ-ულ-ი**.

სვან. —.

ქართული **ლანძ-**ის შესატყვისია ზანური **რუჯ-**. ქართ. **რუჯ-** ძველი ნასესხობაა ზანურიდან, უფრო ადრეული ვიდრე საბას პერიოდია. ზანურთან შედარება აჩვენებს, რომ **ლანძ-**ში ნ ფონეტიკური ჩანართია. ნ-ს განვითარების შემდგომ არის **ლანძ-** სომხურში შეთვისებული (**ლ** → **ლ** საკუთრივ სომხური პროცესია, შდრ. ჰან. **ფაწალა** → სომხ. **ფიწალ** → || **ფიწელ** → კახ. **ფაწიდ-**, ქიზიყ. **ფიწიდ-**).

ს.-ქართვ. ***ლანძ-** „მოხალვა, ლანძვა“ → ქართ. **ლანძ-** : ზან. **რუჯ-** ← **ლოჯ-**.

სვან. **ლაჯ-** || **ლანჯ-** || **ლჯ-**, ა-**ლაჯ-**ი (ო-**ლაჯ-**, ა-**ლანჯ-**) ზს., ა-**ლაჯ-**ენ-ი (ოთ-**ლაჯ-**, ად-**ლაჯ-**ე) ლშხ., გ-**ლაჯ-**ი ლნტ. „რგავს“, ხ-ა-**ლაჯ-**ი, ხ-ა-**ლაჯ-**ენ-ი (ლა-ხ-**ლანჯ-** ბზ., ლა-ხ-**ლაჯ-** ბქ., ჟეს-**ლაჯ-**ე ლშხ.), ხ-ა-**ლანჯ-**ი ლნტ. „ამაგრებს“.

ქართ. **მაგ-**ინ-, **მაგ-**არ-/**მაგ-**რ, ა-**მაგ-**ინ-ებ-ს, და-**მაგ-**ინ-ებ-ა „დარგვა, გადაწინდვა“, **მაგ-**არ-ი, ა-**მაგ-**რ-ებ-ს.

ზან. (მეგრ.) **ნოგ-**რ-ო || **ნორგ-**ო „ნერგი“.

მეგრულში ზმნური ფუძეები არ შეგვხვდება. სახელური **ნოგ-რ-ო** ←***მოგ-რ-ო** (შდრ. ქართ. **მაგ-რ-**) ოდესღაც არსებული ***მოგ-რ-** „დარგვა, დამაგინება“ ზმნისაგან არის ნაწარმოები ისევე, როგორც ქართ. ***მაგ-** → **მაგ-არ-** || **მაგ-ინ-**...

სვანური ეკვივალენტის სიტყვათა ამ რიგში შემოტანა შესაძლებელი ხდება სვან. **ლ** (← **მ**) : ქართ. **მ** შესატყვისობის გამოვლენის წყალობით (იხ. აქვე, § 9.).

ქართული და სვანური ფუძეები სემანტიკურ იდენტურობასაც ამჟღავნებენ.

ს.-ქართვ. ***მაგ-** „დამაგრება, დარგვა“ → ქართ. **მაგ-არ-/მაგ-რ-**, **მაგ-ინ-** : ზან. **ნოგ-რ-ო** || **ნორგ-ო** ←***მოგ-რ-ო** : სვან. **ლჯ-** || **ლჯ-** || **ლჯ-** ←***ლაგ-** ←***მაგ-**.

სვან. **ლწს-**, **ლწს-იწრ** „სალესი ქვა“.

ქართ. **ლეს-**, **ლეს-ავ-ს**, **სა-ლეს-ი**, **ლეს-ულ-ი**.

ზან. (მეგრ.) **ლას-** || **ლას-ირ-** „შლა, წაშლა“; „ლესვა“, ჭან. **ო-ლას-ირ-უ** „ლესვა“, **ლას-ირ-უმ-ს** „ლესავს“.

-ირ საკუთრივ ზანური სუფიქსია.

სვანურში ზმნური **ლწს-** ძირი დაკარგულია. მისი არსებობის კვალი ჩანს ნაზმნარ სახელში **ლწს-იწრ** „სალესი“. ამ სიტყვაში **-იწრ** ოდენ სუფიქსური წარმოება გვაქვს, რაც მოულოდნელია სვანური მორფოლოგიისთვის. ვფიქრობთ, აქ ისტორიულ **ლა-იარ** (ლა-**ლფ**-იარ „საღებავი“ ← **ლი-ლფ-ი** „ღებვა“) კონფიქსი გამარტივებულია. ამის მიზეზი ფუძის აგებულებაა. მოხდა ფუძისეული **ლწ** სეგმენტის რეინტერპრეტაცია — გაიგივება კონფიქსისეულ **ლა-სთან** — **ლწს-იწრ** ← **ლწ-ლწს-იარ**.

უმლაუტიანი **წ** ფუძის შიგნით ასახავს ს.-ქართვ. **ე-ს** : **ლწს-** ←***ლეს-** (შდრ. ქართ. **ჭედ-** : სვან. **ლი-შკწდ-ი** „ჭედა“).

ს.-ქართვ. ***ლეს-** „ლესვა“ → ქართ. **ლეს-** : ზან. **ლას-**, **ლას-ირ-** : სვან. **ლწს-**, **ლწს-იწრ** ←***ლეს-**.

სვან. **ლწჰუ** ზს., **ლწტ. ლაწჰუ** ლშხ. „ირემი“.

ქართ. (მთიულ.) **მაცალ-ო** „მოზვერი“.

ზან. —

დაკავშირება ერთი შეხედვით უჩვეულო ჩანს ანლაუტში ქართ. **მ** : სვან. **ლ** შეფარდებისა გამო. მაგრამ თუ მოვიხილოთ სვანურ ფონეტიკას (იხ. **მ** → **ლ**, § 9), მივხვდებით რომ მისი (დაკავშირების) მნიშვნელობა ფრიად დიდია (შდრ. ქართ. ქათამ- : სვან. ქათალ).

აუსლაუტის ვითარება ახსნას ექვემდებარება; სახეზეა **ლ** → **ჟ** (იხ. § 3) პროცესი რედუქციის მომდევნო საფენურზე სვანურში — **ლწჟ** || **ლაწჟ** ← ***ლაჩაჟ** ← ***მაჩალ**.

ს.-ქართვ. ***მაც-ალ-** „ირემი; მოზვერი“ → ქართ. **მაცალ-ო** : სვან. **ლწჟ** || **ლაწჟ** ← ***მაჩალ**.

სვან. **ლეგ** „ცუდი; განავალი“.

ქართ. (მთიულ.) **ლენგ-**, გა-**ლენგ-ვ-ილ-ი** „ჭუჭყიანი“, გა-**ლენგ-ებ-ა** „გაფუჭება, გაშავება“.

ზან. **ლაგ-ე** „ცუდი“, **ლაგ-ე** ღვინი „ცუდი ღვინო“.

სვანურის მნიშვნელობები ახლოსა დგას მთიულური დიალექტის ჩვენებასთან. შეიძლება ვივარაუდოთ **ლენგ-** ალომორფის წარმომავლობა სავითოქართული **ლეგ-**ისაგან, რომელსაც შავის სემაც ახასიათებს: **ლენგ** ← **ლეგ-**.

ს.-ქართვ. ***ლეგ-** „შავი, ლეგა, ცუდი“ → ქართ. **ლეგ-** → || **ლენგ-** : ზან. **ლაგ-ე** : სვან. **ლეგ**.

სვან. **ლესგ** ზს., ლმზ., **ლესკ** ლნტ. „ფერდი, გვერდი“.

ქართ. **ლაჯ-ი** „ფერხებთ საშუალი (საბა)“, **ლაჯ-ებ-ი** (pluralia tantum).

ზან. —.

ფუძისეული **ე** ხმოვანი სვანურში ნაჟმლაუტარია: **ა** → **ჰ** → **ე** (შდრ. ქართ. **სამ-ი** : სვან. **სემ-ი**, **ძაღლ-ი** — **ჟედ(ჟ)**...).

შესატყვისობა სიბილანტებში ქართ. **ჯ** : სვან. **სგ** || **სკ** მომდინარეობს ქართ. **ჯ** : სვან. **ჯგ** (→ **ძგ** → **სგ** → **სკ**) არქისახეობიდან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სვანურში აღსადგენია უძველესი **ლაჯგ-** ფორმა — ***ლაჯგ** → ***ლწჯგ** → ***ლეძგ** → **ლესგ** || **ლესკ**.

ს.-ქართვ. ***ლაჯ-** „ლაჯი, ფერდი“ → ქართ. **ლაჯ-ი** : სვან. **ლესგ** || **ლესკ** ← ***ლწჯგ**.

სვან. **ლემგ** ზს., **ლემკ** ლნტ. „სახურავი“.

ქართ. (იმერ.) **მენჩ-ი** „ჭერი“, **მერჩ-ი** „ჭერი, სხვენი“.

ზან. —.

ქართულ-სვანურ ფუძეთა ერთიანობაზე საუბარი შესაძლებელი ხდება ქართ. **მ** : სვან. **ლ** (← **მ**) ბგერათფარდობის გამოვლენის შემდეგ (იხ. აქვე, § 9). **ნ** || **რ** სონორები იმერულში ჩანს განვითარებული, ფონეტიკური დანართია, შდრ. სვან. **შგილ** || **შკილ** : ქართ. **ჩულ-ი** (იხ. აქვე).

ს.-ქართვ. *მეჩ- „ჭერი, სახურავი, სხვენი“ → ქართ. მენჩი- || მერჩი- ←*მეჩი- : სვან. ლეშკ || ლეშკ ←*ლეჩქ ←*მეჩქ.

სვან. ლეჭურ-ანი ზს., ლეჭურ-ანი ლშხ., ლეჭურ-ან ლნტ. „ურდული; ლილვი“.

ქართ. ლანძვი- || ლანძვ „ფანჯარა“; „ბადის სახე რკინა (საბა)“.

ზან. —.

სვანურში ლეჭურ- ძირად გამოსაყოფია, -ანი || -ანი || -ან სუფიქსია სადერვიაციო (შდრ. სვან. ლანჟ „მთა“ — ლანჟ-ანი „მთიანი“...).

ლეჭურ- ფუძის ქართულ ლანძჟ-თან შედარებით ირკვევა, რომ სვანურში საერთოქართველური ნ გადასულია რ-ში (იხ. აქვე, § 12. ნ → რ) და ამის შემდგომ გადასმულია სიტყვის ბოლოში — ქართ. ლანძჟ- : სვან.

*ლანჯჟ- → *ლერჯჟ- → ლეჭურ¹. ხმოვნებში გამოვლენილი შესატყვისობა ქართ. ა : სვან. ე კანონზომიერია და აიხსნება ა → ა̄ → ე პროცესით სვანურში (თ. შარაძენიძე) — ქართ. სამი- : სვან. სემი-...

სემანტიკურად ქართულ ფ ა ნ ჯ ა რ ა ს ა და სვანურ უ რ დ უ ლ ს აერთიანებს საკეტის სემა; უ რ დ უ ლ ს ა გაგებასთან ასევე ახლოს დგას საბას მიერ მოხმობილი ალტერნაციული განმარტება ლ ა ნ ძ ვ სიტყვისა — „ბადის სახე რკინა“ ე. ი. ბადის მაგვარი (სახე) რკინა.

ს.-ქართვ. *ლანძჟ- „საკეტი, ფანჯარა, ურდული“ → ქართ. ლანძვ || ლანძვი- : სვან. ლეჭურ-ან || ლეჭურ-ანი || ლეჭურ-ანი (←*ლერჯჟ-ანი).

ქართ. ლიგ-, გა-ლიგ-ვებ-ა, გა-ლიგ-ვებ-ულ-ი, ლიგ-ი „შტერი (საბა)“, გან-ლიგ-ებ-ა „გაშტერებით უხმობენ (საბა)“.

ზან. (მეგრ.) ლიგვ-, გო-ლიგვ-ინ-აფ-ა „გალიგება, გაშტერება“;

ლიგ-ვ-ალ-ი, ლაგვ-ა || ლოგ-ო „შტერი, ჩერჩეტი“.

სვან. —.

გაურკვეველია ვ-ს არსებობა ზანურ ფორმებში. თუ ფონეტიკური დანართია, ქართულშიც რატომ ვლინდება?

ს.-ქართვ. *ლიგ(ჟ)- „შტერი, გაშტერება“ → ქართ. ლიგ-ი, ლიგვ- || ლიგ- : ზან. ლიგვ-ალ-ი, ლიგვ- / ლაგვ-.

ქართ. ლილ-ვი „ურმის ღერძი“, „საგორავი“ || ლვილ-ი || რვილ-ი „გუთნის ნაწილი“, „საქსოვი დაზგის საგორავი ნაწილი“.

ზან. ლოლ-, «ო-ლოლ-ა» „ბატარა ურემი“.

¹ რ-ს მეტათეზისისათვის სვანურში შდრ. ქართ. წ რ ი ა ბ - ი : სვან. წ ო ბ ა რ ბზ., წიბარ ბქ., წ ო ბ ა რ ლშხ. „წრიაპი“.

სვან. —.

ქართული **ლვილ-** ძირის შესატყვისი ზანური **ლოლ-** ← **ლვილ-** შემორჩენილია ქსნის ხეობის ქართულში ზანურიდან შეთვისებულ **ო-ლოლ-**ა „პატარა ურემი“ სიტყვაში. რაზეც თვალნათლივ მიუთითებს ძირის გაფორმება **ო — ა** კონფიქსით, რომელიც ქართული **სა — ე** ზუსტი სტრუქტურულ-ფუნქციური შესატყვისია — **სა — ე : ო — ა. ო-ლოლ-**ა თავდაპირველად სალილვე (ბორბლიან) ურემს თუ აღნიშნავდა უბორბლოს (მარხილი) საპირისპიროდ.

ურემის სახობათა მრავალფეროვნება საერთოქართველური ერთიანობის დონეზე ფასეულია პროტოქართველთა კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც, რასაც არქეოლოგიური მასალებიც უჭერს მხარს (ამაზე სხვა დროს).

ს.-ქართვ. ***ლჷილ-** „ბორბალი, დერძი; ურემი“ → ქართ. **ლილვე**-ი || **ლვილ-**ი || **რვილ-**ი : ზან. **ლოლ-** ←***ლვილ-**, **ო-ლოლ-**ა.

სვან. **ლის-ჷ** ბზ., **ლუს-ჷ** ბქ., ქს. „ძუძუ“.

ქართ. (ქიზიყ.) **მის-ებ-ი** (pluralia tantum) „წვეტები (ქართული კაბის ზედატანისა)“.

ზან. —.

სვანური ფორმებიდან ამოსავალ ვითარებას ბალსზემოური **ლის-ჷ** წარმოადგენს; დანარჩენ დიალექტებში არსებული **ლუს-ჷ** მისი ასიმილაციური სახეობაა — **ლის-ჷ** → **ლუს-ჷ**. ბოლოკიდური **-ჷ** (← **-ო**) სადერვიაციო აფიქსია (შდრ. ქართ. **-ო** : ზან. **-ჷ**). ასე რომ, ძირად სვანურში **ლის-** გამოიყოფა, რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ქართ. (ქიზიყ.) **მის-** ფორმისა. დაკავშირება შესაძლებელი ხდება სვან. **ლ** : ქართ. **მ** სონანტური შესატყვისობის წყალობით (იხ. აქვე, § 9. **მ** → **ლ**).

ქართულში წვეტი სემანტემის პოზიციერება სვანური ძუძუს შესატყვისად იმაზე მიგვითითებს, რომ ამოსავალი მნიშვნელობა სვანურში ძუძუსთავისა უნდა ყოფილიყო.

ს.-ქართვ. ***მის-** „წვეტი“ → ქართ. **მის-(ებ-)**ი : სვან. **ლუს-ჷ** || ← **ლის-ჷ** ←***მის-ო**.

ქართ. **ლნ-**, **ა-ლნ-ებ-ა**, **მო-ა-ლნ-ე**.

ზან. (მეგრ.) **ლინალ-** || **ნინალ-** || **ინალ-**, **მო-ნინალ-ე** || **მო-ლინალ-ე** || **მო-ინალ-ე** „მსახური, დამხმარე“, **ნინალ-ჷ-ა** || **ლინალ-ჷ-ა** || **ინალ-ჷ-ა** „მოხმარება ქორწილში, ქელეხში“.

სვან. —.

ადრე მეგრულ **მო-ნინალ-ე** სიტყვის ეტიმოლოგიისას ვცადეთ მისი ძირეული **ნინალ-** ნაწილის **ნინა(ლ)** „ენა“ სიტყვასთან დაკავშირება. ვარაუდით **ნინალ-ა/ჷა** „მსახურობა“ ნასახელარი ზმნა გამოდიოდა და ვფიქ-

რობდით, რომ **ნინალ-უ-ა** თავდაპირველად ნიშნავდა ენის მიტანას, ხოლო **მო-ნინალ-ე** ენის მიმტანს = მსახურს. ქართულ (resp. იმერულ) **ა-ლნ-ებ-** ა „მონხმარება“ ზმნაც იგივე წარმომავლობისა გვეგონია — **ლნ- ← ნნ- ← ნენ-** „ენა“. ამგვარ დაშვებას ამაგრებს დაკავშირებულ სიტყვათა როგორც ფორმალური ისე სემანტიკური იგივეობა.

ს.-ქართვ. ***ნენ-ალ-** „ენა“ → ქართ. **ა-ლნ-ებ-ა**, **მო-ა-ლნ-ე**, **ენ-ა ← ნენ-ალ-** : ზან. **ლინალ-** || **ნინალ-** || **ინალ-**, **მო-ნ/ლინალ-ე**, **ნენა(ლ-)** || **ნინა(ლ)** : სვან. **ნინ**.

სვან. **ლგვ** ზს., ქს. „ხსენი“.

ქართ. **ვსენი**-ი „პირველ ნაწოვნი სძე (საბა)“, მოხ., მთიულ. „ახლად ნამშობიარები ქალის რძე; კვეთი; დვრიტა“, ლეჩხ. **სხენ-ი**.

ზან. (ჭან.) **ცხონ**-ი „ახლადმოგებული ძროხის რძისაგან დამზადებული ყველის მსგავსი საჭმელი“.

მნიშვნელობის მხრივ ქართველური ენები კანონზომიერად შეესატყვისებთან ერთმანეთს, სხვაობა მინიმალურია. გასარკვევია ფუძის აგებულების ზოგი საკითხი.

ანლაუტური შეფარდება ქართ. **ს** : სვან. **ლ** ახსნას არ საჭიროებს (შდრ. ქართ. **სძე** : სვან. **ლგვ** „რძე“...). ამდენად, სვანურსა და ჭანურს ფუძის აგებულების უფრო ძველი სახეობა დაუცავთ — ქართ. **ვს-ენ-ი ← სვ-ენ-ი**, შდრ. ლეჩხ. **სხ-ენ-ი**. პირიქით პროცესს ვერ დავუშვებთ არ ჩანს საფუძველი **ხვ** → **ცხ** გადასმისა (გ. კარტოზია) ჭანურში. **ხვ** კომპლექსი აქ სუპერაციას არ ექვემდებარება — შდრ. ჭან. **ო-ხვ**-უ „ლობა“, არც ს.-ქართვ. **ვც**-ს (მ-ვც-ე) მოუცია ჭანურში **ჩხ** (შდრ. **ხჩე** „თეთრი“). ხოლო **სვ** → **ვს** გადასვლას ქართულში განაპირობებს მოქმედი წესი: სიბილანტი + **ვ** აფრიკატი თანმიმდევრობა ქართულ ფონოტაქტიკაში აკრძალულია (შდრ. **ვს**).

ს.-ქართვ. ***ს-ვ-(ენ-)** „ხსენი“ → ქართ. **სხ-ენ-ი** || **ხს-ენ-ი**, **ვს-ენ-ი** : ზან. **ცხ-ონ-ი** ← ***სხ-ონ-ი** : სვან. **ლგვ**.

ს.-ქართვ. ***ს-ვ-(ენ-)**-ის შესატყვისებია: ს.-ნახ. ***ბვი** (ინგ. **პყი**, ჩაჩნ. **ფხი** „ხსენი“); დარგ. **ნიფ** ← **ნიყ**, ლაკ. **ნაკ**, ლეზგ. **ნეჟ**, არჩიბ. **ნატჸ**, თაბ. **ნეჟჸ**, რუთ. **ნჟჟ**, უდ. **ნაყ** „რძე“...

მ

სვან. მ-(ა-) || მ-(ა-) „მასდარის მაწ. ერთ-ერთი პრეფ.“ (მ-ა-ლატ „სიყვარული“, მ-ა-ხალ „ცოდნა“, მ-ა-ზიგ „ტკივილი“, მ-ა-სისგ „სიძულვილი“.

ქართ. მ- (მ-ე-გლოვ-ა-დ „გლოვა“, მ-ი-ყვარ-ობ-ა „სიყვარული“ (არნ. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე), მ-უ-სრ-ი, მ-უ-რკვნ-ა).

ზან. (მეგრ.) მ-ა-რულ-ა „რბოლა“ (შდრ. რულ-ა), მ-ა-ჩხომ-ა „ცხოვ-ნება“, შდრ. (გე-)ჩხომ-აფ-ა „ცხოვება“.

სვანური მ-(ა-) : ქართ. მ- (მ-ე-გლოვ-ა-დ) ისტორიულად ადამიანის კატეგორიის აღმნიშვნელი პრეფიქსი იყო (არნ. ჩიქობავა). სვანურსა და, აგრეთვე, ქართულში გამოყოფილი მ- პრეფიქსის შესატყვისი ზანური მ- უნდა ჩანდეს ჩვენ მიერ მოძიებულ მ-ა-რულ-ა, მ-ა-ჩხომ-ა (შდრ. ჩხომ-აფ-ა) მასდარულ ფორმებში. ჯერჯერობით ეს არის ორადღორი ბედნიერი შე-მთხვევა, სადაც ნამდვილად ჩანს მ- მასდარული პრეფიქსის ფუნქციონირე-ბის კვალი ზანურში.

ს.-ქართვ. *მ- „ადამ. კატ. აღმნიშვნ. მასდ. პრეფ.“ → ქართ. მ- : ზან. მ-(ა-) : სვან. მ-(ა- || ა-).

სვან. მადა ზს., ქს. „წილში დანამატი, საუფროსო“, ლადა ბქ. „წი-ლის გასათანაბრებელი“.

ქართ. მარდა „ესე არს არადლითი-დღედი ფასი, არამედ გარდაკვე-თით მუშაკთა“, მარდათ დაჭერა (საბა).

ზან. მოდ-ი/ა „მიწის ერთგვარი ლაღა“.

სვანურში მ → || ლ შეიმჩნევა (იხ. აქვე, § 9.).

არ არის გამორიცხული ეს სოციალური ურთიერთობის ამსახველი ტერმინი ქართველურ ენებში გამჭვირვალე ეტიმოლოგიისა იყოს და უკავ-შირდებოდეს დ- „დადება“ ზმნას, მაშინ ქართული მ- პრეფიქსი მ-ეგლო-ვა-დ (არნ. ჩიქობავა), მ-იყვარობა (ქ. ლომთათიძე) ტიპის მასდარული წარმოების კიდევ ერთ მაგალითად გამოდგებოდა, შდრ. მ-უ-სრ-ი (სრ-ვ-ა), მ-უ-რკვნ-ა (იხ. აქვე)...

ს.-ქართვ. *მ-ა-(რ)დ-ა „საუფროსო, სამუშაო ფასი“ → ქართ. მარ-და : ზან. მოდ-ი/ა ← *მოდა : სვან. მადა → || ლადა.

სვან. მანწუ ბზ., მანწუ ბქ., ლნტ., მანწუ ლშხ. „ჭვავი“.

ქართ. „მინას- || მიმას-“, ოკრიბ. მიმას-ტარა, ლეჩხ. მინას-ტარე „ირიგა (მცენ.)“.

ზან. —.

ქართულში ძირად გამოყოფილი **მინას-** → || **მიმას-** (ასიმილაციით) უნდა უკავშირდებოდეს ჭ ვ ა ვ ი ს აღმნიშვნელ სვანურ ალომორფებს, რომლებიც ზემოთ არის წარმოდგენილი. შესაძლებელია **-ს** ქართულში, **-შ** სვანურში, შესაბამისად, გენეტივის **-ის** და **-იშ** ნიშანთა შეკვეცილი სახეობა იყოს.

მეტად მნიშვნელოვანია საბას ლექსიკონში **მანაშა** ((ბალ.) შავი მჭადი (საბა)) ფუძის არსებობა — რაც, ჩვენის აზრით, სვანური წარმომავლობისაა — ქართველურ ტომთა კულტურული ურთიერთმიმართების ისტორიის თვალსაზრისით.

ს.-ქართვ. ***მინას-** „ჭვავი; ირიგა (მცენ.)“ → ქართ. **მინას-** → || **მიმას-** : სვან. **მანწუ** || **მანწუ** || **მანწუ** ← ***მინაში**.

სვან. **მანწა-ჟ** ზს. „თაფლისაგან გამოწვეული ავადმყოფობა; მათრობელა“, **მანწა-ჟ**-იწნ ბქ., **მანწა-ჟ**-იწნ ლნტ. „მათრობელა, მაწყინარი თაფლი“.

ქართ. **მაწა** „თაფლით ვაკეთებული საჭმელი“, ქიზიყ., ფშ. „დესერტი, ტკბილი საჭმელი“, ქართლ., მთიულ. **მაწა-ო** „რძიანა მცენარეა, საქონელს აავადებს“.

ზან. (მეგრ.) **ნოზ-**, **ნოზ-უ**-ა „მოწამლა (თევზის)“, **ნოზ-**უნ-ს „თევზს წამლავს, ნა-**ნოზ**-ა „მონაწამლი“.

სვანური ფორმალურად უფრო ახლოს დგას ქართულის **მაწა-ო** სიტყვასთან. ბოლოკიდური **-ჟ** სვანურში — **მანწა-ჟ**- და **-ო** ქართულში საერთო მონაცემია (იხ. აქვე სვან. **-ჟ** (← **-ო**) : ქართ. **-ო** : ზან. **-უ**).

საერთოქართველურისთვის ამოსავალი მნიშვნელობა **მომწამლა** - **ლ ა ვ ი**, **მ ა თ რ ო ბ ე ლ ა** თ ა ფ ლ ი ს ა უნდა ყოფილიყო.

ს.-ქართვ. ***მაწა-** „მომწამლავი, მათრობელა (თაფლი)“ → ქართ. **მაწა-**, **მაწა-ო** : ზან. **ნოზ-** (← ***მოზ-**) : სვან. **მანწა-ჟ** (← ***მაწა-ჟ**).

ქართ. **მანჭ-**, **მანჭ**-ავ-ს, ი-**მანჭ**-ებ-ა, **მანჭ**-ია (შდრ. პრანჭ-ია).

ზან. (მეგრ.) **მუნჭკ-**, უ-**მუნჭკ**-უ-ან-ს „მანჭავს“ || **მუნჭკ**-უნ-ს (პირს), **მუნჭკ-ილ-ი** „მანჭული“, **მუნჭკ-ია** „მანჭია“.

სვან. —

ზან. **მუნჭკ-** ზუსტი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისია ქართ.

მანჭ- ფუძისა. **ო** → **უ** ზანურში წინამავალ **მ**-ს მიეწერება (ტ. გუდავა).

ს.-ქართვ. ***მანჭ-** „მანჭვა“ → ქართ. **მანჭ-**, **მანჭ**-ია : ზან. **მუნჭკ-** ← ***მონჭკ-**.

სვან. **-მა-ჟუ-** → || **მან-ჟ**, ლგ-**მან-ჟ**-ე (← ლგ-**მა-ჟუ-**ე) ბზ., ლგ-**მა-ჟუ-**ე ბქ. „განელებული“.

ქართ. **ზავ**-, ა-**ზავ**-ებ-ს, შე-**ზავ**-ებ-ა (საბა), გა-**ზავ**-ებ-ულ-ი.

ზან. (მეგრ.) **ზ**-, გა-**ზ**-ე || გა-**ზ**-ი „გააშველე“, ა-**ზ**-ი-ენ-ს „აშველებს“.

ზანური სახეობა შეიძლება ქართულიდან იყოს შეთვისებული.

-ჟუ- (← **ჟაჟუ-**) ზმნური ძირი — ქართული **ზავ**-ის შესატყვისი — სვანურში დამოუკიდებლად არ იხმარება. გამოყოფილი **მა-ჟუ-** ნაზმნარი სახელია (**მა-** მასდარული პრეფიქსისათვის შდრ.: **მა**-შყანდ „ხსოვნა“, **მა**-ჯუამ „მადლობა“, **მა**-ლატ „სიყვარული“... (ქართ. **მი**-ყვარ-ობ-ა ქ. ლომთათიძე)), რომელიც გართულებულია ლგ-ე კონფიქსით — ლგ-**მაჟუ-**ე (ლგ-ე : ლგ-ზგ-ე „დასახლებული“, ლგ-ზმ-ე „გამოზომილი“, ლგ-თ-ე „მომკილი“...).

ბზ.-ში **ჟ**-ს გაუჩინარებამ საკომპენსაციო კვალი დატოვა ა-ს სიგრძე-

ში — ლგ-**მა-ჟუ-**ე → ლგ-**მან-ჟ**-ე; პროცესი საინტერესოა გრძელი ხმოვნების წარმოშობის ისტორიისათვის სვანურში.

ს.-ქართვ. ***ზაჟუ-** „გაზავება, განელება“ → ქართ. **ზავ**-, **ზავ**-ი : ზან.

ზ-(←***ჟ**-) : სვან. **ჟუ-** → || **ჟ**- ←***ჟაჟუ-** (შდრ. ხუნდ. **ჟობ**-, ანდ. **აბ-ჟ**-, ახვან. **ჟუბ**-...).

სვან. **მა-ლლაჟუ** „მოლალური“; **ლაღჟუ**- „ლეღვი“.

ქართ. **ლეღვი**-ი, მო-**ლალ**-ურ-ი.

ზან. **ლუღ**-ი „ლეღვი“, **მა-ლუღ**-ია || მე-**ლუღ**-ი-ე „მენაძვიე (ჩიტი)“.

ქართ. მო-**ლალ**-ურ-ი (← მო-**ლალჟუ**-ურ-ი) გამჭვირვალეა; ამკარად გამოიყოფა **ლაღჟუ**- არქეტიპი ლეღვის მნიშვნელობით, რომელსაც ზუსტი შესატყვისი ეძებნება სვანურში **მა-ლლაჟუ** ← **მა-ლალჟუ** ალომორფის სახით. საინტერესოა **ღ**-ს მეტათეზისი სვანურში, შდრ.: სვან. ა-**ლღაჟ**-ი „ყრის სახურავიდან თოვლს“, მაგრამ ნამყოს ნაკვეთებში: **ოხჟ-ლაღაჟ**, ან-**ლაღაჟ**-ე ბზ., **ოთ-ლაღაჟ**, ად-**ლაღაჟ**-ე ბქ.

ს.-ქართვ. ***ლაღჟუ**- „ლეღვი“ → ქართ. **ლეღვი**-, მო-**ლალ**-ურ-ი : ზან.

ლუღ-ი, **მა-ლუღ**-ია : სვან. **მა-ლლაჟუ** ←***მა-ლალჟუ**-.

ქართ. **მაშა** „ცერცვი“.

ზან. **ფაჩქა** „ფეტვი“.

სვან. —

სვანურში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი.

ქართული **მაშა**-ს შესატყვისი ზანური **ფაჩქა** შემორჩენილა საბას ლექსიკონში. **მაშა/ფაჩქა** შეპირისპირება ზანურში ისტორიული ***ბოჩქა** არქეფორმის არსებობას ვარაუდობს, საიდანაც მომდევნო ა-სთან ასიმილაციით მივიღებდით ***ბგაჩქა**-ს (შდრ. ქართ. **ყანა** : ზან. **ცონა** → || **ცვა-**

ნა...); მაგრამ **ბვ** თანმიმდევრობის შეუძლებლობის გამო, მისი გამარტივების გზით დამკვიდრდა ***ბაჩქა → ფაჩქა**.

ანლაუტური მიმართება ქართ. **მ** : ზან. **ბ** (→ **ფ**) ბუნებრივია (შდრ. **მარგ-** : **ბერგ-** „თონი“...), ხოლო ფუძის შიგნით გამოვლენილი **შ** : **ჩქ** შეფარდება საერთოქართველური **ჩ**-სგან მომდინარეობს — **ჩ** → **შ** ქართულში (შდრ. ქართ. **შუან**-ი : ზან. **ჩქვა(ლ-)** „ეშვი“, ს.-ქართვ. ***ჩუა(ლ-)**).

ს.-ქართვ. ***ბაჩ-ა** „ფეტვი, ცერცვი“ → ქართ. **მაშა** ← ***ბაჩა** : ზან. **ფაჩქა** ← ***ბაჩქა** ← ***ბეაჩქა** ← ***ბოჩქა**.

ს.-ქართვ. ***ბაჩ-ა** სიტყვის შესატყვისებია: ადილ.-ყაბ. **მაშე, მაჩ** || **მაჩ'** „ფეტვი“, აფხაზ. **ა-ჩა** „ბური“; ს.-ნაზ. **ბორც** „ფეტვი“; ხუნძ. **მუჩ**, აზვან. **მიჩ**, კარატ. **ბოჩა**, ტინდ. **ბოჩ**, ჭამალ. **ბოშა**, ბაგვ. **ბოჩა**, ანდ. **ბეჩა**, ბოთლ. **ბოჩა**, დარგ. **მუჩი** || **მიჩი** „ფეტვი“...

საერთოიბერიულ-კავკასიური ერთიანობის დონეზე **პ უ რ ი / ც ე რ - ც ვ ი / ფ ე ტ ვ ი**-ს აღმნიშვნელი ტერმინის არსებობა ჩვენი ხალხების უძველეს ტრადიციასა და კულტურაზე მეტყველებს მიწათმოქმედების დარგში.

სვან. **მაშდ** „ნალეწი მარცვლეულის ხვაფი“.

ქართ. (მოხ.) **მარსლ**-ი „დაფშენილი თივის ზვინი, თივა“.

ზან. —

ქართ. **მარსლ**-ს შესატყვისება სვანური **მაშდ** გარკვეული ფონეტიკური გარდაქმნებით: **რ**-ს დაკარგვით **-მაშდ** ← **მარშდ** და **ლ** → **დ** გადაბგერებით **შ**-ს მომდევნო პოზიციაში — **მაშდ** ← ***მარშდ**. საერთოქართველური **სლ** თანმიმდევრობა კანონზომიერად და რეგულარულად იძლევა **შდ**-ს სვანურში (შდრ. ქართ. **სლოკინ**-ი || **სლუკუნ**-ი : სვან. **შდგკგნ** || **შდუკუნ** „სლოკინი“), რაც კომბინატორული ფონეტიკური პროცესია — **სლ** → **შდ**.

ს.-ქართვ. ***მარსლ-** „ნალეწი, დაფშენილი ბალახეულის ხვაფი“ → ქართ. **მარსლ**-ი : სვან. **მაშდ** ← ***მარშდ**.

სვან. **მაშდ-ა-შა** (← **მაშდ-აშუა**) ბზ., **მაშდ-ა-შა** ბქ., **მაშდ-ა-შუა** ლშზ., **მაშტ-ა-შუა** „მარტოხელა“.

ქართ. **მარტო, მარტო ხელა/ი**.

ზან. —

სვანური **მაშდა-შუა** ქართული **მარტო-ხელა**-ს სტრუქტურული ეკვივალენტია — **მაშდ-ა** : **მარტ-ო, შუა** „ხელი“ : **ხელ-ა** „ხელი“, შდრ. **სვე**.

კომპოზიციის პირველი **მაშდ**- სეგმენტი ქართულ **მარტო**-ს მატერიალურადაც უკავშირდება, რადგანაც ცნობილია, რომ **მარტო** ← **მართო** (ქ. ლომთათიძე), ხოლო **მაშდ** (შდრ. || **შდ-ა-შუ** „მარტოხელა“) : ქართ.

მართ- (←***მა-სთ-**) ს.-ქართვ. ***მა-სთ-**ს ვარაუდობს (**სთ** → **რთ** ჩვეულებრივია ქართულ-ზანურში).

დაბოლოს, ქართ. ***მა-რთ-**ში გამოყოფილი **-რთ-** ხომ არ უკავშირდება **ე-რთ-**ი, **ე-რთ-ვ-**ი-ს, **ი-რთ-ავ-**ს : ზან. (მეგრ.) **ა-რთ-**ი „ერთი“, **ა-რთ-უ(ნ)** „ერთვის“ ფუძეთა **-რთ-**ს?

ს.-ქართვ. ***სთ-**, ***მა-სთ-** „მარტო, ერთი“ → ქართ. ***მა-რთ-ო** → **მარტო**, **ე-რთ-ი**, **ე-რთ-** || **ი-რთ-** : ზან. **ა-რთ-**ი, **ა-რთ-** : სვან. **შდ-ა-შუ** „მარტო, ცალკე“, **მა-შდ-ა-შუ-ა** → || **მა-შდ-ა-შუ-ა** || **მა-შტ-ა-შუ-ა**.

სვან. **მა-ჩხ-**, **მა-ჩხ-აფ** ბზ., **მა-ჩხ-ეფ** ლშხ., **მა-ჩჩხ-აფ** ლნტ., ბქ. „ჩანჩქერი“.

ქართ. **ჩქ-ეფ-ი**, **ჩქ-ეფ-ს**, **და-ჩჩქ-ერ-ი** „ჩანჩქერი (საბა)“.

ზან. (ჭან.) გე-**ჩხ-იალ-ონ-**ი „ჩანჩქერი“.

მნიშვნელოვანია **-აფ** || ← **-ეფ** სუფიქსის პოზიტივობა სვანურში (იხ. აქვე, § 40).

აღწერილი შეპირისპირება ბგერწერითი ხასიათისაა, ამით უნდა აიხსნას **ჩქ** || **ჩხ** კომპლექსთა მონაცვლეობა ქართველურ ენებში.

ს.-ქართვ. ***ჩქ-(ეფ-)**, **ჩქ-** „ჩქერა, ჩქეფა, ჩანჩქერი“ → ქართ. **ჩქ-ეფ-**, **და-ჩჩქ-ერ-ი** : ზან. **ჩხ-**, გე-**ჩხ-იალ-ონ-**ი : სვან. **მა-ჩხ-ეფ** → **მა-ჩხ-აფ** → || **მა-ჩჩხ-აფ**.

სვან. **მახე** ბზ., ლშხ., **მანხე** ბქ., ლნტ. „ახალი“.

ქართ. —.

ზან. [მონა] „ახალი“.

თუ სწორია ჩვენი ვარაუდი სვანური **ზომხა** ← **ზო-მონა** „ახალი წელი“ სიტყვის ზანური წარმომავლობის შესახებ, რასაც გვაფიქრებინებს

ა → **ო** (**ზა** : **ზო**) და **ე** → **ა** (**მახე** : **მონა**) ხმოვანთშესატყვისობები, მაშინ მეგრულ-ჭანური **მონა** ჩადგებოდა **მოკა** (ქართ. **მაკე**), **მონჟა** „მწიფე“, **მონდა** „მოწეული“ ისტორიულ მიმღეობათა რიგში, შდრ. **მონა-**ში; **მონ-**ირ-ი (ადგილის სახელები სამეგრელოში) = ახალი(?). სავარაუდოა ისტორიული **მონა** „ახალი“ სიტყვის არსებობა ჭანურ **ნოლა-მისა** ←***მონა-ნისა** (შდრ. ზან. **ნისა** „რძალი“) = ახალი რძალი კომპოზიტიში.

მოსალოდნელი ***მახე** ქართულში არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. ***მა-ხ-ე** „ახალი“ → ქართ. — : ზან. **მონა** : სვან. **მახე**.

სვან. **მაჯ**-, ი-**მანჯ**-ე ბზ., ლშხ., ი-**მაჯ**-ე ბქ., ლნტ. „ზიდავს“.

ქართ. **ძიმ**-, მ-**ძიმ**-ე, ი-მ-**ძიმ**-ებ-ს, ი-მ-**ძიმ**-ა.

ზან. **ჯუმ**-, მნ-**ჯუმ**-ან-ს „იმძიმებს, მოიტანს“, **ჯუმ**-ავ-ა „მძიმება“, „ზიდვა“.

გამოყოფილი **მაჯ**- სვანურში შემდგომ სეგმენტაციას ექვემდებარება —

მაჯ- ← **მა-ჯ**- (**მა**- მასდარული პრეფიქსია). ე. ი. ამოსავალში გვექონდა **ჯ**- ზმნური ძირი ზანური (მეგრული) **ჯ-უმ**- ტიპისა, აქედან მივიღეთ **მა-ჯ**- მასდარული ფორმა, საიდანაც **მაჯ**- ნასახელარი ზმნა განვითარდა.

ქართ. **მ-ძიმ**-ე ერთნაირად ეხმიანება სვანურსაც (**მა**- : **მ**-) და ზანურსაც (აუსლაუტური **-იმ** (← **-ამ**) : **-უმ**, რაცხ-/რიცხ-, კანძ-/კინძ-).

ს.-ქართვ. ***ძ**-, **ძ**-ამ- „წაღება, მძიმება“ → ქართ. **ძიმ**-, **მ-ძიმ**-ე : ზან. **ჯ-უმ**- : სვან. **მა-ჯ**-, **ჯ**-“.

სვან. **მანგ** (**მანგ-რ**-იმ/-ვლ) ზს., **მანგ-ვარ** ლნტ., **მანგ-ერ** ლშხ. „მსხვილფეხა საქონელი“.

ქართ. (მთიულ., გუდამ.) **მანგე** „დედა ცხვარი“.

ზან. (მეგრ.) **მაქვ-ენჯ-ი** „მომგები საქონელი (ძროხა, თხა, ცხვარი, კამეჩი)“, **მაქვ-ალ-ი** „კვერცხი“.

მიუხედავად ქართველურ ფუძეთა ერთგვაროვანი გაფორმებისა, აშკარაა კავშირი **გ**- „მოგება“ ზმნასთან, რომელიც ოდენ ქართულის კუთვნილებათა. ამიტომაც კონფიქსებად გამოიყოფა **მან/ა**- — **-ენ/არ** სვანურში, **მა**- — **-ე** ქართულში და **მა**- — **ენჯ/-ალ** ზანურში. შესაბამისად **ნ** სვანურსა და ქართულში, **ვ** ზანურში ფონეტიკური დანართია. ასახსნელია **გ** → **ქ** დაყრუების მიზეზი მეგრულ-ჭანურში.

ს.-ქართვ. ***გ**- „მოგება (საქონლის)“ → ქართ. **გ**-, **მან-გ-ე** ← **მა-გ-ე** : ზან. **მა-ქ(ვ)-ენჯ-ი** ← ***მა-გ-ენჯ-ი**, **მა-ქვ-ალ-ი** ← ***მა-გ-ალ-ი** : სვან. **მან-გ-(რ)** || **მა-ნგ-ვარ** || **მან-გ-ერ** ← ***მა-გ-ერ**.

სვან. **მწლ**-იდ ბზ., **მწლ**-იდ ბქ. „ტოროლა“.

ქართ. (თუშ.) **მალ**-აც-ი „ლობემძვრალა (ჩიტ)“, ხევს. **მალ**-ულ-იკ-ა „ფრინველია ერთგვარი“.

ზან. **მელ**-ი⁷.

სვანურში **-იდ** კნინობითობის სუფიქსად გამოიყოფა ისევე, როგორც თუშურში **-აც** (შდრ. მელ-**აც**-ი „მელია“). გასარკვევია ხევსურული **მალ**-ულ-იკ-ა-ს საკითხი, კერძოდ, **-ულ-იკ-ა** აქ კნინობითობის რთული აფიქსია, თუ სხვა ფუძესთან გვაქვს საქმე.

ზანურში მოსალოდნელი *მულ- ან *მოლ- ძირიანი ფორმა არ არის გამოვლენილი, შდრ. მეგრ. მელ-ყურძენე „ჩიტვაშლა“, მელ-იშ-ია „id“, სადაც გამოყოფილი მელ- ჩიტის აღმნიშვნელი ჩანს.

ს.-ქართვ. *მალ- „ტოროლა“ → ქართ. მალ- : ზან. მელ- : სვან. მწლ- || მწლ- (←*მალ-).

სვან. მწშკ ზს., ლნტ., მაშკ ლშხ. „ბარკალი, ბარძაყი“.

ქართ. ბეჭ-ი, სა-ბეჭ-ურ-ი.

ზან. —.

სვან. მ : ქართ. ბ შეფარდებისას ცვლილება სვანურშია მომხდარი ბ → მ, შდრ. ქართ. ბინჭველ-ი „ჭიანჭველა“ : სვან. მერშკ იხ. აქვე, § 10. ქართ. ე : სვან. წ, ქართ. ჭკ : სვან. შკ მიმართებისთვის შდრ.

ქართ. ჭელ- : სვან. შკაღ- ←*ჭკელ- „ჭელა“.

ს.-ქართვ. *ბეჭ- „მხარი; ბარძაყი“ → ქართ. ბეჭ-ი : სვან. მწშკ → || მაშკ.

სვან. მწშყნუა მზ., მაშყნუა ლშხ. „ათინათი, არილი“.

ქართ. მწყაზარ-ი „სუფთა, წმინდა“.

ზან. ჭყიფორ-ი „ამინდი წვიმიანი, წყლიანი, ნესტიანი“.

სვანურში ი-ს სიგრძე ბოლოკიდური რ-ს დაკარგვის საკომპენსაციო ჩანს: მწშყნუა ←*მაშყიფარ ←*მა-ჭყაფ-არ-.

ასახსნელია ა → ი პროცესის მექანიზმი სვანურში, რაც არაიშვიათად სხვაგანაც გამოჩნდება (ძალ-ი „სიმი“ : სვან. ჯილ-...). საკითხი სპეციალურ კვლევა-ძიებას საჭიროებს. ჭყიფორ-ის სემანტიკისთვის შდრ.

ქართ. წყლიან-ი → სვან. წყელიან || წყელიან „მწყაზარი, სუფთა წმინდა“.

ს.-ქართვ. მ-წყაზ-არ- „სუფთა, ნათელი“, „წყლიანი“ → ქართ.

მ-წყაზ-არ-ი : ზან. ჭყიფორ-ი (←*ჭყეფორ-ი) : სვან. მწ-შყნუა || მაშყნუა (←*მა-ჭყაფ-არ).

სვან. მეგუ ზს., მეგუი ქს. „ტოლი, თანატოლი, თანაბარი“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) მანგ-ი „სწორი, ტოლი, თანატოლი“, მანგ-ას „თანაბრად, ტოლად, სწორად“, ართი მანგ-ი „ერთმანეთის თანაბარი“.

შესაბამისი ფუძე ქართულში ვერ გამოვავლინეთ. სვან. მეგ-ზან.

მანგ- ←*მაგ- (ნ ფონეტიკური დანართია) ქართულისთვის მეგ- ფორმას

გვავარაუდებინებს. თუმცა ჯერ კიდევ გასარკვევია სვანურის უ/უი აუსლა-უტში ფონეტიკურად განვითარდა, თუ ძირეულია და ზანურმა დაკარგა. საკითხი შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

ს.-ქართვ. *მეგ(უ-) „ტოლი, თანაბარი“ → ქართ. — : ზან. მანგ-ი, მანგ-ას : სვან. მეგუ || მეგუი.

სვან. მეგუ, სა-მეგუ „ტყავი“.

ქართ. მოგვი „ფეხსაცმლის სახეობა“.

ზან. (მეგრ.) მაგუ-ია „წალა“, ჰან. მანგუ „საბელი“.

ქართველურ ენათათვის უჩვეულო ბგერათმომართება ქართ. ო : ზან. ა უნდა აიხსნას ე → ო გადაბგერების დაშვებით ქართულში. ე-ს ლაბიალიზაცია (ე → ო) პოზიციური ჩანს და განხორციელდა მ-ს ზეგავლენით, შდრ. ქართ. სითბე → სითბო, *ბატ-ი → ბოტ-ი (გ. როგავა). ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერს სვანურის ჩვენებაც. ასე რომ, უძველესი ქართული არქეტიპი *მეგუ- სახეობისად გვესახება, რომელმაც ზანურში ე → ა და-მანასიათებელი გარდაქმნით მაგუ → || მანგუ შესატყვისი მოგვცა.

საინტერესოა ჰანურ დიალექტში ფიქსირებული ს ა ბ ე ლ ი ს გ ა გ ე ბ ა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საერთოქართველური ერთობის დონეზე *მეგუ- პრაფორმა ტყავის „თასმებიან ფეხსაცმელს“ აღნიშნავდა.

შესაძლებლად მიიჩნევენ ძვ. ქართული მოგვი- სიტყვის კავშირს სვანურ ჰა-გუ „ქუსლი“ სიტყვასთან (ლ. გელენიძე), რასაც ფორმალური სიძნელებები ახლავს.

მეგრული მაგუ- ფუძე იკითხება აფხაზურ ა-მაგუ „ჩექმა“ სიტყვაში.

ს.-ქართვ. *მეგუ- „ტყავის თასმებიანი ფეხსაცმელი“ → ქართ. მოგვი (←*მეგუ-ი) : ზან. მაგუ- → || მანგუ- : სვან. მეგუ, სა-მეგუ¹.

ქართ. (ქიზიყ.) მელ-, ა-მელ-ვა „ცეცხლის მიერ შეჭამანდის დაწვა“.

ზან. (მეგრ.) მან-, მან-უნ-ს „მეტრუსავს“, მან-ილ-ი „მეტრუსული“.

სვან. —.

ზან. მან- მიღებულია მ-სთან ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად (მან- ←*მალ-). იმერ. მან-ვა „ცეცხლზე გავლება“ ზანიზმია.

ს.-ქართვ. *მელ- „მეტრუსვა“ → ქართ. მელ- : ზან. მან- (←*მალ-).

¹ სა- პრეფიქსი საკუთრივ სვანური მონაცემია და არაფერი აქვს საერთო ქართულ სა-დანინშნულუბის თავსართთან; ამ თვალსაზრისით შდრ.: ქართ. ბელ-ი : სვან. სა-ბელ „კვიცი“; ქართ. მოგვი : სვან. სა-მეგუ...

ქართ. **მენ**-ა „სენაკი“, „სამყოფი, სადგომი (საბა)“, ინგლ. **მენ**-ა-დ „თიხის ნახევარქვევრა“.

ზან. (მეგრ.) **მან**-¹, **ო-მან**-ე „სორო, ბუნაგი“, **ო-მან**-ე (ტობ.).

სვან. —.

ქართული **მენ**- ძირის შესატყვისი **მან**- ცალკე არ იხმარება ზანურ-ში. იგი უნდა ჩანდეს **ო-მან**-ე = **სა-მენ**-ე სიტყვაში.

დასავლურ დიალექტებში გავრცელებული **ო-მან-ო** ზანური წარმომავლობისაა.

ს.-ქართვ. ***მენ**- „სენაკი, სორო“ → ქართ. **მენ**-ა : ზან. მან-, **ო-მან**-ე.

ს.-ქართვ. ***მენ**-ის შესატყვისია ნახურ ენათა **ბენ** „ბუდე, ბუნაგი“, შდრ. აფხაზ. ა-**უნგ** „სახლი“...

სვან. **-მესგ** || **-მესკ**, **ლე-მესგ** ზს, **ლე-მეს** ლშხ., **ლე-მესკ** ლნტ. „ცეცხლი“.

ქართ. **მასკ-ულ**-ავ-ი → || **ვასკ-ულ**-ავ-ი → || **ვარსკ-ვლ**-ავ-ი „მნათობი“.

ზან. (მეგრ.) **მასკ-ურ-ი** || **მასქ-ურ-ი** „ვარსკვლავი, მნათობი“.

ჩვენთვის ცნობილია დებულება სვანურ ფორმათა ჩერქეზულისაგან მომდინარეობის შესახებ (ს. ჯანაშია); და მაინც, შესაძლებლად გვეჩვენება ქართველურ ფუძეთა გენეტურ ერთიანობაზე მსჯელობა. არ გამოვრიცხავთ საერთოქართველური არქეტიპის ნათესაურ კავშირს „ცეცხლის“ აღმნიშვნელ სათანადო აფხაზურ-ადილურ ფუძეებთან, შდრ. ნახ. **სკივ** „ნაპერწყალი“.

სვანურში ქართულ-ზანური **-ულ** || **-ურ** სუფიქსის ფუნქციურ შესატყვისად **ლე**- პრეფიქსი გამოდის, რომელიც სხვა ფუძეებშიც დაჩნდება: სვან. **ლე**-რთენ „მარცხენა“, შდრ. **მე**-რთენ; სვან. **ლე**-რსგუნენ „მარჯვენა“, შდრ. **მე**-რსგუნენ; სვან. **ლე**-ტეტურ || **ლე**-ტჷტურ : ქართ. ტევრ-ი...

ლაშხურში **სგ** (→ **ს**) კომპლექსი გამარტივებულია. მის არსებობაზე მიუთითებს „ცეცხლისგან“ ნაწარმოები ერთერთი ლექსემა: **მე-ლ-მესგ**-ი ლშხ., **მე-ლ-მესკ**-ი ლნტ. „მეცეცხლური“...

ს.-ქართვ. ***მესკ-ულ**- „ცეცხლი, მნათობი“ → ქართ. **მასკ-ულ**-ავ-ი → || **ვასკ-ულ**-ავ-ი → || **ვარსკ-ვლ**-ავ-ი : ზან. **მასკ-ურ-ი** || **მასქ-ურ-ი** : სვან. **-მესგ** || **-მეს** || **-მესკ**- (←***მესკ**-).

სვან. **მესგჷლა** ზს., ქს. „ნაცარქათამა“ (მცენ.).

ქართ. **ფშალა** „სვია“.

ზან. (ჭან.) **ფშქველა** „თხმელა; ახალგაზრდა თხმელა“.

სვანურში სიტყვის შიგნით **ე** გადასმულია — **მესგჷლა** ←***მსგჷელა**. მოსალოდნელი ქართ. **შ**-ს შესატყვისი სვან. **შგ** გადასულია

ჟ-ს ზეგავლენით სგ-ში, შდრ. ქართ. ვაშლ- : სვან. ჟისგჟ ←*ჟაშგჟ (ჰ. ფოგტი).

ს.-ქართვ. მ ხმოვნის წინ უცვლელად დაუცავს სვანურს, ხოლო ზა-ნურ-ქართულში დაყრუვდა მომდევნო შ-ს გავლენით (ფშალა ← მშალა, შდრ. ფხალ-ი ← || მხალ-ი).

გასარკვევია ქართველურ ენათა სემანტიკის საკითხი.

ს.-ქართვ. *მშუალ-ა „ერთგვარი მცენარეა“ → ქართ. ფშალ-ა : ზან. ფშქველ-ა : სვან. მესგჟლ-ა ←*მსგჟელ-ა.

სვან. მექჟ ზს., ქს. „ზვინი“.

ქართ. (ლექს.) მექვ-ი „ბულული, თივის პატარა გროვა“, რაჭ. ნექვ-ი „ნაწილ-ნაწილ აგროვებული თივა ზვინის დასადგმელად“.

ზან. —.

რაჭულ დიალექტში შეინიშნება მ → ნ (ნექვ-ი ← მექვ-ი).

ხომ არ ჩანს ამ სიტყვათა შესატყვისი ზანური სიტყვა ტოპონიმ მოქვ-ში (აფხაზეთი)?

ს.-ქართვ. *მაქჟ- „თივის ზვინი“ → ქართ. მექვ-ი → || ნექვ-ი : ზან. (მოქვ-?) : სვან. მექჟ.

სვან. მეჯარ ზს., ლნტ. მეჯარ ლშხ. „გაყინული თოვლი, ყინული“.

ქართ. ზარ-ზრ-, მ-ზრ-ალ-ი, ბზარ-ი „ეწოდება, თუცა შემბალი თოვლი შეყინა (საბა)“.

ზან. (მეგრ.) ბუჯრ- → || ბუიარ-აფ-ა „დაზრობა“, ბუჯრ- || ბუიარ-აფ-ილ-ი „დამზრალი“.

ქართულის დიალექტებში (გურ., ლექს.) დადასტურებული ბუინ-, გა-ბუინ-ება „გაყინვა სიცივისაგან (კაცისა)“ ზანიზმი უნდა იყოს. შედარე-ბითი ფონეტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჟ ← ჯ სვანურში, უ → გ/ი მეგრულში (შდრ. ქართ. ა : ზან. ო (→უ)).

გასარკვევია, არის თუ არა უწინარესი ქართველური ენებისთვის სა-ხელური ფუძეები, რადგანაც ზმნური ფორმები სვანურისთვისაც არის დამახასიათებელი: ი-მჯერ-ი ბზ., ი-მჯერ-ი ბქ., ლშხ., ი-მეჯარ-ი ლნტ. „იყინება“. ქართ. ზარ- უფრო ზმნურ საწყისს უჭერს მხარს.

ს.-ქართვ. *ზარ- || *მ-ზარ- „ყინვა“ → ქართ. ბზარ-, ზარ- || ზრ-, მ-ზრ-ალ-ი : ზან. ბუჯრ- → || ბუიარ- (←*მუურ-) : სვან. მეჯარ || მეჯარ || მეჯერ- (←*მე-ჟარ).

სვან. **მეჯ-** || **მჯ-**, ხ-ე-**მჯ-**წლ ზს., ხ-ე-**მჯ-**წლ (ლო-ხ-**მეჯ-**წლ, ლა-ხ-**მეჯ-**წლ-ე, ლა-ხ-**მეჯ-**წლ-ნ-ე) ლშხ. „უსაყვედურებს“.

ქართ. **ვარძ-მ-ი** (საბა).

ზან. (მეგრ.) **მანჯ-**, სა-**მანჯ-**ელ-ი „მიზეზი, საბაბი“, ი-სა-**მანჯ-**ელ-უ-ან-ს „მიზეზებს“, გა-**მანჯ-**ებ-ა „დამშვიდება“ ← ეტ. „**მიზეზის, საბაბის** მოხსნა“.

ქართ. **ვარძ-**, **ვარძ-მ-ი** „უარის თქმა“, მე-**ვარძ-მ-ე** (საბა) ისტორიულად **ვერძ-** არქაული სახეობიდან მომდინარეობს.

ს.-ქართვ. ***ვერძ-** „საყვედური, უარი, საბაბი“ → ქართ. **ვარძ-**, **ვარძ-მ-ი** : ზან. **მანჯ-** ← ***მაჯ-** : სვან. **მეჯ-** || **მჯ-**.

ქართ. **მოცვი** || **მოცვ** „სელშავი“.

ზან. „**მუჩუ**“ „მთის ჩადუნა“.

სვან. —.

ზანური შესატყვისი შემონახულია ქართული ენის ლეიხუმურ დია-ლექტში. აუსლაუტში **ვი** → **უ** გადასვლა დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია მეგრულში: ქართ. ქაცვი → მეგრ. ქაცუ, ქართ. კავი → მეგრ. *კადვი → კადუ... ე. ი. ზან. (მეგრ.) **მუჩუ** ← **მუჩვი** (შდრ. ქართ. **მოცვი**).

ქართული **მოცვი** ფუძე უნდა ჩანდეს **მარცუ-ალ-** || **მარცვ-ალ-** სიტყვაშიც; ე/ა → **ო** ბაგისმიერებთან ბუნებრივია სიტბე → სიტბო... (შდრ. მთიულ. **მაც-ილ-ა** ← **მაცვ-ილ-ა** „მოცვი“).

ს.-ქართვ. ***მა(რ)ცუ-** „მოცვი; მარცვლოვანი“ → ქართ. **მარცვ-ალ-ი**, **მოცვი** (← **მაცვი**) : ზან. **მუჩუ** ← ***მუჩვი** ← **მოჩვი**.

სვან. **-მტყუალ**, **ნა-მტყუალ** „მონათესავე, ერთი ოჯახიდან წამოსული“.

ქართ. **მერთყვილ-ი** „ქუსლი“.

ზან. —.

ქართულ-სვანურ ფუძეთა ერთიანობის იდეა ამ შემთხვევაში ემყარება „ქუსლი“ სიტყვიდან ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინის მიღების შესაძლებლობას, შდრ. ქართ. ქუსლი-ი → ქვისლი-ი.

ს.-ქართვ. ***მე(რ)ტყვილ-** „ქუსლი“ → ქართ. **მერთყვილ-ი** : სვან. **ნა-მტყუალ**, **-მტყუალ** ← ***მეტყვილ**.

სვან. **მუდ-ჟ** „თხუნელა“.
ქართ. **მუდო** „დიდი თაგვი, თხუნველა (საბა)“.
ზან. (მეგრ.) **მუდუ** „მუხვი“.

ბოლოკიდური **-ჟ** (←**-ო**) სვანურში ქართული **-ო**, ზანური **-უ** დე-რივაციული სუფიქსის შესატყვისია; სხვაგანაც დაჩნდება (ქართ. **ფერ-ო** : სვან. **ფარ-ჟ** იხ. აქვე ქართ. **-ო** : სვან. **-ჟ** (სუფ.)).

ს.-ქართვ. ***მუდ-ო** „თხუნელა, მუხვი“ → ქართ. **მუდ-ო** : ზან. **მუდ-უ** : სვან. **მუდ-ჟ** ←***მუდ-ო**.

სვან. **მუსჟ** || **მუს** „თოვლი“.
ქართ. **ნისლ-ი**.
ზან. **ნირს-ი** „ნისლი“.

ცნობილია სვან. **მუს(ჟ)** სიტყვის კავშირი ადიღურ ენათა **ჟასგ** || **ჟას** „თოვლი“ სიტყვასთან; ივარაუდებოდა სვანური ფორმის ადიღური წარმომავლობა (ს. ჯანაშია). შესაძლებლად მიგვაჩნია **მუს-ჟ**— სიტყვის ეტიმოლოგიური კავშირი ქართულ-ზანურ **ნისლ-/ნირს-** ← **ნისრ-** ფუძეებთან, შდრ. **ნ** → **მ** (§ 13), **ლ** → **ჟ** (§ 3) სვანურში — სვან. ***ნისჟ-** → ***მისჟ** → ***მუის** → **მუს** || **მუსჟ**. სემასიოლოგიური გადაწყვეა **ნისლი** → **თოვლი** სვანურში განხორციელდა, რაც სავსებით კანონზომიერია.

ს.-ქართვ. ***ნის-ლ-** „ნისლი“ → ქართ. **ნისლ-ი** : ზან. **ნირს-ი** ← **ნისრ-ი** : სვან. **მუსჟ** || **მუს** ←***მისჟ** ←***ნისჟ-**.

ს.-ქართვ. ***ნის-ლ-** არქეტიპის შესატყვისებია: ბაცბ. **დოხ-კ**, ინგ. **დოხ-ქ**, ჩაჩნ. **დოხ-ქ** „ღრუბელი“: ხუნძ. **ნუნ**, დარგ. **დირინჟ**, ლაკ. **თურლუ**, ლეზგ. **ცაიქ** ←***თაინჟ**, თაბ. **დი ც** ← **დინჟ**, აღ. **დიქ** ←***დინჟ**., არჩიბ. **დილჟ** „ღრუბელი, ნისლი“ (შდრ. ადიღ. **ჟასგ**, ყაბ. **ჟას** „თოვლი“ (?)).

სვან. **მუდჟლ** ბზ., **ბუდუღლ** ლნტ., **ბუდჟლ** ბზ., ლმხ. „ხოჭო, მწერი“.

ქართ. **მდილ-ი** „მატლი; ჩრჩილი“, და-**მდილ-ულ-ი** : ზან. (მეგრ.) **მურღულ-ია** „ბუზარა“, **მურღულ-ია** „ად. საკ. გვ.“, ჭან. **მურღულ-ი** (ჰიდრონ.).

ქართული და სვანური სახეობების დაკავშირება არ არის ახალი (ჰ. ფენრიხი); მნიშვნელოვანია **მურღულ**-ის არსებობა ჭანურ დიალექტსა (ი. ყიფშიძე) და მეგრულში. უძველეს ქართულ ფორმად ***მღულ**-ი გვესახება : **მღულ**-ი → **მდილ**-ი, შდრ. ფუც-ი → ფიც-ი, მძუძე → ძიძა...

ს.-ქართვ. *მღ-ულ- „მლილი, მწერი“ → ქართ. მლილ-ი ←*მღულ-ი :
ზან. მურღულ-ი || მურღულ-ია : სვან. მულულ → || ბულულ.

სვან. მულ-ულ ბზ., მულ-ულ ბქ., ბულ-ულ ლმზ., ბულ-ულ ლნტ.
„ჭიალუა“.

ქართ. ბაღა „კუ, დიდი კუ (საბა)“.

ზან. (მეგრ.) ფულუ „თხუნელა, მუხვი“.

სვანურისთვის უფრო ძველ სახეობად ივარაუდება *ბაღუ- არქეტი-
ბი, სადაც ბოლოკიდური უ ქართ. ა-სა და ზან. უ-ს შეესაბამება, შდრ.
ქართ. ციცა : სვან. ციცუ... თანამედროვე ალომორფები მიღებულია ა-ს
ლაბიალიზაციითა და ფუძეზე -ილ კნინობითობის სუფიქსის დართვით:

*ბაღუ-ილ → *ბაღულ → ბულულ || მულულ.

მეგრული ფულუ კანონზომიერად ასახავს საერთოქართველურ ბაღ-ა
ფუძეს. აქ სახეზეა (ა →) ო → უ და ბ → ფ ფონეტიკური პროცესები:
ქართ. ბაღა : ზან. ბოღო → ბულუ → ფულუ. მეგრულ ფულუ-ს საბას
ლექსიკონში ვაფიქსირებთ.

ბერძნულში დადასტურებული ფაღ-ულ- ქართველურ წარმომავლო-
ბას ვარაუდობს.

ს.-ქართვ. *ბაღ-ა „ჭიალუა, მუხვი“ → ქართ. ბაღ-ა : ზან. ფულ-უ
(←*ბოღ-ო) : სვან. მულ-ულ || მულ-ულ || ← ბულ-ულ || ბულ-ულ
(←*ბაღუ-ილ).

ს.-ქართვ. *ბაღ-ა სიტყვას შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერი-
ულ-კავკასიურ ენებში. — შდრ.: დარგ. მილიღ ←*მიღილ, არჩიბ. მილი-
ხუ ←*მიხუილ, თაბ. მოღაჯ ←*მოჯალ, აღ. მღაჯუ ←*მანჯალ, რუთ.
მულჯხ ←*მუხჯლ, წახ. მუჯ, უდ. მეჯ, ხინ. მოქუ „ჭია“...

სვან. მუშგურ-ი || მუშგურ-ი ზს., ლმზ., მუშკურ-ი ლნტ. „სტუ-
მარი“, ი-მშგურანე ბზ., ლმზ., ი-მშგურან-ე ბქ., ი-მშკურან-ე ლნტ. „გაისტუმ-
რებს“.

ქართ. ციქუ-, ვ-ციქუ-, მო-ციქულ-ი, სა-ციქუ-ელ-ი.

ზან. (მეგრ.) ჩქვ-აფ-ა, ჩქ-უმ-ალ-ა, ვ-ო-ჩქვ-ან-ქ „ვაგზავნი“, მიდგ-მა-
ჩქვ-ი „გამეგზავნე“; ჰან. ჩქვ- || შქვ-, ვ-ო-ჩქვ-ი || ვ-ო-შქვ-ი „გავგზავნე“.

სვანურ მუ-შგურ-არ || მ-შგურ-ან- ფუძეთა შედარება ზმნურ შგურ-ს
გამოგვავოფინებს, რომელიც საერთოა ქართ. ციქუ-, ზან. ჩქუ- ფუძეებ-
თან. ცხადია, ზან.-სვან. შკუ- || შგურ- || ჩქუ- ←*ჩიქუ-.

სვან. მუ-შგუ-პრ-ი || მუ-შკუ-პრ-ი (←მუ-შქუ-არ-ი) აგებულებით ახლო დგას ქართ. მო-ციქ-ულ-თან (←მო-ციქუ-ილ). მნიშვნელობითაც სტუმრის სემა მოსულის, მოციქულის (მოგზავნილის) გაგებიდან განვითარდა.

ბალსზემოური ციქუ „შიკრიკი“ ქართულიდან ჩანს შესული და დაზღვევებლად აჩვენებს ი → ე → ა უკუუმლაუტის რეალურობას, რაც მომდევნო უ-ს მიეწერება (მ. ქალდანი). ციქუ სახელი დამოუკიდებლად არ შეგვხვდრია ქართულში, რომ უნდა ყოფილიყო, ამას სვანური აჩვენებს.

ს.-ქართვ. *ციქუ- „გაგზავნა; მოციქული (სტუმარი)“ → ქართ.

ციქუ-, მო-ციქ-ულ-ი, «ციქუ-ი» : ზან. ჩქვ- || შქვ- : სვან. «შგუ- → || შკუ-», მუ-შგუ-პრ-ი → || მუ-შგუ-რ-ი || მუ-შკუ-პრ-ი || მ-შგუ-ან- || მ-შკუ-ან-.

ქართ. მუჭ-ი, მუჭ-ა, მუჭ-ეულ-ი, მუჭ-ავ-ს, მუჭ-ვ-ა.

ზან. «მუჭკ-ა».

სვან. —.

ქართული მუჭ-ა სახეობის ზანური შესატყვისი მუჭკ-ა უნდა ჩანდეს გურულ მუჭკ-ა სიტყვაში, რომელსაც მუჭეულის სემანტიკა ახასიათებს: მუჭკა „ერთი მუჭა; ის, რაც ცალი ხელით დაიჭირება“.

ს.-ქართვ. *მუჭ- „მუჭი, მუჭა; მუჭვა“ → ქართ. მუჭ-ი, მუჭ-ა, მუჭ- : ზან. მუჭკ-ა.

სვან. მუჭუ || მიჭუ ზს., ქს. „რქა“.

ქართ. მურწ-ი, მურწ-ა „წვერა“.

ზან. —.

ქართულში მურწ- ფუძის მნიშვნელობა დაჩრდილულია; მის ამოსავალ სემანტიკაზე წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ სინონიმური სახელწოდებებიდან გამომდინარე, მურწ-აც და წვერ-აც ქართულში ერთსა და იმავე თევზს მიემართება. სახელდება აქ მოტივირებული ჩანს თევზის გარეგნული ნიშნით (ამ შემთხვევაში ჭარბი წვერიანობით). აღნიშნულ სიტყვათა ფორმალური მიმართება ამაგრებს ჩვენს ვარაუდს რქა (სვანური) ~ წვერი (ქართული) სემანტემათა ერთიანობის შესახებ. სვანური მუჭ-უ || მიჭუ ←*მუჭ ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია ქართული მურწ-ი (საბა) სიტყვისა; მხოლოდ სვანურში რ დაიკარგა, რაც არაიშვიათად სხვაგანაც წარმოჩნდება (ქართ. კრატცხ-ლ- : სვან. ჭიშხ ←*კირჩხ, ქართ. ბერჯ-ი : სვან. ბაჯ- ←*ბერჯ-...). ამდენად, უძველესი სვანური ფორმა — ქართული მურწ-ის შესატყვისი — უნდა ყოფილიყო *მურჯ- ←*მურჭ-ი.

ს.-ქართვ. *მურწ- „წვერი, რქა“ → ქართ. მურწ-ი || მურწ-ა : სვან.
მუჭ-უ || **მიჭუ** ←***მუჭ** ←***მურჭ-ი**.
ს.-ქართვ. *მურწ- ძირს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერი-
ულ-კავკასიურ ენებში: ნახ. მურწარ „დინგი, ხორთუმი“; დალ.: ჭამ. მურწა
„წვეტი“, დიდ. ენ. ცემი ←*მეწი, ლაკ. მურწუ, ლეზგ. მურტ ←*მურწ,
არჩიბ. მეწე, თაბ. მურჩ ←*მუჭ, ად. მურტ ←*მურწ „წვერი“...

სვან. მუჭხუ-ი ზს., ლშხ., მუჭახუ-ი ლნტ. „ტკბილი“.
ქართ. წმახ-ე, წმახ-ი „არს, რომელი პირველ არამჟავე იყოს და
მომჟავედეს მცირედ (საბა)“.

ზან. (ჭან.) მკონა, ელა-მკუნ-ერ-ი „ცხარე“, მეგრ. ჭვან-ე (←*მკო-
ნა-ე) „მჟავე“.

სვანურ-ჭანური ფორმები თვალნათლივ აჩვენებენ, რომ ქართული
წმახე || **წმახ-ი** ← **მწახ-ე** || **მ-წახ-ი** (შდრ. აგრეთვე ქართ. **ჭმახ-ი** ||
მჭახ-ი, **მ-ჭახ-ე**).

სვანურის ჩვენება სემანტიკის თვალსაზრისითაც უფრო ძველია და
უახლოვდება მ წ ი ფ ე ს, მ ო ს უ ლ ი ს გაგებას, საიდანაც განვითარდა
ქართულ-ზანური ს ი მ ჟ ა ვ ე — მ წ ი ფ ე → გ ა დ ა მ წ ი ფ ე ბ უ ლ ი
→ მ ჟ ა ვ ე: „პირველ არამჟავე იყოს და მომჟავედეს მცირედ (საბა)“.

საერთოდ სემანტიკური მიმართება ტ კ ბ ი ლ ი ~ მ ჟ ა ვ ე ბუნებ-
რივია. მსგავსი სურათი დავადასტურეთ დალესტნის მონათესავე ენებშიც —
ხუნდ. მიწა-ა.; უდ. მუჭ „ტკბილი“ : ხინალ. მიწ „მჟავე“.

ს.-ქართვ. *წახ-, *მ-წახ-ე „ტკბილი, მწიფე“ → ქართ. წმახ-ი || წმა-
ხე (←*მ-წახ-ე) : ზან. მ-კონ-ა || ჭვან-ე (←*მ-კონ-აე) : სვან. მუ-ჭახ-უ-ი
→ || მუ-ჭხ-უ-ი || მუ-ჭხ-უ-ი.

სვან. მუჭუნარ-ი ბზ., მუჭუნარ-ი ლშხ. „ასკილი“.

ქართ. მაყვალ-ი || მაყუალ-ი.

ზან. (ჭან.) მუყ-ი, მეგრ. მუყ-ი || მუყ-ია „მაყვალი“.

საინტერესო შესატყვისობა ვლინდება სემანტიკის დონეზე — ქარ-
თულ-ზანური მაყვალი : სვანური ასკილი.

ფორმალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ყ → ჯ (იხ. აქვე
§ 34.), ლ → რ (იხ. აქვე § 6.) გადასვლა და ა-ს ლაბიალიზაციის პრო-
ცესი სვანურში (გ. მაჭავარიანი).

ს.-ქართვ. *მაყუ-ალ- „მაყვალ“ → ქართ. მაყვალ-ი || მაყუალ-ი :
ზან. მუყ-ი || მუყ-ი || მუყ-ია : სვან. მუჭუწარ-ი || მუჭუწარ-ი
(←*მაჭუალ-ი).

ქართ. მჯურ-en-i || მჯურner-i.
ზან. ბუღერ-ი „ნაშარდი“, ბუღერ-ამ-ი „შარდის სუნიანი“, ჭან.
ჯღირ-, ო-ჯღირ-უ „ყროლა“.
სვან. —.

სემანტიკური მიმართება საეხებით კანონზომიერია.
მეგრულში მ → ბ ჩვეულებრივია, რასაც ჯ-ს სპირანტიზაცია მო-
ჰყვება ხოლმე (შდრ. ქართ. რძე : მეგრ. ბუა ← მჯა).

ს.-ქართვ. *ძღერ- „განავალი; შარდი“ → ქართ. m-ჯურ-en-i ||
m-ჯურner-i : ზან. ბ-უღერ- || ← ჯღირ- (შდრ. დარგ. ჯიჭ, ლეზგ., თაბ.
ჩუს, წახ. ცირხ... „შარდი“).

სვან. მგ-კრ-ა ზს., ქს. „სახნისი“.
ქართ. რ-კინ-ა, სა-რკინ-ეთ-ი (ტობ.).

ზან. (ჭან.) ე-(რ)კინ-ა || ი-კინ-ა, ტი-კინ-ა ←*დი-კინ-ა, მეგრ.
რ-კინ-ა || კინ-ა „რკინა“, კინ-ა-ხონ-ა „სახნისი“.

მეგრული კინ-ა-ხონ-ა „სახნისი“ ტერმინის ეტიმოლოგია იძლევა შე-
საძლებლობას საერთოქართველური (რ)-კინ-ა ძირი დავინახოთ სვანურ
მგ-კრ-ა „სახნისი“ სიტყვაში. როგორც ეტყობა, სვანური მგ-კრ-ა, მეგრულ-
ლი კინ-ა-ხონ-ა სიტყვათა წარმოშობა დაკავშირებულია რკინის სა-
ხნისის გამოყენებასთან ხის სახნისის საპირისპიროდ. რ-კინ-ა სახნისის,
იარაღის სინონიმური ცნება ხდება (შდრ. გურ. რკინა „ცული“, რაჭ.
რკინ-ი-კეტი „ძალაყინი“) ქართველურ სინამდვილეში.

საერთოქართველური ერთობის დონეზე რკინა-სახნისის არსებობა
მნიშვნელოვანი ფაქტია კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც.

ს.-ქართვ. *რ-კინ-ა „რკინა, იარაღი“ → ქართ. რ-კინ-ა : ზან.
ე-(რ)კინ-ა || ი-კინ-ა || რ-კინ-ა || კინ-ა : სვან. მგ-კრ-ა ←*მგ-კირ-ა
←*მი-კინ-ა¹.

ს.-ქართვ. რ-კინ-ა ფუძის შესატყვისებია: ს.-ნახ. კორ „ნახშირი“,
ლეზგ. რაკ, თაბას. რუკ „რკინა“...

¹ სვანურ *მი-კინ-ა არქეფორმის მი- თავსართი ისევე მიემართება ჭანურ *დი- (*დი-კინ-ა)
პრეფიქსს, როგორც სვან. მგრშკ : ჭან. დიმჭკუ : ძვ. ქართ. ჯინჭვ-ელ-ი ←*დინჭვ-ელ-ი
სიტყვებში, შდრ. ზ. იმერ. ბინჭველ-ი „id“ ე. ი. მ- ← ბ-, დ- → || ჯ- ფუძეს შეხორცებ-
ული ნივთთა გრამატიკული კლასის ნიშნებია.

სვან. **მენთილ** ბზ., ლშხ., **მენთილ** ლნტ. „მენთილი“ (მცენ.).

ქართ. **მენთილ**-ი (მცენ.).

ზან. (ჭან.) **მარტინ**-ი „თოლია“ (ფრინ.).

მენთილ-ი აბზინდასმაგვარი მცენარეა ქართულში, მისი კანონზომიერი სვანური შესატყვისიც ფლორის აღმნიშვნელია. მნიშვნელობის მხრივ განსხვავებას ქმნის ჭანურის ვითარება, სადაც ზუსტი ფონეტიკური ეკვივალენტი **მარტინ**-ი (შდრ.: ქართ. **ე** : ზან. **ა**, ქართ. **ლ** : ზან. **ნ** — შურდ-ულ-ი : შქურდონ-ი...) თოლიას აღნიშნავს. ფრინველის სახელწოდება რომ მცენარის აღმნიშვნელი გახდეს, ამის პარალელი სხვაც მოიძებნება, შდრ. ქართ. **შროშან**-ი 1. „შოშია“, 2. „ბაღის ბოლქვიანი მცენარე“ ← ბაცბ. **შორშან** „შოშია“...

ჭანურ შესატყვისში საერთოქართველური **ნ** → **რ** გადაბგერება შეინიშნება, რაც აქ გავრცელებული პროცესია, შდრ.: მეგრ. შინკა/ჭან. შურკა „ნესვი“, მეგრ. ჭინჭა/ჭან. ჭურჭა „ლობემძვრალა“, ს.-ქართვ. ბან- „დაბანა“ → მეგრ.-ჭან. ბონ-, მაგრამ თანხმონის წინ ჭან. ბორ-, უ-(მ)ბორ-ტ-უ-შა || ← უ-მბონ-ტ-უ(შა) „სანამ უბანდა“...

ს.-ქართვ. ***მენთ**-ილ- „თოლია“ → ქართ. **მენთილ**-ი : ზან. **მარტინ**-ი ← ***მანთილ**-ი : სვან. **მენთილ** || ← **მენთილ**.

ს.-ქართვ. ***მენთ**-ილ- არქეტიპიდან მომდინარე ზანური **მარტინ**-ფუძე გავრცელებულია ნასესხობის სახით მსოფლიოს მრავალ ენაში: რუს. **мартын**, უკრ. **мартiн**, გერმ. **Martin-s-vogel**, ფრანგ. **mârtin-pecheur**, **martin-chasseur**, ინგლ. **Martin**... დასახელებულ ენებში ის თურქულ ელემენტად ითვლებოდა (ფ. მიკლოშიჩი).

სვან. **მე-ნჩხირ** ბზ., ლშხ., **მე-ნჩხრ**-ი ბქ. „გავარვარებული“.

ქართ. **ცხელ**-ი.

ზან. **ჩხე** ← **ჩხელ**- „ცხელი“.

სვანურში **მე**-ი ამ რიგის სიტყვებში კონფიქსად გამოყოფა (შდრ.

მე-ცხ-ი „ცივი“ : ქართ. **ცხრ**-ო : ზან. **ჩხურ**-უ) — ***მე-ჩხირ**-ი → **მე-ნჩხრ**-ი || **მე-ნჩხირ**-. **ნ** ფონეტიკური ჩანართია (ს. ყლენტი).

საგულისხმოა **ლ** → **რ** ზანურისმაგვარი გადაბგერება სვანურში, რაც სხვაგანაც დაჩნდება (იხ. § 6).

ს.-ქართვ. ***ცხ**-ელ- „ცხელი“ → ქართ. **ცხელ**-ი : ზან. **ჩხე** ← **ჩხელ**- : სვან. **მე-ნჩხირ** || **მე-ნჩხრ**-ი ← ***მე-ჩხილ**-ი.

სვან. **მენწლა** ზს., ქს. „კალია“.

ქართ. (ქიზიყ.) **მუწ-აკ-ი** „წვრილი მწერია ერთგვარი“.

ზან. **მუნწ-ი** „ტყის პატარა სულდგმულია რალაც“ (ი. ყიფშიძე).

სვანურსა და ზანურში **ნ** ფონეტიკური ჩანართია.

ქართული -აკ კნინობითობის სუფიქსია (ა. შანიძე), რომელსაც სვან.

-ლა (←*ილა) შეეფარდება ფუნქციურად — **მენწლა** ←***მუწ-ილა**.

ს.-ქართვ. ***მუწ-** „პატარა მწერი; კალია“ → ქართ. **მუწ-აკ-ი** : ზან.

მუნწ-ი ← **მუწ-ი** : სვან. **მენწლა** ←***მუწ-ილ-ა**.

სვან. **მგრტ-ენ** || **მურთჷ-ენ** ზს., **ლერთ-ენ** ბქ., **ლერთ-ან** ლნტ. „მარცხენა“.

ქართ. **მართ-**, წარ-**მართ-ი**.

ზან. (მეგრ.) **ფურტ-**, მიშა-**ფურტ-ჷ-ა** „წახდენა, გაფუჭება, ურიგოდ ქმნა“, ქიმშა-**ფურტ-ჷ** „წახდინა, ურიგოდ ქნა“.

მართ- ფუძის ნეგატიური შინაარსი წარ-**მართ-** სიტყვაში აღძრავს აზრს მისი შესაძლო კავშირის შესახებ სვანურ **მგრტ-ენ** „მარცხენა“ სიტყვასთან. მსგავსი სემასიოლოგიური გადახრა ცნობილია ქართველურ ენებში: ქართ. მარცხ-ენ-ა → მარცხ-ი..., მეგრ. კვარჩხ-ან-ი „მარცხენა“ → კვარჩხ-ი „ბოროტი, უკუღმართი“, კვარჩხ-ენ-ს „ცუდად იქცევა; არ შეისმენს“.

სვანურში დადასტურებული ანლაუტური **მ** || **ლ** სუბსტიტუცია აიხსნება ჩვენ მიერ დადგენილი **მ** → **ლ** სპონტანური პროცესით, შდრ.

ლერსგჷენ || ← **მგრსგჷენ** „მარჯვენა“ (იხ. აქვე, § 9.).

ქართული წარ-**მართ-** სიტყვის შინაარსი „იკითხება ვაინახურ **წა(რ)მათ** ს(თ)აგ გამოთქმაში: „ცუდი, ძუნწი კაცი“, რაც ქართულიდან ნასესხობით აიხსნება.

ს.-ქართვ. ***მართ-** „უკუღმართი, მცდარი; მარცხენა“ → ქართ.

მართ-, წარ-**მართ-ი** : ზან. **ფურტ-** (←***მორტ-**) : სვან. **მგრტ-ენ** || **ლერთ-ენ** (←***მართ-ენ**).

სვან. **მგრშკ** || **მგშკ** „ჭიანჭველა“.

ქართ. (ზ. იმერ.) **ბინჭველ-ი** „ჭიანჭველა“, ლეჩხ. **ბუნჭველ-ი**, რაჭ.

ბუნჭველ-ა „id“, **ჩინჭველ-ი** ←***დინჭველ-ი**.

ზან. (ჭან.) **ბინჭკუ** „ციცინათელა“, **დიმჭკუ** „ჭიანჭველა“.

მოტანილ შეპირისპირებებში მასალობრივად ახალია ჭანური **ბინ-ჭკუ** ←***ბინჭკუ** ალომორფის მოხმობა, რაც მნიშვნელოვანია სვან.

მგრშკ/მგშკ : ქართ. **ბინჭველ-/ბუნჭველ-/ჩინჭველ-** ← **დინჭველ-** (შდრ. ჭან. **დიმჭკუ**) ფორმათა ურთიერთმიმართების ისტორიის თვალსაზრისით.

სიტყვის ანლაუტში მ/← ბ/დ მონაცვლეობა აქ მორფოლოგიურია (არნ. ჩიქობავა, გ. ბურჭულაძე...). ქართულში ბ-, დ-ს გრამატიკული კლასის ნიშნად გამოყოფას მხარს უჭერს ზანური (resp. ჭანური) ბ-/დ- მორფოლოგიური სუბსტიტუცია — დიმჰკუ/ბინჰკუ (← ბინჰკუ), ოღონდ ჭანურში ბ თავსართიანმა ალომორფმა განსხვავებული სემანტიკა შეიძინა: ჭინჰველა → ციცინათელა.

ს.-ქართვ. *ბ-/დ-ინჰჷ-ელ- „ჭინჰველა“ → ქართ. ბინჰველ-ი → || ბუნჰველ-ი/ა, ჭინჰველ-ი ← *დინჰველ-ი : ზან. ბინჰკუ ← *ბინჰკუ, დიმჰკუ ← დინჰკუ : სვან. მგშკ || ← მგრშკ ← *ბინჰკუ.

ს.-ქართვ. *ბ-/დ-ინჰჷ-ელ- არქეტიპის შესატყვისებია: ბაცბ. თანთ ← *დანტ, ინგ. ძუნთ-აგ → || ზუნგათ, ჩაჩნ. ძუნთაგ → || ზუნთაგ (ს.-ნახ. *დინტ-(აგ) ← წ.-ნახ. *დინტ-(აგ)) „ჭინჰველა“; ხუნდ. წუნწა-რა, ანდ. ენ. ჯუნჯ || ჟუნჟი || ჟუნჟა „ჭინჰველა“... ← ს.-დალ. *დუნჰ-

სვან. მგყ „მიწა-ადგილი“.

ქართ. რიყ-ე.

ზან. (მეგრ.) რეკ-ა „რიყე“, რეკა (ტობ.), რეკა-შ წყარი „ღელე თა-ბაკონში“.

მეგრული რეკ-ა კანონზომიერად ასახავს ს.-ქართვ. რიყ-ე ფუძეს; ყ → კ (ყვარია → || კვარია...), ე → ა (ა-ს წინ: ჭვიმა → ჭვემა...) გარდაქმნები აქ ჩვეულებრივია. ასე რომ, არქაული ზანური შესატყვისი *რიყ-ა სახეობისა უნდა ყოფილიყო. აუსლაუტში შენარჩუნებულია ქართ. ე : ზან. ა ბგერათშესატყვისობა, შდრ. კლდე/კირდა, მჭლე/ჭკოლა, მხე/მოხა...

პრობლემურია სვანურის ჩვენება ანლაუტში რ → მ პროცესის უნიკალურობის გამო.

ს.-ქართვ. *რიყ-ე „რიყე“ → ქართ. რიყ-ე : ზან. რეკ-ა ← რიყ-ა ← *რიყ-ა : სვან. მგყ ← *მიყ-ე ← *რიყ-ე (?).

ს.-ქართვ. *რიყ-ე არქეტიპს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერო-რიულ-კავკასიურ ენებში: ხუნდ. რატა, ჰინუნ., ჰუნზ. რატა.., ლეზგ. ნატ'ჷ, თაბ. ნატ'ჷ, ად. ნატ'ჷ, რუთ. ნატ'ჷ, წახ. ნატ'ჷ, არჩიბ. ნატ'ჷ, ბუდ. დონოტ' „მიწა“.

სვან. მგხ ზს., ლნტ. „ავდარი“, მგ-მხ-ე „ავდრის გამომწვევი პიროვნება“.

ქართ. მეს-ი.

ზან. (მეგრ.) მერეხ-ი „თავსხმა, დიდი წვიმა“, მოროხ-ია (ად. გვარი).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სვანური მგ-მხ-ე „ავდრის გამომწვევი პიროვნება“ სიტყვის ბადალი მეგრულშიც მოიძვევებოდა ისტორიულად; მისი არსებობის კვალი ემჩნევა ადამიანთა გვარის აღმნიშვნელ **მოროხ**-ია ფორმას, სახელდება მოტივირებულია საქმიანობით: **მოროხ**-ი „ავდარი“ → **მოროხ**-ია „მეავდრე“, შდრ. **მოროხ**-ია-შ(ი) სუკი „ბორცვის სახელია საბედლიანოში“.

ს.-ქართვ. ***მარხ**- „ავდარი“; „მეხი“ → ქართ. **მეხ**-ი : ზან. **მერეხ**- || ← **მოროხ**-, **მოროხ**-ია : სვან. **მეხ** ← ***მას**.

საერთოქართველური ***მარხ**- არქეტიპის შესატყვისი უნდა იყოს იბერიულ-კავკასიურ ენებში გავრცელებული შემდეგი ფორმები: ბაცბ. **მოს** (მრ. რ. **მას**-იშ) „ქარი“, ჩაჩნ. (ჭებ.) **მუოხ** (მრ. რ. **მან**-იშ) „ქარი“, **მარხ**-უო „ღრუბელი“, ინგ. **მუს** „ქარი“, **მარხ**-ჰ „ღრუბელი“; ხუნძ. **მუჩ** (-ჰური), ანდ. **მოჩი**, ბოთლ. **მუჩუ**, ბაგვ. **მუჩუ**, ტინდ., ლოდ., კარ. **მუჩუ**, ჭამ. **მუშუ** „ქარი“, ბეჟიტ. **მუშ**-ას, ჰუნზ. **მუშ**-ას., უდ. **მუშ** „ქარი“ ← ს.-დალ. ***მას**‘ჟ...

სვან. **მეხ-იმ** „მწარე“, ქს. „მჟავე“.

ქართ. **მხე** „რომელსა მჟავისა და ტკბილისა საშუალი გემო ჰქონდეს, ეწოდება მხე“; „**მხე** არს მჟავე და ტკბილი გემო აქვანდეს, არა რომელი სჭარბობდეს (საბა)“.

ზან. **«მოხა»**, შდრ. **მოხა**-სქურ-ი = მჟავე წყალი (ადგილის სახ. სოფ. მუჟავაში, ჭალეში...).

გაურკვეველია -**იმ** სეგმენტის ფუნქცია სვანურში.

ს.-ქართვ. ***მას-ე** „მჟავე“ → ქართ. **მხე** : ზან. **მოხა** : სვან. **მეხ-იმ**.

სვან. **მეხ-ირ** „კვარი“.

ქართ. —.

ზან. (ჭან.) **მას-ვა** „ნაკვერცხალი“.

სვანურში გამოყოფილი -**ირ** სუფიქსი ქართულისთვის -ელ-ს გვაგვარაულებინებს, შდრ. სვან. მენჩხ-**ირ** : ქართ. ცხ-**ელ**-. ამოსავალში -**ელ**-ის არსებობას ჭანურის ჩვენებაც მხარს უმაგრებს. -**ვა** ძირისეულ ა-სთან ასიმილაციით -**ო**-საგან მომდინარედ მიიჩნევა — მას-**ვა** ← მას-**ო** (შდრ. ხვამ-ა ← ხომ-ა „ლოცვა“, ო-ხომ-ალ-ა „დღეობა“). ჭანურში **ო** ხშირად დაჩნდება ქართული -**ელ**-ის შესატყვისად — ქართ. წნ-**ელ**- : ჭან. ჭინ-**ო**...

ამრიგად, საძიებელი შესაბამისი ფუძე ქართულში ***მეხ-ელ**- სახეობისა უნდა ყოფილიყო.

ს.-ქართვ. ***მეხ**-(ელ-) „ნაკვერცხალი, კვარი“ → ქართ. **«მეხ-ელ-ი»** : ზან. **მას-ვა** ← ***მას-ო**¹ : სვან. **მეხ-ირ** ← ***მეხ-ილ**.

¹ ამ კონტექსტში მეგრული **ნორღვა**-ს შემოტანას მოვერიდეთ, რომელიც შეიძლება **ნორცხვა**-სთან კონტამინაციით ჭანურისმაგვარ ***მარხვა**-ს ინახავდეს.

სვან. **ნა-ბან** ზს., **ნა-ბან** ლზზ. „ფიცი“, **ი-მ-ბან-აღ** (აფ-**ნა-ბნ-ან**, ად-**ნა-ბნ-ი**) ბზ., **ი-მ-ბან-აღ** (ად-**ნა-ბნ-ი**) ბქ. „ფიცება“.

ქართ. **ბან-** || **ბარ-**, **უ-ბნ-** „ეუბნება“, **უ-ბრ-**ად, **ნა-უ-ბარ-**ი, **სა-უ-ბარ-**ი.

ზან. —.

სვანურში **ნა-** პრეფიქსია და უნდა გამოიყოს (შდრ. **ნა-ბურ** „შეღამება“, **ლი-ბურ-**ე „დაღამება“, **ნა-ბოზ** „სალამო“, **ლი-ბზ-**ე „სალამობა“, **ბაზ-ი** „ამალამ“...).

ქართულში **ნ** → || **რ** მონაცვლეობა მორფონოლოგიურია (გ. დეეტერსი), ხოლო პრეფიქსი **უ-** იგივე წარმოშობისაა, რაც **უ-წყ-ი-ს** სიტყვაში.

რა კავშირშია ქართ. (გურ.) **ნა-ბდ-ვ-ა** „დაფიცება“ ზემოთ აღწერილ ფუძებთან (**ნაბდ-** ← ***ნა-ბნ-**, განკაცნა → განკაცდა)?

ს.-ქართვ. ***ბან-** || ***ბარ-** „ფიცი, თქმა“ → ქართ. **უ-ბან-** → || **უ-ბნ-**, **უ-ბარ-** || **უ-ბრ-** : სვან. **ნა-ბან** || **ნა-ბან**, **მ-ბან-** || ← **ნ-ბან-** || **ნა-ბნ-**.

სვან. **ნადრ-ა** ბზ., **ნადრ-ა** ბქ. „თივის ბულული“, „ჩალის კონა“.

ქართ. (რაჭ.) **ვიდრ-**ი „ბზესავით დაფშვნილი ხმელი თივა“.

ზან. —.

ქართველურ ფუძეთა შედარებითი ანალიზი გამოაჩენს ანლაუტში სვან. **ნ** : ქართ. **ვ**, ერთი შეხედვით, უჩვეულო შეფარდებას. მსგავსი სურათი სხვა მაგალითშიც ვლინდება — სვან **ნაკ** : ქართ. **ვაკ-ე** : ზან. **ნაკ-ა** „ვაკე“. ამოსავალი ვითარება, ჩვენი ვარაუდით, ქართულს დაუცავს (იხ. აქვე, § 21).

ახსნას ითხოვს ხმოვანთა ინლაუტური მიმართება; სვანური **ა** || ← **ჲ** საერთოქართველური **ი-ს** შემდგომ ევოლუციად გვესახება. **ი** → **ე** → **ჲ/ა** პროცესი მომდევნო **ა-ს** ზეგავლენას მიეწერება (მ. ქალდანი).

ს.-ქართვ. ***ჲიდრ-** „ჩალის კონა; ხმელი თივის ბულული“ → ქართ. **ვიდრ-**ი : სვან. **ნადრ-ა** || **ნადრ-ა** ← ***ნედრ-ა** ← ***ნიდრ-ა**.

სვან. **ნან-აგ** → || **ლან-აგ** „დედულეთი“.

ქართ. (გურ.) **ნენა-ი** || **ნენე-ი** „დედა“, აჭარ. **ნენე-მ** „ბებია; დედა“.

ზან. **ნანა** „დედა“, **ნან-დიდ-ი** „დიდედა“.

სვანურში ძირად გამოიყოფა **ნან** → || **ლან** (დისიმილაციით), ხოლო **-აგ** დანიშნულების გამომხატველი სუფიქსია, მჟღერი ალომორფი **-აქ-**ისა (**ნან-აგ** ← **ნან-აგ** „სადედე → დედულეთი“). ***ნენა** → **ნანა** → **ნან-** || **ლან-** სვანურში აუსლაუტურ **ა-ს** მიეწერება (მ. ქალდანი).

ს.-ქართვ. ***ნენ-ა** „დედა“ → ქართ. **ნენ-ა** → || **ნენ-ე** : ზან. **ნან-ა** : სვან. **ნან-** → || **ლან-** ← ***ნენ-ა**.

ქართ. **ნარდ-**ი „ერთგვარი ყვავილი“, „სუმბული (საბა)“.
ზან. **ნორდ-**ი „ხის გადანაჭერზე ამოსული ნორჩი ღერი“.
სვან. —.

ქართულ **ნარდ-**ის შესატყვისი ზანური **ნორდ-**ი მეგრულსა და ჭანურ დიალექტებში დაკარგულია. ზანური ეკვივალენტი შემოგვინახა გურულმა კილომ, სადაც **ნორდ-**ის ძირითადი მნიშვნელობაა **ნორჩი ღერი**, რაც ყვავილისგანაა განვითარებული სემანტიკური გადახრით — ყვავილი → ნორჩი ღერი.

თუ გავითვალისწინებთ **გ : ნ** მიმართების ფონეტიკურ შესაძლებლობას ქართველურ ენებში (ქართ. **გაკე** : ზან. **ნაკა**), დასაშვები ხდება ფორმათა ამ რიგში ქართული **ვარდ-**ის შემოტანაც. **ვარდ-**ის ინდოევროპული ნასესხობის ჰიპოთეზა (მ. ანდრონიკაშვილი, თ. გამყრელიძე, ვიაჩ. ივანოვი) არ არის სათანადოდ არგუმენტირებული. საეჭვოა მისი საერთოინდოევროპული წარმომავლობაც დისტრიბუციული შეზღუდულობის გამო (ძვ. ბერძნული, ავესტა, ლათინური).

შესაბამისი სვანური ფუძე არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. ***ვარდ-** „ყვავილი; სუმბული“ → ქართ. **ნარდ-**ი, **ვარდ-**ი : ზან. **ნორდ-**ი.

სვან. **ნა-ჟარ-**, ხ-ო-**ნ-ჟარ-**ი (ო-ხჟ-**ნა-ჟარ**) ზს., ხ-ო-**ნ-ჟარ-**ი (ო-ხ-**ნა-ჟარ**) ლშხ., ხ-ო-**ნა-ჟარ-**ი ლნტ. „უძლებს“.

ქართ. **ძალ-**, **ძალ-**ი, **ძალ-**ა, **ძლ-**ევ-ა, და-**ძალ-**ებ-ა, მ-**ძლ-**ე, უ-**ძლ-**ო, უ-**ძლ-**ურ-ი, **ძალ-**იერ-ი || **ძლ-**იერ-ი, მ-**ძლ-**ავ-რ-ი, **ძალ-**ოვ-ან-ი.

ზან. (ჭან.) მე-**ნჯელ-**ი „ძლიერი“, უ-მე-**ნჯელ-**უ „უძლური“, მეგრ. **ნჯოლ-**, მო-**ნჯოლ-**უნ-ს „ძლევს“, მო-**ნჯოლ-**ირ-ი „ძლეული“.

სვანურ **ნა-ჟარ-**ში **ნა-** დამოუკიდებელ პრეფიქსად გამოიყოფა (შდრ. **ნა-**ბან „ფიცი“, **ნა-**ბურ „შელამება“ და სხვა).

ქართ. **ძალ-**ის შესატყვისად სვანურში ***ჯალ-**ს მოველოდით, საიდანაც მოგვიანებით დამახასიათებელი დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაციის გზით ჯერ ***ჟალ-** მივიღეთ, ხოლო შემდგომ სპორადული **ლ** → **რ** (იხ. § 6) გადასვლით **ჟარ-** განვითარდა.

ზანური შესატყვისებიდან მეგრულს უფრო ძველი ვითარება შემოუნახავს — ქართ. **ძალ-** : მეგრ. **ნჯოლ-** (← **ჯოლ-**); ჭანურში სახელური ფუძე დასტურდება, სადაც ძირეული ამოსავალი **ო** პრეფიქსულ მე-სთან ასიმილაციით **ე**-შია გადასული (მე-**ნჯელ-**ი ← ***მე-ნჯოლ-**ი), შდრ. ასევე : ჭან. კორეცხ-/მეგრ. კოროცხ- : ქართ. რაცხ-...

ს.-ქართვ. ***ძალ-** „ძალა; ძლევა, გაძლება“ → ქართ. **ძალ-** || **ძლ-** : ზან. **ნჯოლ-** || **ნ-ჯუელ-** ← **ჯოლ-** : სვან. ნა-ჟარ- || **ნა-ჟარ-** (←***ნა-ჟალ-**).
ს.-ქართვ. ***ძალ-** ძირის შესატყვისებია: ხუნძ. ბა-ჟარ-, ანდ. ბა-ჯარ-
უნ-ნ-, ბოთლ. ბა-ჟარ-, ჭამ. ბა-ჟარ-იდ, ტინდ. ბა-ჟარ-იდ-, ბავგ. ბა-ჟარ-
ირ, კარ. ბა-ჟარ-(ილ-), ახვან. ბა-ჟარ-ილ „შეიძლება, შეიძლო“...

ქართ. **ნა-ძრ-ევ-**ით „გაკვირვებით (საბა)“.
ზან. (მეგრ.) **ძგვირ-**, **ძგვირ-ინ-ი** „გაკვირვებით, უკმაყოფილოდ შე-
ხედვა“, **ო-ძგვირ-ინ-ან-ს** „უკმაყოფილოდ გამოიყურება“.
სვან. —.

ნა-ძრ-ევ-(თ) ნამყო დროის მიმდევობაა **ძრ-ევ-** ზმნისა.
მეგრული **ძგვირ-** ქართულისთვისაც განზოგადებულ **ძვრ-** სახეობის
ფუძეს გვაგვარაუდებინებს. მნიშვნელოვანია ბგერათფარდობა ქართ. **ძ** :
ზან. **ძგ** (იხ. § 27).
ს.-ქართვ. ***ძვრ-** „გაკვირვება, უკმაყოფილება“ → ქართ. **ძრ-ევ-**,
ნა-ძრ-ევ-ით : ზან. **ძგვირ-ინ-**.

სვან. **ნანწლ** → || **ნანწლ** ბზ., **ნანწლ** ლშხ. „ქალიშვილი“.
ქართ. **ნინველ-ი** „ათის წლით ათხუთმეტამდე ვაჟსა ნ ი ნ ვ ე ლ ი
და ქალს, ნ ი ნ ვ ე ლ ა (!) ეწოდების (საბა)“, **ნინველება** „ყრმათ სიჩჩო-
ება (საბა)“, **ნინველ-ი** „ჩივილზე მეტი, ჭაბუკისა უმცირესი (საბა)“.
ზან. —.

ნინველა არ არსებული ფორმაა ქართულში. იგი საბას მიერ არის
ხელოვნურად შექმნილი სქესთა გრამატიკული გარჩევისათვის (შდრ. საბას
მიერ ხელოვნურად შექმნილი სხვა წყვილები: **დედოფალი/დედოფალა**,
მოხუცებული/მოხუცებულა, **ქვრივი-ქვრივა...**).

სვანურისთვის ამოსავალია **ნანწლ** ←***ნანწელ** სახეობა; ისტორიუ-
ლი **წ**-ს ზეგავლენას მიეწერება **ი** → **ე** → **წ** → **ა** უკანა მიმართულების
უმლაუტი სვანურში — **ნინწელ** → ***ნენწელ** → **ნანწლ** || **ნანწლ**.

საქართველოში გავრცელებული ქალთა საკუთარი სახელი **ნანწლ-ი**
შეიძლება სვანური წარმოშობისა იყოს (შდრ. ქართ. **ნინ-ო** : ზან. (მეგრ.)
ნინუ).

ს.-ქართვ. ***ნინწ-ელ-** „მოზარდი“ → ქართ. **ნინვ-ელ-ი**, **ნინ-ო** :
ზან. **ნინუ** : სვან. **ნანწლ** → || **ნანწლ** || **ნანწლ**.

სვან. **ნაყრ-**ოლ „ნაჭუჭი, გარსი“.
ქართ. **ნაყრ-**ი „ჩანასახი“, „მარცვალში რძის გამაგრება“.
ზან. (მეგრ.) **ნოყურ-**ი „ჩენჩო, მარცვლეულის ბუდე, კანი“.

მეგრულსა და სვანურში კანის, გარსის, ნაჭუჭის მნიშვნელობა ძირითადია, რის გამოძახილსაც ვადასტურებთ ქართული ფორმის მნიშვნელობაში. კერძოდ, მარცვალში რძის გამაგრება ფაქტიურად მასში მარცვლეულის ბუდის კეთებას ჰგულისხმობს. ე. ი. ქართული **ნაყრ-** გარკვეულწილად იმეორებს სვანურ-ზანურის სემანტიკას.

საერთოქართველური არქეტიპის აღსადგენად ვადასტურებთ მნიშვნელობა აქვს ზანურის განზოგადებას. ირკვევა, რომ ისტორიულად ქართული და სვანური ეკვივალენტებიც ორმარცვლიანი იყო — ქართ. **ნაყრ-** ←***ნაყარ-**, სვან. **ნწყრ-** ←***ნაყარ-**.

ს.-ქართვ. ***ნაყარ-** „მარცვლის ბუდე; ჩენჩო, ნაჭუჭი“ → ქართ. **ნაყრ-** ← **ნაყარ-** : ზან. **ნოყორ-** ←***ნოყორ-** : სვან. **ნწყრ-** ←***ნაყარ-**.

სვან. **ნახე** ზს., ლნტ. **ნახე** ლშ. „იარაღი“.

ქართ. **მახე**, **მახ-ვ-ა**, **მახ-ავ-ს**, **მახვ-ილ-**ი, წა-**მახ-**ულ-ი.

ზან. (მეგრ.) **მოღე** „მასალა, ნივთი, იარაღი (სამუშაო)“.

სვანურში სახეზეა **მ** → **ნ** (იხ. § 8) გადასვლა, რაც გავრცელებული პროცესია.

მეგრულში ქართველური **ხ** ინტერვოკალურ პოზიციაში გამჟღერდა — **მოღე** ←***მოხე**.

ბოლოკიდური -**ე** ქართველურ ენებში დერივაციული აფიქსია — **მახ-** → **მახ-ე**.

ს.-ქართვ. ***მახ-**, **მახ-ე** „მახვა, მახე“ → ქართ. **მახ-ე**, **მახ-**, **მახ-ვ-ილ-**ი : ზან. **მოღ-ე** ←***მოხ-ე** : სვან. **ნახ-ე** || **ნახ-ე** ←***მახ-ე**.

სვან. **ნწყუნ** ბზ., **ნაყუნ** ბქ., **ნწყუნ** ლშ., **ნწყეუნ** ლნტ. „საჭმელი, შეჭამანდი“.

ქართ. **ნაყრ-**, და-**ნაყრ-**ებ-ა, **ნაყრ-**დ-ებ-ა, **ნაყრ-**ი „მცირეოდენი საჭმელი“.

ზან. (მეგრ.) **ნოყორ-**ი „საყლაპავი, ყრონტი, ხახა“.

ქართულსა და სვანურში დადასტურებული მნიშვნელობები იგივეობრივია. თითქოს განსხვავებულია მეგრულის სემანტიკა; მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ **ნოყორ-**ის ფუნქციას როგორც **საყლაპავი / საჭმელი** ორგანოსას, ყველაფერი თავის ადგილზე დგება. ირკვევა, რომ თავდაპირველად **ნოყორ-**საც **საჭმლის**, **ჭამის** შინაარსი ახასიათებდა, ისევე როგორც **ნაყრ-/ნაყუნ** ფუძეებს; ხოლო შემდგომში **ნოყორ-**ის (საჭმელის) მნიშვნელობა შერჩა მხოლოდ იმ ორგანოს, რომელიც **საყლა-**

პ ა ვ ი ს (ს ა ჭ მ ე ლ ი ს) როლს ასრულებდა. სხვაგან ქართული **ნაყრ**-ის შესატყვისი ზმნური ან სახელური **ნოყორ**- აღარ შემოგვრჩა, დაკარგულია.

მეგრული და სვანური ფორმები ქართულისთვისაც ორმაცვლოვან ***ნაყორ**- არქეფორმას გვაგარაულებინებენ. აქვე გამოჩნდება ისტორიული **რ** → **ნ** პროცესი სვანურში, რაც დამახასიათებელი მოვლენაა (იხ. აქვე, § 17.).

ს.-ქართვ. ***ნაყ-ორ**- „ნაყრი, დანაყრება; საჭმელი, შეჭამანდი“ → ქართ. **ნაყრ**-, **ნაყრ**-ი : ზან. **ნოყორ**-ი : სვან. **ნწყუნ** || **ნწყუნ** || **ნწყუნ** || **ნაყუნ** ← ***ნაყორ**¹.

სვან. ნე-ბგჷ-ა ზს., ნი-გბ-ა ლშზ., ნი-გობ-ა ლნტ. „შუბლი“.

ქართ. ბაგე, ნა-ბაგ-ევ-ი „ნატუჩევი (საბა)“.

ზან. —.

სვანურ ალომორფთა შორის მეტ სიძველეს ზს. **ნე-ბგჷ-ა** ← ***ნე-ბოგ-ა** აჩვენებს.

აგებულიების მხრივ ბევრია პარალელი სვანურ სომატურ სახელებში: ნი-კბ-ა || ნე-კბ-ა (შდრ. კაბ-რ-აჟ) „ნიკაპი“, ნე-ფხუნ-ა, ნე-ქჭ-ა || ნი-ქეჭ-ა „წარბი“...

გამოყოფილი სვან. **ბოგ**- ძირი მიღებულია **ბაგ**- არქეტიპისაგან. ა-ს ლაბიალიზაცია (**ა** → **ო**) მეზობელ ბ-ს მიეწერება (გ. მაჭავარიანი).

ს.-ქართვ. ***ბაგ-ე** „ტუჩი, ბაგე“ → ქართ. **ბაგ-ე**, ნა-ბაგ-ევ-ი : სვან. **ნე-ბგჷ-ა** || **ნი-გბ-ა** || **ნი-გობ-ა** ← ***ნე-ბოგ-ა** ← ***ნე-ბაგ-ა**.

ქართ. **ნეკერ**-ი || მთიულ. **ნაკერ**-ი || ქართლ. **ნეკარ**-ი.

ზან. (მეგრ.) **ნოჯველ**-ი || **ნოჯველ-ა** „რტო, შტო“.

სვან. —.

ამ შეპირისპირებაში თავს იჩენს ბგერათფარდობა ქართ. **კ** : ზან. **ც**, რაც მრავალ პარალელს ითვლის : ქართ. **რეკ**- : ზან. **რაჟ**-, ქართ. **კასრ**-ი „ციხესიმაგრე“ : ზან. **ქორშ**-ი „კოშკი, ციხე-სიმაგრე“, ქართ. **კვირ**- : ზან. **ღვირ**-, **გო-ღვირ**-ინ-აფ-ა „გაკვირვება“...

კ : **ც** შეფარდებისთვის ამოსავალია ს.-ქართვ. **ყ**, რომელიც სპორადულად **კ**-ს იძლევა ქართულში, ხოლო **ყ** → **ც** ზანურში რეგულარულ-კანონზომიერია.

ს.-ქართვ. ***ნა-ყარ**- „შტო, ნეკერი, რტო“ → ქართ. **ნე-კერ**-ი || **ნა-კერ**-ი || **ნე-კარ**-ი ← ***ნა-კარ**-ი : ზან. **ნო-ჯველ**-ი || **ნო-ჯველ-ა** ← ***ნო-ჯოლ**-.

¹ ხომ არ ჩანს ქართულ **ნაყ**- „ნაყვა“ ზმნაში იგივე **ნაყ**- ძირი?

ქართ. **ნელ-ი**, **ნელ-ებ-ა**, **ა-ნელ-ებ-ს**.
ზან. (მეგრ.) **ნარ-**, **ნარ-აფ-ი** „ნელება“, **ი-ნარ-უ/გ** „მდოვრედ, ნელა ინძრევა“.

სვან. —.

ქართული **ნელ-** ფუძის შესატყვისი მეგრული **ნარ-** გადაშენების პირასაა, მისი ადგილი დაიკავა **ნელ-** ფუძემ. საკუთრივ ზანური **ნარ-** ჩვეულებრივ მეტყველებაში არ ისმის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე სპეციფიკურ გამოთქმას.

ს.-ქართვ. ***ნელ-** „ნელი, ნელება“ → ქართ. **ნელ-ი**, **ნელ-** : ზან. **ნარ-** ←***ნალ-**.

სვან. **ნენზ** || **ნენძ** „სოჭი“.

ქართ. **ნეძ-ი**¹.

ზან. (მეგრ.) **ლანჯ-ი** || **ლაჯ-ი** „იფანი, კობიტი“.

ქართულში **ნეძ-ი** დაკარგულია, მაგრამ მეგრულ-ჭანურს შემოუნახავს **ნეძ-** „კაკალი“ სიტყვაში, ხოლო საკუთრივ ზანური სახეობა **ლაჯ-ი** → || **ლანჯ-ი** „იფანი, კობიტი“ ლექსემაში ჩანს (ქართ. **ნ** : ზან. **ლ**, ქართ. **ე** : ზან. **ა**, ქართ. **ძ** : ზან. **ჯ**).

ყურადღებას იქცევს სვანურში **ძ** → **ჯ** → **ძ** || **ზ** გადასვლა-, რაც არაიშვიათად დასტურდება (იხ. § 23).

ს.-ქართვ. ***ნეძ-** „სოჭი, კობიტი“ → ქართ. **ნეძ-ი**¹ : ზან. **ლაჯ-ი** → || **ლანჯ-ი** : სვან. **ნენზ** || **ნენძ** ←***ნეჯ-**.

სვან. **ნესგ**², კუახ-**ნესგ**, კნინ. კუახ-**ნესგ-ილ** „გოგრა, კვანი“.

ქართ. **ნესტ-**, **ნესვ-ი**, **ნეს-ოვ-ანი** „ნესვის ბოსტანი“.

ზან. —.

საერთოქართველური **ნესტ-** არქეტიპის შესატყვისი სვანური ერთეული შემონახულია კომპოზიტური შედგენილობის კუახ-**ნესგ** სიტყვაში — ქართ. **ნესტ-** : სვან. ***ნესგტ** → **ნესგ**.

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით საყურადღებოა ქართ. **ს** : სვან. **სგ** (←***სქ**) შეფარდება, რისი დამადასტურებელი არაერთი მაგალითი მოძიებულია ჩვენ მიერ (იხ. აქვე, § 25.).

ს.-ქართვ. ***ნესტ-** „ნესვი“ → ქართ. **ნესვ-ი** : სვან. **ნესგ** ← **ნესქტ**.

ს.-ქართვ. ***ნესტ-** არქეტიპს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: ნახ. **ნარს** „კიტრი“, აფხაზ. **ა-ნაშა** „კიტრი“, ადიღ. **ნაშ** „ნესვი“...

ქართ. **ნესტარ-ი**.
ზან. (მეგრ.) **ნეშთერ-ი** „შაშარი“.
სვან. —.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართ. **ნესტარ-ი** ← ***ნესთარ-ი** (შდრ. **შთ-ენ-ა** → **ნა-შთ-ი**, მაგრამ **ნე-შტ-ი** ← **ნე-შთ-ი**), შდრ. ჰან. **ნო-სთონ-ი**.
თითქოსდა უჩვეულო ქართ. **სთ** : ზან. **შთ** შესატყვისობას ეპარალელ-
ლება ქართ. **გვირისტი-ი** : ზან. **გურიშთ-ი** (ბ. ჰარაია).
ქართულ-ზანურში **სთ-/შთ-** ძირად გამოიყოფა, ხომ არ ჩანს იგივე
ძირი სვან. **შდ-გკ- || შტ-გკ-** „შერჭობა“ ზმნაში (**ხ-ე-შდ-კ-ენ-ი || ხ-ე-შტ-კ-
ენ-ი** „ესობა, ერჭობა“)?
ს.-ქართვ. ***ნე-სთ-არ-**, **სთ-** „შერჭობა“ → ქართ. **ნე-სთ-არ-ი** : ზან.
ნე-შთ-ერ-ი/ნო-სთონ-ი : სვან. **შდ-გკ- || შტ-გკ-(?)**.

სვან. **ნეფე** ზს., ქს. „მეფე“.
ქართ. **მეფე**.
ზან. **მაფა** „მეფე“, **მაფა-წყუ** (ტობ. სამეგრელოში), **მაფა-წყარ-ი**
(ტობ. ლაზეთში) „მეფე-წყარო“.
სვანური **ნეფე** არ მიიჩნევა ქართულიდან ნასესხებ სიტყვად. გამოი-
რიცხება სვან. **ნეფე** „მეფე“: ქართ. **ნეფე** მიმართებაც, რადგანაც ქარ-
თულ **ნ ე ე ე**-ში **ნ-** დამოუკიდებელი პრეფიქსია (შდრ. ქართ. **ნ-ე-ფ-ე/ს-ე-
ფ-ე/მ-ე-ფ-ე**), ხოლო სვანური თავკიდური **ნ** ფონეტიკურ ნიადაგზეა გაჩენი-
ლი — **მ** → **ნ** : ***მ ე ე ე** → **ნ ე ე ე**, ***მ ა ხ ე** → **ნ ა ხ ე || ნ ა ხ ე** :
ქართ. **მ ა ხ ე...** (იხ. აქვე, § 8. **მ** → **ნ**).
ამრიგად, საერთოქართველურ დონეზე აღდგება **მეფე** როგორც და-
მოუკიდებელი ლექსიკური ერთეული. სხვა საკითხია მისი მიმართება **მე-
უ-ფ-ე, ს-უ-ფ-ევ-ა** (გ. კლიმოვი), **ნ-ე-ფ-ე/ს-ე-ფ-ე** სიტყვებთან (შდრ. **უ-ფ-
ალ-ი**)...
ს.-ქართვ. ***მ-ე-ფ-ე** → ქართ. **მ-ე-ფ-ე** : ზან. **მ-ა-ფ-ა** : სვან. **ნ-ე-ფ-ე**
← ***მ-ე-ფ-ე**.

სვან. **ნეც-ინ** ზს., ქს. „წვრილი“ (მპ-**ნცინ-ე, ხ-ო-ნცინ-ა**).
ქართ. **ნეც-**, და-**ნეც-უ-ა || და-ნეც-ვ-ა** „პურის დამტვრევა; დამტვრე-
ვა (საბა)“.
ზან. —.
მნიშვნელოვანია **-ინ** სუფიქსის პოზიტივობა სვანურ ზედსართავ სა-
ხელში (შდრ. **ჭუინელ** „ძველი“ ← ***ჭუელ-ინ** : ქართ. **ძუელ-ი**).
გამოყოფილი **ნეც-** ქართველური ფუძისთვის დამახასიათებელი იყო
წვრილად და მ ტ ვ რ ე ვ ი ს სემანტიკა.

ს.-ქართვ. ***ნეც**- „წვრილად მტვრევა“ → ქართ. **ნეც**, **ნეც**-ვა : სვან. **ნეც**-ინ.

სვან. **ნეშკა** ბზ., ლშხ., **ნეშკა** ბქ., ლნტ. „სხვენი“.
ქართ. **ნეჭა** „ჭილობი“, ინგილ., ქიზიყ. **ნეჭა** „სქელი მატერიის ჩამონაჭრებისაგან დაწნული საფენი“.
ზან. —.

ყურადღებას იქცევს სიბილანტური რიგის შესატყვისობა ქართ. **ჭ** : სვან. **შკ**, რომელიც უნდა განვიხილოთ ქართ. **ჭ** : სვან. **ჭკ**-ს შემდგომ განვითარებად (შდრ. ქართ. **ჭედ**- : ზან. **ჭკად**- : სვან. **შკად**- ←***ჭკედ**- ვ. თოფურია). ამდენად, უფრო ძველად სვანურში ***ნეჭკა** უნდა გვქონოდა.

ქართველურ ფუძეთა მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით, უძველესია „გადასაფარებელი“ გაგება, საიდანაც მივიღეთ „სხვენი“ სვანურში, „საფენი“ — ქართულში (შდრ. ქართ. **ჭერ**-ი).

ს.-ქართვ. ***ნეჭა** „გადასაფარებელი, საფენი“ → ქართ. **ნეჭა** : სვან. **ნეშკა** || **ნეშკა** ←***ნეჭკა**.

სვან. **ნკელ**- || **ნკელ**-, ხ-ე-**ნკელ**-ი ბზ., ლშხ., ხ-ე-**ნკელ**-ი ბქ., ხ-ე-**ნკელ**-ი ლნტ. „მომწყვდევა“.
ქართ. —.

ზან. (მეგრ.) **ნკალ**-, გ^ნ-**ნკალ**-უ „გაეკვება“, გ^ო-**ნკალ**-ირ-ი „გაკვებილი“, ქაშგ-მ-ა-**ნკალ**-უ „მომემწყვდია“.

მეგრულსა და სვანურში ანლაუტური **ნ** ფონეტიკური დანართი ჩანს. მიუხედავად ქართულში შესაბამისი სიტყვის უქონლობისა, ადვილია ფუძის რეკონსტრუქცია. რამდენადაც სვანური **ე**- განზოგანება საერთოქართველურ **ე**-ს ასახავს (შდრ. ქართ. **ე** : ზან. **ა** : სვან. **ე**).

ს.-ქართვ. ***კელ**- „მომწყვდევა, გაკვებება“ → ქართ. — : ზან. **ნკალ**- ←***კალ**- : სვან. **ნკელ**- || **ნკელ**- ←***კელ**-.

ქართ. (ზ.-იმერ.) **ნოგა** „ხის ჭურჭელი, მეჯოგეები ხმარობენ ძროხის საწველად“, ლეჩხ. **ნურძა** (← ნურგა) „ძროხის საწველი ჭურჭელი“.

ზან. (მეგრ.) **ნგა** || **ნიგა** „ღურკი“.
სვან. —.

ს.-ქართვ. **ო**-ს ზანურში **გ/ი** შეეფარდება, რაც აიხსნება **ო** : **უ** → **გ/ი** პროცესით (გ. როგავა).

გურულ დიალექტში **ნიგა** „თუჯის თუნგი“ ზანურიდანაა შეთვისებული და სენაკურ **ნიგა**-ს ასახავს.

ს.-ქართვ. ***ნოგა**-ა „ხის ჭურჭელი, დურკი“ → ქართ. **ნოგა** → ||
ნურძა : ზან. **ნიგა** || ← **ნგა** ← ***ნუგა**.

ქართ. **ნოტ**-იო „წვიმიანი“, იმერ. **ნოსტ**-ვა „დანესტიანება“, მო-
ნოსტ-ა, გურ. **ნოსტ**-ო „ჩამდგარი ლორწოიანი წყალი“.

ზან. (მეგრ.) **ნოტ**-აფ-ი || **ნეტ**-აფ-ი || **ნიტ**-აფ-ი „წვეთვა“.

სვან. —.

წყლიანობა/სინესტეს გაგება უპრობლემოდ უკავშირდება მეგრულში
დადასტურებულ **წვეთა**-ს, რასაც ასევე წყლიანობა უდევს საფუძვლად.
იქნებ **წვეთვა** / **წვეთება** იძლეოდეს გასაგებს მთიულურ-გუდამაყ-
რული **ნოტო-ნოტო** „ნაწილ-ნაწილ“ სემანტიემისთვის, ეტიმოლოგიით
წვეთ - **წვეთა** დ.

მეგრული **ნოტ-აფ**-ი ქართულისთვის **ნოტ-ებ**-ა-ს ვარაუდობს, შდრ.
იმერული ზმნური **ნოსტ**-ვა. თუმცა დღეს პირიელი ზმნური ფორმები მე-
გრულიდან ჩვენ არ გვანსენდება.

ს.-ქართვ. ***ნოტ**- „წვიმიანობა, სინესტე“ → ქართ. **ნოტ**- → ||
ნოსტ-, **ნოტ**-იო : ზან. **ნოტ**-, **ნოტ**-აფ-ი → || **ნეტ**-აფ-ი → || **ნიტ**-აფ-ი.

სვან. **ნჩურ**- || **ნჩურ**-, **ნჩურ**-ი (ანუ-**ნჩურ**, ანუ-**ნჩურ**-ე, ანუ-
ნჩურ-ნ-ე) „ძნებად კრავს, კონავს“.

ქართ. (ქართლ.) **მცვერ**-, **მცვერ**-ევ-ა || **ცრ**-ევ-ა „მოკრეფილ ვენახ-
ში ან მოწეულ ყანაში ჭირნახულის ნარჩენების ძებნა, გროვება“.

ზან. —.

ანლაუტური **ნ** სვანურში ქართულ **მ**-ს შეეფარდება. სვანური
ნჩურ- ქართულისთვის **მცვერ**- ურედუქციო ფუძეს ვარაუდობს.

ს.-ქართვ. ***მ-ცურ**- „ძნებადშეკვრა, გროვება“ → ქართ. **მცვრ**- ||
← **მცრ-ევ** : სვან. **ნჩურ**- → || **ნჩურ**-.

სვან. **ნენძგ** „ნისკარტი“.

ქართ. **დინგი**.

ზან. (მეგრ.) **ნიძგ**-ი || **ნიძგ**-ი → || **ნიძგვ**-ი „ნისკარტი“.

ფუძეთა ერთიანობა ეჭვს არ იწვევს, თუ დავუშვებთ, რომ ქართულ-
ში ისტორიულად **ნიძგ**-ი უფრო ძველი სახეობა არსებობდა, საიდანაც
საურთიერთო მეტათეზისის (სუბსტიტუციის) გზით **დინგ**-ი მივიღეთ —
***ნიძგ**-ი → **დინგ**-ი. მსგავსი პროცესი გავრცელებულია ქართულში,
შდრ.: **კუზი** → || **ზუკი** (საბა), **კვნესა** → || **სნეკვა** (საბა), თუშ. **ნიუი**

← **ჟინი**, იმერ. **ნოჟვა** ← **ჟონვა**, ქიზ. **ჟუდი** ← **დუჟი**, კახ., მოხ., ფშ.
განიჟება ← **გაჟინება**, რაჭ. **ლისა** ← **სილა**, ზ. იმერ. **თანჩა** ← **ჩანთა**...
 ნავარაუდები **ნიდგ**- არქეტიპის უპირატესობაზე **ნი**- ფუძეს შეზრდი-
 ლი პრეფიქსიც მიუთითებს — **ნი-დგ**- (შდრ. **ნი-დაყვი**-ი || **დაყვი**-ი, **ნი**-
 ძლაგ-ი, ძღვე-ა... ვ. თოფურია).
 ი. ყიფშიძეც მეგრულის ლექსიკონში **ნი**-ს ცალკე გამოყოფს — **ნი-ძგ-ი**.
 ქართულისთვის აღდგენილი **ნი-დგ**- ამოსავალია ზანურ-სვანური **ნი**-
ძგ-ისთვის — **ნი-დგ**- → **ნი-ძგ**- || **ნი-ნძგ**- (**დ** → **ძ**: ღვე-ს → || ძვე-ს, ზან.
 ძ-ჟ-ნ...).
 დაბოლოს, **სა-დგ-ის**-/**ო-დგ-იშ**-ის **დგ**- ხომ არ ჩანს ***ნი-დგ**-ში?
 ს.ქართვე. ***ნი-დგ**- „ნისკარტი“ → ქართ. **დინგ-ი** ← **ნი-დგ-ი** : ზან.
ნი-ძგ- || **ნი-ნძგ**- || **ნი-ნძგ-ვ**- ← ***ნი-დგ-ი** : სვან. **ნგნძგ** ← ***ნი-ძგ** ← ***ნი-დგ**.

სვან. **ძარ** ზს., **ძარ** ლშხ., **ძარ** → || **ძრ** ლნტ. „ვინ“.

ქართ. **ვი-ნ**, **ვი-ნა**, **ვი-ნა-დ**, **ვი-ნა-დთ-გან**.

ზან. **მი-** || **მი-ნ**, **მი-ნ-ეფ-ი** „ვინები“, **მი-ნ-ი** „ზოგი, ზოგიერთი“.

სვანურში გატარებულია დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების მთელი წყება: 1. თავკიდური **ძ** ასახავს საერთოქართველურ **ვ**-ს — **ვ** → **ძ** (შდრ.: ქართ. **ცვ-ელ-ა** : სვან. **ცაძ-რა**, ქართ. **ზვავ-ი** : სვან. **ჟაჰ || ჟაძ...**); 2. ბოლოკიდური **ა** (ვინა) მოკვეცილია, მაგრამ არა უკვალოდ: **ი** → **ა/ა** უკუმიმართულების უმლაუტი სვანურში მომდევნო ემფატიკური **ა**-ს ზეგავლენით განხორციელდა, რაც მ. ქალდანის წესით აიხსნება; 3. ძირეული **ნ** ამ სიტყვაში შეცვლილია **რ** სონანტით, რაც შედეგია **ნ** → **რ** ისტორიული პროცესისა (იხ. § 12. **ნ** → **რ**).

ასე რომ, ს.-ქართვ. **ვი-ნ(ა)** არქეტიპმა შემდეგი სახის ცვალებები განიცადა სვანურში: ს.-ქართვ. **ვი-ნ(ა)** → სვან. ***განა** → **ძარა** → **ძარ** || **ძარ** || **ძრ**.

ს.-ქართვ. **ვი-ნ(ა)** „ვინ“ → ქართ. **ვი-ნ**, **ვი-ნა** : ზან. **მი** || ← **მი-ნ**, **მი-ნ(ი)** : სვან. **ძარ** || **ძრ** || **ძარ** ← ***ძარა** ← ***განა**.

ს.-ქართვ. **ვი-ნ(ა)**-ს შესატყვისებს ვუძებნით მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: ბაცბ. **მენ** (← **მინა**), ჩაჩნ. **მინა** → || **მილა**, ინგ. **მალა** (← **მინა**) „ვინ“; კარ. **ჰემულ** → **ემუნ**, ტინდ. **იმალა** ← **იმანა**, ჭამ. **იმ** ← **იმან**, ბაგვ. **ჰემი** ← **ემი^ნ** ← **ემინ**, ბოთლ. **ენ^ჟ** ← **ეჟი^ნ** ← **ეჟინ**, ლოდ. **ეჟუ** ← **ეჟი^ნ** ← **ეჟინ**, ხვარშ. **ჰიბა** ← **იმა^ნ** ← **იმან** „ვინ“... ← წ.-დალ. **ი-მანა** || **ი-ჟანა** „ვინ“, შდრ. ს.-ნახ. **მინა** ← წ.-ნახ. ***ჟინა**.

სვან. **ძერ** ლშხ. „ერი“.

ქართ. **ერ-ი**, გურ.-იმერ. **რემ-ა** „ადამიანთა სიმრავლე“.

ზან. **ერ-ებ-ი** pluralia tantum (?) „დიდი ოჯახი“, **ო-რ-ან-ი** „მოდგმა“

სიტყვათა ამავე რიგში უნდა გაერთიანდეს **მ-რ-ევ-ლ-ი**, **მ-რ-ავ-ალ-ი** (ეთნონ. **ჰერ-ი** (ი. ჯავახიშვილი)). ლაშხური **ძ** მიღებულია **ჰ** → **ძ** პროცესით.

შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ძირად გამოსაყოფია **-რ-** „სიმრავლის“ მნიშვნელობით. რომელსაც გენეტურად საერთო ძირები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში (შდრ. აფხაზ. **ა-რ** „ჯარი“...).

ს.-ქართვ. ***რ-ეჟ-**, **ე-რ-** „ერი, მრავალი“ → ქართ. **ე-რ-**ი, **რ-ემ-**ა, **მ-რ-ევ-**ლ-ი, **ჰერ-**ი-, **მ-რ-ავ-**ალ-ი : ზან. **ე-რ-**ებ-ი, **ო-რ-**ან-ი : სვან. **ფერ-**
←***ჰერ-** ←***ერ-**.

სვან. **ფენშ-ი** ბზ., „ნაზი, რბილი მატყლი“.

ქართ. (ქართლ.) **ლას-ა** „აბრეშუმის თხელი ქსელი; აპკი, გარსი“.

ზან. —.

სვანურ ფორმაში არაერთი დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესის კვალი შეიმჩნევა: **ლ** → **ფ** (შდრ. ქართ. **ლურჯ-**ი → სვან. **ფურჯ-**ი), **ა** → **გ** (შდრ. ქართ. **მატლ-** : სვან. **მეტ** : ზან. **მუნტურ-**...), ინლაუტური **ნ** ფონეტიკური ჩანართია (ს. ჟლენტი, მ. ქალდანი). ამდენად, ქართული **ლას-** ძირის თავდაპირველი სვანური შესატყვისი ***ლაშ-**ი ტიპისა უნდა ყოფილიყო, საიდანაც ზემოთაღწერილი პროცესების შედეგად **ფენშ-ი** ალომორფი განვითარდა — ***ლაშ-ი** → ***აშ-ი** → **ფენშ-ი** : ქართ. **ლას-ა**.

სემანტიკის მხრივ ამოსავალია „**რ ბ ი ლ ი , თ ხ ე ლ ი მ ა ტ ყ ლ ი ს**“ შინაარსი.

ს.-ქართვ. ***ლას-** „რბილი, თხელი მატყლი“ → ქართ. **ლას-ა** : სვან.

ფენშ-ი ←***ლაშ-ი**.

ს.-ქართვ. ***ლას-** არქეტიპს კანონზომიერად შეესატყვისება აფხაზ.

ა-ლასა || **აღას** „მატყლი“...

პ

სვან. **პ-**, **პ-ენ-**, ხ-ე-**პ-ნ-**ი ((ო-ხ-ტ-**პ**, ა-ხ-პ-**პ**, ა-ხ-**პ-ენ-**ი) ბზ., ო-ხ-ტ-ე-**პ** ბქ., ო-ხ-ე-**პ**, ა-ხ-**პ-ენ-**ი ლზხ; ხ-ე-**პ-ენ-**ი (პ-ხ-ტ-ე-**პ**, ა-ხ-პ-**პ**-; პ-ხ-ე-**პ-ენ-**ი) ლნტ. „სკდება“.

ქართ. **პ-**, ა-**პ-ობ-**ს, გან-**პ-ებ-**ა „გახეთქვა, გაპობა“, გან-**პ-ებ-**ულ-ი „გახეთქილი, გაპობილი, გაყოფილი“.

ზან. —.

ქართ. გა პ ო ბ ა, გა ხ ე თ ქ ვ ა ~ სვან. ს კ დ ო მ ა სემანტიკურად ფარავს ერთმანეთს.

ს.-ქართვ. **პ-** „პობა, ხეთქვა“ → ქართ. **პ-** : სვან. **პ-**, **პ-ენ-**.

სვან. **პაშან** ბქ., **პარშან** ლნტ. „ძნებად შეკრული ნამკალის ზვინი“.

ქართ. (აჭარ.) **პასალ-**ი „ბოძი, პალო“.

ზან. —.

ქართველურ სემანტიკათა საერთოობა ეჭვს არ იწვევს.

სიტყვის აუსლაუტში შეინიშნება **ლ-**ს ნაზალიზაცია სვანურში — **ლ** → **ნ** (იხ. აქვე, § 5). სხვა მხრივ ბგერათშესატყვისობათა ჩვენება დაცულია (ქართ. **ს** : სვან. **შ...**). ლენტეხურში **რ** ზედმეტია, ფონეტიკურად განვითარდა — **პაშან** → **პარშან**.

ს.-ქართვ. ***პას-აღ-** „ზვინი; ბოძი, პალო“ → ქართ. **პას-აღ-ი** : სვან. **პარშ-ან** || ← **პაშ-ან** ← ***პაშ-აღ**.

სვან. **პაშედ** ბზ., **პაშედუ** ბქ., **პაშტუ** ლნტ. „კიდურების კუნთი“.

ქართ. (ქიზიყ.) **პურტ-**ი „ნეკნების ქვემოთა გვერდი“.

ზან. —.

ქიზიყური **პურტ-ი** ისტორიული ***პუსთ-**ის გაგრძელებაა **სთ** → **სტ** → **რტ** ფონეტიკური საფეხურების გავლით (**პურტ-ი** ← ***პუსტ-ი** ← ***პუსთ-ი**).

ს.-ქართვ. **პუსთ-**ის სვანურში **პაშედ** უნდა მოეცა, ხოლო მომდევნო ეტაპზე უკანა მიმართულების უმლაუტის წესით **პაშედუ** განვითარდა:

პაშედ || **პაშიედ** → **პაშიედუ** → **პაშედუ** → || **პაშედ. ი** → **პა** → || **ა** მომდევნო **უ-**ს მიეწერება (მ. ქალდან).

ს.-ქართვ. ***პუსთ-** „ნეკნები, კიდურები“ → ქართ. **პურტ-ი** : სვან.

პაშედ || **პაშედუ** → || **პაშტუ**.

სვან. **პჷჷ** ზს., ლნტ. „მაჯლაჯუნა“.
ქართ. (რაჭ.) **ბეზ-ან-ი** „მსუქანი (ქათამი, გარეული ფრინველი)“, იმერ. **პოზან-ი** ← **ბეზ-ან-ი** „საკლავი პირუტყვის მუცლის ქონი“, ლეჩხ. **ბეზ-ან-ი** || **ბეზ-უნ-ა** „მიძიმე და მსხვილი“.

ზან. (ჭან.) **ბეჯ-ი** „სქელი, მსუქანი“, ი-**ბეჯ-ან-ენ** „სუქდება“, მეგრ. **ო-პინჯ-ინ-ან-ს**, **პინჯ-ალ-ი** „დიდი, აყლაყულა“.

სვანურში ძირად **პჷჷ** უნდა გამოიყოს; **-ჷ** (← **-ო**) საკუთრივ სვანური სუფიქსია, რომელსაც ფუნქციურად **-ან** შეესატყვისება ქართულში (**-ან**-ისთვის შდრ. **სუქ-ებ-ა** → (მ)**სუქ-ან-ი...**) და **-ალ**, **-ინ**, **-ან** ზანურში.

ე → **ჷ** სვანურში **ჷ**-ს მიეწერება — ***ბეჷ-ჷ** → **პჷჷ-ჷ** (მ. ქალღანი).

ს.-ქართვ. ***ბეზ-(ან-)** „მსხვილი, სქელი, ქონიანი“ → ქართ. **ბეზ-ან-ი** → || **ბეზ-ან-ი** : ზან. **ბეჯ-ი** || **ბეჯ-ან-** → || **პინჯ-** : სვან. **პჷჷ-ჷ** ← ***ბეჷ-ო**.

სვან. **ბენტე-** → || **პონტე-**, ხ-ე-**პენტე-** ბქ., ხ-ე-**პწნტე-** ბზ., ხ-ე-**პწნტე-** ლშხ., ხ-ე-**პონტე-** ლნტ. „ეწებება“ || ხ-ე-**ნტე-** „ეწებება“.

ქართ. **ტყებ-**, **ე-ტყებ-ებ-ა** „ეწებება“.

ზან. (მეგრ.) **რტყაბ-**, მიკა-ა-**რტყაბ-ჷ(ნ)** „ეტყებება, ეწებება“.

ქართულის **ე** განზოგანება ს.-ქართვ. **ე**-ს ასახავს, ამას ზანურის **ა**-ც უჭერს მხარს (ქართ. **ე** : ზან. **ა**), შდრ. ბქ. **ბენტე-**. ე. ი. **ე** → **ო** სვანურშია მომხდარი ძირისეული **პ**-ს ზეგავლენით: **ტყებ-** → **ბენტე-** → **პონტე-**. პარალელური **ნტე-** ძირი **-ებ(←-ებ)** სუფიქსს გამოგვაყოფინებს (იხ. § 39-40).

ს.-ქართვ. ***ტყებ-** „მიწებება“ → ქართ. **ტყებ-** : ზან. **რტყაბ-** ←

ტყაბ- : სვან. **ბენტე-** → || **პონტე-** || **პწნტე** || **პონტე-**, **ნტე-**.

სვან. **ბეჷ-ჷ** || **პჷჷ-ჷ** || **პიჷ** || **პიჷ-ჷ**, ხ-ე-**ბეჷ-ენ-ი** ზს., ლშხ., ხ-ე-**ბეჷ-ჷ-ენ-ი** ლნტ. „ემალება“, ხ-ა-**პიჷ** ზს., ხ-ა-**პიჷ-ჷ** ლშხ., ლნტ. „დამალულია“, ლა-**პჷჷ** ბზ., ლა-**პაჷ** ბქ., ლა-**ბეჷ-ჷ** ლშხ., ლა-**პჷჷ-ჷ** ლნტ. „სამალი, დასამალავი“, ლჷ-**ბეჷ-ჷ-ენ-ი** ზს., ლშხ., ლგ-**ბეჷ-ჷ-ენ-ი** ლნტ. „დამალული“.

ქართ. **პარ-**, გა-**პარ-ვ-ა**; ი-**პარ-ებ-ა**, მი-ი-**პარ-ებ-ა**.

ზან. —

ზანურის დიალექტებში ეს ფუძე არ არის გამოვლენილი. რაც შეეხება ქართულ-სვანურ ფუძეთა მიმართებას, საცნაურია სემანტიკურ-მატერიალური სიახლოვე; ახსნას ითხოვს აუსლაუტური **რ** : **ჷ** მიმართება — **პარ-** : **პაჷ-**, რომელიც სხვაგანაც დასტურდება, შდრ. ქართ. მ-წყერ-ი : სვან. შყაჷ-ჷ ზს., ლნტ., შყეჷ-ჷ ლშხ. „მწყერი“. **რ** : **ჷ** შეფარდება ლოგიკურად ჯდება **რ** : **შ** (ბურ- : ბუშ, კვერ- : კუწი-ი...), **ლ** : **შ** მიმართება-

თა საერთო სურათში. ჩვენი აზრით, აქ და სხვაგან გამოვლენილი **რ** : **ჟ** იგივე ქართ. **რ** : სვან **შ** შესატყვისობაა, რომელიც **ჟ**-ს წინა პოზიციაში **რ** : **ჟ**-დ გვევლინება, ე. ი. **შ** → **ჟ** სვანურში **ჟ**-ს მიეწერება. საზოგადოდ კი უნდა ითქვას, რომ სვანურისთვის ბუნებრივია **რ/შ** (ტენტერ/ტენტეშ), **რ/ს** (ფანტქირ/ფანტქის) სუბსტიტუცია.

ს.-ქართვ. *პარ- „(გა)პარვა, მალვა“ → ქართ. **პარ-** : სვან. **პიჟ-ჟ-** || **პიჟ-** || **პეჟ-(ჟ-)** || **პჟჟ-(ჟ-)** ←*პარ-.

სვან. **პიტ** ზს., ქს. 1. „კვერი“, 2. უშგ. „ლუკმა-პური“.
ქართ. (მთიულ.) **ფათ-ილ-ე**, ქიზიყ., ფერეიდნ. **ფათ-ირ-ი** „გამომცხვარი პატარა მრგვალი პური“.

ზან. «**ფურთ-ინ-ა**» „ერთგვარი პური“.

საინტერესოა **ფ — თ** → || **პ — ტ** სუბსტიტუცია ქართველურ ენებში (შდრ. **ფრ-ენ-ა** : სვან. **პერ-** „id“, **ტეფ-** || **თბ-...**).

ქართული **ა**-ს შესატყვისად **ი** სვანურში ალბათ **გ**-სგან განვითარდა — **ა** → **გ** → **ი**. გადასვლის მექანიზმი არ არის ნათელი. ზანური ეკვივალენტი სვანურშია შემონახული, შდრ. **ფურთ-ინ-ა** ბზ., ლშხ.

ს.-ქართვ. *ფათ- „გამომცხვარი კვერი“ → ქართ. **ფათ-ილ-ე** || **ფათ-ირ-ი** : ზან. **ფურთ-ინ-ა** ←*ფათ-ინ-ა : სვან. **პიტ** ←*ფათ.

ქართ. **პიტალ-ი/ო** „სალი, მაგარი კლდე“.

ზან. «**პეტრ-ა**».

სვან. —.

ვარაუდის სახით გამოვთქვამთ მოსაზრებას **პეტრა**-ს ციხის ქართული წარმომავლობის შესახებ. კერძოდ, მისი საყრდენი ფუძე უნდა ყოფილიყო ქართ. **პიტალ-** (**პი-ტალ-**, შდრ. **ტალ-** „ქვა“) ფორმის ზანური **რ** (**ლ** → **რ**) ვიბრანტიანი ალომორფი — **პიტალ-** : ზან. ***პიტორ-**, ამ უკანასკნელისგან **პეტრ-ა** მივიღეთ **ა** მატოპონიმებელი აფიქსის ზეგავლენით — **პიტორ-ა** → **პიტრ-ა** → **პეტრა**, **ი** → **ე** ზანურში ბუნებრივია **ა**-ს წინა პოზიციაში: ქართ. **რიყ-ე** : ზან. ***რიყ-ა** → **რეყ-ა** || **რეყ-ა**, ქართ. **წვიმ-ა** : ზან. **ჭვიმ-ა** → **ჭვემ-ა...** საკითხის ამგვარად განხილვა გამოირიცხავს **პეტრა**-ს ბერძნულ წარმომავლობას. არ გამოირიცხება საკუთრივ ბერძნული **პეტრა**-ს ქართველური ეტიმოლოგია.

ქართ. **პრაწ**-, **პრაწ**-ვა „დაჭყეტა (თვალის)“, **პრაწ**-ავ-ს „დააჭყეტს თვალეbs“, **პრაწ**-ია.

ზან. (მეგრ.) **პირჭ**-, **პირჭ**-ინ-ი (თოლიში) „დაჭყეტა (თვალის), თოლ-**პირჭ**-ალ-ი „თვალდაპრაწული“, უ-**პირჭ**-ან-ს „დაჭყეტილი აქვს“, ო-**პირჭ**-ინ-უ-ან-ს „პრაწავს“.

სვან. —.

სემანტიკური იდენტურობა ქართულსა და ზანურში ადვილი დასანახია; **პრაწ**-/**პირჭ**- ორივეგან უმთავრესად თ ვ ა ლ თ ა ნ მიმართებაში იხმარება, და თ ვ ა ლ დ ა ჭ ყ ე ტ ა ს აღნიშნავს.

ასახსნელია ქართ. ა : ზან. ი ხმოვანიმიმართება. ვფიქრობთ, ბგერათშესატყვისობის დარღვევა გამოწვეულია ფუძის სიმბოლიკური აგებულებით; თანაც გასათვალისწინებელია **პრ** თანმიმდევრობის შეუძლებლობა მეგრულში, რადგანაც აქ თანხმოვანი + სონანტი თანმიმდევრობა აკრძალულია. ჩვენს შემთხვევაში ი შეიძლება სულაც **პრ** თანმიმდევრობის ბგერათგასაყარს წარმოადგენდეს.

ს.-ქართვ. ***პრაწ**- „პრაწვა (თვალის), დაჭყეტა“ → ქართ. **პრაწ**- : ზან. **პირჭ**- ←***პროჭ**- (?).

სვან. **ბტყ-ენ**-, ა-**ბტყ-ენ**-ე ქს. „აბრტყელებს“, ლი-**ბტყ-ენ**-ე ბქ., „აბრტყელება“.

ქართ. **ბტყ-ელ-ი**, ძვ. ქ. **პრტყ-ელ-ი**, ა-**ბრტყ-ელ-ებ-ს**, სი-**ბრტყ-ე**.

ზან. (მეგრ.) **ბირტყ-ა** „ბრტყელი“, ლა-**პარტყ-ია** „ბრტყელი“.

სვანურში სახელური ფუძე არ ჩანს (დაკარგულა?). ზმნური **ბტყ-ენ**-ფორმალურად ახლო დგას ქართულის გლოტალიზებულ ალომორფებთან: **პრტყ-ელ-ი**, სი-**ბტყ-ე**, მო-უ-**პრტყელ-ე** (საბა). ზანურში ა/ი ხმოვანი პროთეტულია; **ბრ**-ს დასაძლევად არის გაჩენილი — **ბრ** → **ბირ**-/**პარ**- (?).

ს.-ქართვ. ***ბრტყ**-, ***ბტყ-ელ**- „სიბრტყე, ბრტყელი“ → ქართ.

ბრტყ-ელ-ი → || **პრტყ-ელ-ი**, სი-**ბრტყ-ე** → სი-**პრტყ-ე**, **ბრტყ-ელ**- → || **პრტყ-ელ**- : ზან. **ბირტყ-ა**, **პარტყ-** : სვან. **ბტყ-ენ**- ←***ბრტყ-ენ**-.

სვან. **პუშ** ქს. „ერთგვარი საჭმელი ბალახი“.

ქართ. **პურ-ი**.

ზან. —.

აუსლაუტში ქართ. რ : სვან. შ ოპოზიცია არ არის უნიკალური, შდრ. სვან. **კუწში** : ქართ. **კვერ-ი**...

ს.-ქართვ. ***პურ**- „ხორბალი, პური“ → ქართ. **პურ-ი** : სვან. **პუშ**.

უ

სვან. **უაგ-** → || **უგ-**, ლა-**უგ-**ღვრ ბზ., ლა-**უაგ-**წრ ბქ., ლა-**უგ-**იარ ლშხ., ლა-**უაგ-**არ ლნტ. „ბილწი, უწმინდური, ურჯულო“; ლგ-**უაგ** ზს., ლნტ., ლგ-**უაგ** ლშხ. „ბინძური, წაბილწული“.

ქართ. **ძაგ-**, **ძაგ-**ებ-ა, მო-**ძაგ-**ე, სა-**ძაგ-**ელ-ი.

ზან. (მეგრ.) **ჯოგ-**, ბ-**ჯოგ-**უ(ნ) „მძულს“, გო-**ჯოგ-**ელ-ი „შეძულებული“, გასა-**ჯოგ-**ე „შესაზიზღებელი“, ჭან. **ჯუგ-** || **ნჯუგ-** „შეზიზღება“.

სვანური ფორმები აგებულებით და შინაარსობრივ ქართულ სა-**ძაგ-**ელ- სიტყვასთან დგანან ახლოს. ყურადღებას იქცევს იმერულ დიალექტში დადასტურებული მა-**ძუგ-**ი „ბინძური, წაბილწული“, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ქართულში ისტორიულად **ძაგ-**ის გვერდით **ძუგ-** ალომორფიც არსებობდა (შდრ. ჭან. **ჯუგ-**). იგი **ძულ-** (სი-ძულ-ვ-ილ-ი, მ-ძულ-ს) სინონიმურმა ფუძემ გამოდევნა.

სვანურში **უაგ-** || **უაგ-** || **უგ-** ზმნური ფუძე არ არის გამოვლენილი. არსებობს მცდელობა სვან. **უაგ-** „მოწამვლა“, **უაგ** „წამალი“ დაუკავშირდეს ქართ.-ზან. **ძაგ-/ჯოგ-** ძირებს (გ. კლიმოვი, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე), რაც არ მიგვაჩნია მართებულად (**უაგ** „წამალი“, **უაგ-** „წამლობა, მოწამვლა“ სიტყვის შესატყვისებისთვის იხ. აქვე).

ს.-ქართვ. ***ძაგ-/ძუგ-** „შეზიზღება, შეძულება; საძაგელი, ბილწი“ → ქართ. **ძაგ-**, მო-**ძაგ-**ე, სა-**ძაგ-**ელ-ი, მა-**ძუგ-**ი : ზან. **ჯოგ-**, გო-**ჯოგ-**ელ-ი, **ჯუგ-** → || **ნჯუგ-** : სვან. **უაგ-** → || **უაგ-** || **უგ-** ← ***ჯაგ-**.

სვან. **უაგ** ზს., ლნტ. **უაგ** ლშხ. || **უაგ-წრ** || **უაგ-არ** „წამალი“, ხ-ა-**უაგ-**ენ-ი ზს., ლშხ., ხ-ა-**უაგ-**ენ-ე ლნტ. „უწამლებს, მოარჩენს“, ა-**უაგ-გრ-**ე (ოთ-უაგ-არ) ბზ., ა-**უაგ-გრ-**ი ბქ. „წამლავს“.

ქართ. **ძეგუ-**ი „ბუჩქი, ჩირგვი“, რაჭ. **ძიგვ-**ა „წმინდა ბალახი“, იმერ. **ძეგვ-**ე „ეკალი“.

ზან. **ჯაგ-ი** || **ჯაგვ-ი** „წვრილი ჩირგვი“, **ჯაგ-ო** „ბუჩქნარი“.

ქართ. **ძეგუ-** : ზან. **ჯაგვ-** დაკავშირება სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილიცაა და გაზიარებულიც (კ. დანელია; ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე). ჩვენი აზრით, აქვე შემოდის სვან. **უაგ-** || **უაგ-** „წამალი“, „წამლობა“. სვანურში, ისევე როგორც სხვა ქართველურ ენებში, უწინარესია ბალახის მნიშვნელობა, საიდანაც განვითარდა წამალი/მოწამვლა სემანტემა (შდრ. ქართ. წამალ-ი „ბალახი“ → წამალ-ი → || მოწამვლა || უწამლებს, მოარჩენს (გ. როგავა), რუს. **травя** → **отравя** || **травить**).

სვანურში ფუძის აუსლაუტი გამარტივებულია, დაიკარგა **უ**, რომელმაც კვალ დატოვა **ე** → **ჲ** || უკუშემლაუტის სახით (მ. ქალდანი) — ქართ. **ძეგუ-** : სვან. ***ჯეგუ-** → ***უაგუ-** → **უაგ-**||**უაგ-**.

ს.-ქართვ. ***ძევჴ**- „ბალახი, ბუჩქი“ → ქართ. **ძევჴ** → || **ძიგვ-ა** ||
ძიგვ-ე : ზან. **ჯაგვ-ი** → || **ჯაგ-ი** || **ჯაგ-ო** : სვან. **ჟაგ** || **ჟაგ** ← ***ჯევჴ**.

სვან. **ჟაგ-გნ-** || **ჟგ-გნ-**, ა-**ჟგ-გნ-ე** „მარგლავს, თონის“, ლი-**ჟგ-გნ-ე** „მარგვლა“, ლგ-**ჟგ-გნ-ე** „გაწმენდილი, გამარგლული“, ლი-**ჟგ-გნ-ვლ** ბზ., ლი-**ჟგ-გნ-ელ** ბქ., ლი-**ჟგ-გნ-ვლ** ლშხ. „მარგვლის დროს“.

ქართ. **ძევჴ**, გამო-**ძევჴ**-ვა „გამოცეხვა“, სა-**ძიგვ**-ელ-ი (საბა)“.

ზან. —.

სემანტიკური ცვალემა შემდეგი მიმართულებით წარიმართა ქართველურ ენებში: **მარგვლა** → || **თონა** → **ლეწვა** || **ცეხვა** (შდრ. რუს. МОЛОТИТЬ „ლეწვა, ცეხვა, დარტყმა (→ თონა)“).

ფორმალური თვალსაზრისით, საინტერესოა ***ჯევჴ** → ***ჟაგჴ** → **ჟაგ** || **ჟგ**- პროცესი სვანურში (იხ. წინა მაგალითი).

ზანურში მოსალოდნელი ***ჯაგვ**- არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. ***ძევჴ**- „თონა, მარგვლა; ცეხვა || ლეწვა“ → ქართ.

ძევჴ-, სა-**ძიგვ**-ელ-ი : სვან. **ჟაგ-გნ-** || **ჟგ-გნ-** ← ***ჯევჴ-გნ-**.

სვან. **ჟაგ** ზს., ლნტ., **ჟაგ** ლშხ. „ტიკი, ტიკჴორა“.

ქართ. **ძახ-**, **ძახ-ავ-ს**, **ძენ-ვი** ← ეტ. ნაძახევი (შდრ. **ჭარ-** „ჭრა“ → **ჭერ-**).

ზან. (მეგრ.) **ჯგხ-უ-ა** || **ჯიხ-უ-ა**, **ჯიხ-უნ-ს** „ტენის ხორცს ნაწლავში“, უ-**ჯგხ-ვ-ან-ს** „ჩატენილი აქვს“, ენო-**ჯგხ-ილ-ი** „ჩატენილი“.

გასარკვევია სვან. **ზიგ** „ტომარა“ ფუძის წარმომავლობა; სავარაუდოა მისი გენეტიკური კავშირი **ჟაგ**-თან — **ჟაგ** → ***ჟგგ** → **ზიგ**.

ქართველურ ფუძეთა სემანტიკური ერთიანობა არ არის საეჭვო. საყურადღებოა შეპირისპირების მატერიალური მხარე; კერძოდ, ქართ. **ხ** : სვან. **ჯ**. ამგვარ შეფარდებას სხვაგანაც შევხვდებით (შდრ. ქართ. **ლხვ-** (ებ-ა), გა-**ლხვ-ა** : სვან. **ლეგჴ** || **ლგჴ**- „ლხობა“ (ზ. ჴუმბურიძე)). მსგავს სიტუაციაში უძველესია სვანურის ვითარება, ე. ი. **ჯ** → **ხ** ქართულში.

ს.-ქართვ. ***ძაგ(ჴ)**- „ნაწლავი, ძეხვი; ტიკი; ძახვა, ტენა“ → ქართ.

ძახ-, **ძენ-ვი** : ზან. **ჯგხ-** → || **ჯიხ-** ← ***ჯოხ-** : **ჟაგ** || **ჟაგ** || **ზიგ** ← ***ჯაგ**.

სვან. **ჟეთხ** ლშხ., **ჟათხ** ბზ. „სახნისის პირველი კვალი“.

ქართ. **თერძ-**, მესხ. **თერძ-**ვა „მზრალად ხვანა“, მთიულ. ნა-**თერძ-**ი „კვლებს შორის დარჩენილი მოუხნავი მიწა“, **თერძ-**ულ-ი „ნათესი ჴნული

(საბა)“, ზ.-იმერ. ა-**თერძ**-ვა „დაუმუშავებელი მიწის პირველხვნა“, ქვ. აჭარ. გა-**თერძ**-ვა „ყამირის გატეხა; შეთოხნა ან მოხვნა“.

ზან. (მეგრ.) **თანჯ**-, **თანჯ**-უ-ა „საზღვრის მიჩენა“, **თანჯ**-უნ-ს „სა-ზღვარს ავლებს“, სა-**თანჯ**-ო (ტობ.).

თერძ- ფუძეს ზანურში შესატყვისად **თარჯ**- უნდა მიეცა; გვაქვს კი-დევატ საბასთან **თარჯ**- ზმნური, ხოლო იმერ., ლეჩხ. სახელური **თარჯ**-ი „საზღვარი ტყეში“ ფუძეების სახით. ქართულმა **თარჯ**- მაშინ შეითვისა, როცა ჩქამიერთა წინ **რ** → **ნ** გადასვლა არ ფუნქციონირებდა ზანურში. უადგილო არ უნდა იყოს ტობ. **თერჯ-ოლ-ა**-ს მოხმობა ამ კონტექსტში. **თერჯ**- მაშინდელია, როცა **ე** → **ა** გადასვლა არ მოქმედებდა ზანურში — **თერძ**- → **თერჯ**- → **თარჯ**- || **თანჯ**-.

სვანური **ჟეთხ** მიღებულია რთული ფონეტიკური პროცესების გავლით. ბოლოკიდური ხ განვითარებულია (**ჟეთ**- → **ჟეთხ**, შდრ. **ჭაფურ**- || **ჭაფხური** „ბალახი სამყურა“, **ვაცვაც-ი** → **ვესკაცხ...**) მას შემდეგ, რაც ***თერჟ**-ისაგან საურთიერთო მეტათეზისის გზით **ჟერთ**- || **ჟეთ**- გაჩნდა — **თერჟ**- → **ჟერთ**- || **ჟეთ**- → **ჟეთხ** || **ჟანთხ**.

ს.-ქართვ. ***თერძ**- „პირველხვნა; საზღვრის მიჩენა კვალის გავლებით“ → ქართ. **თერძ**-, ნა-**თერძ**-ი, **თერძ**-ულ-ი : ზან. **თარჯ**- → || **თანჯ**- : სვან. **ჟეთხ** → || **ჟანთხ** ←***ჟეთ**- ||***თერჟ**- ←***თერჟ**-.

ს.-ქართვ. ***თერძ**- (←***დ-ერძ**-) ფორმის კანონზომიერი შესატყვისებია: ბეჟიტ. დი-**ზ**-ალ, დარგ. ბა-**ც**-ის, ლაკ. ლი-**სა**-უნ, ლეზგ. **ცა**-უნ, არჩიბ. დე-**ზ**-, თაბ. უ-**რძ**-უზ, ალ. უ-**ზ**-ას, რუთ. დე-**ზ**-ეს, ხინ. **წ**-ილი ← **ძ**-ილი, კრიწ. დი-**ზ**-აზ, უდ. ე-**ზ**- „ხვნა“...

სვან. **ჟედუ**-, ხ-ა-**ჟედ**-უნ-ე ბზ., ლშხ., ხ-ა-მ-**ჟედ**-ი ბქ., ხ-ა-**ჟოდ**-ნ-ე ლნტ. „მომარაგებს“, „უზრუნველყოფს“, ი-**ჟედ**-უნ-ე ბზ., ი-**ჟედუ**-ან-ე ლშხ. „იმარაგებს“, ლე-მ-**ჟედუ**-ი ბზ., ლე-მ-**ჟედ**-ი ბქ., ლე-**ჟოდ**-ნ-ე ლნტ. „უზრუნველსაყოფი“.

ქართ. **ზღავ**-, **ზღავ**-ს, სა-**ზღა(ვ)**-ურ-ი, **ზღვ-ევ**-ა, სა-**ზღვ-ევ**-ი, მი-უ-**ზღ**-ო, ი-**ზღვ**-ი-ა.

ზან. —.

ქართველურ ფუძეთა სტრუქტურული ერთიანობა თვალსაჩინოა. შინაარსობრივ ქართულ და ზღვევასთან (თავს იზღვევს, და-აზღვიან) ძალიან ახლოს დგას სვანური უზრუნველყოფა, უზრუნველსაყოფი-დასაზღვევი.

ს.-ქართვ. ***ზღა-უ**- „უზრუნველყოფა, დაზღვევა“ → ქართ. **ზღავ**- || **ზღვ-ევ** || **ზღვ-ივ** : სვან. **ჟედუ**- → || **ჟედ**- || **ჟდ**.

სვან. **ჟირ-** || **ჟგრ-**, ხ-ე-**ჟრ-**ი (პთ-**ჟირ-**ი, პთ-**ჟირ-**ან) ზს. „უსველდება“, ხ-ე-**ჟრ-**ი „სწყალობს“ (ღერბეთ ხეჟრი „ღმერთი სწყალობს“), მგ-**ჟირ** „სველი, სისველე“, მგ-**ჟრ-**ი „შემცოდებელი“ ← ეტ. „შემწყალებელი“, ლე-**ჟრ-**ი „საცოდავი, საბრალო“ ← ეტ. სა-**წყალ-**ი, **ჟგრ-** „წყალობა“ ← ეტ. „წყალი“.

ქართ. **ზალ-ა** „შარავი, ვითარცა **წყალი**“, ფშ. **ზალ-ა** „წყალი, მარილიანი“.

ზან. (მეგრ.) **ჟვერ-ი** „სველი, წყლიანი“, **ჟვარ-უ-ა** || **ჟვარ-ჟვალ-ი** „წვეთება, წყლის სხმევა“, **ი-ჟვარ-ჟვალ-უ-(ნ)**, „სველდება, ასველებს“.

ქართველური ფუძეებისთვის ამოსავალი ეტიმონი წყალი და აქედან სისველე უნდა იყოს, საიდანაც სვანურში წყალობის, შეწყალება-შემცოდების მნიშვნელობა განვითარდა. მსგავსი მიმართებისთვის შდრ. ქართ. **წყალ-**ი → **წყალ-**ობა-ა, **შეწყალ-**ებ-ა, სა-**წყალ-**ი (ი. ჰავჭავაძე, ა. დირი), მეგრ. **ჰყოლ-** „წყალი“ → **ჰყოლ-**ობ-უ-ა „წყალობა“.

ფორმალური თვალსაზრისით საინტერესოა **ლ** → **რ** (იხ. § 6), **ა** → **გ** → || **ი** სვანურში, რაც ჩვეულებრივია.

ს.-ქართვ. ***ზალ-**(ა) „წყალი“ → ქართ. **ზალ-ა** : ზან. **ჟვერ-** || **ჟვარ-** ← ***ჟორ-**, **ჟვარ-ჟვალ-** (რედუბლ.) ← ***ჟორ-ჟოლ-** : სვან. **ჟირ-** ← **ჟგრ-** ← ***ჟალ-**.

სვან. **ჟიშხა**¹.

ქართ. (იმერ.) **ზისხა** „მეტად მწარე და ცუდი გემოსი“.

ზან. **ჟეშქ-ილ-ა** „ნიგვზის კაკლის გარეკანი“.

ქართული **ზისხა**-ს ზანური და სვანური ეკვივალენტები შემოინახეს დასავლურმა დიალექტებმა: სვანური, როგორც მოსალოდნელი იყო, რაჭულ კილოში შემოგვრჩა **ჟიშხა**-ს სახით, ხოლო მეგრული — მეზობელ იმერულში — ქართ. **ზისხა** : სვან. **ჟიშხა** : ზან. **ჟეშქ-ილ-ა** ← ***ჟიშხ-ილ-ა**¹ (ი → ე-სთვის ზანურში შდრ.: **წვიმა** : **ჭვემა**, **თიჯა** : **დეხა**...).

საერთოქართველური **ზისხა** არქეტიპის ამოსავალი მნიშვნელობა ნიგვზის კაკლის გარეკანის წვენიდან უნდა ყოფილიყო, რომელიც, როგორც ცნობილია, გამოირჩევა სიმწარითა და უგემურობით.

ს.-ქართვ. ***ზისხ-ა** „ნიგვზის კაკლის გარეკანის წვენი“ → ქართ. **ზისხა** : ზან. **ჟეშქ-ილ-ა** ← ***ჟიშხ-ილ-ა** : სვან. **ჟიშხა**.

¹ ხ → ქ-სთვის შდრ. მეგრ. **შხვა** → || ჰან. **ჩქვა** : ქართ. **სხვა**.

სვან. **ჟორ-** „გაბრუება“, ლგ-**ჟორ-**ე ბზ., ლშხ., ლგ-**ჟორ-**ე ბქ., ლნტ. „გაბრუებული, გონდაკარგული“.

ქართ. (გურ.) **ზორ-**, **ზორ-ვ-**, და-**ზორ-ვ-**, მო-**ზორ-ვ-**ა „ცემა“.
ზან. —.

ქართ. ცემა ~ სვან. გაბრუება სემანტიკური შესატყვის-სობისთვის კარგი პარალელი ჩანს მეგრული **ლახ-** „ცემა“ ძირის დისტრიბუცია — შდრ. ლახუა, ლახუნს „ცემს, გალახავს“ → გოლახირი „ნაცემი, ნაგვემი, გაბრუებული“, ლეხ-ი „ავადმყოფი“.

ს.-ქართვ. ***ზორ-** „ცემა“ → ქართ. **ზორ-** : სვან. **ჟორ-** → || **ჟორ-**.

სვან. **ჟრინ-ტ-** „წვეთი; ყლუბი“.

ქართ. (მთიულ., ხევს.) **ზრინ-ტი** „წვეთი“, ფშ. **ზრიმ-ლი** „ცხვარი, ნამი“.
ზან. —.

სვანური **ჟრინ-ტ-** ზუსტი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისია ქართული **ზრინ-ტი**-ისა (ქართ. **ზ** : სვან. **ჟ**). ფშაური **ზრიმ-ლი** აჩვენებს, რომ ს.-ქართვ. ძირად **ზრიმ-** უნდა აღდგეს **მ** → **ნ** ასიმილაციურია მეზობელი **ტ**-ს გავლენით (შდრ. **წყურ-ტი** — **წყურ-ვ-ილ-ი**).

ს.-ქართვ. ***ზრიმ-ლ-** || ***ზრიმ-ტ-** „ცვარი, წვეთი, ნამი“ → ქართ. **ზრინ-ტი** ← ***ზრიმ-ტი**, **ზრიმ-ლი** : სვან. **ჟრინ-ტ** ← ***ჟრიმ-ტ-**.

სვან. **ჟჟუნ** ზს. „შურთხი“.

ქართ. (იმერ.) **ზერან-ი** „ფრინველია რომელიღაც“.

ზან. [**ჟრუნ-ი**].

სვანურში „ზედმეტი“ **ჟ**, რომელიც ქართული **რ**-ს შესატყვისი უნდა იყოს **რ** → **მ** → **ჟ** (იხ. § **რ** → **მ**) — ქართ. **ზერან-ი** : სვან. ***ჟერან-** → ***ჟემან** → ***ჟმან** || **ჟჟუნ**.

ქართული **ჟრუნ-ი** „შურთხი“ (საბა) შეიძლება ზანურიდან იყოს შეთვისებული, თუმცა ზანურ დიალექტებში ის არ დასტურდება.

ს.-ქართვ. ***ზერან-** „შურთხი“ → ქართ. **ზერან-ი** : ზან. **ჟრუნ-ი** ← ***ჟარუნ-ი** : სვან. **ჟჟუნ** ← ***ჟემან** ← ***ჟერან**.

სვან. **ჟჟინ-ა** ბზ., ლშხ. **ჟინ-ა** ბქ., ლნტ. „ძერა“.

ქართ. **ძერ-ა** || **ძერ-ი**.

ზან. [**ჯაჯ-ა-**], ჰან. **მ-ჯაჯ-ი** „ძერა“.

ქართულ-ზანურ ფუძეთა ერთიანობა სპეციალისტთა ეჭვს არ იწვევს (გ. როგავა, ზ.სარჯველაძე). უფრო რთულად დგას სვანური ეკვივალენტის

საკითხი. ს.-ქართვ. ძერ-(ა)-სთან ახლოს დგას **ჟინ-ა** (←*ჯენ-ა ←*ჯერ-ა) ალომორფი. რაც შეეხება **ჟუნ-ა-ს**, იგი კონტამინირებული სახეობაა **ჟუნ** „შუროთი“ ფუძესთან — **ჟუნ** || **ჟინა** → **ჟუნა**.

ქართ. **რ** : სვან. **ნ** ბგერათშეფარდება ჩვეულებრივია (ქართ. **კარ-ი** : სვან. **კან** : ზან. **ხოჯ-ი**) და აიხსნება **რ** → **ნ** სპონტანური გადასვლით სვანურში (იხ. § 17. **რ** → **ნ**).

ს.-ქართვ. *ძერ-(ა) „ძერა“ → ქართ. ძერ-ი, ძერ-ა : ზან. ჯაჯ-ა, მ-ჯაჯ-ი : სვან. ჟინ-ა ←*ჯენ-ა ←*ჯერ-ა.

სვან. **ჟუმ-** || **ჟომ-**, სვან. ი-**ჟუმ-ი** (ო-ხ-**ჟომ-ჰნ**, პნ-**ჟომ-ან**, ენ-**ჟომ-ი**) ბზ., ბქ., ლშბ., ი-**ჟომ-ი** ლნტ. „იმლება“, ლი-**ჟუმ-ე** ზს., ლშბ., ლი-**ჟომ-ე** ლნტ. „დაშლა“ ა-**ჟუმ-ე** ზს., ლშბ., ა-**ჟომ-ე** ლნტ. „არღვევს“.

ქართ. **ზულ-** **ზულ-ეგ-ა** „ჩავარდნა“, და-**ზულ-ეგ-ა** „დაშლა“, მ-**ზულ-არ-ი** „მეწყერი (საბა)“.

ზან. (ჭან.) **ჟოლ-** || **ჟულ-**; მი-**ჟოლ-ე-რ-ე-ნ**, მი-**ჟულ-ე-ე-ნ** „გადავარდნილია“.

ჭანურში დადასტურებული **ო** || **უ** მონაცვლეობას (ზ. სარჯველაძე) ემატება სვანურის **ო** განმეორება, რაც ქართულში **ო** → **უ** ისტორიულ გადასვლას გულისხმობს.

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით საინტერესოა ქართ. **ლ** : ზან. **ლ** : სვან. **მ**. ცხადია, სვანურში მეორეულ ვითარებასთან გვაქვს საქმე — **ლ** → **მ**. ნასესხებ სიტყვათა ანალიზი ჩვენს ვარაუდს უფრო სარწმუნოს ხდის: ქართ. **ურდულ-ი** → სვან. **ჰურდუმ**, ქართ. **შურდულ-ი** → სვან. **შურდუმ**... იხ. § 4. **ლ** → **მ**.

ს.-ქართვ. *ზოლ- „ჩავარდნა, დარღვევა, დაშლა“ → ქართ. **ზულ-**, **ზულ-ეგ-ა**, მ-**ზულ-არ-ი** : ზან. **ჟოლ-** → || **ჟულ-** : სვან. **ჟომ-** → || **ჟუმ-** ←***ჟოლ-** (მდრ. ხუნძ. **ჟუნ-**, ანდ. **ზურ-დ-** „ჩამოცურება“: აფხაზ. აი-მგ-ჟრა „დაშლა“...).

სვან. **ჟჷლ-ინ-** || **ჟულ-ინ-**, ი-**ჟჷლ-ინ-ი** ბზ., ი-**ჟულ-ინ-ი** ბქ., ი-**ჟჷლ-ინ-ი** ლშბ. „გაჭენდება“; ლი-**ჟჷლ-ინ-ი** ბზ., ლი-**ჟულ-ინ-ი** ბქ., ლი-**ჟჷლ-ინ-ი** ლშბ. „ჭენება“.

ქართ. **ზრ-ინ-**, **ზრ-ინ-ვ-ა** „ჯართ დათქრიალება (საბა)“, ი-**ზრინ-ვ-ა** ქარავანმა და შემოგვიდგა უკანა (საბა)“.

ზან. —.

ქართულში რედუცირებულია ძირეული **უ**, რომელიც სვანურმა შემოგვინახა.

ქართველური **რ** სვანურში **ლ**-ში გადასულა, რაც არ არის ბაგისმი-
ერებთან მეზობლობით შეპირობებული, როგორც ამას სხვები ვარაუდო-
ბენ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). **რ** → **ლ** ბაგისმიერთა გარეშეც
ხდება; შდრ. ***ჟურ-ინ**- → **ჟულ-ინ**- : **ზრ-ინ**-, სვან. **შაშაღ** ← ქართ.
შაშარ-ი (იხ. აქვე, § 16. **რ** → **ლ**).

ს.-ქართვ. ***ზურ-ინ**- „ჭენება“ → ქართ. **ზრინ-** : სვან. **ჟულ-ინ-** →
ჟულ-ინ- || **ჟულ-ინ-** ← ***ჟურ-ინ-**.

სვან. **ჟღაღრ-ღ** „აშკარად“.

ქართ. **ჟღავნ-**, ა-მ-**ჟღავნ**-ებ-ს, გა-მ-**ჟღავნ**-ებ-ულ-ი, მ-**ჟღავნ**-ებ-ა
„გაცხადება“.

ზან. —.

შესატყვისობათა იდენტურობა გასაგებია ფონემათა ამ რიგში
(ქართ. **ჟღ** : სვან. **ჟღ**).

ჟ-ს სიგრძე სვანურში **ჟ**-ს გაუჩინარების კვალი ჩანს (საკომპენსა-
ციო) — **ჟღაღრ-ღ** ← ***ჟღაჟერ-ღ** (**ღ** ბრუნვის ნიშანია).

ქართ. **ნ** : სვან. **რ** აიხსნება **ნ** → **რ** გადაბგერებით სვანურში (იხ.
§ 12. **ნ** → **რ**).

ს.-ქართვ. ***ჟღაჟ-ნ**- ← ***ზღაჟ-ნ**- „გამჟღავნება, გააშკარავება“ →
ქართ. მ-**ჟღავნ-** : სვან. **ჟღაღრ-ღ** (← ***ჟღაჟერ-ღ**).

სვან. **ჟღერ** „თავსხმა, კოკისპირული წვიმა, თქეში“.

ქართ. (იმერ.) **ზღველ-ა** „დიდი კოკისპირული წვიმა“.

ზან. (მეგრ.) **ზღვარ-ზღვალ-ი** „კოკისპირული წვიმა“ (პ. ჭარაია).

სვანურში **ჟ** დაკარგულია **ჟღჟერ** → **ჟღერ**; **ლ** → **რ** ერთობ ხში-
რია (იხ. § 6. **ლ** → **რ**). ლეჩხუმური **ჟღერ-ი** „დიდი წვიმა“ სვანიზმია.

ზანურში ფუძე გაორკეცებულია, ხოლო ისტორიული **ჟღ** → **ზღ**.

ს.-ქართვ. ***ზღჟელ-** „დიდი წვიმა“ → ქართ. **ზღველ-ა** : ზან.

ზღვარ-ზღვალ-ი (← ***ჟღვარ-ჟღვალ-ი**) : სვან. **ჟღერ** ← ***ჟღჟელ-**.

სვან. **ჟღიჟ-არ** || **ჟღიჟ-არ**, **ჟღიჟ-არ**-ბღიჟარ ბზ., **ჟღიჟ-არ**-
ბღიჟარ ლშ., **ჟღიჟ-არ**-ბღიჟარ ბქ., ლნტ. „ჭრელთვალება“.

ქართ. **ჟღალ-ი** „ჭრელი“; „შავ-მოწითლო (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **ჟღარ-ი**, **ჟღარ**-თოლამი „ჭრელთვალება“.

სვანურში ძირად გამოიყოფა **ჟღიჟ**-, რომელიც **ა** → **ი** და **ლ** → **ჟ**
(იხ. § 3. **ლ** → **ჟ**) ფონეტიკურ პროცესებს გულისხმობს.

ს.-ქართვ. ***ჟღალ-** ←***ზღალ-** „ჭრელი, ჭრელთვალა“ → ქართ. **ჟღალ-**ი : ზან. **ჟღარ-**ი (←***ჟღორ-**ი) : სვან. **ჟღიჟ-** (←***ჟღაჟ-** ←***ჟღალ-**).

სვან. **ჟ(ღ)გრბ-**, ლგ-**ჟღგრბ-**ან ზს., ლგ-**ჟღგრბ-**ან ლშხ. „ჩასუქებულ-ლი, მსხვილი“.

ქართ. **ზორბ-**ა „მოსული, მსუქანი, წარმოსადეგი“.

ზან. **ჟვბ-**ჟ „გომბეშო“, მეგრ. გო-**ჟვბ-**ინ-აფ-ილ-ი „გასიებული“, **ჟვბ-**ალ-ი „ტლანქი; ზორბა“.

მიუხედავად იმისა, რომ ფუძე აშკარა სიმბოლიკური სახეობისაა, ქართველურ ენებს შორის დაცულია შესატყვისობა ქართ. **ზ** : ზან. **ჟ** : სვან. **ჟ(ღ)**, ქართ. **ა** : ზან. **ჟ** ← **ო**.

ამ დაკავშირებით ცხადი ხდება, რომ ზანური **ჟვბ-**ჟ „გომბეშო“ სიტყვის ფორმალურ-სემანტიკური თანხვედენა რუსულ **жаба**-სთან შემთხვევითი ფაქტია. წარმომავლობის თვალსაზრისით მათ საერთო არაფერი აქვთ¹. **ჟვბ-**ჟ ებითეტია იმ ბაყაყის სახეობისა, რომელიც მეტიმეტად გაბერილია (ქართ. გომბეშოსავით მსხვილი) — **ჟვბ-**ჟ გორდ-ი „გომბეშო“ → **ჟვბ-**ჟ „გომბეშო“. ე. ი. ეტიმოლოგიურად **ჟვბ-**ჟ გომბეშოს კი არ აღნიშნავდა, არამედ ზორბას, მსხვილს; შემდეგ ხდება **ჟვბ-**ჟ გომბეშოს ტოლფარდი სინონიმი. თავიდან ის მხოლოდ ატრიბუტული მსაზღვრელი იყო.

ს.-ქართვ. ***ზორბ-**ა „დიდი, მსხვილი, მსუქანი“ → ქართ. **ზორბ-**ა : ზან. **ჟვბ-**ჟ, **ჟვბ-** ←***ჟორბ-** : სვან. **ჟღგრბ-** ←***ჟორბ-**.

სვან. **ჟგჟ** „ძირმაგარას ძირი“.

ქართ. (ხევს.) **ზატყ-**ი „ძარღვბანი; ძარღვიანი ხორცი“.

ზან. —.

სვანურ-ქართულ ფუძეთა საერთო წარმომავლობაზე საუბარი შესაძლებელი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოვლენილ იქნა **ტ**-ს დაკარგვის არაერთი შემთხვევა კომპლექსებში. — შდრ.: ქართ. მ-ტკავ-ელ-: სვან. კამ-ილ (←**ტკავ-ელ-**); ქართ. **ტკებ-**ნ- || **ტკებ-**ნ- : სვან. კირბ- || კებ-ნ- (←**ტკებ-**ნ-); ქართ. **ტკეჩ-**ი : სვან. კეც- ბქ. || ← **ტკეც-** „წნელი, წნული“... (იხ. აქვე, § 33). ე. ი. სვან. **ჟგჟ** ←***ჟატყ**.

ეტიმონური მნიშვნელობა საერთოქართველურში ძარღვიანი - ს ა უნდა ყოფილიყო.

ს.-ქართვ. ***ზატყ-** „ძარღვიანი; ძარღვი (ძირმაგარას ძირი ძარღვი)“ → ქართ. **ზატყ-**ი : სვან. **ჟგჟ** ←***ჟატყ**.

¹ რუს. **жаба** სისველის აღმნიშვნელ ინდოევროპულ ძირს უკავშირდება (მ. ფასმერი).

რ

სვან. **რადვ** ბქ., **რადავ** ლშხ. „ნოყიერი“.

ქართ. **ნიადაგი-ი**.

ზან. —.

სვანური **ნ** → **რ** პროცესს აქაც გამოაჩენს (იხ. § **ნ** → **რ**). **ნია-** → **რა-** პრეფიქსად გამოიყოფა (**ნია-** პრეფიქსისთვის შდრ. გურ. **ნია-გავ-ი** (← **გავ-ს**) „გვარი, ნაირი“, **ნია-ღვარ-ი**, შდრ. **ღვარ-ი**, **და-ღვარ-ა...**).

ს.-ქართვ. ***ნ(ი)ა-დავ-** „ნოყიერი, ნიადაგი“ → ქართ. **ნია-დავ-ი** :

სვან. **რა-დვ** || **რა-დავ** ← ***ნა-დავ**.

სვან. **რავუ** ბქ., **რავუ** ლშხ. „მორყეული, დანგრევის პირას მისული (შენობა, ხილი...)“.

ქართ. **რევვ-** „დამტვრევა“, სა-**რევვ-ავ-ი** „მახე“.

ზან. (მეგრ.) **რავვ-ი** „ჩიტის საჭერი მახე“, **რავვ-ავ-ი/ა** „დარეგება“,

რავვ-ინ-ი „დაჯახება“, ჰან. **რავ-ი** ← **რავვ-ი**.

სვანურისთვის უფრო ძველ სახეობად **რევუ-** გვეჩვენება, საიდანაც **ე** → **ნ/ა** უმლაუტით, რომლის მიზეზიც მომდევნო **უ-** არის, მივიღეთ და-დასტურებული **რავუ** → || **რავუ**.

სვანურის სემანტიკა ბუნებრივია მეგრულისთვისაც, სადაც მოყანყა-ლებულ ნაგებობასაც **რავვ-ი** ჰქვია.

ს.-ქართვ. ***რევუ-** „დამტვრევა, დანგრევა, დაცემა“, „მახე“ → ქართ.

რევვ-, სა-**რევვ-ავ-ი** : ზან. **რავვ-ი** → || **რავ-ი**, **რავვ-** : სვან. **რავუ** → || **რავუ**.

სვან. **რავუ** ზს., **რევუ** ლშხ. „კურდღელი“.

ქართ. **არწივ-ი**.

ზან. **როჰო** „როჰო“.

ზანურ-სვანურ ფუძეთა ჩვენება ქართულისთვის ***არწივ-ი** სახეობის არქეფორმას გვაგარაუდებინებს — **არწივ-ი** ← ***არწივ-ი**: ზან. **როჰო** ← ***როჰივ-** : სვან. **რავუ** ← ***რავიუ**. ზანური შესატყვისი საერთოქართველური ***არწიუ-** ფორმისა ქართულს შემოუნახავს მნიშვნელობის სათანადო ცვლით: **არწივი** → **როჰო**.

სვანურის სემანტიკა ახსნას ითხოვს. **არწივი** → **კურდღელი** - ლი მიმართულებით მნიშვნელობის ცვლა ნაკლებსავარაუდოა. უფრო მოსალოდნელია საერთოქართველურში სინონიმური აღტერნაცია კონტექ-

სტების მიხედვით არწივი || რუხი, რაც მსოფლიოს არაერთ ენაში დასტურდება; სანიმუშოდ შდრ. ლათინური aquila „არწივი“ aquilus „რუხი“; სწორედ რუხი ფერის სემანტიკიდან ვითარდება სვანურში კურდღლის სემა — რუხი → კურდღელი. მნიშვნელობის ანალოგიური გადაწევისთვის შდრ. რუსული серый „რუხი“ → серый „კურდღელი“...

ს.-ქართვ. *რაწიჲ- „არწივი; რუხი“ → ქართ. არწივი-ი : ზან. რა-ჭო : სვან. რაჭჲ || რეჭჲ.

ს.-ქართვ. *რაწიჲ- ფორმის კანონზომიერი შესატყვისებია: ხუნძ. წაუჲ, ანდ. წაუნი, ბაგვ. წაუნი, ბოთლ. წაუნი, ლოდ. ცაუნი, კარატ. წაუნი, ტინდ. ცაუნე, ახვან. წაუნ, ჭამალ. წაუნი, ბეჟიტ. ცუჰა, დიდ. ცემ, ხვარშ. ცე⁶, ჰინუხ. ცომ, ჰუნზ. ცუ, დარგ. ჭა-ქა „არწივი“...

ქართულიდან არის შეთვისებული: სომხ. არცუი, ავესტ. arəzifya-; შდრ. ურარტული aršibini (გ. მელიქიშვილი).

სვან. რაგჲ- || რაგჲ-, ხა-რაგჲ-ნ-ე (ოთ-რაგჲ-ინ) ბზ., ლშხ. ხა-რაგჲ-ნ-ე (ოთ-რაგჲ-ინ) ბქ., ლნტ. „დაგვიანებს, დაყოვნებს“, ლი-რაგ-ე || ლი-რაგ-ე ბზ., ლშხ., ლი-რაგ-ე ბქ., ლნტ. „დაგვიანება, დაყოვნება“, ი-რაგ-ე ბზ., ლშხ., ი-რაგ-ე ბქ., ლნტ. „იგვიანებს“.

ქართ. გვ-, გვ-იან-ი, ა-გვ-იან-ებ-ს.

ზან. —

სვანური რაგჲ შედგენილი ფუძეა; ძირად გჲ- გამოიყოფა ისევე, როგორც ქართულში -გვ-იან- სიტყვაში. ხოლო რა- პრეფიქსი ბგერანაცვალთა ისტორიული რე-სი (რე-ქჲ-...), რომლის გადაბგერებაშიც (ე → ა → ა) ჲ-ს მიუძღვის „ბრალი“ (მ. ქალღანი) — *რე-გჲ- → *რა-გჲ- → რა-გჲ- || რა-გჲ-.

ს.-ქართვ. *გჲ- „დაგვიანება, დაყოვნება“ → ქართ. გვ-, გვ-იან- || გვ-იან-ი : სვან. რა-გჲ- || რა-გჲ-.

სვან. რბ-, ი-რბ-იელ ბზ., ი-რბ-იელ ბქ., ლშხ., ლნტ. „აცხობს“, მგ-რბ-იელ „მცხობელი“.

ქართ. რბ-, ე-რბ-ო.

ზან. —

ქართულში რბ- ზმნური ძირი დაკარგული ჩანს. მისი არსებობის კვალი სახელურ ე-რბ-ო-ში უნდა ვეძიოთ: სემანტიკისთვის შდრ. დუღ- „დუღილი“ → ნა-დუღ-ი; ე — ო კონფიქსი ჩანს ე-რდ-ო (იხ. აქვე), ე-ჩ-ო... სიტყვებშიც. „ცხობა“, „წვა“ → „ერბო“ წარმოება საერთო ძირიდან შეიძ-

ლება მოვიძიოთ მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: ინგ. **დათ-** „წვა, ცხობა“ → **დათჿ** „ერბო“, „ზეთი“, „ცხიმი“.

ს.-ქართვ. ***რბ-** „ცხობა, წვა“ → ქართ. **რბ-**, ე-**რბ-**ო : სვან. **რბ-**.

სვან. **რდ-**, ლა-**რდ-**ა „სახლი; სამყოფი“, ა-**რდ-**ჟნ-ე „ამყოფებს“, ი-**რდ-**ჟნ-ე „იყოლიებს“, ლი-**რდ-**ე „ყოფნა“.

ქართ. **რდ-**, ე-**რდ-**ო „ზედა ბანი სახლისა“.

ზან. (მეგრ.) **რდ-** → **რთ-**, ო-**რთ-**ა „სამყოფი“, ჟინიშე **ო-რთ-**ა „ზენაარი, ზენაართ სამყოფი“, შდრ. ქიანაშ **ო-რთ-**ა.

ზან. ო-**რთ-**ა ← ო-**რდ-**ა ისევეა ნაწარმოები, როგორც სვანური ლა-**რდ-**ა; ო — ა დანიშნულების კონფიქსია — შდრ.: ო-**კრიბ-**ა ეტ. სა-**კრავ-**ე, კირიბ-ი „კრავი“, ო-**ნჯუ-**ა „სადამო“, **ნჯუ-**ალ-ა „ჭამა, ძოვა“ (გ. როგავა)... ო — ა უძველესი ზანური კონფიქსია და ქართულ **სა** — ე-ს შეესა-ტყვისება.

ქართულ-ზანურში ზმნური ძირი (სვანურის **რდ-**ს მაგვარი) დაკარგულია. რომ ისტორიულად არსებობდა, ამას ცხადყოფს ზან. ო-**რთ-**ა ← ო-**რდ-**ა, ქართ. ე-**რდ-**ო (შდრ. ე-**რბ-**ო, ე-**ჩ-**ო).

ს.-ქართვ. ***რდ-** „ყოფნა“, *ე-**რდ-**ო „სამყოფი“, → ქართ. **რდ-**, ე-**რდ-**ო : ზან. **რდ-**, ო-**რთ-**ა ← ო-**რდ-**ა : სვან. **რდ-**, ლა-**რდ-**ა.

სვან. **რესგჟ-** || **რსგჟ-**, ა-**რსგჟ-**ე ზს., ა-**რსგჟ-**ე ლშხ., ა-**რენსკჟ-**ე ლნტ. „სცემს, მოერევა, გალახავს“, ლი-**სრ-**ე „ჯობნა“, ათ-**სერ** „აჯობა“.

ქართ. **ჯჟ-**, ს-**ჯ-ობ-**ს ← *ს-**ჯჟ-**ებ-ს, მ-**ჯ-ობ-**ნ-ი ← *მ-**ჯჟ-**ებ-ნ-ი, უ-მ-**ჯ-ობ-**ე-ს-ი, **ჯ-ობ-** ← ***ჯჟ-**ებ-.

ზან. (მეგრ.) **ჯგ-ჯრ-ი** → || **ჯგ-ირ-ი**, კარგი“ (ეტ. „ნაჯობნი, ჯობნი-ლი“), უ-**ჯგ-უშ-ი** ← უ-**ჯგვ-იშ-ი** „უკეთესი“, ნო-**ჯგვ-**ე „ნაჯობნება“, რ-**ჯგ-**ინ-ა „ძლევა“, „მორევა“, ო-რ-**ჯგ-**ინ-ან-ს „აჯობებს“, „მორევა“, ჭან. უ-**ჯგ-**იშ-ი „უკეთესი“, ვ-ო-**ჯგ-**ინ-ამ „ვძლევ“, ვ-ო-**ჯგ-**ინ-ი „დავამარცხე“, „ვძლიე“.

შეპირისპირებაში ძირეულად უნდა ვცნოთ **ჯჟ-**, რომელმაც ქართულში მოგვცა **ჯობ-** ← **ჯჟ-**ებ-, შდრ. **შობ-**ა ← **შჟ-**ებ-ა.

ზანური ენის ჭანურ დიალექტში **ჟ** დაიკარგა **ჯგჟ-** → **ჯგ-**; მეგრულში **ჯგვ-** ზოგან შენარჩუნებულია — ნო-**ჯგვ-**ე, უ-**ჯგ-უ-**შ-ი ← უ-**ჯგვ-იშ-**ი, ჭან. უ-**ჯგ-იშ-**ი.

სვანურში ცვლილებები გაცილებით მეტია. აქ ს.-ქართვ. **ჯჟ-** არქიფორმას ჯერ ***ჯგჟ-** მოჰყვია, საიდანაც შემდგომ ***ძგჟ-** მივიღეთ, მოგვიანებით — **სგჟ-**. **სგჟ-** გართულებულია **რე-** ზმნური პრეფიქსით — **რე-სგჟ-** (შდრ. **რე-** : ა-**რე-ქჟ-**ე „აცმევს“, მაგრამ ხ-ა-**ქჟ-**ემ „აცმევს“); ეგვიპტე

რე- რედუცირებული **რ-**ს სახით მეგრულშიც გამოჩნდება — **რ-ჯგ-**ინ-ა „ჯობნა“, **რე-** || **რ-** ზმნის კაუზატიურობას უნდა გახაზავდეს. **რ-** უნდა ჰქონოდა ჰანურსაც, მაგრამ დაიკარგა ფონეტიკურ ნიადაგზე, დამახასიათებელი **რ** → **Ø** პროცესის გამო.

ს.-ქართვ. ***რე-ჯტ-** || ***ჯ(ტ)-** „ჯობნა, მორევა“ → ქართ. **ჯობ-** ← **ჯტ-**
ებ- : ზან. **ჯტ-** || **ჯგ-** || **რ-ჯგ-** : სვან. **რე-სგტ-** → || **რ-სგტ-** || **რე-სკტ-**
← ***რე-ჯგტ-**, **ს-ერ-** ← ***სგტ-ერ-** ← ***ჯგტ-ერ-**.

ქართ. **რის-**, **რის-უვ-ა** „ცხოველთ პარსვა (საბა)“, რისვ-ი.
ზან. (მეგრ.) **რისქ-**, **რისქ-ონ-**უნ-ს „ყვლეფს“, „ლოღნის“, **გორისქონ-**
ილ-ი „გაყვლეფილი“.
სვან. —.

რისქ-(ონ-) ფუძის გარდა პრობლემური არ უნდა იყოს ძველი ქართული **რისუვ-ა**-ს დაკავშირება აგრეთვე მეგრულ **რის-ინ-**აფ-ა ზმნასთან, რომლის მნიშვნელობაც კ ბ ი ლ ე ბ ი ს კ რ ე ჭ ი თ შემოიფარგლება. სემანტიკის თვალსაზრისით მსგავსი დისტრიბუციისა ჩანს ქართულში **კრეკა** „პარსვა“ — **კრეკა** (კბილების), რას იკრიჭები? ნიშანდობლივია, რომ **რის-ინ-**აფ-ა-ს პარალელურ **რის-უ-**ა-ს მეგრულში **კბეჩის** მნიშვნელობა უდასტურდება, **რის-**უნ-ს „კბეჩს“, რაც ახლოს დგას **რისქ-ონ-უ-**ა „გაყვლეფა“ სიტყვის ძირითად სემანტიკასთან. ცხადია, თუ **რის-** და **რისქ-** ფუძეთა საერთო წარმომავლობის ჰიპოთეზას გავიზიარებთ, მაშინ **რის-** ← **რისქ-**.

შესატყვისობა ქართ. **რის-** : ზან. **რისქ-** → || **რის-** საშუალებას იძლევა — სხვა მაგალითებთან ერთად (იხ. § 25) — სხვაგვარად დაისვას ქართ. **ს** : სვან., ზან. **ს** შეფარდების საკითხი, კერძოდ, მისი მეორეულობის შესაძლებლობა — ქართ. **ს** : სვან., ზან. **ს** ← **სქ**. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება იმ ვარაუდის მართებულობა, რომელიც ამბობს, რომ ისტორიულად ქართული **ს-**სათვის **შ-**ს გარდა მეგრ.-ჰანურში **სქ-**ც უნდა ვივარაუდოთ (არნ. ჩიქობავა).

ს.-ქართვ. ***რის-** „პარსვა, ყვლეფა“ → ქართ. **რის-**, **რის-უვ-ა**, **რის-ვ-ი** : ზან. **რის-** || ← **რისქ-**.

სვან. **როგტ** ზს., ქს. „ცერცვი“.
ქართ. **გორვ-ელ-ა** „ცერცველა“.
ზან. (მეგრ.) **როგ-**, **როგ-ავ-**ა „ად. საკ. გვარი“.
ზემოიშვებულში დადასტურებული **გორვ-ელ-ა** „ცერცველა“ იმავე ფუძეს შეიცავს, რასაც ფშაურ-ჭიზიყური **გორვ-ელ-ა** „სარეველა მცენარე“, გურული **გორვ-ალ-ა** „ბილპილი“ და უკავშირდება სვანურ **როგტ** „ცერცვი“ ლექსემას. ქართულშიც **გორტ-** თავიდანვე ც ე რ ც ვ ს აღნიშ-

ნავდა; მისგან -ელ-ა სუფიქსის დართვით ისევე არის ნაწარმოები გორგ-ელ-ა, როგორც ცერცვ- ფუძისაგან — ცერცვ-ელ-ა. ამოსავალი სახეობა ქართულისა როგვ-ელ-ა უნდა ყოფილიყო, საიდანაც რ — გ → გ — რ საურთიერთო მეტათეზისით თანამედროვე გორგ-ელ-ა განვითარდა.

საერთოქართველური როგუ- ფუძეს ზანურშიც უნდა ჰქონოდა შე-სატყვისი, რაც როგ-ავ-ა „ად. საკ. გვარი“ სიტყვაში შემოგვენახა, შდრ. ქართ. ცერცვ-ი → ცერცვ-ა-ძე „ად. საკ. გვარ.“ (გ. როგავა).

ს.-ქართვ. *როგუ- „ცერცვი“ → ქართ. გორგ-ელ-ა (←*როგვ-ელ-ა) : ზან. როგ-¹ (←*როგვ-¹) : სვან. როგუ.

სვან. რუებ ბზ., რობ ბქ., ლშხ. „ოდნავ ჩაღრმავებული ადგილი“.

ქართ. (იმერ.) რაბ-ო || რობ-ა (საბა) „ორმო წყლიანი“.

ზან. (მეგრ.) რობ-უ, ჭან. რუბ-ა „ორმო“ (შდრ. ქართ. რობ-ა (საბა)).

სვანური რუებ მიღებულია ისტორიული *რებუ-სგან ფუძის შიგნით უ-ს გადასმით (ბუ-ს შეუძლებლობის გამო); სვანური -უ (← -ო) სუფიქსი ქართ. ო-ს (რაბ-ო) ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატვისია. ქართ. ა : სვან. ე კანონზომიერია — სამ-ი : სემ-ი...

მეგრ. რობ-უ ქართ. რაბ-ო-ს ზუსტი ეკვივალენტია — ქართ. ა : ზან. ო, ქართ. -ო : ზან. -უ (ბელ-ო : ბალ-უ).

ს.-ქართვ. *რაბ-ო „ორმო“ → ქართ. რაბ-ო : ზან. რობ-უ : სვან.

რუებ || რობ ←*რებ-უ.

ქართ. რჩოლ-, რჩოლ-ა „რქენა“, ი-რჩოლ-ებ-ა „ერჩის, ამოჭკრავს რქას“, მ-რჩოლ-ელ-ი „ვინც ერჩის“, ნა-რჩოლ-ი || რჩოლ-ილ-ი.

ზან. (მეგრ.) ნჩქოლ-, ნჩქოლ-უ-ა „ცემა, ხელის კვრა“, უ-ნჩქოლ-უ-ან-ს „ერჩოლება“, მა-ნჩქოლ-არ-ი „ამომკვრელი“, ნა-ნჩქოლ-ა „ნაცემი“, ნჩქოლ-ირ-ი „ნარჩოლი“.

სვან. —

ქართულსა და ზანურში ძირითადია ა მ ო კ ვ რ ი ს, ც ე მ ი ს მნიშვნელობა. სემანტიკურ იგივეობას ამაგრებს ბგერათშესატყვისობის ჩვენებაც, სადაც კანონზომიერება დაცულია ხმოვნებშიც და თანხმოვნებშიც (ქართ. ჩ : ზან. ჩქ). ანლაუტური შეფარდება ქართ. რ : ზან. ნ აიხსნება, როგორც საკუთრივ ზანური რ → || ნ სუბსტიტუცია: გინძე || გირძე : გრძელ-ი, თანგ-ი ← თარგ-ი, ნჭყუ-ალ-ა : გამო-რწყუ-ა...

შესაბამისი სვანური ეკვივალენტი ჭერჭერობით გამოვლენილი არ არის.

ს.-ქართვ. *რჩ-ოლ- „რჩოლა, რქენა, ცემა, ამოკვრა“ → ქართ.

რჩოლ- : ზან. ნჩქოლ- ←*რჩქოლ-.

ქართ. **რწმ**-ოლ-ი, გურ. **რწმ**-ულ-ი || **რწმ**-უნ-ი „ბუ, ჭოტი“.
ზან. (მეგრ.) **რწკომ**-ი „ჭოტი“.

სვან. —.

ქართულში ძირად **რწმ**- გამოიყოფა, რომელიც რედუცირებული სა-
ხეობაა საერთოქართველური **რწამ**- გახმოვანებული არქეტიპისა. ა-ს პოვ-
ნიერებას ფუძეენაში მხარს უჭერს მეგრულის **ო** გახმოვანება (შდრ. ქართ.
ა : ზან. **ო**, ქართ. **ო** : ზან. **უ**).

უფრო მნიშვნელოვანია სიბილანტური ბგერათშესატყვისობა ქართ.
წ : ზან. **წკ**, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას **ძ ც წ**
ს → **ძგ ცქ წკ სქ** სპონტანურ სპორადული გარდაქმნის თაობაზე ზა-
ნურსა და სვანურში. რასაც არნ. ჩიქობავას მიერ აღმოჩენილი არტიკუ-
ლაციის უკან გადაწევა უდევს საფუძვლად.

ს.-ქართვ. ***რწამ**- „ჭოტი“ → ქართ. **რწმ**-ოლ-ი || **რწმ**-ულ-ი || **რწმ**-
უნ-ი ← ***რწამ**-ოლ-ი : ზან. **რწკომ**-ი.

ს

ქართ. სა-ვარცხ-ალ-ი „მძრომელი“ (საბა), „ქვეწარმავალი“, «ვარცხ-¹.
ზან. «ორჩხ-¹, ორჩხ-ოლ-ი || ურჩხ-ულ-ი „ურჩხული“.

სვან. —.

ძვ. ქართ. სა-ვარცხ-ალ- სიტყვას საბა განმარტავს: 1. სა-ვარცხ-ალ-ი „ჭქვეია ერთ მძრომსაცა, ვითარცა ჯოჯო, მხვლივი, მისთანა რამ არს“; 2. სა-ვარცხ-ალ-ი „ეწოდების ერთსა თევზსა ზღვისასა სავსესა მელნითა (მსგავსსა) „ხტაპოტისასა“.

საბას განმარტებიდან აშკარა ხდება, გრომ სა-ვარცხ-ალ-ი ხვლიკის მსგავსი ქვეწარმავალია, რომელიც ზღვაშიც ბუდობს.

სა-ვარცხ-ალ-ი ფუძის ზუსტი ზანური ეკვივალენტი უნდა ჩანდეს ქართულ-ზანურ ო-რჩხ-ოლ-ი → || უ-რჩხ-ულ-ი სიტყვაში. ანალოგიური შესატყვისობისთვის შეიძლება მოვიხმოთ ქართ. სა-გზ-ალ-ი : ზან. ო-გზ-ოლ-ი → || ო-რზ-ოლ-ი. ქართ. ვა(რცხ-ი)ს სადარი ზან. (ვა →) ვო → უ შეზრდილია სა- პრეფიქსის შესატყვის ო-ს (შდრ.: ქართ. სა-ვარცხ-არ-ი : ზან. ო-რცხ-ონჯ-ი ←*ო-ორცხ-ოჯ-ი); ო-რჩხ-ოლ-ი → || უ-რჩხ-ულ-ი მონაცვლეობა (resp. ო → || უ) ანლაუტში ისტორიული ვო თანმიმდევრობის არსებობაზე მიუთითებს: ვა → ვო || ო → უ.

ამრიგად, ქართ. სა-ვარცხ-ალ- სიტყვაში სა-ალ კონფიქსია, ვარცხ- — ძირი. მისი ამოსავალი მნიშვნელობა საძებნია.

ს.-ქართვ. *ჟარცხ-, სა-ჟარცხ-ალ- „ურჩხული“ → ქართ. სა-ვარცხ-ალ-ი : ზან. ო-რჩხ-ოლ-ი → || უ-რჩხ-ულ-ი ←*ო-ჟორჩხ-ოლ-ი.

სვან. სამწლ ბზ., სამწლ ბქ. „ემმაკი, ქაჯი“.

ქართ. სა-მალ-ი, შდრ. ამალ-ი (?) (საბა).

ზან. «ო-ბურ-ი¹ „ემმაკი“.

მიგვაჩნია, რომ სვანურმა შემოგვინახა ე მ მ ა კ ი ს აღმნიშვნელი ქართული სიტყვა, რომელიც (ს)ა-მალ- სახეობისა უნდა ყოფილიყო. მის ზუსტ ფონეტიკურ-სემანტიკურ ეკვივალენტს წარმოადგენს ზანური წარმოშობის რაჭული ო-ბურ-ი „ემმაკი“ ლექსემა. ამ შეპირისპირებაში თითქმის უგამონაკლისოდ არის წარმოჩენილი ქართველურ ენებს შორის გამოვლენილი ბგერათშესატყვისობათა ჩვენება — ქართ. (ს)ა- : ზან. ო-, ქართ. მ : ზან. ბ (← მ), ქართ. ა : ზან. უ ← ო, ქართ. ლ : ზან. რ.

ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში შემოსული ე მ - მ ა (კ ი) / ქ ა ჯ ი სიტყვების გაბატონებამ ხმარებიდან გამოდევნა საკუთარივ ქართული სა-მალ-ი და ზანური ო-ბურ-ი, რომლებიც შესაბამისად

სვანურმა და რაჭულმა შემოგვინახეს (შდრ. სვან. (← ზან.) **ჟობურ** „კუ-დიანი“).

ქართული **სა-მალ-ი** სიტყვის საკუთრივ სვანური შესატყვისი უნდა გვქონდეს **უ-მწნ-ჟ** ბზ., **უ-მწნ** ლმზ., **უ-მან-ი** ლნტ. „ემმაკი, ბოროტი“ ფორმაში, სადაც **უ-** პრეფიქსი **სა-/ო-** ქართულ-ზანური სეგმენტს შეესატყვისება და არ უდრის უარყოფითობის **უ-**ს (შდრ. ქართ. და : სვან. **უ-დილ**).

ს.-ქართვ. ****(ს)ა-მალ-*** „ემმაკი, ქაჯი“ → ქართ. **ამალ-ი, სა-მალ-ი**¹ : ზან. **ო-ბურ-ი** : სვან. **უ-მწნ || უ-მწნ-ჟ || უ-მან-ი** ← ***უ-მალ-ი**.

სვან. **სან-წა** ბზ., **სენ-ა || სენ-აჲ** ბქ., ლნტ., ლმზ. „წალო, განჯინა“; ლმზ. „სარკმელი“.

ქართ. **სენ-ა**, ხევს. **სენ-ე** „რძის შესანახი სპეციალური ბინა ხვესურულ სახლში“; „სახლის ნაწილი“.

ზან. —.

ქართველურ სახელებში სემანტიკური სიახლოვე ადვილი დასანახია. უწინარესია **განჯინის, წალოს** გაგება.

სვანურში **ე** → **წ** → **|| ა** ძირეული ხმოვნის ტრანსფორმაცია მომდევნო სუფიქსისეული **ა-**ს ზეგავლენით აიხსნება — **სან-წა** ბზ. ← **სწნ-აჲ** ← **სენ-აჲ**.

ს.-ქართვ. ***სენ-ა** „განჯინა, წალო“ → ქართ. **სენ-ა || სენ-ე** : სვან. **სენ-აჲ** → **|| სან-წა** (შდრ. ნახ. **სან-**, **სან-გო** „კარ-მიდამო“, ახვან. **შობე**, ტინდ. **ჭობა**, ლოდ. **შუბუ**., ბეჟ. **შუნა**, ხვარშ. **შონა**., არჩიბ. **სარ** „საფლავი“...)

ქართ. (ხევს.) **სარცხა** „კეწერა (მცენ.)“, **ცირცხა** (← **სარცხა**).

ზან. **ურჩხა** → **|| რუნჩხა**, „ცარცხა, ურიშა (მცენ.)“.

სვან. —.

სალიტერატურო ქართულში დადასტურებული **ცირცხა** ხმოვნის დისიმილაციითა (**ა** — **ა** → **ი** — **ა**) და თანხმოვნის ასიმილაციით (**ს** — **ც** → **ც** — **ც**) **სარცხა** არქეტიპიდან მომდინარეობს, რომელიც უცვლელი სახით ხვესურულ დიალექტს შემოუნახავს.


ქართულ **სარცხა**-ს ზანურში შესატყვისი უნდა ჰქონოდა. ზანური ეკვივალენტის ისტორიულად არსებობის კვალი ჩანს დასავლურ დიალექტებში შემორჩენილ სიტყვებში: იმერ., რაჭ. **ურჩხა**, ლეჩხ. **უნჩხა** „ცირცხა“.

¹ ხომ არ შეიცავს (ს)ა-მალ-ი ზმნურ მალ- „დამალვა“ ფუძეს? — შდრ.: უ-მალ. მალ-ე და მელ-ია || მელ-ა; ეს უკანასკნელი წარმოშობით მეტაფორული-ეპითეტური სახელი ჩანს ამ ცხოველის თვისებიდან გამომდინარე მელ-ია ← ეტ. ეშმაკი (უ-ცებ — ცბ-იერ-ი).

ანლუტურ **სა-** თანმიმდევრობას რეგულარულად **ო** შეესატყვისება ზანურში (**სახლ-ი** : **ო-ხორ-ი...**); ქართველური **ცხ** კანონზომიერად იძლევა **ჩხ-ს**, ხოლო ბოლოკიდური სუფიქსური **-ა** ზანურში ძირითადად უცვლელია. ამგვარი პრაქტიკიდან გამომდინარე ქართულ **სარცხა-ს** შეესატყვისად ***ორჩხა** უნდა მიეცა ზანურში; თუ გავითვალისწინებთ ჩქამიერთა წინ **რ** → || **ნ** სუბსტიტუციის შესაძლებლობას, ნათელი ხდება, რომ ზანურში **ურჩხა** || **უნჩხა** ალომორფები რეალურად არსებობდა. საიდანაც **უნჩხა** ვარიანტი ლეჩხუმურმა ისესხა, ხოლო **ურჩხა** რაჭულსა და იმერულში დამკვიდრდა.

ს.-ქართვ. ***სა-რცხ-ა** „ცირცხა“ → ქართ. **სარცხ-ა** → || **ცირცხ-ა** : ზან. ***ორჩხ-ა** → **ურჩხ-ა** → || **უნჩხ-ა**.

ქართ. (აჭარ.) **სატილია** „ურთხმელი“.
 ზან. **სოტელია** || **სოტოლია** „ჭარხალი“.
 სვან. —
 ზანურისთვის უძველეს ვარიანტად **სოტილია** უნდა დავსახოთ:



ანლაუტში **სა** ძირის კუთვნილებაა ამიტომაც არ გადავიდა ზან. **ო**-ში. უ რ თ ხ მ ე ლ ს ა და ჭ ა რ ხ ა ლ ს მნიშვნელობის თვალსაზრისით ს ი წ ი თ ლ ი ს სემა აერთიანებთ.

ს.-ქართვ. ***სატ-ილ-(ია)** „ჭარხალი“ → ქართ. **სატილ-ია** : ზან. **სოტელ-ია** || **სოტოლ-ია** ← ***შოტ-ილ-ია**.

სვან. **სწჷ** ზს., ლნტ., **სეჷ** ლშ. „მარხილი“, **სწჷ-ჩწჷ** ზს., **სეჷ-ჩეჷ** ლშ. „მარხილი და ჩეო; ჩეოიანი მარხილი“.

ქართ. (ზ.-აჭარ.) **სელ-ი** „ბორბლიანი მარხილი (ორთვლიანი)“, **სელ-ი** (საბა).

ზან. (მეგრ.) **სალ-ი** „ურმის ბორბლის ნაწილი, მანა“.

ლაშხური **სეჷ** ფორმა უფრო ძველ ვითარებას აჩვენებს. იგი უშუალოდ საერთოქართველური **სელ-** არქეტიპიდან მომდინარეობს **ლ** → **ჷ** პროცესის გავლით. რაც შეეხება **სწჷ** ალომორფს, აქ მ. ქალდანის მიერ დადგენილი **ე** → **წ** უკუმიმართულების უმლაუტი მჟღავნდება: **სელ-** → **სეჷ** → || **სწჷ**.

სომხური **სელ** „ურემი“ ქართულიდან მომდინარეობს; გასარკვევია, რატომ არ მოხდა **ლ** → **ღ** სიტყვის ბოლოში (ახალი ნასესხობაა?) — **სელ** ⇄ **სედ**.

საერთოქართველური ერთიანობის დონეზე ბორბლიანი მარხილის არსებობა ღირებულია კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც.

ს.-ქართვ. *სელ- „ბორბლიანი მარხილი“ → ქართ. სელ-ი : ზან. სალ-ი ←*შალ-ი : სვან. სწჷ || ← სეჷ ←*შელ.

სვან. სწყ „სამანი; ჯოხი“. ქართ. საყ-ე „ხალა, სარი, პალო, საბანი“, საყ-ე-ბურთი „ძვ. თამაშობა, ფარბურთი“.

ზან. (მეგრ.) შეყ-ერ-ი „ღერო“. საერთოქართველურ საყ-ე ძირს სვანურში შწყ- შეეფარდებოდა, რომელმაც მოგვიანებით შ → ს პროცესის განვლით მოგვცა თანამედროვე სწყ. როგორც ეტყობა, ქართ. -ე, ზან. -ერ სუფიქსების შესატყვისად სვანურშიც -ე ან -ი გვქონდა, რომლის მოკვეცამ კვალი დატოვა ძირისეული ა ხმოვნის პალატალიზაციის სახით — *შაყ-ე/ი → *შწყ → სწყ.

უმლაუტის კვალი ზანურსაც ეტყობა; აქ საერთოქართველური ა ჯერ ო-ში გადასულა (ქართ. ა : ზან. ო), საიდანაც ო → ე გადაბგერების გავლით დღევანდელი ე გახმოვანება (შეყ-ერ-ი) დამკვიდრდა. ზანურში საერთოქართველური ა ხმოვნის წინ ს → შ გადაწევის არსებობა მნიშვნელოვანია შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით. რადგანაც ზოგიერთთა აზრით, საერთოქართველური ა ხმოვნის წინ (აგრეთვე ე-ს წინაც) ს → შ ყოველთვის იკარგება ზანურში: ს.-ქართვ. სა/სე → ზან. ო/ა (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). ჩვენი დაკვირვებით, ს → შ → Ø დასტურდება მხოლოდ არაძირეულ მასალაში (resp. პრეფიქსებში). ძირეული ს → შ ზანურში არც ერთ პოზიციაში არ იკარგება.

ს.-ქართვ. *საყ-ე „ღერო, ჯოხი, ხალა, სამანი“ → ქართ. საყ-ე : ზან. შეყ-ერ-ი ←*შოყ-ერ-ი¹ : სვან. სწყ ←*შწყ ←*შაყ-ე/ი.

სვან. სგ- || სკ-, ცქ-, ხ-ა-სგ-ემ ზს., ხ-ა-სგ-ემ ლშხ. „შეაქცევს (ზურგს)“; ხ-ო-სგ-ემ ბქ., ლშხ., ხ-ო-ნსკ-ემ ლნტ. „დააქცევს, ანარცხებს“, ე-ცქ-ე ზს. „გაიწი“, ხ-ე-სგ-ი ბქ. „წაიქცევა“.

ქართ. ქეც-, ქც-ევ-, და-ქც-ევ-ა, ქც-ევ-ა, წა-ქც-ევ-ა, მო-ქც-ევ-ა, გა-ი-ქეც-, გარდა-ქც-ევ-ა.

ზან. ჩქვ-, ო-ჩქვ-ან-ს „აქცევს“, გინა-ჩქვ-ი „გადააქციე“, გინა-ჩქვ-ან-ს „ოძიცეთ „სასაცილოდ აქცევს“.

¹ შდრ. ტოპონიმი შუყ-ერ-ი ← შოყერი ქვემოიმერეთში.

ქართ. **ქეც-** || **ქეც-ეგ-** ფუძის დისტრიბუცია სვანურისას ემთხვევა. სემანტიკური ერთიანობა ძირეული მასალის გენეტურ წარმომავლობასაც გულისხმობს.

ფორმალური თვალსაზრისით საინტერესოა **ქ**-ს მეტათეზისი სვანურ-ში **ქც** → **ცქ** → || **სგ** (შდრ. ქართ. **ექვს-** || **ექსვ-** . სვან. **უსგუა** ←***ექსუა**), ასევე **ქც** → **ჩქ** ზანურში. **ქც** აქცესიური ბგერათკომპლექსი ერთნაირად დაიძლია ქართველურ ენებში. სვანურში უძველესი შიშინა **შგ** კომპლექსიანი ვარიანტები **სგ** სისინა ალომორფებმა შეცვალა (შდრ. ზან. **ჩქუ**).

ვერაუდობთ ს.-ქართვ. **ქც-ეუ-** ძირის გენეტურ კავშირს ს.-ქართვ. **ციქუ-** ფუძესთან (იხ. აქვე) — **ქც-ეუ-** || **ციქუ-**. ანალოგიური ვითარებისთვის შდრ.: ს.-ქართვ. **კუცი-** || **ციკუ-** „კვეცა, ცეკვა“, **კუნეს-** || **სნეკუ-** „კნესა“, **ქუაბ-** || **ბაქუ-** (ზან. **ფოქვ-**)...

ს.-ქართვ. ***ქეც-/ქეც-ეუ-** „ქცევა“ → ქართ. **ქეც-** || **ქც-**, **ქეც-ეგ-** → || **ქც-ეგ-** : ზან. **ჩქვ-** ←***ჩქუ-** : სვან. **ცქ-** → || **სგ-** || **სკ-** ← **შქუ** ←***ჩქუ-**.

სვან. **სგიდ-** || **სკიდ**, ი-**სგიდ-**ი ზს., ლშხ., ი-**სკიდ-**ი ლნტ. „იყურება“, ი-**სგიდ-**რ-წლ ბზ., ი-**სგიდ-**რ-წლ ბქ., ი-**სგიდ-**რ-წლ ლშხ., ი-**სკიდ-**არ-წლ ლნტ. „იხედება“, ლი-**სგიდ-**ი ზს., ლშხ., ლი-**სკიდ-**ი „ყურება, შეხედვა, ცქერა“, ხ-ო-**სგიდ-**წრ-ი ბქ. „ათვალიერებს“.

ქართ. **ცქეც-/ცქიტ-**, **ცქერტ-** „დანახვის ნდომა“, და-**ცქეც-**ა „დიდხანს მზერა“, ი-**ცქიტ-**ებ-ა (საბა).

ზან. —.

ბუნებრივია ვივარაუდოთ ***ცქედ-/ცქიდ-** → **ცქეც-** || **ცქიტ-**. სიბილანტებთან **ღ**-ს გლოტალიზაცია გავრცელებული პროცესია ქართულში:

წყუხედ- → **წყუხეც-**, **წრედ-** || **წრეც-** : ზან. **წირდ-** „დნობა“...

განსახილველი სიტყვა თუ რთული შედგენილობისაა **ცქედ-** (-ედ ზმნური სუფიქსია), მაშინ სიტყვათა ამავე რიგში შემოვა ქართ. **ცქერ-** || **ცქირ-**, ზან. (მეგრ.) **ცქ-(უ)-ირ-**, უ-**ცქვირ-**ინ-ანს „დაჟინებით უმზერს“, **ცქვ-**ირ-ალ-ი „მჭვრეტი“.

ე/ი აბლაუტური მონაცვლეობიდან სვანურში მხოლოდ **ი** სახეობა დამკვიდრდა.

ს.-ქართვ. ***ცქედ-**, ***ცქერ-** „ყურება, მზერა“ → ქართ. **ცქეც-/ცქიტ-**, **ცქერ-/ცქირ** : ზან. **ცქვ-ირ-** (←***ცქირ-**) : სვან. **სგ-იდ-** → || **სკ-იდ-** ||***სგ-ედ-** → || ***სკ-ედ-**.

სვან. **სგიმ** ზს., ლშხ., **სკიმ** „ვეძა, მჟავე წყალი“.

ქართ. „**სიმურ-ი**“ „წყალი“, ხევს. **სიმურ-ი** „მღვრიე წყალი“.

ზან. **სქურ-ი** „წყარო“, „მჟავე წყალი“.

ქართულ **სიმურ-**ში სრულად არის ამოსავალი სახეობა დაცული. სვანურში **-ურ** სუფიქსი არ ჩანს (**სგიმ-ურ-?**), შდრ. **სგიმრ-**ამ-ულ „მდინარე ლაშხეთში“; მეგრულში ჩავარდნილია **იმ** ძირეული სეგმენტი — **სქურ-** ← **სქიმ-ურ-**.

რაც შეეხება თითქოსდა უჩვეულო ბგერათშესატყვისობას ქართ. **ს** : ზან. **სქ** : სვან. **სგ/სკ** (← **სქ**), იგი უნდა ჩადგეს სიბილანტთა შესატყვისობის შემდეგ რიგში : ქართ. **ძ** : ზან. **ძგ** : სვან. **სგ/სკ** (←**ძგ**), ქართ. **ც** : ზან. **ცქ** : სვან. **ცქ || სგ || სკ**, ქართ. **წ** : ზან. **წკ** : სვან. **წკ** → **|| სკ** (შდრ. ქართ. **ღვარძლა** : ზან. **ღვანძგირა**, ქართ. **ციმორ-ი || ცმორ-ი** : ზან. **ცქიმურ-ი/ა**, ქართ. **წერ-** (მობ. **გა-ი-წერ-ა**) : ზან. **ნწკერ-** „გაბზარვა“, ქართ. **პრას-ი** : ზან. **პურასქ-ია || პროსქ-ია**, ქართ. **რისჟ-** „რისვა“ : ზან. **რისქ-ონ...** შესატყვისობათა ამგვარი სახეობა ჩვენ მიერ იქნა გამოვლენილი იხ. აქვე, § 25-28).

ს.-ქართვ. ***სიმ-(ურ-)** „წყალი; მჟავე წყალი“ → ქართ. **სიმ-ურ-ი** : ზან. **სქ-ურ-ი** ← ***სქიმ-ურ-ი** : სვან. **სგიმ-** || **სკიმ-**, **სგიმრ-** ← ***სქიმ-ურ**.

გამოყოფილი ს.-ქართვ. ***სიმ-** „წყალი“ ძირი კანონზომიერად შეესატყვისება სხვა იბ.-კავკას. ენათა წყლის აღმნიშვნელ ფუძეებს: ხუნძ. **ლ'ინ**, ანდ. **ლ'ენ**, დარგ. **შინ**, ლაკ. **შინ**, თაბ. **შიდ...**

სვან. **სგირ** ზს., ლშხ., **სკირი** ლნტ. „სვანური სახლის ქვედა სართული“. ქართ. **შენ-ი**, ხევს., თუშ. **შინა** „ხევსურული სახლის ქვემო სართული, სადაც ზამთრობით ცხოვრობენ“.

ზან. —.

სვანური **სგირ-ი || სკირ-ი** კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **შინ-ა** ლექსემას; ბოლოკიდური **-ა/-ი** დამოუკიდებელი აფიქსებია ქართველურ ენებში.

ნ → **რ** საკუთრივ სვანური პროცესია, რომელიც არაიშვიათად სხვაგანაც დაჩნდება — ***შქინ-ი** → **სგირ-ი || სკირ-ი** (იხ. § 12. **ნ** → **რ**).

გამოყოფილი ს.-ქართვ. **შინ-** საერთოა ქართულ **შენ-** „შენება“ ზმნურ ფუძესთან; ე. ი. **შინ-ა** (←**შენ-ა**) „ნაშენებს, ნაგებობას“ აღნიშნავდა, შდრ. **შენ-ი** „აშენებული (საბა)“.

ს.-ქართვ. ***შენ-** „შენება“, ***შინ-** „შენობა“ → ქართ. **შენ-**, **შენ-ი**, **შინ-ა** : სვან. **სგირ-ი || სკირ-ი** ← ***შქინ-ი**.

სვან. **სგჟიზ-** || **სგუზ-** || **სგჟიზ-**, **სგჟიზ-**ე „წყვეტს“, ჟ'ონ-**სგუზ** „ამოვწყვიტე“, **სგჟიზ-**ა „ჟლეტდა“, ლი-**სგჟიზ-**ე „ჟლეტა, წყვეტა, მოსრვა“. ქართ. —.

ზან. (მეგრ.) **ზგუნჯ-**, **ზგუნჯ-უ-ნ-ს** „წყვეტს“, გო-**ზგუნჯ-ილ-ი** „გაწყვეტილი“, შდრ. გგმო-**ზგუნჯ-ილ-ი** (მიკროტოპ. სოფ. ქვალონში) ← ეტ. „ჩამონაწყვეტი, ჩამოწყვეტილი“.

ნ მეგრულში ფონეტიკური ჩანართია — **ზგუჯ-** → **ზგუნჯ-**. უფრო მნიშვნელოვანია აუსლაუტის ჩვენება, სადაც სვან. **ზ** : ზან. **ჯ** დასტურდება. სავარაუდოა ისტორიულად **ძ** → **ჯ** || **უ** → **ზ** გადაბგერება სვანურში. **შიშინა** → || **სისინა** სუბსტიტუცია ჩვეულებრივია სვანურსა და ზანურში (იხ. აქვე, § 23).

ქართული შესატყვისის უქონლობის გამო თავს ვიკავებთ საერთო-ქართველური არქეტიპის რეკონსტრუქციისაგან.

სვან. **სგუირ** ზს., **სგურ** ლშხ. „ქსოვილი (კანაფის ძაფის)“.
ქართ. **სერა** „ქოთნის პირის მოსაკრავი“ (საბა); **სირ-ა** (საბა).
ზან. —.

სვან. **სგუირ** || **სგურ** მომდინარეობს **სგირ-უ** არქეტიპისაგან, სადაც **-უ** (← **-ო**) ქართული **-ა** სუფიქსის მორფოლოგიურ შესატყვისად გვევლინება (შდრ. ქართ. **ციც-ა** : სვან. **ციც-უ** (←***ციც-ო**)) — სვან. ***სქერ-ო** →***სგირ-უ** → **სგუირ** → || **სგურ**.

მნიშვნელოვანია ქართ. **ს** : სვან. **სგ** (← **სქ**) შესატყვისობა (იხ. § 25).

ს.-ქართვ. ***სერ-ა/სირ-ა** „ქსოვილი მოსაკრავი“ → ქართ. **სერ-ა** : სვან. **სგუირ** || **სგურ**.

სვან. **სდუგ-უ** ზს., **სდუგ-უ** ლშხ., **სტუგ-უ** ლნტ. „ნაწნავი“, **ლუ-სდუიგ-უ** ზს., **ლუ-სდუიგ-უ** უშგ., **ლუ-სდუგ-უ** ლშხ., **ლუ-სტიგ-უ** ლნტ. „დაწნული, ნაწნავი“, **ხ-ო-სდგ-უ-ი** (**ო-ხ-სდუგ-უ-ე**) ზს., ლშხ., **ხ-ო-სტიგ-უ-ი** ლნტ. „უწნავს“.

ქართ. **„შულ-“**, **შულ-ო** „ნართი“.
ზან. —.

სვანურ ფუძეთა შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ შედარებით ძველი სახეობა **სდუგ-უ** უნდა იყოს, სადაც ბოლოკიდური **-უ** (← **ო**) სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსია (შდრ. ქართ. **შულ-ო**).

სიტყვის აუსლაუტში **ო** → **უ** დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია სვანურში. მისი რეალურობა ცხადად დაჩნდება ქართულიდან ნა-სესხებ სიტყვებში: **მაქო** → **მარქუ**, **კალო** → **კალუ**, **უცხო** → **უცხუ**, **უბედო** → **უბადუ**, **ასო** → **ასუ**... (ვ. თოფურია, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, მ. ქალდანი).

გამოყოფილი **სდუგ-** → || **სდუიგ-** სვანურში მიღებულია რთული ფონეტიკური პროცესების გავლით. კერძოდ, საურთიერთო მეტათეზისის გზით მივიღეთ არქაული ***სგუდ-უ** ვარიანტიდან **სდუგ-უ** → || **სდუიგ-უ** ალომორფები — ქართ. **შულ-ო** : სვან. ***სგუდ-უ** → **სდუგ-უ** → || **სდუიგ-უ**. **გ** და **დ** ფონემათა ურთიერთჩანაცვლების წყალობით გაჩნდა **სდ** თანმიმდევრობა სვანურში. ჩვენი დაკვირვებით, **სდ** კომპლექსი აქ არ დასტურდება საკუთარი ფონდის სიტყვებში; ერთადერთია ხ-ა-**სდიკ** „სწყინს, უკმაყოფილოა“, რომელიც ქართულიდან შემოსული **სასტიკ-ი** უნდა იყოს. **სასტიკ-** უცვლელი სახით სვანურის დრო-კილოთა აორისტის წყებაში დაჩნდება: ამ-**სასდკ**-უნ ლშხ., ამ-**სასტკ**-უნ-და ზს. „ეწყინა“.

კითხვა ისმის: საიდან გაჩნდა **დ** სვანურში?

ირკვევა, რომ სვანური **დ** მიღებულია **ლ**-საგან, რასაც ჩვენ მიერ მოძიებული მასალა ადასტურებს — **ლ** → **დ**: სვან. **გირგუედ** ← ***გირგუედ** : ქართ. **გრგვალ-** : ზან. **გორგოლ-**ია „რგოლი“, სვან. **ხიად-** : ზან. **ხიოლ-** „სიხარული“, სვან. **ჭუიდ** ← ***ჩუიდ** ← ***ჩუილ-** : ქართ. **ცვილ-** : ზან. (მ-)**ჩირ-ი...**, სვან. **ქუდა** ← ქართ. : **ქულა** (მატყლისა, ბამბისა...), სვან. **შედ-** „შველა“ ← ქართ. **შველ-**... ამგვარი შეფარდება ადრეც იყო შენიშნული, მაგრამ ამოსავლად სვანურის ვითარებას მიიჩნევდნენ — **დ** → **ლ** (გ. კლიმოვი); ნასესხებ სიტყვათა ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (იხ. § 2. **ლ** → **დ**).

ამრიგად, ქართ. **შულ-ო** სიტყვის სვანური ეკვივალენტი თავდაპირველად ***შქულ-ო** იყო, აქედან მივიღეთ ***შგუდ-უ** → || ***შგუიდ-უ** **ლ** → **დ** გადასვლით, საიდანაც **უ**-ს ზეგავლენით (**შგუ** → **სგუ**) ***სგუიდ-უ** განვითარდა, რომელმაც **გ** — **დ** → **დ** — **გ** სუბსტიტუციით **სდუიგ-უ** || **სდუგ-უ** „ნაწნავი“ მოგვცა (**გ** — **დ** სუბსტიტუციისთვის იხ. § 30).

ს.ქართვ. ***შულ-**, „წვნა, რთვა“, ***შულ-ო** „ნართი, შულო“ → ქართ. **შულ-**, **შულ-ო** : სვან. **სდუგ-უ** || **სდუგ-უ**, **სდუგ-** || **სდიგ-უ** ← **შგუდ-უ** ← ***შქულ-** || ***შქულ-ო**.

სვან. **სენტყუ-**, ი-**სენტყუ-**ალ „წაიშენს თავში ხელებს“, ლი-**სენტყუ-**ალ ბზ., ლი-**სენტყუ-**ალ ბქ., ლნტ., ლი-**სენტყუ-**ალ ლშხ. „თავში ხელების წაშენა“.

ქართ. **სეტყვ-**, **სეტყვ-**ა, **სეტყვ-**ავ-ს...

ზან. —

სიტყვის შიგნით **ნ** განვითარდა სვანურში, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა (ს. ჟღენტი).

და შენის (დაუშენს, წაუშენს) სემანტიკა აერთიანებს ქართულ-სვანურ ფუძეებს, შდრ. გამოთქმა (შესიტყვება) ს ე ტ ყ ვ ა ს ა ვ ი თ და - უ შ ი ნ ა.

ს.-ქართვ. ***სეტყუ-** „დაშენა, სეტყვა“ → ქართ. **სეტყვ-** : სვან. **სენტყუ-** || **სენტყუ-** ←***სეტყუ-**.

ქართ. (ქართლ.) **სვან-ი** „მოჭრილი ხის დასაცურებელი ადგილი ტყეში“.

ზან. **შურ-ო** (რაჭ., ლეჩხ., ზ.-იმერ.) „მთის კალთაზე ჩამოშვებული დიდი თხრილი, ხეების ქვევით დასაცურებლად“.

სვან. —.

დასავლურ დიალექტებში დადასტურებული **შურ-ო** ზუსტად ასახავს ქართული **სვან-ის** ზანურ ეკვივალენტს **ს : შ, ვა : უ** ← **ვო, ნ : რ** შესატყვისობებით — ქართ. **სვან-** : ზან. **შურ-** ←***შვონ-**.

ქართველურ სახელებს საერთო სემანტიკა აერთიანებს.

ს.-ქართვ. ***სჷან-** „ხეების დასაცურებელი თხრილი“ → ქართ. **სვან-ი** : ზან. **შურ-ო** ←***შჷონ-ო**.

ქართ. (ფშ.) **სისნ-ა** „მცირე ჭამა“, იმერ. **სისნ-**, გადა-**სისნ-ა** „გადაჭმა ერთიანად“, ქართლ. **სასნ-ა** „ხარბად ჭამა“.

ზან. (მეგრ.) **შიშონ-**, **შიშონ-უნ-ს** „ბევრს ჭამს განურჩევლად“, დო-**შიშონ-უ** „ერთიანად შეჭამა ყველაფერი“.

სვან. —.

ქართლურ დიალექტში ფიქსირებული **სასნ-ა** ფუძის ინლაუტური განზოგანება მეორეულია — **სასნ-ა** მიღებულია რეგრესული ასიმილაციით **სისნ-ა**-საგან; ამაზე ფშაურ-იმერულის გარდა მეგრულის მონაცემიც მიუთითებს, სადაც **ი** განზოგანება ფუძის შიგნით ერთადერთია.

მეგრულის სრულზოგანობას თუ მივყვებით (**შიშონ-**), ქართულისთვისაც ისტორიულად სრული განზოგანების ***სისან-** არქეტიპი ივარაუდება. სიტყვის მეორე **ა** ხმოვნის რედუქცია მიეწერება მომდევნო ხმოვნით დაწყებული აფიქსის ზეგავლენას — ***სისან-** → **სისნ-**.

ს.-ქართვ. ***სის-ან-** „ხარბად ჭამა“ → ქართ. **სის-ნ-** → || **სას-ნ-** : ზან. **შიშ-ონ-**.

სვან. **სკანტ** ბზ., **წკანტ** ბქ. „წვრილი, ვიწრო“.

ქართ. (აჭარ., გურ.) **წვიტ-ი** „წვრილი“.

ზან. (მეგრ.) **წკვინტ-**, **ო-წკვინტ-**ინ-ან-ს „წვრილძვლიანად გამოყურება, **წკვინტ-ალ-ი** „წვრილსახიანი“, **წკვინტ-ალ-ი** „პატარა წვრილნის-კარტა თევზიჭერია ფრინველი“, შდრ. ქართ. **წინტ-ალ-ი** (ფრინ.).

ზანურსა და სვანურში **წ** ფონეტიკური ჩანართია. ისტორიული **წ** სვანურს დაუკარგავს. მისი არსებობის კვალი ჩანს **ი** → **ა** → **|| ა** ფონეტიკურ პროცესში, რაც **წ**-ს ახასიათებს — სვან. ***წკუიტ** → ***წკინტუ** → **წკანტუ** → **წკანტ** → **|| სკანტ**.

საყურადღებოა შესატყვისობა ქართ. **წ** : ზან. **წკ** : სვან. **წკ** → **|| სკ**, რაც სხვაგანაც ვნახეთ (იხ. § 26).

ს.-ქართვ. ***წ(უ)-იტ-** „წვრილი“ → ქართ. **წვიტ-ი**, **წინტ-ალ-ი** : ზან. **წკვინტ-** || **წკვინტ-ინ-** || **წკვინტ-ალ-ი** : სვან. **სკანტ** || **წკანტ** ← ***წკინტუ** ← ***წკუიტ**.

სვან. **სკარ-**, **სკარ-უ**, **სკარ-ობ** „გვარის ან თემის საერთო დღეობა, რიგრიგობით მართავენ ერთ წელს ერთ ოჯახში, მეორე წელს — მეორეში“, **ლა-სკარ** ბზ., **ლნტ.**, **ლა-სკარ** ბქ. „თემის ან გვარის ერთობლივი დღესასწაული“, **ლე-სკარ** ზს., **ლნტ.**, **ლე-სკარ** ლშხ. „სადღეობო პური, ხაჭაპური“.

ქართ. (ფშ.) **წარ-ი** „რიგი, წესი“.

ზან. **წწკარ-** (← ***წკორ-**), **ლო-წწკარ-უ-**ა „რიგრიგობით რამის დალაგება“.

მეგრულში **ო** → **ა** პროცესის რეალურობას ამტკიცებს ქართ. **სოლ-ი** : ზან. **ფსალ-ი** || **სალ-ი** (← **სოლ-ი**) შეპირისპირება. სხვანაირად აუხსენელია როგორ გაჩნდა **ა** ხმოვნიანი ვარიანტი მეგრულში, ხოლო **ო** ქართულში. საერთოდ პირიქით ხდება — ქართ. **ა** : ზან. **ო**. როგორც ჩანს, სპორადულად უკუპროცესიც **ა** → **ო** → **ა** დასაშვებია ზანურში.

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართ. **წ** : ზან. **წკ** : სვან. **სკ** (← **წკ**) შეფარდებაც (იხ. § 26).

სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა რ ი გ ი, წ ე ს ი უნდა იყოს.

ს.-ქართვ. ***წარ-** „რიგი, წესი“ → ქართ. **წარ-ი** : ზან. **წწკარ-** ← ***წკორ-** : სვან. **სკარ-** || **სკარ-** ← ***წკარ-**.

სვან. **სკიბ** ზს., ლშხ., **სკუიბ** ბქ. „მჭიდრო“.

ქართ. **წკებ-** || **წკიბ-**, გა-**წკებ-**ილ-ი.

ზან. **რწკიბ-**, **რწკიბ-უ-**ა „მჭიდროდ, ვიწროდ შემოვლება, ჩაცმა რა-იმესი“, გო-**რწკიბ-**ილ-ი „გაწკებილი“.

ბალსქვემოური **სკუიბ** მიღებულია -**უ** სუფიქსის ფუძეში გადასმით. **უ**-ს მეტათეზისი ჩვეულებრივი მოვლენაა სვანურში (იხ. ზემოთ) — სვან.

***სკიბ-უ** → **სკუიბ** || **სკიბ**.

აუსლაუტში **ბ**-ს გამჟღერება დისიმილაციურია, რაც ფუძის შიგნით ორი მკვეთრის არსებობით აიხსნება (გ. როგავა): **კობ-ი** → სვან. **კობ**, **კუბატ-ი** → სვან. **კუბანდ** || **კუბდ-არ**. ზანური **რ** სიტყვის თავში ფონეტიკურადაა განვითარებული — ***წკიბ-** → **რწკიბ-**.

ს.-ქართვ. ***წკებ-/წკიბ-** „მჭიდრო, შემჭიდროვება“ → ქართ. **წკებ-/წკიბ-**, გა-**წკებ-**ილ-ი : ზან. **რწკიბ-**, გო-**რწკიბ-**ილ-ი : სვან. **სკიბ-** || **სკუიბ** ← ***წკიბ-უ**.

სვან. **სკორ-** || **სკორ-** || **სკუერ-**, ი-**სკორ-**ე (ა-ხუ-**სკუერ**, ან-**სკუერ-**ნ-ე) ბზ., ლშხ., ი-**სკორ-**ე ბქ., ლნტ. „მოიფიქრებს“, ლი-**სკორ-**ე ბზ., ლშხ., ლი-**სკორ-**ე ბქ., ლნტ. „მოფიქრება“.

ქართ. **სკუენ-**, და-ვა-**სკვენ-**ი, ვა-**სკენ-**ი, და-**სკენ-**ა.

ზან. —.

ისტორიული **უ**ე თანმიმდევრობა სვანურში **ო**-ში გადასულა, მაგრამ ბალსქვემოურში ნამყოს ნაკვეთებში შემორჩენილია.

საინტერესოა ქართ. **ნ** : სვან. **რ**; **ნ** → **რ** ბუნებრივია სვანურში : ქართ. **ბან-** : სვან. **ბარ-** „დაბანა“, ქართ. **ზეგან-ი** : სვან. **ზაგარ** || **ზაგარ**, ქართ. **კინძ-** : სვან. **კარძ-**... (იხ. § 12. **ნ** → **რ**).

სვან. **სკორ-** || **სკუერ-** : ქართ. **სკუენ-** || **სკუნ-** ეტიმოლოგიურად შეიძლება უკავშირდებოდეს **სკუ-** || **სკუენ-** „შეკვრა“ ძირს — ქართ. **ნა-სკვ**, **სკულ-ი**, გამო-ნა-**სკუ-**ებ-ა, მო-**სკუ-**ნ-ა : ზან. **სკვ-**, **სკუ-**აფ-ა „შებმა“, **სკვ-ილ-ი** || **სკვ-ირ-ი** „შეკრული“, ო-**სკვ-**უ „შებმა“, ნა-**სკუ-**ა „ნა-სკვი“ : სვან. ლე-**სკუერ** „თოკი“ სიტყვის სტრუქტურა და სემანტიკა იძლევა ამის საშუალებას.

ს.-ქართვ. ***სკუ-/სკუენ-** „ფიქრი, დაკავშირება ერთმანეთთან, შეკვრა“ → ქართ. **სკვ-** || **სკვენ-** || **სკენ-** : ზან. **სკვ-** : სვან. **სკორ-** || **სკორ-** || **სკუერ-**.

სვან. **სკგდგლ** ბზ., **სკგნდგლ** ბქ. „ცინგლი“.

ქართ. **წვინტლ-ი**.

ზან. —.

ბალსზემოურში ძირეული **ნ** დაკარგულია — **სკენდლ** → **სკედლ**.
 სვანური სხვა მხრივაც არის საინტერესო: 1. **წკ** → **სკ**, **უი** → **უ** →
გ — ***წკუნდლ** → **სკენდლ**, 2. ქართ. **წ** : სვან. **წკ** (იხ. § 26).
 ქართულში ისტორიული **ნლ** თანმიმდევრობა **ნტ**-ში გადასულა, რაც
ნ-ს ზეგავლენას მიეწერება, შდრ. **ცინდალ-ი** → **ცინტალ-ი**, **ყინცვის-ი** →
ყინწვის-ი (ქ. ლომთათიძე).
 ს.-ქართვ. ***წჟინდ-ლ**- „ცინგლი“ → ქართ. **წვინტლ-ი** : სვან.
სკედლ || ← **სკენდლ** ← ***წკენდლ** ← ***წკუნდლ**.

სვან. **სკრ-ე** || **სკრ-ი** (მა-ნსკრ-ე, ხ-ო-ნსკრ-ა ზს., ხ-ო-ნსკრ-ა,
სკრ-ილ-ა ლშხ., **სკრ-ი**ალ-ა || მგ-სკრ-ალ-ა, ხ-ო-ნსკრ-ა ლნტ.) „წვე-
 ტიანი; წვრილი“.
 ქართ. (მოხ., ქართლ., ქიზ.) **წვნ-იკ-ი** „წვრილი“.
 ზან. —
 ქართველური ფუძეები უეჭველ სემანტიკურ სიახლოვეს ამჟღავნებენ.
 საფიქრებელია, რომ ქართულში ამოსავალი სახეობა **წუნ-იკ-ი** იყო. შესა-
 ტყვისი სვანური ფუძე ჩამოყალიბდა **ნ** → **რ** (იხ. § 12), **უ** → **გ** და **წ** →
წკ → || **სკ** (იხ. § 26) ფონეტიკური პროცესების გავლით. რაც დამახასი-
 ათებელი მოვლენაა სვანურში. **-იკ** სუფიქსი ქართულში ფუძის სიმბოლი-
 კას განაზღვრავს.
 ს.-ქართვ. ***წუნ-** „წვრილი“ → ქართ. ***წუნ-იკ-ი** → **წვნ-იკ-ი** : სვან.
სკრ-ე || **სკირ-ი** ← ***წკურ-**.

სვან. **სპჷნ** ბზ., ლნტ. „საქონლის ბაგის თავის გადახურული ნაწილი“.
 ქართ. (გურ.) **სპარ-ა**-ი „ქვევრი ან ხალამი ზევითა ნაწილგატეხილი,
 მარცვლეულის ჭურჭლად ხმარობენ“, ლეჩხ. **სპერ-**, **სპერ-ვა** „მოკვეთა“.
 ზან. —
 ქართველურ ენებში უფრო ძველი მნიშვნელობა **ჭ უ რ ჭ ლ ი ს ა**
 უნდა ყოფილიყო.
 საყურადღებოა ბგერათფარდობა სონანტებში ქართ. **რ** : სვან. **ნ**,
 რაც აიხსნება **რ** → **ნ** გადასვლით სვანურში (იხ. § 17. **რ** → **ნ**).
 ს.-ქართვ. ***სპერ-** „დახურული ჭურჭელი; სათავსი“, „მოკვეთა“ →
 ქართ. **სპერ-**, **სპარ-ა(ი)** : სვან. **სპჷნ** ← ***სპერ**.

ქართ. **სპერ-ი** (თემი), **ისპირ-ი** „ჭოროხი“.

ზან. **ფსარ-ი/ფსარ(-ოს)** „ჭოროხი“, **აფსარ-ი** || **აფსარ-ე** „მდინარისა და ადგილის (სიმაგრის) სახელი“, **აფსარ-ე-ა** „თემის სახელი“, **აფსარ-უნტ-ი** „ციხე-ქალაქი“.

სვან. —.

ცნობილია, რომ **სპერ-ის** თემიდან მომდინარეობის გამო მდინარე **ჭოროხს** სპერის მდინარედაც მოიხსენიებენ. ვახუშტი ბატონიშვილისათვის **ჭოროხი** || **სპერი** || **ისპირი** ურთიერთმონაცვლე სახელწოდებებია (სიმ. ჯანაშია).

ქართული **სპერ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია ზანური (ჭანური) **ფსარ-** ←***სპარ-**. **სპ** → **პს** → **ფს** სუპერაცია აიხსნება ჭანური ფონოტაქტიკის ჩვენებით. აქ **სპ** || **პს** ბგერათათანმიმდევრობები აკრძალულ კომბინაციათა რიცხვს განეკუთვნება. ამიტომაც მოხდა ისტორიული ***სპარ-**ის **ფსარ-**ად დაძლევა.

ჭანური **აფსარ-** — ქართული **ისპირ-** ← **ესპერ-** (შდრ. **სპერ-ი**) ფუძის შესატყვისი — უნდა ჩანდეს ციხე-ქალაქ **აფსარ-უნტ-**ის სახელწოდებაში. სადაც **-უნტ-** ზანური **-უთ** სუფიქსის ალომორფია (შდრ. ზან. ტოპონიმები: კვა-**უთ-ი**, გეგ-**უთ-ი**, გულა-**უთ-ი** (ქართ. გულა-**ურ-ი**)) — **აფსარ-უნტ-ი** ←***აფსარ-უთ-ი**.

ჭანური **აფსარ-ე** → || **აფსორ-ე** (-ე სახელობითი ბრუნვის ჭანური დაბოლოებაა, შდრ. კუჩხ-**ე** „ფეხი...“) ტოპონიმიდან არის ნაწარმოები მედეას ძმის **აფსურ-ტ-ე**-ს საკუთარი სახელიც¹. „ზედმეტი“ **-ტ-** კინობითობის მეგრულ-ჭანური სუფიქსია (ჭკიჭკი-**ტ-ია**, ჯუმუ-**ტ-ია**, შდრ. კრუ-**ხ-ი/კრუ-ტ-ი**).

ს.-ქართვ. ***სპერ-**, ***ე-სპერ-** „სპერი, ისპირი“ → ქართ. **სპერ-ი**, **ისპირ-ი** ← **ესპერ-ი** : ზან. **ფსარ-ი** ←***სპარ-ი**, **აფსარ-ი** ←***აბსარ-ი** ←***ასპარ-ი**, **აფსარ-ე**, **აფსურ-ტ-ე**, **აფსარ-უნტ-ი**.

ს.-ქართვ. ***სპერ-** ძირი ეტიმოლოგიურად უკავშირდება ს.-ქართვ. ***სპერ-** „კვეთა“ ზმნას (იხ. აქვე, სვან. **სპჷნ** ←***სპერ** : ქართ. **სპარ-ად** ←***სპერ-ა-დ**, ლეჩხ. **სპერ-** „მოკვეთა“).

სვან. **სუბ-** → || **სჷბ-**, ი-**სჷბ-ი**, ი-**სუბ-ი** (ლახჷ-**სჷბ-ინ**, ლჷდ-**სჷბ-ინე**, ლჷდ-**სჷბ-ინი**) ბზ. „ცეკვავს“, ლი-**სჷბ-ი** „ცეკვა“, მჷ-**სჷბ-ი** „მოცეკვავე“.

ქართ. **სამ-**, **სამ-ა** „როკვა (საბა)“, ზ.-აჭარ., იმერხ. **სამ-ა** „ცეკვა“.

ზან. **სოფ-**, ი-**სოფ-უ(ნ)** „ვერ ისვენებს, მოძრაობს, ცქმუტავს“.

¹ ამასთან დაკავშირებით საფულისზნოა არიანეს ცნობა, რომ დაბა **აფსარე**-ს წინათ **აფსურტე**-ს ეძახდნენ, რადგანაც აქ **აფსურტე** დაიღუპა მედეასაგან და ადგილობრივები **აფსურტე**-ს საფლავსაც კი უჩვენებდნენ (სიმ. ჯანაშია).

ცეკვის მნიშვნელობა ძირითადია შეპირისპირებული ფუძეების-
თვის. სვანურში ძირეული უ → (ჟი || ჟი) ხმოვანი ს.-ქართვ. ა-ს ასახავს;
მ (→ბ)-სთან მეზობლობით აიხსნება ა-ს ლაბიალიზაცია — ა → უ (გ. მაჭა-
ვარიანი). მ → ბ სპორადულად დასტურდება სვანურში (იხ. § 10. მ → ბ).
იდენტური ფუძე ცნობილია სხვა ენებიდანაც — შდრ. თურქ., არაბ.
სემა „ცეკვა“. ს.-ქართვ. *სამ- არ უნდა იყოს შეთვისებული უცხო ენებიდან.
ს.-ქართვ. *სამ- „ცეკვა, როკვა“ → ქართ. სამ-, სამ-ა : ზან. სოფ-
(←*სობ-), სოფ-ინ-ი „მოძრაობა“ : სვან. სუბ- || სჟუბ- ←*საბ- ←*სამ-.

სვან. «სულა» „შვრია“.
ქართ. სვილ-ა || სვილ-ი „ჭვავი“.
ზან. (მეგრ.) შელ-ებურ-ი „ჭვავის პური (ყველგარეული)“.
ქართული სვილ- ძირის შესატყვისი ზანური ეკვივალენტი დაცულია
შელ-ებურ- სიტყვაში, რომელიც -ებურ- სუფიქსითაა ნაწარმოები შელ-
ძირისაგან (შდრ. ჯვეშ-ებურ-ი = ძველ-ებურ-ი...). ქართ. სვილ- : ზან.
შელ- ანალოგიურია ქართ. ცვილ- : ზან. ჩირ- მიმართებისა, სადაც ვ-ს
გაუჩინარება უეჭველი ფაქტია. ე. ი. ამოსავალი სახეობა *შვილ-ა → ||
*შველ-ა (შდრ. წვიმ-ა : ჭვემ-ა) უნდა ყოფილიყო მეგრულში.

თუ გავითვალისწინებთ ლ → დ გადასვლის შესაძლებლობას სვა-
ნურში (იხ. აქვე, § 2. ლ → დ), შესაძლებელია ფიქრი ქართული სულ-ა
„შვრია“ სიტყვის სვანურ წარმომავლობაზეც.

ს.-ქართვ. *სჟილ-(ა) „ჭვავი“ → ქართ. სვილ-ი || სვილ-ა : ზან.
შელ- (←*შვილ-ა) : სვან. სულ-ა ←*შჟიდ-ა.
ს.-ქართვ. *სჟილ-(ა) არქეტიპის შესატყვისებია: ბაცბ. «სულა», ინგ.
სულა, ჩაჩნ. სულა „შვრია“; ხუნდ. სუ-სურ, ანდ. «სუ-სურ», ბაგვ. სუ-
სურ, ახვან. შუ-შულ → || შუ-შუ „ველური შვრია“, დარგ. სუ-სულ,
ლაკ. სუ-ს (←*სუ-სულ), ლეზგ. სილ, თაბ. სურ-სულ, აღ. სჟოლ, სულ-
ენ, რუთ. სგკვლ (←*სგლ-გკ), წახ. სიკვლ (←*სილ-გკ) ხინ. სგლ-ქ,
კრიწ. სილ-სილ, ბუდ. სგლ-სგლ „ჭვავი“, ს.-დალ. *სულ.

სვან. სურ-უ „ძალიან, მეტად, სრულად“.
ქართ. სულ, სულ-ა-ც, სრ-ულ-, სრ-ულ-ი-ად.
ზან. (მეგრ.) შურ-ო „სულ“, შურ-ო-თ „სრულიად“.
ქართულში შეიმჩნევა დისიმილაციური გადასვლა ლ — ლ → რ — ლ :
სულ-ულ-ი → სურ-ულ-ი → სრ-ულ-ი, შდრ. წულ-ილ-ი → || წურილ-ი.

საერთოქართველურ **სულ-** ძირს ზანურში კანონზომიერი **შურ-** მო-
უცია **ს** → **შ** და **ლ** → **რ** გადასვლით; სვანურში მესამეული მდგომარეო-
ბა დასტურდება: **სულ-** → **შულ-** → **სურ**. საერთოდ, არაერთი მაგალითი
ამოწმებს, რომ ზანურ-სვანურში **სისინა** → **შიშინა** ტრანსფორმაციის სა-
პირისპიროდ **შიშინა** → **სისინა** უკუპროცესიც მოქმედებდა. სწორედ ამ-
გვარი გადაბეგრების ნიადაგზე გაჩნდა ქართ. **სისინა** სიბილანტი : ზან.
შიშინა სიბილანტი : სვან. **შიშინა** სიბილანტი კორესპონდენციის გვერ-
დით **სისინა** : **სისინა** : **სისინა** პარალელური ოპოზიცია (იხ. აქვე, § 23).

ს.-ქართვ. ***სულ-** „მთლიანად, სრულად, სულ“ → ქართ. **სულ**, **სრ-
ულ-** ← **სულ-ულ-** : ზან. **შურ-ო** : სვან. **სურ-** ← **შურ-** ← **შულ-**.

ქართ. **სუტ-**, მოხ. გა-**სუტ-**ილ-ი „გამხდარი, წვრილი“.
ზან. (მეგრ.) **სვიტ-ალ-**ი „გამხდარი, წვრილი“, ო-**სვიტ-**ინ-ან-ს
„წვრილია, გამხდარია“.
სვან. —.

საინტერესოა **უ** → **ვი** მეგრულში, რაც სპონტანური პროცესია
(შდრ. მეგრ. **ხუნ-ა** „ჯდომა“ → გი-ო-**ხუნ-**ალ-ი || გი-ო-**ხვინ-**ჯ-ი „დასაჯლო-
მი“, ქართ. **შულ-** : ზან. **შქვიდ-** „ხრჩობა“...).

ს.-ქართვ. ***სუტ-** „განდომა; წვრილი“ → ქართ. **სუტ-** : ზან. **სვიტ-**
←***შუტ-**.

სვან. **სჷ-**, ხჷ-ჷ-**სჷ** „ვიყავი“, ხ-ჷ-**სჷ** „იყავი“, ლ-ა-**სჷ** „იყო“.
ქართ. **სჷ-**, და-**სვ-**ა-ს, **სვ-**ამ-ს, გარდა-**სჷ-**მ-ა, და-ჷ-**სვ-**ამ-ს, გადა-მ-ჷ-**სვ-**ა.
ზან. (მეგრ.) **რშვ-**, **რშ-**უმ-, გეგენი-ბ-**რშვ-**ი „ვიღრძე“, გინო-**რშუმ-**
აფ-ა „ღრძობა“, კუჩხიქ გეგენ-მ-ა-**რშუმ-**ჷ „ფეხი მეღრძო“.

ქართულ **სჷ-** (**სუმა**) ძირს სვანურში შესატყვისი დაედებნა **სჷ-**
(**ლ-ა-სჷ**) ფორმის სახით, რომელიც წარმოჩნდება დრო-კილოთა აორის-
ტის სისტემაში, სვანური **სჷ-** ძირისათვის ამოსავალი მნიშვნელობაა „სმა,
ჯდომა“ (ბ. გიგინეიშვილი).

ქართული **სჷ-** (**სუმა**) სიტყვის ზანურ შესატყვისად მოველოდით
შვ- (**შუმა**) ძირის არსებობას. ამგვარი დაშვების საფუძველს გვაძლევს
ომონიმური **სმ-ა** ზმნის ზანური ეკვივალენტი — ქართ. **სვ-ამ-ს** : ზან.

შუნ-ს ←***შვ-უმ-ს**.

ჰიპოთეტური ***შუმ-** ფუძის ნაცვლად რეალურად **რშუმ-** ფორმას
ვადასტურებთ მეგრულ დიალექტში. მისი მნიშვნელობები შემორჩენილია
შემდეგ მყარ შესიტყვებაში: გინო-**რშუმ-**აფა (ძვალში, კუჩხიში) „ღრძობა
(ძვლის, ფეხის)“, შდრ. პარადიგმები: გინგ-მ-ა-**რშუმ-**ჷ კუჩხი „ფეხი მე-

ლრძობა“, გეგენ-მ-ა-**რშუმ**-უ „მელრძობ“, გინი-ბ-**რშუმ**-უ-ან-ქ „ვილრძობ“, გეგენი-ბ-**რშუმ**-ე/ი „ვილრძე“...

როგორც ვხედავთ, აწმყოში ფიქსირებულია **რშუმ**- ფუძე, რომელშიც **-უმ**, ქართული **-ამ**-ის შესატყვისი თემის ნიშანი, აორისტიცი გადაყვება, რაც მოულოდნელია (შდრ. ფ-შუნ-ქ—გე-ფ-შვ-ნი „დავლიე“...), მაგრამ მოხმობილი ფაქტები ზუგდიდურის კუთვნილებაა, სამურზაყანულში კი აორისტის ნაკვთებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაბატონებულია ათემატური ფუძეები: გეგენი-ბ-**რშვ**-ნი, გეგენი-**რშვ**-ნი, გეგენი-**რშ**-უ ← გეგენი-**რშვ**-უ...

მეგრული გინო-**რშუმ**-ა (||-აფ-ა) ქართული გადა-**სმ**-ა ფორმის ზუსტი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისი უნდა იყოს: გადა || ← გარდა: გენო პრევერბები გენეტურადაც ერთია და სემანტიკითაც: გეგენ-**მ-ა-რშუმ**-უ = გადა-**მ-ე-სვ-ა**, ხოლო მეგრული „**ლრძობა**“ სემანტემა ← „**გადასმა**“ სემანტემისაგან, შდრ. ქართ. **გადასმა** „ადგილის შეცვლა (რისთვისმე)“, — გადაადგილება (რისამე), ქეგლ-ი.

რ-ს გაჩენის საფუძველი ნათელი უნდა იყოს. აქ მთავარი როლი სტრუქტურული ომონიმის სუპერაციის აუცილებლობამ ითამაშა: ***შუმ**-„დასმა“ || **შუმ**- „დალევა“ → **რშუმ**- „დასმა“ || **შუმ**- „დალევა“...

მეგრული **რშუმ**- ფუძის გამოყენება სხვა ფუნქციებით კვლავ მოგვადგონებს ქართულის **სმა** ზმნის ძირითად სემანტიკურ ნიუანსებს, შდრ. შესიტყვებები: თოლს გი-ვ-ო-**რშუმ**-უ-ან-ქ „თვალს ვადგამ (ვასვამ)“, ქვარაქ ქათ-მ-ა-**რშ(ვ)**-უ „მუცელი მომაწვა (ამომესვა)“, ალემ-ბ-**რშუ**-ან-ქ „ხანდა-ხან ვკოჭლობ (ფეხს ამოვისვამ (?))“...

ბგერათმეფარდება ქართ. სისინა (**ს**) : ზან. შიშინა (**შ**) : სვან. სისინა (**ს** ← **შ**) სახეობისათვის იხ. აქვე, § 23.

ს.-ქართვ. ***სტ**- „დასმა, ჯდომა, ყოფნა, ყოლა“ → ქართ. **სვ** || **სუ** : ზან. **რ-შვ** || **რ-შუმ** ← ***შვ** || ***შვ-უმ** : სვან. **სტ** ← ***შტ**.

ს.-ქართვ. ***სტ**- ძირის კანონზომიერი შესატყვისებია: ნახ. **და-ს** „დასმა“; ხუნძ. **ლ**-ეზე, აზვან. ბი-**ლ**-უ, ჭამ. ბე-**ლ**-ულა, დარგ. ბი-**ჰ**-ეს, ლაკ. ბი-**შ**-ინ, არჩიბ. ე-**ლ**-ას, ხინალ. ჩე-**შ**-ირ-ი, ბუღლუხ. ო-**ს**-ურ-ი „დადება, დასმა“... ჰურ. **აშშ**- „ჯდომა“, ურარტ. **აშ**- „დასმა“.

სვან. **სხაბ** ბზ., ლშხ. „კუკუხო“.

ქართ. (ლექს.) **სხაბ**-ი „დაკლული საქონლის კისრის ნაწილი“.

ზან. —.

ფუძის გავრცელების არეალი არ სცილდება სვანეთ-ლექსუმის მიდამოებს, რაც ანგარიშგასაწევი ფაქტი შეიძლება იყოს სიტყვის ისტორიის თვალსაზრისით.

ს.-ქართვ. ***სხაბ**- „კუკუხო“ → ქართ. **სხაბ**-ი : სვან. **სხაბ** ← ***შხაბ**.

სვან. **სხჰპ**-დად ბზ., **სხჷაპ**-იად ლშხ., **სხჷაპ**-ია ლნტ. „მოქნილი“.
 ქართ. (ფშ.) **სხვებ**-, გამო-**სხვებ**-ა „გამოხტომა, გამოჭრა“.
 ზან. **სხაპ**-, **სხაპ**-უნ-ს „ცეკვავს“, გეგეშა-**სხაპ**-უ „გამოხტა“, **სხაპ**-ია „მხტომი“, ო-**სხაპ**-უ „ცეკვა“.
 ქართულ-ზანური ძირების კავშირი ცნობილია (ა. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე). სვანურის ჩვენება იმით არის საინტერესო, რომ აქ ძირეული **ჷ** ქართულის მსგავსად ნაწილობრვ დაცულია (ლშხ., ლნტ.). მეგრულში (ასევე ბალსზემოურში) **ვ/ჷ**-ს დაკარგვა შეპირობებულია ფუძეში ორი ბაგისმიერი თანხმოვნის პოვნიერებით (**სხვებ**-).
 სვანურში შესაბამისი „მოქნივა“ ზმნური ძირი გამოსავლენია.
 ს.-ქართვ. ***სხჷებ**- „ცეკვა, მოქნივა, ხტომა“ → ქართ. **სხვებ**- : ზან. **სხაპ**- ←***შხვაპ**— : სვან. **სხჷაპ**- || **სხჰპ** || **სხჷპ** ←***შხჷებ**-.

ქართ. **სხვირბ-ლ**- || **სხვრბ-ლ**-, **სხვრბ-ლ**-ვ-ა „ტანთ მუწუკთ სხმა (საბა), ქიზიყ. **სხრუბ-ელ**-ი „ლუდუდი, პატარა მუწუკი“.
 ზან. **ჩხუბ-ურ**-ი „მუწუკი“, ო-**ჩხუბ-ურ**-უ || **ჩხუბ-ურ**-უ-ა „ტანზე მუწუკების გამოყრა“, **ჩხუბ-ურ**-ელ-ი „დაწერტილი, გამოყრილი“.
 სვან. —.
 ქართულ-ზანურ ფუძეთა ანალიზით ირკვევა, რომ საერთოქართველურში **ცხუ(რ)პ**- || **ცხჷი(რ)პ**- არის საგულვებელი. შეიძლება გვეფიქრა ქართული **სხ** კომპლექსის უძველესობაზე, მაგრამ **შხ** → **ჩხ** ზანურში (მით უფრო მეგრულში) არაბუნებრივია. უფრო საპირისპირო პროცესია რეალური: **ცხვარ**- : **ჩხურ**- → || **შხურ**-, **ცხომ**- : **ჩხომ**- → || **შხომ**-...
 ს.-ქართვ. ***ცხვ(რ)პ**-(აღ-) || ***ცხჷ(რ)პ**-(აღ-) „მუწუკი, მუწუკთ გამოყრა“ → ქართ. **სხვრბ-ლ**- || **სხვირბ-ლ**-, **სხრუბ-ელ**-ი : ზან. **ჩხუბ-ურ**-ი, **ჩხუბ-ურ**-.

ტ

სვან. **ტაბ-** || **ტაბ-**, ხ-ა-**ტაბ-**-ე „ათლევინებს“, ა-**ტაბ-**-ე ბზ., ლშხ., ა-**ტაბ-**-ე ბქ., ლტ. „თლის“, ლი-**ტაბ-**-ე || ლი-**ტაბ-**-ე „თლა“.

ქართ. (იმერ.) **ტაფ-**, **ტაფ-**-ა „თლა, წვეტება“, წა-**ტაფ-**-ა ჯონისა „წათლა, წაწვეტება, წაჩეკა ჯონისა (ბ. წერეთელი)“.

ზან. —

ქართ. (იმერ.) **ტაფ-** ზუსტი სემანტიკურ-სტრუქტურული ეკვივალენ-ტია სვან. **ტაბ-** || **ტაბ-**- ფუძისა.

ქართულში ფუძის აუსლაუტი დაყრუებულა — **ტაბ** → **ტაფ**.

ჩვენთვის არ არის მთლად ნათელი გურ. მო-**ტაფ-**-ა სიტყვასთან აღწერილი ფუძეების მიმართება. დიდია სხვაობა შინაარსის თვალსაზრისით — გურ. „მოსპობა“, „განადგურება“ ~ იმერ., სვან. „თლა, წაწვეტება“.

ს.-ქართვ. ***ტაბ-** „თლა, წაწვეტება“ → ქართ. **ტაფ-** (←**ტაბ-**) : სვან. **ტაბ-** || **ტაბ-**.

სვან. **ტალ-** → || **ტლ-**, ლგ-**ტლ-**-ურ-ე ბზ., ლგ-**ტალ-**-ურ-ე ბქ., ლტ., ლგ-**ტალ-**-ურ-ე ლშხ. „დასახიჩრებული, ტალიანი“.

ქართ. **ტალ-ი** „ლაქა“.

ზან. (მეგრ.) **ტალ-ი** „ლაქა“.

მეგრ. **ტალ-ი** ← **ტოლ-ი** პროცესი არ არის უჩვეულო. ჩვენ მიერ მოძიებული ქართ. **სოლ-ი** : მეგრ. **(ფ)სალ-ი** (←***სოლ-ი**) შეპირისპირება ნათლად აჩვენებს, რომ **ლ** → **ა** უკუპროცესი (**ა** → **ლ-**სი) ზანურში მოქმედებდა.

ს.-ქართვ. ***ტალ-** „ლაქა“ → ქართ. **ტალ-ი** : ზან. **ტალ-ი** ←***ტოლ-ი** : სვან. **ტალ** → || **ტლ**.

ს.-ქართვ. ***ტალ-** „ლაქა“ ძირს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში — შდრ.: ს.-ქართვ. **ტალ-** „ლაქა“ : ნახ. **ტაღ-ა** || **ტაღა** „ლაქა“; ხვარშ. **მუტ**, ჰინ. **მუტ**, ლეზგ. ს-**ტალ**, თაბას. **ლიტან** ← **ნოტალ**, კრიშ. აჟ-**ტულ** „წერტილი“...

სვან. **ტაჭრ-**, ლე-**ტაჭრ-** || ლე-**ტეჭრ** „ტევრი, სინშირე“.

ქართ. **ტევრ-ი**.

ზან. (მეგრ.) **ტებ-ი** „ხშირი, გაუვალი ტყე“, მა-**ტგრბ-**აია (ფარონმა-**ტგრბ-**აია ი. ყიფშიძე) „ტევრი“.

ქართ. **ტევრ-** : სვან. **ტაჟრ-** დაკავშირება ცნობილია (გ. დეეტერსი, კ. შმიდტი). ჩვენი დაკვირვებით, მეგრ. **ტგრბ-** → || **ტებ-ი** არ უნდა იყოს ქართულიდან შეთვისებული, თუმცა ქართ. **გ** : ზან. **ბ** უფრო ნასესხებ ფორმებში დასტურდება: **ლაფიწ-ი** → **ლაბერწ-ი**, **ყავარ-ი** → **ყამბარ-ი**. ჩვენს შემთხვევაში **გ** → **ბ** შეპირობებულია თანხმოვანთა სინტაგმატიკით: **-ჟრ-** ან **-რჟ-** თანმიმდევრობები აკრძალულია მეგრულში და მისი სუბე-რაციის კვალი ჩანს **ტგრბ-** → **ტებ-ი** ფორმებში: ქართ. **ტეჟრ-** : მეგრ.

***ტაჟრ-** → **ტგრბ-** → **ტებ-ი**, შდრ. ქართ. **ჯავრ-ი** → მეგრ. **ჯაბ-ი...**
სვანური **ა** გახმოვანება ქართ. **ე**-ს წილ **ჟ**-ს გავლენით აიხსნება — **ეჟ** → **ანჟ** → **აჟ** (მ. ქალდანი).

ს.-ქართვ. ***ტეჟრ-** „ტევრი, ხშირი ტყე“ → ქართ. **ტევრ-ი** : ზან.
***ტაჟრ-** → **ტგრბ-** → || **ტებ-ი** : სვან. **ტაჟრ-** || ← **ტეჟრ-**.

ქართ. (იმერ.) **ტაფ-ელ-ა** „ბატარა წითელი ფერის თევზი“.
ზან. (მეგრ.) **ტოფ-უ** || **ტოფ-გ** || **ტიფ-უ** „ერთგვარი თევზია“, **ტოფ-უ-ა** „ქვირითის დაყრა“, **ონტოფ-ო/ა** (ტობ.).
სვან. —

ი. ყიფშიძე მეგრულში **ტოფ-ი** ფორმას ადასტურებს მხოლოდ, რაც სენაკური მეტყველების კუთვნილებაა და ქართულთან ადაპტირებული სა-ხეობა ჩანს. ზუგდიდურ-სამურზაყანულში **ტოფ-უ/გ** გაგვიგონია. პ. ჭარაია თავის ლექსიკონში **ტიფ-უ**-ს იმოწმებს.

ქართ. **ტაფ-ელ-** : ზან. **ტოფ-უ/გ** შეპირისპირება იდეალურია ბგე-რათშესატყვისობათა ჩვენების თვალსაზრისით — ქართ. **ა** : ზან. **ო**, ქართ. **-ელ** : ზან. **-უ**.

დასავლურ დიალექტებში გავრცელებული **ტოფ-ი** (იმერ.), **ტობ-ობ-ა** (ზ. იმერ., ლეჩხ.) „ქვირითის ყრა თევზის მიერ“, **ტობ-ი** (გურ.) „თევზი“ სიტყვები ზანური წარმოშობისაა.

ს.-ქართვ. ***ტაფ-(ელ-)** „თევზის სახეობა; ქვირითის ყრა“ → ქართ.
ტაფ-ელ-ა : ზან. **ტოფ-გ** || **ტიფ-უ** || ← **ტოფ-უ**, **ტოფ-**.

ქართ. **ტაფ-ელ-ა** „ჯონი სარიკაო“, რიკ-**ტაფ-ელ-ა**, რაჭ. **ტაფ-ა-ობ-ა** „რიკ-ტაფელობა“.

ზან. (მეგრ.) **ტურფ-ა** „კუპრის გამოსაკრავი გათლილი ჯონი“.
სვან. —

ტაფ-ელ- : **ტურფ-ა** ოპოზიცია ფუძის აუსლაჟტის თვალსაზრისით ეპარალელურია წით-**ელ-** : ჭით-**ა** შეპირისპირებას, რაც სიტყვის აბსოლუ-ტურ ბოლოში **ლ**-ს მოკვეციტ აიხსნება: ჭით-**ა** ← *ჭით-**ალ-**, ტურფ-**ა** ← *ტოფ-**ალ-**...

მეგრულში ამ სიტყვას გათლილი ჯოხის სემა ახასიათებს, რაც შემთხვევითი ფაქტი არ უნდა იყოს. სავარაუდოა, საერთოქართველური **ტაფ/ბ-ელ-** მიმღეობური წარმოშობის ფუძე იყოს **ტაბ-/ტაფ-** „თლა“ ზმნური ძირიდან ნაწარმოები (იხ. აქვე, სვან. **ტაბ-** : ქართ. **ტაფ-**, ს.-ქართვ. ***ტაბ-**).

ქართულში გავრცელებული **ტურფი**-ი ზანურ წყაროს გულისხმობს.

ს.-ქართვ. ***ტაბ-ელ-** „ტაფელა; გათლილი ჯოხი“ → ქართ. **ტაფელა** : ზან. **ტურფა** (←***ტოფ-ალ-**).

სვან. **ტახ-რა** „მამალი ნაძვი ან ფიჭვი“; „კავკასიური სოჭი“.

ქართ. **ტახ-ი** „მამალი ღორი“.

ზან. —.

მნიშვნელობის ცვალემა სავარაუდოა სვანურში, სადაც **მამრის** გაგება გახდა ძირითადი, რომელიც შემორჩენილა **ტახ-რა** სიტყვაში.

ფორმალური ანალიზისას ირკვევა, რომ **ტახ-** ფუძე სვანურში ქართული **ტახ-**ის შესატყვისია (შდრ. ნეზტ-რა „დედალი ფიჭვი“); ხოლო **-რა** მცენარეთა და ცხოველთა სახელწოდებებში გავრცელებული სუფიქსი: ჯიჰ-, ჯიჰ-რა „მუხა“, წიფ-, წიფ-რა „წიფელი“, ჰებ-, ჰებ-რა „ბალი“...

ს.-ქართვ. ***ტახ-** (←წ.-ქართვ. ***დ-ახ-**) „მამალი ღორი“ → ქართ.

ტახ-ი : სვან. **ტახ-**, **ტახ-რა**.

წ.-ქართვ. ***დ-ახ-** „მამალი ღორი“ ფუძის შესატყვისებია: ს.-ნახ.

(ჰ)აჭა „ღორი“; ხუნძ. **ბოლ'**, ბოთლ. **ბოლ'ონ**, კარ. **ბოლ'ონ**., დიდ. **ბელ'ო**, არჩიბ. **ბოტა** „ღორი“...

სვან. **ტაფ-**, ლე-**ტაფი** „განის ფიცარი“.

ქართ. **ტაბ-ო** გურ. „ჩამურის ნაწილი“, ქვ. აჭარ. „მომრგვალებული ფიცარი“, ლეჩხ. სა-**ტაფ-ურ-**ი „ბარის ტარში გაყრილი ჩხირი ფენის დასაბიჯებლად“.

ზან. «**ტუბ-არ-ი**» „საფუძველი, საძირკველი“, **ტუბ-უ-ხ-ი** „ფსკერი“.

ზანურში **ტაბ-/ტაფ-** ქართველურ ძირთა შესატყვისი ფორმა დაკარგულია (არ არის გამოვლენილი). შესაძლებელია მოსალოდნელი ***ტუბ-** ჩანდეს აჭარულ **ტუარ-**ი ←***ტუბ-არ-**ი სიტყვაში.

საერთოქართველურ ***ტაბ-** სახელს ერთგვარი (საყრდენი) ფიცრის სემანტიკა ახასიათებდა. ამგვარ ჩვენებას მხარს უჭერს ყველა ქართველური მონაცემი (შდრ. **ტაბ-აკ-**ი || **ტაბ-ლ-**ა (?)), შდრ. ჭან. **ტაბ-უ** „ტაბლა“.

ს.-ქართვ. ***ტაბ-** „ერთგვარი (საყრდენი) ფიცარი“ → ქართ. **ტაბ-ო**, სა-**ტაფ-ურ-**ი : ზან. ***ტუბ-არ-**ი (?) : სვან. **ტაფ-**, ლე-**ტაფი** ←***ტაბ-**.

სვან. **ტაფშ-უ**, **ტაფშ-ჟ** უშგ. „ბრტყელი“.
ქართ. (რაჭ.) **ტელ-ფ-ი** „ფართო, ტრიალი ადგილი“, ინგილ. **ტელ-ა-ფ** „გაბრტყელებული“, **ტლ-უ**.
ზან. **ტაშ-ი**, **ტაშ-ირ-ი** (ტობ.).

სვანური **ტაფშ-ჟ** მიღებულია ***ტაშ-ფ-ჟ** უფრო ძველი ვარიანტისა-გან **შფ** თანმიმდევრობის შეუძლებლობის გამო — ქართ. **ტელ-ფ** : სვან. ***ტაშ-ფ-ჟ** → **ტაფშ-ჟ**; აქ ივარაუდება ლ → შ ფონეტიკური პროცესი სვანურისთვის. რასაც ზანურშიც ვადასტურებთ — ქართ. **ტელ-** : ზან. **ტაშ-** || **ტაშ-ირ-** (შდრ. ქართ. ძველ-ი : ზან. ჯვეშ-ი). ამით იმის თქმა გვსურს, რომ **ტაშ-ი** (**ტაშ-ის-კარ-ი**), **ტაშ-ირ-ი** წარმოშობით ზანური ტობონიმებია, რომელთა სახელდებაც მოტივირებულია მათი ადგილმდებარეობით, შდრ. ქართ. (← ზან.) **ტაშ-ირ-ი** „ღია, გაშლილი ადგილი“.

ს.-ქართვ. ***ტელ-(ფფ-)** „ბრტყელი, ფართო, ტრიალი (ადგილი)“ → ქართ. **ტელ-ფ-ი**, **ტელ-ა-ფ**, **ტლ-უ** (←***ტელ-უ**) : ზან. **ტაშ-ი**, **ტაშ-ირ-ი** : სვან. **ტაფშ-უ** || ← **ტაფშ-ჟ** ←***ტაშ-ფ-ჟ** ←***ტეშ-ფ-ჟ**.

ქართ. **ტერფ-ი** „ფერჯის ქვეითი სიბრტყე“; „ფეხის ძირი“.

ზან. (ჭან.) **ტაბ-ან-ი** || **ტაბ-უ** „ფეხის გული“; „ქუსლი“.

სვან. —.

ჭანურში **-ან** || **-უ** დაბოლოებებს არაძირისეულად მიიჩნევენ, ძირია **ტაბ-** (არნ. ჩიქობავა). ჭანური **ტაბ-** უნდა შეესატყვისებოდეს ქართულში განმარტოებით მდგარ **ტერფ-** ფუძეს. თუ დაკავშირებას გავიზიარებთ, მნიშვნელობის მხრივ დიფერენციაცია მინიმალურია ქართველურ ენებში, შდრ.: „ფეხის ძირი“, „ქუსლი“, „ფეხის გული“.

კანონზომიერია ფორმალური მიმართებაც — **ტერფ-/ტაბ-**. ქართ. **ე** : ზან. **ა**, ქართ. **ფ** : ზან. **ბ** (შდრ. **ტეფ-** „გან-ტეფ“, **ტფ-ილ-** : **ტიბ-უ** || **ტუბ-უ**) ბუნებრივია. ახსნას ითხოვს **რ-ს** „ზედმეტობა“ ქართულში; ის, არ არის გამორიცხული, რომ ზანურში (მით უმეტეს ჭანურში) დაკარგულიყო.

აჭარული **ტაბან-ი** „საძირკველი“ ჭანურ წყაროს ვარაუდობს.

ს.-ქართვ. ***ტე(რ)ბ-** „ძირი, ტერფი; ფეხის ძირი“ → ქართ. **ტერფ-ი** ←***ტერბ-ი** : ზან. **ტაბ-უ** || **ტაბ-ან-ი** ←***ტარბ-** (?).

ქართ. **ტინ-** „ლოდი, სალი კლდე“, **ტილ-აბ-** „კირქვა“.

ზან. (მეგრ.) **ტკილ-ი** || **ტკირ-ი** „ლოდი, სიბი კლდე“, **ტკილ-ამ-** „ქვიანი“, კოდუმე-**ტკირ-ი** „კლდიანი სანაპირო (კბოდე)“.

ქართულში ძირად **ტილ-** (→ **ტინ-**) გამოიყოფა, რომლის ზანური კანონზომიერი შესატყვისი გართულებულია **კ-**თი, რაც ბუნებრივია მეგრულისთვის **ტ-**ს მომდევნო პოზიციაში, შდრ. ქართ. **ლ/ზრტილ-ი** : მეგრ.

ხინ **ტკირ**-ი, ქართ. ლურ**ტნ**-ა : მეგრ. ხენ**ტკორ**- „ამოლურტნა“... ასევე ქართ. **ტილ**- : ზან. **ტკირ**- || **ტილ**-.
ს.-ქართვ. ***ტილ**- „ლოდი“ → ქართ. **ტინ**-ი, **ტილ**-აპ-ი : ზან. **ტკირ**-ი || **ტილ**-ი ← ***ტილ**-ი.

ქართ. (ლეჩხ.) **ტონ**-, ამო-**ტონ**-ვა „სატეხით ამოჭრა“.
ზან. (მეგრ.) **ტონ**-, ეშა-**ტონ**-უ-ა (ოტახუთ) „სატეხით ამოტოხვა“.
სვან. —.

ქართ. **ტონ**- : ზან. **ტონ**- ფუძეთა ფორმალურ-სემანტიკური იდენტურობა არ ნიშნავს რომელიმე მათგანის ერთი ენიდან მეორეში სესხებას. **ტონ**- საერთოქართველური დამოუკიდებელი ზმნური ძირია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ს.-ქართვ. ***ტეხ**- (ზან. **ტახ**-) სიტყვასთან.
ს.-ქართვ. ***ტონ**- „სატეხით ამოჭრა“ → ქართ. **ტონ**- : ზან. **ტონ**-.

სვან. **ტკვი**- „მაგრად დაჭიმული რამ“.

ქართ. **ტკიც**-ინ-, გა-**ტკიც**-ინ-ებ-ა, **ტკიც**-ინ-ა.
ზან. **ტკიჩ**-ინ-, ო-**ტკიჩ**-ინ-უან-ს „ატკიცინებს; მაგრად გაბერავს“, გო-**ტკიჩ**-ინ-აფ-ილ-ი „დაჭიმული“, **ტკიჩ**-ონ-დ-უ(ნ) „იბერება, მაგრად იჭიმება“.
მეგრულ-ქართულში -ინ ზმნური სუფიქსი დრო-კილოთა ყველა ჯგუფშია წარმოდგენილი; სვანურში -ინ არ დასტურდება, არც ზმნური ფუძეებია ცნობილი.
ს.-ქართვ. ***ტკიც**-ინ- „დაჭიმვა, გაბერვა“ → ქართ. **ტკიც**-ინ- : ზან. **ტკიჩ**-ინ- : სვან. **ტკვი**- ← **ტკიჩ**-.

სვან. **ტრელ**-, ხ-ე-**ტრელ**-წლ ლნტ. „ეთამაშება“, ლი-**ტრელ**-წლ „თამაში“.

ქართ. **ტრელ**-, **ტრელ**-ი „ერთს პირსა და ერთს საქმეზედ დაუმდგარი (საბა)“, ფშ. **ტრელ**-ი „ლაჩარი, მშიშარა“, **ტრელ**-ობ-ა „ფერება, მოფერება“.
ზან. —.

თამაში და **ფერება** საერთო სემანტიკური ველის წევრებია. ამ ფუძეებს ფორმალური იდენტურობა აერთიანებთ.
ს.-ქართვ. ***ტრ-ელ**- „თამაში; ფერება“ → ქართ. **ტრ-ელ**-ი, **ტრ-ელ**- : სვან. **ტრ-ელ**-.

სვან. **ტჷარ**- || **ტჷარ**- || **ტჷარ**-, ა-**ტჷარ**-ე (ან-**ტჷარ**-ე) ზს., ლშხ., ა-**ტჷარ**-ე ლნტ. „ანთებს“, ა-**ტჷარ**-წლ-ი ბზ., ა-**ტჷარ**-წლ-ი ბქ., ა-**ტჷარ**-წლ-ი ლშხ., ა-**ტჷარ**-ალ-ი ლნტ. „ანთებს (ბევრს ან მრავალგზის), ლუ-**ტჷარ**

ბქ., ლნტ., ლუ-ტუარ ლშხ. „ანთებული“, მუ-ტუარ ზს., ლნტ, მუ-ტუარ ლშხ. „მნათი, სანთელი“.

ქართ. ტრ-, ტრ-ი-ობა-ა „აღზნება“, ს-ტრ-ი-ო || ს-ტირ-ი-ო „ტრი-ობის მქნელი (საბა)“.

ზან. (მეგრ.) ტურ-, ტურ-აფ-ა „შენთება“, ეთო-ტურ-აფ-ილ-ი || ე-ტურ-აფ-ილ-ი „შენთებული, აღზნებული“, მითო-ტურ-აფ-ა „შეგზნება (ცეცხლის)“, ქინთუ-ტურ-ე „შეუნთე, შეუცაცხანე“.

სვან. ტუარ- : ზან. ტურ- ფუძეთა შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტრ- ძირი ქართულშიც ისტორიულად განმოვანებული იყო. სა- ვარაუდო *ტუარ- ქართულში არ ჩანს.

ს.-ქართვ. *ტუარ- „ანთება; შენთება“ → ქართ. ტრ- ←*ტუარ- : ზან. ტურ- : სვან. ტუარ- → || ტურ- || ტუარ-.

სვან. ტუერ-დ ბზ., ლშხ., ტურ-ამ-დ ბქ., ტურ-ამ-დ ლშხ., ტუარ-დ ლნტ. ლიგნე „დამტვრევა, ნამსხვრევებად ქცევა“, შდრ. სვან. ტუის „მტვერი“.

ქართ. მ-ტვერ- || მ-ტვრ-, მ-ტვრ-ეფ-ა, ა-მ-ტვრ-ეფ-ს, მ-ტვერ-ი.

ზან. მ-ტვერ-ი ←*მ-ტვარ-ი „მტვერი“.

ზანურ შესატყვისად მოხმობილი მ-ტვერ- ქართულთან ადაპტირებული ფუძეა, რომელმაც გამოდევნა საკუთრივ ზანური *(მ-)ტვარ- არქე- ტიპი, შდრ. მეგრ. ზმნური ფუძე რტუმ-ოლ-ი „მტვრევა“.

ქართულში დაკარგულია ამოსავალი ზმნური ტვერ-; არსებული მ-ტვერ-ი/მ-ტვერ- ნაზმნარი სახელია. ამას კარგად აჩვენებს სვანურის არ- ქაული ტუერ- ფორმა.

ს.-ქართვ. *ტუერ-, „მტვრევა“, *მ-ტუერ- „მტვერი“ → ქართ.

*ტუერ-, მ-ტვერ-, მ-ტვერ-ი : ზან. მ-ტვერ-ი (←*მ-ტვარ-ი), რტუმ-ოლ-ი ←*მ-ტვარ-ოლ-ი : სვან. ტუერ- → || ტურ- || ტუარ-.

სვან. ტყაბ- || ტყაბ- || ტყბ-, ა-ტყბ-ე (ო-ხჟ-ტყაბ) ზს., ა-ტყბ-ი (ო-ხ-ტყაბ) ლშხ., ა-ტყაბ-ე/ი ლნტ. „წვავს“, ლი-ტყბ-ე ზს., ლი-ტყბ-ი ლშხ., ლი-ტყაბ-ი ლნტ. „შეწვა“, ლგ-ტყაბ ზს., ლნტ., ლგ-ტყაბ ლშხ. „შემწვარი“, მგ-ტყაბ ზს., ლნტ., მგ-ტყაბ ლშხ. „შემწვარი“, მგ-ტყაბ-ე ლნტ. „შემწველი“.

ქართ. ტყ-ინ-, ტყ-ინ-ებ-ა „ცეცხლის გზნება, ნთება (საბა)“, მო-ტყ- ინ-არ-ე „ანთებულებით (საბა)“.

ზან. —.

„წვა“ ~ „დანთება“ სემანტიკური მიმართება ადვილი ასახსნელია.

ფორმალური თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს -აბ → || -აბ თე- მის ნიშნის პოენიერება სვანურში (იხ. § 39). -ებ-იანი ფუძე ქართულშიც

შეიძლება მოვიძიოთ — **ტყუერბ-ი** (←***ტყ-ჟ-ებ-რ-ი**) „დიდი ცეცხლი აგზებულ ფრიად (საბა)“.

ს.-ქართვ. ***ტყ-** || ***ტყ-(ებ-)** „დანთება, ცეცხლი; ცეცხლზე შეწვა“ → ქართ. **ტყ-ინ-**, **ტყ-ჟ-ერ-ბ-ი** ← ***ტყ-ჟ-ებ-რ-ი** : სვან. **ტყ-აბ-** || **ტყ-აბ-** ←***ტყ-ებ-**.

ქართ. (იმერ.) **ტყვებერ-ა** „ლაცე კვერცხი“.
ზან. (მეგრ.) **ტყვაპა-ია** „ლაცე კვერცხი“.
სვან. —.

მეგრულში **რ** დაკარგულია **ტყვაპა-ია** ←***ტყვაპარ-ია**. ფუძის სიმბოლიკური (ბგერწერითი) აგებულების მიუხედავად ბგერათშესატყვისობა ქართ. **ე** : ზან. **ა** დაცულია.

ს.-ქართვ. ***ტყჟებ-(ერ-)** „ლაცე კვერცხი“ → ქართ. **ტყვებ-ერ-ა** : ზან. **ტყვაპ-ა-ია** ←***ტყვაპ-არ-ია**.

სვან. **ტყლიბ** ზს., ლნტ., **ტყლიბ** ლშხ. „ელენთა“.
ქართ. **ტყირბ-ი** || **ტყირბ-ი**.

ზან. (მეგრ.) **ტყილ-ი** „ტყირბი, ელენთა“.
ზანურ-სვანურში **ლ** მეორეული ფორმაციისაა. მეგრული უფრო შორსაა წასული; აქ ბოლოკიდური **ბ** დაკარგულია, რაც ჩვეულებრივია მხოლოდ **რ-ს**თან მეზობლობაში (შდრ. ქართ. **რბოლ-ა** : ზან. **რულ-ა** ← **რბულ-ა**...) — მეგრ. **ტყილ-ი** ←***ტყირ-ი** ←***ტყვირბ-ი**.

ს.-ქართვ. ***ტყირბ-** „ტყირბი, ელენთა“ → ქართ. **ტყირბ-ი** || **ტყირბ-ი** : ზან. **ტყილ-ი** (←***ტყირბ-ი**) : სვან. **ტყლიბ** || **ტყლიბ** (←***ტყირბ**).

ს.-ქართვ. **ტყირბ-** ფუძეს შესატყვისები ეძებნება იებრიულ-კავკასიურ ენებში, შდრ.: ნახ. **დჟეფც** „ღვიძლი“; ანდ. **რეტაილ'ი** ←***დეტაილ'ი**, დარგ. **დულეკ**, ლაკ. **თაილიკ**, არჩიბ. **დილიკ**, ხინალ. **დალად** „ღვიძლი“...

სვან. **ტყჟალ** ბზ., ლშხ. **ტყჟალ** ლნტ. „ლაფი, შლამი“.
ქართ. **ტლაპ-ო**.

ზან. **ტყოლ-**, **ო-ნტყოლ-ეშ-ი** → || **ო-ლონტყ-ეშ-ი** „ტლაპო“, **მო-ნტყოლ-ირ-ი** „ლაფში ამოვლებული“.

თუ დამტკიცდება, რომ ყ ან ქართულშია დაკარგული, ან გაჩენილია ზანურ-სვანურში, მაშინ აღწერილ ძირთა სტრუქტურა და სემანტიკა იძლევა მათი დაკავშირებით შესაძლებლობას, შდრ. **ტალან-** ←***ტყალ-** (?).

ს.-ქართვ. ***ტყულ-** „ტლაპო, ლაფი“ → ქართ. **ტლ-აპ-ო** : ზან. **ნტყოლ-** → || **ლონტყ-** : სვან. **ტყულ** → || **ტყულ**.

სვან. **ტყუესგ-** || **ტყუნსგ-** || **ტყუნსკ-**, ხ-ე-**ტყუსგ-**ენ-ი (ეს-**ტყუესგ-**ნ-ი) ბზ., ხ-ე-**ტყუესკ-**ენ-ი „ნაპერწყალი უვარდება“, ამ-**ტყუნსგ** → || ან-**ტყუნსგ** ზს., ან-**ტყუნასგ** ლშხ., ამ-**ტყუნსკ** → || ან-**ტყუნსკ** ლნტ. „ვარსკვლავი“, ქს. „ნაპერწყალი“, მუ-**ტყუნსგ** ზს., მუ-**ტყუნასგ** ლშხ., მუ-**ტყუნსკ** ლნტ. „ნაპერწყალი, ვარსკვლავი“.

ქართ. **ტყვც-**, **ტყვც-**ილ-ი.

ზან. (მეგრ.) **ტყვაც-**, **ტყვაც-**ი „ჭეჭა“, „ელვა“, გო-**ტყვაც-**უ „იელვა“, ჭან. **ტკორ-** „სროლა“.

ზანურში ფუძე გასისინებულია **ტყვაც-** ←***ტყვარ-** (შდრ. ჭან. **ტკორ-**). მნიშვნელოვანია შესატყვისობა ქართ. **ც** : ზან. **ჩ** → **ც** : სვან. **სგ/სკ** ← **ცქ** (იხ. § 28).

ბუნებრივად გვეჩვენება სემანტიკური შეფარდება ნ ა პ ე რ წ კ ა ლ ი ~ (ე ლ ვ ა) ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი.

ს.-ქართვ. ***ტყუიც-/ტყოც-** „ელვა, ნათება, ნაპერწყალი“ → ქართ.

ტყვც- (←***ტყვიც-**) : ზან. **ტყვაც-**, **ტკორ-** ←***ტკორ-** : სვან. **ტყუესგ** || **ტყუნსგ** || **ტყუსგ-** || **ტყუნსკ-** ← **ტყუიცქ-**.

სვან. **ტყუეფ-** || **ტყუნფ-** || **ტყუნფ-**, ხ-ე-**ტყუნფ-**ენ-ი (ა-ხ-**ტყუნფ-**) ზს., ლშხ., ხ-ე-**ტყუნფ-**ენ-ი ლნტ. „სძვრება (ტყავი, კანი...), მე-**ტყუეფ-** „ატყავებული“.

ქართ. **ტყავ-**, **ტყავ-**ი, **ტყავ-**ებ-ა, გადა-ე-**ტყავ-**ებ-ა, ა-**ტყავ-**ებ-ს.

ზან. **ტყებ-/ტყაბ-**, **ტყებ-ი** || **ტკებ-ი** „ტყავი“, **ტყაბ-არ-**უ-ა „გატყავება“, გინ-**ტყაბ-არ-**უ(ნ) „გადაეტყავება“, გურ. (← ზან.) **ტყობ-**ერ-ა.

სვანურში სახელური ფუძე გვაკლია. აგებულიებით სვანური ხ-ე-**ტყუეფ-**ენ-ი უდრის ქართულ „გადა-ე-**ტყავ-**ებ-ა-ს.

სვან. **-ეფ** (← **-ებ**) არამხოლოდ ფუნქციურად შეესაბამება ქართულ **-ებ-**ს (იხ. § 39-40). სვანურში **-ეფ** გამოსაყოფია; ძირად გვჩვენება **ტყუ-**, რომელიც რედუცირებული შესატყვისია ქართული **ტყავ-**ისა — **ტყუ-** ←***ტყ-აჟ-**.

ს.-ქართვ. ***ტყ-აჟ-** „ტყავი, ტყავება“ → ქართ. **ტყავ-**ი, **ტყავ-** :

ზან. **ტყებ-** || **ტყაბ-**, **ტყაბ-არ-** ← **ტყობ-არ-** : სვან. **ტყუ-ეფ-** → || **ტყუ-წფ-** → || **ტყუ-ფ-** (←***ტყაჟ-ებ-**).

სვან. **ტყუიფ**- || **ტყუიფ**- || **ტყუიფ**-, ხ-ა-**ტყუიფ**-ი (ლო-ხ-ა-**ტყუიფ**)
ზს., ხ-ა-**ტყუიფ**-ი (ლო-ხ-**ტყუიფ**) ლზნ., ხ-ა-**ტყუიფ**-ი (ლა-ხ-ა-**ტყუიფ**)
ლნტ. „სცემს; არტყამს (მათრახს...)“.

ქართ. **ტყებ**-, **ტყებ**-ა „თავს ცემა (საბა)“, „ტირილი, გოდება“, ძვ.
ქართ. **ტყებ**-დ-ეს.
ზან. —.

-**ეფ** (← -**ებ**) სვანურში აქაც გამოჩნდება ქართული -**ებ**-ის შესა-
ტყვისად. მთლად ნათელი არ არის **ჟ**-ს კვალიფიკაცია სვანურში — ფო-
ნეტიკურად განვითარდა, თუ ქართულმა დაკარგა. ამის ფონეტიკური სა-
ფუძველი არსებობდა ძირში **ბ**-ს პოზიციების სახით — **ტყუებ**- →
ტყებ-. საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს; გამოსავლენია ზანური
ეკვივალენტიც, მდრ. **ტ(ყ)ვაფ**-აფ-ი „თავში ცემა“.

სვანურში ფუძის აბლაუტი ჩვეულებრივია — **ტყუიფ**- → || **ტყუიფ** —
ტყუიფ-, ქართულში **ე** — **ი** არ არის შენიშნული.

ს.-ქართვ. ***ტყ(უ)ებ**- „ცემა, ტირილი“ → ქართ. **ტყებ**- : ზან.
ტ(ყ)ვაფ- : სვან. **ტყუიფ**- → || **ტყუიფ**- → || **ტყუიფ**- || **ტყუიფ**-.

სვან. **ტყერსგ**-ნ-, **ტყერსგ**-ნ-**ა** ბზ., **ტყერსგ**-ნ-**ა** ბქ. „ტკაცუნა“.

ქართ. **ტკრც**-ი-ალ-ი/ა, **ტკაც**-ან-ი, **ტკაც**-უნ-ა.

ზან. **ტკარჩ**-ალ-ი „კისკისი, კაკანი“, **ტკარჩ**-აფ-ი „ტკაცანი“.

ტკ/ტყ მონაცვლეობას ალბათ ამ ფუძის ბგერწერითი ხასიათი გან-
საზღვრავს, თუმცა **ტკ/ტყ** სპორადულად ამის გარეშეც იჩენს თავს —
ტყბილ-ი || **ტყბილ**-ი.

ქართ. **ც** : ზან. **ჩ** : სვან. **სგ** (← **ცქ**) ბგერათფარდობამ აქაც იჩინა
თავი (იხ. § 28).

ს.-ქართვ. ***ტყაც**-ან- „ტკაცანი“ → ქართ. **ტკაც**-ან- || **ტკაც**-უნ-,
ტკრც-ი-ალ-ი/ა : ზან. **ტკარჩ**- || **ტკარჩ**- : სვან. **ტყერსგ**-ნ-←***ტყარცქ**-ან-.

სვან **ტენ**- || **ტინ**-, ალ-**ტენ**-ე (ოთ-ლგ-**ტინ**) „ჭყლეტს“.

ქართ. **ტენ**-, **ტენ**-ი-ს, გა-**ტენ**-ილ-ი, შე-**ტენ**-ილ-ი, და-**ტენ**-ა, **ტენ**-
ებ-ა „ჯრა (საბა)“.

ზან. **ტვენ**-, **ტვენ**-ჟ-ა „ტენა“, გო-**ტვენ**-ილ-ი „გატენილი“.

სემანტიკურ-ფორმალური იგივეობა ადვილი შესამჩნევია. სვან. ა-ლ-
სხვაგანაც დასტურდება — ალ-**ფარ**-ი „ფარავს“ : ქართ. **ფარ**-, **ფარ**-ი...

ს.-ქართვ. ***ტენ**- „ტენა, ჭყლეტა“ → ქართ. **ტენ**- : ზან. **ტვენ**- :
სვან. **ტენ**- || **ტინ**-.

ჴ

სვან. -ჴ (\leftarrow -ო) „დერივაც. სუფ.“.

ქართ. -ო „დერივაც. სუფ.“.

ზან. -ო \rightarrow || -ჴ „დერივაც. სუფ.“

მულ-ჴ : მულ-ო : მულ-ჴ, ფერ-ჴ \rightarrow || ფერ-ჴ : ფერ-ო, სდუგ-ჴ :
შულ-ო, ბალ- \leftarrow ბალ-ჴ : ბელ-ო : ბალ-ჴ, წებ-ო : ჭაბ-ჴ || ჭაბ-ო...

ს.-ქართვ. *-ო „სადერივაციო სუფიქსი“ \rightarrow ქართ. -ო : ზან. -ო \rightarrow ||
-ჴ : სვან. -ჴ (\leftarrow *ო).

სვან. ჴედნ \rightarrow || ჴედლ „ძლივს“.

ქართ. ოდნ-ავ-, ოდნ-ავ-ი.

ზან. (მეგრ.), ონდ-ე || ონდ-ე-თ „ძლივს“.

ამ სიტყვის ამოსავალი სახე ყველაზე უკეთ ქართულს დაუცავს —

სვან. ჴედლ || \leftarrow ჴედნ \leftarrow *ოდნ, ზან. ონდ- \leftarrow *ოდნ-.

ზანურში დნ \rightarrow ნდ გამოწვეულია თანხმოვანთა სინტაგმატიკაში მკაცრად გატარებული წესით — კონსონანტი + სონანტი აკრძალულია და სუპერირდება სხვადასხვა მიმართულებით: სონანტის გადასმით (C + S \rightarrow SC), ან ხმოვნის ჩასმით C+S \rightarrow CVS (შდრ. ქართ. მშობელდაღლ-ი \rightarrow მეგრ. შობელდაღილ-ი...).

ზემოაღწერილ ფუძეთა ისტორიული კავშირი ქართ. ოდ-ენ ლექსე-მასთან შესაძლოდ მიგვაჩნია.

ს.-ქართვ. *ოდნ- (ოდ-ენ?) „ოდნავ, ძლივს“ \rightarrow ქართ. ოდნ-ავ-ი, ოდნ-ავ-, ზან. ონდ-ე-(თ) (\leftarrow *ოდნ-ე-(თ)) : სვან. ჴედლ || ჴედნ (\leftarrow *ოდნ-).

სვან. ჴ-ელ-, ი-ჴელ-იელ ბზ., ლშზ., ი-ჴელ-იელ ლნტ. „კნავის“.

ქართ. წივ-, წივ-ი-ს, წივ-ილ-ი.

ზან. (მეგრ.) ჴვ-, გე-ჴვ-ი-ან-ს „წივის“, ჴვ-ი-აფ-ი „წივილი“.

სვანურსა და მეგრულში ფუძე რედუცირებულია: ჴ-ელ- \leftarrow *ჴიჴ-ელ-, ჴვ- \leftarrow *ჴივ-; სვანურში ი-ს რედუქციამ საკომპენსაციოდ მომდევნო ხმოვნის (ე) დაგრძელება გამოიწვია (შდრ. სვან. ყჴ-ილ- \leftarrow *ყიჴ-ილ- : ქართ. ყივ-ილ-ი...).

სვანურში **ჟ**-ს წინა პოზიციაში ისტორიული **ჭ** — ქართული **წ**-ს შესატყვისი — ჯერ **ჭ**-ში გადასულა, ხოლო შემდგომ სულაც დაიკარგა (შდრ. ქართ. **წვერ**-ი : სვან. **ჟერ**-ე ← **ჭვერ**-ე ← ***ჭვერ**-ე... ვ. თოფურია).

ს.-ქართვ. ***წიჟ**- „წივილი“ → ქართ. **წივ**- : ზან. **ჭვი**- : სვ. **ჟეილ**- || **ჟეილ**-.

სვან. **ჟერ** ზს., ლნტ., **ჟორ** (←**ჟერ**) ლშხ. „მიწა, თიხა“.

ქართ. **წვირ**-ე „ნეხვი, ჭუჭყი, ნაკელი“.

ზან. (მეგრ.) **წვერ**-ე „ნეხვი“.

მეგრული **წვერ**-ე ქართულთან ადაპტირებული ფუძეა — **წვერ**-ე

←***ჭვერ**-ე.

როგორც ეტყობა, მეგრ. ***ჭვერ**-ე ტიპის ფუძე სვანურშიც დასტურდებოდა. ბოლოკიდური -ე აქ დაკარგულია, მას შემდეგ, რაც ასიმილირებულ იქნა ძირისეული **ი** — ***ჭვირ**-ე → ***ჭვირ**-ე → ***ჟერ**-ე → **ჟერ**-.

შინაარსობრივი მიმართება **ჭუჭყი** ~ **მიწა** ადვილი ასახსნელია. მნიშვნელობის გადაწევა ქართულ-ზანურშია მომხდარი. რასაც ქართულში **მიწა** შეთვისებული სიტყვის გაბატონებამ შეუწყო ხელი, ხოლო მეგრულში **ღიხამ** გაიფართოვა სემანტიკური ველი. **მიწა** → **წვირ**ე მიმართებისათვის შდრ. ქართ. **მიწა** → მეგრ. **მინწა** „წვირე, ნაკელი“.

და რომ **მიწის** მნიშვნელობა ამ სიტყვისთვის ძირითადია, ამაში მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩვენებაც გვარწმუნებს, სადაც გენეტურად საერთო ძირებს ვადასტურებთ, შდრ.: აფხ. ა-**რწიგრა**-ა, ადიღ. ა-**ჭიგრა** „მიწა“; წახ. **ჭიდე** ← **ჭირე**, ხინ. **ინჩიე** ← **ჭინე**, ლეზგ. **ჩილ** ← **ჭილ**, თაბ. **ჩილ** ← **ჭირე**, აღ. **ჩილ** ← **ჭირე**, რუთ. **ჩილ** ← **ჭირე** „მიწა“, დიდ. **ჭელო**, ხვარშ. **ჭიდა**...

ს.-ქართვ. ***წვირ**-ე „მიწა, ტალახი“ → ქართ. **წვირ**-ე : ზან. **წვერ**-ე (←***ჭვირ**-ე) : სვან. **ჟერ**-ე → || **ჟორ** (←***ჭვირ**-ე).

სვან. **ჟიდ** ზს., ლშხ. „დეღამა, ცვარი, წვეთი“.

ქართ. **წვეთ**-, **წვეთ**-ი.

ზან. **ჭვათ**- → || **წვათ**-, **ჭვეთ**-ი || **ჭვათ**-ი, **წვათ**-ან-ს || **ჭვათ**-ან-ს „მოწვეთავს“.

სვან. **ჟიდ** სტრუქტურულად ქართ.-ზან. **წვეთ**- || **ჭვეთ**- ფორმებთან ამჟღავნებს სიახლოვეს. **ჟიდ** ნააბლაჟტარია — **ჟიდ** ←***ჟედ** ←***ჭედ** ←***ჭედ**, შდრ. ლაშხური **ჟედ** „id“ ალომორფი.

სვანურში ფუძის აუსლაუტი უძველეს ვითარებას გვიჩვენებს; ე. ი. ქართ. **წვეთ-** ←***წჷედ-**.

ს.-ქართვ. ***წჷედ-** „წვეთი, ცვარი, წვეთება“ → ქართ. **წვეთ-** : ზან.

ჭვათ- → || **ჭვეთ-/წვათ-** : სვან. **ჟიდ** || **ჟედ** (←***ჭჷედ**).

ს.-ქართვ. ***წჷედ** არქეტიპი გენეტიურად საერთოა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებთან — შდრ.: ხუნძ. **წად**, ახვან. **წარი** ← **წადი**, ანდ. **წა** ← **წად**, ბოთლ., ჭამ., ბაგვ., კარ. **წაჲ** ←***წარ** ←***წად** „წვიმა“...

სვან. «**ჟინ-**», მა-**ჟინ** ზს., ლშხ., მჰ-**ჟინ** ლნტ. „მავნე“; **ნგნ-**ირ ზს., ლშხ., **ნგნ-**ირ ლნტ. „ელენთა“.

ქართ. **ვნ-**, მა-**ვნ-**ე, **ვნ-**ებ-ა, **ვნ-**ებ-ს.

ზან. (მეგრ.) **ნ-**, ო-**ნ-**უ „ვნებს“, გ-**ნ-**უ „გავნო“, **ნ-**ე „მაჭარი; ნაღველი, ღვარძლი“.

სვანურის გახმოვანებული ფუძეები **ჟინ-**, **ნგნ-** ← **ჟინ-** (შდრ. ქართ. **ვაკე** : სვან. **ნჰკ** „ვაკე“, **ვიდრ-**ი : **ნადრა...**) უძველეს, ურედუქციო ვითარებას წარმოაჩენს და ემთხვევა საერთოქართველურ მდგომარეობას: ზანურში ძირი გამარტივებულია — **ნ-** ←***ვნ-**, **ნ-**ე ←***ვნ-**ე. სემანტიკურად ქართულის ვნება (შდრ. ვ ნ ე ბ ა თ ა ღ ე ლ ვ ა) სემანტიკიდან ადვილად გამოიყვანება მეგრულის როგორც მაჭარი, ისე ნაღველი, ღვარძლი სემები: მაჭარი ← ვნების აღმძვრელი, ვნებიანი; ნაღველი, ღვარძლი ← მავნე. ამ უკანასკნელის შემდგომ ევოლუციად გვევლინება სვანური ელენთა (← ნაღველი).

ვნების აღმნიშვნელი საერთოქართველური ***ჟინ-** ძირის დერივაცია ს.-ქართვ. ***ჟინ-ო** „ღვინო“ (→ ქართ. **ღვინ-ო**, ზან. **ღვინ-**ი → || **ღინ-**ი, სვან. **ღჟინ-**ელ). აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ღვინოზე, როგორც ვნების აღმძვრელ გამაბრუებელ საშუალებაზე, შდრ. მეგრ. **ნ-**ე ←***ვნ-**ე „მაჭარი“. საერთოქართველურ ***ჟინ-ო** „ღვინო“ ლექსემას ვერ დავაცილებთ საერთოქართველურ ***ჟინ-აჰ-** „ვენახი“ უძველეს კომპოზიტს (შდრ.: ქართ. **ვენ-**აჰ-ი ←***ვინ-**აჰ-ი, ზან. **ბინ-**ეხ-ი ←***ვინ-**ოხ-ი, სვან. **ჟენ-**ჰჰ ←***ჟინ-**ჰჰ). კომპოზიტის პირველი კომპონენტი, რა თქმა უნდა, იგივე ***ჟინ-** არის, რომელიც ***ჟინ-ო** „ღვინო“ სიტყვაშია, ხოლო **აჰ-** იგივე ფუძეა, რაც: ხუნძ. **ახ**, ბოთლ., ლოდ. **ახი**, ახვან. **აკი**, ანდ. **ოხი**., ლაკ. **აკ**, დარგ. **ანჰ** „ბალი“... შდრ. თანამედროვე **ახ-ო** ← **აკ-ო** (არნ. ჩიქობავა). ე. ი. კომპოზიტი ***ჟინ-აჰ-** ეტიმოლოგიით ღვინის ბაღს აღნიშნავდა, რაც რეალობასთან ახლოა.

ვენებისა და ღვინის სემანტიკათა გადმოცემა საერთო ძირის სიტყვებით დამახასიათებელია სხვა მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებისათვისაც, შდრ.: ბაცბ. ვენ „ღვინო“, ჩაჩნ. უნ ←*ჟინ, ინგ. უ(ნ) ←*ჟინ „დაავადება, ინფექცია“, ვაინახ. უნ-ხუო „ავადმყოფი“ ← ს.-ნახ. *ჟინ- „ვენება, ღვინო“: ს.-ქართვ. *ჟინ- „id“, შდრ. აფხაზ.: ა-ჟე ← ა-ჟენგ „ღვინო“ და ა-ჟანგ-ზა „ელენთა“ (აფხაზური -ზ(ა) ← ა-ზ(ა) „ნაღველი“).

ზემოთწარმოდგენილი ეტიმოლოგია ღვინისა და ვენახის თაობაზე გამორიცხავს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეს ლექსემები ნასესხებია ქართველურში ინდოევროპული ენებიდან (თ. გამყრელიძე, ვიარ. ივანოვი). მოულოდნელიც კი იყო ხალხს, რომელმაც ხუთასზე მეტი ყურძნის ჯიში გამოიყვანა, ინდოევროპელებისგან შეეთვისებინა ღვინისა და ვენახის სახელწოდებები.

ს.-ქართვ. *ჟინ-/ჟენ- „ვენება, თრობა/გაბრუნება; მაჭარი, ღვინო, ნაღველი, ღვარძლი“ → ქართ. ვნ-, მა-ვენ-ე, ღვინ-ო ←*ვინ-ო, ვენ-ავი ←*ვინ-ავი : ზან. ნ- ←*ვნ-, ნ-ე ←*ვნ-ე, ღ(ვ)ინ-ი ←*ვინ-ი, ბინ-ეხ-ი ←*ვინ-ოხ-ი : სვან. მა-ჟინ || მჰ-ჟინ, ნგნ-ნრ || ნგნ-ირ ←*ჟინ-, ღჟინ-ელ ←*ჟინ-ელ, ჟენ-ჰჟ ←*ჟინ-ჰჟ.

სვან. ჟიშკჟ ზს., ლნტ., ჟიშკ ლხმ. უშკჟ ლშხ. „პირი, სახე“.
ქართ. წუწკ, წუწკ-ი, წუწკ-ი-ს „ბაგით ამოწოვნი (საბა)“.
ზან. —.

ქართულში დაკარგულია სახელური ფუძე *წუწკ-ი, რომელსაც ბაგის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამას საბას მიერ მოხმობილი წუწკ-ნ „ბაგით წოვნი“ ადასტურებს. სემანტიკური ფარდობა ბაგე — სახე — პირი ბუნებრივია.

შეიძლება გვეფიქრა სვან. ჟიშკ ძირის კავშირზე ქართ. ჰოჰ-თან (იხ. ქეგლ-ი), მაგრამ ჰოჰ- წოვა-თუშურიდან შეთვისებულად მივიჩნიეთ (შდრ. ბაცბ. ჰოჰ „პირი; ხეობა“, ინგ. ჰოჰ : ჩაჩნ. ჰუოჟ || ჰ).

ქართული *წუწკ-ის შესატყვისი სვანური ჟიშკ შეპირისპირება ეფუძნება შემდეგ ქართველურ კორესპონდენციებს. ქართ. წ : სვან. ჰ → Ø, ქართ. წკ : სვან. ჰკ → შკ (იხ. აქვე, § 31). ე. ი. სვან. ჟიშკჟ || უშკჟ || ჟიშკ ← უშკ ←*ჰუშკ ←*ჰუჰკ- (შდრ. ქართ. ჰელ-: სვან. შკან-).

ს.-ქართვ. *წუწკ- „ბაგე, პირი“ → ქართ. წუწკ-ი, წუწკ-ნ-: სვან.

უშკჟ || ჟიშკჟ || ჟიშკ ←*ჰუჰკ-.

ს.-ქართვ. *წუწკ- ძირის მონათესავე ძირებია: ადიღ. ჰოწ „პირის ღრუ“, აფხ. ა-ჰა „პირი“; ბაცბ. ჰოჰ, ინგ. ჰოჰ, ჩაჩნ. ჰუოჰ „სახე, პირი“...

სვან. **ჟიჯ** ზს., ქს. „გველი, ძლოკვი“.

ქართ. **ოდ-ი** „გველი“, **ოდ-ის-ი** (ტობ.), **ოდ-ელ-ი** „ად. საკ. გვარი“.

ზან. —.

საკუთრივ ქართულში **ოდ-ი** ლექსემა „გველის“ მნიშვნელობით არ იხმარება, დაკარგულია. მაგრამ ქართულში დაკარგული სიტყვა სომხურს ადრევე შეუთვისებია და **ოდ** → **|| ოც** „გველი“ სახით შემოუნახავს.

ქართ. **ოდ-** : სვან. **ჟიჯ** შეპირისპირება გამორიცხავს ადრე გამო-თქმულ მოსაზრებას სვანური **ჟიჯ**-ის კავშირის შესახებ ქართ. **გველ-** : ზან. **გვერ-** სიტყვებთან.

ს.-ქართვ. ***ოდ-** „გველი“ → ქართ. **ოდ-ი**, **ოდ-ელ-ი**, **ოდ-ის-ი** (შდრ. გ ვ ე ლ ე თ ი (ტობ.)) : სვან. **ჟიჯ** ← ***უჯ** ← ***ოჯ**.

სვან. **ჟოსარ** ზს., ლნტ., **ჟოსარ** ლშხ. „ჩოხა“.

ქართ. **ასალ-ი** „ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი“, გურ.

ასალა- „ქეჩა კეხის ქვეშ დასაფენი“.

ზან. (მეგრ.) **ოსარე** „პერანგი“; „ურმის ნაწილი“.

მეგრულ **ოსარე**-ში ადრე ქართული **სერ-ი** „ღამე“ ფუძის შესატყვისი კანონზომიერ **სარ-** ფუძეს ხედავდნენ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). რაც არ არის მართებული. ზანური **ოსარე** კანონზომიერად ასახავს საერთოქართველურ ***ა-სალ-ა** ფუძეს, ოღონდ თანამედროვე **ოსარე** უძველესი ***ოსორა-**(**ე**) ფორმისაგან (ქართ. **ა** : ზან. **ო**, ქართ. **ლ** : ზან. **რ**) მომდინარეობს. შუა საფეხურად აღდგება ***ოსარა-**(**ე**), სადაც ინლაუტური **ო ა**-ში მომდევნო **-ა** სუფიქსის ზეგავლენით გადავიდა. აუსლაუტური **ე** ზანურში **ა-ე** თანმიმდევრობის გვიანდელ რეალიზაციას წარმოადგენს (ტომარა-**რა-ე** → მეგრ. ტომარე... ვ. თოფურია).

საყურადღებოა, რომ მეგრულ **ოსარე**-ს ქართულისმიერი სემანტიკაც ახასიათებს, რაზეც სამართლიანად მიუთითებდა ი. ყიფშიძე (იხ. ლექსიკონი, **ზენწარი-ი**, **ოსარე**).

ს.-ქართვ. ***ა-სალ-ა-** „ქეჩა, ჩოხა, პერანგი“ → ქართ. **ასალა** → **|| ასალ-ი** : ზან. **ოსარე** ← ***ოსარა-**(**ე**) ← ***ოსორა-**(**ე**) : სვან. **ჟოსარ** **|| ჟოსარ** ← *(**ჟ**)**ასალ** (**ჟ** ფონეტიკური დანართია, შდრ. ობოლ-: **ჟობელ**, ოსტატ-: **ჟოსტატ**...).

ს.-ქართვ. ***ა-სალ-ა** (resp. ზან. **ოსარე**, სვან. **ჟოსარ**) დაკავშირებულია ადიღეურ **სადჷ** „პერანგი, ახალუხი“, უბიხურ **აშე** „პერანგი“ ფუძეებთან (გ. როგავა). აქვე შემოსატანია: ჩაჩნ. **ასა(ნ)**, ინგ. **ოასჷ** ← **ოასა(ნ)**, ბაცბ. **ასრ** (მრ. **ასერ-ჩ**) „თასმა, ქამარი“...

სვან. **ჟშხ-** || **ჟშხ-** || **ჟშხ-**, ხ-ა-**ჟშხ-** (ათ-**ჟშხ-**) ბზ., ხ-ა-**ჟშხ-** (ახ-**ჟშხ-**) ბქ., ხ-ა-**ჟშხ-** (ათ-**ჟშხ-**) ლშხ., ხ-ა-**ჟშხ-** (ათა-**ჟშხ-**) ლნტ. „ამხელს, ამჟღავნებს, გასცემს (მას, მას)“; ა-**ჟშხ-** ბზ., ა-**ჟშხ-** ბქ., ა-**ჟშხ-** (ად-**ჟშხ-**) ქს. „ამხელს, ამჟღავნებს“.

ქართ. **ჟწყ-**, **ჟწყ-**-ი-ს, ა-**ჟწყ-**ებ-ს, **ჟწყ-**ებ-ა, ი-**ჟწყ-**ე, ნა-**ჟწყ-**ებ-ი.
ზან. **ორწყ-** || **ოწყ-** „ხედვა, ყურება“.

შეპირისპირების სემანტიკური მხარე ეჭვს არ იწვევს. ცნობილია ასევე ზანურ-ქართულ ფუძეთა საერთო წარმომავლობაც (დ. მაჭავარიანი).

სვანურში **ჟშხ-** ფორმის პოვნეობა ქართული **ჟწყ-**ის შესატყვისად აიხსნება როგორც **ჰყ** → **შყ** → **შხ** ფონეტიკური პროცესის შედეგი; შდრ. ქართ. ნერწყუ- : სვან. ნაწყუ → || ნაშხუ, სადაც **შყ** → || **შხ** სუბსტიტუცია რეალური ენობრივი ფაქტია.

ამდენად, სვანური **ჟშხ-** მიღებულია ***ჰყ**- არქეტიპისაგან **ჟშყ-** საფუძურის განვლით — ქართ. **ჟწყ-** : სვან. ***ჰყ**- → ***ჟშყ-** → **ჟშხ-**; ხოლო ზანური ფორმები ***ო(რ)ჰყ-** უფრო ძველ საფუძურს ჰგულისხმობენ. აქ **წყ** → **ჰყ** → **წყ** მესამეული პროცესის შედეგად თანამედროვე ალომორფები განვითარდა (იხ. აქვე, § 23).

ს.-ქართვ. ***ჟწყ-** „უწყება, შეტყობა, შეტყობინება, ხედვა“ → ქართ. **ჟწყ-** : ზან. **ო-რწყ-** || **ო-წყ-** (←***ო(რ)ჰყ-**): სვან. **ჟ-შხ-** || **ჟ-შხ-** || **ჟ-შხ-** (←***ჟ-შყ-** ←***ჟ-ჰყ-**).

სვან. **ჟჩ-**, ი-**ჟჩ-** (ოთ-ი-**ჟჩ-**) ზს., ლშხ., ლნტ. „იგერიებს“.

ქართ. **ცავ-**, ი-**ცავ-**, **ცავ-**, და-ი-**ცავ-**, და-**ცავ-**, მ-**ცავ-**ელ-ი.

ზან. **ჩუ-** || **ჩგ-**, **ჩუ-**ალ-ა „ცვა“, „დამალვა“, პი-**ჩუ-**ან-ი „პირცვა, მარხვა“, **ტყა-ჩუ** „ტყის მცველი“. ჰან. **ჩ-უ** „უდარაჯა“, მა-მ-**ჩგ-**ალ-ე „მცველი“, პი-**ჩგ-**ა „პირცვა, მარხვა“.

სემანტიკური შენაცვლება მო გ ე რ ი ე ბ ა ~ და ც ვ ა ~ და - მ ა ლ ვ ა (შენახვა) ბუნებრივია.

ჟ-ს მეტათეზისის საფუძველი სვანურში არ ჩანს. მაგრამ პროცესი გავრცელებულია და შეიძლება ზუსტ ანალოგზეც მივუთითოთ, შდრ.: ქართ. **დაშავ-**(ებ-ა) → სვან. **დაჟშ-** || **დაჟშ-** „გაფუჭება, დაშავება“ (ქართ. **ცავ-** : სვან. ***ჩაჟ-** → **ჟჩ-**), ქართ. **ძილ-** : სვან. ***ჯიჟ-** → ***ჟაჟ-** → **ჟჟ-** „ძილი“.

მნიშვნელობის მხრივ ქართული და სვანური მეტ სიახლოვეს ამჟღავნებენ — **ჭ რ ა ~ ხ ე ვ ა** საერთო რიგის სემანტიკები; ზანურის **გ ა ო წ ე ვ ა**, **დაჭერა** უნდა წარმოადგენდეს **გ ა ხ ე ვ ი ს** შემდგომ ევოლუციას. ქართული **ქარ-** „ქაჩვა“ ზანიზმი შეიძლება იყოს, მან საკუთრივ ქართული **ქეც-** (მობ. **ქენც-**) ძირის ადგილი დაიკავა.

ს.-ქართვ. ***ქეც-** „ჭრა, ხევა, გაწევა“ → ქართ. **ქენც-** : ზან. **ქანრ-** || **ქარ-** : სვან. **ქრ-** || **ქჷრ-** (←***ქერ-**).

ქართ. **ქედ-ან-ი** „დიდი მტრედი, ქედანი“.

ზან. (მეგრ.) **ქილ-ორ-ი** „ხოხობი“.

სვან. —

სიტყვის შიგნით წარმოჩნდება ბგერათფარდობა ქართ. **დ** : ზან. **ლ**, რაც სპორადულად სხვაგანაც დაჩნდება (ქართ. **ლად-** : ზან. **ლოლ-** (მეგრ.), **ლოდ-** (ჭან.), ქართ. **ხვედ-** : მეგრ. **ხვალ-** „შეხვედრა“...).

ახსნას მოითხოვს აუსლაუტური ქართ. **ნ** : ზან. **რ** (იხ. აქვე, სხვა მაგალითი — ქართ. **სვან-ი** : ზან. **შურ-ო**).

იქნებ ქართული **გედ-ი** არ იყოს ყაბარდოულიდან ნასესხები (ივ. ჯავახიშვილი) და სვანურ შესატყვისს ასახავდეს. მით უმეტეს, **ქ** → **გ** სვანურისთვის არ არის უცხო: **გატ** : **ქატო**, **გიცარ** : **ქაცარ-ი**, **გინდერ-** : **ქინდრ-**(გ-ა)...

ს.-ქართვ. ***ქიდ-ან-** „ქედანი, ხოხობი“ → ქართ. **ქედ-ან-ი** : ზან.

ქილ-ორ-ი ← **ქიდ-ონ-ი** : სვან. **გედ** ←***ქიდ-** (?).

სვან. **ქელ** ზს. „კარავი“.

ქართ. **ქალა**, ქიზიყ. „კარ-ფანჯრის ჩარჩოს ზემოთა ნაწილი“, „ქულის ზემო ნაწილი“.

ზან. (მეგრ.) **ქოლო** „კასრი“.

სვანურში ბოლოკიდური **ა** მოკვეცილია, აქვე ვლინდება **ა** → **ე** გადასვლა : **ქელ** ← **ქელა** ← **ქალა**.

მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით, მეგრული უფრო და-
ცილებულია ამოსავალ ვითარებას. შეინიშნება **ს ა ხ ლ ი** (ნაგებობა) →
კ ა ს რ ი ტრანსფორმაცია, რაც ბუნებრივია ჩვენი ენებისათვის; შდრ.
ქართ. **კასრ-ი** „სახლი მომცრო სათავისწინაო“ → || **კასრ-ი** „ეწოდების
ჭურჭელსა... (საბა)“ : ზან. **ყორშ-ი** || **ცორშ-ი** „კოშკი, ციხე-სიმაგრე“...
როგორც ეტყობა, თავიდან მეგრული **ქოლო** მცირე ნაგებობას აღნიშნავ-
და, სადაც ინახებოდა ესა თუ ის სურსათი; აქედან მნიშვნელობის დავიწ-
როებით **ჭ უ რ ჭ ლ ი ს** სემა განვითარდა.

ს.-ქართვ. ***ქალ-ა** „მცირე ნაგებობა; კარავი“ → ქართ. **ქალ-ა** : ზან.
ქოლ-ო : სვან. **ქელ** ← **ქელ-ა**.

სვან. **ქეშენ-ი** ბზ., ლშხ., **ქეშენ-ი** ბქ. „კარავი მთაში“.

ქართ. (აჭარ.) **ქესარ-ი** „ერო“.

ზან. **ქეშინ-ი**¹.

ზანური შესატყვისი უნდა ჩანდეს რაჭულ დიალექტში შემორჩენილ
ქეშინ-ი „ხის ჯამი“ სიტყვაში (?) (← ზან. ***ქაშორ-ი**). **კ ა რ ა ვ ი** ~
ე რ ო სემანტიკური მიმართებისათვის შდრ. რაჭ. **მაჩა** 1. „სამკედლიანი
შენობა“, 2. „იარაღი, ქვის სათლელი“.

ს.-ქართვ. **რ-ს** სვანურში **ნ** მოჰყვია (იხ. § 17. **რ** → **ნ**).

ს.-ქართვ. ***ქეს-არ-** „ერო, ჭურჭელი“ → ქართ. **ქეს-არ-ი** : ზან. **ქე-
შინ-ი** ← **ქაშ-ორ-ი**¹ : სვან. **ქეშენ-ი** || **ქეშენ-ი** ← **ქეშ-ან-ი**.

ქართ. (თუშ.) **ქვირ-ან-ა**ცი „კვიცი“, მთიულ. **ქვირ-ა-ქვირ-ა** „კვიცის
მოხმობის შეძახილი“, ხევს. **ქვირ-ო-ქვირ-ო** „კვიცის მოსახმობი სიტყვა“,
ქართლ., იმერ. **ქვი-ქვირ-ი** „კვიცის ხმა“.

ზან. (მეგრ.) **ქვირ-ა** „კვიცი“.

სვან. —.

ქართველურ სიტყვებს შორის სემანტიკური სხვაობა მინიმალურია.
ყველგან **კ ვ ი ც ი ს** მნიშვნელობაა ძირითადი.

ფორმალური თვალსაზრისით მეგრულ **ქვირ-ა**-სთან ახლოს დგას
თუშური **ქვირ-ან-ა**ცი, სადაც ფუძედ **ქვირ-ან-** გამოიყოფა. **-ა**ცი(-ი) თუ-
შურში გავრცელებული სემანტიკა (თ. უთურგაიძე). ქართ. (თუშ.) **ქვირ-
ან-** : ზან. (მეგრ.) **ქვირ-ა** ფუძეთა მიმართებაზე მსჯელობისას უადგილო
არ უნდა იყოს **ქურ-ან-**ის მოხმობა, რომელიც „წ ა ბ ლ ი ს ფ ე რ ც ხ ე -
ნ ა დ“ განიმარტება — **ქვირ-ან-** → **ქურ-ან-**. თუ ვარაუდი მართებულია,
მაშინ უძველეს ზანურ ფორმალად **ქვირ-ან-** უნდა დავსაზნოთ. სიტყვის აბ-

სოლუტურ ბოლოში **ნ**-ს გაუჩინარება გავრცელებული ფონეტიკური პროცესია მეგრულში — შდრ. ქართ. ვინ : მეგრ. მი ← მი**ნ**... (არნ. ჩიქობავა).

ს.-ქართვ. ***ქჷირ-ან**- „ცხენი, კვიცი“ → ქართ. **ქვირ-ან** || **ქურ-ან**, **ქვირ-ა-ქვირ-ა** || **ქვირ-ო-ქვირ-ო**, **ქვი-ქვირ-ი** ← **ქვირ-ქვირ-ი** : ზან. **ქვირ-ა** ← **ქვირ-ან**.

სვან. **ქიზ** „სიცილი, ხარხარი“.
ქართ. (გურ.) **ქიზ**-, **ქიზ**-ებ-ა „ზმორება“, აჭარ. **ქიზ**-, **ქიზ**-ვებ-ა, იმერ. **ქიზ-ინ**-ი „ცახცახი შეციების გამო“.

ზან. —
ქართველური ძირებისთვის ამოსავალია **ცახცახის** სემანტიკა.
ს.-ქართვ. ***ქიზ**- „ცახცახი, ხარხარი“ → ქართ. **ქიზ**-, **ქიზ**-ინ-ი : სვან. **ქიზ**.

სვან. **ქილიქ** „სახლის, შენობის გარეთა კუთხე“.
ქართ. **ქილიკი**-ი (საბა), (იმერ.) **ქილიქი**-ი || **ქილუქი**-ი „ფიცრების ნა-სკვი სახლის კუთხისა“.

ზან. (მეგრ.) **ქილიქი**-ი „შენობის სახურავის კუთხე“.
გასარკვევია, არის თუ არა უფრო ძველი იმერ. **ქილუქი**-ი სახეობა, ხოლო **ქილიქი**- მისი ალომორფი (ასიმილირებული).
შეიძლება ეს სიტყვა უცხო ენებიდან იყოს შემოსული.

სვან. **ქირს** ზს., **ქირც** ქს. „ოსპი (მცენ.)“.
ქართ. (ხევს.) **ქირცა** „სათიბი ბალახია ერთგვარი“.
ზან. (მეგრ.) **ქირცა** „ოსპი“.
სვანურში ბოლოკიდური **ა** მოკვეცილია, **რს** || **რც** მონაცვლეობა **რ**-სთან მეზობლობითაა გამოწვეული (შდრ. მეგრ. **გარზება** || **გარძება** ← ქართ. **გაძლება**).

ს.-ქართვ. ***ქირცა** „ოსპი“ → ქართ. **ქირცა** : ზან. **ქირცა** ←***ქირჩა** : სვან. **ქირს** || **ქირც** ←***ქირჩა**.

სვან. **ქიქ(-ი)** „ნამცეცი“.
ქართ. (მობ.) **ქიქი**-ილ-ა-ჟ „წილი“, ზ. იმერ. **ქიქი**-ი „წვრილი მატლი“, იმერ. **ქიქა**-ო „შინაური ფრინველის ძალიან წვრილი მკბენარი“, გურ. **ქიქა**-ბ-ა „ტილის მაგვარი მწერია“.
ზან. —

ძირად **ქიქ-** გამოიყოფა, სვან. -**ი**, ქართ. -**ილ-ა-ი**, **ა-ი**, -**აბ-ა** კნინობითობის სუფიქსია.

ს.-ქართვ. ***ქიქ-** „ნამცეცი, ნამცეცა, მწერი“ → ქართ. **ქიქ-** : სვან. **ქიქ-ი**.

სვან. **ქიქილ** || **ქინქილ** ზს., ლშხ. „ფაფარი“.

ქართ. **ქინქილ-ი** „ბუსუსი“.

ზან. (მეგრ.) **ქიქილ-ი** || **ქინქილ-ი** „პატარა ახლამოსული თმა“.

სვანურსა და ზანურში ისტორიულად უფრო ძველი, ურედუქციო ფუძეებია შემორჩენილი — **ქინქილ-** ← **ქინ-ქილ**.

აღწერილი ფორმები რედუბლიცირებული უნდა იყოს.

ს.-ქართვ. ***ქინ-ქილ-** ← ***ქილ-ქილ-** „ბუსუსი, თმა“ → ქართ.

ქინქილ-ი : ზან. **ქი-ქილ-ი** || ← **ქინ-ქილ-ი** : სვან. **ქი-ქილ** || ← **ქინ-ქილ**.

ს.-ქართვ. ***ქილ-ქილ-** (რედუბლ.) უკავშირდება ტინდ. **ქარა**, ჭამ.

ჩა ← ***ქარა**, ახვან. **ქარი**, ხვარშ. **ქერა**, ჰუნზ. **ქერა**, ბეჟიტ. **ქემა** || ← **ქერა** „თმა“...

სვან. **ქიჟ** ბზ., ლშხ., ლნტ. „ერთი წველა ყველი“.

ქართ. **ქილა**.

ზან. —

შეიძლება ამ სიტყვათა წყარო არაბ., თურქ. **ქილე** იყოს. საინტერესო ფუძეა, თუნდაც იმიტომ, რომ **ლ** → **ჟ** (იხ. § 3) პროცესმა ნასესხებ სიტყვებშიც იჩინა თავი.

სვან. **ქორ** „სახლი, ოჯახი“, **ქორ-ჲ(შ)** მარე „სახლიკაცი“.

ქართ. **ქორ-ი** „სახლის ერდოზე სახლი (საბა)“, **ქორ-ედ-ი**.

ზან. (მეგრ.) **ქორ-**, **ო-ქორ-იე** „ხვიმირი“, „წისქვილში სასიმინდე“.

სვანურ-ქართულ ფუძეთა ერთიანობა ცნობილია (თ. გონიაშვილი). მეგრული **ო-ქორ-იე** (შდრ. **ო-ჭკორ-იე**) სიტყვაში ძირად გამოყოფილი **ქორ-** კანონზომიერად ასახავს საერთოქართველურ **ქორ-** ფუძეს. მეგრულის სემანტიკას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს წინარექართველური ეტიმონის დასაზუსტებლად. საერთოქართველური **ქორ-** ფორმის შესატყვისებიც მონათესავე იბერიულ-კავკასიური ენებიდან განსხვავებულ სემანტიკას აჩვენებენ: ბაცბ. **ქორ**, ინგ. **ქორ**, ჩაჩნ. **ქუორ**¹ „ფანჯარა, სათვალთვალო (კოშკზე)“, (შდრ. საბა: **ს ა ხ ლ ი ს ე რ დ ო ზ ე ს ა ხ ლ ი**), ხუნძ. **გორ-დო**, ანდ. **ინგურ**, ბოთლ. **ჰინგურ**, ლოდ. **ინგურ**, ტინდ.

¹ ქართულ-ჩაჩნურ ფუძეთა დაკავშირება თ. გონიაშვილს ეკუთვნის.

ინგუერ || ჰინგუარ, ბავგ. ჰუნგარ || ჰუნგუა, ახვან. ინგო ←*ინგორ „ფანჯარა“.

ს.-ქართვ. *ქორ- „სახლის ერდოზე სათვალთვალო სახლი“ → ქართ. ქორ-ი, ქორ-ედ-ი : ზან. ქორ-, ო-ქორ-იე : სვან. ქორ.

ქართ. ქორაფ-ი „ტეგანი (საბა)“, რაჭ., ლეჩხ. „თათაბო“, გურ. ქორაფ-ა „ნაცარქათამა“ (მცენ.).

ზან. (მეგრ.) ქოროფ-ე „ნაცარქათამა“.

სვან. —.

ქორაფ- სიტყვას საბა ტეგანზე მსჯელობისას მოიხსენებდა: „ტეგანი ქორაფიო — კარაბადინმა D¹ (სახარებაში) E“.

მეგრულის ჩვენება ემთხვევა გურული დიალექტისას — „ნაცარქათამა“.

ს.-ქართვ. *ქორ-აფ- „ტარხუნა, ნაცარქათამა“ → ქართ. ქორაფ-ი/ა : ზან. ქოროფ-ე.

ქართ. (ქართლ.) ქოსტ-ი „ციკანი“, „შემოდგომით მთიდან დაბრუნებული ციკანი“ (ქეგლ-ი).

ზან. (მეგრ.) ქვაშთ-ი „შიშაქი, წლის დედალი ცხვარი“.

სვან. —.

მეგრული ქვაშთ-ი ქართულისთვის ქვესტ-ის გვავარაუდებინებს, შდრ. ქართ. ე : ზან. ა. შეიძლება გვეფიქრა ო → ვა პროცესზეც მეგრულში, მაგრამ ამგვარ გარდაქმნას სათანადო პოზიცია სჭირდება — მასიმილებელი ა : ქორა → ქვარა, გოლა → გვალა (მაგრამ გოლ-ურ-ი კვინჩა „მთის კვინჩა“, გვალ-ურ-ი არ არსებობს), ცონა → ცვანა, მაგრამ ნო-ჟუნ-ი „ნაყანევი“... თანაც ო → ვა მეგრულში მხოლოდ ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავშია მოსალოდნელი.

უფრო მნიშვნელოვანია სთ კომპლექსის პოვნეირება საერთოქართველურ ენობრივ დონეზე².

ს.-ქართვ. *ქუნესთ- „ციკანი“ → ქართ. ქოსტ-ი (←*ქვესთ-ი) : ზან. ქვაშთ-ი.

სვან. ქოქ ზს., ლშხ., ლნტ. „ფულურო“.

ქართ. ქოქ-ი „ეკალი ჩირგვიანი (საბა)“.

ზან. (მეგრ.) ქოქ-ა „ცარიელი, ფულურო“.

¹ მხედველობაშია „უსწორო კარაბადინი“ (ილ. აბულაძე).

² ქოსტ-ქვაშთ- ფუძეებთან ფორმალურ-სემანტიკურად ახლოს დგას სვან. ნე-ღეშტ/ნე-ღაშდ „ციკანი“, რომ არა უჩვეულო ქართ.-ზან. ქ : სვან. ღ.

სიტყვათა ამ რიგში უნდა შემოვიტანოთ ზემო რაჭული **ქოქ-ო** „გამადლარი“, რომლის ნეგატიური შინაარსი **სიცარიელის, უძიროს** გაგებას უახლოვდება.

ს.-ქართვ. ***ქოქ**- „ცარიელი; ფულურო“ → ქართ. **ქოქ-ი** || **ქოქ-ო** : ზან. **ქოქ-ა** : სვან. **ქოქ**.

სვან. **ქუთ** || **ქუთუ** (მრ. რ. **ქუთუ-წრ** || **ქუთუ-წრ**) ზს. „ხაჭაპური“. ქართ. **ქადა** „ერბოთ ზელილი პური“, „ერბოიანი პური (საბა)“. ზან. **ქუთუ**.

სვანური **ქუთ(უ)** იმით არის საინტერესო, რომ აქ შემოგვენახა ქართული **ქადა**-ს შესატყვისი ზანური სახეობა. ამაზე (resp. ზანურობაზე) მიგვითითებს არა მხოლოდ ფუძის გახმოვანება, არამედ **დ** → **თ** პროცესიც — შდრ. ქართ. **შ ვ ი დ** - ი : ზან. **შ ქ ვ ი თ** - ი...

სომხურში გავრცელებული **გათა** || **ქათა** ალომორფები ქართულ წარმომავლობას ჰგულისხმობენ (ინგილ. **ქათა**).

საერთოქართველური ერთიანობის დონეზე **ქადა** „ერბოიანი პური, ხაჭაპური“ სიტყვის პოვნიერება მნიშვნელოვანია პროტოქართველთა კულინარიის ისტორიის თვალსაზრისით.

ს.-ქართვ. ***ქად-ა** „ერბოიანი პური, ხაჭაპური“ → ქართ. **ქად-ა** : ზან. **ქუთ-უ** ← ***ქოდ-უ** : სვან. —.

სვან. **ქურმილ** || **ქურილ** „გრდემლი“.

ქართ. **ქვრდემლი-ი** || **ქვირდემლი-ი**, **გრდემლი-ი**.

ზან. (მეგრ.) **ქულამურ-ი** „გრდემლი“.

სვანური ფუძე მეტად გაცვეთილა, აქ ძირეული **დ** დაკარგულია, ხოლო **მ**-ს მეტათეზა განუცდია ან სულაც ჩავარდნილა. უნდა გვქონოდა ***ქურდემლი**, საიდანაც თანამედროვე ალომორფები განვითარდა.

მეგრულში ინლაუტური **ლ** საერთოქართველურ **დ**-ს ასახავს — **დ** → **ლ** : **ქედან-ი** : **ქილორ-ი** ← ***ქიდონ-ი**, **ხვედ-რ-ი** : **ხვალ-ამ-ა**, **ჭან. ლოდ-**, მეგრ. **ლოლ-** „ქმნა“... შდრ. ქართ. **წავედ-ი** → || **წაველ-ი**... ამდენად ძველი ზანური ეკვივალენტი **ქუდამურ-** უნდა ყოფილიყო.

თუ აუსლაუტური **ლ**-ს დეტერმინანტობა დამტკიცდება, იქნებ **-ემ** ფუძის ზმნურ წარმომავლობაზე მიუთითებდეს.

ს.-ქართვ. ***ქუ(რ)დ-ემ-ალ-** „გრდემლი“ → ქართ. **ქვირდემლი-ი** || **გრდემლი-ი** : ზან. **ქულამურ-ი** ← ***ქუდამურ-ი** : სვან. **ქურილ** || ← **ქურმილ** ← ***ქურდემლი**.

ს.-ქართვ. ***ქუ(რ)დ-** ძირის შესატყვისები ვლინდება მონათესავე დალესტნურ ენებში: ახვან. **ქორტა**, კარ. **ქოტა** ← **ქორტა**, ტინდ. **ქოტა** ←

ქორტა, ბავგ. **ქორტა**, ბოთლ. **ქუართა**, დიდ. **ქუართა**, ლაკ. **ყუტილოუ**, არჩიბ. **კურტა**, ლეზგ. **კუთა**, **კვტა** ← **კურტა**, ხინალ. **კულლა** ← **კურ-და** „კვერი, ჩაქუჩი“, ს.-დალ. ***ქორდა**.

სვან. **ქურუხ(უ)** ბზ., ლშხ. „რუხი“.
ქართ. (ინგილ.) **ქურუხ-ი** „პირქუში“.
ზან. **ქინორ-ი**.

მეგრულ-ჭანურში საძიებელი ფუძე არ არის დაცული. შესაძლოა, ოკრიბ., ლეჩხ. **ქინორ-ი** „ნაცრისფერი“ ზანურ წყაროს ასახავდეს — ***ქუ-ნორ-ი** → **ქვნორ-ი** → **ქინორ-ი** (**უ** → **გ** — **ი**) (?).

ს.-ქართვ. ***ქუხ-ორ-** „რუხი, ნაცრისფერი“ → ქართ. **ქურუხ-ი** (←***ქუხურ-ი**) : ზან. **ქინორ-ი** ←***ქუხორ-ი** : სვან. **ქურუხ(უ)** ←***ქუ-ხურ(უ)**.

სვან. **ქუფ** (მრ. რ. **ქუფ-ჟ**-წრ ბზ., **ქუფ-ჟ**-არ ლშხ.) „დაწული კი-ღობანი“.

ქართ. **ქუმ-**, სა-**ქუმ-ელ-ი** „ხისაგან სნეულთ მვრით სატარებლად შე-მზადებულსა ეწოდების“, „საკაცე“ (საბა).

ზან. **ქიმ-**, **ო-ქიმ-ო** „ეტლი“.

ო-ქიმ-ო საბასთან დასტურდება; დიდი ლექსიკოგრაფი იოანე პეტ-რიწის თარგმანებით სარგებლობს სიტყვის განმარტებისას (ი. აბულაძე). **ო-ქიმ-ო** ქართული სა-**ქუმ-ელ-ი** სიტყვის ზუსტი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისია. ძირად გამოყოფილი **ქუმ-** (→ **ქიმ-**) იგივეა, რაც სვანური **ქუფ-** ← **ქუბ** ← **ქუმ** (იხ. აქვე, § 10. **მ** → **ბ**). ოღონდაც, სვანურში ოდენსუფიქსური **ქუფ-ჟ** წარმოიხდება, რომელიც მრ. რ. ფორმები შემორჩენილი. სამსავე ქართველურ ენაში დაკარგულა **ქუმ-** ზმნური ფუძე, რომელსაც რაღაც **მოწყობილობით ტარების** სემანტიკა ახასიათებდა.

ს.-ქართვ. ***ქუმ-** „ეტლით ან სხვა მოწყობილობით ტარება“ → ქართ. სა-**ქუმ-ელ-ი** : ზან. **ო-ქიმ-ო** (←***ო-ქუმ-ო**) : სვან. **ქუფ-ჟ** (←***ქუბ-ჟ** ←***ქუმ-ო**).

შეიძლება ს.-ქართვ. **ქუმ-** ძირის მონათესავე იყოს ხუნძ. **ჰოქო**, ახვახ. **ჰორქო**, ლოდ. **ჰოქო** „ურემი“... ← ს.-დალ. **ფოქო** ← **ბოქო** (?).

სვან. **ქუქუ-** || **ქუქუ-** || **ქქუ-**, **ი-ქქუ-** (ეს-**ქუქუ-** ბზ., ლშხ.), **ი-ქუქუ-** (ან-**ქუქუ-** ლნტ.) „ცუცქდება“.

ქართ. —

ზან. **ქუქ**, გე-**ქუქ**-უ(ნ) „ჩაცუცქებულია“, ვა-გ-ი-**ქუქ**-ა-თ „ნუ ჩა-
ცუცქდებით“, გე-**ქუქ**-ინ-ი „ჩაცუცქება“.

ქართულში მოსალოდნელი **ქუქ**- ფუძე არ არის გამოვლენილი.

ასახსნელია **ჟ**-ს პოვნეირება სვანური ფუძის აუსლაუტში. შეიძლება
იგი ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილიყო, წინამავალ **უ** → || **ჟ**-სთან ასიმი-
ლაციით. არ გამოირიცხება ბგერწერითი წარმომავლობაც, რასაც ფუძის
ამკარად სიმბოლური აგებულება უწყობდა ხელს.

ს.-ქართვ. ***ქუქ** „ჩაცუცქება“ → ქართ. — : ზან. **ქუქ** : სვან. **ქქ**-
ჟ || **ქქქ-ჟ** || **ქქქ-ჟ** (←***ქუქ**).

სვან. **ქუნ** ბზ., ლნტ., **ქუნ** ლშხ. „ჭიუხი, კლდოვანი ადგილი“.

ქართ. **ქუა** || **ქვა**, **ქოლ**-, ჩა-**ქოლ**-გ-ა.

ზან. **ქუა(ლ)** „ქვა“, **ქუალ**-ფ-ი „ქვები“, **ქვალ-ონ**-ი (ტობ.) ← ეტ.
„ქვებიანი“.

სვანურში „ქვის“ მნიშვნელობაც არ არის უცხო. სვანური ლექსიკო-
ნის (იხ. გვ. 788) საილუსტრაციო მაგალითში **ქვის** გაგებაც ამკარაა:
„**ქუნდღუ** ალგენღლი ამჟი ლირდღე!“ — „**ქვად** იქცეს ასეთი ყოფა!“ სვანუ-
რის ჩვენება ძვირფასია საერთო-ქართველური ფუძის ისტორიის თვალსაზ-
რისითაც; თუ ქართულმა დეტერმინანტი სუფიქსი **ლ** დაკარგა სახელურ
ფუძეში (შდრ. ზმნური **ქოლ**- ← **ქუალ**- „ქოლვა“), ხოლო ზანურმა მხო-
ლოდ მრავლობითსა და ნაწარმოებ ფუძეებში შემოინახა, სვანურში ფუძე
უცვლელად არის შენარჩუნებული. ამ მხრივ ჩვენი მაგალითი არ არის
უნიკალური, ანალოგიური ვითარებაა **ტყენ** „კეტის“ აღმნიშვნელ სვანურ
ფუძეშიც; შდრ. ქართ. **ტყე** : ზან. **ტყა(ლ-)** : სვან. **ტყენ** „კეტი“ ←
ს.-ქართვ. ***ტყელ**-.

ს.-ქართვ. ***ქუალ**- „ქვა, კლდე, ჭიუხი“ → ქართ. **ქვა** || **ქუა**, **ქოლ**-
← **ქუალ**- : ზან. **ქუა(ლ-)** : სვან. **ქუნ** || **ქუნ**.

სვან. **ქუნჯ** ზს., **ქუნჯ** ლშხ. „სახელური (კოტა, მაჭო)“.

ქართ. (თუშ.) **ქურ-ო** „ხელთათმანი“, **ქურ-ო** „არს ორთავე ველთა
შესაყოფელი ფართო ბეწვიანი სითბოსათვის (საბა)“.

ზან. **ქუჯ-ი** „ხელთათმანი“.

სვანური იმდენად არის საინტერესო, რომ მან ზანურიდან ნასესხები
ისეთი სიტყვა შემოინახა, რომელიც საკუთრივ ზანურში დაკარგულია.

ქართ. **ქურ-ო** : ზან. **ქუჯ-ი** (←***ქურ-ი**) მიმართებისათვის მოვიხმობთ ანა-
ლოგიურ შეპირისპირებას — ქართ. **სურ-ო** : ზან. **სუჯ-ი**. ბოლოკიდური
-**ო** სუფიქსურია (შდრ. აგრეთვე ქართ. **ღვინ-ო** : ზან. **ღვინ-ი** || **ღინ-ი**).

ს.-ქართვ. *ქურ-, *ქურ-ო „ხელი, სახელური; ხელთათმანი“ → ქართ. ქურ-ო : ზან. ქუჯ-ი.

ს.-ქართვ. *ქურ-, *ქურ-ო სიტყვას შესატყვისები ეძებნება მთის მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში, სადაც ძირითადია ხელის მნიშვნელობა; შდრ.: ნახ. ქულ-(გ) „ხელი“, ხუნძ. ქუერ || ქერ „ხელი“, ბოთლ. ქუადუ ← ქუარ-დუ „ხელში“; ბავგ. ქუად ← ქუარ, ბეჟიტ. ქორო, ჰუნზ. ქორო „ხელის მტევანი“, ლაკ. ქუა ← ქუარ, ლეზგ. ქულ (← ქურ), ხინალ., არჩიბ., უდ. ქულ ← ქურ „ხელი“...

სვან. ქუიშარ-ჲ ბზ., ქიშორ-ა ბქ., ქუიშარ-აი ლშხ. „რუხი“.

ქართ. (ლექს.) ქისორ-ი || ქისონ-ი „თავისფერი, ნაცრისფერი“.

ზან. (მეგრ.) ქვიშორ-ი „ნაცრისფერი“.

ქართ. ქისორ-/ზან. ქვიშორ- ფორმებს სემანტიკურ-სტრუქტურული იგივეობა აერთიანებთ (ქართ. ს : ზან. შ). მხოლოდ მეგრულში ვ ზედმეტია. ამ სიტყვაში ვ-ს გაჩენა მეტაანალიზის შედეგი უნდა იყოს. მხედველობაშია ქვიშა ლექსემასთან ქვიშორ-ის „ნაცრისფერის“ გაიგივების შესაძლებლობა. ამიტომაც ქვიშორ-ი ←*ქიშორ-ი : ქართ. ქისორ-ი.

ქართულში ქისორ- ფორმას ფონეტიკური ვარიანტები მოეპოვება — ოკრიბ., ლექს. ქი ს ო რ - ი „ნაცრისფერი“. შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ხ/← ს მონაცვლეობა საერთო მასალაში, რაც არ არის უნიკალური შემთხვევა, შდრ. ქართ. ფხვლიკ-ი → || ფხვლიკ-ი, II სუბ. პირ. ნიშანი ს → || ხ...

ს.-ქართვ. *ქის-ორ- „ნაცრისფერი“ → ქართ. ქისორ-ი || ქისონ-ი || ← ქისორ-ი : ზან. ქვიშორ-ი ←*ქიშორ-ი : სვან. ქუიშარ- ←*ქიშუარ- ← ქიშორ-.

სვან. ქშდ-, მჰ-ქშდ-უნ-ა ზს., მა-ქშდ-უნ-ა ლშხ. „ლენცოფა“.

ქართ. (კახ.) ქარსლ-, ქარსლ-ა „სპარსული ღვარძლა (ა. მაყ.)“.

ზან. —

ქართული ქარსლ- ძირის კანონზომიერი შესატყვისია სვანური რედუცირებული ქშდ(← ქაშდ-) სახეობა, რომელიც ჩანს მჰ-ქშდ-უნ-ა || მა-ქშდ-უნ-ა სიტყვაში. სვანურ ფორმას აგებულების მხრივ ეპარალელობა მა-ყგ-უნ-ა ბზ., ლნტ., მა-ყუგ-უნ-ა ბქ. „კოდალა“¹ ლექსემა, სადაც ასევე გამოიყოფა მა- — -უნ-ა ცირკუმფიქსი.

¹ აქ გამოყოფილი ყუგ- → ყოგ- შესატყვისია ქართ. კოდ- (კოდ-ალ-ა), ზან. კგდ- || კიდ- || კუდ- ძირებისა, ოღონდ სვანურში ყოგ- ←*ყოდ-, შდრ. სვან. გ || დ : დაპარ → || გაპარ „სუფთა“...

ქართ. **ქარსლ-** : სვან. **ქშდ-** (← **ქაშდ-**) შეპირისპირება კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს საერთოქართველური **სლ** თანმიმდევრობის **შდ-**დ ტრანსფორმაციას სვანურში, შდრ. ქართ. **მ ა რ ს ლ - ი** : სვან. **მ ა შ დ** (იხ. აქვე, § 22)...

ს.-ქართვ. ***ქარსლ-** „ლენცოვა, ღვარძლა“ → ქართ. **ქარსლ-ა** : სვან. მშ-**ქშდ-უნ-ა** || მშ-**ქშდ-უნ-ა** ← *მშ-**ქაშდ-უნ-ა**.

სვან. **ქვითირ** || **ქვთვრ** ზს. „ცარიელი ქონი“.
ქართ. (ფშ.) **ქუნთ-ურ-ა** „მსუქანი (ბავშვზე იტყვიან)“, ლეჩხ. **ქვინთლ-ი** „ლორის ხორცის ქონიანი სქელი მონათალი“.
ზან. (მეგრ.) **ქვანთილ-ა** „ღუმე (ცხვრისა)“.

ფშაური **ქუნთ-ურ-ა** ფორმაში **ლ** დაკარგულია — ***ქუნთლ-ურ-ა** → **ქუნთ-ურ-ა**.

სვანურში შემდეგი პროცესები დასტურდება **უ** → **გ**, **ლ** → **რ** (იხ. § 6. **ლ** → **რ**) — **ქუნთილ** → **ქვითირ**.

ყველა ქართველურ დიალექტში **ქონის**, **სიმსუქნის** ნიუანსია ძირითადი.

ს.-ქართვ. ***ქუნთ-ილ-** „ქონი, ღუმე“ → ქართ. **ქვინთლ-ი**, **ქუნთ-ურ-ა** : ზან. **ქვანთილ-ა** (← ***ქუნთილ-ა**) : სვან. **ქვთვრ** || **ქვითირ** (← ***ქუნთირ**).

სვან. **ქვრთ-**, ი-**ქვრთ-ე** ზს., ქს. (ზხტ-**ქირთ**, პნ-**ქვრთ-ე**, პნ-**ქვრთ-ი** ბზ., ონ-**ქვრთ**, ენ-**ქვრთ-ე** ლშხ.) „ილობავს“, ლი-**ქვრთ-ე** „ილობვა“, ლგ-**ქვრთ-ე** „მოლობილი, შემოლობილი“, მგ-**ქვრთ-ე** „მოლობავი“.

ქართ. **ქართ-ა** „შემოლობილი ადგილი“.

ზან. (მეგრ.) **ქვრთ-ა/ი** || **ქვთ-ა** „მჭიდროდ დასახლებული ადგილი (სოფელი)“; „ქალაქი“.

ქართველური სიტყვებისთვის ძირითადია ლობე/ლობის მნიშვნელობა. მეგრულის სემანტიკა დასახლების უძველესი სახეობის — შემოლობილი, გამაგრებული სამოსახლო ადგილის — გამოძახილად გვეჩვენება.

ქართული **ქართ-ა** ფორმის ძველი ზანური **ქუთ-ა** შესატყვისი უნდა ჩანდეს **ქუთ-ა-ის** — (ბერძ. **ქუთ-ა-ია** || **ქუთ-ა-ი-ონ**) ტოპონიმშიც, შდრ.

მეგრ. **ქუთ-ეშ-ი** ← ჭან. **ქუთ-ა-იშ-ი**, სვან. **ქუთ-ჰ-შ**. თავდაპირველად ქუთაისის აღსანიშნავად **ქუთა** || **ქუთა-ია** გაუფორმებელი ზანური ფუძე გამოიყენებოდა, როგორც სინონიმი **მსხვილი დასახლებული პუნქტისა**. ე. ი. **ქუთ-ა-(ია)** „ქუთაისი“ ჰგულისხმობდა დიდ, მჭიდროდ დასახლებულ, გამაგრებულ (შემოლობილ) ქალაქ-ციხე-სიმაგრეს და ქალაქის **სინონიმი** იყო ისევე, როგორც მოგვიანებით **თბილისი**,

შდრ. მეგრ.-სვან.-აფხაზ. **ქართ-(ი)** „თბილისი“, ვაინახური ქ ა ლ ა ქ = თ ბ ი ლ ი ს ი, ქ ა ლ ა ქ ო დ ე უ ო რ = თ ბ ი ლ ი ს უ რ ი მ ს ხ ა ლ ი, ქ ა ლ ა ქ ო „თბილისელი“...

საერთოქართველური **ქართ-ა**-ს ზანური ეკვივალენტი **ქუთ-ა** (←***ქოთ-ა**, შდრ. ბერძნ. **ქოთა** || **ქოთა-ის-**). იკითხება აფხაზურ ა-**ქუთ-ა** „სოფელი ბევრი მცხოვრებით“ სიტყვაშიც, რომელიც აშკარა ზანიზმია. შეიძლება დაისვას საკითხი **ქართ-ა**, **ქართ-ლ-ი**, **ქართ-ავ-ი** (ტობ.), **ქართ-(გ)-ელ-ი** ფუძეთა ერთიანობის შესახებ (შდრ. ვაინახური ქ ა რ თ || ქ დ ე რ თ „ლობე, სიმაგრე“ = რუს. из-городь).

ს.-ქართვ. ***ქართ-(ა)** „ლობე, შემოლობვა; გამაგრებული, შემოლობილი ადგილი (ციხე-სიმაგრე)“ → ქართ. **ქართ-ა** : ზან. **ქერთ-ი** || **ქეთ-ა** || **ქუთ-ა** (←***ქორთ-ა**), **ქუთა-ია**, **ქოთა** : სვან. **ქერთ-** (←***ქართ-**).

სვან. **ქეს-ა** ბზ., **ქეს-ე** ბქ. „ფიფქი, მშრალი თოვლი“.

ქართ. (ფშ.) **ქირსლ-**, მთიულ. **ქირსლ-ი** „ქერტი“, **ქირსლ-ი**, **ქირსლ-ავ-ს** „წვრილ-წვრილად თოვა“.

ზან. —.

სვანურში შესატყვისი ფუძე გაცვეთილი, გამარტივებულია — **ქეს-** ←***ქირს-**, -ა/-ე წარმოშობით ფუძეს შეზრდილი მასდარის ნიშანი ჩანს.

ს.-ქართვ. ***ქირს-**, ***ქირს-ლ-** „თოვა, წვრილ-წვრილი ფიფქი“; → ქართ. **ქირს-ლ-** : სვან. **ქეს-ე** || ← **ქეს-ა** ←***ქირშ-ა**.

სვან. **ქერხ** „სარეველა ბალახი“.

ქართ. **ქურცხ-ი** „სარეველა“, გურ. **ქურცხ-ი** „გაუვალი ტყე“.

ზან. (მეგრ.) **ქვერხხ-ი** „სარეველა, ეკლიანი ბუჩქი“, **ქურცხ-ონ-** „ბუჩქნარი“, ჭან. **ქუნცხ-ი** „ჩირვი“.

მეგრული ფორმა დისიმილაციურია **ი — ი → ე — ი — ქვირხხ-ი → ქვერხხ-ი**. სვანურში ფუძე გამარტივებულია — **ქურხხ** → **ქერხ**.

ს.-ქართვ. ქართვ. ***ქურცხ-** „სარეველა“ → ქართ. **ქურცხ-ი** : ზან. **ქუნცხ-ი**, **ქვერხხ-ი** ←***ქვირხხ-ი** ←***ქურხხ-ი** : სვან. **ქერხ** ←***ქურხხ**.

ღ

სვან. **ღაბ-ნ-ა** ზს., ლშზ., **ღაბ-ენ-ა** ლნტ. „მოზვერი“.

ქართ. **ვბ-ორ-(ებ-ი)**, მე-**ვბ-ორ-ე**, **ვბ-ო** → || **ხბ-ო**.

ზან. (მეგრ.) **ქაბ-ულ-ა** „მოზრდილი ხბო“.

ქართველურ ენებში ძირად **ღაბ-** → || **ღაბ-/ვბ-/ქაბ-** გამოიყოფა, რაც საერთოქართველურისთვის ***ღებ-** ტიპის ფუძეს ვარაუდობს. ქართ. **ჭ** : სვან. **ღ** : ზან. **ქ** მიმართება წინააღმდეგობას ვერ შექმნის, შდრ. ქართ. **ჭ**ნდ-ურ-ი : სვან. **ღ**ედ-არ || **ღ**ედ-ერ „მინდვრის ბარდა“ (მ. ქალდა-ნი) : ზან. **ქ**ონდარ-ი (იხ. აქვე). გასარკვევია, ოპოზიცია ქართ. **ჭ** → /**ხ** : სვან. **ღ** : ზან. **ქ** ხომ არ ჰგულისხმობს სხვა წყაროს, ვთქვათ, წინარექართველურ ***ღ** ფარინგალური რიგის მჟღერ აფრიკატს (!).

ს.-ქართვ. ***ღებ-** (?) „ხბო“ → ქართ. **ვბ-ორ-** || **ვბ-ო** → || **ხბ-ო** : ზან. : **ქაბ-**ულ-ა : სვან. **ღაბ-ნ-ა** || **ღაბ-ენ-ა** ← ***ღებ-ენ-ა**.

სვან. **ღამენ-** || **ღამენ-**, ლი-**ღამენ-**ე „დროის მიცემა“, ხტ-ა-**ღამენ-**ე „ვაცლი“, მა-**ღამენ** „მატალე, დრო მომეცი“.

ქართ. **ღამ-**, და-**ღამ-**ებ-ა, მ-**ღამ-**ი, **ღამ-**ე, **ღამ-**ურ-ა, სა-**ღამ-**ო.

ზან. (ჰან.) **ღომ-ან** || **ღომ-ა** „გუშინ“, **ღომ-ან-ერ-ი** „გუშინდელი“, მეგრ. **ღუმ-ა**, **ღუმ-ან-ერ-ი** „წუხანდელი“.

ადრე გამოთქმული ვარაუდი ქართული **ღამ-**ე სახელის არქაული **ღამ-ენ-** სახეობისაგან მომდინარეობის შესახებ, რაც ჰანურ-მეგრულის ჩვენებათა მიხედვით გაკეთდა (არნ. ჩიქობავა), მაგრდება სვანური ენის მონაცემების მოხმობითაც. ნასახელარი **ღამ-ენ-** ზმნა სვანურში უძველეს ეტაპზე დროის სემანტიკით ხასიათდებოდა, ე. ი. უფრო ზოგადი მნიშვნელობა გააჩნდა: სვან. **ღამ-ენ-** „დრო“ → ლი-**ღამენ-**ე „დროვება, დროის მიცემა, დაცლა (ვაცლი)“, სემანტიკისთვის შდრ. ქართ. დ რ ო → ა დ - რ ო ვ ე ბ ს = ა ც ლ ი ს. პრინციპში დაღამებაც ხომ დროის გასვლას ნიშნავს.

ს.-ქართვ. ***ღამ-ენ-** „ღამე, ღამით (წუხელ); დაღამება“ → ქართ. **ღამ-**, **ღამ-ე** : ზან. **ღუმ-ა(ნ)-** || ← **ღომ-ან-** : სვან. **ღამენ-** || **ღამენ-**.

ს.-ქართვ. ***ღამ-ენ-** არქეტიპის შესატყვისია: ბაცბ. **ღა^ნ** ← ***ღან**, ინგ. **ღა** ← ***ღან**, ჩაჩნ. **ღა^ნ** || **ღან**, ს.-ნახ. ***ღან** „სიზმარი“...

სვან. **ღანწუ-**იმ ბზ., **ღენწ-**იმ ბქ., **ღენწუმ** ← ***ღენწუ-**იმ ლზზ., **ღენწუ-**(იმ) ლნტ. „სახვნელი იარაღი, გუთან“.

ქართ. **ხვეწ-**ი „მოკაკული სათლელი“ (საბა), გურ. **ხვეწ-**ი „მოხრილი რკინა“.

ზან. (მეგრ.) **ხვაწ-**ა „კოვზის სათლელი დანა“, ნა-**ხვაწ-**ა „ლომის ამოღების შემდეგ ფსკერზე წარმოქმნილი ქერქი“, ეტ. „ნაკაწრი“, ჰან. **ხვეწ-**ი „რკინის იარაღი კოვზის გულის ამოსათლელად“.

სვანური ალომორფებიდან უფრო ძველ სახეობად გვეჩვენება ლენტეხური **დენწუ-** || **დენწუ-**იმ, რომელიც შედარებით ახლოს დგას ქართულ **ხვეწ-**თან. **ხვეწ-** : **დენწუ-** შეპირისპირებაში გასათვალისწინებელია **ჟ-**ს მეტათეზისი სვანურში და **ხ** → **ღ** გადასვლა (შდრ. სვან. **ღან-**ატ „ორსული“ : მეგრ. უ-**ხენ-**ო „id“), **ნ-**ს ფონეტიკური დართვა ინლაუტში, რაც ასევე ბუნებრივია (შდრ. ქართ. ღერღედ-ი : სვან. ღარღანდ, იჯარა → ინჯარ, კაწრ- : კანჭ-ურ- (მ. სუხიშვილი)...).

ქართველური ფუძეებისათვის ბუნებრივია **ს ა ხ ვ ნ ე ლ ის** (სვანური), **ა მ ო ს ა თ ლ ე ლ ის** (ქართული, ზანური), მოხრილი რკინის (გურ. დიალ.) მნიშვნელობები, რომელთაც აერთიანებთ რკინის იარაღით რაღაცის **ა მ ო ლ ე ბ ის**, **ა მ ო ლ უ რ ტ ნ ის** გაგება. სწორედ ამაში იკვეთება **ხ ვ ე წ ის**, როგორც იარაღის, პოლიფუნქციურობა. ამიტომაც იქცა ის „გუთანად“ სვანურში, შდრ. რაჭ., მთიულ. **ხოწ-**ი „ნიჩაბი“, „ბარი“.

ს.-ქართვ. ***ხუენ-** „ხვეწი, ამოსათლელი იარაღი; გუთანი“ → ქართ. **ხვეწ-**ი : ზან. **ხვეწ-**ი || ← **ხვაწ-**ი/ა : სვან. **ღანწუ-**იმ || **დენწ-**იმ || **დენწუ-**(იმ) ← ***ხუენ-**.

ს.-ქართვ. ***ხუენ-** ძირს უკავშირდება: აფხაზ. აი-**ხაწ** „რკინის შამფური“, ა-მ-**ჰაწ** „კოვზი“; ბაცბ. **ღაწ** „ნაკაწრი“...; ხუნდ. **ჰეწ**, ანდ. **ხუწუ**, კარატ. **ჰეწე**, ჭამ. **ხიწუ**, ბაგვალ. **ჰეწუ**..., ჰინუხ. **ხარწუ**, ჰუნზ. **ხაწგ**, არჩიბ. **ხაწი**, ალ. **ღამწ** „მარწუხი, გაზი“...

სვან. **-ღაშდ** || **-ღაშტ** || **-ღეშდ**; ნე-**ღაშდ** ბზ., ნე-**ღეშდ** ლშზ., ნი-**ღაშტ** „თიკანი“.

ქართ. **თიკ-ან-ი**.

ზან. (მეგრ.) **თიღ-**ი „ბატკანი; ცხვარი“.

სვანური შესატყვისი ნაწარმოებია **ნე-/ნი-**—ა კონფიქსით; სუფიქსური სეგმენტი **-ა** დაკარგულია, მაგრამ მისი არსებობის კვალი დააჩნდა **ი** → **ე** || → **ჰ** პროცესის სახით ძირეულ ხმოვანს. უძველესი სახეობა ***ნი-შთიღ-**ა ფორმისა უნდა ყოფილიყო (შდრ. ნი-ქჰ-ა, ნი-გბ-ა, ნი-ფხტნ-ა...). **ღ-**ს მეტათეზისის ფაქტი ცნობილია (იხ. აქვე **მალლაჟე**); შესატყვისობა ქართ.-ზან. **თ** : სვან. **შდ** ბუნებრივია (ნ. მარი, ვ. თოფურია, გ. როგავა, კ. შმიდტი...).

დაკავშირება პრობლემურია ქართ. **კ** : ზან. **ღ** : სვან. **ღ** უნიკალურობის გამო (იქნება **კ** ← ***ყ** → **ღ** (?)).

ს.-ქართვ. ***თიკ-ან-** „ბატკანი, თიკანი“ → ქართ. **თიკ-ან-ი** : ზან.

თიღ-ი : სვან. **ნე-ღაშდ** || **ნი-ღაშტ** || **ნე-ღეშდ** ← ***ნი-შთიღ-ა**.

ს.-ქართვ. ***თიკ-ან** ფუძეს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში; შდრ.: **წეკირ**, ბოთლ. **წეკირ**, ჭარ. **წეჭი** ←

წიკი, ტინდ. **წიკარ**, ბავგ. **წიკერ**, კარ. **წიკერ**, ახვან. **ჭიკე** : ღიდ. **ციკი**, ხვარშ. **ჩიკი**, ბეჟ. **ჩიკე**, ჰუნზ. **ჩიკე** „თიკანი“...

სვან. **ღედ** „ეჭვი; სამართალი“, ი-ლ-ღედ-ი ბზ., ბქ., ლშხ., ლნტ. „განსჯის“, უ-ღაღ ბზ., უ-ღაღ-უ ბქ. „უსამართლო, უკანონო“.

ქართ. **ღდ-ინ-**, **ღდ-ინ-ი** „განსჯა, რჯული, სარწმუნოება“.

ზან. **ღდ-ან-**, **ღდ-ან-ა** „განსჯა, ძრახვა“, მ-ი-ღდ-ან-უ(ნ) „განმსჯის, დამხრახავს“, ვა-გა-მ-ღ-ღდ-ან-ა „ნუ განმსჯი“.

ზანურში **ღღ** დეცესიურ-ჰარმონიული კომპლექსი რედუქციის მომდევნო საფეხურზე შექმნილი **ღღ-ს** სუპერაციას გვიჩვენებს. რედუქცია

გამოწვეულია **-ან** ხმოვნიანი სუფიქსის დართვით. ***ღაღ-ან-** → ***ღდ-ან-** → **ღდ-ან-**. ქართ. **ღდ-ინ-ი** მიღებულია შემდეგი საფეხურების გავლით: **ღედ-**

ენ- → ***ღდ-ენ-/ღდ-ინ-** → **ღდინ-ი**. ქართ. **ღდ-ინ-ი** არაბულიდან მომდინარედ მიაჩნიათ, მის წყაროდ არაბულ **დიჰნ** „რელიგია, რწმენა“ ასახელებენ (გ. წერეთელი, ნ. ნედოსპასოვა, ლ. ავალიანი). სვან. **ღედ-** : ქართ.

ღდ-ინ- : ზან. **ღდ-ან-** ← **ღდ-ან-** გამორიცხავს რაიმე შესაძლებლობას სესხებისა, **ღ-ს** განვითარება **ღ-ს** წინ (!) ამგვარ დაშვებას ქართველურ ენათა ფონეტიკა ეწინააღმდეგება. თუ სესხებაზე იქნება საუბარი, უფრო სავარაუდოა პირიქით პროცესი: ქართ. **ღდ-ინ-** → არაბ. **დიჰნ** (**ღ-ს** გაუჩინარებით).

ს.-ქართვ. ***ღედ-(ენ-)/ღედ-(ინ-)** „განსჯა, სამართალი, ეჭვი, ძრახვა“ → ქართ. **ღდ-ინ-ი** (←***ღდ-ენ-ი**) : ზან. **ღდ-ან-** ←***ღდ-ან-** : სვან. **ღედ-**, უ-ღაღ-უ || ← უ-ღაღ-უ ← უ-ღედ-უ (ე → ა → ა მომდევნო უ-ს გავლენით).

სვან. მგ-ღდ-ერ-ლ ბზ., მგ-ღდ-ერ-ლ ლშხ., მგ-ღდ-ერ-ილ ბქ. „ცერცველა“ **ღედ-არ** || **ღედ-ერ** ზს., **ღედ-ერ** ქს. „მინდვრის ბარდა“.

ქართ. **ვნდ-ურ-**ი „ცერცვი“, მოხ. **ვად-ურ-**ი „მინდვრის ბარდა“.

ზან. **ქონდ-არ-**ი „უსუბი, ქონდარი“.

ქართულ-სვანურ ფუძეთა ერთიანობა ცნობილია (ივ. ჯავახიშვილი, მ. ქალდანი). **ქონდ-არ-** ფორმის ზანურად კვალიფიკაცია ემყარება ბგერათშესატყვისობათა შემდეგ ჩვენებას ქართ. **ვ** : ზან. **ქ** : სვან. **ღ**, რაც

დასტურდება ქართ. **ვბ-ორ-** : ზან. **ქაბ-ულ-ა** : სვან. **ღაბ-ნ-ა** || ← **ღაბ-ენ-ა** (იხ. აქვე) შეპირისპირებაშიც. **ვ/ქ/ღ** თანხმოვნები ერთმანეთისაგან არ გამოიყვანება, მართალია **ვ** → **ქ** ჩვეულებრივია ზანურ მასალაში (**ვტარ-ბალ-/ქობალ-...**), მაგრამ **ვ** → **ღ** უცხოა სვანური ფონეტიკისთვის. რაც ამოსავალში მესამე წყაროზე მიუთითებს. ამგვარად გვეჩვენება ფარინგალური რიგის მჟღერი აფრიკატი ***ვ**, რომელიც **ვ/ღ** რეფლექსებს იძლევა

ლეზგიურ ენებში, სადაც **ფ** ფონემა დღესაც ფუნქციონირებს — შდრ.:
თაბ. რ ი ფ ი : არჩიბ. ბ ა რ **ჭ** : უდ. ბ ე ლ „მზე“..; თაბ. ნ ი ჟ ე :
არჩიბ. ნ ა ბ **ჭ** : უდ. ნ ე ლ „ცრემლი“...

ს.-ქართვ. ***ფად-** „ცერცვი; ქონდარი“ → ქართ. **კად-ურ-ი, კნდ-ურ-ი**
(←***ვანდ-ურ-ი**) : ზან. **ქონდ-არ-** (←***ვონდ-არ-**) : სვან. **ღედ-წრ || ღედ-**
ერ (←***ღად-ერ**).

ქართ. **ღერდ-**, ამო-**ღერდ-**ავ-ს „გაჭირვებით, ძლივს იტყვის სა-
თქმელს“, სა-**ღერდ-**ელ-ი „სალაპარაკო“, სა-**ღერდ-**ელ-ი აეშალა, ე. ი.
„ბევრს ლაპარაკობს“.

ზან. (ჭან.) **ღარდ-**ალ-ი „ლაპარაკი“, დო-**ღარდ-**ალ-უ „ილაპარაკა“,
ო-**ღარდ-**ალ-უ „ლაპარაკი“, მეგრ. **ღარდ-**ალ-ი „უთავბოლო, მოსაბეზრებე-
ლი ლაპარაკი“, ვა-**ღარდ-**ალ-უ-ა „ბევრს ნუ ყბედობ“.

სვან. —.

ქართული სა-**ღერდ-**ელ-ი იმავე სტრუქტურისაა, რაც სა-თქმ-ელ-ი,
სა-წად-ელ-ი... **ღერდ-** ფუძის ნეგატიური შინაარსი „ძლივს, გაჭირვებით
ბევრი ლაპარაკი“ გამოდახილს ჰპოვებს მეგრულის „უთავბოლო, მოსაბე-
რებელ ლაპარაკში (ყბედობა)“.

ღერდ-/ღარდ- (ქართ. ე : ზან. ა) კანონზომიერ მიმართებას აჩვენებს.

შესაძლებლად მიაჩნიათ ზანური **ღარდ-**(ალ-) ზმნის დაკავშირებას
სვანურ **გარგ-ლ-ა** ბზ., **გარგ-ლ-ა** ლშზ., **გარგ-ალ-** ლნტ. „ლაპარაკი“ სი-
ტყვასთან, შდრ. ხუნძ. **გარგა-**დ-იზე || **გარგა-**ზე, **გარგ-**არ „ლაპარაკი, ყბე-
დობა“ (არნ. ჩიქობავა). თუ ამ ფუძის ხმაბაძვიტობას გავიზიარებთ **გ/ღ**
მონაცვლეობა ქართველურ ენებში დასაშვებია; თუმცა სხვა სიტუაციაში
სვანური უფრო პირიქით (საპირისპირო) ჩვენებას იძლევა — ქართ. **გ** :
ზან. **გ** : სვან. **ღ** (გენ-ი : გინ-ი : ***ღენ-** → **ღუნ** „ხბო“...).

ს.-ქართვ. ***ღერდ-** „ლაპარაკი; ყბედობა“ → ქართ. **ღერდ-**, სა-
ღერდ-ელ-ი : ზან. **ღარდ-**(ალ-) : სვან. **გარგ-ლ-** ← || **გარგ-ალ-** ← ||
***გერგ-ალ-**.

სვან. **ღეშგ-** || **ღეშკ-**, ი-**ღეშგ-**წლ-ხ ბზ., ი-**ღეშგ-**წლ-ხ ბქ., ი-**ღეშ-**
წლ-ხ (←ი-**ღეშგ-**წლ-ხ) ლშზ., ი-**ღეშკ-**წლ-ხ ლნტ. „ეცილებიან, დაობენ“.

ქართ. (რაჭ.) **ღისკ-**ინ-ი „მტრობა, ხელის შეშლა ვინმესთვის“.

ზან. —.

ქართული **ღისკ-**ის შესატყვისად სვანურში **ღიშკ-** უნდა გვქონოდა
(შდრ. ლნტ. **ღეშკ-**), ზემოსვანურსა და ლაშხურში დადასტურებულია
ღეშგ-, სპირანტის მომდევნო **კ** გამჟღერდა — **კ** → **გ**; ამგვარ შესაძლებ-

ლობაზე ცალსახად მიუთითებს ერთი ნასესხები სიტყვის ანალიზი; შდრ. ქართ. **სკლატ-ი** → სვან. **სგალანტ** ზს., **სგალატ** ლშხ. — **სკ** → **სგ**.

ს.-ქართვ. ***ღირსკ**-(ინ-) „მტრობა, დავა, ხელის შეშლა“ → ქართ. **ღისკ**-ინ-ი : სვან. **ღეშგ**- || **ღეშკ**- ←***ღიშკ**-.

ქართ. **ღეჭ**-, **ღეჭ**-ავ-ს, **ღეჭ**-ვ-ა, სა-**ღეჭ**-ი.

ზან. (მეგრ.) **ღანჭკ**-, **ღანჭკ**-უნ-ს → || **ღვანჭკ**-უნ-ს „ღეჭავს“, **ღანჭკ**-უ-ა, ო-**ღანჭკ**-ალ-ი „საღეჭი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მცდარი აზრი იმის შესახებ, თითქოს ქართ. **ღეჭ**- ძირს მეგრულში **ღაჭ**- „ღეჭვა“ შეესატყვისებოდეს (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე). არა-და, **ღაჭ**-უ-ა მეგრულში კრეჭა-ს ნიშნავს. ზემოხსენებული ვარაუდი, როგორც ეტყობა, ი. ყიფშიძის ლექსიკონიდან იღებს სათავეს, სადაც მეგრ. **ღაჭ**- ლეჭვადაც განიმარტება. პ. ჭარაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში ი. ყიფშიძის შეცდომა გასწორებულია. ავტორი **ღანჭკ**-უ-ას სინონიმად კ ა ნ კ - უ - ა - ს მოიხმობს, რაც მართებულად მიგვაჩნია. ქართ. **ღეჭ**- : ზან. **ღანჭკ**- შეპირისპირებაში, მიუხედავად ფუძის აშკარა სიმბოლური აგებულებისა, დაცულია ბგერათმეცნიერებისათა ჩვენება ქართველურ ენებში: ქართ. **ე** : ზან. **ა**, ქართ. **ჭ** : ზან. **ჭკ**... **ნ** ფონეტიკური დანართია ზანურში.

ს.-ქართვ. ***ღეჭ**- „ღეჭვა“ → ქართ. **ღეჭ**- : ზან. **ღანჭკ**- || **ღვანჭკ**- ←***ღაჭკ**-.

სვან. **ღიჭ-უ** || **ღიჭ-უ** (მრ. რ. **ღიჭ-უ**-არ, ნათ. ბრ. **ღიჭ-უ**-იმ) „და-ღრეჯილი, გაბრაზებული“, ლი-**ღჭ**-გნ-ე „გაბრაზება, გაღიზიანება“, ნა-**ღჭ**-გნ „გაბრაზებული, გაღიზიანებული“.

ქართ. **ღრძ**-, (გულ-) **ღრძ-ო**, **ღრძ-ობ**-ა, ი-**ღრძ**-ო.

ზან.—.

ქართულ **ღრძ-ო**-ს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური **ღიჭ-უ** სახელი. ბოლოკიდური ქართ. -**ო** : სვან. -**უ** (← -**ო**) სადერივაციო აფიქსი ჩანს (იხ. აქვე სვან. -**უ** : ქართ. -**ო** : ზან.: -**უ**).

ზმნური **ღრძ**- „ღრძობა“ სემანტიკას საფუძვლად სვანურში დადასტურებული „გ ა ღ ი ზ ი ა ნ ე ბ ი ს“ გაგება დაედო — გ ა ღ ი ზ ი ა ნ ე ბ ა → ღ რ ძ ო ბ ა.

ქართული **ღრძ**- ძირი ისტორიულად განმოვანებული უნდა ყოფილიყო; რ აქ ფონეტიკური დანართია, გაჩენილი რედუქციის მომდევნო საფეხურზე: ***ღიძ**- → ***ღძ**- → **ღრძ**- (შდრ. ქართ. ღიზ-(?), ზან. **ღვიზ**-, ო-**ღვიზ**-ინ-ან-ს „გაღიზიანებულია, უკმაყოფილოდ გამოიყურება“, **ღვიზ**-ალ-ი „მოღუშული“).

ს.-ქართვ. ***ლიძ-**, ***ლიძ-ლ** „გალიზიანება“, „ლრძო“ → ქართ. **ლრძ-**, **ლრძ-ლ** : სვან. **ღჟ-** ←***ღიჯ-**, **ღიჯ-ჟ** ←***ღიჯ-ლ**.

სვან. **ღლიჯგ-**, მგ-**ღლიჯ** (← მგ-**ღლიჯგ**) ბზ., ლნტ., მგ-**ღიჯგ** ← მგ-**ღლიჯგ** ბქ. „კბილებდაკრეჭილი“.

ქართ. **ღრეჯ-/ღრიჯ-**, და-**ღრეჯ**-ილ-ი, მ-**ღრეჯ**-ი, ი-**ღრიჯ**-ებ-ა.

ზან. (მეგრ.) **ღინჯგ-**, **ღინჯგ**-ალ-ი || **ღვინჯგ**-ალ-ი, ო-**ღინჯგ**-ინ-ან-ს, ი-**ღვინჯგ**-ინ-ან-ს „ილრიჯება“, გო-**ღინჯგ**-ინ-აფ-ილ-ი „დალრეჯილი“.

ზანურ-სვანური ასახავს ს.-ქართვ. ი განმრავანებას (**ღრიჯ-**).

სვანურში რ სიტყვის შიგნით ლ-ში გადასულა (იხ. § 16. რ → ლ), ხოლო ზანურში ნ-ში, რაც ბუნებრივია (შდრ. გვნძ-ე : ქართ. გრძ-ელ).

ს.-ქართვ. ***ღრ-ეჯ-/ღრ-იჯ-** „ღრეჯა“ → ქართ. **ღრეჯ-/ღრიჯ-** : ზან. **ღინჯგ-** || **ღვინჯგ-** (←***ღირჯგ-**) : სვან. **ღლიჯგ-** || **ღიჯგ-** ←***ღრიჯგ-**.

სვან. [ღოსგ || ღოსკ] „ღიმი“.

ქართ. **ღვარძლ-ი** || **ღვარძლ-ა**.

ზან. (მეგრ.) **ღვანძგ-ი** || **ღვანძგ-ირ-ა** (შდრ. იმერ. **ღვანძგილა**).

სვანურმა სათანადო ძირი დაკარგა; მისი არსებობა ცხადი ხდება ზ. რაჭული **ღოსკ-ი** „ღიმი“ სიტყვის განხილვისას. ვფიქრობთ, ქართულ **ღვარძლ-**ს სვანურში **ღოსგ || ღოსკ** (←***ღუარძგ**) უნდა მოეცა, აქედან რაჭულმა ისესხა მნიშვნელობის ცვლით („ღვარძლა“ → „ღიმი“) **ღოსკ** ალომორფი.

მეგრული **ღვანძგირ-ა** კანონზომიერად ასახავს ს.-ქართვ. **ღუარძლ-ს** ლ → რ გადასვლით. და რომ ლ ზანურ ფორმებში რეალურად არსებობდა, ამას იმერული **ღვანძგილა** ამტკიცებს.

საინტერესოა ბგერათმეცნიერების ს.-ქართ. ძ : ზან. ძგ : სვან. სგ || სკ ← ძგ (მსგავსი ტიპის შესატყვისობებზე იხ. § 27).

ს.-ქართვ. ***ღუარძლ-** „ღვარძლა“ → ქართ. **ღვარძლ-ა** || **ღვარძლ-ი** : ზან. **ღვანძგ-ირ-(ა)** (←***ღვარძგ-ილ-(ა)**) : სვან. **ღოსგ-** || **ღოსკ-** ←***ღუარძგ-ჟ**.

ს.-ქართვ. ***ღუარძლ-** „ღვარძლა (მცენ.)“ უთუო კავშირშია ქართულ **ღვარძლ-** „სიმწარე“ ფუძესთან, რაც დასაკავშირებელია ს.-ნახ.

***ყუანძ-**; ხუნძ. ტ‘ანწა ← **ყუანწა**, დიდ. **ყონწა**, ხვარშ. **ყანწა**, დარგ. **ყანწ**, ლეზგ., არჩიბ. **ყანწა** „ძმარი“ ლექსემებთან.

სვან. **ღუმ-ირ**, **ღომ-ირ** ბზ., ზს., ლნტ., **ღუმ-ურ** ლშხ. „ნაძვი“.

ქართ. **ლომ-ი**.

ზან. **ლუმ-უ** || **ლომ-უ** „ლომი“.

სვანურისათვის ამოსავალია **ლომ-ირ** ალომორფი, რომელიც კანონ-ზომიერად ასახავს ს.-ქართვ. **ლომ-ს**, **-ირ** საკუთრივ სვანური სუფიქსია (შდრ. ქართ. **ას-ი** : სვან. **აშ-ირ**, ქართ. **თელ** : სვან. **თომ-ირ...**), რომელსაც ფუნქციურად ზანური **-უ** შეესაბამება.

დაკავშირება პრობლემურია სემანტიკური თვალსაზრისით — **ლომი** ~ **ნაძვი**. მნიშვნელობის გადაწევა სვანურში განხორციელდა, რასაც ქართულიდან შეთვისებული **ლომ** „ლომი“ ფუძის **გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ ა მ** შეუწყო ხელი. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ **ლუმ/ომ-ირ** სვანურში საზოგადოდ წიწიან მცენარესაც აღნიშნავს; ამიტომ **წიწვი** (მარცვალი) ~ **ლომი** (მარცვალი) ბუნებრივად გვეჩვენება.

ს.-ქართვ. ***ლომ-** „ლომი (მარცვალი)“ → ქართ. **ლომ-ი** : ზან. **ლომ-უ**

→ || **ლუმ-უ** : სვან. **ლომ-ირ** → || **ლუმ-ირ** || **ლუმ-ურ**.

ს.-ქართვ. ***ლომ-** ფუძეს შეესატყვისება დაღესტნურ ენათა გენეტურად საერთო მასალა „პურის“ მნიშვნელობით : ანდ. **ღან**, ბოთლ. **ღანი**, ლოდ. **ღანი**, ჭამ. **ღან**, ბავგ. **ღან**, ტინდ. **ღანი**, კარ. **ღანე** || **ღანი**, ახვან. **ღანე** „პური“...

სვან. **ღუნ** -, უ-**ღუნ**-ა „იდაყვი“.

ქართ. ი-**ღუნ**-იო.

ზან. —.

ძირად გამოყოფილი **ღუნ-** შეიძლება იგივე იყოს, რაც **ღუნ-** „ღუნვა“ ზმნა. სახელდების მოტივაციის თვალსაზრისით უადგილო არ უნდა იყოს საბასეული განმარტების მოხმობა, შდრ. **ი-დაყვი** „მკლავთ სადრეკი (საბა)“, **ი-ღუნ-იო** და ისქიო... რომელთა მიერ აქვს მდრეკელობა, მუჟლთა და ბარკალთა (საბა)“.

საერთოქართველური **ღუნ-** ფუძის ალომორფად მიიჩნევენ **ღულ-** ფუძეს — შდრ.: ქართ. **ღულ-ი** || მ-**ღულ-ი** „ნამგალი“ — ეტ. „მოღუნული“, მეგრ. **ღულ-**(ა) „მოღუნული“, „ღუნვა“, სვან. **ღულ-**პ-ღ „მუხლი“ (ქ. ლომთათიძე, კ. შმიდტი...).

ს.-ქართვ. ***ღუნ-** „ზმნური ღუნვა“, **ღულ-** „სახელური მოხრილი, მოღუნული“ → ქართ. **ღუნ-**, **ღულ-** : ზან. **ღულ-** : სვან. **ღუნ-**, **ღულ-**.

ქართ. (მოხ.) **ღუჭ-**ა „შავი, მური, ჭვარტლი“, ქართლ. **ყუჭ-**ი „ძალიან შავი“, ქიზიყ. **ყურჭ-**ი „ძალიან შავი“, რაჭ. **ყურჭ-**ი „მწიფე ხილი“, **ყურჭ-**ო „ძალიან მწიფე მსხალი“.

ზან. (მეგრ.) **ხონჭკ-**ა „მწიფე, შავი“.

სვან. —.

ხონჭკა-ა სიტყვა ზანური ენის დიალექტებში დამოუკიდებლად არ დასტურდება, ერთადერთია კომპოზიტური შედგენილობის **ხონჭკა-ყვარია** „ყვავის სახეობა“. აქ გამონაწევრებული **ხონჭკა** ზანიზმის სახით უნდა ჩანდეს გურულ დიალექტშიც, შდრ. გურ. **ხონჭკა** „კარგად შემოსული ჰყინტი სიმინდი“, სადაც ს ი მ წ ი ფ ი ს შინაარსი ძირითადია.

როგორც ვხედავთ, სემანტიკური სიახლოვე თვალსაჩინოა ქართველურ ენებში — ზან. **ხონჭკა** „მწიფე, შავი“ : ქართ. **ღუჭ-ა** || **ყუჭ-ი** || **ყურჭ-ი** „მწიფე, შავი; ჭვარტლი“. ამოსავალია სიშავის გაგება; ს ი შ ა ვ ე, ძ ა ლ ი ა ნ შ ა ვ ი გარეგნული სახეა ძალიან მწიფე ხილისა; გაშავდა, შავია ე. ი. გადამწიფებულა, ძლიერ მწიფეა. ამდენად, მეგრ. **ხონჭკა**-ყვარია = **ჭილ**-ყვავი = **შავი** ყვავი.

ფორმალურად საერთოქართველურ არქეტიპთან ყველაზე ახლოს მოხეური **ღუჭ-ა** დგას. სწორედ მისი შესატყვისია ზანური **ხონჭკა** — **ღ** : **ხ** (← **ღ**) მიმართებისთვის შდრ.: ქართ. **ბაღუ**-ი „დიდი მუცელი“ : ზან. (მეგრ.) **ბუნუ** ← ***ბუღვ-ი** „კუზი (გ. კლიმოვი)“. **ღ** || **ყ** ქართულისავე ნიადაგზე აიხსნება — **ღ** → **ყ**.

ს.-ქართვ. ***ღუ(რ)ჭ-(ა)** „შავი“ → ქართ. **ღუჭ-ა** || **ყუჭ-ი** || **ყურჭ-ი/ო** : ზან. **ხონჭკა**-ა (← ***ღორჭკა**-ა).

ს.-ქართვ. ***ღუ(რ)ჭ-ა** არქეტიპის შესატყვისია: ბაცბ. **აარჭ-ი**⁵, ინგ. **აარჯ-ჰ** || **აარჟ-ჰ**, ჩაჩნ. **აარჟ-ი** || **აარჟ-ი**⁵ „შავი“ ← ს.-ნახ. **აარჭ-ინ**.

სვან. **ღუჭ** ბზ., ბქ. „ბუ“.

ქართ. **ბუვ-ი**.

ზან. (მეგრ.) **ღუ**, ჭან. **ბღუ** „ბუ“.

აუსლალუტური **ჭ** სვანურში კანონზომიერად ასახავს ს.-ქართვ. **უ**-ს —

უ → **ჭ** : სვან. **კუჭეჭ** : ქართ. **რკვევ**, სვან. **უაჭ** : ქართ. **ზვავ**-...

საინტერესო ვითარებაა ს.-ქართვ. **ბღ** კომპლექსის რეალიზაციის თვალსაზრისით ქართველურ ენებში. ამოსავალი **ბღ** შენარჩუნებულია მხოლოდ ზანური ენის ჭანურ დიალექტში. **ბღ**-ს გამარტივება ორი მიმართულებით წარიმართა ქართველურ დიალექტებში: 1. **ბღ** → **ბ** ქართულში, 2. **ბღ** → **ღ** სვანურსა და მეგრულში.

ს.-ქართვ. ***ბღუუ**- „ბუ“ → ქართ. **ბუვ-ი** || **ბუ** : ზან. **ბღუ** → **ღუ** : სვან. **ღუჭ** (← ***ბღუუ**).

ს.-ქართვ. ***ბღუუ**- ლექსემას შესატყვისები ეძებნება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში : ნახ. **ბჰოუ** → || **ბოუ** → || **ბუდჰ**, ლოდ. **ბოჰუ**, ჭამ. **ბუჰუ** „ბუ“...

¹ **ჭილ**-ი ← **ჭელ**-ი ქართულში შ ა ვ ი ს სინონიმად გამოდის. იხ. აქვე **ჭილ**-ყვავ-ი.

სვან. **ღუ-**, მუ-ღუ-ნა ზს., მუ-ღუ-ნ ღნტ., მუ-ღუ-ნა ღმს. „ყვავილი“.
ქართ. **ღივ-**, **ღივ-**ი „თესლიდან ახლადამოსული მცენარე“, **ღივ-**ღ-ებ-ა.
ზან. (მეგრ.) **ღვ** „ღივი, ღოჯი“.

უფრო ძველი ვითარება ფუძის ისტორიის თვალსაზრისით ქართულს
შემოუნახავს. ინლაუტური **ი** ხმოვანი სვანურში რედუცირებულია — **ღუ**
←***ღიუ**, ხოლო მეგრულში **ივ** თანმიმდევრობის შერწყმით ჯერ **უ** მივი-
ღეთ, საიდანაც **უ**-ს ლაბიალურობის შესუსტებით **გ** განვითარდა — ***ღივ** →
***ღუ** → **ღვ**.

ქართულის დიალექტებში **ღივ-** ფუძის გვერდით **ყივ-** სახეობაც
ფიქსირდება — ხევს., ინგილ., ფშ. **ყივ-**ი „მცირე ამონაზარდი თესლიდან“.
კითხვა ისმის: ხომ არ გულისხმობს **ღივ-** || **ყივ-** მონაცვლეობა იმას, რომ
ქართულ **ყვ-**ავ-ი-ს, **ყვ-**ავ-ილ-ი სიტყვებშიც იგივე **ყივ-** ძირია? — საკი-
თხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. ***ღიუ-** „ამონაზარდი თესლიდან; ყვავილი, ღივი“ → ქართ.

ღივ-, **ღივ-**ი : ზან. **ღვ** ←***ღუ** ←***ღივ** : სვან. **ღუ-** ←***ღიუ-**, მუ-ღუ-ნა ||
მუ-ღუ-ნა || მუ-ღუ-ნა.

სვან. **ღუებ** ზს. „გობი“, **ღობ-**რა ღმს. „ვარცლი, გეჯა“.

ქართ. **გვიმ-**ირ-ი || **კვი-**ირ-ი „ხის ჭურჭელი, მარცვლის ჩასაყრელი
წისქვილში“, „წისქვილის სახვარბლე (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **ქუფ-**ე „ფარდები ურმისა სიმინდის ჩასაყრელად“.

შეიძლება შემოგვედაონ: სვანური **ღუებ** ქართული **გობ-**ის შესა-
ტყვისიაო. ამგვარი დაშვება უსაფუძვლოდ გვეჩვენება, რადგანაც **გობ-**ის
შესატყვისად სვანურში **გუებ** || **გობ** დასტურდება, თანაც ამ ენის ოთხსა-
ვე დიალექტშია გავრცელებული. **გობ-/გუებ-** ფუძეებს ეკედლება მეგრულ-
ლი **ქოფ-**ე ←***გობ-**ე „ბუკი, სკა“ სიტყვაც.

ქართ. **გვიმ-** : ზან. **ქუფ-** : სვან. **ღუებ** ძირთა შედარება გამოაჩენს

გ : **ქ** : **ღ** შესატყვისობას, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, საერთოქართვე-
ლურში **ღ** მჟღერი ფარინგალური აფრიკატის არსებობით უნდა აიხსნას
(იხ. აქვე, გვ. 13).

ს.-ქართვ. ***ღუიბ-** „ხვიმირი“ → ქართ. **გვიმ-**ირ-ი : ზან. **ქუფ-**ე

←***ქუიბ-**ე : სვან. **ღობ-** || **ღუებ-** ←***ღუბ-** ←***ღუიბ-**რა.

სვან. **ღუერ-**, ხ-ე-ღუერ-ენ-ი (ღნ-ღ-ღუერ-ი) ბზ., ხ-ე-ღუერ-ი (ღნ-ღ-
ღუერ-ი, ღნ-ღ-ღუერ-ი) ბქ., ღმს., ხ-ე-ღუერ-ი ღნტ. „ფიციცება“, ი-ღუენ-ე ||
ი-ღუენ-ე ზს. „ფიციცავს“.

ქართ. **ხვევნ-**, **ხვევნ-**ა „ხვეწნა“, ი-**ხვივნ-**ილ-ი.

ზან. —.

სვანურში შეიმჩნევა **ხ** → **ღ** გამჟღერება, რაც ბუნებრივია (იხ. მომდევ-
ნო შეპირისპირება). **ნ** || **რ** სუბსტიტუცია **ნ**-ს პრიმარობაზე მეტყველებს.

ფიცი ~ **ხვეწა** ბუნებრივი მიმართებაა სემანტიკური თვალსაზრისით.

ს.-ქართ. ***ხუეჟ-ნ**- „ხვეწა, ფიცილი“ → ქართ. **ხვეგნ-** || **ხვიგნ-** :
სვან. **ღუერ-** || **ღუენ-** ← ***ხუეჟნ-**.

სვან. **ღგნ** ზს., ქს. „დღესასწაული“, **ღგნ-მა-ღგნ**, **ღგნ-მემ-ურ** ზს.,
ლშხ. „რელიგიური დღესასწაული“, **ღგნ-მარუ** ბზ., **ღგნ-მერუ** ლშხ.
„დღესასწაულების პერიოდი“.

ქართ. **ხონ-ი** (ტობ.), **ხონ-ი** „დიდი ტაბაკი (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **-ხუ** (← **ხუნ**), დღა-**ხუ** „დღესასწაული“.

თავკიდური **ღ** სვანურში **ხ**-სგან მომდინარეობს, ამგვარ შესაძლებ-
ლობაზე წინა მაგალითშიც შევნიშნავდით. ძირისეული **გ** ს.-ქართ. **ო**-ს
ასახავს, რომელსაც ზანურში **უ** მოუცია — სვან. (**გ** ←) **ო** : ქართ. **ო** :
ზან. **უ**. დიდი სუფრის შინაარსი დღესასწაულისგან უნდა განვითარებული-
ყო — „დიდი სუფრა“ ← „დღესასწაული“. ე. ი. **ხონ-ი** (ტობ.) = სადღე-
ობო ადგილი, შდრ. ძვ. ქართ. **ღონ-ი** „კერპი“, **ხონ-ურ-ი** „სადღეობო
ცეკვა იმერეთში“.

ბოლოკიდური **ნ** მეგრულში დაკარგულია, რაც ჩვეულებრივი პრო-
ცესია (არნ. ჩიქობავა).

ს.-ქართ. ***ხონ-** „დღესასწაული“, „დღეობა“ → ქართ. **ხონ-ი** || **ღონ-ი** :
ზან. **ხუ** (← ***ხუნ**) : სვან. **ღგნ** (← ***ხონ**).

ჟ

სვან. **ყაბა** „ცალ მხარეზე გადაწონილი ტვირთი“.

ქართ. (ლექს.) **ყაბა** „მსუბუქი ტვირთი“, გურ. **ყაფა** „არამკვიდრად
მოკრული ტვირთი“.

ზან. —.

ამ ფუძის დისტრიბუცია შეზღუდულია ქართველურ ენებში: სხვა ენე-
ბიდან ხომ არ მომდინარეობს? საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

სვან. **ყაბ-ჟ** ზს. „წვერი“.

ქართ. **ყვნი**-ი || **ყვინ**-ი „შუბლი“, რაჭ. **ყვინ**-ია „შუბლგამობერილი“.

ზან. (მეგრ.) **ყვინ-გ**-ი || **ყვინ-გ**-ი „საფეთქელი; ქეჩო“.

სვანურ **ყაბ-ჟ** : ქართ. **ყვინ**-ი მიმართება ანალოგიურია ქვემოთ განხილული სვან. **ჯაბ-(ჟ)** „დამლა“: ქართ. **ძვინ**-ი „შანთი“ შეპირისპირებისა. ამგვარი შეპირისპირება იძლევა ფუძის გაღრმავებული სეგმენტაციის შესაძლებლობას. ვფიქრობთ, ბოლოკიდური **-ჟ** (← **-ო**) სვანურში და **-ინ** ქართულში დამოუკიდებელი სადერივაციო ფორმანტებია, რომლებიც მხოლოდ ფუნქციურად შეეფარდებიან ურთიერთს. სვანურში საცნაური ხდება **ჟ** → **ბ** გადაბეგრება (იხ. აქვე, § 19). სვანურის ჩვენება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აქ შენარჩუნებულია ძირისეული **ა** ხმოვანი, რომელიც ქართულსა და ზანურში რედუცირდა მომდევნო **-ინ** სუფიქსის ზეგავლენით. ასე რომ, საერთოქართველური არქეტიპი ***ყაჟ**- უნდა ყოფილიყო.

მეგრულში გამოვლენილი **-გ** აფიქსურია. ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი არ გვგონია, შდრ.: ქართ. ყუდრო : მეგრ. ყურდ-გ-ი, ქართ. ყვედრებ-ა → მეგრ. ყვანდ-გ-ინ-ი „id“ (იხ. აქვე, სვან. **-აგ** || **-აქ** : ქართ. **-აგ**).

ს.-ქართვ. ***ყაჟ**-(ინ-) „საფეთქელი, შუბლი“ → ქართ. **ყვინ**-ი : ზან.

ყვინ-გ-ი || **ყვინ-გ**-ი (←***ყვინ**-ი) : სვან. **ყაბ-ჟ** (←***ყაჟ**-ო).

ქართ. **ყარ-** || **ყრ-**, **ყარ-ა**, **ყრ-ის**, **სა-ყარ-ი**, **ნა-ყარ-ი**, **მი-ყარ-მო-ყარ-ა**.

ზან. (მეგრ.) «**ყორ**», **ო-წყორ**-ჟ „ბევრი, თავზე საყრელი“, ჭან. **ყორ-**, **ო-ყორ**-ჟ „გადაღვრა“, მე-**ყორ**-ჟ „გადაასხა“.

სვან. —.

მეგრულში **ყორ-** ზმნურ ფუძეს პირიელი ფორმები არ უდასტურდება; გადაყრა/ყრის მნიშვნელობით აქ გაბატონებულია ერთადერთი რ ღ ვ - ა ფ - ა (ქართ. ღ ვ რ - ა) ზმნა. მისი არსებობის კვალი შემორჩენილია ქართული თ ა ვ ზ ე ს ა ყ რ ე ლ ი ტიპის მყარ შესიტყვებებში: **ო ნ ყ ო რ უ თ ძ უ**, **ო ნ ყ ო რ უ თ მ ი ღ ნ ა**, შდრ. **ი რ ღ ვ ა ფ ა ლ ო ძ უ** „გადასაყრელად გვაქვს“, ე. ი. ბევრი გვაქვს. და თუ მეგრულში **რ ღ ვ ა ფ ა** „ღვრა“ ზმნამ დაიკავა **ყარ-** „ყრა“ ზმნის ადგილი, ჭანურ დიალექტში პირიქით — **ყორ-** ფუძეა ძირითადი გადასხმა/გადაღვრის აღსანიშნავად. ასე რომ, **ღ ვ რ ა ~ ყ რ ა** ბუნებრივი მიმართებაა.

სტრუქტურულად მეგრ. **ო-წყორ-ჟ** || ჭან. **ო-ყორ-ჟ** ქართული **სა-ყრ-ელ-** ფორმის ზუსტი ეკვივალენტი: **სა** : **ო**, **ყარ-** : **ყორ-**, **-ელ** : **-ჟ**.

ს.-ქართვ. ***ყარ-** „ყრა“ → ქართ. **ყარ-** || **ყრ-** : ზან. **ყორ-**, **ო-წყორ-ჟ** ||

← **ო-ყორ-ჟ**.

სვან. **ყანსგჟ** ბზ., **ყენსგ** ბქ., **ყუნსგჟ** ლშზ., **ყანსკჟ** ლნტ. „რიკი“.

ქართ. **ყეკალ-ი** „ესე არს სწორედ ტყუბსავით ორკაპი ჯოხი (საბა)“.

ზან. —

სვან. **ყანსგუ** ზუსტად ასახავს ს.-ქართვ. **ყეჯ-ალ-** ფორმას. შეპირის-პირება წარმოაჩენს შემდეგ კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათმეცნიერებას ქართველურ ენებში — სვან. **ყ** : ქართ. **ყ**, სვან. **სგ/სკ** (←**ძგ** ← **ჭგ**) : ქართ. **ჭ**, სვან. **უ** (←**ლ**) : ქართ. **ლ**; **ნ** ფონეტიკური ჩანართია სვანურში; სვან. **ა** : ქართ. **ე** ვარაუდობს პოზიციურ (კომბინატორულ) გადაბგერებას სვანურში: **ე** → **ა** → **ა** უკანა მიმართულების უმლაუტი მომდევნო **უ** სონანტის ზეგავლენით აიხსნება (მ. ქალდანი).

სიტყვის აუსლაუტში **უ**-ს წინ სვანური **ა** დაიკარგა, მაგრამ არა უკვალოდ; მისი კვალი ეტყობა პირველმარცვლისეულ **ა**-ს, იგი საკომპენსაციოდ დაგრძელდა — **ყანსგუ** ←***ყანჭგაუ**.

ისტორიულად რედუქციის მომდევნო საფეხურზე სვანურში შეიქმნა **ჭგუ** თანმიმდევრობა, რაც ხელსაყრელი პოზიციია **ჭგუ** → **ძგუ** → **სგუ/სუ** გადასვლისათვის; შდრ. ქართ. **მარჭუნე** : სვან. **ლერსგუნე** „მარჯვენა, მუსგუნე“ „სწორი“ (თ. გამყრელიძე).

ლაშხური **ყუნსგუ** ასიმილაციური ალომორფია **ყანსგუ** ფორმისა, რომელიც ბალსზემოურში უცვლელად შემოგვრჩა.

ს.-ქართვ. ***ყეჯ-ალ-** „ჯოხი, რიკი“ → ქართ. **ყეჯ-ალ-ი** : სვან.

ყუნსგუ || **ყანსგუ** || **ყენსგ** || **ყანსკუ** (←***ყეჯგაუ**).

ს.-ქართვ. ***ყეჯ-ალ-** არქეტიპს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში — შდრ.: ბაცბ. **ღაჭ**, ინგ. **ღაჯ** → || **ღაუ**, ჩაჩნ. **ღაჯ** → || **ღაუ** „ჯოხი“; ხუნდ. **ჭუჭ**, ანდ. **ჭუჭ**, ბაგვ. **ჭურჭ**, ბოთლ. **ჭუჭ**, ლოდ. **ჭუჭ** „ჯოხი, ჩხირი“... **ჯ** → **ჭ** დაღესტნურში ბუნებრივია და აიხსნება მჟღერ აფრიკატთა და ხშულთა გლოტალიზაციის ზოგადი ტენდენციით (ამაზე სხვაგან).

სვან. **ყაჯ** || **ყაჯ**, ლგ-**ყაჯ** ზს., ლნტ. ლგ-**ყაჯ** ლშხ. „აკრძალული“, მგ-**ყაჯ**-(ი) ზს., ლნტ. „ვინც კრძალავს“.

ქართ. **კრძ-ალ-**, ა-**კრძ-ალ-ვ-ა**, ა-**კრძ-ალ-ულ-ი**, ნა-**კრძ-ალ-ი**.

ზან. —

სვანურ ფორმებში არქაული ვითარებაა შემონახული. **ა**-ს რედუქცია და **ყ** → **კ** გადასვლა ქართულშია საგულვებელი. რედუქციის მომდევნო საფეხურზე **კძ** თანმიმდევრობის დასაძლევად **რ** განვითარდა — ***ყაძ** → ***კძ** → **კრძ**, შდრ. ს.-ნახ. **კადალ** → ქართ. **კდალ-ი** → || **კრდალ-ი**...

ამ ფუძეთა ზანური შესატყვისი არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. ***ყაძ** „აკრძალვა“ → ქართ. **კრძ-ალ-** ← **კძ-ალ-** ←***ყაძ-ალ-** : სვან. **ყაჯ-** || **ყაჯ-**.

სვან. **ყაყ-ა** „ავი თვალი“, **ყაყ-ელ** ლშხ. „ქაჯი“.
 ქართ. (ფშ., იმერ.) **ყაყ-ა** „ფინთი“.
 ზან. (მეგრ.) **ყოყ-უ** „მოჩვენება; ბატარა“, „ცუდი“.
 მეგრული **ყოყ-უ** კანონზომიერად შეესატყვისება **ყაყ-ელ**- ფორმას
 (ა — **ო**, **-ელ**—**უ**). ძირად **ყაყ**- გამოყოფა.
 ს.-ქართვ. ***ყაყ-ა**, ***ყაყ-ელ**- „ავი (თვალი), ფინთი, ქაჯი“ → ქართ.
ყაყ-ა : ზან. **ყოყ-უ** : სვან. **ყაყ-ა/ყაყ-ელ**.

სვან. **ყაჭ-უ** || **ყაჭ-**, ლი-ნ-**ყაჭ** „უაზრო ლაბარაკი“ ი-ნ-**ყაჭ** ზს., ინ-
ყაჭ ლშხ. „საუბრობს“, ი-ნ-**ყაჭ**-აწლ ბზ., ი-ნ-**ყაჭ**-აწლ ბქ., ი-ნ-**ყაჭ**-აწლ
 ლშხ., ი-ნ-**ყაჭ**-აწლ ლნტ. „საუბრობს, მასლაათობს“.
 ქართ. **ყვ-ელ-რ-**, **ყვ-ელ-რ-ებ-ა** „ბოროტსა უთქმოდეს (საბა)“, ა-**ყვ-**
ელ-რ-ებ-ს.

ზან. მეგრ. **ყვ-ალ-** → || **ვ-ალ-** „ყვედრება“, წუმო-**ყვ-ალ**-აფ-ა =
 წამო-**ყვ-ელ-რ-ებ-ა**.
 სვანურ-ზანურში ქართული **-ელ** ზმნური სუფიქსის ბადალი არ მო-
 გვებოვება. სურათი ისეთივეა, როგორც **ხვ-ელ-რ-** „შეხვედრა“ ძირის შე-
 მთხვევაში — შდრ. ქართ. **ხვ-ელ-** : ზან. **ხვ-ალ-** : სვან. **ხჭ-** (ხ-ე-**ხჭ**-ა
 „შეხვედება“, ხ-ე-**ხჭ**-ი ლშხ. „id“).
 ს.-ქართვ. ***ყჭ**-(ელ-) „თქმა; უკმაყოფილების გამოთქმა“ → ქართ.
ყვ-ელ-რ- : ზან. **ყვ-ალ-** → || **ვ-ალ-** : სვან. **ყაჭ-უ** || **ყაჭ-**.

სვან. **ყაფრ** ბზ., **ყაფრ-ან** ლშხ. „სუსხი, ცივი“.
 ქართ. (რაჭ.) **ყეფ-ი** „მეტისმეტად ცივი“.
 ზან. —.
 ბალსზემოურში ფუძე გამარტივებულია, გვაკლია **-ან** სუფიქსი.
 ქართ. **ე** : სვან. **ჰ/ა** აიხსნება მ. ქალდანის წესით, როცა **ე** გადადის **ჰ** || **ა** —
 ა-ში, რაც მომდევნო ა-ს ზეგავლენით ხდება — სვან. **ყაფრ-რ-ან** || **ყაფრ-**
 ←***ყეფ-რ-ან**.
 ს.-ქართვ. ***ყეფ**- „სუსხი; ცივი“ → ქართ. **ყეფ-ი** : სვან. **ყაფრ-** ||
ყაფრ-რ-ან ←***ყეფ-რ-ან**.

სვან. **ყერ**¹ ზს., ქს. „ძალა“.
 ქართ. (ფერეიდნ.) **ყოფ-ა** „შეძლება“.
 ზან. **ყონ-**, **ყონ-ი-ერ-ი** || **ყონ-ი-ერ-ო** „ძლიერ-(ი)“.

ფერეიდნულში ფუძე გამარტივებულია: ***ყოვ-ნ**-ა → **ყოვ**-ა, ასევე ზანურში, როგორც მოსალოდნელი იყო, **ვნ** → **ნ** : **ყოვ-ნ**- → **ცონ**- (შდრ. ქართ. **ყოვ-ნ**- „დაყოვნება“ : ზან. **ცონ**-).

სვანური გახმოვანება შეიძლება უძველეს ს.-ქართვ. ა-ს ასახავდეს — **ა** → **ე**. ხოლო სვან. **რ** : ზან. **ნ** : ქართ. **ნ** სავსებით ბუნებრივია (იხ. § 12. **ნ** → **რ**).

ს.-ქართვ. ***ყაჟ-ნ**- „შეძლება, ძალა“ → ქართ. **ყოვ**-, **ყოვ-ა** : ზან. **ცონ**-, **ცონ-ი**-ერ-(ო) : სვან. **ყერ** ← ***ყენ**.

სვან. **ყერ**² ზს., ქს. „ნეზვი“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) **ცორ-ი** „ნეზვი, დედალი ღორი“.

ქართულში სავარაუდოდ **ყარ-/ყერ-** ძირი დაკარგულია (შდრ. **კერ-ი**(?)). ზანურ-სვანურ ფორმათა შედარება ს.-ქართვ. არქეტიპის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა. თუ ვივარაუდებთ, რომ ზან. **ო** ასახავს ს.-ქართვ. **ა**-ს (**ა** → ზან. **ო**), რომელმაც სვანურში **ე** მოგვცა (**სამ-ი/სემ-ი**...) — **ა** → **ჰ** → **ე**.

ს.-ქართვ. ***ყარ-** „ნეზვი, დედალი ღორი“ → ქართ. — : ზან. **ცორ-ი** ← ***ყორ-ი** : სვან. **ყერ** ← ***ყარ**.

სვან. **ყერ**³-, **ხ-ო-ყერ** „ურჭობს“, **ოს-ყერ** „გაურჭო“, **მგ-ყერ** „გამრჭობი“.

ქართ. **ყარ-/ყრ-**, **ჟ-ყრ-ი**-ს, **გა-ჟ-ყარ-ა**, **მ-ყრ-ელ-ი**.

ზან. —.

სვანური **ე** ამ შემთხვევაშიც ს.-ქართვ. **ა**-ს ასახავს (იხ. წინა მაგალითი). ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა არ არის სადაო.

ს.-ქართვ. ***ყარ-** „გაყრა, შერჭობა“ → ქართ. **ყარ-** → || **ყრ-** : სვან. **ყერ-**, **მგ-ყერ** ← ***ყარ-**.

სვან. **ყერ-** || **ყარ-** || **ყარ-**, **ხ-ე-ყრ-ენ-ი** (მ-ე-**ყარ**, **ხ-ე-ყარ** ბზ., მ-ე-**ყარ**, **ხ-ე-ყარ** ბქ., ლმზ.), **ხ-ე-ყერ-ენ-ი** ლნტ. „ემართება, მოსდის“.

ქართ. **ყარ-/ყრ-**, **შე-ვ-ე-ყრ-ებ-ი**, **შე-მ-ე-ყარ-ე**, **შე-ვ-ყრ-ი**.

ზან. —.

სვანურში **ა** → **ჰ** → **ე** გადასვლის ყველა საფეხური არის წარმოდგენილი.

ს.-ქართვ. ***ყ-არ-** „შეყრა, დამართება“ → ქართ. **ყარ-/ყრ-** : სვან. **ყარ-** → || **ყარ** → || **ყერ**.

სვან. **ყერ-** || **ყარ-** || **ყარ-**, ხ-ე-**ყრ-**ენ-ი (ვთ-**ყარ** ზს., ეთ-**ყარ** ლშხ.), ხ-ე-**ყერ-**ენ-ი (ვთე-**ყარ**) ლნტ. ეშვება, ეხსნება“, ლი-**ყრ-**ენ-ი „გაშვება, დახსნა (დაეხსენი)“.

ქართ. **ყც-**, **ყც-**ოლ-ა (საბა).

ზან. —.

სვანურ ფორმათა ვოკალიზაცია ს.-ქართვ. არქეტიპისთვის ა განმომვანებას ვარაუდობს.

ს.-ქართვ. ***ყაც-** „გაშვება“ → ქართ. **ყც-**, **ყც-**ოლ-ა : სვან. **ყარ-** → || **ყარ-** → || **ყერ-**.

სვან. **ყიჰ-** || **ყჰ-** || **ყი-** || **ყი-**, ხ-ო-**ყჰ-**ე (ოთ-**ყიჰ-**ე) ბზ., ხ-ო-**ყი** (ოთ-**ყი**) ლშხ., ხ-ო-**ყი-**ესგ (ოთ-**ყი**) ბქ., ხ-ო-**ყი-**ესკ (ათჟ-**ყი**) ლნტ. „ჩაუყოფს“.

ქართ. **ყავ-**, ჩა-ვ-**ყავ-**ი.

ზან. —.

სვანური ფორმებიდან ბალზემოლური **ყიჰ-** უძველესი ჩანს, რომელსაც შეეფარდება ქართული **ყავ-**. **ყიჰ-** მიღებულია ა → გ — ი და ჟ → ჰ ფონეტიკური პროცესების გავლით (შდრ. ქართ. ზავ- : სვან. ჟაჰ → ჟაღ || ჟა).

ს.-ქართვ. ***ყაჟ-** „ჩაყოფა“ → ქართ. **ყავ-** : სვან. **ყი-** || **ყი-** || **ყიჰ-** ←***ყიჟ-** ←***ყაჟ-**.

სვან. **ყლ-/ყალ-**, ხ-ა-**ყლ-**ჟნ-ი ბზ., ლშხ., ხ-ა-**ყულ-**ჟნ-ი ბქ., ხ-ა-**ყამ-**ნ-ი ლნტ. „ეშინია“, ა-**ყალ-**ჟე ბზ., ლშხ. ა-**ყალ-**ჟე ბქ., ა-**ყალ-**ე ლნტ. „აშინებს“, ლი-**ყალ-**ე „შეშინება“, მა-**ყალ** „შიში“.

ქართ. (ქიზიყ., ხევს., თჟმ., მოხ., ქსნის ხეობ.) **ყამ-**ი „შიში“, **ყამ-**ი არა აქვ „არ ეშინია“.

ზან. —.

სვანურისთვის ამოსავალია **ყალ-** ფუძე, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **ყამ-** სახელურ ფორმას, შდრ. ქართ. **მ** : სვან. **ლ** (**ქათამ** : **ქათალ**; იხ. § 9. **მ** → **ლ**). ლენტეხურში დადასტურებული **ყამ-**ნ-პოზიციურია **ლ** → **მ** (იხ. § 4. **ლ** → **მ**). და მესამეულ ვითარებას ასახავს, რომელიც დაემთხვა უძველეს მდგომარეობას — ***ყამ-** → **ყალ-**ნ- → || **ყამ-**ნ-.

ქართულში საძიებელია ზმნური ფორმები.

ს.-ქართვ. ***ყამ**- „შიში“ → ქართ. **ყამ-ი** : სვან. **ყალ-** || **ყლ-** → || **ყამ(ნ-)**.

სვან. **ყლა-ჟ** ზს., ქს. „ბავშვი, ბიჭი“.
ქართ. **ყმა**, მო-**ყმ-ე**, **ყრმა**.
ზან. —.

-**ჟ** საკუთრივ სვანური სუფიქსია, ამიტომ ძირად **ყლა-** (← **ყალ-**) გამოიყოფა, რომელიც შეესატყვისება ქართულ **ყმა**-ს. ქართველურ ფუძეთა დაახლოება შესაძლებელი ხდება ჩვენ მიერ გამოვლენილი ქართ. **მ** : სვან. **ლ** კორესპონდენციის მოშველიებით (იხ. წინა მაგალითი, აგრეთვე § 9. **მ** → **ლ**). სემანტიკური იდენტურობაც ამის დასტურია — ქართ. **ყმა-** : სვან. **ყლა-ჟ** ← ***ყალ-ჟ** (ქართ. **ა** : სვან. **ჟ** ფუნქციური შეფარდებისთვის შდრ.: ქართ. ციც-**ა** : სვან. ციც**ჟ** → || **ცჟიც**, ქართ. ყანჩა : სვან. ყანჩ**ჟ**...).

ს.-ქართვ. ***ყამ-ა** „ყმა, ბავშვი, ბიჭი“ → ქართ. **ყმა** → || **ყრმა**, მო-**ყმ-ე** : სვან. **ყლა-ჟ** ← ***ყალ-ჟ** (შდრ. აღილ. **ჭჷ** || **ყჷ**, ნახ. **ყონ-** „ახალ-გაზრდა, ვაჟი“...).

სვან. **ყოშ** || **ყოშ** „მცირე სახლი მთაში, (საგანგებოდ აგებული სახლი), ქოხი“, **ყარშ** (ტოპ. სვანეთში).

ქართ. **კასრ-ი**, **კასრ-იკ-ი** „სამეფო სახლი, კოშკი“, „სახლი, მცირედლი“, რაჭ. მო**კასრ**-იელება „მილაგ-მოლაგება“, **კასრ-ა-ძე** (ანთრობ.).

ზან. (მეგრ.) **ყორშ-ი** || **ყორშ-ი**, **ყოშ-ი** || **ყოშ-ი** „ციხე-სიმაგრე, კოშკი“, **ყორშ-ია** || **ყორშ-ია** (ანთრობ.).

ძველ ქართულში **კასრ-** ფუძე „ციხე-კოშკის“ მნიშვნელობით დასტურდება. საბასთან **კასრ-**ისთვის ძირითადია **ს ა ხ ლ ი ს ა და ჭ უ რ - ჭ ლ ი ს** მნიშვნელობები. თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში **კასრ-ი** მხოლოდ ჭურჭლის მნიშვნელობით გამოიყენება: იმერ. **კასრ-ი** „ყავრის მაგვარი მასალისაგან გაკეთებულ კალათს“ ეწოდება. რაჭულში **კასრ-**ით ნაწარმოები ნასახელარი ზმნური ფუძე მო-**კასრ-**იელება „მილაგ-მოლაგება“ იხმარება, რაც თავდაპირველად სახლის (კასრის) დალაგებას თუ უდრიდა.

მნიშვნელობის თვალსაზრისით მეგრულში ძველი ქართულის ვითარებაა შემორჩენილი; აქ **ყ/ყორშ-ი** || **ყოშ-ი** უდრის „ციხე-სიმაგრეს, ციხე-კოშკს“. სვანური იმეორებს **კასრ-**ის საბასეულ გაგებას: **ყოშ** || **ყოშ** „მცირე სახლი მთაში (საგანგებოდ აგებული), ქოხი“, შდრ. „სახლი მო-მცრო (საბა)“.

თითქოს ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ საერთო-ქართველურში **კასრ-** ფუძის ეტიმონი „ციხე-კოშკისა“, „სამეფო სახლისა“ უნდა ყოფილიყო.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ქართ. **კასრ-** სიტყვის არაბულიდან მომდინარეობის შესახებ (ნ. წაქაძე), შდრ. არაბ. ყასრ-უნ „ციხესიმაგრე, სასახლე“. არაბული და ქართული ფუძეების შედარება გამოაჩენს მათ შორის არსებულ სტრუქტურულ და სემანტიკურ იდენტურობას; თუ გავიზიარებთ ქართ. **კასრ-**ის არაბულიდან სესხებას (და არა პირიქით), გამოდის, რომ შიშინა ტიპის ქართველურ ენებში ნა-სესხები სიტყვის **ს-ც** გადადიოდა **შ-ში**, რომ არაფერი ვთქვათ **ა : ო, კ : ყ** შესატყვისობებზე.

ჩვენი აზრით, საპირისპირო, ქართულიდან არაბულში სესხების ჰიპოთეზას მხარს უჭერს **კასრ-** ფუძის დისტრიბუციაც ქართველურ ენებში, შდრ.: **კასრ-ი** (ტოპ. საინგილოში), **ყარს-ი** (ტოპ. და ციხე ისტორიულ ლაზეთში ოღონდ **ყარს-ი** ← **ყასრ-ი**), **კასრაძე** (ანთროპ.), მეგრ. **ყორშია** (ანთროპ.).

გარდა ამისა, სემიტურ ენათა სპეციალისტები არაბ. **ყასრ-**უნ ფუძეს მიიჩნევენ ლათ. *castrum*-იდან მომდინარედ (ნოლდეკე, წერეთელი). სავარაუდოა, რომ ლათინურისთვისაც და არაბულისთვისაც ამოსავალია ს.-ქართვე. ***ყასრ-**.

საკითხი ისმის ქართულ **კასრ-**, **კარს-ე**, **კარ-** „კარი“ ფუძეთა ურთიერთმიმართების შესახებ (შდრ. ქართ. **კარ-ი**, **კარ-აბა**, **კარ-ავ-ი**, **სა-კარ-იე**, მეგრ. **ო-კარ-იე**, **კარ-ე**...).

ს.-ქართვე. ***ყასრ-** (||**ყარ-ს**-(?)) „ციხე-სიმაგრე, სამეფო სახლი“ → ქართ. **კასრ-ი** ← **ყასრ-ი**, **კარს-ე**, **ყარს-ი** : ზან. **ყ/ცორში-ი** || **ყ/ცოში-ი** ← **ყორში-ი** : სვან. **ყოშ** || **ყოშ** ← ***ყარში**- შდრ. **ყარში**- (ტოპ.).

სვან. **ყუბლ-**აჲ ბზ., **ყუბლ-**ა ბქ., **ყუბლ-**აჲ ლშხ. „უფხო პურეულის ჯიში“.

ქართ. **ყვიბარ-ო** „ლომის კუფხალი, ბალახია (საბა)“, ზ. აჭარ. **ყვიბარ-ი** „ბატარა, ჩია ადამიანი, ბავშვი“ ← ეტ. „უმწიფარი“, იმერ., გურ. **ყუბარ-ი** „ბატარა“.

ზან. (მეგრ.) **ყუბერ-ი** „უმწიფარი, უნდილი (ყურძენზე იტყვიან)“.

საინტერესო სურათი ვლინდება მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით. მეგრულის ჩვენება ამოსავალია სხვა ქართველური ფუძეებისათვის — უ მ წ ი ფ ა რ ი → ბ ა ტ ა რ ა , ჩ ი ა , ბ ა ვ შ ვ ი ; სვან.

უფხო-ც უმწიფარიდან განვითარდა. ნეგატიური შინაარსი ყველგან ფიგურირებს. რ → ლ სვანურში ჩვეულებრივი პროცესია (იხ. § 16).

ს.-ქართვ. ***ყუბ-არ-** „უმწიფარი, უნდილი“ → ქართ. **ყვიბარ-ო** ← **ყუბარ-ო**, **ყუბარ-ი** : ზან. **ყუბერ-ი** ← ***ყუბორ-ი** : სვან. **ყუბლ-** (← ***ყუბარ-**).

სვან. **ყუნ-** || **ყურ-** || **ყურ-**, ა-**ყურ-**ე „წვეს“, ა-**ყუნ-**ე (ოთ-**ყუნინ**) ზს., ლნტ., ა-**ყუნ-**ე (ოთ-**ყუნინ**) ლშხ. „აწვენს“, ხ-ე-**ყუნ-**წლ (ლოხ-**ყურ-**დ-ა) ბზ., ხ-ე-**ყუნ-**წლ ბქ., ლნტ., ხ-ე-**ყუნ-**ალ (ლოხ-**ყურ-**დ-ა; ლენ-**ყუნინ-**ი) ლშხ. „უწვება“, ლა-**ყურ-**ა „საწოლი“.

ქართ. **ყოფ-/ყუფ-**, **ყოფ-ნ-**ის, და-**ყოფ-ნ-**ებ-ა, მ-**ყოფ-**არ- || მ-**ყუფ-**არ-.

ზან. (მეგრ.) **ყონ-**, ო-**ყონ-**უ „საბუღარი“, ქიდი-**ყონ-**ეს „დაიბუღეს (ქათმებმა)“, დი-ბ-**ყონ-**ათ „დავწვეთ“, ჭან. ო-**ყონ-**დ-ინ-უ „დაცდა, დაყოფნება, დო-მ-ი-**ყონ-**დ-ი „დამიცადე“.

ქართველურ ფუძეთა სემანტიკური ერთიანობა ეჭვს არ იწვევს. **წოლა/დაცდა/დაბუღება** სემანტემები ზანურ-სვანურში დაყოფნებისგან განვითარდა, რაც ბუნებრივად გვეჩვენება.

ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის სვანურში ძირად **ყუ-** გამოვყოთ, თუ **ყუნ-** → || **ყურ-**; თუ ამოსავლად საერთოქართველურში **ყოუნ-** ფუძეს მივიჩნევდით, მის შესატყვისად სვანურში **ყუნ-** → || **ყურ-** სავსებით კანონზომიერია. მაგრამ აუხსნელი დავგვრჩებოდა ნამყოს ნაკვთებში გავრცელებული **ყუ-** ძირიანი ფორმები: ლო-ხ-**ყუ** ბზ., ლო-ხ-**ყუ** ლშხ. „დაუწვა“, ასევე დაუდგენელია ოთ-**ყუნინ** „დააწვინა“ ფორმაში **ყუ-** ძირი და -**ინ** სუფიქსი, თუ **ყუნ-** → **ყუნინ-** ფონეტიკური პროცესი გვაქვს...

ს.-ქართვ. ***ყოუნ-** „დაყოფნება“ → ქართ. **ყოფ-ნ-**, მ-**ყოფ-**არ : ზან. **ყონ-** || **ყონ-** ← ***ყოფ-ნ-** : სვან. **ყუ-** || **ყურ-** || **ყუნ-**.

სვან. **ყუნზ-**, **ყუნზ-**ელ „ყურძენი“, ლე-**ყუნზ-**ელ-ა „ვენახი“.

ქართ. **ყურძ-**, **ყურძ-**ენ-ი.

ზან. (მეგრ.) **ყურზ-**ენ-ი || **ყურძ-**ენ-ი „ყურძენი“.

ქართველურ ენებში საერთო ძირად **ყურძ-** გამოიყოფა. რ → ნ და ძ → ზ საკუთრივ სვანური პროცესებია. ქართულ-ზანური -**ენ** სუფიქსი სვანურში -**ელ-**ს შეიფარდებს; აქ -**ელ** შეიძლება სხვა მონაცემი იყოს, შდრ. სვან. ლ-**ენ-**ელ „ღვინო“, შიგ-**ელ** (იხ. აქვე).

საერთოქართველურ **ყურძ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს დალესტურ ენათა შემდეგი მონაცემები: დიდ. **კუდი**, ჰინუხ. **კვიდი**,

ჰუნზ. **კოდო**, ხვარშ. **კუდო**, ბეჟიტ. **კოდო..**, ხინალ. **კინაზ** „ყურძენი“.
 სათანადო დაღესტნურ ფუძეებთან შედარებით ირკვევა, რომ **დ** → **ძ** → **|| ზ**
 ერთნაირი ფონეტიკური გარდაქმნაა ხინალულურსა და ქართველურ ენებში;
 ე. ი. ხინ. **კინაზ** ← ***კინძა** ← ***კინდა**, ს.-ქართვ. ***ყურძ-** ← **წ.**-ქართვ.
 ***ყურდ-**; შდრ. ურარტული GİŠuldini „ვენახი“ (გ. მელიქიშვილი).
 ს.-ქართვ. ***ყურძ-** (← **წ.**-ქართვ. ***ყურდ-**) „ყურძენი“ → ქართ.
ყურძ-ენ-ი : ზან. **ცურძ-**ენ-ი ← **ყურძ-**ენ-ი : სვან. **ყუნზ-**ელ ← ***ყურძ-**ელ.

სვან. **ყუნტ-**, **ყუნტ-**აჲ ბზ., **ყუნტ-**აჲ ლშხ. „დახრილი“.
 ქართ. **კუნტ-**, მო-**კუნტ-**ავ-ს, მო-**კუნტ-**ულ-ი, და-**კუნტ-**ულ-ი.
 ზან. —.

სემანტიკური იგივეობა დახრა ~ დაკუნტვა ხელშესახებია
 ქართველურ ენათა ამ მასალაში.

ანლაუტური მიმართება ქართ. **კ** : სვან. **ყ** აიხსნება როგორც **ყ** → **კ**
 გადაბგერება ქართულში, შდრ. ქართ. რეკ- „გარეკვა“ : ზან. **რაც-** ←
რაც- : სვან. რეყ-, ქართ. კალ- „კვლა“ : ზან. **ყვილ-** ← **ყულ-**... ე. ი.
 ქართ. **კუნტ-** ← **ყუნტ-**.

საძებნია **ყუნტ-** ძირის შემცველი ზმნური ფორმები სვანურში.

ს.-ქართვ. ***ყუნტ-** „მოკუნტვა, დახრა“ → ქართ. **კუნტ-** ← **ყუნტ-** :
 სვან. **ყუნტ-**.

ქართ. **ყურს-**, და-**ყურს-**ულ-ი (ქეგლ-ი), ქართლ., ფშ. და-**ყურს-**ვ-ა
 „დადუმება, განაბვა“.

ზან. **ცურშ-**, **ცურშ-**ინ-ი „დაძინება, განაბვა“, დო-**ცურშ-**ინ-ელ-ი =
 და-**ყურს-**ულ-ი, ქიდრ-**ცურშ-**ეს „ქათმები მიიყუჩნენ“.
 სვან. —.

სამეცნიერო ლიტერატურაში მეგრ. **ცურშ-** დაკავშირებულია ქარ-
 თულ **ყურ-**, **ყურ-**ება ზმნურ ძირთან (ი. ყიფშიძე), რაც არ არის მართე-
 ბული. მეგრული **ცურშ-** ზუსტი ეკვივალენტია ქართ. **ყურს-**ისა.

ს.-ქართვ. ***ყურს-** „განაბვა, დადუმება“ → ქართ. **ყურს-** : ზან.
ცურშ- ← ***ყურშ-**.

სვან. **ყუყუ** || **ყუიყუ** ზს., **ყუყუ** ლშხ., **ყუიყუ** ლნტ. „ჩიყვი“.
 ქართ. (ქიზიყ.) **ყიყვი** „ჩიყვი“, ფშ. **ყიყვი** „ჩინჩახვი“.
 ზან. —.

სვანური ვარიანტებიდან მეტ სიძველეს **ყუიყუ** ამჟღავნებს და ასი-მილაციით არის მიღებული ***ყიყუ** არქეტიპიდან (შდრ. ქართ. **ყიყვი**) — **ყიყუ** → **ყუიყუ** → || **ყუყუ**.

ს.-ქართვ. ***ყიყუ**- „ჩიყვი“ → ქართ. **ყიყვი** : სვან. **ყუყუ** || ← **ყუიყუ** (←***ყიყუ**).

სვან. **ყუაბ-** || **ყუბ-**, **ყუაბ** || **ყუაბ** „გუნდა“ ი-**ყუბ**-ი-ხ (ც-ხტ-**ყუაბ-** ან-ხ) „იკრიბებიან“, მუ-**ყუბ**-ე ბზ., ლშხ., მუ-**ყუბ**-ე ბქ., ლნტ. „შემგროვე-ბელი, თავის მომყრელი“.

ქართ. (ქიზიყ.) **ყობი** „თევზის თავსაყარი ადგილი, სადაც იკრიბებიან“.

ზან. —.

თ ა ვ შ ე ყ რ ი ს, შ ე გ რ ო ვ ე ბ ი ს სემანტიკა ძირითადია ქართველურ ფუძეებში. ფორმალურად სვანური უფრო ძველ სახეობას გვიჩვენებს.

ს.-ქართვ. ***ყუაბ-** „გროვება, შეკრება“ → ქართ. **ყობი** ← (←***ყუაბი**) : სვან. **ყუაბ-** || **ყუბ-** → || **ყუბ-** || **ყუბ-**.

სვან. «**ყუამ-**», მუ-რ-**ყუამ** ზს., ლნტ., მჟ-რ-**ყუამ** ლშხ. „კოშკი“.

ქართ. **ყერ-ო** „ძელი აღმართებით ზღუდვად მოვლებული (საბა)“.

ზან. «**ყაჯ-**», ო-**ყაჟ-ო** „განჯინა, თახჩა“.

ქართული **ყერ-ო** : სვან. მუ-რ-**ყუამ** ფუძეთა სტრუქტურული მიმართებაზე მსჯელობისას უპრიანია პარალელად მოვიხმოთ სხვა ანალოგიური შემთხვევა, შდრ. ქართ. **ფერ-ო** : სვან. მუ-**ფარ-ჟ** || მგ-**ფარ-ჟ**. ეს უკანასკნელი ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ „კოშკის“ აღმნიშვნელი სვანური სიტყვა თავდაპირველად *მუ-**ყარ-ჟ** სახეობისა იყო, საიდანაც მოგვიანებით **რ** → **მ** (იხ. აქვე, § 18. **რ** → **მ**) გადასვლით ჯერ *მუ-**ყამ-ჟ** მივიღეთ, ხოლო შემდგომ **ჟ**-ს ფუძეში გადასმითა და **რ**-ს განვითარებით — თანამედროვე მუ-რ-**ყუამ**.

ქართული **ყერ-** ძირის ზანური შესატყვისი (***ყაჯ-**) უნდა ჩანდეს ზემოთხსენებულ ო-**ყაჟ-ო** სიტყვაში (ე : ა, რ : ჯ).

ს.-ქართვ. ***ყერ-** „ყერო; კოშკი; წალო“ → ქართ. **ყერ-ო** : ზან. **ყაჯი**, ო-**ყაჯ-ო** : სვან. მუ-რ-**ყუამ** || მუ-რ-**ყუამ** ←*მუ-**ყამ-ჟ** ←*მუ-**ყერ-ჟ**.

სვან. **ყუაბგ-** || **ყუბგ-** || **ყუაბგ-**, მუ-**ყუბგ**-ი ბზ., ლშხ., მუ-**ყუაბგ**-ი „დაუპატიჟებელი სტუმარი“.

ქართ. **ყვას-**, მო-**ყვას**-ი.

ზან. —.

სვანურისთვისაც ახლოა მოყვარის, ახლობლის გაგება. კერძოდ, მოყვარემ შეითავსა დაუბატიჟებელი სტუმრის სემანტიკა, რადგანაც, როგორც წესი, შინაურებს სპეციალურად არ ჰბატიჟობენ.

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ბგერათშესატყვისობა ქართ. **ს** : სვან. **სგ/სკ** (იხ. § 25).

ს.-ქართვ. ***ყუას-**, ***მო-ყუას-** → ქართ. **ყვას-**, **მო-ყვას-** : სვან. **მუ-ყუასგ-** || **მუ-ყუასკ-** ← ***მუ-ყუასქ-**.

სვან. **ყუასგ** ზს., **ყუასკ** ლშხ. „ყინტორა“.

ქართ. **ყოში** || **კოში** „აყირო“, აჭარ. „მწარე გოგრა, კვახი“, გურ. **კოში**-ია/ე „უკანო პატარა გოგრა“.

ზან. —.

ერთი შეხედვით უჩვეულოდ გვეჩვენება, აუსლაუტური შესატყვისობა — ქართ. **შ** : სვან. **სგ**. ამგვარ შეფარდებას მოველოდით **ჟ**-ს წინა პოზიციის (თ. გამყრელიძე). სვანურში ისტორიულად აუსლაუტური **ჟ**-ს პოზიციურებაზე მიუთითებს **ე** → **ჲ** → || **ა** გადასვლაც სიტყვის შიგნით. სავარაუდოა აუსლაუტში **ჟ**-ს გაჩენა **ყუ** ლაბიალურ კომბლექსთან ასიმილაციით. ამგვარად, თავდაპირველად უნდა გვექონოდა ***ყოშქ** → ***ყუეშქ**, აქედან ასიმილაციით ***ყუეშქ-ჟ** → **ყუასგ** → || **ყუასკ**.

ს.-ქართვ. ***ყოში** „აყირო; ყინტორა“ → ქართ. **ყოში** → || **კოში** : სვან. **ყუასგ** || **ყუასკ** ← ***ყუეშქ-ჟ** ← ***ყუეშქ**.

სვან. **ყუეფ-** || **ყუფ-**, მე-**ყუფ-** ზს., ლშხ., მე-**ყუეფ-** ლნტ. „გახუნებულნი“.

ქართ. **ყაფ-**, და-**ყაფ-**ებ-ა „დაძველება, დაობება (პურისა); დალობა ხილისა (ქსნის ხეობა)“, და-**ყაფ-**ულ-ი „დაძველებული“.

ზან. (ჭან.) **ყვაფ-**, მე-**ყვაფ-**ერ-ი „მაწონი“.

ქართული **ყაფ-** ფორმალურად ახლოს დგას ს.-ქართვ. არქეტიპთან.

სვან. **ყუეფ-** → **ყუფ-** ძველი ***ყოფ-** სახეობის გაგრძელებას წარმოადგენს. **ო** განმოვანება სვანურში ა-სგან განვითარდა **ფ**-სთან მეზობლობით — **ყაფ-** → **ყოფ-** → || **ყუეფ-**. ჭანური **ვა**-ც ქართული **ა**-ს შესატყვისი **ო**-ს ბგერინაცვალაია (შდრ. **ო-ხომ-ალ-ა** || **ო-ხვამ-ე**) — ***ყოფ-** → **ყვაფ-**.

მნიშვნელობის მხრივ **გახუნება**, **დალობა**, **დამყავება** (მაწონი) ერთი რიგის სემანტიკებია და საფუძვლად დაძველებას ჰგულისხმობენ.

ს.-ქართვ. ***ყაფ-** „დაძველება, გახუნება, დალობა“ → ქართ. **ყაფ-** : ზან. **ყვაფ-** (← ***ყოფ-**), მე-**ყვაფ-**ერ-ი : სვან. **ყუეფ-** || **ყუფ-** (← ***ყოფ-**).

ს.-ქართვ. ***ყაფ**-ს შეესატყვისება: აფხაზ. ა-**მაყა** „ხნიერი“, ნახ. **ყან**-ოლ „სიბერე, სიძველე“, ინგ. **ყან**-ჰ „ძველი“, ჩაჩნ. **ყდენ-ა** || **ყან-ა** „ძველი“... თაბ. **ყაბი** || **ყავი** „id“.

სვან. **ყუიუ** ზს., ქს. „შესაწირავი ცხოველი, ზვარაკი“.

ქართ. **ყვინიზ-ი**, **ყვნიზ-ი** „ფრინველთ პოხილობა (საბა)“, გა-**ყვნიზ**-ებ-ა „გასუქება (ფრინველთა)“.

ზან. —.

ქართული ფუძე მეტათეზირებული სახეობაა ისტორიული ***ყვზ-ინ**-არქეტიპისა, შდრ. **კუნეს-** || **კვნეს-** ← ***კუს-ენ-** (ჰ. ფოგტი). აღდგენილი ***ყვზ-(ინ-)** ფორმის ზუსტი შესატყვისია სვანური **ყუიუ**¹.

ანსნას ითხოვს სიტყვათა სემანტიკური მხარე. ძველი ვითარება ქართულს დაუცავს, სადაც პოხილობა = სიმსუქნე ძირითადია. ე. ი. სვანური ზვარაკი სემანტიკისთვის ამოსავალია ნასუქის გაგება. შესაწირავ საქონელს თავიდანვე სპეციალურად ასუქებდნენ, ამიტომაც **ნასუქი** = **ზვარაკი** (შდრ. მეგრ. **ჩიხ**-უ-ა → **ჩიხ**-უ „სააღდგომო ბურვაკი“); საბასთან ზუარაკი განიმარტება როგორც ნასუქარი, რაც არ არის შემთხვევითი ფაქტი.

ს.-ქართვ. ***ყუიზ-(ინ-)** „სიმსუქნე; გასუქება“ → ქართ. **ყვნიზ-**, **ყვნიზ-ი** ← ***ყვზ-ინ-ი** : სვან. **ყუიუ**.

სვან. **ყუიჩ-** || **ყუჩ-**, ი-**ყუჩ-**ე ზს., ქს. (აღ-**ყუიჩ**, აღ-**ყუიჩ-**ე ზს.) „ტეხს“, ხ-**ყუჩ-**ე ზს., ლნტ., ხ-ა-**ყუჩ-**ე ლშხ. „ატეხს“.

ქართ. (ინგილ.) **ყეჩ-**, გა-**ყეჩ-**ვ-ა „გატეხა“.

ზან. —.

გაუგებარია უ სეგმენტის (**ყუიჩ-**) წარმომავლობა. სვანურში ისტორიულად **ყუეჩ-** || **ყუიჩ-** აბლაუტი უნდა გვქონოდა.

ს.-ქართვ. ***ყეჩ-** „ტეხა“ → ქართ. **ყეჩ-** : სვან. **ყუეჩ-/ყუიჩ-** (← ***ყეჩ-/ყიჩ-**).

სვან. **ყულ-აფ** ზს. „ატყავება, აყვლეფა“, **ყულ-აფ-დ** ლიგნე ბქ. „გადაბუგვა“, **ყულ-აფ** ლშხ. „დამტვრევა, დამსხვრება“.

ქართ. **ყვლ-ეფ-/ყვლ-იფ-**, **ყვლ-ეფ-ს**, **ყვლ-იფ-ა**, სა-**ყვლ-ეფ-**ი „ყვილ“, **ყულ-იფ-**ი „ძვალი (მხრის)“.

¹ ეს დაკავშირება გამოცხადდა სვანური **ყუიუ** ლექსემის რამენაირ კავშირს თურქულ ენათა **ყუზ** „კრავი“ სიტყვასთან.

ზან. (მეგრ.) **ცვილ-ე** „ძვალი“, ჭან. **ყვილ-ი** „ძვალი“, **ყვილ-ონ-ი** „ძვლიანი“.

სვანურ-ქართულში ბუნებრივია გაყვლეფის შინაარსი, რომელსაც **ყვილ-** „ძვალი“ ძირი უდევს საფუძვლად. გაყვლეფის მნიშვნელობა თან სდევს ძვლისგან ნაწარმოებ გო-ძვალ-უ ზმნას მეგრულში — **ძვალ-ი** → მეგრ. გო-ძვალ-უ „გაყვლიფა, ძვალტყავად აქცია“ (ქ. ლომთათიძე).

სვან. **ყულ-წფ** → || **ყუღლ-წფ** || **ყუღლ-აფ** ნაზმნარი სახელია; გამოყოფილი **-წფ** || **-აფ** ქართული **-ეფ/-იფ** სუფიქსის შესატყვისია. ეს შეპირისპირება აჩვენებს, რომ **-ებ** || **-ეფ** ტიპის სუფიქსები უძველეს წარსულში სვანურშიც ბუნებრივი იყო. დღეს მათ მხოლოდ რელიქტის სახით ვადასტურებთ (იხ. აქვე, § 39-40).

ს.-ქართვ. ***ყუილ-** „ძვალი“, **ყუღლ-ეფ/ყუღლ-იფ-** „გაყვლეფა“ → ქართ. **ყულ-იფ-ი** (←***ყუილ-იფ-ი**) : ზან. **ცვილ-ე** || **ყვილ-ი** : სვან. **ყუღლ-აფ** || **ყუღლ-წფ** || ← **ყულ-წფ** (←***ყუილ-ეფ-ა**).

ცნობილია ს.-ქართვ. **ყუილ-**ის იბერიულ-კავკასიური შესატყვისები: ხუნძ. **რატაა**, ახვან. **რატაი**, კარ. **რატაე**, ტინდ. **რატაი**, ანდ. **როტაი**, ბეჟ. **ლ'ორა**, ჰუნზ. **ლ'ორა**, დარგ. **ლიგა**, ლაკ. **ლიქა...** (ტ. გუდავა).

სვან. **ყუღლ-** || **ყუღელ-/ყუღილ-**, ხ-წ-**ყუღლ-ე** (ა-ხ-**ყუღილ**) ზს., ლნტ. ხ-ა-**ყუღლ-ე** (ა-ხ-**ყუღილ**) ლშზ. „აშორებს, აცლის (ჭუჭყს)“, ხ-ე-**ყუღლ-ენ-ი** ზს., ლშზ., ხ-ე-**ყუღელ-ენ-ი** ლნტ. „სცილდება, შორდება“, ლი-**ყუღელ** „დაშორება, მოცილება“.

ძვ. ქართ. **ყუენ-**, და-**ყუენ-ვ-ა** || და-**ყუენ-ა** „თმის მოშორება, თმის მოცილება, პარსვა“.

ზან. —

ქართული **ყუენ-** ძირისთვის ამოსავლად მოცილების (თმის) მნიშვნელობას მიიჩნევენ (ბ. გიგინეიშვილი), რასაც სვანურის ჩვენებაც ზურგს უმაგრებს (შდრ. ხ-ა-**ყუღლ-ე** „აცლის ჭუჭყს“). პარსვის გაგება გვიანდელია — მოშორება, მოცილება → პარსვა.

ფორმალური ანალიზი ძირად **ყუ-**ს გამოგვაყოფინებს **-ელ**, **-ენ** შესაბამისად საკუთრივ სვანური და ქართული ზმნური სუფიქსებია.

სვანური ფორმა აბლაუტურია **ყუ-ელ-/ყუ-ილ-**, ქართულში **ყუ-ინ-** არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. ***ყუ-ენ-** „მოცილება, მოშორება; პარსვა“ → ქართ. **ყვ-ენ-** || **ყუ-ენ-** : სვან. **ყუ-ელ-/ყუ-ილ-** (შდრ. ხუნძ. **კაჟან-**, ლოდ. **კაჟან-**, ბაგვ. **კაჟან-დ-** „პარსვა“...).

სვან. **ყუფ** || **ყუფეფ**/**ყუფიფ**-, ხ-ჰ-**ყუფ**-ე (ა-ხ-**ყუფიფ**) ზს., ლნტ. ხ-ა-**ყუფ**-ე (ა-ხ-**ყუფიფ**) ლშხ. „აძრობს, გამოყოფს“; ხ-ე-**ყუფ**-ენ-ი ზს., ლშხ., ხ-ე-**ყუფ**-ენ-ი ლნტ. „სძვრება“ (კანი, კული...).

ქართ. ***ყუ-ეფ**-, **ყოფ**- „გამოყოფა“, გა-მო-ი-**ყოფ**-ა, **ყავ**-, გა-**ყავ**-ი.

ზან. (მეგრ.) **ყვ**-, გო-**ყვ**-ი „გა-ყავ“.

მნიშვნელობის მიხედვით ქართველური ენებისთვის ძირითადია ერთი ნაწილისაგან სხვა ნაწილის გამოყოფის, მოძრომის შინაარსი.

სვანურში ფუძე აბლაუტურია **ყუ-ეფ**/**ყუ-იფ**, გამოყოფილი **-ეფ**/**-იფ** ქართული **-ეფ**-ის შესატყვისია, რომელიც ძირს შეეზარდა (შდრ. ქართ.

ყავ || **ყვ**-**+**-**ეფ** → **ყუ-ეფ**/**ყოფ**-.

ს.-ქართვ. ***ყაუ**-/***ყუ**-(**+**-**ეფ**) „გამოყოფა, გაყოფა“ → ქართ. **ყავ** ||

ყვ-, **ყოფ**- (←***ყუ-ეფ**) : ზან. **ყვ**- : სვან. **ყუ-ეფ**/**ყუ-იფ**-.

სვან. **ყუ-ილ** ზს., ლშხ., ლნტ. „ცალი“.

ქართ. **ყვე**-არ-ი „წყვილი“.

ზან. (მეგრ.) **ღალ**-, მა-**ღალ**-ე „წყვილის ცალი (წყვილიდან ერთერთი)“; „ამხანაგი“.

ამ შეპირისპირებაში ძირად **ყვე**/**ყუ**-**ღ** (← **ღუ**-) გამოიყოფა ქართველური ენების მიხედვით, რომელიც ეტიმოლოგიურად უკავშირდება ს.-ქართვ. ***ყაუ**-/***ყუ**- (**ყუ-ეფ**/**ყოფ**-) და **ყუ**- (**ყუ-ენ**-, **ყუ-ელ**-) ძირებს (იხ. წინა ორი შეპირისპირება).

სვანური **ყუ-ილ**- სახელი მომდინარეობს **ყუ-ელ**/**ყუ-ილ** ზმნური ფორმებიდან: **ყუ-ელ**- → **ყუ-ილ**- → **ყუილ**- ე. ი. „ცალი“ ← „გამონაყოფი, დანაყოფი“. „გამონაყოფის“ მნიშვნელობიდან განვითარდა მეგრული მა-**ღალ**-ე-ც; **ღალ**- ფუძე მიუთითებს, რომ სვანური **ყუ-ელ**- ტიპის ***ღუ-ალ**- → **ღალ**- ზანურშიც გვქონია ისტორიულად.

ყვე-არ-ში -არ სუფიქსია (შდრ. **ჯავ**-არ-ი, **ყავ**-არ-ი, **წყ**-არ-(ო)...),

სემანტიკურად იგი **გაყოფილიდან** (→ **წყვილი**) წარმოდგა. ქართულში **ყავ**/**ყვე**- მიმართებისთვის შდრ. ქართ. **ცავ**/**ცევ**- „ცვა“ (ვ. თოფურია).

ს.-ქართვ. ***ყაუ**-/***ყეუ**- „გაყოფა“ → ქართ. **ყვე**-არ-ი : ზან. **ღალ**-

მა-ღალ-ე (←***მა-ღუ-ალ**-ე) : სვან. **ყუ-ილ**- ← **ყუ-ილ**/**ყუ-ელ**-.

ს.-ქართვ. ***ყ-აუ**- უკავშირდება ნახ. **ღე-ყ-არ** „გაყოფა, ჭრა“; ხუნძ.

ყ-ოტ-, ანდ. ბუ-ყ-, ბოთლ. **ბუ-ყ**-, კარ. **ბო-ყ**-, ახვან. ბუ-ყ-ორ- „ჭრა“... ფუძეებს (შდრ. ბოთლ. მი-ყ-ო „გაყო, დაანაწილა“).

სვან. **ყუირ**-ჰ ბზ., **ყუირ**-ჰ ბქ., ლნტ. „ცალთვალა“.

ქართ. **ბრყვილ-ი** || **ბრყულ-ი** „უსინათლო“, **ბრყვილ-**, და-**ბრყვილ-**ებ-ა „თვალთ სინათლის დაკლება“.

ზან. (მეგრ.) **ცვირ-ე** → || **ცვერ-ე** „ბრმა“, ჭან **ყვირ-ერ-ი** „მიუმხდარი, ჭკუანაკლები“.

თავკიდური **ბრყუ-** რთული ოთხწევროვანი თანხმოვანთკომპლექსი სვანურსა და ზანურში გამარტივებულია, რაც ამ ენებისთვის ბუნებრივია (შდრ. სვან. **ცხა** ←***ბრცხა** : **ფრცხილ-ი**, მეგრ. **წკინ-** : **ბრწყინ-**...). აქვე შეიმჩნევა **ლ** → **რ** პროცესი (იხ. § 6. **ლ** → **რ**).

სემანტიკურად საინტერესოა **ბ რ მ ა** → **ც ა ლ თ ვ ა ლ ა** სვანურში. ქართულში ვარაუდობენ **ბრყვილ-ი** → **ბრიყვი-ი** (ა. არაბული), რაც სავსებით ბუნებრივია. ამასვე ეხმიანება გურ. **ყვი-ერ-ი** „მიუმხდარი, ჭკუანაკლები“, რომელიც ჩვენ წარმოშობით ჭანური დიალექტური სახეობა გვგონია ს.-ქართვ. ***ბრყუილ-** ზმნური ფორმისა — ჭან. **ყვირ-** „დაბრმავება“ → **ყვირ-ერ-ი** „დაბრმავებული“ → **ყვი(რ)-ერ-ი** „ბრმა, მიუმხდარი, ჭკუანაკლები“.

სომხური **კუიირ** → || **კურ** „ბრმა“ ზანურიდან უნდა იყოს შეთვისებული.

ს.-ქართვ. ***ბრყუილ-** „უსინათლო, დაბრმავება“ → ქართ. **ბრყვილ-**, **ბრყვილ-ი** → || **ბრიყვი-ი** : ზან. **ცვირ-ე** || **ცვერ-ე**, **ყვირ-ერ-ი** : სვან. **ყუიირ-ჲ** || **ყუიირ-ჲ**.

ს.-ქართვ. **ბრყუილ-** არქეტაპის შესატყვისები დასტურდება დაღესტნურ ენათა ლეზგიურ ქვეჯგუფში: ლეზგ. **ბჷრყუ**, თაბ. **ბჷრყუ**, რუთ. **ბგრყიდ**, წახ. **ბირყინა** „ბრმა“...

სვან. **ყუიირყ-უ** || **ყუირყ-უ** ზს. „მარყუჟი“.

ქართ. **ყორყ-ი** "ГОРЛО".

ზან. (მეგრ.) **ყურყ-ი**, **ყურყ-ელ-ი** || **ყურყ-ელ-ი** || **ყორყ-ელ-ი** „ყორყი, ყელი, ხორხი“.

სვანურში გამოყოფილი აუსლაუტური **-უ** (← **-ო**) დერივაციული სუფიქსია (ქართ. **-ო** : ზან. **-ო** → || **-უ**-ს შესატყვისი, იხ. აქვე), ხოლო **ყუიირყ** || **ყუირყ-** იგივე ძირია, რაც ქართული **ყორყ-**. **მ ა რ ყ უ ჟ ი ს** გაგება მეორეულია; **ს ა ყ ე ლ ო ს** (ყორყის, ყელის) მნიშვნელობიდან განვითარდა.

ს.-ქართვ. ***ყორყ-** „ყორყი, ყელი, ხორხი“ → ქართ. **ყორყ-ი** : ზან. **ყურყ-ი**, **ყურყ-ელ-ი** || **ყორყ-ელ-ი** : სვან. **ყუიირყ-უ** || **ყუირყ-უ** ←***ყურყ-ო**.

ს.-ქართვ. **ყორყ-**ის გენეტური შესატყვისებია: ხუნძ. მუ-**ყულუყ**, კარ. **ყუანყუა**, ტინდ. **ყუანყუა**, ჭამ. **ყუანყუა** || **ყუნყა**, ბაგვ. **ყუნყა**,

ბოთლ. **ყუანყუა**-ტირ, ღოდ. **ყუანყუა**-ტილ, ანდ. **ყუანყუა**, დარგ. **ყოყა-რი**, ლაკ. **ყაყარი**, არჩიბ. მუ-ყლაყ, თაბ. **ყარყარ**, აღულ. **ყურყ**, წახ. **ყორხ**-ამ, უდ. **ყოკ** „ხახა“...

უ

სვან. **უამ** ზს., ლნტ., **უამ** ლმზ. „თავთავიანი პურეული“; „ლომის შეჭამანდი“.

ქართ. **სომ-ინ-ი** „დიდი პური (საბა)“.

ზან. —.

ქართველურ სიტყვებს შორის სემანტიკური სიახლოვე ადვილი დასა-ნახია. ყურადღებას იქცევს ფუძის განმოვანებაში სხვაობა — ქართ. **სომ** : სვან. **უამ** || **უამ**. სავარაუდოა ფონეტიკური პროცესები სვანურში, კერძოდ, **ვ** || **ა** შედეგია უმლაუტიანი **რ**-ს დაშლისა, შდრ. სვან. ***უომ** → ||

***შემე** → ***შემეჟ** → || ***შამეჟ** → || ***შამ-ჟ** → **შამ** || **შამ** (მსგავსი ვითარებაა **თოკ**-ის შემთხვევაშიც — სვან. **თოკ** || **თჟეკ** → **თეკჟ** → **თჟკჟ** → **თჟკჟ** მ. ქალღანი) **-მეჟ**- თანმიმდევრობის გამარტივება პოზიციურია, რადგანაც **ბ ფ პ მ + ჟ** თანმიმდევრობები აკრძალულია ქართველურ ენებში.

-ინ სუფიქსი საკუთრივ ქართული მონაცემი ჩანს (**ყვ-ინ-ი**, **ძვ-ინ-ი**, იხ. აქვე).

ს.ქართვ. ***სომ-** „პურის შეჭამანი“ → ქართ. **სომ-ინ-ი** : სვან. **შამ** || **შამ** ← ***შემეჟ** ← ***შემე**.

სვან. **შარ** ბზ., **შარ** ბქ. „ფართო ზოლი (რამე ფერის ფონზე მორუხო ზოლი)“.

ქართ. **სერ-ი**, და-**სერ-ვ-ა**, და-**სერ-ილ-ი**, ქსნის ხეობ. **სრ-ე** (← **სერ-ე**) „გრძელი ზოლი, რომელსაც თიხის ჭურჭელს გარს ავლებენ“, ფშ. **სრ-ელ-ა** „გარდიგარდმო ზოლი“.

ზან. —

ფუძის განმოვანება სვანურში მეორეულია, **შარ-** || **შარ-**, ცხადია ისტორიული **შერ-**ისგან მომდინარეობს, რომელსაც აუსლაუტში **-ჟ** ან **-ა** სუფიქსი ერთვოდა ქართ. **-ე(სრ-ე)** || **-ელ-**(სრ-ელ-ა)-ის შესატყვისი. როგორც ცნობილია, **ე**-ს მომდევნო **ჟ/ა**-ს შეუძლია **ე** → **ჲ** || **ა** უკანა მიმართულების უმლაუტის გამოწვევა (მ. ქალღანი).

ს.ქართვ. ***სერ-** „დასერვა; ფართო გრძელი ზოლი (სერი)“ → ქართ. **სერ-**, **სერ-ი**, **სრ-ე**, **სრ-ელ-ა** : სვან. **შარ-** || **შარ-** ← ***შერ-V**.

სვან. **შარ-** || **შერ-** || **შერ-**, ა-**შარ-ე** ბზ., ა-**შერ-ე** ბზ., ლშხ., ა-**შერ-ე** ბქ., ლნტ. „ლესავს“, ლი-**შარ-ე** ბზ., ლი-**შერ-ე** ბზ., ლშხ., ლი-**შერ-ე** ბქ., ლნტ. „გალესვა“, ლა-**შერ-**(ა) ბზ., ლშხ., ლა-**შერ-ა** ბქ., ლა-**შერ** ლნტ., „სალესი“.

ქართ. **სარ-/სრ-**, მო-ვ-**სარ**, **სრ-ვ-ა**, მო-**სრ-ულ-ი**.

ზან. (მეგრ.) **შერ-** → || **შირ-**, **შირ-ჟ-ა** „სრვა“; „ცვეთა“, აკო-**შირ-ჟ** „ამოხოცა“, **შერ-ილ-ი** „გაცვეთილი“, ჭან. ფ-**შირ-ა**ფ „ცვეთ“, ო-**შირ-ჟ** „ცვეთა“.

სვანური ფორმებიდან უძველესი ვითარება ბალსემოურ დიალექტშია შემონახული. უმლაუტიანი გრძელი **ჲ** უშუალო გაგრძელებაა საერთოქართველური **ა** ხმოვნისა: ს.ქართვ. **ა** → სვან **ჲ** → **ჲ** → || **ჲ** || **ე**. ზა-

ნური გ/ი ს.-ქართვ. ა-ს შესატყვისი ო-ს რეფლექსებია — ო → გ → || ი (გ. როგავა).

არანაკლებ საყურადღებოა მნიშვნელობის განვითარება სვანურში, სადაც „გალესვა“ სემანტიკის საფუძვლად „ც ვ ე თ ა“ დაედო : ს რ ვ ა → ს რ ვ ა / ც ვ ე თ ა (ზან.) → ლ ე ს ვ ა (სვან.).

ს.-ქართვ. *სარ- „სრვა, ხოცვა“ → ქართ. სარ- || სრ- : ზან. შირ- || ← შერ- ← *შორ- : სვან. შერ- || შერ- || შწრ- ← *შარ-.

სვან. შარდ- || შარდ-, ა-შარდ-ე ბზ., ლშზ., ა-შარდ-ე ბქ., ლნტ. „ამშვიდებს, აწყნარებს“, „ასუსტებს“, ლი-შარდ-ე ბზ., ლშზ., ლი-შარდ-ე ბქ., ლნტ. „დამშვიდება“, შარდ-ა ბზ., შარდ-ა ბქ. „ის ვინც ადვილად წყნარდება“, შარდ-ი ზს., ლშზ., შარდ-ი ლნტ. „რბილი, სუსტი“.

ქართ. სავათ-, გა-სავათ-ებ-ა „დალლა“, მი-სავათ-ებ-ულ-ი „დალლი-ლი, დასუსტებული“.

ზან. —

სემანტიკური სიახლოვე გარკვეულ ნიუანსებში იგივეობრივი ხდება, შდრ. სვან. შარდ-ი „სუსტი“ და ქართ. მი-სავათ-ებ-ულ-ი „უღონო“.

სვანურში მეორე მარცვლისეული ა ჩავარდნილია, რამაც მაკომპენ-სირებელი სიგრძის სახით კვალი დაამჩნია პირველ ა-ს, — CVCVC → CVC̄C. ქართული სავათ-ის კანონზომიერ შესატყვისად სვანურში *შაჟდ- გარდამავალმა ალომორფმა ვერ გაძლო, რადგანაც ამოქმედდა ჟდ → რდ პროცესი დენტალური თანხმოვნების წინ, შდრ. სვან. სერდე ← ქართ. სევედა; ასევე *შაჟდ- → შარდ-.

გასარკვევია, თუ რა მიმართებაშია გარეული ფრინველის სახელწოდება სავათ-ი ზმნურ სავათ- ფუძესთან.

ს.-ქართვ. *საჟად¹ „დამშვიდება; დალლა, დასუსტება“ → ქართ. სავად- : სვან. შარდ- || შარდ- ← *შაჟდ- ← *შაჟად-.

სვან. შგებ- || შგბ-, ხ-ა-შგბ-ე ზს., ხ-ა-შგბ-ე ლშზ., ხ-ა-შგბ-ე ლნტ. „აძრობს, აჩენს“, ხ-ე-შგბ-ენ-ი ზს., ლშზ., ხ-ე-შგბ-ენ-ი ლნტ. „სძვრება; ჩნდება“.

ქართ. შევ-, ვ-შევ-, შვებ-ა, გა-შვებ-ა, სი-შჟელ-ი → || ში-შჟელ-ი, „შვებ-ელ“¹.

¹ ს.-ქართვ. *საჟად- ეტიმოლოგიურად უკავშირდება სხვა „დალლის“ აღმნიშვნელ ს.-ქართვ. *ხ-ეჟ ძირს — ქართ. სევ- : ზან. შულად : სვან. შერ-; იხ. აქვე.

ზან. **შქვ-** || **შკვ-** „შვება“, ო-**შქვ-**ან-ს „ცხენი კვიცს აჩენს“, ვა-შა-**შქვ-**ან-ს „არ შობს/აჩენს (ცხენი)“, ქულა-**შქ-**უ „ცხენმა კვიცი გააჩინა“, ღო-უ-**შქვ-**ი = და-უ-**შვ-**ი...

საინტერესოა მეგრულის ჩვენება, სადაც დასტურდება ქართულიდან ნასესხები **შვებ-ელ-უ-**ა „ძრობა“, **შვებ-ელ-ან-**ს „ტყავს აძრობს“, გო-**შვებ-ელ-უ** „ტყავი გააძრო“, **შვებ-ია** „მძრობი(ა)“ (შდრ. სვან. **შგებ-** || **შკებ-** „გაძრობა, გატყავება“). საკუთრივ ქართულში **შვებ-** ფუძე ამ მნიშვნელობით ვერ გამოვავლინეთ (შდრ. სი-**შჷ-ელ-**ი || ში-**შჷ-ელ-**ი, გა-**შიშვლ-**ება).

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შესატყვისობა ქართ. **ვ** : სვან. **ბ**, რაც დაემატება ცნობილ ქართ. **წოვ-** : სვან. **წობ-** მეპირისპირებას (იხ. აქვე, § 19).

ქართველური ფუძეებისთვის დამახასიათებელია გაჩენის, გა-**შვებ**ის, ძრობა-ატყავების სემანტიკა, შდრ. ქართ. **შოვნ-**, ი-**შოვ-**ის „გააჩენს“.

ს.-ქართვ. ***შეჷ-** „გაჩენა/გაშვება; აძრობა/ატყავება“ → ქართ. **შევ-**, **შვებ-**, სი-**შჷ-ელ-** || ში-**შჷ-ელ-** : ზან. **შქვ-** → || **შკვ-** : სვან. **შგებ-** || **შკებ-** ←***შქეჷ-**.

სვან. **შგერ-**, **შგერ-ობ-** ბქ., ლშხ., **შკერ-ობ-**; ლნტ. „ფუტკრის ყრა“, ი-**რშგ-ინ-**ე (← ი-**შგრ-ინ-**ე) ბზ., ი-**შრ-ინ** (ან-**შგერ**) ბქ., ლშხ., ი-**შკერ-**ე „იყრის ფუტკარი, მრავლდება“, ნა-**შგერ-**ჷ ბქ., ნა-**შგერ** ლშხ., ნა-**შკარ** ლნტ. „ფუტკრის ნაყარი“.

ქართ. **სკა** „ფუტკრის სახლი“; **სკა-**მ იყარა.

ზან. (მეგრ.) **სქა** „ფსქა (მრ. **სკალ-ეფ-**ი) „ფუტკარი, ო-**სქალ-**ე „სა-ფუტკრე“, **სქა-ქ** ირთუ „სკამ იყარა“, ჭან. მ-**სქა** || მ-**ცქა** „ფუტკარი, სკა“.

სვანური **შგერ-** || **შკერ-** მიიჩნევა საერთოქართველური **სქ-ალ** ძირის კანონზომიერ შესატყვისად — ს.-ქართვ. **სქ-** → ***შქ-** → **შგ-/შკ-**. სვანურში **სკის გაყრა**, **ფუტკრის გამრავლება** გადმოცემულ იქნა ნასახელარი ზმნით **შგ-ერ-** || **შკ-ერ**, სადაც **-ერ** ზმნური სუფიქსია — შდრ. ლი-**შდ-ერ** „გართობა“ || ლი-**შდ-აბ-**ე „გართობა“, ქართ. **ჯჷ-** "caccare" : ზან. **ტგ-** „id“ : სვან. ლი-**სგ-ერ** "caccare", ლა-**სგ-არ** „საპირფარეშო“ (იხ. § 38).

სვანურში შიშინა განზოგანება სტაბილურია, ზანურში სახეზეა გასინინების **სქ** → **შქ** → **სქ** ფონეტიკური პროცესი ისტორიულად — ზან. **სქა(ლ)** „სკა, ფუტკარი“ ←***შქა(ლ)**.

ს.-ქართვ. ***სქ-(ალ-)** „სკა, ფუტკარი“ → ქართ. **სკა** (←***სქალ-**) : ზან. **სქა(ლ)** ←***შქა(ლ)** : სვან. **შგ-ერ-/შკ-ერ-** ←***შქ-ერ-** (შდრ. აფხაზ. ა-**შხა** „ფუტკარი“).

სვან. **შგილ** ზს., ლშხ., **შკილ** ლტ. „სხვენი“.

ქართ. **ჩულ-ი** „სახურავი“.

ზან. —.

ბგერათშესატყვისობა ქართ. **ჩ** : სვან. **შგ** რეგულარულ-კანონზომიერი (შდრ. ქართ. **ჩემ-ი** : სვან. მი-**შგუ...**); რაც შეეხება ფუძის გახმოვანებას, სვანური **ი** მეორეულად მიიჩნევა, ნაშუბლაუტარია: ***ჩქულ-ი** → ***შქულ-** → **შგილ** || **შკილ** (თუმცა არ გამოირიცხება **უ** → **გ** → **ი** შესაძლებლობაც).

შეფარდება სემანტიკურ დონეზე **სახურავი** ~ **სხვენი** კანონზომიერია.

სომხური **ჯულ** „სახურავი“ ქართულიდან უნდა იყოს შეთვისებული — **ჩულ** → **ჯულ**.

ს.ქართვ. ***ჩ-ულ-** „სხვენი, სახურავი“ → ქართ. **ჩ-ულ-ი** : სვან.

შგილ || **შკილ** ← ***ჩქ-ულ**.

სვან. **შგირ-** || **შგრ-**, ა-**შგრ-**ე ზს., ა-**შგრ-**ე ლშხ., ა-**შკრ-**ე ლტ. „აშეშებს, აქვავებს; კლავს უცებ“, ლი-**შგრ-**ეზს., ლშხ., ლი-**შკრ-**ე ლტ. „სიკვდილი (უეცრად)“, ლგ-**შგრ-**ე ზს., ლშხ., ლგ-**შკრ-**ე „ხელფეხაშეშებულნი, გალიგვებულნი“, **შგირ-**ა ზს., ლშხ., **შკირ-**ა ლტ. „გაქვავება, გაშეშება (უეცარი სიკვდილი)“.

ქართ. **შ-**, სი-**შ-ი** → || ში-**შ-ი**.

ზან. **შქ-**, **შქ-ურ-**, ო-**შქ-ურ-უ(ნ)** „ეშინია“, **შქ-ურ-ინ-ი** „შიში, შეშინება“, **შქ-ი-შქ-ილ-ი** „დარდი, წუხილი“, ი-ფ-**შქ-ი-შქ-ილ-გქ** „ვწუხვარ, ვდარდობ“.

სვანური ძირის დისტრიბუცია აჩვენებს, რომ სიკვდილის გაგება მეორეულია (არაძირითადი). უძველესია გაშეშების, გაქვავების სემა, რაც დაედო საფუძვლად შიშის, დარდის გაგებას.

სვანურში ძირად **შგ-** || **შკ-** გამოიყოფა **-ირ** ზმნური სუფიქსია (იხ. აქვე, § 37), ზანურში ერთგან (**შქ-ი-შქ-ილ-ი**) ფუძე გაორმაგებულია (რედუბლიკაცია), სხვაგან **-ურ** (**შქ-ურ-**) სვანური **-ირ**-ის ფარდი სუფიქსია. ქართულში ზმნური ფორმები გვაკლია, სი-**შ-ი** || ში-**შ-ი** ერთადერთია.

ს.ქართვ. ***შ-** „შიში, დარდი, გაშეშება“ → ქართ. სი-**შ-ი** → || ში-**შ-ი** :

ზან. **შქ-ურ-**, **შქ-ურ-ინ-ი**, **შქ-ი-შქ-ილ-ი** : სვან. **შგ-ირ-** || **შკ-ირ-** || **შგ-რ-** || **შკ-რ-** ← ***შქ-ირ-**.

სვან. **შგინ-Ⴌლ** ბზ., **შგინ-ი** || **შგინ-ილ** ბქ., „წიწკანა, კუტკალია (ფრინ.)“.

ქართ. **ჩინ-ი** || **ჩიტ-ი** || **ჩიორ-ა**.

ზან. (მეგრ.) **ცქირ-**, **ცქირ-**პაპა „მესკია (ფრინ.)“; ჭან. მ-ჩქი^რ-ი „ჩიტი“.

სვანურ-ზანური შესატყვისობებს იძლევა ქართული **ჩინ-** სახეობის მიმართ. **ჩიტ-ი/ჩიორ-ა** ქართულის ნიადაგზეა გაჩენილი. კითხვა ისმის: ქართული **ჩიორ-ა** ←***ჩი-ვ-ორ-ა** სახეობის შესატყვისი ხომ არ ჩანს მეგრულ-ჭანური **ჩიქვ-ი** ←***ჩქივ-ი** „ერთგვარი ფრინველი“ ლექსემაში?

ჩინ-/შგინ-/ცქირ- შეპირისპირება საჭიროებს განმარტებას. ვფიქრობთ, მეგრული **ცქირ-** ამოსავალში **ჩქირ-** (←***ჩქინ-**) სახეობისა იყო; **ჩქირ-** → **ცქირ-** გადასვლას ბგერწერითი ხასიათის აქვს, შდრ. ჭან. მ-ჩქი^რ-ი.

ს.-ქართვ. ***ჩინ-** „ჩიტი; წიწკანა, მესკია“ → ქართ. **ჩინ-ი** : ზან.

ცქირ- (პაპა) ←**ჩქირ-** || ***ჩქინ-** : სვან. **შგინ-რლ** || **შგინ-ილ** || ← **შგინ-ი** ←***ჩქინ-ი**.

სვან. **შგინჟან-** || **შკიჟან-**, ი-**შგინჟან-**ალ ბზ., ი-**შკიჟან-**ელ ბქ., ი-**შგინჟან-**ალ ლშხ., ი-**შკიჟან-**ალ ლნტ. „იბღვირება, ცუდად, ბოროტად იხედება“.

ქართ. **კსინ-**, **კსინ-ვ-ა**, **კსინ-ავ-ს**, მ-**კსინ-ვ-არ-ე** „მაწყინრად აშლილი (საბა)“.

ზან. —

ერთი შეხედვით, პრობლემური ჩანს **კშ** → **შკ** || **შგ** პროცესის დაშვება სვანურში, მაგრამ აქცესიური კომპლექსის სუპერაციის ანალოგიური შემთხვევა სხვაგანაც გამოვავლინეთ — შდრ. ქართ. **ქშენ-ა** : სვან. ლი-**შგა-**დელ ლშხ., ლი-**შკა-**დელ ლნტ., მაგრამ ზემო სვანური ლი-**ქშ-**დელ || ლი-**ქშ-**ელ „მთქნარება“ — **ქშ** → **შქ** → **შგ** || **შკ**.

ამრიგად, ამოსავალ **კს** კომპლექსს თავდაპირველად **შკ** უნდა მოეცა სვანურში, ხოლო შემდგომ **შგ**. პროცესის ამგვარი განვითარება დასაშვებია. რაშიც ერთი ნასესხები სიტყვის ისტორიაც გვარწმუნებს — **სკ** → **სგ** : ქართ. **სკალატი-ი** || **სკალატი-ი** → სვან. **სგალატი** „მაული“. ე. ი. ქართ. **კსინ-ავ-** : სვან. ***კშინ-აჟ-** → ***შკინ-აჟ-** → || **შკიჟან-** || **შგინჟან-**.

ს.-ქართვ. ***კსინ-** „ბღვერა, მრისხანება“ → ქართ. მ-**კსინ-ვ-არ-ე**, **კსინ-** : სვან. **შგინჟან-** || **შკიჟან-** ***შკინ-აჟ-**.

სვან. **შგომ-** || **შგუემ-** || **შკუემ-** || **შგუ-**, ხ-ე-**შგუემ** ზს., ხ-ე-**შგო** ← ხ-ე-**შგუ-**ემ ლშხ., ხ-ე-**შკუემ** ლნტ. „სთხოვს“, ლი-**შგუემ** ზს., ლი-**შგომ** ლშხ., ლი-**შკუემ** „ხვეწნა“, მუ-**შგუემ** ზს., მუ-**შგომ** ლშხ., მუ-**შკუემ** ლნტ. „მთხოვნელი“.

ქართ. **ჩივ-**, **ჩივ-**-ის, **შე-ს-ჩივ-**-ის, **სა-ჩივ-**-არ-ი, **მ-ჩივ-**-ან-ი, **ჩივ-**-ილ-ი.
ზან. —

სვანურში **შგუ-** || **შკუ-** ძირად გამოიყოფა, **-ემ** ფუძესშეზრდილი ქართული **-ამ-**-ის შესატყვისი თემისნიშანია (შდრ. ქართ. **ბ-ამ-** : სვან. **ბ-ემ-** „ბმა“) — **შგუ-ემ-** || **შკუ-ემ-**. ქართული **ჩივ-**-ის შესატყვისად თავიდან ***ჩქიუ-** უნდა გვექონოდა, საიდანაც **ჩქ** → **შგ/შკ** და **იუ** → **ჰუ** || **აუ** || **უ** (მ. ქალღანი) პროცესების გავლით მივიღებდით ***შგაუ-** || **შკაუ-** ვარიანტებს, რომელზეც **-ემ** თემის ნიშნით დართვით ჩამოყალიბდა რედუცირებული **შგუ-ემ** || **შკუ-ემ** სახეობები.

თხოვნის სემანტიკას სვანურში **ჩივილი** უღვეს საფუძვლად — **შეს-ჩივის** → **შესთხოვს**; შემთხვევითი არ არის, რომ სტრუქტურულად სვანურის **ხ-ე-შგუ-ემ** || **ხ-ე-შკუ-ემ** „თხოვს“ ემთხვევა ჩივილის აღმნიშვნელ **ხ-ე-მშერ-წლ** „შესჩივის“ ფორმას — **ხ + ე + ფუძე + თემისნიშანი**.

ს.-ქართვ. ***ჩიუ-** „ჩივილი“ → ქართ. **ჩივ-**, **მ-ჩივ-**-ან-ი, **სა-ჩივ-**-არ-ი, **ჩივ-**-ილ-ი : სვან. **შგუ-** || **შკუ-** + **ემ-** ← ***ჩქაუ-ემ-**.

სვან. **შგურ-**, **ა-შგურ-ან-ე**, **ა-შგურ-ან-ი** ბზ., **ა-შგურ-ან-ი**, **ა-შგურ-ან-ე** ბქ., **ა-შგურ-ან-ე** ლშხ., **ა-შკურ-ან-ე**, **ა-შკურ-ან-ი** ლნტ. „რჩევას აძლევს, მიუთითებს, არიგებს“, **ლუ-შგურ-ან-ე** ბზ., **ლუ-შგურ-ან-ე** ბქ., **ლუ-შკურ-ან-ე** ლნტ. „რჩევამიცემული“, **ნა-შგურ-ან-ე** ბზ., **ნა-შგურ-ან** ბქ., **ნა-შგურ-ან** ლშხ. „დანარიგები“.

ქართ. **შვერ-/შვირ-**, **ა-შვერ-ა**, **უ-შვერ-ს** „უთითებს“, **მი-უ-შვირ-ა** „მიუთითა“.

ზან. **შქორ-**, **შქორ-**-ია „აშვერილი“.

ქართულის მნიშვნელობა **მ ი თ ი თ ე ბ ა / ჩ ვ ე ნ ე ბ ი ს ა¹** სვანურისთვის გასათვალისწინებელია.

ს.-ქართვ. ***შუერ-/შუერ-** „რჩევა, მითითება, შვერა“ → ქართ. **შვერ-/შვირ-** : ზან. **შქორ-** ← ***შქვარ-** : სვან. **შგურ-** ← ***შგურ-**.

სვან. **შგურ/შგური** ზს., **შგურ** ლშხ., **შკური** ლნტ. „სირცხვილი“, **ხ-ო-შგურ** ზს., ლშხ., **ხ-ო-შკურ** ლნტ. „რცხვენია“, **ლუ-შგური** ზს., **ლუ-შგურ** ლშხ., **ლუ-შკური** ლნტ. „მორცხვი“.

ქართ. **შვერ-**, **უ-შვერ-**-ი „უბატიური (საბა)“, „უსირცხვილო, არასაკადრისი“.

ზან. **სკვირ-**, **უ-სკვირ-** „უზრდელი“.

¹ თუ გავითვალისწინებთ **ნ** → **რ** შესაძლებლობას სვანურში (იხ. § 12), ადვილი შესაძლებელია სვან. **შგურ-** „მითითება“: ქართ. **ჩვენ-** „ჩვენება, მითითება“ დაშვებაც(?).

ქართული უ-შვერ-ი/უ-შუერ-ი აგებულებით ნაწარმოები ფუძე ჩანს — უ უარყოფითობის პრეფიქსია: უ-რჩ-ი, უ-რცხვ-ი... გამოყოფილი შვერ-იგივე უნდა იყოს, რაც შვერ- „მიშვერა“ (იხ. წინა მაგალითი). სვანური ი განზოგადებას ასახავს — შგუირ → || შგურ.

ქართული უ-შვერ-ის ზანური შესატყვისი უ-სკვირ-ი იმერულ დიალექტშია შემორჩენილი.

ს.-ქართ. *შუერ-/*შუირ- → ქართ. შვერ-/შვირ- : ზან. სკვირ-
←*შქვირ- : სვან. შგურ-/შგუირ-

სვან. შგურდ-, ი-შგურდ-ენ-ი (ან-შგურდ-ენ-ე) „იზელს (ცომს)“.
ქართ. თრგ-უნ-, თრგ-უნ-ავ-ს „სრესს (საბა)“.
ზან. —

შინაარსობრივი ერთიანობა ნათელია — სრესა ~ ზელა. ისტორიული ფონეტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დ-სა და გ-ს ურთიერთანაცვლება (საურთიერთო მეტათეზისი), რაზეც უკვე გვქონდა საუბარი სვან. სდუგ-ჟ „ნაწნავი“ სიტყვის განხილვისას. როგორც ეტყობა, დ — გ ურთიერთმანაცვლება გავრცელებული ფონეტიკური პროცესია ისტორიულ სვანურში, და მისი გათვალისწინება სასარგებლოა სვანურ ძირთა ისტორიისათვის (იხ. ქვემოთ სხვა მაგალითები).

ამრიგად, ქართ. თრგ-უნ-ის შესატყვისად სვანურში უნდა გვქონოდა *შდურგ-ენ- (ქართ. თ : სვან. შდ), საიდანაც დ — გ ურთიერთმანაცვლებით მივიღეთ დადასტურებული შგურდ- (←*შდურგ-).

ქართული თრგ-უნ- რედუცირებული ფუძე ჩანს — თურგ-უნ- → თრგ-უნ- (-უნ აფიქსის ზეგავლენით).

ს.-ქართ. *თურგ-უნ- „სრესა, ზელა“ → ქართ. თრგ-უნ- : სვან. შგურდ-ენ- ←*შდურგ-ენ-.

სვან. შგუაბ ბზ. „ჟრო“.

ქართ. შიბ-, შიბ-ი „შიბი, ფენა კლდისა; შვერი, შვეტი“.

ზან. (მეგრ.) სქიბ-ჟ „წისქვილის ქვა“, ჭან. მ-სქიბ-ჟ || ფ-სქიბ-ჟ „წისქვილი“.

ამოსავალი მნიშვნელობა საერთოქართველური შიბ- ძირისა წ ა - წ ვ ე ტ ე ბ უ ლ ი ქ ვ ი ს აღნიშვნა უნდა ყოფილიყო, საიდანაც განვითარდა წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ქ ვ ა (→ წ ი ს ქ ვ ი ლ ი) || ჟ რ ო სემანტიმები. მეგრულში არსებული შიბ-ჟა „დარტყმა; წისქვილის ქვის დამუშავება“ ქართულიდან არის შეთვისებული, თუმცა ქართულში „შიბ-“ ზმნური ფუძე მსგავსი მნიშვნელობით არ არის დადასტურებული.

საინტერესოა სვანური შგუაბ-ის ფორმალური ანალიზი. ფუძის შიგ-ნით ლაბიალური ჟ ისტორიულ -ჟ სუფიქსს ასახავს, რომელიც მეგრულ-

ჭანური -უ-ს შესატყვისია — სქიბ-უ : უქიბ-უ → *შგაბ-უ → *შგაბუ →
შგუაბ. მნიშვნელოვანია **უქ** → **სქ** ზანურში, გასისინების საფუძველი არ
ჩანს. სვანურში პირიქით, საფუძველი არსებობდა, მაგრამ **შგუაბ** თანმიმ-
დევრობა არ გადავიდა ***სგუაბ** სისინა სახეობაში.

ს.-ქართვ. ***შიბ-** „წაწვეტებული ქვა, წვერი (ქვის); წისქვილი“ →
ქართ. **შიბ-ი**, **შიბ-ი** : ზან. **მ-სქიბ-უ** || **სქიბ-უ** ← ***უქიბ-უ** : სვან. **შგუაბ**
← ***შგაბუ** ← ***შგაბ-უ** ← ***უქიბ-უ**.

ს.-ქართვ. **შიბ-** არქეტის შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერი-
ულ-კავკასიურ ენებში, შდრ.: ბოთლ. **შება**, ბავგ. **შებ** ← **შება** : ახვან.
საება ← **შება** „სადარაჯო, საგუშაგო კოშკი“. მნიშვნელობის მხრივ ქვის
კოშკი ახლოს დგას (ქ ვ ი ს) წ ვ ე რ ი ს გაგებასთან.

სვან. **შდაჟ-ალ** ზს., ლშხ., **შდაჟ-ლ** ბზ., **შტაჟ-ალ** ლნტ. „მერცხალი“.
ქართ. **თალ-ი**.

ზან. **თოლ-ია**.

ქართულში დაკარგულია ***თალ-** ტიპის ფუძე, რომელიც სავარაუ-
დოა, ზანურიდან შემოსულმა **თოლ-ია**-მ განდევნა. **მერცხალი** ← **თოლია**
სემანტიკური გადაწევა სვანურში გვიანდელია, მაშინდელი როცა სვანებს
ალარ ჰქონდათ ზღვასთან უშუალო კავშირი.

სვან. **-ალ** ზან. **-ია** სუფიქსის ფუნქციური შესატყვისია.

ძირად სვანურში **შდაჟ-** გამოიყოფა, რაც ზუსტი ფონეტიკური ეკვ-
ივალენტია ზანური **თოლ-** ფორმისა — ქართ.-ზან. **თ** : სვან. **შდ** || **შტ**,
ქართ.-სვან. **ა** : ზან. **ო**, ქართ.-ზან. **ლ** : სვან. **ჟ** (იხ. § 3).

ს.-ქართვ. ***თალ-** „თოლია“ → ქართ. **თალ-ი** : ზან. **თოლ-ია** :
სვან. **შდაჟ-ალ** || **შტაჟ-ალ** ← ***შთაჟ(-ალ)**.

სვან **შდამ** ზს., **შტამ** ლნტ. „მცენარეა ერთგვარი (იჭმევა)“.

ქართ. **თამ-ელ-ი** (მცენ.).

ზან. **თომ-ი** „სათივე ბალახი“, შდრ. **რთომ-ი** (ტოპ. სამურზაყან.-ში).

ქართული **თამ-** ძირის კანონზომიერი **თომ-** ზანური შესატყვისი და-
ცულია რაჭულ **თომ-ი** სიტყვაში. **-ელ** საკუთრივ ქართული მონაცემი
ჩანს (შდრ. თხმ-ელ-ი/ა, წიფ-ელ-ი/ა...), მოსალოდნელი -უ || -ურ ზანურ-
ში და **-რა** სვანურში არ დასტურდება.

ბგერათშესატყვისობათა ჩვენება ქართ. **თ** : ზან. **თ** : სვან. **შდ** || **შტ**
← ***შთ**, ქართ. **ა** : ზან. **ო** : სვან. **ა** ← ***ა**, რომელიც ამ სიტყვაში ფიქსირ-
დება, უეჭველს ხდის **თამ-** ძირის არსებობას საერთოქართველურში
„თ ა მ ე ლ ი ს“ მნიშვნელობით.

ს.-ქართვ. ***თამ-** „თამელი“ → ქართ. **თამ-ელ-ი** : ზან. **თომ-ი** → ||
რთომ-ი : სვან. **შდამ** || **შტამ** ← ***შთამ-ი**.

სვან. **შდან-** ბზ., **შდენ-** ბქ., ლშხ. **შტენ-** ა ლნტ. „გამოლევა, გათავება; სულის ამოსვლა“, **შდინ-** ე ზს., **შდენ-** ე ლშხ., **შტინ-** ე ლნტ. „ამთავრებს, ათავებს; გამოლევს“.

ქართ. **თხ-**, **თხ-ოვ-/თხ-ოვ-**, და-ი-**თხ-ოვ(-ებ)-ს**, და-**თხოვ-**ნ-ა, ფშ. **თხ-ევ-**, და-**თხ-ევ-**ა „დაკარგვა, მიმალვა“.

ზან. **თხ-ინ-**, ი-**თხ-ინ-**ჟ-ან-ს „მოიშორებს“, შურს ჟ-**თხ-ინ-**ჟ-ან-ს „სულს ამოხდის“ (შდრ. სვან. ს უ ლ ი ს ა მ ო ს ვ ლ ა).

ქართველური ენებისთვის ძირითადია წ ა ს ვ ლ ი ს, გ ა თ ა ვ ე ბ ი ს, გ ა მ ო ლ ე ვ ი ს, მ ო შ ო რ ე ბ ი ს გაგება (შდრ. ქართ. გ ა მ ო თ ხ ო ვ ე ბ ა, ე თ ხ ო ვ ე ბ ა).

სვანურში **შთხ-** კომპლექსი თავიდან არ უნდა ყოფილიყო ხმოვნით გათიშული, **გ** → **ი** || **ე** ხმოვანთა ჩართვა მეორეულია — ქართ. **თხ-** : ზან. **თხ-** : სვან. **შთხ-** → **შთგხ-** → || **შდინ-** (შდრ. ლაშხური ლი-**შთხ-**ე „გათავება“).

საინტერესოა **ე** → **ჰ** გადასვლა ბალსზემოურის მასდარულ ფორმაში -ა სუფიქსის ზეგავლენით — **შდენ-ა** → **შდან-ა**.

ს.-ქართვ. ***თხ-(ეჟ)-** „გამოლევა, წასვლა; დაკარგვა, მოშორება“ → ქართ. **თხ-ევ-** → || **თხ-ოვ-** : ზან. **თხ-ინ-** : სვან. **შდან-** || **შდენ-** || **შდინ-** || **შდგხ-** || ← **შთხ-**.

სვან. **შდარჟ-**, ხ-ა-**შდარჟ-**ე ზს., ლშხ. „აბრალებს“.

ქართ. **სტუან-**, მო-**სტუან-**გ-ა, მ-**სტოვ-**არ-ი.

ზან. —.

მნიშვნელოვანია სემანტიკური შესატყვისობა და ბ ე ზ ლ ე ბ ა ~ და ბ რ ა ლ ე ბ ა, რაც კანონზომიერია; და ბ ე ზ ლ ე ბ ა გარკვეული თვალსაზრისით და ბ რ ა ლ ე ბ ი ს მომენტსაც შეითავსებს.

შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით საინტერესოა საერთოქართველური **სტ-** კომპლექსის განვითარება სვანურში — ქართ. **სტ** : სვან.

შდ (← **სდ** ← **სტ**). **სტ** → **სდ** საცნაურია სვანურში — შდრ. ქართ. სა-**სტიკ-**ი : სვან. ხ-ა-**სდიკ** „სწყინს“, აორ. ამ-სა**სდკ-**გნ ლშხ., ამ-სა**სტიკ**გნ ზს... ქართ. **ნ** : სვან. **რ** გულისხმობს **ნ** → **რ** გადასვლას (იხ. § 12. **ნ** → **რ**).

ს.-ქართვ. ***სტუ-ან-** „ბეზღება“, „დაბრალება“ → ქართ. მ-**სტოვ-**არ-, **სტუ-ან-/სტუ-ან-** : სვან. **შდარჟ-** ← ***შდჟ-ან-**.

სვან. **შდ-ერ-**, **შდ-ებ-**; **ლი-შდ-ერ** ზს., **ლი-შდ-ირ** ბქ., „თავის შექცევა“, **ლი-შდ-აბ** ზს., **ლი-შდ-აბ** ლშხ., **ლი-შტ-აბ** ლნტ. „მუშაობა, შრომა; მოვლა, მოქცევა“, **ლი-შდ-რ-აბ** „თამაში“; **ლი-შდ-ბ-უნ-ე** ზს., ლშხ. „გაკეთება, გართვა (სახლისა), **ლი-შტ-აბ-ნ-ე** ლნტ. „შექცევა, გართობა“, **მგ-შდ-რ-ე** ზს., **მგ-შდ-ბ-გნ-ე** ლშხ., **მგ-შტ-აბ-ნ-ე** „გამართობი, შემქცევი“.

ქართ. **რთ-** „მორთვა“, **რთ-ავ-ს** „აკეთებს“, **მო-რთ-ო** (ტირილი).

ზან. (მეგრ.) **რთ-**, **ო-რთ-უ-ნ** „აკეთებს“, **ი-რთ-უ-ან-ს** „ერთობა (თავს იქცევს)“.

სვან. **შდ-**, ქართ.-ზან. **რთ-** ძირებისათვის ამოსავალია „კეთება, მორთვა“ მნიშვნელობები.

ფონეტიკურად სვან. **შდ** : ქართ. **რთ** : ზან. **რთ** შესატყვისობა გულსხმობს **სთ** → **რთ** პროცესს ქართულ-ზანურში — შდრ. ქართ. **სათუმ-ალ-ი** : ზან. (მეგრ.) **ო-რთუმ-ელ-ი** : სვან. **შდიმ** (ე. ოსიძე). ამით იმის თქმა გვსურს, რომ **სთ** → **რთ** (**სთველ-ი** → **რთველ-ი...**) ტიპის გადასვლა ზოგან უკვე უძველეს ქართულში (იბერიულში) არის განხორციელებული და მისი (**სთ** → **რთ**) დოკუმენტურად დაფიქსირება შეუძლებელია. სასთუმალ-ის შემთხვევაშიც **სთ** → **რთ** პროცესს ქართულში **სა-**პრეფიქსმა შეუშალა ხელი, თორემ **ს** → **რ** აქაც ისევე განხორციელდებოდა, როგორც სხვა შემთხვევებში.

ამდენად, ქართ.-ზან. **რთ** : სვან. **შდ** შეპირისპირების შემთხვევაში ჩვენ ჰიპოთეტურად ვვარაუდობთ **რთ**-ს ადგილას **სთ**- კომპლექსის არსებობას უძველეს ქართულში.

შდ-აბ- — **შდ-ერ-** შეპირისპირების ნიადაგზე **-აბ** (←**-ებ**) აშკარად გამოიყოფა სვანურში, რაც ქართული **-ებ** თემისნიშნის ბადალია; შდრ. **ლი-შხ-ი** „წვა“, **ა-შხ-ი** „წვავს“, **მე-შხ-ე** „შავი“, **შხ-იბ** „გამონაწვავი“. ამგვარ ფაქტებს მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს (**-ებ**, **-ეფ**, **-იბ** აფიქსებზე იხ. § 39-40).

ს.-ქართვ. ***სთ-** „მორთვა, შექცევა, კეთება“ → ქართ. **რთ-** ←***სთ-** : ზან. **რთ-** || ←***შთ-** : სვან. **შტ-** || **შტ-** ←***შთ-**.

სვან. **შდ-ერ-** || **შდ-ირ-**, **ხ-ე-შდ-რ-ენ-ი** || **ხ-ე-შდ-რ-აბ** ბზ., **ხ-ე-შდ-რ-აბ** ბქ. „ეთამაშება“, **ხ-ა-შდ-ირ** ბზ., **ხ-ა-შდ-ირ** ბქ. „ერთობა“, **ლი-შდ-ერ** ზს., **ლი-შდ-ირ** ბქ. „თავის შექცევა“, **მგ-შდ-რ-ე** ზს. „მოთამაშე“.

ქართ. —

ზან. (ჭან.) **სთ-ერ-**, **ო-სთ-ერ-უ** „თამაში“.

შეპირისპირება სვან. **შდ-ე/ირ-** : ზან. (ჭან.) **სთ-ერ-** ქართულისთვის **სთ-** ძირიან არქეტიპს ვარაუდობს, რომელიც შესაძლებელია ჩანდეს **რთ-** ←***სთ-** ძირში, შდრ.: **რთ-**, **ე-რთ-ობ-ა**, **გა-რთ-ობა-**, მეგრ. **ე-რთ-უ-ან-ს** „ბავშვს ათამაშებს, ართობს“, **ა-რთ-უ-აფ-ა** ღუღიშგ „თავის შექცევა“. სა-

ერთოქართველური **სთ-** ძირიანი მორფემები, რომელთა შემდგომი სეგმენტაცია ვერ ხერხდება, როგორც ეტყობა, სვანურში რეალიზდებოდა მხოლოდ ***შთ-** → **შდ-** || **შტ** ალომორფთა სახით, ქართულში — **სთ** → || **რთ-**, მეგრულში — **შთ** (იშვიათად **რთ-** ქართულთან ადაპტირებულ ფუძეებში); ჭანურ დიალექტში საერთოქართველური **სთ-** უცვლელი ჩანს, თუმცა სავარაუდოა ***სთ** → **შთ** → **სთ** გარდაქმნა¹.

აქ განხილული სვანური **შდ-ერ-** || **შდ-ირ-** ფუძეები იმავე **შდ-** ძირს შეიცავენ, რასაც ლი-**შდ-ბ-უნ-ე**, ლი-**შდ-ბ-გნ-ე**, ლი-**შტ-აბ-ნ-ე** ლნტ. „გართობა“, ი-**შდ-ბ-უნ-ე** „ერთობა“, შეექცევა“ სიტყვები (იხ. ზემოთ).

ს.-ქართვ. ***სთ-ერ-** „თამაში, გართობა“ → ქართ. **რთ-** (←***სთ-**) : ზან. (მეგრ.) **რთ-** ←***შთ-**, ჭან. **სთ-ერ-** ←***შთ(-ერ-)** : **შდ-ერ-** || **შდ-ირ-** ←***შთ-ერ-**.

სვან. **შდექ-** || **შტექ-**, ჰვ-**შდექ-ე** || ჰვ-**შტექ-ე** ბქ., ა-**შტექ-ე** ლშხ., ა-**შტექ-ე** ლნტ. „მაკე“, ი-ნ-**შდექ-ი** ზს., ლშხ., ი-ნ-**შტექ-ი** ლნტ. „მაკდება“. ქართ. **სთქ-**, გან-**სთქ-დ-ა**, **სქ-დ-ებ-ა**, **სქ-ელ-ი**, სი-**სქ-ე**.
ზან. —

ქართულისთვის ამოსავალია **სქელი/სისქე**-ს სემანტიკა, მნიშვნელობის განვითარება წარმართა **ს ქ ე ლ დ ე ბ ა** → **ს კ დ ე ბ ა** მიმართულებით. **ს ქ ე ლ ი ს** სემა არის საყრდენი სვანური **მ ა კ ე**-ს გაგებისთვისაც — **ს ქ ე ლ ი** → **მ ა კ ე**.

სვანურში გვაკლია უძველესი ზმნური ძირები **შდექ-** || **შტექ-** (← **შთექ-**) სახეობისა. დადასტურებული ი-ნ-**შდექ-ი** ფორმა წარმოშობით ნასახელარი ზმნაა, რასაც კარგად აჩვენებს ლენტეხური ი-ნ-**შტექ-ი**, შდრ. ა-**შტექ-ე** „მაკე“. ამ შეპირისპირებაში მნიშვნელოვანია **სთ** თანმიმდევრობის პოზიციურება საერთოქართველური ენის დონეზე (შდრ. აგრეთვე ქართ. **ასთაკუ**-ი : სვან. **აშდეკუ**). ქართულში ფიქსირებული უჩვეულო **სქ-** (**სქ-ელ-ი**, სი-**სქ-ე**) კომპლექსი ახსნას პოულობს მის წარმომავლობაში — **სთექ-** → **სთქ-** → || **სქ-**. ასევე არ გამოირიცხება სვან. **შთექ-** ძირის ეტიმოლოგიური კავშირი ქართ. **თქვ-ირ-** : ზან. **თქვ-იშ-** „გათქვირება“ ფუძეებთან.

ს.-ქართვ. ***სთექ-** „გასქელება, სისქე, სქელი“ → ქართ. **სთქ-** || **სქ-** : სვან. -ნ-**შდექ-** || ა-**შტექ-**, ჰვ-**შტექ-ე** || ა-**შთექ-ე** || ა-**შტექ-ე** ←***შთექ-**.

სვან. **შდის-ტ** ბზ., **შდჟის-ტ** ბქ. „ჭიბი“, ლხმ. „ჩალის ზვინი ხეზე“. ქართ. (გურ.) **თის-** „მოღგმა, გვარი“.

¹ სვან. **შდ** : ჭან. **სთ** (ს.-ქართვ. **სთ**) მიმართების ნიმუშად ხომ არ გამოდგებოდა სვან. **შდექ** „კბილი“ : ჭან. **სთიქ-**, ო-**სთიქ-**უ „ფხრეწა“, გე-**სთიქ-ერ-** „დაფხრეწილი“? იხ. აქვე სვან. **შდექ** : ქართ. **თიკ-ი**...

ზან. —.

ბალსქვემოური ფორმა ასიმილირებული ვარიანტია **შდის-ჟე** უფრო ძველი სახეობისა. სვანური **შდის-ჟე** ←***შთის-ო** კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **თის-** „მოდგმა, გვარი“ ფუძეს — ქართ. **თ** : სვან. **შდ.**

სემანტიკური ევოლუცია წარიმართა **ჭიბი** → **ნათესავი** → **გვარი** || **მოდგმა** მიმართულებით. ადამიანთა საერთო წარმომავლობის აღსანიშნავად სომატური ორგანოების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ (ქართველურ) სინამდვილეში — **შდრ.**: სისხლი, ჩემი სისხლი, ლვიძლი, ლვიძლი ძმა, ქუსლი → ქვისლი... ამას **ჭიბის** სემანტიკაც უწყობდა ხელს. მხედველობაშია **მოზმის** (=ჭიბის), **მოზმულის** სემა, რაც ლახამულურის ჩვენებითაც მტკიცდება — „ჩალის ზვინი ზეზე“. აბა, სხვა რა უნდა იყოს საერთო ჭიბსა და **ზეზე** დადგმულ **ზვინს** შორის, თუ არა **მოზმის/მოზმულის** სემანტიკა, აქედან — **მოდგმა, ნათესავი, გვარი**.

ს.-ქართვ. ***თის-** „მოზმა, მოზმული; ჭიბი“ → ქართ. **თის-ი** : სვან.

შდჟის-ჟე || ← **შდის-ჟე** ←***შთის-ო**.

სვან. **შდორ-** || **შდორ-** || **შტორ-** || **შდჟრ-** || **შდერ-**, ხ-ე-**შდორ-** ბზ., ხ-ე-**შდჟრ-**ი, ხ-ე-**შდჟრ-**ენ-ი ბქ., ხ-ე-**შდორ-**ი ლშზ., ხ-ე-**ნშტორ-**ი ლნტ. „ეხვევა“, ლი-**შდორ-**ე ბზ., ლშზ., ლი-**შდერ** ← ლი-**შდორ** ბქ., ლი-**ნშტორ-**ე ლნტ. „მოხვევა“, ლე-**შდორ-**ი ბზ., ლშზ. „მოსახვევი“.

ქართ. **თორ-**, **თორ-ი**, **თორ-ნი** „ტანსაცვამია რკინისა, ტანსაცმელს ჯაჭვთა უწოდენ (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **თორ-**, **თორ-**ია „ად. საკ. გვ.“

ქართველურ ძირებს აერთიანებს **მოხვევის**, **მოსახვევის**, **ტანსაცმლის** სემანტიკა. ქართულში გამოსავლენია **თორ-** ზმნური ფუძე მოხვევის, გახვევის მნიშვნელობით (**თორ-** → **თორ-ი**, შდრ. **ფარ-** → **ფარ-ი**).

ს.-ქართვ. ***თორ-** „მოხვევა, ჩაცმა, ჩასაცმელი = მოსახვევი“ → ქართ.

თორ-ი || **თორ-ნი** (pluralia tantum) : ზან. **თორ-** : სვან. **შდორ-** || **შტორ-** || **შდორ-** ←***შთორ-**.

სვან. **შდომ**, **შდამ** ბზ., **შდომ** ლშზ., **შდემ** || **შდჟემ(-იშ)** ბქ. „გამონაყარი (სხეულზე)“.

ქართ. **თებ-ო** „თმის მწიკვლი (საბა)“, „ქერტლი“.

ზან. —.

სიტყვათა მნიშვნელობის თვალსაზრისით საინტერესოა მიმართება: **ქერტლი**, **მწიკვლი** ~ **გამონაყარი**, რაც სავსებით ბუნებრივია.

ყურადღებას იქცევს სვანურის განმარტება: **ო, ა, ო, ე, უე**. არას-
ტაბილურობა ხმოვნებში შედეგია ქართ. **-ო** დერივაციული სუფიქსის შე-
სატყვისი სვან. **-უ** (← **-ო**) მორფემის (იხ. აქვე ქართ. **-ო** : სვან. **-უ** (← **-ო**))
ძირისეულ **ე** || → **ა** ხმოვანთან შერწყმისა. ე. ი. თავიდან გვქონდა ქართ.

თებ-ო : სვან. ***შდებ-უ** → || **შდამ-უ**, მაგრამ **ბ/-ბუ** თანმიმდევრობა ეწი-
ნააღმდეგება სვანურ (ქართველურ) ფონოტაქტიკას. ამიტომაც მოხდა
ბ/მუ-ს სუბერაცია-დაძლევა ორი მიმართულებით: 1. **უ** სეგმენტის ფუძის
შიგნით გადასმით, რამაც ძირეულ **ე** ხმოვანთან შერწყმით ჯერ **უე** თან-
მიმდევრობა, შემდგომ **ო** → || **ო** ხმოვნები მოგვცა — **შდუმ** (← **შდემუ**)
ბქ., **შდომ** (← **შდუმ**) ბზ., **შდომ** (← **შდუმ**) ლშხ.; 2. ზოგ ფორმებში
აფიქსი **-უ** **ბ/მ**-ს მომდევნოდ დაიკარგა — **შდებ-უ** → **შდემ-უ** → ||
შდამუ → **შდემ** ბქ., **შდამ** ბზ.; **ბ** → **მ** პროცესი არ არის უჩვეულო სვა-
ნური ფონეტიკისთვის. იგი სხვაგანაც დასტურდება — შდრ.: სვან. **გაწყაბ** ||
გაწყამ „მთელი, სრული“, სვან. **მგრშკ** (← ***ბირშკ**) : ქართ. **ბინჭუელ-**
„ჭიანჭველა“...

ს.ქართვ. ***თებ-ო** „გამონაყარი, ქერტლი, თებო“ → ქართ. **თებ-ო** :
სვან. ***შდებ-უ** → **შდომ** || **შდამ** || **შდომ** || **შდემ** || **შდუმ**.

სვან. **შდრან-** || **შდრან-** || **შტრან-**, ა-**შდრან-** ბზ., ბქ., ა-**შდრან-**
ლშხ., ა-**შტრან-** ლნტ. „გრეს“, ლი-**შდრან-** ზს., ლი-**შდრან-** ლშხ., ლი-
შტრან- ლნტ. „გრეს“, ლე-**შდრან-** ზს., ლე-**შდრან-** ლშხ., ლე-**შტრან-**
ლნტ. „დასაგრესი“, ლგ-**შდრან-** ზს., ლგ-**შდრან-** ლშხ., ლგ-**შტრან-** ლნტ.
„დაგრესილი“, მგ-**შდრან-** ზს., მგ-**შტრან-** ლნტ. „დამგრესი“.
ქართ. **თრიმლ-**, **თრიმლ-**ავ-ს „ამუშავებს (ცხოველის ტყავს)“,
თრიმლ-ი, ფშ., ხევს. **თრემლ-**ი „ხე ან ბუჩქი“.
ზან. —.

ზმნური **შდრან-** || → **შდრან-** || **შტრან-** კანონზომიერად შეესა-
ტყვისება ქართულ **თრიმლ-** ფუძეს — სვან. **შდ** : ქართ. **თ**, სვან. **რ** :
ქართ. **რ**, სვან. **ნ** (← **მ**) : ქართ. **მ**; აუსლაუტური **ლ-**ს ფარდი სვანური
უ დაკარგულია **მ** (→ **ნ**)-ს მომდევნოდ, მისი არსებობის კვალი ჩანს **ი** →
ე/ა || ა პროცესში ე. ი. სვანური ***შთრემუ-** → ***შთრამუ-** → **შდრან-** ||
შდრან-.

ქართული **თრიმლ-**ი სახელი წარმომდგარია ზმნური **თრემლ-** ||
თრიმლ-ისაგან **სათრიმლავი** || **თრიმლის** სემანტიკით; მსგავსი მიმართე-
ბისთვის შდრ.: ქართ. **ფარ-** → **ფარ-ი**, **ჭერ-** → **ჭერ-ი**, **კვეთ-** → **კვეთ-ი**
ე. ი. უწინარესია ზმნური ფუძე, და არა სახელური.
ქართ. **-ლ** : სვან. **[-უ]** შეიძლება ძირეული არ იყოს.

ს.-ქართვ. ***თრემ-ლ-/*თრიმ-ლ-** „თრიმლვა, გრეხა, დამუშავება; თრიმლ-ი“ → ქართ. **თრემ-ლ-/*თრიმ-ლ-**, **თრიმ-ლ-ი** : სვან. **შდრან- || შდრან- || შტრან- || შტრან-** ←***შთრანმ-ჟ-** ←***შთრემ-ჟ-**.

სვან. **შდურ || შდულ** „კომის ქონგური (კომის უკანასკნელი სართული); ჩხბ. „ბანი, ერდო“; კნინ. **შდურ-ულდ**.

ქართ. **თერ-ო || თე-ო** „მდგურის კიდე, ნაპირი (საბა)“, თუმ., ფშ., ქართლ. **თე-ო** „საყარაულო ალაგი“, აჭარ. **თერ-ეგ-ი** „თარო“.

ზან. **თარ-ო**.

ქართველურ ფუძეთათვის მნიშვნელობის მხრივ ძირითადია კ ი დ ე, თ ა რ ო, ქ ო ნ გ უ რ ი, ნ ა პ ი რ ი (უკანასკნელი) შინაარსი. შეიძლება დავუშვათ, რომ აჭარ. **თერ-ეგ-ის** რედუცირებული სახეობა იყოს თუმ., ფშ. **თერ-გ-ი** (← **თერ-აგ-ი**) „დასაწოლად გაკეთებული ადგილი“ (?).

სვანურისთვის ისტორიულად სავარაუდოა ***შდერ-ჟ** არქეტიპი (ქართ. **თერ-ო** : ზან. **თარ-ო** : სვან. **შდერ-ჟ**), საიდანაც **-ჟ** (← **-ო**) აფიქსის შერწყმით ძირეულ **ე-სთან უ** (← **ო**) მივიღეთ — ***შდერ-ჟ** → ***შდჟერ || *შდორ** → || **შდურ** → || **შდულ** (შდრ. ფხოლ-ე || ფხულ-ე „თითი“).

სიტყვის ბოლოში დადასტურებული **რ ~ ლ** სუბსტიტუცია ამაგრებს ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას **რ** → **ლ** გადასვლის შესახებ სვანურში (იხ. აქვე § 16. **რ** → **ლ**).

თუ **თარ-ო-ს** შემოტანა სიტყვათა ამ რიგში მართებულია, რაშიც ჩვენ ეჭვი არ გვებარება, მაშინ ქართ. **თარ-ო** ← ზან. **თარ-ო**.

ს.-ქართვ. ***თერ-ო** „კიდე, თარო; ქონგური, ნაპირი“ → ქართ. **თერ-ო || თე-ო, თერ-ეგ-ი || თერ-გ-ი** ←***თერ-აგ-ი**: ზან. **თარ-ო** : სვან. **შდულ || შდურ** ←***შდორ** ←***შდჟერ-**.

სვან. **შდემ- || შტემ-**, ა-**შდემ-ე** (ოთ-**შდემ**) ზს., ლშხ., ა-**შტემ-ე** (ათჟ-**შტემ**) „თრობს“, მგ-**შდემ-ე** || მგ-**შტემ-ე** „მთრობელი“, ლგ-**შდემ-ე** ზს. || ლგ-**შტემ-ე** ლნტ., „მთვრალი“.

ქართ. **«სთVმ-»** → || **«რთVმ-»**.

ზან. **«რთომ-»**, ო-**რთომ-ელ-ი** „დიდი სასმისი (საბა)“, აჭარ. ო-**რთომ-ელ-ა-ე** „ორჯამიანი ჭურჭელი ხისა“.

ზანური ეკვივალენტი ქართულმა შემოგვინახა ო-**რთომ-ელ-ის** „სასმისი“ სახით, სადაც **ს მ ის** (ს ა ს მ ის ი) სემანტიკა ხელშესახებია, გამოყოფილი ზან. **ო—ელ-** კონფიქსი ქართ. **სა—ელ-**ის ფონეტიკურ-მორფო-

ლოგიური შესატყვისია, ხოლო ოპოზიცია კომპლექსის დონეზე სვან. **შდ** : ზან. **რთ** სავსებით ბუნებრივია.

ს.-ქართვ. ***სთVმ**- „სმა, თრობა“ → ქართ. **სთVს**- → || **რთVმ**-¹ : ზან. **რთომ**-¹, ო-**რთომ**-ელ-ი : სვან. **შდგმ**- → || **შტგმ** ←***შთგმ**-.

სვან. **შდ-გნ**- || **შტ-გნ**-, ხ-ე-**შდ-ნ**-ი (ათ-წ-**შდ-გნ**) ბზ., ხ-ე-**შდ-ნ**-ი (ეთ-ე-**შდ-გნ**) ლშხ., ხ-ე-**შტ-ნ**-ი ლნტ. „ავიწყდება“, უ-**შდ-ნ**-ა ზს., უ-**შდ-ნ**-ა ლშხ., უ-**შტ-ნ**-ა ლნტ. „დაუვიწყარი“, ლგ-**შდ-ნ**-ე ბზ., ლშხ., ლგ-**შდ-ნ**-ე ბქ., ლგ-**შტ-ნ**-ე ლნტ. „დავიწყებული, მივიწყებული“, მგ-**შდ-ნ**-ე ბზ., ლშხ., მგ-**შდ-ნ**-ე ბქ., მგ-**შტ-ნ**-ე ლნტ. „დამვიწყებელი“.

ქართ. **სთ**-, **სთ-უგნ**-, მო-**სთ-უგნ**-ა || მო-**სთ**-უ-ლ-ა „მოწყვეტა“.

ზან. (ჰან.) **სთ**-, დო-**სთ**-უნ „წყდება“, მე-**სთ**-უ „მოსწყდა“.

სვანური დავიწყების სემანტიკა ახლოს დგას ჰანურ-ქართულის მოწყდომა სთან; წყდომისა და დავიწყების გამოხატვა საერთო ფუძით უცხო არ არის ქართველური ენებისთვის — შდრ. ქართ. ვი-წყ-„დავიწყება“, წყ-დ- „მოწყდომა“, ზან. (მეგრ.) ჰყორ-დ-უ **ნ** „მეწყდება“, მ-ო-ჰყორ-დ-უ **ნ** „მავიწყდება“ : სვან. შყედ-ენ-ი „წყდება“...

ს.-ქართვ. ***სთ**- „წყდომა, დავიწყება“ → ქართ. **სთ**-, **სთ-უგნ**- || **სთ-ულ**- : ზან. **სთ**- ←***შთ**- : სვან. **შდ-გნ**- → || **შტ-გნ**- ←***შთ-გნ**-.

სვან. **შდგქ** || **შდიქ** ზს., ლშხ., **შტიქ** ლნტ. „კბილი“, ბქ., „მჭრელი“, **შდიქ**-ურ(-ა) ბზ., **შდიქ**-ურ-წ ბქ., **შდიქ**-ურ-ად ლშხ., **შტიქ**-ურ(-წ) ლნტ. „უკბილო“, ნა-**შდექ** „ნამგალი“ (მ. ქალდანი), ლგ-**შდიქ** ზს., ლშხ., ლგ-**შტიქ** ლნტ. „კბილიანი“.

ქართ. (გურ.) **თიკ**-ი „ხის ტოტი ან მსგავსად გაშვერილი ნაწილი საგნისა, სახელური“, აჭარ. **თიკ**-ერ-ა; **თიკ**-ი „ქათმის ბიბილო“; კახ. **თიკ**-ვი „თაგვი (წყლის)“.

ზან. (მეგრ.) **თიკ**-ი „ღირღილო“, **თიკ**-, გო-**თიკ**-ონ-დ-უ **ნ** „აფოფრდება“, ინა-**თიკ**-ინ-ან-ს „ენისკარტება“.

უცნაური ჩანს შეფარდება ქართ.-ზან. **კ** : სვან. **ქ**. ცვლილება სვანურის ნიადაგზეა მომხდარი — **კ** → || **ქ** : ქართ. ბაკ-ი → სვან. ბაქ, ქართ. სერთუკ-ი → სვან. სურდუქ, სვან. ქურზუნ || კურზუნ „სწრაფი სიარული“... აქვე მოსატანია ქართ. **ტვინ**- : სვან. **თჟელ** „ტვინი“.

ქართველური ფუძეებისთვის ამოსავალია გამოშვერილის, დაკბილულის, კბილიანის სემანტიკა, შდრ. კახ. **თიკ**-ვი „თაგვი“ ← ეტ. „კბილიანი“ ისევე როგორც: **კბ-ილ**-ი — **კბ**-ო ეტ. „კბილიანი“.

ს.-ქართვ. ***თიკ-** „გამოშვერილი, კბილი, დაკბილული“ → ქართ. **თიკ-ერ-ა, თიკ-ი** || **თიკ-ვი** : ზან. **თიკ-**, **თიკ-ი** : სვან. **შღჟქ** || **შღიქ** → || **შტიქ** ←***შთიკ**.

სვან. **შედ** ზს., ქს. „ჭურჭელი; ხაფანგი“.
ქართ. **სილა**, ხევს. ა-**სილა**-ა „კოდი“, **სილა**-ჭურჭელ-ი.
ზან. —.

სვანურში ბოლოკიდური **ა** მოკვეცილია, მისი არსებობის კვალი **ი** → **ე** პროცესში ჩანს (მ. ქალდანი). საყურადღებოა **ლ** → **დ** ფონეტიკური პროცესი, რასაც სხვაგანაც ვადასტურებთ (ქართ. **ცვილ-ი** : სვან. **ჯჷიდ** ← **ჩჷიდ**... იხ. § 2. **ლ** → **დ**). ამრიგად, ძველი სვანური არქეტიპი ***შილა** ტიპისა იყო — **შილა** → **შელ** → **შედ**.

ს.-ქართვ. ***სილ-ა** „ჭურჭელი, სილაჭურჭელი“ → ქართ. **სილ-ა, ა-სილ-ა** : სვან. **შედ** ←***შილ-ა**.

სვან. **შერ** „დაღლა, დაქანცვა“, ი-მ-**შერ**-ალ ზს. ქს. „იღლება“, ლი-მ-**შერ**-ალ „გადაღლა“, ლგ-მ-**შერ**-ე „გადაღლილი, დამაშვრალი“.

ქართ. **სევ-**, და-**სევ**-ება „დაღლა“, და-**სევ**-ებ-ულ-ი.

ზან. (მეგრ.) **შულ-**, **შულ-იდ**-/**შულ-ად**-, **შულ**-ად-ა „დაღლა“, **შულ**-იდ-უნ-ს „ღლის“, **შულ**-ად-ირ-ი „დაღლილი“.

-**იდ**/**ად** ზმნური სუფიქსებია ზანურში (შდრ. ქართ. **ყარ-** „ყროლა“ : ზან. **ყორ-იდ-** || **ყორ-ად-** „ყროლება“). ქართ. -**ევ**, ზან. -**ულ**, სვან. -**ერ** აფიქსები არა მხოლოდ მორფოლოგიურად შეესატყვისებიან ურთიერთს; ძირად გამოსაყოფია ს.-ქართვ. **ს-ეჷ-** „დაღლის“ მნიშვნელობით.

ს.-ქართვ. ***ს-ეჷ-** „დაღლა, დაქანცვა“ → ქართ. **ს-ევ-** : ზან. **შ-ულ-**, **შ-ულ-იდ**-/**შ-ულ-ად-** : სვან. **შ-ერ-** (შდრ. ს.-ქართვ. ***ჷეს-**).

სვან. **შიბ** ზს., ლნტ. „ხვანჯარი“.

ქართ. **სიბა** „სარტყლის ადგილი, სასარტყლე“.

ზან. (ჭან.) **შიბ**-ი „ზონარი“.

სვანურში ბოლოკიდური **ა** მოკვეცილია — **შიბა** → **შიბ** (შდრ. მეგრ. **ბოგა** → სვან. **ბოგ** „ხიდი“...).

სვანურში მნიშვნელობის ამოსავალი სახეობაა დაცული.

იქნებ მეგრული **შიბ-**, **შიბ**-უ-ა „წვნა“ ზმნაც აქვე შემოვიდეს.

ს.-ქართვ. *სიბ-ა „სარტყელი, საწელო, ხვანჯარი“ → ქართ. სიბ-ა : ზან. შიბ-, შიბ-ი : სვან. შიბ- ← შიბ-ა.

სვან. შიგელ ზს., ქს. „საწურიდან ამოღებული ჭყინტლი ყველის შე-სანახი ჭურჭელი (შეიძლება იყოს ყუთის ფორმის, ან ტკეჩისგან მოწნული კ ა ლ ა თ ი)“.

ქართ. ცეკა „კალათი“.

ზან. (მეგრ.) ჩაკა „დაწნული კალათი, გიდელი“.

მნიშვნელობის მხრივ სვანურისთვისაც ამოსავალი მოწნული კ ა ლ ა თ ი ს ე მ ა უ ნ და ი ყ ო ს .

ფუნქციურად -ელ (შდრ. ლტინ-ელ : ლვინ-ლ...) სვანურში ქართ.-ზან. ა-ს შეესატყვისება. შესატყვისობა მორფოლოგიურია, და არა-ფონე-ტიკური. თავიდან *ჩეგ-ელ- უნდა გვექონოდა სვანურში, საიდანაც ჩ → შ სპირანტიზაციით და ე — ე → ი → ე დისიმილაციური გადაბგერებით შიგ-ელ მივიღეთ. ქართ.-ზან. კ : სვან. გ შეფარდებაში უძველესია გ. ამას იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემები ამტკიცებენ.

ქართული ცეკ-ა ძირი ძვ. ბერძნულმა შეითვისა საკ- „ტომარა“ სა-ხით: ცეკა → საკ.

ს.-ქართვ. *ცეგ-ა) „ცეკა, კალათი, ყუთი“ → ქართ. ცეკა ← *ცეგ-ა : ზან. ჩაკ-ა ← *ჩეგ-ა : სვან. შიგ-ელ ← *ჩეგ-ელ.

ს.-ქართვ. *ცეგ-ა-ს დაღესტნური შესატყვისებია: ლოდ. ჩაგ-ი, ჭამ.

ჩაგ, ტინდ. ჩაგი, ახვან. შაგი, ხუნდ. ხ'აგ ← შაგ, დიდ. შაგ, ჰინ. შოგ, ხვარშ. შაგ || შოგ, კაბ. შაგ, ჰუნზ. შაგ „ქვაბი, ჭურჭელი“...

სვან. შიდ ზს., ქს. „ნებადართულია, შესაწყნარებელია, შეიძლება, რელიგიური ეთიკით დასაშვებია“, მადე შიდ „არ შეიძლება“...

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) შინ-, შინ-ერ-, შინ-ერ-ს „ნებადართულია, შესაწყნარე-ბელია, ეთიკით დასაშვებია“, ვა-შინ-ერ-ს „არ შეიძლება“..., მ-ი-შინ-ერ-ს „ჩემთვის შეიძლება, შემძლია“, ვა-მ-ი-შინ-ერ-ს „ჩემთვის არ არის ეთიკით ნებადართული“, შდრ. ჭან. შენ-ერ-ი.

ქართულში სავარაუდო «სინ-/სიდ-» ვერ გამოვავლინეთ.

სვანური შიდ და მეგრული შინ-ერ- შინაარსობრივ ფარავს ერთმა-ნეთს. ფონეტიკური სხვაობა ნ/დ ადვილი ასახსნელია. ნ || დ მონაცვლეო-ბა სვანურსაც ახასიათებს (ხ-ე-წა-დ-ი || ხ-ე-წენ-ი „ეშველება“) და მეგრულ-საც (ჯუნა || ჯუნა „კონა“). ჭანური შენ-ერ-ი ← შინ-ერ-ი „თავისუფა-ლი“ ალბათ იგივე ფუძეა, რაც მეგრული შინ-ერ-.

ს.-ქართვ. *სინ(დ)- „რელიგიით, ეთიკით შესაძლებელი, ნებადართული“ → ქართ. *სინ-/*სიდ- : ზან. შინ-ერ- → || შენ-ერ-ი: სვან. შიდ.

სვან. შიჟ- || ში-, ი-ში-წლ ბზ., ი-ში-წლ ლშხ., ი-ში-წლ ბქ., ლნტ. „ჩხუბობს“, ლი-ში-წლ ბზ., ლი-ში-წლ ბქ., ლნტ., ლი-ში-წლ ლშხ. „ჩხუბი, ომი“, ნწ-ში-წლ-ჟ ბზ., ნწ-ში-წლ ბქ., ლნტ., ნა-ში-წლ ლშხ. „ნაჩხუბარი“.

ქართ. სევ-/სივ-, ე-სევ-ა/ე-სი-ა, თუშ. სივ-, მ-სივ-ან-აჟი „ბუტია“, გა-სივ-ებ-ა „გაბუტვა, ჩხუბი“, ქართლ. ა-სეულ-ი ← ა-სევ-ილ-ი „ნაჩხუბარი“. ზან. —.

ქართულში შეიმჩნევა ფუძის აბლაუტი — ე/ი, სვანურში მხოლოდ ი გახმოვანებაა გავრცელებული. აქ ჟ დაკარგულია: შიჟ- → ში-.

ს.-ქართვ. *სიჟ-/*სიჟ- „ჩხუბი, გაბუტვა, დასევა“ → ქართ. სევ-/სივ- : სვან. ში- ← შიჟ-.

სვან. შიშდწ ბზ., შიშდიქ ლშხ. „ლილი; დუგმა“.

ქართ. ჩათ-ო (ფშ. ჩათ-უა) „თასმა, რომელსაც ბოლოში რკინის რგოლი აქვს (ქეგლი)“.

ზან. —.

ქართული ჩათ-ი ძირის შესატყვისად სვანურში მოსალოდნელი იყო *ჩქაშთ-ი, საიდანაც ქ (→ გ) ს მეტათეზით სიტყვის ბოლოში და ა → გ → ი გადასვლით თანამედროვე ფორმები განვითარდა — ქართ. ჩათ- : სვან.

*ჩქაშთ-ი → *შქაშდ-ი → *შგშდაქ → შიშდწ || შიშდიქ.

სიტყვის თავიდან შდ კომპლექსის მეორე წევრის აუსლაუტში გადასმის სხვა მაგალითიც არის გამოვლენილი, შდრ. ქართ. თხუნ-ელ-ა : სვან.

შ ი ხ უ ნ დ ← *შ დ ი ხ უ ნ „ძლოკვი“ (იხ. აქვე, § 30).

ს.-ქართვ. *ჩათ- „რკინის რგოლიანი თასმა; ლილი“ → ქართ. ჩათ-ო || ჩათ-უა : სვან. შიშდიქ || შიშდწ ← *შგშდაქ ← *შქაშდ-ი ← *ჩქაშთ-ი.

სვან. შიხუნლ ბზ., შიხუნდ ლშხ., შიხუნდ ლნტ. „ძლოკვი, ანკარა“.

ქართ. (მ) თხუნ-ელ-ა.

ზან. (ჰან.) მ-თხოლ-არ-ი „ხვლიკი“.

ქართულ-ზანური თ-ს შესატყვისი შდ კომპლექსი სვანურში გაიხლიჩა, დანაწევრდა; კერძოდ, მისი მეორე დ კომპონენტი ბალსზემოურ დიალექტში დაიკარგა, ხოლო ლაშხურსა და ლენტეხურში გადასმულია სიტყვის ბოლოში — *შდისუნ → შიხუნდ || შიხუნდ || შიხუნლ. სვანურში ფუძის შიგნით ლ || ნ მონაცვლეობა შეინიშნება, რაც ქართულ-ზანურ

ფუძეთა შეპირისპირებაშიც გამოჩნდება — ქართ. მ-თხუნ-ელ- : ზან. მ-თხოლ-არ-; ქართ. ე : ზან. ა კანონზომიერია.

ს.-ქართვ. *თხუნ-ელ- „თხუნელა, ხელიკი, ძლოკვი“ → ქართ. მ-თხუნ-ელ-ა || თხუნ-ელ-ა || თხუნ-ელ-ი : ზან. მ-თხოლ-არ-ი : სვან. შიხუნდ || შიხულ ←*შიხუნ || ლ.

სვან. შირ- || შირ-, ა-შირ-ე ბზ., ა-შირ-ე ბქ., ა-შირ-ე ლშხ. „ფქვავს“, ლა-შირ-ა ბზ., ლა-შირ-ა ბქ., ლნტ., ლა-შირ-ა ლშხ. „ხელსაფქვავი“, ლი-შირ-ე ზს., ლშხ., ლი-შირ-ე ლნტ. „დაფქვა“.

ქართ. ცარ- → || ცერ-, აღ-ვ-ცარ, სა-ცერ-ი, ცრ-ი-ს.

ზან. ცორ- → || ცვრ- || ცირ-, ცვრ- || ცირ-უნ-ს „ცრის“, ო-ცვრ-ალ-ი „საცერი“, ჭან. ბ-ცორ-უმ „ვცრი“, ბ-ცორ-ი „გავცარ“, ო-ნცორ-უ „საცერი“.

ცრა ~ ფქვა სემანტემათა იგივეობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

სვანურში ანლაუტური შ კანონზომიერი შესატყვისია ქართული ც-სი — ც : ჩ → შ; შდრ. ქართ. ცენ- : სვან. შენ- (მა-შენ „ნაყოფი“), ქართ. ცეკ-ა : სვან. შიგ-ელ... ქართ. ა : სვან. ი მიმართებისას უფრო ძველი ვითარება ქართულს დაუცავს (შდრ. ქართ. ძალ-ი : სვან. ჯილ „სი-მი“...).

საინტერესოა, რომ ზანურში სისინა ვარიანტებია მხოლოდ წარმოდგენილი, როცა სვანურში გაშიშინება სახეზეა; ცხადია, ზან. ცორ- ←*ჩორ-.

ს.-ქართვ. *ცარ- „ფქვა, ცრა“ → ქართ. ცარ- → || ცერ-, სა-ცერ-ი : ზან. ცირ- || ცვრ- || ცორ- ←*ჩორ- : სვან. შირ- || შირ- (←*ჩარ-).

ს.-ქართვ. ცარ- „ცრა“ ძირს სახელური ფორმები შეესატყვისება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში „საცერის“ მნიშვნელობით: ნახ. ცა-ცა, ხუნდ. სუსუ-კუ, ანდ. სუსუ-კუ, კარ., ბოთლ. სუსუ-კუ, ახვან. შუშუ-კე „საცერი“; აქ ფუძის გაორკეცება საცნაურია — ნახ. ცა-ცა, დად. სუსუ ←*ცუ-ცუ...

სვან. შკუნთ-, ხ-ე-შკუნთ-ი ბზ., ლშხ., ხ-ე-შკუნთ-ი ლნტ. „ეკრუნჩხება, ეკუნთება“, ი-შკუნთ-ი ბზ., ლშხ., ი-შკუნთ-ი ლნტ. „მოიკრუნჩხება, მოიკუნთება“, ლი-შკუნთ-ე ბზ., ლშხ., ლი-შკუნთ-ე ლნტ. „მოკრუნჩხვა, მოკუნთვა, მობუზვა“.

ქართ. ჭინთ, ჭინთ-ვ-ა, ი-ჭინთ-ებ-ა, მო-ჭინთ-ულ-ი, ჭინთ-ი. ზან. —.

სემანტიკური თვალსაზრისით აღწერილ საერთოქართველურ ფუძეთა ერთიანობა ეჭვს არ იწვევს: **ჭინთვა**, **კრუნჩხვა**, **კუნთვა** საერთო სემანტიკური ველის წევრებია.

შედარებითი ფონეტიკის თვალთახედვით მნიშვნელოვანია ქართ. **ჭ** : სვან. **შკ**, რაც ამოსავალში სვანურ **ჭკ**-ს ვარაუდობს —**ჭკ** → **შკ**.

გასარკვევია მიმართება ფუძის ხმოვნით ნაწილში — სვან. **უ** : ქართ. **ი**; აქ სვანური უფრო ძველ მდგომარეობას აჩვენებს. ვფიქრობთ, რომ ამ მაგალითში **უ** ისევე გადავიდა **ი**-ში, როგორც **ფიც**-ის შემთხვევაში; შდრ. ძვ. ქართ. **ფუც**- → ახ. ქართ. **ფიც**- (გ. როგავა) : ზან. **ფუჩ**-, ქართ. **მძუძე** → || **ძიძა** (არნ. ჩიქობავა)... ასევე **ჭუნთ**- → **ჭინთ**-.

ს.-ქართვ. ***ჭუნთ**- „ჭინთვა, კრუნჩხვა, კუნთვა“ → ქართ. **ჭინთ**-ი, **ჭინთ**- (←***ჭუნთ**-) : სვან. **შკუნთ**- || **შკუნთ**- ←***ჭკუნთ**-.

სვან. **შკუწმფ**- || **შკუემფ**-, ა-**შკუწმფ**-ე ბზ., ლშზ., ა-**შკუემფ**-ე ბქ., ლნტ. „გაჯონავს“, ლი-**შკუწმფ**-ე ბზ., ლშზ., ლი-**შკუემფ**-ე ბქ., ლნტ. „გაჯონავს“, მე-**შკუწმფ**-ე ბზ., ლშზ., მე-**შკუემფ**-ე ბქ., ლნტ. „გამჯონავს“.

ქართ. **წკებლ**-ი || **წკებლ**-ა, **წკებლ**-, გა-**წკებლ**-ა, **წკებ**-ა.
ზან. (მეგრ.) **ჭკვაბ**-, **ჭკვაბ**-უა „გაწკებლა“, გო-**ჭკვაბ**-უ „გაწკებლა“, „სცემა“.

სვანური ანლაუტში **შკ**-ს იძლევა ს.-ქართვ. **წკ**-ს შესატყვისად — **წკ** → **ჭკ** → **შკ**. ქართ. **ლ**-ს შესატყვისი **წ** (**წკებლ**- : **შკუემფ**-) ფუძის შიგნითაა გადასმული — სვან. **შკუემფ**- ←***შკემფ**-წ; ხოლო **მ** ფონეტიკური დანართია.

ამრიგად, ს.-ქართვ. **წკებლ**-ისგან სვანური **შკუემფ**- განვითარდა შემდეგი ფონეტიკური პროცესებისა და საფეხურების გავლით: **წკებლ**- → სვან. ***ჭკებლ**- (დისიმილაციური გამჟღერებით) → ***შკუემფ**- (დაყრუებით **ბ** → **ფ**) → **შკუემფ**- (მ-ს განვითარებით).

სვან. **შკუემფ**-, ქართ. **წკებლ**- ნასახელარი ზმნებია; ზან. **ჭკვაბ**- იძლევა თითქოს ზმნური ს.-ქართვ. **წკებ**-ის შესატყვისს (შდრ. ქართ. **წკებ**-ა „წელით ცემა“ (საბა)).

ს.-ქართვ. ***წკებლ**-, ***წკებ**- „გაწკებლა“ → ქართ. **წკებლ**-, **წკებ**- : ზან. **ჭკვაბ**- (ქართ. **ე** : ზან. **გა**— შდრ.: **ელ**-ავ-ს : **ვალ**-უნ-ს) : სვან. **შკუემფ**- ←***ჭკებლ**-.

სვან. **შკვფ**-გნ-, ა-**შკვფ**-გნ-წლ-ი (აღ-**შკვფ**-გნ-წლ-ე) ბზ., ა-**შკვფ**-გნ-წლ-ი (აღ-**შკვფ**-გნ-წლ-ე) ბქ., ლნტ., ა-**შკვფ**-გნ-წლ-ი (აღ-**შკვფ**-გნ-წლ-ე) ლშზ. „აკაკუნებს“.

ქართ. **წკაბ-ნ**, **წკაბ-ნ-ი** „წვეთის ჳმა“ (საბა), უ-**წკაბ-უნ-ებ-ს** (საბა).
ზან. (მეგრ.) **ჭკვაბ-**, **ჭკვაბ-აფ-** || **ჭკვაბ-ინ-ი** „წკაპნი; რაიმე ნივ-
თის დაცემის ხმა“.

საერთოქართველური **წკ** კომპლექსი სვანურში ჯერ **ჭკ**-ს სახით იყო
წარმოდგენილი, ხოლო მომდევნო ეტაპზე განხორციელდა **ჭკ** → **შკ** (იხ.
წინა ნიმუში): **წკაბ-** → სვან. ***ჭკაბ-** → **შკგბ-** → **შკგფ-**.

ს.-ქართვ. ***წკაბ-** „დაცემის ხმა“ → ქართ. **წკაბ-** : ზან. **ჭკვაბ-**
(←***ჭკობ-**) : სვან. **შკგფ-** (←***ჭკაბ-** ←***ჭკაბ-**; **პ** → **ბ** დისიმილაციური
გამჟღერება).

ქართ. **შოლტ-**, **შოლტ-ი** „ტყავის ანაჭერი გრძლად“ (საბა).

ზან. (მეგრ.) **შქვერთ-**, **შქვერთ-ი**, **შქვერთ-ია** „შოლტი“.

სვან. —.

საერთოქართველური **ლთ-** ქართულში **ლტ-**ში გადავიდა (შდრ. ყინ-
წვისი || ← ყინცვისი (ქ. ლომთათიძე)); **თ** → **ტ** ქართულში **ლ-**ს მიეწერე-
ბა. **ლ** → **რ** თანხმოვნის წინ ცნობილი წესია მეგრულში (გ. როგავა).
იმერ., გურ., აჭარ. **შხვერთ-ი** ზანურიდანაა შეთვისებული.

ს.-ქართვ. ***შოლთ-** „შოლტი“ → ქართ. **შოლტ-** : ზან. **შქვერთ-**
←***შქორთ-**.

სვან. **შომ-**, **შომ-ა** „როდის, რა დროს“, **შომ-ად** „რა დრომდის“,
შომ-რი-ას „ოდესღაც“.

ქართ. **სავან-**ი „ცხოვრება“.

ზან. (მეგრ.) **შვან-**ი „დროება, ხანა“.

„დროის“ გაგება საგრძნობია სამსავე ქართველურ ენაში.

უფრო რთულია ფორმალური მიმართება — ქართ. **სავან-** : ზან.

შვან- : სვან. **შომ-**. თეორიულად **სავან-** ფორმას ზანურში ***შოვონ-** უნდა
მოეცა (ქართ. **ს** : ზან. **შ**, ქართ. **ა** : ზან. **ო**), გვაქვს კი **შვან-**. რატომ?
— საქმე იმაშია რომ მეგრულში ერთმანეთის მეზობლად ორი **ო** (**ოო**)
ვერ ძლებს და აუცილებლად გვაძლევს **აა-**ს, შდრ. ქარნეჩი-ი „ორმოცი“
←***ქორნეჩ-ი**, ასევე ***შოვონ-ი** → ***შვან-ი** → **შვან-ი**. ხოლო სვანურში
სავარაუდოა, რომ განხორციელდა **ჟა-**ს შერწყმა **ო-**დ, აუსლაუტში კი —
ნ → **მ** (იხ. აქვე, § 13) — ქართ. **სავან-** : სვან. ***შაჟან** → ***შონ** →
შომ.

ს.-ქართვ. ***საჟან-** „დროება, ცხოვრება, ხანა“ → ქართ. **სავან-ი** :
ზან. **შვან-ი** ←***შვან-ი** ←***შოვონ-ი** : სვან. **შომ-** ←***შონ-** ←***შაჟან-**.

სვან. **შონ-** || **შონ-**, ხ-**შონ-**წლ ბზ., ხ-**შონ-**წლ ბქ., ლნტ., ხ-**შონ-**წლ ლშხ. „შურს“, ლი-**შონ-**წლ ბზ., ლი-**შონ-**ე ბზ., ლშხ., ლი-**შონ-**ე ბქ., ლნტ. „შური, შეშურება“, ნა-**შონ** ბზ., ლშხ., ნა-**შონ** ბქ., ლნტ. „შენაშურები“.

ქართ. **სურ-**, მ-**სურ-**ს, **სურ-**ი-ს, მო-**სურ-**ნ-ე, **სურ-**ვ-ი-ილ-ი.

ზან. **შურ-**, ო-**შურ-**უ „შურს“, ვად-ი-**შურ-**უ-ა „არ დაინანო“.

და ნ ა ნ ე ბ ი ს ს ე მ ა ს ვ ა ნ უ რ ი ს თ ვ ი ს ა ც ა რ ი ს დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი ი-**შონ-**ე „ინანებს“, ლი-**შონ-**ე ბქ. „დანანება“.

მნიშვნელობის თვალსაზრისით ამოსავალია ს უ რ ვ ი ლ ი ს გაგება, შდრ. მ-**სურ-**ს || მ-**შურ-**ს (← ზან.) ზუსტი სტრუქტურულ-მორფოლოგიური ანალოგია.

სვანურში შეინიშნება რ → ნ გადაბგერება, რაც გავრცელებული პროცესია (განსაკუთრებით ზმნებში) ამ ენაში: ***შორ-** → **შონ-**.

ს.-ქართვ. **სურ-** საერთო წარმომავლობისაა **სულ-/სუნ-** „სული, სუნნი“ ლექსემებთან ერთად. რ/ნ/ლ მონაცვლეობა მორფოლოგიური უნდა იყოს (გ. დეეტერსი).

ს.-ქართვ. ***სურ-** „სურვილი → || შური“ → ქართ. **სურ-** : ზან.

შურ- : სვან. **შონ-** ← ***შორ-**.

სვან. **შუ/ში** „ხელი“.

ქართ. **სუ-ე** || **სვ-ე** „ფრთა“.

ზან. (მეგრ.) **ფსუ-ა** || **ფსუ-ა(ლ)**, ჭან. **ფსუ-ა** || **სუ-ალ-** „ფრთა“.

სვანური გახმოვანების ძველი სახეობა შენარჩუნებულია მიც. ბრუნვის ფორმაში **შუ-ნ** „ხელს“. სვანური **შუ** საერთოქართველური **სუ-ე**‘ს კანონზომიერი შესატყვისია ი-ს დაკარგვითა და ს → შ გადაბგერებით — **ში/შუ** ← ***შუ-ი** || ***შუ-ელ-**.

პრობლემური არ უნდა იყოს კორესპონდენცია სემანტიკურ დონეზე — ქართ.-ზან. ფ რ თ ა ~ სვან. ხ ე ლ ი ; ფ რ თ ა გარკვეული თვალსაზრისით ხელის გაგებასაც შეიცავს. ზანურში საცნაურია შ ი შ ი ნ ა → ს ი ს ი ნ ა პროცესი.

ს.-ქართვ. ***სუ-ე(ლ-)** „ფრთა, ხელი“ → ქართ. **სუ-ე** || **სვ-ე** : ზან.

ფსუ-ა || **სუ-ა** (← ***შუ-ალ-**) : სვან. **ში/შუ** (← ***შუ-ელ-**).

ს.-ქართვ. ***სუ-ელ-** არქეტიპს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: ანდ. **ლ’ირო**, ლოდ. **ლ’ერუ**, ჭამ. **ლ’ერუ**, ტინდ. **ლ’ირო**, ახვახ. **ლ’ირო**, ბაგვ. **ჰილუ** ← **ლ’ილუ** : დიდ. **ლეღ** ← **ლ’ელ**, ხვარშ. **ლიღ** ← **ლ’ილ** „ფრთა“... ს.-ქართვ. ს : ს.-დად. **ლ’** ბუნებრივია (იხ. ***სიმ-ურ-ი** აქვე), ბოლოკიდური უ/ჟ/ო დაღესტნურში

ს.-ქართვ. **ჟ**-ს ეფარდება — ***სჟელ**- — **ლ'ერუ** ←***ლ'უერ**-, ხოლო **ლ** → **რ** დაღესტნურში ს.-ქართვ. **ლ**-ს შეიფარდებს.

სვან. **შუა** „დარდი, ზრუნვა, ფიქრი“.
ქართ. **სუე** || **სვე** „ბედი, სვე, იღბალი“.
ზან. —

ზანურში შესაბამისი ფუძე არ ჩანს. შეიძლება სვანური **შუა** ზანისმად მიგვეჩნია, ამას შესატყვისობა ხმოვნებში ქართ. **ე** : ზან. **ა** დაედებოდა საფუძვლად. და მაინც, ჩვენ თავს ვიკავებთ ამგვარი კვალიფიკაციისაგან.

ს.-ქართვ. ***სჟ-ე** „ბედი; დარდი“ → ქართ. **სჟ-ე** || **სვ-ე** : სვან. **შუ-ა** (←***შჟ-ა**).

ქართ. **შუანი** „მჯეცთა და ძალთა მაგარნი და დიდნი კბილნი (საბა)“.
ზან. (მეგრ.) **ჩქვალ**-, **ჩქვა** „ეშვი“, **ჩქვალ-ეფი** „ეშვები“.

სვან. **ჩქუა** (მრ. რ. **ჩქუარ-არ**) „ეშვი“ (?).

ჩვენ ეჭვს გამოვთქვამთ, იქნებ ბალსქვემოური **ჩქუა** (მრ. რ. **ჩქუარ-არ**) „ეშვი“ არ იყოს ზანურიდან ნასესხები.

ბოლოკიდური **რ** სვანურში, **ლ** ზანურში და **ნ** ქართულში ფუძის კუთვნილებაა (დეტერმინანტი). ქართ. **ნ** : სვან. **რ** ახსნილია **ნ** → **რ** პროცესით სვანურში (იხ. აქვე §, 12), ხოლო ქართ. **ნ** : ზან. **ლ** შეფარდებაზე სვავანაც შევნიშნავდით (იხ. ქართ. **სვანი** : ზან. **შურ-ო** ←***შულ-ო...**).

ს.-ქართვ. მდგომარეობისთვის **ჩუალ**- არქეტიპს ვვარაუდობთ, რადგანაც **ჩ** → **შ** სპირანტიზაცია ქართულმა განიცადა.

ს.-ქართვ. ***ჩუალ**- „ეშვი“ → ქართ. **შუანი** (←***ჩუანი**) : ზან. **ჩქვალ** : სვან. **ჩქუარ**.

ს.-ქართვ. ***ჩუალ**- „ეშვი“ სიტყვას პარალელები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიური ენებიდან: ნახ. **ცერ**- || **ცარ**-(გ/კ) „კბილი“, ხუნძ. **ცა** ← **ცალ**, ანდ. **სოლ** ←***ცოლ**, აზვახ. **ჩილო**, კარ. **სალი** ←***ცალი**, ტინდ. **სალუ** ←***ცალუ**, ჭამ. **სალ** ←***ცალუ**, ბოთლ. **სალუ** ←***ცალუ**, ბეჟიტ. **სილა** ← **ცილა**, ხვარზ. **სელ** ← **ცელ**, დარგ. **ცულა**, თაბას. **სილ-იბ**, აღ. **სელ-ებ**, რუთ. **სგლა**, წახ. **სილი**, ბუდუხ. **სილ**, ხინ. **ცულ-ოზ**, უდ. **ულ-უხ** ← **ცულ**- (**უხ** მრ. ნიშანია) „კბილი“ (შდრ. აფხაზ. ა-ც, ადიღ. **ცვ**, ყაბ. **ძვ** ← **ცა** „კბილი“). წ.-იბ.-კავკ. სათანადო ძირი ***ცუალ**-სახეობისა უნდა ყოფილიყო.

სვან. **შუმ-** || **შემ-** || **შუმ-**, ხ-ე-**შმ-** (ლა-ხ-**შემ**) ზს., ხ-ე-**შუმ-** (ოხ-**შუმ-**ენ) ლშხ., ლნტ. „ეხმინება, ეხმაურება“.

ქართ. **სამ-**, **სიმ-სამ-** || **ციმ-ცამ-** (დიალ.) „ჩამიჩუმი“.

ზან. (მეგრ.) **შუმ-**, **შუმ-ორ-ი** „ხმიანობა, ხმაური, ჩამიჩუმი“.

ზანური ფუძე ნაზმნარი სახელია **შუმ-** „ხმაური, შეხმინება“ ზმნი-სა; **-ორ** ქართ. **-ოლ** სუფიქსის შესატყვისია. უძველესი გახმოვანება საერთო ქართველური ფუძისა **ა-**ნიანი უნდა ყოფილიყო — ***სამ-**. **უ-**ს პოვნეირება სვანურში შედეგია **ა-**ს ლაბიალიზაციისა მ-სთან მეზობლობაში — ***შამ-** → **შუმ-**. სავარაუდლოა აქვე გაერთიანება ქართ. **სემ-** „სმენა“ ძირისა.

ს.-ქართვ. ***ს-ამ-** „ხმიანობა, გამოხმაურება“ → ქართ. **სამ-** : ზან. **შუმ-ორ-** : სვან. **შუმ-** || **შემ-** || **შუმ-** (←***შამ-**).

ქართ. (იმერ.) **შუშა** „ახალი, ნორჩი, თოთო“.

ზან. (მეგრ.) **შქეშქილა** || **შქიშქილა** „ახალი, თოთო, ნორჩი (ხორცზე იტყვიან).“

სვან. —.

მეგრულში სიტყვის მნიშვნელობა დავიწროებულია. აქ საინტერესოა **უ** → **გ** || **ი** პროცესი (გ. როგავა) — ***შქუშქილ-ა** → **შქეშქილ-ა** || **შქიშქილ-ა**.

ს.-ქართვ. ***შუშ-** „ნორჩი, თოთო“ → ქართ. **შუშ-ა** : ზან. **შქი-შქილ-ა** || **შქეშქილ-ა** ←***შქუშქილ-ა**.

სვან. **შუშხუამ** ბზ., ლნტ. **ფეშხუამ** (← **შეშხუამ**) ბქ., **შუშხუამ** ლშხ. „წინაღლე (ახალი წლისა)“.

ქართ. **სისხამ-**, **სისხამ** დილით.

ზან. —.

მნიშვნელოვანია სემანტიკური შესატყვისობა ქართველურ ენებში — ქართ. **სისხამ-** „დილით ადრე“ ~ სვან. **წინაღლე**.

ს.-ქართვ. ***სისხამ-** „ადრე“; „წინაღლით“ → ქართ. **სისხამ-** : სვან. **შუშხუამ** || **შუშხუამ** (←***შიშხამ**).

სვან. **შუ-**, **ჰ-შუ-** ბზ., ლშხ., **ა-შუ-** ბქ., ლნტ. „ანთებს“, **ლ-შუ-** ბზ., ლშხ., **ლი-შუ-** ბქ., ლნტ., „დანთება“, **ლი-შუ-წლ** ბზ., **ლი-შუ-წლ** ბქ., ლნტ., **ლ-შუ-წლ** ლშხ. „ცეცხლის დანთების დრო“, **რ-შუ-წლ** ბზ., **ი-შუ-წლ** ბქ., ლნტ., **რ-შუ-წლ** ლშხ. „ინთება (ცეცხლი)“.

ქართ. ცი-, ცი-ა „ცეცხლი“, ცი-ალ-ი || ცი-აგ-ი || ცი-ატ-ი „ნათება“, ცი-აგ-ობ-ს „ნათებას, კიაფობს“.

ზან. —.

ქართულ-სვანური ფუძეების დაკავშირება გარდა სემანტიკური იგივეობისა, ეყრდნობა ბგერათშესატყვისობათა ჩვენებას ქართ. ც : სვან. შ (← ჩ) (ნ. მარი, ვ. თოფურია, გ. როგავა...). ქართულში მოკვეცილია ისტორიული გ თანხმომავანი, რომელიც სვანურმა რედუქციის მომდევნო საფეხურზე შემოგვინახა. დაკარგული ე ხმოვნის კვალი ჩანს წინამავალ ხმოვნის (ა, ო) საკომპენსაციო სიგრძეში. ამოსავალი სახე შეპირისპირებული ფუძეებისა უნდა ყოფილიყო — *ცევ-/*ცივ- : *ჩეჟ-/*ჩიჟ-.

ს.-ქართვ. *ციჟ-/*ციჟ- „ნათება, ცეცხლი, წვა“ → ქართ. ცი- ← *ცივ- /*ცევ- სვან. შჟ- ← *ჩჟ- ← *ჩეჟ- /*ჩიჟ-.

საერთოქართველური *ციჟ-/*ციჟ- შეიძლება ჩანდეს ქართული ცივ-ი სიტყვაშიც (შდრ. ს-ი-ცხ-ე/სუ-სხ-ი ← *სუ-ცხ-ი; ქართ. ცხ-რ-ო : ზან. ჩხ-ურ-ჟ). მასვე უკავშირდება აფხაზური ა-მცა „ცეცხლი“ (ა-ნცაა „ღმერთი“)...

სვან. შჟათ ბზ., შჟათჟ ბქ. „სალესი ქვა“; ლხმ. „ფიქალის მაგვარი თლილი ქვა“.

ქართ. სათ-ი „გიშერი“, მა-სათ-ი „სალესი, სასრევი“, ხევს. მა-სანთ-ო „კეცეული“.

ზან. შოთ-ი „შოთი“.

საერთოქართველური სათ- ძირის შესატყვისი ზანური ერთეული უნდა ჩანდეს ქართულ შოთ-ი სიტყვაში, შდრ. შოთ-ის პური „კეცზე შემწვარი პური“ (ქართ. ს : ზან. შ, ა : ო).

სვანური ფორმებიდან არქაულია ბალსქვემოური შჟათ-ჟ ვარიანტი, საიდანაც ჟ-ს მეტათეზისით ბალსზემოურში შჟათ დამკვიდრდა — შჟათ-ჟ → შჟათ. ბოლოკიდური -ჟ ← -ო სადერივაციო სუფიქსი სვანურში (შათ-ჟ) ქართულ მა-ს ეტოლება ფუნქციურად (მა-სათ-ი).

ქართველური სემანტემები კეცი (შოთი), კეცეული (მა-სანთ-ო), სალესი ქვა (შჟათ || შჟათჟ, მა-სათ-ი), გიშერი (სათ-ი) საერთო ჯამში მაგარი ქვის (გიშერის?) ვარიანტებად მიიჩნევა.

სომხური სათ ქართულიდანაა შეთვისებული.

ს.-ქართვ. *სათ- „გიშერი“, მა-სათ- → ქართ. სათ-ი, მა-სათ-ი, მა-სანთ-ო ← მა-სათ-ო : ზან. შოთ-ი : სვან. შჟათ || შჟათჟ ← *შათ-ო.

ს.-ქართვ. *სათ-, მა-სათ- (← წ.-ქართვ. *სად-, *მა-სად-) უკავშირდება ოქროს აღმნიშვნელ ძირებს მთის იბერიულ-კავკასიური ენებიდან: აღილ. დგჰ ← *სგდჰ, ყაბ. დგჰ ← *სგდგ; ინგ. დოშუჟ ← *შად-უჟ, ჩაჩნ. დეში || დეშიჟ || დაშუჟ ← *შად-უჟ (ს.-ნახ. *შად-ეჟ);

ხუნდ. მე-სედ, ანდ. მი-სიდი, ბოთლ. მი-სიდი, ღოდ. მი-სიდი, ჭამ. მი-სუდ, ტინდ. მი-სედი, კარ. მე-სედ, ახვახ. მი-სიდი, დარგ. მუ-სი ← მუ-სიდ, ლაკ. მუ-სი ← *მუ-სიდ, არჩიბ. მი-სირ- ← *მი-სიდ, უდ. მი-ს ← მი-სიდ „სპილენძი“, ხინ. მი-ს ← *მი-სიდ „ოქრო“.

სვან. შუარ ზს „წყლული, იარა“ (შდრ. შუარ-ა-შ-ბაღე ბქ., შუარ-ა-ბაღე ლშბ. „მრავალძარღვა“ ← ეტ. „იარა ფოთლება“).

ქართ. სვრ-ე, სვრ-ელ-ი.

ზან. სვარ-, სვარ-უ-ა, ო-სვარ-უ „ჭრა“.

ზანურ-სვანურის ჩვენებით ფუძე ქართულშიც გახმოვანებული უნდა ყოფილიყო — სვერ- || სუერ-.

სვანურში ბოლოკიდური მასდარისეული -ა სუფიქსი მოკვეცილია (შდრ. შუარ— შუარ-ა-შ-ბაღე), რომელმაც გამოიწვია ძირისეული ე → წ → ა ცვალემა (მ. ქალდანის წესი). ზანურში აქაც სახეზეა შიშინა სიბილანტის გასისინება — შ → ს.

ს.-ქართვ. *სუერ- „ჭრა“ → ქართ. სვრ-ე, სვრ-ელ-ი : ზან. სვარ- ← *შვარ- : სვან. შუარ- ← *შუერ-ა.

სვან. შუწლ „ხვლიკი“.

ქართ. მ-სვლ-იკ-ი „ხვლიკი“, მესხ. სვენ-ა „მინდვრის მწვანე ხვლიკი“, მ-სუენ-ი (საბა), ხევს., მონ., თუშ., იმერ. ფ-სვენ-ი „უშხამო გველი“.

ზან. (მეგრ.) შველ-ა „უშხამო გველი, გველნოკერა“.

სვანურ-ზანური არკვევს ქართული ძირის ისტორიას, უძველესი ფორმა სუელ-ა ტიპისა უნდა ყოფილიყო (შდრ. მესხური სვენ-ა). ნ || ლ მონაცვლეობა ქართულის შიგნით ძვირფასი ფაქტობრივი მასალაა ქართ. ნ : ზან. ლ || რ შესატყვისობის ისტორიის კვლევისას (სვან-ი : შურ-ო).

ბოლოკიდური ა სვანურში მოკვეცილია, მის არსებობას ამტკიცებს ე → წ გადასვლა ინლაუტში — სვან. შუწლ ← *შუელ-ა (შდრ. ნათ. ბრ. შუალწ-შ).

ს.-ქართვ. *სუელ-(ა) „უშხამო გველი, ძლოკვი, ხვლიკი“ → ქართ. სვენ-ა, მ-სვლ-იკ-ი, მ-სუენ-ი || ფ-სვენ-ი : ზან. შველ-ა : სვან. შუწლ- ← *შუელ-ა.

ს.-ქართვ. *სუელ-(ა) არქეტიპს შეესატყვისება ს.-ნახ. *სუალ-ორ „კვერნა“, შდრ.: ინგუშ. სოალარ, ჩაჩნ. სნლორ || სალუარ || სალოლოურ || სალოლორ...

სვან. **შუ-წრ-**, **შუ-ინ-**, ხ-ე-**შუტრ-**ი (წ-ხ-**შუწარ-**ი ბზ., ეთ-**შუარ-**ი ლშხ.), ხ-ე-**შუწარ-**ი (ამ-**შუარ-**ან) ბქ. „ჭრილობა ურთულდება, უმიზნებდება“, ლი-**შუწარ** ბზ., ლნტ., ლი-**შუარ** ბქ., ლშხ. „ჭრილობის გართულება“, ა-**შუ-ინ-**ე ბზ., ლშხ., ა-**შუ-იან-**ე ბქ., ლნტ. „ასუფთავებს“, ი-**შუ-ინ-**ი (წ-ხტ-**შინ-**ან, წ-ნ-**შუ-ინ-**ან; წ-ნ-**შუ-ინ-**ი, ბზ., ოთ-**შუ-ინ-**ენ, ედ-**შუ-ინ-**ან; ედ-**შუ-ინ-**ი ლშხ.) „სუფთავდება“.

ქართ. **სვირ-ინ-**, **სვირ-ინ-**დ-ებ-ა „განრყვნა, გინა **სნება**, გინა **სრვა**-ა (საბა)“, **სვრ-**ა; **სვარ-**, და-ი-**სვარ-**ა, **სრვა**-ა (← **სვრა**) „საგანი მომსრველი (საბა)“; ე-**სვრ-**ებ-ა.

ზან. —.

ერთი შეხედვით რა უნდა იყოს საერთო დასვრა-სა და გა-სუფთავებას შორის; მაგრამ სვანური **შუ-ინ-** სიტყვის ისტორიას თუ განვიხილავთ, ცხადი ხდება, რომ დასვრა → გასუფთავება რეალურია; შდრ. მსგავსი ვითარება ზანურში — ქართ. **ნეხვი** : ზან. **ნახტ-** „რეცხვა“ ე. ი. „ნეხვის მოშორება“ (დ. მაჭავარიანი).

ვერაუდობთ, რომ სვანურში **შუარ-** აღნიშნავდა **დასვრას**, **სრვა** (სენი მომსრველი (საბა))-ს, ხოლო მისგან ნაწარმოები **შუ-ინ-/შუ-იან-** (←***შუირ-ინ-**, შდრ. ქართ. **სვირ-ინ-**) **დასვრილის მოშორებას**, ანუ გასუფთავებას; შდრ.: ზან. ნეხვი → ნეხვა → ნეხვის მოშორება → რეცხვა.

სვარ-/სვირ-, ა/ი აბლაუტისთვის შდრ. ქართ. რაცხ-/რიცხ-...

ს.-ქართვ. ***სტარ-/სტირ-(ინ-)** → ქართ. **სვარ-/სვირ-ინ-** : სვან.

შუარ-, **შუ-ინ-** (←***შუირ-ინ-**).

სვან. **შუენ-**, **შუენ-**ანგ ბზ., **შუენ-**ანგ ლშხ. „ცხოველის დასაჭერი ყულფიანი თოკი (ქამანდი)“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) **შვილ-**, მო-**შვილ-**უ-ა „ათოკვა“, მო-ბ-**შვილ-**ან-ქ „ავთოკავ“, მო-**შვილ-**ერ-ი „ათოკილი“.

ქართულში შესაბამისი ფუძე ვერ გამოვავლინეთ. ცხადია, სვანური **შუენ-** ძირი იგივეა, რაც მეგრული **შვილ-**. ოღონდ მეგრულში მხოლოდ ზმნური (ნასახელარი) ფორმები შემოგვრჩა. -**ანგ** || **ანგ** სუფიქსი სვანურში ქართული **სა-**ს მორფოლოგიური ეკვივალენტია და ენათესავება -**აქ** || **აგ** (იხ. აქვე) სუფიქსებს (შდრ. ჩიყე-**აქ** „სასიძო“...).

ქართული ეკვივალენტის უქონლობა აძნელებს ფუძის შემდგომ სეგმენტაციას: **შუ-ენ-(?)**, **შვ-ილ-(?)**, თუ სვან. **შუ-ენ-** ←***შუ-ილ-?** (ლ → ნ სვანურში იხ. აქვე § 5.).

ს.-ქართვ. ***სტ-** „მოსათოკი, საბმელი“ → ზან. **შვ-ილ-(?)** : სვან. **შუ-ენ-(?)**.

სვან. **შუიმ** ზს. „საზღვარი“.
ქართ. **სამან-ი** „საზღვარი“, მოხ. „თემიდან კაცის გარიცხვის ნიშანი“, მთიულ. **სამან-ა**, გურ. **სამან-ე**.

ზან. (ჭან.) **სინორ-ი** „საზღვარი“.

სემანტიკური იდენტურობა ეჭვს არ იწვევს. ფორმალური მიმართების თვალსაზრისით საყურადღებოა ქართ. **-ან** : ზან. **-ორ** : სვან. **ჟ** — სვან. **შუიმ** ←***შიმ-ჟ**; სიტყვის სუფიქსურ ნაწილში შეფარდება ფუნქციურ-მორფოლოგიურია, ანდა ქართ. **სამ-ან**- მიღებულია ისტორიული **სამ-ალ**- არქეტიპისაგან. ამ შემთხვევაში ამოსავალი **ლ**-სგან ზანურ **რ**-საც მივიღებდით და **ლ** → **ჟ** გარდაქმნით სვანური **ჟ**-ც ახსნადია. ჩვენ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვიზიარებთ.

ს.-ქართვ. ***სამ-ალ**- ფორმის ზანური (ჭანური) შესატყვისი შეთვისებულია თურქულსა და ბერძნულში **sinir** „მიჯნა“ ფორმით. ზანურ წყაროსავე ჰგულისხმობს მესხური-ჯავახური სინორ-ი „საზღვარი“. ხოლო სომხური **სამან** ქართულიდან მომდინარეობს.

ს.-ქართვ. ***სამ-ალ**- „საზღვარი“ → ქართ. **სამ-ან-ი** || **სამ-ან-ა** || **სამ-ან-ე** : ზან. **სინ-ორ-ი** ←***შემ-ორ-ი** ←***შუმ-ოლ-ი** : სვან. **შუიმ** ←***შიმ-ჟ** ←***შამ-აჟ**.

სვან. **შუინლ-** || **შუილ-**, ლი-**შუინლ-**იელ ბზ., ლზხ., ლი-**შუილ-**იელ ბქ., ლნტ. „ქვის სროლა“.

ქართ. **სომ-ი** „საკამრე ქვა“.

ზან. **სთომ-** (?).

სვანურში ლი-**შუილ-**იელ ნასახელარი ზმნაა; აქ ქვის ერთერთი სახეობის აღსანიშნავად უნდა გვქონოდა **შუილ-** ძირი, რომელიც, ისევე დაედო საფუძვლად ქვის სროლის აღმნიშვნელ ზმნას, როგორც

გურნჷ „რიყის ქვა“ → ლი-**გურნჷ**-ე „ქვის სროლა“, **ბჷჩ** „ქვა“ → ლი-**ბჷჩ-**წლ „ქვის სროლა“ ზმნებს. განსხვავება იმაშია, რომ სახელური **შუინლ** || **შუილ** სვანურში არა ჩანს (დაკარგულია?).

ქართ. **სომ-** : სვან. **შუილ-** || **შუინლ-** ძირთა შეპირისპირება წარმოაჩენს **მ** : **ლ** შეფარდებას (მდრ. **ქათამ-** : **ქათალ**), რომელიც კანონზომიერია და არაერთ სხვა მაგალითშიც დასტურდება (იხ. აქვე, § 9). ამრიგად, უძველეს ფორმად სვანურში **შუმ-** გვქონდა, ქართული **სომ-**ის შესატყვისად, რომელმაც **უ** → **ჟი** და **მ** → **ლ** გადაბგერებით დღევანდელი **შუილ-** მოგვცა.

იქნებ ჭანური **სთომ-** || **სტომ-** (ი-**სთ/ტომ-**ელ-ან „ისვრიან“) ძირიც თავდაპირველად ქვის სროლას აღნიშნავდა.

ს.-ქართვ. *სომ- „ერთგვარი ქვა (სასროლი)“ → ქართ. სომ-ი : ზან.
სტომ- || სთომ- ←*სომ- ←*შომ- (?) : სვან. შუილ- || შუილ- ←*შულ-
←*შუმ-ი.

სვან. შეუ-ეფ-/შეუ-იფ-, შეუ-ედ-/შეუ-ედ; ხ-ა-შეუ-ფ-ე (ათ-შეუ-იფ
ბზ., ათა-შეუ-იფ ლნტ.), ზს., ლნტ., ხ-ა-შეუ-ფ-ე (ათ-შეუ-იფ-) ლშხ.,
„გადააძრობს ტყავს“, მოხდის“; ა-შეუ-დ-ი (ა-შეუ-ედ ბზ.) ზს., ლშხ.,
ა-შეუ-ედ-ი ლნტ. „რეცხავს“.

ქართ. რ-წევ-, რ-წევვ-, გამო-რ-წევ-ა „მუწუკის შარავის გამოდენა“,
რ-წევვ-ა.

ზან. (მეგრ.) ნჟყ-, ო-ნჟყ-ან-ს მუწუკის „მუწუკს შარავს გამოადენს“,
„მა¹-ო-ნჟყ-ან-ს ღვინს „ღვინოს მოხდის“, ნჟყ-აფ-ა „გამორწყვა“.

ზანურში ანლაუტის ნ ფონეტიკური დანართი არ არის, იგი ქართუ-
ლი რ-ს (კაუზატივის) ბგერინაცვალა — რ → ნ ცოცხალი ფონეტიკური
პროცესისა მეგრულში ხშულთა და სიბილანტ აფრიკატთა წინა პოზიციაში
ზან. : რტ-ინ-ა, ნტ-ინ-ა : ქართ. ლტ-ოლ-ვ-ა; ჟუნ-გა ← ჟურ-გა „ყრუ“,
შდრ. ჟურ-ჟ- : ქართ. ყრ-ჟ; ქართ. თერძ-ულ-ი „ნათესი ჳული“ : მეგრ.
თანჯ-ჟ-ა ←*თარჯ-ჟ-ა „საზღვრის მიჩენა ხეებით“...

ფუნქციურად ქართულ-ზანურის რ-ს სვანურში ოდენ სუფიქსური
-ეფ, -ედ ფორმათწარმოება შეესატყვისება (ამ შემთხვევაში ფორმაწარმო-
ება ემთხვევა სიტყვაწარმოებას). რ ე ც ხ ვ ის სემას სვანურში
წყ ა ლ შ ი გ ა ვ ლ ე ბ ა უდევს საფუძვლად.

ქართველური ფუძეებისათვის ამოსავალია რეცხვის, გამორწყვის ე. ი.
წყლის გამოდენის მნიშვნელობა. მატერიალურად გამოყოფილი რ-წევ-
ნ-ჟყ- (← რ-ჟყ-), შე-ჟ- ს.-ქართვ. წყ- წყლის აღმნიშვნელი ძირია, რომე-
ლიც ჩანს ნე-რ-წევ-ში (ე. ი. გამო-რ-წევ-ულ-ი): ქართ. ნე-რ-წევ-ი : ზან.
(მეგრ.) ლე-¹რ¹ჟყვ-ა, ჳან. ლე-ნჟყვ-ა (← ლე-რ-ჟყვ-ა) : სვან. ნა-შეუ-
„ნერწყვი“.

ს.-ქართვ. *წყ-ეჟ-/რ-წყ-ჟ- (← რ-წყ-ეჟ-) „გამორწყვა, წყლის გამო-
დენა“ → ქართ. რ-წყ-ვ-ა, რ-წყ-ევ-ა, ნე-რ-წყ-ვ-ი : ზან. ნჟყ- (← რჟყ- ←
რ-ჟყ-), ლე-რ-ჟყ-ვ-ა : სვან. შე-ჟ-ეფ, შე-ჟ-ედ-, ნა-შეუ (←*ჟყ-ჟ-).

სვან. შხ- || შიხ-, ი-შხ-ი „იწვავს; იწვის“, ა-შხ-ი ზს., ლნტ., ა-შხ-ი
ლშხ. „წვავს“, ლი-შხ-ი „დაწვა“, ნა-შიხ-ჟ ზს., ლნტ., ნა-შიხ ლშხ. „დანაწ-
ვავი“, შიხ „ნახშირი“, შხ-იბ „გამონაწვავი“, „მეტად შავი“, მე-შხ-ე ზს.,
ლშხ., მე-შენ-ე „შავი“.

ქართ. ¹ჯშ-, ნა-ჯშ-ირ-ი (მესხ. ნა-შხ-ერ-ი).

ზან. ნო-შქ-ერ-ი || ნო-შქ-ე-ი „ნახშირი“.

ქართულსა და ზანურში ზმნური ფუძეები დაკარგულია; უნდა გვქონოდნა **ვშ-**, **შქ-** ტიპის ფორმები, რისი არსებობის კვალი დასტურდება **ნა-** — **-ირ** = **ნო-** — **-ერ** კონფიქსით გაფორმებულ **ნა-ვშ-ირ-** = **ნო-შქ-ერ-** სიტყვაში. ზანური **შქ** ძირი მიღებულია **ვშქ-** უძველესი სახეობისაგან — ქართ. **ვშ-** : ზან. **ვშქ** → **შქ**. თუმცა არ გამოვრიცხავთ უშუალოდ **ვშ-**საგან მეტაფიზის გზით **შქ-**ს მიღებასაც: **ვშ** → **შვ** → **შქ**. **ვ** → **ქ** სხვა პოზიციებშიც დასტურდება ზანურში, შდრ. ქართ. **ვტარბალ-ი** : ზან. **ქობალ-ი** || **ქოვალ-ი**, ქართ. **ვბ-ორ-** : ზან. **ქაბ-ულ-ა** „ზბო“...

მსგავსი ვითარება უნდა გვქონდეს სვანურშიც, სადაც **შხ-** თანმიმდევრობა მიღებულია საერთოქართველური **ვშ-** არქეტიპისაგან — **ვშ** → **შვ** → || **შხ**. ამ მხრივ, სვანურის მდგომარეობა იდენტურია ქართული ენის მესხური დიალექტისა — ქართ. **ნა-ვშ-ირ-ი** → მესხ. **ნა-შხ-ერ-ი**. **ვშ** → **შხ** გარდაქმნის შესაძლებლობა კარგად ჩანს საერთოქართველური **ვს-ენ-/ვს-ოჟ-ნ-** ფუძის შესატყვის სვანურ ერთეულშიც: **შხ-უნ-** ← **ვშ-უნ-** (იხ. აქვე, **შხ-უნ-**).

განზომავებული **ი/ე** ვარიანტიანი ფორმები გვიანდელი ფორმაციისაა სვანურში: **შხ-** → **შეს-/შის-**.

ს.ქართვ. ***ვშ-** „წვა, დანახშირება“ → ქართ. **ვშ-**, **ნა-ვშ-ირ-ი** → || **ნა-შხ-ერ-ი** : ზან. **შქ-**, **ნო-შქ-ერ-ი** : სვან. **შხ-** ← **შვ-** ← ***ვშ-**.

სვან. **შხ-არ** ზს., ლნტ. „შუბლზე თეთრნიშნა საქონელი“, „ნიშა“.

ქართ. **ცხ-არ-ი** || **ცხ-არ-ე**.

ზან. (მეგრ.) **ჩხ-ორ-**ია „სხივი“.

თავდაპირველად **შხ-არ** ფუძეს სვანურშიც სხივის სემანტიკა უნდა ჰქონოდა, რომელსაც დროთა განმავლობაში მნიშვნელობის დავიწროებით ნიშანს (თეთრნიშნას) ფუნქცია დაეკისრა. სიტყვის მნიშვნელობის ევოლუციის ანალოგიური სურათი იკვეთება იმერულ დიალექტშიც, სადაც ქართული **კიაფ-**ის იმერული ალომორფი **კიოფ-**ი სვანურისებურ სემანტიკას აჩვენებს — **კიოფ-**ი „ცხენის შუბლზე პატარა თეთრი ნიშანი (ი. ჰყონია)“, შდრ. მეგრ. **კიოფ-**ი „id“.

ქართ. **ცხ-არ-** : ზან. **ჩხ-ორ-** : სვან. **შხ-არ** ფორმებში გამოყოფილი **ცხ-** ძირი ეტიმოლოგიურად საერთოა სი-**ცხ-**ე ცე-**ცხ-**ლ-ი, **ცხ-**ელ-ი სიტყვებში დადასტურებულ **ცხ-**სთან.

სემანტიკურად ქართულ სი-**ცხარ-**ეს, ისევე როგორც მეგრულ სხივის, საფუძვლად მწველის (ცხარე), მცხუნვარეს სემა დაედო, შდრ. ასევე მეგრ. **ჩხ-ან-ა** „სიცხიანი, მზიანი; სიცხე, მზე“. მეგრული ტოპონიმიც **ჩხორო-ია** ეტიმოლოგიით მზიანი, სხივიანი / მცხუნვარე ადგილს თუ აღნიშნავდა.

ს.-ქართვ. ***ცხ-არ-** „ცხელი, მცხუნვარე, ცხარე, მწველი“ → ქართ. **ცხ-არ-ი** || **ცხ-არ-ე** : ზან. **ჩხ-ორ-ია** : სვან. **შხ-წარ** ←***ჩხ-წარ**.

სვან. **-შხირ**, ლა-**შხირ** ლნტ. „ცხენისწყალი“.

ქართ. **ცხენ-ი**.

ზან. **ჩხენ-**, **ჩხენ-იშ-ი** (ტობ.).

ქართული **ცხენ-** ფუძის ზანური შესატყვისი უნდა ჩანდეს იმერეთში დადასტურებულ **ჩხენ-იშ-ი** = **ცხენ-ის-ი** ტობონიმში (ივანე ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა...). ვფიქრობთ, უძველეს წარსულში ამავე **ჩხენ-იშ-ი** ფორმით აღინიშნებოდა ზანურში მდინარე **ცხენ-ის-წყალ-ი**ც. ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება **-(ი)შ-ი** სუფიქსიან ზანურ ჰიდრონიმებში ცნობილია, შდრ. მდ. **ჩხოლ-შ-ი(ა)** (= **ცხოვ-ელ-ის-ა**) ზუგდიდის რაიონში (ჩხოლ „ძროხა“).

საერთოქართველური **ცხენ-** სახელის შესატყვისი სვანური **-შხირ** „ცხენი“ (**ცხ** : **ჩხ** → **შხ**, **ნ** : **რ** (← **ნ**) იხ. § 12) იკითხება მდინარე ცხენისწყლის სვანურ დასახელებაშიც — ლა-**შხირ**, ეტიმოლოგიით სა-**ცხენ-ო**, ლა-**შხურ** ლშხ. ←*ლა-**შხირ-ჟ**.

საერთოქართველურ ***ცხ-ენ-** სახელში **ცხ-** ძირად გამოსაყოფია, შდრ.: **ცხ-ოვ-ელ-**, **ცხ-ოვ-არ-** || **ცხ-ვ-არ-**, ***ცხ-ომ-** (ზან. **ჩხ-ომ-** „თევზი“)...

ს.-ქართვ. ***ცხ-ენ-** „ცხენი“ → ქართ. **ცხენ-ი** : ზან. **ჩხენ-ი** : სვან. **შხირ** ←***შხენ** ←***ჩხენ**.

სვან. **შხ-უნ-**; ა-**შხ-ჟენ-ი** (ო-**შხ-უნ** ბზ., ოთ-**შხ-უნ** ლშხ., ათჟა-**შხუნ** ლნტ.) ზს., ქს. „შეინახავს“; ნა-**შხუნ** „შენახული“, ლჟ-**შხუნ** || ლჟ-**შხჟინ** „შენახული“, ლი-**შხჟენ-ი** „შენახვა“ ხ-ო-**შხჟენ-ი** (ოთ-**შხუნ-ე** ლშხ.) ზს., ქს. „შეუნახავს“.

ქართ. **გხ-ო-** (მ-ა-**გხ-ო-ს**), **გხ-ოვ-ნა**; **გხ-ენ-ება**, ა-**ჟგხ-ნ-ი**ს „აუხსნის“.

ზან. **რშ-ონ-** ←***ვშ-ოვ-ნ**, **შინ-** ←***ვშ-ინ-** „ხსონა, ხსენება“.

ს.-ქართვ. **გხ-** კომპლექსის დაძლევის საინტერესო სურათია ქართველურ ენებში: ს.-ქართვ. **გხ** → ქართ. **გხ** || **ხს** || **სხ** (დიალექტებში), ***ვშ** → **შხ** (სვანურში), **ვშ** → **რშ** || → **შ** (ზანურში).

სვანური სემანტემა შენახვა (ა-შხ-ჟენ-ი) **დამახსოვრებისაგან** განვითარდა შდრ. ქართ. **ხ-ილ-ვა**, გა-**ხ-ელ-ა** : სვან. მა-ხალ, ხ-ო-ხალ „ცოდნა“; „იცის“ (ი. ცერცვაძე). ამავე შტოს ვუკავშირებდით მეგრ. **ხვილ-** ფუძეს : ხვილ-ჟა „დამწყვედვა“, ხვილ-უნ-ს „ამწყვედვს“, მაგრამ მუნა-ხვილ-ჟან-ს „იხილავს“, ქა-ვ-ო-ხვილ-ჟ „შევიწინე, ვუნახე“; შდრ. ქართ. ხ ს ო ვ ნ ა = შე ნ ა ხ ვ ა.

ს.-ქართვ. ***ვს-ოჲ-ნ-**, ***ვს-ენ-** „ხსოვნა, ხსენება“; „გახსნა, ახსნა“ → ქართ. **ვს-ოგ-ნ-**, **ვს-ენ-** : ზან. **რშ-ონ-**, **შ-ინ-**, **შ-** : სვან. **შს-უნ-** ←***შვ-უნ-** ←***ვშ-უნ-**.

სვან. **შგგ-** || **შგ-** || **შგჯ-**, ი-**შგ-გნ-**ი (ოთ-**შგგ-ნ-ან** ბზ., ოთ-**შგგ-ნ-ენ** ლშხ.), ი-**შგჯ-გნ-**ი ლნტ. „მაგრდება“, ხ-ე-**შგ-გნ-**ი ზს., ლშხ., ხ-ე-**შგჯ-გნ-**ი „უმაგრდება“, ლი-**შგ-გნ-**ე ბზ., ლშხ., ლი-**შგჯ-გნ-**ე ლნტ. „გამაგრება“.

ქართ. **საგ-** || **საგ-რ-**, მო-**საგ-რ-ე**, იმერ. ჩა-**საგ-ვ-ა** „გამაგრება, ჩა-კეტვა“, ჩა-**საგ-ულ-**ი „გამაგრებული“.

ზან.(მეგრ.) **საგ-ურ-**, დო-**საგ-ურ-ე** „დაამაგრე“, **საგ-ურ-ელ-**ი „გამაგრებული, რომ არ დაქანდეს“, ო-**საგ-ურ-ალ-**ი „ქვა ან ხის ნაჭერი გასაჩე-რებლად (სამაგრი), რომ ურემი არ დაგორდეს“, **საგ-ურ-უა** „გა-/დაამაგრება“.

ქართულ **საგ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური **შგგ-** || **შგ-** || **შგჯ-** || **შგ-** (ქართ. **ს** : სვან. **შ, გ** : **გ** → **ჯ**). ფორმალურ ერთიანობას მხარს უჭერს ამ სიტყვათა შინაარსი, რომელიც **გ ა მ ა გ რ ე ბ ი ს** სემით შემოიფარგლება.

მეგრული **საგ-ურ-** უჩვეულო **-ურ** გაფორმებით იმეორებს ქართულ **საგ-რ-** ძირს, რაც მეორეული მოვლენა უნდა იყოს. თავდაპირველად მეგრულშიც ***შოგ-ურ-** შიშინასიბილანტიანი ალომორფი გვექნებოდა, საიდანაც ქართულთან ადაპტაციის გზით **საგ-ურ-** მივიღეთ.

ს.-ქართვ. ***საგ**¹ „დაამაგრება, ჩაკეტვა; სამაგრი“ → ქართ. **საგ-**, **საგ-რ-** : ზან. **საგ-ურ** ←***შოგ-ურ-** : სვან. **შგ-** || **შგ-** || **შგჯ-** || **შგგ-** ←***შაგ-**.

სვან. **შგლდ-** || **შოლდ-** || **შელდ-** || **შდილ-**, ი-**შგლდ-ან-**ი ზს., ი-**შგლდ-ან-**ი ლშხ., ი-**შელდ-ან-**ი ლნტ. „ითვლის“, მგ-**შგლდ-ან-**ი ბზ., მგ-**შელდ-**ე ბქ., მგ-**შგლდ-ან-**ი ლშხ., მჟ-**შოლდ-ან-**ი ლნტ. „დამთვლელი“, ლე-**შოლდ-ან-**ი ზს. „დასათვლელი“; **შელდ** || **შოლდ** ზს., ქს. „რიცხვი, სათვალავი“, **ჟ-შდილ** „მალულად“ ← ეტ. „დაუთვლელად“.

ქართ. **თვალ-** || **თვლ-**, **თვლ-ა**, ი-**თვლ-ი-ს**, ი-**თვალ-ა**, მი-ი-**თვალ-ა**, სა-**თვალ-**ი.

ზან. **თვალ-**, **თვალ-უ-ა**, **თვალ-უნ-ს** „თვლის, ითვლის“; „დაიტირებს“ ← ეტ. „ითვლის“, ო-**თვალ-არ-**ი „სათვლელი“, ო-**თვალ-უ-** „სათვალი“.

სვანური **შოლდ-**, **შელდ-**, **შგლდ-**, **შდილ-** ფუძეების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ უწინარესი **შოლდ-/შდილ-** (←***შდოლ-**) უნდა ყოფილიყო, რომელმაც უმლაუტიანი **შოლდ-** ალომორფის გავლით **შელდ-** მოგვცა : **შოლდ-** → ***შჟელდ-** → **შელდ-**, ხოლო **შგლდ-** უშუა-

¹ საერთოქართველურ ფუძეებაში ხომ არ გვქონდა **ს-შ** პრეფიქსაცია, შდრ. ქართ. **საგ-შაგ-** „დაამაგრება, და-მაგ-ინ-ებ-ა“, სვან. **შ-გჯ-** || ← **შ-გგ-/ლ-აჯ-** || **ლ-ჯ-** „გამაგრება“...

ლოდ **შდოლ**-ის განვითარებაა — **ო** → **გ** → **ი** : ***შდოლ**- → **შდგლ**- → **შდილ**- || **შგლდ**-.

აქ მეტად მნიშვნელოვნად გვეჩვენება **შდ** კომპლექსის დაშლის (**დ**-ს გადასმით) დაფიქსირება ფაქტობრივი მასალით. **დ**-ს მეტათეზის უტყუარი შემთხვევები სხვაც ვნახეთ (იხ. აქვე : **შიხუნდ**, **შგურდ**-, **სდუგუ**...).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ს.-ქართვ. **თჟალ**- „დათვლა“ ზმნის შესატყვისი სვანური ფორმა თავიდან **შდოლ**- სახისა იყო, საიდანაც განვითარდა დღეს დადასტურებული სხვა ალომორფები — ქართ. **თვალ**- : სვან. ***შდჟელ**- → || **შდოლ** → || **შოლდ**-.

დაბოლოს, შეიძლება საკითხის დასმის წესით გამოვთქვათ ვარაუდი ქართ. **თვალ**- : ზან. **თოლ**- : სვან. **თერ**- || **თეჟრ**- „თვალი, დათვალიერება“ (იხ. § 30) ძირთა შესაძლო კავშირზე ჩვენ მიერ შეპირისპირებულ ქართ. **თვალ**- : სვან. **შდილ**- || **შელდ**- || **შოლდ**- || **შგლდ**- „დათვლა“ ფუძეებთან. ს.-ქართვ. **თჟალ**- ლექსემის ორნაირმა ფიქსაციამ (რეალიზება) სვანურში **შდოლ**- || **შოლდ**- და **თერ**-/**თეჟრ**- (←***თჟერ**-) სახით არ უნდა გაგვაკვიროს, რადგანაც ბუნებრივად გვეჩვენება შემდეგი ეტიმოლოგიური კავშირიც სვანურში, შდრ.: ქართ. **თრ**- „თრობა“ : სვან. **თრ**- „სმა“, მაგრამ სვან. **შდ-გმ**- „თრობა“ : ზან. **რთ-ომ**- (იხ. აქვე **შდგმ**- „თრობა“)...

ს.-ქართვ. ***თჟალ**- „თვლა, თვალი“ → ქართ. **თვალ**- || **თვლ**- : ზან. **თოლ**- → **თვალ**- : სვან. **თეჟრ**- || **თერ** || **შდილ**- || **შელდ**- || **შოლდ**- || **შელდ**- ← ***შდჟელ**-.

ს.-ქართვ. ***თჟალ**- ძირის შესატყვისი ჩანს ნახ. **თარ**- „თვლემა“, შდრ. ქართ. **თვალ**- →/თვლ-ემა-...

სვან. **შეშგილ** ბზ., **შიშგილ** ბქ., **შიშკილ** ლნტ. „ლანძილი (მცენ.)“.

ქართ. (ხევს.) **დიშლა** „ერთგვარი სათიბი ბალახი“.

ზან. **ჯიშკილა** || **ჯიშქილა** „ლანძილი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ჯიშკილა**/**შიშგილ** ფუძეთა ერთიანობაზე ადრეც იყო მითითება (ა. მაყაშვილი, ა. ჭკადუა). ჩვენ მიერ გამოვლენილ იქნა ამ ფუძეთა ქართული ეკვივალენტი, რომელიც **დიშლა**-ს სახით შემორჩენილია ხევსურულ დიალექტში.

ვარაუდი ეყრდნობა ბგერათშესატყვისობათა ჩვენებას ქართულსა და ზანურს შორის. კერძოდ, ინლაუტში თავს იჩენს სიბილანტური ოპოზიცია ქართ. **შ** : ზან. **შქ**, რაც სავსებით კანონზომიერია. აქვე გამოჩნდება ზანურისათვის დამახასიათებელი სრულზმონობა — ქართ. **დიშლა** ←***დიშილა** : ზან. **ჯიშქილა**.

დიშლა/**ჯიშკილა** ლექსემათა შეპირისპირებისას წარმოჩნდება ბგერათფარდობა ანლაუტში ქართ. **დ** : ზან. **ჯ**. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზ-

რით, ზანური (resp. მეგრული) **ჭ** სიბილანტი მომდინარეობს **ღ** დენტალი-საგან — **ღ** → **ჭ**. **ღ**-ს პალატალიზაციისა და **ჭ** აფრიკატად ქცევის აუცი-ლებელ პირობას წარმოადგენს პალატალური რიგის **ი** და **ე** ხმოვანთა პოსტპოზიცია ფუძეში მომდევნო რომელიმე შიშინა სიბილანტის თანხლე-ბით, შდრ. ძვ. ქართ. ჯინჭველ- ←*დინჭველ- : ჭან. დიმჭკუ (გ. როგავა).

შესაძლებელია სვანური **შიშგ/კილ** არ იყოს ზანურიდან ნასესხები და ამ ენისთვის დამახასიათებელი **ღ** → **ზ** პროცესის გავლით იყოს მიღე-ბული (იხ. § 32. **გ/ღ** → **ზ**) : სვან. **შიშგ/კილ** ←***შიშქილ**- ←***დიშქილა**. გურულ-იმერულში აგრეთვე საბას ლექსიკონში ფიქსირებული **ჭიშ-კილა** ზანიზმია.

ს.-ქართვ. ***დიშ-ილა**-ა „ღანძილი“ → ქართ. **დიშლა** : ზან. **ჭიშკილა** || ← **ჭიშქილა** ***დიშქილ**-ა : სვან. **შიშგილ** || **შიშკილ** ←***შიშქილ** ←***დიშ-ქილა**(?).

ჩ

სვან. **ჩალგ**-ნ ბქ., **ჩორგ**-ნ ბზ., **ჩორგ**-ნ „კოჭლი“.

ქართ. (ლექს.) **ცალქ**-ია „დახრილი“.

ზან. (მეგრ.) **ცორქ**-, დე-**ცორქ**-ჟ „დააფრაკდა“, **ცორქ**-ი „მრუდე, აფრაკი“.

სვანურ ფორმათაგან უძველესია ბალსქვემოურის ჩვენება, რომელიც კანონზომიერად მიემართება საერთოქართველური ***ცალქ**- ფუძეს, თუმცა **ქ** → **გ** სპონტანური გადაბგერება მაინც შეიმჩნევა (შდრ. ქართ. ქატო → სვან. გატ || გატ, მეგრ. ქაცარ-ი „თიკანი“ → სვან. გიცარ || გიცარ „ვერდი“...). ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ცხადად აჩვენებს **ლ** → **რ** პროცესის რეალურობას სვანურში (იხ. აქვე, § 6. **ლ** → **რ**).

მეგრულში სახელური ფორმა უწინარესია; დე-**ცორქ**-ჟ მისგან (**ცორქ**-) არის ნაწარმოები. ყურადღებას იქცევს თანხმოვანფარდობა ქართ. **ც** : ზან. **ც** : სვან. **ჩ**, რაც აშკარად მიუთითებს შიშინა → სისინა, ამ შემთხვევაში **ჩ** → **ც**, მეორეულ პროცესზე ზანურში (აგრეთვე სვანურში).

მნიშვნელობის ევოლუციის თვალსაზრისით მიმართება კოჭლი / დახრილი / მრუდე სავსებით ბუნებრივია, რამეთუ საერთო სემანტიკურ ველს წარმოგვიდგენენ.

ს.-ქართვ. ***ცალქ**- „დახრილი, მრუდე, კოჭლი“ → ქართ. **ცალქ** : ზან. **ცორქ**- ← ***ჩორქ**- ← ***ჩორქ**- : სვან. **ჩორგ**- || **ჩალგ**- ← ***ჩალქ**-.

სვან. **ჩამჟირ** „დონდლო, მოუქნელი“.

ქართ. **ცონ**-, გ-**ცონ**-ი-ნ, მ-**ცონ**-არ-ი, სი-**ცონ**-ილ-ი, უ-**ცონ**-ვ-ელ-ი.

ზან. **ჩინ**- || **ჩუნ**-, მ-**ჩინ**-ოჯი, მეგრ. **ჩინ**-ორ, დე-**ჩინ**-ორ-ჟ „დამაკდა“.

შესაძლებლად მიგვაჩნია სვანური **ჩამჟირ**-ის დაკავშირება ქართულ **ცონ**- „დაზარება“ ძირთან. სემანტიკური სიახლოვე ეჭვს არ იწვევს; დონდლო, მოუქნელი, ზარმაცი, მცონარე საერთო რიგის სემანტემებია.

სვანურში ოდენსუფიქსური წარმოება გვაქვს — **-ირ** (შდრ. **აშ-ირ** : **ას-ი**, **ლო-მირ** : **ლომ-ი**... სვან. ქადჟ-**ირ** ზს., ქადჟ-**აჟ** „მაცდური“...).

არქაული ***ჩომ**-ირ სვანურში არ არის შემორჩენილი; მისი ალომორფი ჩანს **ჩამჟ-ირ**, რომელიც მიღებულია შემდეგი საფეხურების გავლით — ***ჩომ-ირ** → ***ჩუმ-ირ** → **ჩემჟ-ირ** → || **ჩამჟ-ირ** || **ჩამჟ-ირ**;

ე → **წ** → **ა** პროცესი კომბინატორული ფონეტიკური მოვლენაა და მომდევნო **ჟ**-ს ზეგავლენით ხორციელდება (მ. ქალდანის წესი). ს.-ქართვ.

ნ → სვან. მ აიხსნება სვანურისავე ნიადაგზე ნ || მ, შდრ. ლოშგინ || ლოშგიმ (იხ. § 13).

ს.-ქართვ. *ცონ- „დაზარება; მცონარება“ → ქართ. ცონ-, მ-ცონ- არ-ი : ზან. ჩინ- || ← ჩუნ- : სვან. ჩამჟ-ირ ←*ჩომ-ირ ←*ჩონ-ირ.

ქართ. ჩარბ-ი „ნისკარტი“.

ზან. (მეგრ.) ჩქეფ-ი || ჩქიფ-ი „ჩანგალი“.

სვან. —.

თუ დამტკიცდება ქართულ ჩარბ- ფუძეში რ-ს მეორეულობა, ე. ი. მისი ფონეტიკურად განვითარება, შესაძლოა ვივარაუდოთ იგივე *ჩაბ- ძირის არსებობა ნი-ჩაბ-ი სიტყვაშიც (შდრ. ნი-დაყვი-ი...).

გამოყოფილი *ჩაბ- ძირს კანონზომიერად უკავშირდება მეგრული ჩქეფ-ი → || ჩქიფ-ი, რომელიც უფრო ძველი *ჩქობ-ი ფორმისგან მომდინარეობს ო → გ → || ი (ქართ. ა : ზან. ო) და ბ → ფ პროცესების გავლით.

აჭარულსა და გურულ დიალექტებში დადასტურებული ჩქიფ-ი „ჩანგალი“ ზანური წყაროდან მომდინარეობს.

ჩ ა ნ გ ლ ი ს გაგება, რომელიც მეგრულს ახასიათებს, გვიანდელია. უძველესი ჩანს ქართულის ვითარება, სადაც წ ვ ე ტ ი ა ნ ი ს შინაარსია ძირითადი.

ს.-ქართვ. *ჩა(რ)ბ- „წვეტიანი საგანი; ნისკარტი“ → ქართ. ჩარბ-ი, ნი-ჩაბ-ი : ზან. ჩქიფ-ი || ← ჩქეფ-ი ←*ჩქობ-ი.

სვან. ჩაჩხ- || ჩაჩხ- || ჩაჩხ-, ი-ჩაჩხ-ეღ ბზ., ი-ჩაჩხ-ელ ბქ., ი-ჩაჩხ-ეღ ლშხ., ი-ჩაჩხ-იელ ლნტ. „სცემს“, ლი-ჩაჩხ-ეღ ბზ., ლი-ჩაჩხ-ელ ბქ., ლი-ჩაჩხ-ეღ ლშხ., ლი-ჩაჩხ-იელ ლნტ. „ცემა, დარტყმა, რტყმა“.

ქართ. ცაცხ-ან-, შ-ე-უ-ცაცხ-ან-ებ-ს, ცაცხ-ან-ი „გაწყრომა“.

ზან. (მეგრ.) ჩხეჩხ- || ჩხიჩხ-, ჩხეჩხ-აფ-ი „ცაცხანი“, უ-ჩხეჩხ-უ-ან-ს „აწუხებს“, ვ-ა-უ-ჩხე/იჩხ-უ-ა „ნუ უცაცხანებ“, „ნუ აწუხებ, აბრაზებ“.

მეგრული ფორმები ასიმილაციურია — ჩხეჩხ- || ჩხიჩხ- ←*ჩეჩხ-; ხოლო გ/ი-ის პოზიციურება ს.-ქართვ. ა-ს შესატყვისად ფუძის შიგნით მისი ო-საგან წარმომავლობას ჰგულისხმობს — ქართ. ცაცხ- : ზან. *ჩოჩხ- → *ჩეჩხ- → || ჩხიჩხ-.

ს.-ქართვ. *ცაცხ- „გაწყრომა, ცემა, შეწუხება“, „შენთება“ → ქართ.

ცაცხ-ან- || ცაცხ-ან-ი : ზან. ჩხეჩხ- || ჩხიჩხ- ←*ჩოჩხ- : სვან. ჩაჩხ- → || ჩაჩხ- → || ჩაჩხ-.

სვან. **ჩაპ** ბზ., **ჩებ** ბქ. „ჩაღრმავებული ადგილი, ფოსო“; კეკეს პწყბა-
ჟი **ჩაპ** ხარ (ბზ.) „კეკეს ლოყაზე ფოსო აქვს“ (იხ. სვანური ლექსიკონი).

ქართ. —

ზან. (მეგრ.) **ჩებ**-ა „ჭიბი“.

ქართულისთვის მოსალოდნელი «**ცაპ**-ა» ფორმა არ არის გამოვლენი-
ლი. ბუნებრივია სემანტიკური ცვალემა ფ ო ს ო → ჭ ი ბ ი.

სვანურში ბოლოკიდური **ა** მოკვეცილია, მას მიეწერება **ე** → **ჰ**
პროცესი ბალსზემოურში — **ჩებ**-ა → **ჩაპ** (მ. ქალდანი).

ს.-ქართვ. ***ცაპ**-ა „ჩაღრმავებული ადგილი; ჭიბი“ → ქართ. «**ცაპ**-ა» :
ზან. **ჩებ**-ა ← ***ჩაპ**-ა : სვან. **ჩაპ** || **ჩებ** ← ***ჩებ**-ა.

სვან. **ჩაჟ** ბზ., **ჩაჟ** ბქ., ლნტ., **ჩაჟ** ლმზ. „ცხენი“, ლგ-**ჩაჟ** ბზ., ლგ-
ჩაჟ ბქ., ლნტ., ლგ-**ჩაჟ** „ცხენოსანი“.

ქართ. **ცედ**-, მო-**ცედ**-ი „საფურე ძროხა (საბა)“.

ზან. «**ჩაჯ**-ი».

ქართულ მო-**ცედ**-ი სიტყვაში ძირად **ცედ**- გამოიყოფა, მო- აფიქსუ-
რია (არაძირეული), შდრ. მო-**ზვ**-ერ-ი, **ზვ**-ობ-ა, **ზვ**-არ-ა, უ-**ზვ**-ი...

ცედ- საერთოქართველურ ძირს ასახავს ზანური «**ჩაჯ**-ი», **ც** → **ჩ**, **ე** →
ა, **დ** → **ჯ** (ქართ. ჯუნდ-ი : ზან. ხუნჯ-ი, ვიდ-ი : ხინჯ-ი, ტრედ-ი : ტო-
რონჯ-ი, ლერდედ-ი : ლორლონჯ-ი...) რეგულარულ-კანონზომიერი გადა-
სვლებით. ოლონდ, **ჩაჯ**-ი ზანურ დიალექტებში დაკარგულია, ის სვანურში
შემოგვენახა ზანურიდან ნასესხებ **ჩაჟ** || **ჩაჟ** || **ჩაჟ** სიტყვაში.

ქართულში ფ უ რ ი ს პოვნიერება უთუოდ იმაზე მიუთითებს, რომ
ცედ- ძირის ეტიმონური შინაარსი ჭ ა კ ი ს ა იყო. ამ კონტექსტში უად-
გილოდ არ გვეჩვენება სვანური **ფაშდ**-ილ, **ფაშაშდ** || **ტ** (←***მაჩედ**) „ფა-
შატი“ სიტყვის მოხმობა.

ს.-ქართვ. ***ცედ**- „ფაშატი, ჭაკი; ცხენი“ → ქართ. **ცედ**-, მო-**ცედ**-ი :
ზან. **ჩაჯ**-ი : სვან. **ფაშაშტ** || **ფაშაშაშდ** ←***მაჩედ**.

ს.-ქართვ. ***ცედ**- არქეტების შესატყვისი ჩანს: ადილეური **შუდუ**
←***ჩუდუ**, აფხაზური ა-**ჩადა** „ვირი“...

სვან. **ჩერთ** ზს. „ეჩო“.

ქართ. «**ცენდ**», **ცენდ**-არ-ი „ნ ა კ ა ფ ი ბლაგვი (საბა)“, იმერ., ფშ.
„მ ო ჭ რ ი ლ ი ხის გამხმარი ძირი“.

ზან. (მეგრ.) **ცანდ**-, **ცანდ**-უ-ა „ჭრა (მკვეთრად)“, **ცანდ**-უნ-ს „მკვე-
თრად, ბასრად ჭრის“, **ცანდ**-ი „მკვეთრი, მჭრელი“.

ქართულში სადერივაცია სუფიქსად **-არ** გამოსაყოფია (შდრ. ჯაგ-**არ**-ი, ცხედ-**არ**-ი, ყაფ-**არ**-ი/მ-ყაფ-ი...). მოსალოდნელი ზმნური **ცენდ-** საძიებელია (დაიკარგა?).

სვანური **ჩერთ** მეგრული **ცანდ-**ის ფარდია; ორივე **ფარ-**(ვ-ა) → **ფარ**-ი ტიპის მიმართებას აჩვენებს. ფონეტიკური გადასვლა **ნ** → **რ** სვანურში ჩვეულებრივია (იხ. აქვე, § 12); მეგრულში საცნაურია **ჩ** → **ც** გასისინების პროცესი, რაც შიშინა სიბილანტთა ნაწილობრივი გასისინების საერთო ტენდენციით აიხსნება (იხ. აქვე, § 23.).

ქართველურ ენებში კ ვ ე თ ა / კ ა ფ ვ ა სემანტემათა საერთოობა ხელშესახებია. სვანური ე ჩ ო სემა განვითარდა მ კ ვ ე თ ი ს / მ თ ლ ე - ლ ი ს გაგებიდან, შდრ. მეგრ. **ცანდ-** → **ცანდ-ი** „მკვეთრი“.

ს.-ქართვ. ***ცენდ-** „კვეთა, კაფვა, თლა“ → ქართ. **ცენდ-**, **ცენდ-არ-ი** : ზან. **ცანდ-** ← ***ჩანდ-** : სვან. **ჩერთ** ← ***ჩერდ** ← ***ჩენდ**.

სვან. **ჩეფ** || **ჩაფ** || **ჩფ**, ხ-ე-**ჩფ**-ენ-ი (ლხ-**ჩაფ**; ლხ-**ჩეფ**-ენ-ი) ზს., ხ-ე-**ჩფ**-ენ-ი (ლხ-**ჩეფ**-ენ-ი) ლშხ. „ავადმყოფობა შეეყრება“, ლი-**ჩეფ**- ზს. „სენის შეყრა“.

ქართ. **ცოფ-**, **ცოფ-ი**, გა-**ცოფ**-დ-ა, გან-**ცვიფ**-რ-დ-ა, **ბეც**-ი, **ბოც-ი/ბუც-ი** „შტერი“.

ზან. (მეგრ.) **ფოჩ**-ო „შტერი, უგნური, სულელი; ცოფი“, გე-**ფოჩ**-უ „გასულელდა; გაცოფდა“, ქიმშა-**ფოჩ**-უ „გაშტერდა“.

საინტერესოა, რომ ქართულიდან შემოსული **ცოფ-** მეგრულში **ფოც-** ვარიანტად განზოგანდა; შდრ.: ქართ. **ცოფ**-იან-ი მეგრ. **ფოც**-იან-ი გა-**ცოფ**-დ-ებ-ა — ი-**ფოც**-ებ-უ(ნ). ფონეტიკური თვალსაზრისით პროცესი განიმარტება როგორც საურთიერთო მეტათეზისი, რაც შეპირობებულია ზანურის ფონოტაქტიკით.

ნასესხებ სიტყვაში აღწერილი პროცესი (**ცოფ-** → **ფოც-**) განხორციელებულია ქართული **ცოფ**-ის ზანურ ეკვივალენტშიც. შდრ. მეგრული **ფოჩ-ო** სახელი, რომელსაც ზუსტად უდგება საბასეული **ცოფ**-ის განმარტება — **ფოჩ-ო** = **ცოფ-ი** „გონება და ცნობა მოძარცული“. ბოლოკიდური **-ო** მეგრულში დერივაციული სუფიქსია — შდრ. ქიზიყ. ბ უ ც - ო „ბეცი“, ზმნურ ფუძეში **-ო** აღარ გამოჩნდება: გე-**ფოჩ**-უ, ქიმშა-**ფოჩ**-უ...

სვანურის განზოგანება კანონზომიერია, თუ გავიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ **ბეც**-ი/**ბოც**-ი || **ბუც**-ი „შტერი“ და **ცოფ**-ი ერთი **ბაც-** (შდრ. **ბაც**-ი) არქეტიპის ფონეტიკური ვარიანტებია. აქ ქართული **ო/უ** ამოსავალი ს.-ქართვ. **ა** ხმოვნის ლაბიალიზებული ვარიანტებია, **ა** → **ო/უ** ძირისეული **ბ მ ფ**-ს ზეგავლენაა (შდრ. ქართ. **სითბე** → **სითბო** (გ. როგავა)).

ს.-ქართვ. *ბაც-/*ცაბ- „შტერი, ცოფი, ბრმა“ → ქართ. ბეც-/ბაც-, ბოც-ო || ბუც-ო || ბრუც-ო : ზან. ფოჩ-ო, ფოჩ- : სვან. ჩეფ- || ჩაფ- ←*ჩაბ-.

ს.-ქართვ. *ბაც-/*ცაბ- ფუძეს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: ხუნდ. ბეც-ავ, ბოთლ. ბოცაუ, ტინდ. ბეცა-უბ, ბავ. ბესა-უბ ← ბეცა-უბ, კარ. ბეცა-ობ, ახვან. ბეცა-ულ-აბ-ე || ბეცა-ავ „ბრმა“, ჰინუხ. ბეც-აბ, ხვარშ. ბეც-ჟე, ჰუნზ. ბაჩ-დუ „ბრმა“, არჩიბ. ბეც-, ბეს-თუ „ბრმა“, ლეზგ. ფაიში „ყრუ“, თაბ. ბიში, აღ. ბუშ-ეფ ←*ბუშ-ეფ, რუთ. ბეშ-თაფ, წან. ბოშ-ინა, კრიწ. ბეშ-აღ „ყრუ“. მნიშვნელობის ცვალეა ბრმა → ყრუ ლეზგიური ქვეგვარის ენებშია მომხდარი.

სვან. ჩ-ეშ-/ჩ-იშ- || ჩ-შ-, ლი-ჩ-ეშ „მოსწრება, დასწრება“, ხ-ო-ჩ-შ-ე (ოხ-ჩ-იშ ზს., ლშხ., ახო-ჩ-იშ ლნტ.) „მოსწრება, დასწრება“, ხ-ო-ჩ-შ-ენ-ი (ოთ-ჩ-ეშ-ენ ბზ., ლშხ.), ხ-ო-ჩ-ეშ-ენ-ი (ახო-ჩ-იშ-ენ-ე) ლნტ. „გაასწრება“.

ქართ. წ-ევ-, მ-წ-ვის-ე/მ-წ-ვის-ი.

ზან. ჭ-იშ- „მოსწრება, გასწრება, დაწვევა“, ო-ჭ-იშ-უ-ან-ს „ასწრება“, უ-ჭ-იშ-უ-ან-ს „მიასწრება, გაასწრება“, ჭ-იშ-ა-ფ-ა „სწრება“, ო-ჭ-იშ-უ „სწრება“.

სვანური ჩ-ეშ- ასიმილაციითაა მიღებული უძველესი ჭ-ეშ- არქეტიპისგან, თუმცა ჭ → ჩ სხვა პოზიციებში იჩენს თავს, შდრ. სვან. ჭკჭკნდ ზს., ჩკჭკნდ ლშხ., ჩიჭკნდ ლნტ. „ტირიფი“.

-ეშ-/იშ სვანურში და -იშ ზანურში ზმნური სუფიქსებია, რომელიც ქართულის -ეს სუფიქსის ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატყვისია (შდრ. სვან. ჳამ-ეშ-ა → ჳამ-აშ-ა „ძალა, ღონე“ : ქართ. მ-კნ-ე; სვან. ჯ-ეშ-, ხ-ა-ჯ-ეშ : ქართ. გ-ავ-; სვან. ნჳჳ- „ხედნა“ : ქართ. მწყ- „ხედნა“, „წვრთნა“ || მწყ-ეს- „მწყემსვა“, მწყ-ეს-ი → მწყ-ემს-ი : ზან. ნჳჳ- || მჳჳ- „წვრთნა“, „გახედნა“, ჳჳ-ეშ- || ჳჳ-იშ- „მწყემსვა“, ჳჳ-ეშ-ი || ჳჳ-იშ-ი || ჳჳ-ეშ-ი „მწყემსი“.

საკითხი ისმის სვანურ ჭ-ჟ-იშ ←*ჭ-ჟ-იშ „ვაჟი“, ქართულ წულ-ი/წვ-ილ-ი (ყმა-წვ-ილ-ი) ←*წ-ევ-ილ-ი „მოწეული“ ფუძეებთან ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ, რომელთაც საერთოქართველური წ- ძირი უღვეს საფუძვლად.

ს.-ქართვ. *წ- „მოწევა, მოსწრება“ → ქართ. წ-ევ-, წულ-ი || წვ-ილ-ი ←*წ-ევ-ილ-ი, მ-წ-ვის-ე/ი ← მ-წ-ევ-ის-ე/ი : ზან. ჭ-, ჭ-იშ- : სვან. ჩ-ეშ- ←*ჭ-ეშ-, ჭ-ჟ-იშ ← ჭ-ეჟ-იშ.

სვან. **ჩეჩხ** || **ჩაჩხ** ზს., ქს. „ცოცხი“.

ქართ. **ცოცხ**-ი.

ზან. (მეგრ.) **ჩხვიჩხვ**-ი „ფესვი“.

ქართულ-სვანური შეპირისპირება ცნობილია (ს. ჟღენტი). ს.-ქართვ. **ცოცხ**- ძირის ზანური შესატყვისი უნდა ჩანდეს მეგრულ **ჩხვიჩხვ**- სიტყვაში, რომლის ფორმალური სხვაობა შედეგია რეგრესული (**ჩვიჩხვ**- → **ჩხვიჩხვ**) და პროგრესული (**ჩხვიჩხ**- → **ჩხვიჩხვ**-) ასიმილაციური პროცესებისა. ლეჩხუმური **ჩიჩხვ**-ი „ძირი, ფესვი“ მეგრულიდან არის ნასესხები, იგი ძველი ზანური **ჩვიჩხ**-ის უშუალო გაგრძელებაა — ქართ. **ცოცხ**- : ზან. ***ჩუჩხ**- → ***ჩვიჩხ**- → ლეჩხ. **ჩიჩხვ**-. **უ** → **ვი** სპონტანური პროცესია ზანურში (შდრ. ქართ. **შუღ**-, სი-**შუღ**-ილ-ი : ზან. **შქვიღ**- „ბრჩობა“...).

ს.-ქართვ. ***ცოცხ**- „ცოცხი; ფესვი“ → ქართ. **ცოცხ**-ი : ზან.

ჩხვიჩხვ-ი ← **ჩვიჩხ**- ←***ჩუჩხ**- : სვან. **ჩეჩხ** || **ჩაჩხ** ←***ჩეჩხუ** ←***ჩუჩხ**.

სვან. **ჩილ** ზს., ქს. „ჟანგიანი წყალი“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) **ჩგრ**-ე „ჭაობის წყალი, ჭაობი“.

ქართულში მოსალოდნელი **ცალ-/ცილ**- დაკარგულია (ცილა?).

ს.-ქართვ. ***ცვლ**- „ჟანგიანი, მღვრიე წყალი, ჭაობი“ → ქართ. — :

ზან. **ჩგრ**-ე ← **ჩგლ**-ე : სვან. **ჩილ**.

ქართ. **ჩირ**-ი „გამხმარი ხილი“.

ზან. **ჩქიჯ**-ი⁷.

სვან. —.

ზანურ შესატყვისზე მსჯელობა შესაძლებელი ხდება მხოლოდ ქართული მონაცემების მიხედვით. ასეთად ჩვენ მივიჩნევთ საბას მიერ მოხმობილ **შკიჯ**-ი || **შკიჭ**-ი || **სკიჯ**-ი || **სკიჭ**-ი „ჭიშმში, ჩამიჩი“ ლექსემას. სემანტიკის დონეზე ი გ ი ვ ე ო ბ ა ადვილი დასანახია — გამხმარი ხილი = ჭიშმში.

ვფიქრობთ, ქართულ **ჩირ**-ი ფორმას ზანურში შეესატყვისებოდა **ჩქიჯ**-ი, რომელიც თავიდანვე არაადეკვატურად იქნა შეთვისებული ქართულში ზეპირი მეტყველების გზით: **ჩირ**-ი : ***ჩქიჯ**-ი → ***შქიჯ**-ი → || **შკიჯ**-ი (შდრ. მეგრ. ჯიშქილა → ქართ. ჯიშკილა...). ნასესხები სიტყვა ქართულმა გამხმარი ყურძნის (ჭიშმში) აღსანიშნავად გამოიყენა.

ს.-ქართვ. ***ჩირ**- „ჩირი“ → ქართ. **ჩირ**-ი : ზან. **ჩქიჯ**-ი.

სვან. **ჩიფ-** || **ჩგფ-** || **ჩფ-**, **ჩიფ-ე** || **ჩგფ-ე** „კვებავს, საჭმელს აძლევს“, ლი-**ჩფ-ე** „საქონლის გამოზამთრება“, მგ-**ჩფ-ე** „გამომკვებავი“, მგ-**ჩფ-ე** „მომგვრელი“.

ქართ. **ც-**, **ც-ემ-**, მო-მ-**ც-ემ-**-ი.

ზან. **ჩ-**, **ჩ-ამ-ა** „ჭმევა; ცემა“, ქო-**ჩ-**ი „აჭამე“, ო-**ჩამ-**ალ-ი „საჭმელი“, **ჩ-ან-**ს „აჭმევს“.

ზანურში ს.-ქართვ. **ც-ემ-** ზმნის შესატყვის ერთეულებს ჭ მ ე ვ ე ი ს, დ ა პ უ რ ე ბ ი ს ნიუანსიც ახასიათებს, რაც ახლოსა დგას სვანურის „კ ვ ე ბ ა ს თ ა ნ“. მიცემის გაგება სვანურისთვისაც ყოფილა დამახასიათებელი, რასაც არაორაზროვნად მგ-**ჩფ-ე** „მომგვრელი“ (შდრ. ქართ. 'მო-მ-**ც-ემ-**ი) ადასტურებს.

სვანურში ზმნის სუფიქსაცია განსხვავებულია **-ეფ/-იფ** (იხ. § 40).

ს.-ქართვ. **ც-** „ცემა, მიცემა; ჭმევა“ → ქართ. **ც-**, **ც-ემ-** : ზან. **ჩ-**, **ჩ-ამ-ა** : სვან. **ჩ-იფ-** || **ჩ-გფ-** || **ჩ-ფ-** ←***ჩ-ეფ-/ჩ-იფ-**.

სვან. **ჩიჩუღა** ზს., ლშხ., **ჩიჩუღელა** ლნტ. „დიყი“.

ქართ. **ცერცველა**, იმერ. **ცერცვალა** „სოია“.

ზან. —.

სვანურში **ჩ** დაკარგულია — **ჩიჩუღელა** ←***ჩერჩუღელა**: **ე**—ი მიმართება ბუნებრივია — ქართ. **ჭედ-** : სვან. **შკიდ-**, **ცეკ-ა** : **შიგ-ელ...**

სავარაუდოა, რომ **ცერცველა** შეიცავდეს **ცერცვ-** ძირს; მაშინ — **ცერცვ-ელ-ა** — სვან. **ჩიჩუ-ელ-ა**. ლეჩხუმური **ჩინჩველა** სვანურიდან არის შეთვისებული; **ნ** ლეჩხუმურშია გაჩენილი, თუ **ჩ** → **ნ** სვანურში?

ს.-ქართვ. ***ცერცუ-**, ***ცერცუ-ელ-ა** „ცერცვი, ცერცველა, სოია“ → ქართ. **ცერცვი**, **ცერცვ-ელ-ა** || **ცერცვ-ალ-ა** : სვან. **ჩიჩუ-ლ-ა** || ← **ჩიჩუ-ელ-ა** ←***ჩერჩუ-ელ-ა**.

სვან. **ჩიშღ-**, ხ-ე-**ჩიშღ-ღელ** ბზ., ლშხ., ხ-ე-**ჩიშტ-იელ** ლნტ. „რქენს“, ლი-**ჩიშღ-ღელ** ბზ., ლი-**ჩიშღ-ღელ** ლშხ. „რქენა, რჩოლა“.

ქართ. **ქოთ-**, **ქოთ-**ი, **ქოთ-ეზა** „ხეთქება (საბა)“, ფშ. **ქოთ-ობ-ა** „ჩხუბი, ხმაური“.

ზან. —.

ჩიშღ- ფუძეში **იშ-** სიგრძე ისტორიულად **ჟი-**ს არსებობაზე მიანიშნებს — **ჩიშღ-** ←***ქიშღ-** ←***ქჟიშღ-** || ***ქჟეშთ-**, ხოლო **ქ** → **ჩ** ბალატალიზაცია-აფრიკატიზაცია პოზიციურია და **ი-**ს ზეგავლენის შედეგია. უძველესი სვანური ფუძე ***ქოშთ-** → || ***ქჟეშთ-** სახეობისა უნდა ყოფილიყო.

მნიშვნელობის მხრივ ქართველური ფუძეების უეჭველ სიახლოვეს აჩვენებენ — რ ქ ე ნ ა ~ ხ ე თ ქ ე ბ ა, ჩ ხ უ ბ ი.

ს.-ქართვ. *ქოთ- „რქენა, ჩხუბი, ხეთქება“ → ქართ. ქოთ-, ქოთი- : სვან. **ჩიშდ-** || ← **ჩიშდ-** ← *ქიშდ- ← *ქუიშდ- || *ქუეშთ-.

სვან. **ჩოშ-** || **ჩუშ-**, ა-**ჩუშ-**ი, ლი-**ჩუშ-**იელ, ნა-**ჩოშ** "coire".
ქართ. **ცოც-**, **ცოც-**ვ-ა „ბარკლითა და თეძოთ სლვა (საბა)“.

ზან. **ჩოჩ-** || **ჩგჩ-** || **ჩიჩ-**უ-ა „ცოცვა“, "coire".

ქართულის დიალექტებში გავრცელებული **ჩინჩლ-** ფუძე ზანურიდან მომდინარეობს.

არანაირი საფუძველი არ არსებობს ქართ. **ცოლ-** : ზან. **ჩილ-** „ცოლი“ ფუძეებისა და სვან. **ჩოშ-** (←***ჩოჩ-**) ერთმანეთთან დაახლოებისა (გ. კლიმოვი).

ს.-ქართვ. ***ცოც-** „ცოცვა“; "coire" → ქართ. **ცოც-** : ზან. **ჩოჩ-** → || **ჩგჩ-** → || **ჩიჩ-** : სვან. **ჩოშ-** ←***ჩოჩ-**.

სვან. **ჩუთარ-**ჲდ || **ჩუთარ-**ად ზს., ქს. „ცვედანი“.

ქართ. **ცვედანი-**ი.

ზან. **ჩუთუ** „ცვედანი“.

ზანურში ბოლოკიდური **ნ** დაკარგულია — **ჩუთუ** ←***ჩუთონ**, რაც დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია (ა. ჩიქობავა).

სვანური ზუსტად ასახავს ს.-ქართვ. **ცუედან-** არქეტიპს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით შესატყვისობა ქართ. **ნ** (ცვედან-) : სვან. **რ** (ჩუთარ-), რაც მხოლოდდამხოლოდ ძირეულ ლექსიკაში შეინიშნება (იხ. § 12. **ნ** → **რ**). ამიტომ გამოსარიცხია მოსაზრება სვანური ეკვივალენტის ზანურიდან მომდინარეობის შესახებ (გ. კლიმოვი).

ზანურ-სვანურ ფუძეებში საცნაურია **დ** → **თ**. შეიძლება აღწერილი ლექსემა შეიცავდეს ქართ. -**ან** : ზან. -**ონ** : სვან. -**არ** || -**წრ** ქონების სუფიქსს (იხ. აქვე, სვან. -**წრ** || -**წრ** || -**წრ** : ქართ. -**ან** : ზან. -**ონ**).

ს.-ქართვ. ***ცუედან-** „ცვედანი“ → ქართ. **ცვედანი-**ი : ზან. **ჩუთუ** ←***ჩუდ-ონ-** : სვან. **ჩუთარ-** ←***ჩუდან-**.

ქართ. (მთიულ., ქართლ.) **ჩუთ-**ი „კავი, სახვნელი“, ქართლ. **ჩუთ-**, ა-**ჩუთ-**ვ-ა „ანეულად მოხნული მიწის ხელმეორედ მოხვნა“.

ზან. **ჩქურთ-**ი „სატენი ხის გულამოსალებად“.

სვან. —.

ქართული **ჩუთ-** ფუძის კანონზომიერი ზანური შესატყვისი ქართული ენის იმერულ დიალექტშია შემორჩენილი — ქართ. **ჩუთ-** : ზან. **ჩქურთ-**. **ჩქურთ-**ის ზანურობაზე, გარდა ბგერათშესატყვისობის — ქართ.

ჩ : ზან. **ჩქ** — ჩვენებისა, მიუთითებს **თ**-ს წინა პოზიციაში **რ**-ს განვითარებად — **ჩქურთ-ი** ←***ჩქუთ-ი**.

ამ დაკავშირებას წინააღმდეგობა არც სემანტიკის დონეზე ახლავს: **კ ა ვ ი ც, ს ა ტ ე ხ ი ც** ორივე რალაცის **ა მ ო ს ა ლ უ რ ტ ნ ა ლ, ა მ ო - ს ა ლ ე ბ ა ლ** გამოიყენება (შდრ. ზ. იმერ. **ჩოთ-ი** „ბარისებრი ხის იარაღი, მხლის საკეპი“).

ს.-ქართვ. ***ჩუთ-** „კავი, სახვნელი; ამოსატეხი“ → ქართ. **ჩუთ-, ჩუთ-ი** || **ჩოთ-ი** : ზან. **ჩქურთ-ი** ←***ჩქუთ-ი**.

სვან. **ჩუაღ** ზს., ლნტ., **ჩუაღ** ლშხ. „მეწყერი“, **ჩუაღ-ობ** ზს., ლნტ. „მეწყერიანობა“.

ქართ. **ცორ-**, **ცორ-ი**ალ-ი, ა-**ცორ-დ-ა**, ა-**ცორ-ვ-ებ-ა**, **ცორ-ვ-ა** „თოვლსა და მოლზე ჩაგლინ(ვ)ება (საბა)“.

ზან. —

საბას განმარტებიდან ცხადად ჩანს, რომ ქართულ **ცორ-** ძირს ჩაძირვის, ჩაფლობის გაგება ახასიათებს, რაც ფარავს სვანური მეწყერი (завал) სემანტიკას.

სვან. **ჩუაღ-** მიღებულია **ო** → **უა** (შდრ. გომ-ი : გუალ...) და **რ** → **ლ** დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების გავლით — **ჩორ-** → **ჩუაღ-** (იხ. § 16. **რ** → **ლ**).

ს.-ქართვ. ***ცორ-** „ჩაფლობა, ჩამოწყდომა“ → ქართ. **ცორ-** : სვან. **ჩუაღ-** || **ჩუაღ** ←***ჩორ-**.

სვან. **ჩუეფ-/ჩუიფ-** || **ჩუფ-**, **ჩუეფ-**ენ-ი „დნება“, ლი**ჩუფ-**ე ზს., ლშხ., ლი-**ჩუეფ-**ე ლნტ. „დნობა“, **ჩუიფ-**ე „ადნობს“.

ქართ. (იმერ.) **ციფ-ო** „გამხდარი, ულამაზო“.

ზან. —

დნობა-გახდომა საერთო სემანტიკური ველის წევრებია, შდრ. ქართულში **დამდნარი/დნობა-**ს გამოყენება **გამხდარი/გახდომის** სინონიმ (ეპითეტად).

სვანურში **ჩუეფ-/ჩუიფ-** ნასახელარი ზმნაა — ***ჩიფ-უ** → **ჩუიფ-/ჩუეფ-**, სადაც **-უ** (← **-ო**) ქართ. **ო-**ს (ციფ-**ო**) ფუნქციურ-მატერიალური შესატყვისია.

ს.-ქართვ. ***ციფ-ო** „სუსტი, გამხდარი, ჩამომდნარი“ → ქართ. **ციფ-ო** : სვან. **ჩუეფ-/ჩუიფ-** ←***ჩიფ-უ**.

სვან. **ჩქიმ** ზს., ქს. „ლაზათი, შნო“.

ქართ. **ცქაფ**-ი „სწრაფი“, გურ., ლეჩხ. **ცქაფ**-ი „მარდი, მკვირცხლი, ლაზათიანი“ მთიულ. **ცქეფ**-ია „ცოცხალი, მარდი, ყოჩალი“.

ზან. (მეგრ.) **ჩქოფ**-ო „ლაზათიანი, პირბადრი“.

ზანურის ჩვენება ძვირფასია ს.-ქართვ. ფუძის განზოგანების ძიებისას — ქართ. **ა** (→ **ე**) : ზან. **ო**. სვანურში სახეზეა **ა** → **ი** პროცესი (შდრ. **ძალ**-**ჯილ** „სიმი“...).

ფუძის აუსლაუტი დაყრუებულაა ქართულ-ზანურში — **ბ** → **ფ**, რა-ზეც სვანური **მ** მიუთითებს, რომელიც **ბ**-ს ბგერინაცვალია (ქართ. ბინ-ჭველ-ი : სვან. **მ** გ რ შ კ).

ს.-ქართვ. ***ცქაბ**- „სიმკვირცხლე, სიცოცხლე, შნო, ლაზათი“ →

ქართ. **ცქაფ** → || **ცქეფ** : ზან. **ჩქოფ**-ო ←***ჩქობ**-ო : სვან. **ჩქიმ** ←***ჩქაბ**.

სვან. **ჩჩ**-ურ- || **ჩუნჩ**-ურ-, ა-**ჩჩ**-ურ-ე ბზ., ა-**ჩჩ**-ურ-ე ბქ., ა-**ჩუნჩ**-ურ-ე ლნტ. „ამტვრევს, დაშლის (პურს, ყველს...)“, ლი-**ჩჩ**-ურ-ე ბზ., ლშხ., ლი-**ჩჩ**-ურ-ე ბქ., ლი-**ჩუნჩ**-ურ-ე ლნტ. „დაშლა, დამტვრევა“.

ქართ. **ცეც**¹, ნა-მ-**ცეც**-ი, და-ნა-მ-**ცეც**-ებ-ა.

ზან. (მეგრ.) **ჩგჩ**- || **ჩინჩ**-, **ჩგ/ინჩ**-ოლ-უ-ა „დანამცეცება, დამტვრევა, დაშლა“, ქიმთა-**ჩინჩ**-ოლ-უ „ჩაამტვრია (სარკე)“, **ჩგ/ინჩ**-ოლ-ია „ყველის სახეობა (დაშლილი, დანამცეცებული ჭყინტი ყველი)“, **ჩგჩ**-გ „მცირე, ნამცეცა“, დო-**ჩინჩ**-ოლ-ი „დაშალე, დაამტვრე“.

ქართულში დამოუკიდებელი **ცეც**- ზმნური ძირი ვერ გამოვავლინეთ. ისტორიულად მის არსებობაზე მიუთითებს ნაზმნარი სახელი ნა-მ-**ცეც**-ი.

ფუძის განზოგანება აქ მეორეულია — ***ცაც**- → **ცეც**- (შდრ. **ჭარ**- → || **ჭერ**-) — ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში: ზანური **გ/ი** საწყის სახეობად **ო**-ს ვარაუდობს (ქართ. **ა** (→ **ე**) : ზან. **ო**), ხოლო სვანური **უ** (ჩუნჩ-) ასიმილირებული **ა** → /**ე** არის — ჩანჩ-ურ- → ***ჩუნჩ**-ურ-. ინლაუტური **ნ** ფონეტიკური ჩანართია ზანურსა და სვანურში.

ქართველურ ფუძეთა სემანტიკური ჩვენება იგივეობრივია.

ს.-ქართვ. ***ცაც**- „მტვრევა, დაშლა, დანამცეცება“ → ქართ. **ცეც**¹, ნა-მ-**ცეც**-ი : ზან. **ჩინჩ**- || **ჩგჩ**- ←***ჩინჩ**- : სვან. **ჩჩ**- || **ჩუნჩ**- ←***ჩინჩ**-.

სვან. **ჩხწვ** „მარცვლეულის საწყაო“.

ქართ. **ცხავ**-ი „საცრის მსგავსი ხელსაწყო, რომელსაც ძირი მოწნული აქვს“, „ცხრილი“.

ზან. (მეგრ.) **ო-რჩხე** „ქარქაში“.

ქართული ვ-ს შესატყვისად სვანურში ბ უნდა გქონოდა (შდრ. ქართ. წოგ- : სვან. წობ-...), რომელიც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დაყრუვდა — ცხავ- : *ჩხაბ- → ჩხაფ-, ზანურში „ზედმეტი“ ო-სთვის შდრ.: ქართ. მტილ-ი : ზან. ო-რტ(ვ)ინ-ი....

ს.-ქართვ. *ცხაჟ- „მოწული ჭურჭელი; ცხრილი“ → ქართ. ცხავ-ი : ზან. ჩხავ-, ო-რჩხე ← *ო-რჩხავ-ი : სვან. ჩხაფ ← *ჩხაბ ← *ჩხაჟ.

სვან. ჩხენ-/ჩხინ- || ჩხენ-, ხ-ა-ჩხინ-ა ზს., ხ-ა-ჩხინ-ა ლშხ., ხ-ა-ჩხენ-ა ლნტ. „გარჭობილია, გაჩხერილია“, ხ-ა-ჩხინ-ე ზს., ხ-ა-ჩხენ-ე ლნტ., ხ-ა-ჩხინ-ე ლშხ. „არჭობს“, ხ-ე-ჩხინ-ი ზს., ლშხ., ხ-ე-ჩხენ-ი ლნტ. „ეჩხირება“, ლი-ჩხინ-ე ზს., ლშხ., ლი-ჩხენ-ე ლნტ. „გარჭობა, გაჩხერა“.

ქართ. ჩხერ-/ჩხირ-, ჩხერ-ი, ჩხირ-ი „ბადის საქსოვი ჩხირი, ფათხა“, გა-ჩხერ-ა „გარჭობა“.

ზან. (ჭან.) ცხაჯ-ი „ბადის საქსოვი“, მეგრ. ჩხანჯ-ი; ჩხაჟ-ი „ბადის საქსოვი (საბა)“.

საბას მიერ მოხმობილი ჩხაჟ-ი ზანურ წყაროს ვარაუდობს, მხოლოდ სიტყვის სესხებისას ზანური ჯ, ქართული რ-ს შესატყვისი, არაადექვატურად აისახა — ჯ → უ : ჩხაჯ-ი → ჩხაჟ-ი (შდრ. ზან. მარყუჯ-ი → ქართ. მარყუჟ-ი). ასევე ქართულ ნასესხობაში მნიშვნელოვანია, რომ ისტორიული შიშინა ჩ სიბილანტი შემოგვენახა; მაშინ როდესაც მეგრულ-ჭანური ენის ჭანურ დიალექტში ჩ → ც საცნაურია — *ჩხაჯ-ი → ცხაჯ-ი.

ჩ → ც ამ შემთხვევაში კომბინატორული ფონეტიკური პროცესია, და გასისინების მიზეზი ფუძის ბოლოში ჯ-ს პოვნეირებაა, შდრ. ქართ ცვარ-ი : ზან. ცუნჯ-ი ← ჩუნჯ-ი (გ. როგავა).

ზანურისთვის სავარაუდო ჩხაჯ- არქეტიპის კვალი ჩანს აფხაზურ ა-ჩხაჯნჯ → ა-ჩხაჯნ სიტყვაში (ვ. აბაევი, გ. მაჭავარიანი). ზანურის გახმოვანება ს.-ქართვ. ე-ს (ჩხერ-) ასახავს (ქართ. ე : ზან. ა), ხოლო სვანური ფორმები ი (ჩხირ-) გახმოვანებას მიჰყვება (ჩხინ-); სვანურში ყურადღებას იქცევს რ → ნ პროცესი — ჩხირ- → ჩხინ-, რაც ბუნებრივია (შდრ. ქართ. ვარ-ი : ზან. ხოჯ-ი : სვან. ვან... იხ. § 17. რ → ნ).

ს.-ქართვ. *ჩხერ-/*ჩხირ- „ჩხირი“, „გაჩხერა“ *ჩხერ-ი/ჩხირ-ი; → ქართ. ჩხერ-/ჩხირ-, ჩხერ-ი/ჩხირ-ი : ზან. ცხაჯ-ი || ჩხაჟ-ი || ← ჩხაჯ-ი : სვან. ჩხინ- → || ჩხენ-.

სვან. ჩხ-ეფ- || ჩხ-ფ-, ჩხ-ეფ-ი ზს., ჩხ-ეფ-ი ლშხ., ჩხ-ეფ-ენ-ი ლნტ. „გახდება (წონაში დაიკლებს)“, მე-ჩხ-ფ-ე (ხ-ო-ნ-ჩხ-ფ-ა ზს., ლშხ.), მე-ჩხ-ეფ-ე (ხ-ო-ნ-ჩხ-ეფ-ა ლნტ.) „გამხდარი“, ლი-ჩხ-ეფ „გახდომა“.

ქართ. **ცხერ-**, და-**ცხერ-**, **ცხრ-**, **ცხრ-**ებ-ა, და-**ცხრ-**ა, და-**ცხრ-**ომ-ა „დაკლება, მოკლება (საბა)“, მ-**ცხრ-**ალ-ი.

ზან. მა-**რჩხ-**ა „თხელი წყალი (არაღრმა)“ ← ეტ. „დამცხრალი, დაკლებული“.

ზანური **მა-რჩხ-**ა აგებულების მხრივ ზუსტი შესატყვისია სვანური **მე-ჩხ-ფ-ე** || ← **მე-ჩხ-ეფ-ე** ფორმისა (ქართულში **მე-ცხრ-ე** უნდა გვქონოდა) შდრ. სვან. **მე-ფხ-ე** „მოწმენდილი ცა, კარგი ამინდი“ : ზან. **მა-ფხ-**ა, ქართ. **მე-ფ-ე** : ზან. **მა-ფ-ა...** **მა-**—**ა** უძველესი ზანური კონფიქსია, რომლის ადგილსაც ქართულთან ადაპტირებული **მა-**—**ე** ალომორფი იკავებს თანდათანობით.

სვანურში **რ** დაკარგულია (**ჩხ-ეფ-** ← ***ჩხრ-ეფ-**), ზანურში იგივე **რ**, როგორც მოსალოდნელი იყო, გადასმულია — ***მა-ჩხრ-ა** → **მა-რჩხ-**ა.

-ეფ სვანურში ქართული **-ებ** (**ცხრ-ებ-**)-ის ფუნქციურ-ფონეტიკური შესატყვისია; დღევანდელი ნორმებით უფუნქციო რუდიმენტი (იხ. § 39-40).

ს.-ქართვ. ***ცხ-ერ-** „დაკლება, გახდომა“ → ქართ. **ცხ-ერ-** || **ცხ-რ-**, მ-**ცხ-რ-**ალ-ი : ზან. **რჩხ-**, **მა-რჩხ-**ა ← ***მა-ჩხრ-ა** : სვან. **ჩხ-ეფ-** ← ***ჩხრ-ეფ-**, **მე-ჩხ-ეფ-ე** ← ***მე-ჩხრ-ეფ-ე**.

სვან. **ჩხიმ**, მგ-**ჩხიმ** „ცხიმი“.

ქართ. **ცხომ-**, **ცხომ-**ებ-ა, **ცხომ-**დ-ა „გაცოცხლდა“, **ცხიმ-ი**, **ცხ-**, **ცხ-**ებ-ა, ს-**ცხ-**ი-ა.

ზან. (მეგრ.) **ჩხომ-**, **ჩხომ-**აფ-ა, გე-**ჩხომ-**აფ-ა „დაბედება“ **ჩხომ-ი-** „თევზი“, **მა-ჩხომ-**ა „ცხოვნება“.

აღრე ქართული **ცხონ-**ებ-ა დაუკავშირდა მეგრულ **ჩხონ-**აფ-ა ფუძეს (გ. როგავა). საერთოქართველური ***ცხონ-** მორფემისთვის ეტიმოლოგიურად **ცხოვ-**რ-ებასთან კავშირს ვარაუდობენ; ვარაუდი რეალური ჩანს (გ. კლიმოვი). ამავე კონტექსტში ჩვენს ყურადღებას მიიქცევს ძველი ქართული **ცხომ-ებ-ა** „განცოცხლება“ სიტყვა. მისი შესატყვისი ჩანს მეგრული **ჩხომ-აფ-ა** (გე-**ჩხომ-**აფ-ა) „დაბედება“. თუ შეპირისპირება რეალურია, მაშინ ზუსტი სტრუქტურული შესაბამისობა წარმოჩნდება — **ცხომ-ებ-ა** : **ჩხომ-აფ-ა**. გარკვეული სიძნელეები თავს იჩენს „ცხოვრება“ ~ „დაბედება“ სემანტიკათა ერთიანობის თვალსაზრისით, მაგრამ ეს მოჩვენებითია, რადგანაც **ჩხომ-** ფუძეს „ცხოვნების“ ნიუანსიც ახასიათებს შემდეგ უძველეს მასდარულ ფორმაში, როგორცაა მეგრ. **მა-ჩხომ-**ა „ცხოვნება“.

არ არის გამორიცხული **ცხ-ომ-** ფუძის **ცხ-** ძირის ეტიმოლოგიური კავშირი ქართულ **ცხ-** (**ცხ-**ებ-ა) სიტყვასთან, შდრ. ქართ. მირონ-**ცხ-**ებ-ა : მეგრ. გე-**ჩხ-ომ-**აფ-ა „დაბედება“. ამგვარი შესაძლებლობა უფრო რეალურს გახდოდა ერთ-ერთ პრობლემურ ქართველურ შეპირისპირებას — ქართ. **ცხიმ-** : ზან. **ჩხომ-** : სვან. მგ-**ჩხიმ**. დაშვებისას მხედველობაში გვაქვს **ცხიმ-**ის როგორც სა-**ცხ-**ის, სა-**ცხ-**ებ-ელ-ის (ე. ი. რაც ს-**ცხ-**ი-ა) გა-

აზრება ისტორიულად. ხოლო **ცხომ**-ებ-იდან ისევე შეიძლება ზანური **ჩხომ**- „თევზი“ სუბსტანტივის (შდრ. ზმნური (გე-)**ჩხომ**-აფ-ა) გამოყვანა, როგორც **ცხოვრ**-ებიდან (შდრ. **ცხოვრ**-ებ-ა) **ცხოველ**- (შდრ. ზან. **ჩხოულ**-), **ცხოვარ**- || **ცხვარ**- (შდრ. ზან. **ჩხური**-ი → || **შხური**-ი). **ჩხური**-ი → || **შხური**-ი „ცხვარი“ ფონეტიკური გადასვლას (**ჩხ** → **შხ**) მეგრულში ეპარალელება **ჩხომ**-აფ-ა || **შხომ**-აფ-ა (**ჩხ** || **შხ**) სუბსტიტუცია. რაც არ უნდა იყოს შემთხვევითი ფაქტი მათი გენეტიკური ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

ს.-ქართვ. ***ცხ**-, ***ცხ-ომ**- „ცხოვნება, ცხება; ცხიმი“ → ქართ. **ცხ**-, **ცხ-ომ**-, **ცხ-იმ-ი** : ზან. **შხომ**- || ← **ჩხომ**-, **ჩხომ-ი** : სვან. **-ჩხიმ**, **მე-ჩხიმ**.

სვან. **ჩიდ**- || **ჩიდ**- || **ჩედ**- || **ჩად**- || **ჩაძ**-, ა-**ჩაძ** ბზ., ა-**ჩად** ლშხ., ა-**ჩაძ** ლნტ. „წავიდა“, ლი-**ჩედ** „წასვლა“, მე-**ჩედ** „წამსვლელი“, -**ჩედ**- „გადაცდენა“, ლგ-**ჩიდ** „გადაცდენილი“, ლგ-**ჩედ**-ინ-ე ბზ., ლშხ., ლგ-**ჩედ**-ინ-ე ბქ., ლნტ. „გადაცდენილი“, ლგ-**ჩედ**-ე ზს., ლშხ., ლგ-**ჩად**-ე ლნტ. „გადაცდენილი“.

ქართ. **ცეთ**- || **ცთ**-, **ცთ-ომ**-ა, **ცთ-ენ-ილ**-ი, **ცდ-ენ-ა/ცდ-ინ-ა**, **შე-ცდ-ომ**-ა, **გა-ცდ**-ა, **გადა-ცდ**-ა; **ნა-ცთ**-ი, **მ-ცთ**-არ-ი || **მ-ცდ**-არ-ი.

ზან. (მეგრ.) **ჩილათ**- || **ჩგლათ**-, **ჩგლათ**-ა „ცდენა“, **გინო-ჩგლათ**-ირ-ი „გადაცდენილი“, **გეგნა-ჩირთ**-უ „გადაცდა“, **ჩგრთ-უ(ნ)** „ცდება“, **ჭან. ჩულეთ**- || **შულეთ**- „აცდენა“.

ქართველურ ძირ-ფუძეთა შედარებითი ანალიზისას ირკვევა, რომ ისტორიულად ფუძის გახმოვანება ანიანი უნდა ყოფილიყო — ***ცად**- → || ***ცათ**-, რომელმაც ზანურში ***ჩუთ**- მოგვცა (**ა** → **ო** → **უ**), რაზედაც **-ალ** ზმნური აფიქსის დართვით, ხოლო შემდგომ **ლ** სეგმენტის ძირეულ **თ** თანხმოვანთან საურთიერთო მეტათეზისით მივიღეთ **ჩულათ**- || **ჩულეთ**- ალომორფები — ***ჩუთ-ალ**- → ***ჩულათ**- || **ჩულეთ**- (შდრ. აქვე ქართ. **კაფ** : ზან. **კალიფ**- ← ***კიფ-ალ**- ← ***კუფ-ალ**-). მეგრულ დიალექტში დამატებით დამახასიათებელი **უ** → **გ** → **ი** პროცესიც გატარდა — ***ჩუთ-ალ**- → ***ჩგთ-ალ**- || ***ჩით-ალ**- → **ჩგლათ**- || **ჩილათ**-. აფიქსისეული **ლ**-ს საურთიერთო მეტათეზა-ჩანაცვლება **დ**-სთან ხშირია ზანურში (შდრ. ქართ. **წყუედ**- „წყდომა, წყვეტა“ : ზან. **ჭყვად/ჭყოლ**- „წყვეტ, წყდომა“ → ***ჭყოლ-ალ**-ა „დავიწყება“ → **ჭყოლად**-ა, **ჭან. სქიდ-ალ**-ა „დარჩენა, სიცოცხლე“, მეგრ. **სქილად**-ა ← ***სქიდ-ალ**-ა...).

სვანურში ძირისეულ ხმოვანთა ნაირსახეობას (**გ, ი, ე, ა** || **ა**) საფუძვლად **ა** უდევს, რომელიც ს.-ქართვ. ***ცად**- სახეობიდან მომდინარეობს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ცად**- → || **ცათ**- ალომორფთა მერყეობა საერთოქართველურ ფუძენაშიც შეიმჩნეოდა, საიდანაც, ერთის

მხრივ, ქართული **ცეთ-** || **ცთ-** || **ცდ-** განვითარდა **ა** → **ე** აბლაუტით, ხოლო, მეორეს მხრივ, სვანურის ოდენ მჟღერვარიანტიანი **ჩად-** და ზანურის ოდენყრუვარიანტიანი ***ჩუთ-**(ალ-) მივიღეთ. **დ** || **თ** სუბსტიტუცია საერთოქართველურის დონეზე უნდა შეინიშნებოდეს **ცჷედ-** || **ცჷეთ-** || **ცუდ-**, **ცჷედ-ან-/ჩუთ-უ** ლექსემაშიც. **დ** || **თ** პროცესი სავარაუდოა მხოლოდ საერთოქართველურისთვის, რადგანაც წინარექართველურში ამოსავალია მჟღერი სახეობები.

მნიშვნელობის მხრივ იგივეობა ადვილი შესამჩნევია; ძირითადია წ ა ს ვ ლ ა - გ ა დ ა ც დ ე ნ ა, რაც შესაძლებელია ერთი ძირის ფარგლებშიც (სვანური).

ს.-ქართვე. ***ცად-** || ***ცათ-** „გადაცდენა, წასვლა“ → ქართ. **ცეთ-** || **ცთ-**, **ცდ-**, **ცდ-ენ-/ცდ-ინ-** : ზან. **ჩულეთ-** || **ჩილათ-** ← ***ჩუთ-ალ-** : სვან. **ჩად-** || **ჩჷდ-** → || **ჩედ-** || **ჩდ-** || **ჩგდ-** || **ჩიდ-**.

ც

ქართ. (გურ., ქართლ.) **ცახ-ი** „საპარკე, მცირე პარკი“, **ცახ-ე** (საბა).

ზან. (მეგრ.) **ჩახვ-ია** „მცირე ტომარა, პარკი“.

სვან. —.

ქართულ **ცახ-** ძირს ზანურში შესატყვისად **ჩახ-** უნდა ჰქონოდა (ქართ. ა : ზან. ო, ც : ჩ); შესატყვისობა ხმოვნებში დარღვეულია მეგრულში მომხდარი ცვლილებების გამო. მხედველობაშია ო → ვა შესაძლებლობა, შემდგომში ვ-ს დისტანციური მეტათეზით. ე. ი. ***ჩახ-ია** → ***ჩვახ-ია** (შდრ. ყან-ა : ცონ-ა → || სვან-ა, გორა : გოლა || გვალა...) → **ჩახვ-ია**. გვიანდელი **ჩახვ-** მეგრულიდან არის შეთვისებული ქართულის დასავლურ დიალექტებში: ზ.-აჭარ. **ჩახვ-ი** „პატარა ტომარა, პარკი“, გურ. **ჩახუ-ა** || **ჩახვ-ა** „მცირე პარკი“.

სვანურში შესაბამისი ფორმა დაკარგული ჩანს.

ს.-ქართვ. ***ცახ-** „საპარკე, მცირე პარკი, ტომარა“ → ქართ. **ცახ-ი** || **ცახ-ე** : ზან. **ჩახვ-** ←***ჩვახ-** ←***ჩახ-**.

სვან. **ცაჲ-რა** ბზ., **ცაჲ-რა** ბქ., ლნტ., **ცაჲ-რა** ლშნ. „თელა“.

ქართ. **ცველ-ა** „ნაძვი“.

ზან. (მეგრ.) **ცვ-** || **ცი-** „თელა“.

სვანური ფორმები მიღებულია ***ცუეუ-** არქეტიპისაგან დამახასიათებელი უ → ჰ → || **ჲ** ფონეტიკური გადასვლით (შდრ. ქართ. ზვ-ავ-ი : სვან. **ჟაჰ** || **ჟაჲ**, ქართ. **ვინა** : სვან. **ჲრ** || **ჲარ...**), ნ-ს სიგრძე სვანურში უ-ს დისიმილაციური გაუჩინარების საკომპენსაციო კვალია — ქართ.

ცუელ- : სვან. ***ცუეუ-** (ლ → უ) → **ცაუ-** → **ცაჰ-** || **ცაჲ-** || **ცაჲ-** (ე → ა → || ა უ-ს წინ ახსნილია (მ. ქალღანი)).

ქართ. **ცუელ-** : ზან. **ცვ-** მიმართების ზუსტი სტრუქტურული ანალოგი მოიპოვება ქართ. **წუელ-**: ზან. **წუ**, **სუელ-** „სველი“ : **შვ-**... შეპირისპირებათა სახით. ამოსავალია **ცუ-** ←***ცუუ-** (შდრ. ქართ. -ელ : ზან. -უ სუფიქსებში).

სემანტიკური სხვაობა თ ე ლ ა ~ ნ ა ძ ვ ი ადვილად აიხსნება; თ ე ლ ა → ნ ა ძ ვ ი ქართულში მომხდარა. **ცველა-**ს ისტორიული ადგილი ბერძნულიდან შეთვისებულმა **თელა-**მ დაიკავა.

ს.-ქართვ. ***ცუ-ელ-** „თელა“ → ქართ. **ცველ-ა** : ზან. **ცი-** || **ცვ-** ←***ცუ-** ←***ჩუუ** : სვან. **ცაჲ** || **ცაჰ-** || **ცაჲ-** || **ცაჲ** ←***ცუეუ-** ←***ჩუელ-**.

ქართ. (ოკრიბ.) **ცეტა** „თევზი, მოკლე და მკვრივი“.

ზან. (მეგრ.) **ციტუ** „წვრილი თევზი; ლიფსიტა“.

სვან. —

წარმოდგენილი საერთოქართველური ფუძე აშკარა სიმბოლიკური აგებულებისაა. ამიტომაც არ გაგვაჩნია ხმოვნებში კანონზომიერი მიმართება, შდრ. ფუძის შიგნით ქართ. **ე** : ზან. **ი**, ხოლო აუსლაუტში ქართ. **ა** : ზან. **უ** (ეს უკანასკნელი იგივე მიმართებას წარმოაჩენს, რასაც III სუბ.

პირის ს.-ქართვ. -**ა** სუფიქსი ქართ. კლ-**ა**, წერ-**ა** : ზან. ჯვილ-**უ**, ჭარ-**უ**).

ამოვდივართ რა აღწერილი ფუძის აგებულების ხასიათიდან, შესაძლებლად გვესახება ქართული **ცოტა** ლექსემის სიტყვათა ამ რიგში შემოტანა. იქნებ აქვე შემოდირდეს სვანური **ცუზ** ←***ცუზუ** (შდრ. მრ. რ. **ცუზუ**-პრ) „თევზი“, თუმცა ალბათ ძნელია მისი დაცილება ქართულ **თევზ-ი** ფორმასთან — **ცუზუ** ←***ცეზუ** ←***თეზუ**- (?) შდრ. სვან. **ციუ** „ლიფსიტა“.

ს.-ქართვ. ***ცვტ-ა** „წვრილი, მოკლე თევზი; მცირე საზოგადოდ“ → ქართ. **ცეტ-ა**, **ცოტ-ა** : ზან. **ციტ-უ**.

სვან. **ციბ** ზს., ქს. „მაღალი ღობე; გალავანი“.

ქართ. **ციცაბ-ი** „ფრიალო გვერდი ამართული (საბა)“, **ციცაბ-ო**.

ზან. —

ქართულში ფუძე გაორკეცებულია — **ციბ-ცაბ-** → **ცი-ცაბ-**.

ს.-ქართვ. ***ციბ-** „მაღალი გვერდი, კედელი“ → ქართ. **ციბ-ი**, **ციცაბ-ი** || **ცი-ცაბ-ო** (←***ციბ-ცაბ-**) : სვან. **ციბ**.

სვან. **ცილ** ზს., ლშხ., **ცირ** ლნტ. „კანი, ქერქი“.

ქართ. (ზ. იმერ.) **ცილ-ი** „გოგრის, საზამთროსა და მისთანათა **კანის** თეთრი ნაწილი“.

ზან. —

სვანურში დიალექტების მიხედვით დასტურდება **ლ** → || **რ** აუსლაუტური მონაცვლეობა. **ლ** → || **რ** მონაცვლეობა ამაგრებს ჩვენს დებულებას **ლ** → **რ** ისტორიული პროცესის არსებობის შესახებ სვანურში (იხ. აქვე, § 6).

ს.-ქართვ. ***ცილ-** „კანი, ქერქი“ → ქართ. **ცილ-ი** : სვან. **ცილ** → || **ცირ** ←***ჩილ**.

ქართ. **ციმორ-ი** „თევზია ერთგვარი“, **ცმორ-ი** (საბა), **ცმორ-ა**.
ზან. (მეგრ.) **ცქიმურ-ი** „ცმორა“.

სვან. —

ზანური **ცქიმურ-ი** ზუსტი ეკვივალენტია ქართული **ციმორ-ი** ფორმისა — ქართ. **ც** : ზან. **ცქ**, ქართ. **ი** : ზან. **ი**, ქართ. **მ** : ზან. **მ**, ქართ. **ო** : ზან. **უ**, ქართ. **რ** : ზან. **რ**. საბას ლექსიკონში დადასტურებული **ცქიმურ-ა** ზანურ წყაროს ჰგულისხმობს და **ცმორა-ს** შეეფარდება.

ს.-ქართვ. ***ციმ-ორ-** „წვრილი თევზის სახეობა“ → ქართ. **ციმორ-ი** || **ცმორ-ი** || **ცმორ-ა** : ზან. **ცქიმურ-ი/ა**.

ქართ. (იმერ.) **ციც-ინ-**, და-**ციც-ინ-**ებ-ა „სხეულის კანის, ტუჩის და-სკდომა“, და-**ციც-ინ-**ებ-ულ-ი.

ზან. (მეგრ.) **ციც-ინ-**, გო-**ციც-ინ-**აფ-ა „კანის დასკდომა სიცივისაგან“, **ციც-ინ-**აფ-ილ-ი „კანდამსკდარი“, მ-ი-**ციც-ონ-**დ-უ „კანი მისკდება“.

სვან. —

ფონემური იდენტურობა ქართველური ფუძეებისა არ გამორიცხავს მათ საერთოქართველური წყაროდან დამოუკიდებლად მომდინარეობას. ამაზე ზმნის სუფიქსაცია -**ებ** : -**აფ-** და ზმნისწინთა განსხვავებული გამოყენება ქართ. **და-**, ზან. **გო-** მიუთითებს. სესხების შემთხვევაში იდენტურობა აქაც იჩენდა თავს, შდრ. შიშინა გო-**ჩიჩ-ინ-**აფ-ა სახეობა.

ს.-ქართვ. ***ციც-ინ-** „კანის დასკდომა სიცივისაგან“ → ქართ. **ციც-ინ-** : ზან. **ციც-ინ-** || **ციც-ონ-** || ← **ჩიჩ-ინ-**.

ქართ. **ცოცხ-ალ-ი**, **ცოცხ-ლ-ობ-ს**, ა-**ცოცხ-ლ-**ებ-ს.

ზან. «**ო-ჩხ-არ-ი**», «**ო-ჩხ-ი**» „შესაწევარი“.

სვან. —

ქართული **ცოცხ-ალ-** ფუძე ისტორიულად ***ს-ო-ცხ-ალ-**ისაგან მომდინარეობს ისევე, როგორც — **ცეცხლ-ი** ← ***სეცხლ-ი** (არნ. ჩიქობავა), თანამედროვე ზანურში (მეგრულში) წარმოდგენილი **ცხორცხალ-ი** ქართულიდან შეთვისებული სიტყვაა. არადა, ქართ. ***ს-ო-ცხ-ალ-** არქეფორმას საკუთრივ ზანური შესატყვისიც უნდა ჰქონოდა. ვარაუდით, იგი ჩანს ქართული ენის დიალექტებში (მოხ., ქსნის ხეობ., ქართლ., ხევს., თუშ.)

გავრცელებულ **ო-ჩხ-არ-ი** „შესაწევარი“ ← ეტ. „სასიცოცხლო“ სიტყვაში (შდრ. სომხური **ვოჩხარ** „ცხვარი“ (ნ. მარი)). ისტორიულად ქართული **ს-** პრეფიქსის შესატყვისი **შ** ზანურში ვერ ძლებს **ო-**ს წინა პოზიციაში და უკვალოდ იკარგება; ამასთან არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა წარმოშობისაა **ო** ზანურში, საერთოქართველური ა-სგან მომდინარეობს იგი, თუ **ო-**საგან : ქართ. **სახლ-** : ზან. **ოხორ-** ← ***შოხორ-**, ქართ. **სარცხა** : ზან. **ურჩხა** ← ***შორჩხა...** ასევე ქართ. ***ს** **ო** **ც** **ხ** - **ა** **ლ** - : ზან. **ოჩხ-არ-** ← ***შოჩხ-**

არ-**ოჩხარ-ი/ოჩხ-**ი „შესაწევარი“ სემანტემა ეტიმოლოგიით სასიცოცხლო სწავს.

ს.-ქართვ. ***ს-ოცხ-ალ-** „ცოცხალი“ → ქართ. **ცოცხ-ალ-ი** : ზან. **ოჩხ-არ-ი** ←***შოჩხ-არ-ი**.

სვან. **ცქერ** „საქონლის ფაშეში მოთავსებული მოუნელებელი საჭმელი“, ბზ., ლშხ. „ფალარათი“.

ქართ. **ჩორ-**, მ-**ჩორ-**ე „ძაღლისა და მჯეცის სკორე (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **ცქერ-** || **ცქირ-**, **ცქერ-ან-ს** || **ცქირ-ან-ს** „აფალარათებს (ფრ.)“.

ზანურში ქართულის შესატყვისად **ცქურ-** იყო მოსალოდნელი; მაგრამ **უ** → **გ** || **ი** პროცესის გავლით **ცქერ-** || **ცქირ-** მივიღეთ, როგორც ამას ვარაუდობდნენ ქართულ-ზანური ფორმების ანალიზისას (გ. როგავა). ბგერათშესატყვისობის თვალსაზრისით სვანურიც ზანურს მიჰყვება, ოღონდ აქ — ***ცქორ** → **ცქერ**.

მნიშვნელოვანია სიბილანტური რიგის ბგერათშესატყვისობა — ქართ. **ჩ** : ზან. **ცქ** : სვან. **ცქ**; ცვალემა ქართულსაც შეჰხვებია **ც** → **ჩ** (შდრ. **ფრცხილ-ი** → **ფრჩხილ-ი...**), ხოლო სვანურ-ზანურში — **ც** → **ცქ**. შესატყვისობათა ფორმულა ქართ. სისინა სიბილანტი (**ძ, ც, წ, ს**) : ზან. სისინა სიბილანტი + უკანაენისმიერი გუტურალი (**ძგ, ცქ, წკ, სქ**) : სვან. სისინა სიბილანტი + უკანაენისმიერი გუტურალი (**ძგ** → **სგ** || **სკ, ცქ** → **სგ** || **სკ, წკ** → **სკ, სგ** || **სკ**) ბუნებრივია ისევე, როგორც ქართ. **ჭ, ჩ, შ** : ზან. **ჭგ, ჩქ, ჭკ, შქ** : სვან. **ჭგ, ჩქ/შგ, ჭკ/შკ, (შქ→) შგ** || **შკ** (იხ. § 24-28).

ს.-ქართვ. ***ცორ-** „მჩორე, ფალარათი“ → ქართ. **ჩორ-**, მ-**ჩორ-**ე : ზან. **ცქირ-** || **ცქერ-** (←***ცქურ-**) : სვან. **ცქერ** (←***ცქორ**).

ს.-ქართვ. ***ცორ-** არქეტიპს შესატყვისობები ეძებნება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში: ადიღ. **ცოგ** || **ცუ** „ნაკელი“, ნახ. **ჩი-შ** || **ჩი-უ** „შარდი“, ანდ. **ჩილ**, კარ. **ჩილა**, ბოთლ. **შილი**, ლოდ. **შილი**, ჭამ. **ში**, ახვან. **შილი**, შდრ. ხუნძ. **წილ** ←***შილ** ←***ჩირ** „სკორე (ცხვრისა)“...

სვან. **ცხამ** ზს., ქს. „ღვარძლი“.

ქართ. **სხამ-ი** „შხამი“.

ზან. (მეგრ.) **შხამ-ი**, ჭან. **ჩხამ-ი** „შხამი“.

სვანურში **ცხ** კომპლექსი მეორეულია და ენაში მოქმედი **სხ** → **ცხ** ფონეტიკური პროცესის შედეგია, რაც სპორადულად სხვაგანაც იჩენს თავს (შდრ. ქართ. (მ)**სხალ-** : სვან. **იცხ** || **ტიცხ** ←***ცხიტ** ←***სხჰ** „მსხა-

ლი“, ზან. უ-**სხ**-უნ-უ „ურჩევნია“ : სვან. ხ-ო-**ცხ**-ა ←*ხ-ო-**სხ**-ა...). უძველეს სვანურ ფორმად — ქართულ **სხამ**-ის შესატყვისად — ვვარაუდობთ ზანურის ტიპის **შხამ**- ფუძეს, რომელიც ისტორიულად დღევანდელ ნასესხებ **შხამ** || **შხამ** „გესლი, შხამი“ სიტყვას ემთხვეოდა.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სვანური **ცხამ**-, ზანური **შხამ**- ფუძეები ქართულ **სხამ**-/**შხამ**-თან ადაპტირებული ფორმებია და ისტორიულ სინამდვილეზე ამგვარ სიტუაციაში მხოლოდ თეორიულად თუ შეიძლება საუბარი, შდრ. მეგრ. **ულამ**-ი „ღვარძლი“. დანამდვილებით უნდა ითქვას შემდეგი, რომ **შხამ**-ის აღმნიშვნელი ქართველური ფუძეები, რომელიმე ენიდან ნასესხობას არ გულისხმობენ და მეტნაკლებად ასახავენ საერთოქართველური ***სხ-ამ**- ერთეულის შემდგომ ევოლუციას, შდრ. ქართ. რი-**სხ**- : ზან. **შხ**-, ი-**შხ**-ან-ს „რისხავს“ (გ. როგავა).

ს.-ქართვ. ***სხ-ამ**- „შხამი, გესლი, ღვარძლი“ → ქართ. **სხამ**-ი → || **შხამ**-ი : ზან. **ჩხამ**-ი || **ულამ**-ი || **შხამ**-ი ←***შხომ**-ი : სვან. **ცხამ** ←***სხამ** ←***შხამ**.

ს.-ქართვ. ***სხ-ამ**- და ს.-ქართვ. ***რი-სხ**- „რისხვა“ საერთო **სხ**-ზმნურ ძირს შეიცავენ.

სვან. **ცხამ**- || **ცხემ**- || **ცხმ**-, ნა-**ცხამ**-ტუ ბზ., ნა-**ცხემ**-ტუ ბქ. „ალაგებული (სუფრა)“; „ალაგება“, ლი-**ცხმ**-აღ ბზ., ლი-**ცხმ**-აღ ბქ. „სუფრის ალაგების დრო“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) **რცხიმ**-, მო-**რცხიმ**-უ-ა (პიჯიშე) „ახსნა (პირისა)“ ← ეტ. „მოწმენდა“, მუ-**რცხიმ**-ი პიჯი „აუხსენი პირი“.

სვანურშიც, მეგრულის მსგავსად, ძირეულ ხმოვნად **ი** უნდა გვქონოდ და, მაგრამ მომდევნო **ჟ** ზეგავლენით **ი** → **ე** || **ა** განხორციელდა (მ. ქალღანი). **რ** ზანურშია გაჩენილი — ***ცხიმ**- → **რცხიმ**-.

ქართულში **ცხიმ**- ფორმა „ახსნის, ალაგების, მოწმენდის“ მნიშვნელობით საძიებელია.

ს.-ქართვ. ***ცხიმ**- „აწმენდა, ახსნა, აწყობა“ → ქართ. — : ზან. **რცხიმ**- ←***ცხიმ**- : სვან. **ცხმ**- || **ცხამ**- || **ცხემ**- ←***ცხიმ**-.

სვან. **ცხეკუ** || **ცხაკუ**, **ცხაკუ** ზს., ლნტ., **ცხეკუ** ლშხ. „ქორი“.

ქართ. **ჩხიკუ**-, **ჩხიკვ** || **ჩხიკვ**-ი, ქიზიყ. **ჩხვინკ**-ი „ჩხიკვი“.

ზან. (მეგრ.) **ჩხვირკ**-ი, ჭან. **ჩხვიკ**-ი „ჩხიკვი“.

საყურადღებოა ერთგვაროვანი ფონეტიკური პროცესები მეგრულსა და ქიზიყურ დიალექტში: შესაბამისად **რ**-სა და **ნ**-ს განვითარება **კ**-ს წინა პოზიციაში, **ვ**-ს მეტათეზისი აუსლაუტიდან ფუძის შიგნით, რაც ჭანურ-

საც ახასიათებს; აქ შეიძლება **რ** დაკარგულიყო — ჭან. ***ჩხვირკ-ი** → **ჩხვიკ-ი**.

განსაკუთრებულია სვანურის ვითარება, სადაც ს.-ქართვ. **ჩხ** კომპლექსის შესატყვისად **ცხ** სისინა ალოფონი დასტურდება — **ჩხ** → **ცხ**; ძირისეული **ი** ხმოვანი მომდევნო **ჟ**-ს ზეგავლენით **ე** || **წ**-ში გადასულა — **ჩხიკჟ** → **ცხეკჟ** → || **ცხწკჟ**. სისინა || შიშინა სუბსტიტუცია ჩვეულებრივია სვანურში, შდრ.: **ხანსარ** || **ხაშარ** „მყინვარი, თრთვილი“, **ქუმფჳს** || **ქუმფჳშ** „თაშვში ჩაწყობილი შიგნეული მოხარშული (შდრ. **ქუფ** „ბუდე“, ე. ი. -**წ**შ → -**წ**ს ნათ. ბრ. ნიშ.), **იშჟ** || **ისჟ** „რბილეული, რბილი (ხორცი)“, **ქარჩ** || **ქარც** „ქერტილი“, ფ **წ** **ჩხ** ჟ || ფ **წ** **ცხ** (ჟ) „ნამსხვრევი“, მეგრ. ფუჩხა... (იხ. აქვე, § 23.).

სემანტიკური ცვალება ჩხიკვი → ქორი სვანურის ნიადაგზეა მომხდარი.

ს.-ქართვ. ***ჩხიკჟ** „ჩხიკვი“ → ქართ. **ჩხიკვ** || **ჩხიკვ-ი** → ქიზიყ. **ჩხვინკ-ი** : ზან. **ჩხვიკ-ი** || **ჩხვირკ-ი** ← **ჩხირკვ-ი** : სვან. **ცხწკჟ** || **ცხეკჟ** ← ***ცხიკჟ** ← ***ჩხიკჟ**.

ქართ. (მობ.) **ცხრ-**, **ცხრ-**ეულ-ი „პურის პატარა და თხელი კვერი“.

ზან. (მეგრ.) **ცხგრ-**ა „ერთგვარი პატარა პური“, "чурек" (ი. ყიფშიძე). სვან. —.

ქართულ-ზანური სიტყვები არ იძლევა სრულ ინფორმაციას ფუძის ისტორიულ განმარტებაზე. რამდენადაც მეგრულში **გ** ირაციონალური ხმოვანი შეიძლება განვითარდეს **ო/უ**, **ი**-საგან; ფუძის საერთოქართველურ კოკალიზაციაზე გადაჭრით საუბარი უსაფუძვლოა.

ერთი რამ ცხადია, **ცხრ-/ცხგრ-** ფორმები აღნიშნავდნენ ერთგვარ პატარა პურს, შეიძლება რუსულ чурек-ს.

ს.-ქართვ. ***ცხVრ-** „ერთგვარი პატარა პური“, "чурек" → ქართ. **ცხრ-**ეულ-ი : ზან. **ცხგრ-**ა.

სვან. **ცხურკჟ-ინ-**; **ლი-ცხურკჟ-ინ-**ე ბზ., ლშხ., „მოხრაკვა“, ა-**ცხურკჟ-ინ-**ე ბზ., ლშხ., **ლი-ცხურკჟ-ინ-**ე ლშხ., ლნტ. „მოხრაკვა, მოხრაკვა“, ა-**ცხურკჟ-ინ-**ე ლშხ. „ხრაკავს, ხრუკავს“.

ქართ. **სხურკლ**, **სხურკლ-**ავ-ს, და-**სხურკლ-**ვ-ა „მებლუნძვით შეხმობა (ტყავთა)“ საბა.

ზან. (მეგრ.) **ჩხგრკ-ინ-** || **ჩხირკ-ინ-**, გო-**ჩხირკ-ინ-**აფ-ა „შეხმობა რაიმესი ცეცხლისაგან (მზისაგან)“, გო-**ჩხირკ-ონ-**დ-უ¹(ნ) „გაისხურკლება“, **ჩხგრკ-**ალ-ი „გასხურკული“.

ანლაუტური **სხ** შეიძლება მეორეული იყოს (შდრ. ქართ. **ცხუკ-ი**).

სვანური უცვლელად ასახავს ს.-ქართვ. განმოვანებას და იძლევა შე-სატყვისობას აუსლაუტში ქართ. **ლ** : სვან. **ჟ** — **ცხურკჟ** ← **ცხურკლ**-. ჩხ → **ცხ** გასისინების პროცესი სვანურში აქაც გამოჩნდა (იხ. § 23).

ზანურში სახეზეა **ჟ** → **გ** || **ი** პროცესი, **ლ** სიტყვის ბოლოში მოკვეცილია — **ჩხირკ**- || **ჩხგრკ**- ← **ჩხურკლ**-.

ს.-ქართვ. ***ცხურკლ**- „სხურკვლა, ხრუკვა, ხრაკვა“ → ქართ. **სხურკლ**-, **ცხუკი** ← ***ცხურკლ**- : ზან. **ჩხირკ**- || **ჩხგრკლ**- ← ***ჩხურკ**- : სვან. **ცხურკჟ**- ← ***ჩხურკლ**-.

სვან. **ცხუადჟ** ზს., ქს. „დიდი ქვაბი“. ქართ. (ქსნ. ხეობ.) **ცხედ**-არ-ი „კუბო“. ზან. —.

ქართული **-არ** სუფიქსია გამოსაყოფია, მისი შესადარი ჩანს სვანური **-ჟ**; შესატყვისობა მორფოლოგიურია (ფუნქციური).

სვანურ **ცხუად-ჟ** ფორმაში **ცხ**-ს შემდგომ **ჟ** გაჩენილია ფონეტიკურ ნიადაგზე, ფუძის აუსლაუტთან ასიმილაციით — **ცხუად-ჟ** ← ***ცხად-ჟ**-. ქართ. **ე** : სვან. **ა** პოზიციურია და აიხსნება **ე** → **ა** → **ა** უკუუმლაუტური გადასვლით სვანურში **ჟ**-ს წინა პოზიციაში (მ. ქალდანის წესი).

ს.-ქართვ. ***ცხედ**- „დიდი ჭურჭელი“ → ქართ. **ცხედ**-არ-ი : სვან. **ცხუად-ჟ** ← ***ცხად-ჟ** ← ***ცხედ-ჟ** ← ***ჩხედ-ლ**-.

სვან. **ცხუედ**- || **ცხუად**- || **ცხუად**-, **ცხუედ**-ნი (ა-**ცხუად** ბზ.) ზს., **ცხუედ**-ნი (ა-**ცხუად**) ლზს., **ცხუედ**-ენ-ი (ა-**ცხუედ**-ენ-ი) ლნტ. „წყდება, შეწყდება“, **ცხუიდ**-ე ზს., ლნტ., **ცხუდ**-ე ლზს. „შეწყვეტს“; ლი-**ცხუდ**-ე „შეწყვეტა“.

ქართ. **ცხუედ**-, მ-**ცხუედ**-ი „გავიანი“, და-მ-**ცხუედ**-ებ-ა „დაგვიანება“.

ზან. **ცხად**-, **ცხად**-აფ-ი, **ცხად**-ინ-ი „დაგვიანება“, დ-ბ-**ცხად**-ი „დავიგვიანე“.

ქართული მ-**ცხუედ**-ი ნაზმნარი სახელია (მიმღეობა). ოდენპრეფიქსული **მ**-იანი წარმოება გავრცელებულია ქართულში: **მ**-წყუედ-ი, **მ**-კვეთ-ი, **მ**-ხვეტ-ი, **მ**-ხვრეტ-ი...

მნიშვნელოვანი სემანტიკური სახესხვაობაა ქართველურ ფუძეებში განვითარებული, თუმცა შესატყვისობა ქართ.-ზან. **გ ვ ი ა ნ ი**, **და გ ვ ი ა ნ ე ბ ა** ~ სვან. **შ ე წ ყ ვ ე ტ ა** ბუნებრივად გვეჩვენება.

ს.-ქართვ. ***ცხუედ**- „დაგვიანება, შეწყვეტა“ → ქართ. მ-**ცხუედ**-ი, მ-**ცხუედ**-, «**ცხუედ**» : ზან. **ცხად**- ← ***ცხუად**- ← ***ჩხუად**- : სვან. **ცხუედ**-/**ცხუიდ**- → || **ცხუდ**- || **ცხუდ**- (← ***ჩხუედ**-/***ჩხუიდ**-..)

სვან. **ცხუაბ** || **ცხუაბ-**, ი-**ცხუაბ-ი** (აღ-**ცხუაბ**) ზს., ი-**ცხუაბ-ენ-ი** (ედ-**ცხუაბ-ე**) ლშზ., ი-**ცხუაბ-ი** (აღ-**ცხუაბ**) ლნტ. „მოიტაცებს“, „იმიშველებს (ხმალს, ხანჯალს)“.

ქართ. **სხუებ-**, **სხუებ-ა** „თავთავთა და ფოთელთა წაგლეჯა“, ი-**სხუ-ებ-ღ-ა** (საბა), მ-**სხვერპ-ლ-ი** ←*მ-**სხვაბ-ლ-ი**.

ზან. (მეგრ.) **სხუბ-**, **სხუბ-აფ-ა/ი** „ხელში აყვანა“, ი-**სხუბ-უ-ან-ს** „ხელში იყვანს“, **სხუბ-ინ-ი** „ჭიდება“, ქემა-**სხუბ-უ** „მოეჭიდა, აეკიდა“, „გა-აუპატიურა, შეურაცხყო“.

ქართველური ენებისათვის ძირითადია „მ ო გ ლ ე ჯ ი ს, მ ო ტ ა ც ე - ბ ი ს, მ ო ჭ ი დ ე ბ ი ს (ხ ე ლ შ ი ჩ ა გ დ ე ბ ი ს), თ ა ვ დ ა ს ხ მ ი ს“ შინაარსი.

სხ → **ცხ** აფრიკატიზაცია სვანურში ხშირია : ქართ. **სხ-ამ-** „სხმა“ : სვან. **ცხ-ემ-**, ი-**ცხ-ემ** „იზრდება“ (ვ. თოფურია), მეგრ. **სხ-უნ-**, მ-ი-**სხ-უნ-უ** „მირჩევნია“ : სვან. **ცხ-ონ-**, მ-ი-**ცხ-ონ-**, ხ-ო-**ცხ-ა** „მერჩია“...

ქართულს ე განმოვანება მეორეულია. ამოსავალია **ა**, რომელიც სვანურს დაუცავს, ზანური **უ-ც** ა-ს პრიმარობას უჭერს მხარს — ქართ.

***სხუაბ-** : ზან. ***სხუობ-** → **სხუბ-** : სვან. **ცხუაბ-** || **ცხუაბ-**.

ს.-ქართვ. ***სხუაბ-** „მოგლეჯა, ტაცება, ხელში ჩაგდება“ → ქართ.

სხუებ- : ზან. **სხუბ-** ←***სხუობ-** ←***შხუობ-** : სვან. **ცხუაბ-** || **ცხუაბ-** ←***სხუაბ-** ←***შხუაბ-**.

სვან. **ცხუი** ზს., ლნტ., **ცხუ** ლშზ. „ისარი“.

ქართ. (თუშ.) **ცხემლ-ი** „ჩხირი (წინდის)“, **ცხემლ-ებ-ი** „ხელთა ქვე-ბი მომზადებული, კვერთხები განმზადებული (საბა)“, ფშ., გუდამაყრ., მთიულ., ქსნის ხეობ. **ცხემლ-ა** „ხის პატარა ჯოხი (საქსოვი)“.

ზან. «**ცხემლ-იშ-ი**» „დიდი სატევარი“.

ფუძის ანალოგიური ცვეთა-გამარტივება სვანურიდან ცნობილია, შდრ.: **ცხუი** : **ცხემლ-** და **თუი** : **თაფლ-**. გურ. **ცხემლ-იშ-ი** „დიდი სატევარი“ ზანურიდან მომდინარე გვგონია, ამაზე ფუძის გაფორმება მიგვიითითებს — **-იშ-ი** : **-ის-ი**.

ს.-ქართვ. ***ცხამ-ლ-** „ჩხირი, ისარი, სატევარი“ → ქართ. **ცხემ-ლ-ა** || **ცხემ-ლ-ი** : ზან. **ცხემ-ლ-იშ-ი** : სვან. **ცხუი** || **ცხუ** ←***ჩხამ-ჟ-**.

სვან. **ცცც** ზს., ქს. „საადრეო სიმინდის ჯიში, წვრილმარცვლიანი“.

ქართ. **ციც-ელ-ა** || **ციც-ა** (მცენ.).

ზან. (მეგრ.) **ციც-ან-ა** „ლომის სახეობა“.

აგებულების მხრივ სვანური **ცცც** ქართულ **ციც-ა** ალომორფს უდგება, მეგრული **ციც-ან-ა** — ქართ. **ციც-ელ-ა**-ს.

ს.-ქართვ. ***ციც**- „სიმინდის, ღომის სახეობა“ → ქართ. **ციცა** ||
ციცელა : ზან. **ციცანა** ←***ჩიჩანა** : სვან. **ცც** ←***ციცა** ←***ჩიჩა**.

სვან. **ცყ**, **ცყ**, **ცყერ**, **ცყ** || **ცყ**, სვან. ხ-ა-**ცყ**-ენი ზს., ხ-ა-**ცყ**-ე
ლშხ., ხ-ა-**ცყ**-ე ლნტ. „არჭობს, ასობს“, ხ-ა-**ცყ**-ერ-ა ბზ., ლშხ., ა-**ცყ**-ერ-ი
ბქ., **ცყ** ბზ., ლნტ. **ცყ** ლშხ. „ჯოხი“, ა-**ცყ**-ან-ი „კარის ურდულით, ჯო-
ხით დაკეტვა, დაგმანვა“, ლა-**ცყ**-ან ბზ., ლნტ., ლა-**ცყ**-ან ლშხ. „ურდული“,
ლი-**ცყ**-ან-ი „ჯოხით დაკეტვა“.

ქართ. **ციღვი** || **ციღვი** „დანა“.

ზან. (მეგრ.) **ციკი** „წვეტი“, **ციკ**, ინა-**ციკ**-უ-ან-ს „არჭობს“, ო-**ციკ**-
აფ-ალ-ი „სარჭობი“, ხამუ-**ციკ**-ი „დანა რჭობანა“, ჭან. **ციგ**, ო-**ციგ**-უ
„შერჭობა“.

დაკავშირება პრობლემურია აუსლაუტის ალოფონთა მრავალფეროვ-
ნების გამო — ქართ. **ღ(უ)** : ზან. **კ** || **გ** : სვან. **ყ**. და მაინც, სვანურის
ჩვენება უწინარესი ჩანს; **ყ**-დან **ღ**-ს მიღება არ არის შეუძლებელი, ასევე —

ყ → **კ** → || **გ**.

აუსლაუტში ლაბიალური **უ** მხოლოდ ქართულს შემორჩა. მისი არ-
სებობის კვალი შეიძლება ეტყობოდეს სვანური ძირის განმოვანებას, სა-
დაც ხელშესახებია **გ** ← || **ი** → **წ** → || **ა** პროცესი: ***ციყუ** → ***ცყუ** → ||
***ცყუ** → **ცყ** || **ცყ**.

ს.-ქართვ. ***ციყუ**- „ჯოხი შესარჭობი, წვეტიანი, მჭრელი“ → ქართ.

ციღვი || **ციღვი** : ზან. **ციკ** || **ციგ**, **ციკ**-ი ←***ციყ**-(**ი**) : სვან. **ცყ** ||
ცყ || **ცყ** || **ცყ** ←***ციყუ**.

ქართ. **ძაბ-**, **ძაბ-**ავ-ს, და-**ძაბ-**ულ-ი, მ-**ძაფ-**რ-ი, **ძაფ-**ი ← **ძაბ-**ი (ნ. ჭობონელიძე).

ზან. «**ძგუფ-** || **ძგიფ-**» „ჭიმვა“.

სვან. —.

ზანურის დიალექტებმა ქართული **ძაბ-** ძირის შესატყვისი **ძგუბ-** ← **ძგობ-** (**ო** → **უ** ბაგისმიერებთან (ტ. გუდავა)) ალომორფები დაკარგეს, სამაგიეროდ გურულმა დიალექტმა შემოგვინახა **ძგუფ-** || **ძგიფ-** „ჭიმვა“ ზმნა, რაც აშკარა ზანიზმია (ქართ. **ა** : ზან. **ო** → **უ**, **ძ** : **ძგ**).

ქართველურ ფუძეთა შედარებისას მნიშვნელოვანია ბგერათშესატყვისობა ქართ. **ძ** : ზან. **ძგ**. რაც ზანურში არტიკულაციის უკან გადაწევის (არნ. ჩიქობავა) ალტერნაციული გამოხატულებაა და სულ უფრო და უფრო მეტ მასალაში იჩენს თავს (იხ. აქვე, § 27) — ქართ. **ძაბ-** : ზან.

ძგუბ- → **ძგუფ-** || **ძგიფ-**.

ფუძეთა სემანტიკა იგივეობრივია; და ძ ა ბ ვ ა, და ჭ ი მ ვ ა (შდრ. **ძაფი**, **ჭიმი**) სემანტემათა ერთიანობა სავსებით ლოგიკურია.

ს.-ქართვ. ***ძაბ-** „დაბვა, დაჭიმვა“ → ქართ. **ძაბ-** || **ძაფ-**, **ძაფ-**ი : ზან. ***ძგუბ-** → **ძგუფ-** || **ძგიფ-**.

სვან. **ძაძ-** **ძაძ-**რა ზს. „ტომარა“.

ქართ. **ძაძ-ა**, **ძაძ-**ებ-ი.

ზან. **ძონძ-ი** „ძონძი; ძაძა“, **ძონძ-ეფ-ი**, **ძანძ-ა** „ტომარა“, **ძანძ-ავ-ა** „ად. საკ. გვარ.“, შდრ. **ტომარაძე**.

ქართული **ძონძ-ი** ზანურიდან არის შემოსული, რაზეც ფუძის განზოგანების გარდა, **ნ-**ს პოზნიერებაც მიუთითებს. მეგრული **ძანძ-ა** „ტომარა“ ასიმილაციით არის მიღებული **ძონძ-ა**-საგან (შდრ. ქართ. **ძაძ-ა**) — ***ძონძ-ა** → **ძანძ-ა**. თუმცა **ო** → **ა** ასიმილატორის გარეშეც ხორციელდება მეგრულში — ქართ. **სოლ-ი** : მეგრ.-ჭან. **სალ-ი** || **ფსალ-ი** ← **სოლ-ი**.

ტ ო მ ა რ ა, ძ ა ძ ა ს შინაარსის გადმოცემა ერთი ძირის ფარგლებში შესაძლებელია, შდრ. ბერძნული **საკ-ი** „ტ ო მ ა რ ა; ძ ა ძ ა“ (← ქართ. **ცეკა**).

ს.-ქართვ. ***ძაძ-ა** „ტომარა, ძაძა, ძონძი“ → ქართ. **ძაძ-ა**, **ძაძ-**ებ-ი : ზან. **ძონძ-ი**, **ძანძ-ა** (← ***ძონძ-ა**) : სვან. **ძაძ-** **ძაძ-**რა.

სვან. **ძგბ-ენ-**, ლგ-**ძგბ-ენ-ე** გაბრაზებული, ჯავრისაგან გაბერილი“.

ქართ. —

ზან. (მეგრ.) **ძგვიბ-**, **ძგვიბ-ინ-ი** „უკმაყოფილოდ გამოხედვა“, **ძგვიბ-ალ-ი** „ჯავრიანი, უკმაყოფილო“, გუგო-**ძგვიბ-ინ-უ-ან-ქ** „გაგაბრაზებ, გაგამწარებ“.

ჯ ა ვ რ ი ს, გ ა ბ რ ა ზ ე ბ ი ს, უ კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს შინაარსი დამახასიათებელია აღწერილი ფუძეებისათვის. სათანადო ქართული შესატყვისის უქონლობის გამო ძნელია საერთოქართველური ძირის რეკონსტრუქცია.

სვან. **ძგუბ-** || **ძგუბ-**, ხ-ე-**ძგუბ-ენ-ი** ზს., ლშხ., ხ-ე-**ძგუბ-ენ-ი** ლნტ. „ივსება, ევსება“, ლი-**ძგუბ-ე** ზს., ლშხ., ლი-**ძგუბ-ე** ლნტ. „გავსება, ვსება“.

ქართ. —

ზან. **ძგებ-** || **ძგებ-**, მეგრ. **ძგებ-ილ-ი** „გავსებული დაცობილი“, ო-**ძგებ-ალ-ი** „საცობი“, **ძგებ-უნ-ს** „ავსებს, აცობს“, ჭან. ო-**ძგებ-უ** „გავსება“, ბ-**ძგებ-უფ** „გავსებ“, ვ-**ძგებ-ი** „გავავსე“.

ქართულში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი.

სვანური **ძგუბ-** აჩვენებს, რომ ზანურისთვის უწინარესია **ძგუბ-** სახეობა: **ძგუბ-** → **ძგებ-** → || **ძგებ-** || **ძგებ-**.

ქართული ეკვივალენტის უქონლობის გამო საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქციისაგან თავს ვიკავებთ.

სვან. **ძგუბ-ენ-** || **ძგუბ-ენ-**, ხ-ე-**ძგუბ-ენ-ი** ზს., ლშხ., ხ-ე-**ძგუბ-ენ-ი** ლნტ. „სწყდება, ეცლება“.

ქართ. **ჯმენ-** || **ჯმენ-**, ვ-ი-**ჯმენ**, **ჯმენ-ა** „გამოცლა, გაშვება (საბა)“, **ჯმენ-ილ-ი** „გამოცლილი“, უ-**ჯმენ-ა** „გაეცალა“.

ზან. (მეგრ.) **ძგვაბ-**, **ძგვაბ-ინ-ი**, და-**ძგვაბ-უ(ნ)** „დაეცემა“, მიდა-**ძგვაბ-უ** „წავიდა“, ქიქეთა-**ძგვაბ-უ** „ჩამოვარდა, მოსწყდა“.

ერთი შეხედვით, უცნაური ჩანს ქართ. **ჯმენ-** : სვან. **ძგუბ-ენ-**, ამიტომაც მივუთითებთ მის ზუსტ სტრუქტურულ პარალელზე — ქართ. **ჯმ-**, უ-**ჯმ-ო** || უ-**ჯმ-ა**, სა-უ-**ჯმ-ე** : სვან. **ჯუბ-**, ლე-**ჯუბ** (ა. შანიძე).

ზანურ-სვანური ძირისეული გახმოვანება ქართულისთვის **ჯუბ-ენ-** უფრო ძველ სახეობას ვარაუდობს.

ქართული **ჯუ-** შესატყვისი ისტორიული **ჯგუ** თანმიმდევრობა ზანურსა და სვანურში, როგორც მოსალოდნელი იყო, **ძგუ** სისინა სახეობაშია გადასული (თ. გამყრელიძე). ბუნებრივია **მ** → **ბ** ზანურსა და სვანურში.

ს.ქართვ. ***ჯუბ-ენ-** „წასვლა, გაცლა, მოწყდომა“ → ქართ. **ჯმენ-** || **ჯმენ-** : ზან. **ძგვაბ-** ←***ჯგუამ-** : სვან. **ძგუბ-ენ-** || **ძგუბ-ენ-** ←***ჯგუბ-ენ-**.

სვან. **ძგერ-ინ-** || **ძგრ-ინ-**, ა-**ძგრ-ენ-** (ობ-**ძგერ-ენ**) „იტენის, ავ-
სებს“, ხ-ობ-**ძგრ-ენ-** (ობჷ-**ძგერ-ინ**) „უვსებს, უყორავს, უტენის“.

ქართ. **ჯილ-**, **ჯილ-ე** „წყალთაგან გამოფლათული (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **ძგილ-**, **ნძგილ-**ჟ-ა „გავსება, გატენა, გაჩხერა“, **ნძგილ-**
ჟ-ს „ავსებს“, გი-ობ-**ნძგილ-**ჟ(ნ) „გაჩხერილი აქვს“.

ქართ. **ჯილ-** : ზან. **ძგილ-** ფუძეთა კავშირი ცნობილია (გ. როგავა);
თუ გავითვალისწინებთ **ლ** → **რ** გადასვლის შესაძლებლობას სვანურში
(იხ. § 6. **ლ** → **რ**), **ძგერ-** (← **ძგილ-**) ალომორფიკ ადვილად დაუკავ-
შირდებოდა ქართ. **ჯილ-** : ზან. **ძგილ-** ფორმებს.

ქართ. **ჯ** : ზან.-სვან. **ძგ** საერთოქართველურისთვის **ძ** სისინა სიბი-
ლანტს ვარაუდობს.

ს.-ქართვ. ***ძილ-** „ყორვა, გავსება“ → ქართ. **ჯილ-**, **ჯილ-ე** : ზან.

ნძგილ- || ← **ძგილ-** : სვან. **ძგრ-** || **ძგერ-** ← ***ძგილ-**.

სვან. **ძიბ-რა** „გარეული ხარი, ჯიხვი“.

ქართ. **ჯიხვი** „ჯიხვი“.

ზან. **ჯიქი** ← ***ჯიქვი** „ჯიქი“, **ჯიქი**-ია „ად. საკ. გვ.“

ქართული **ჯიხვი**-ი ფორმის კანონზომიერი შესატყვისია ზანური **ჯიქი**-
(ქართ. **ჯ** : ზან. **ქ** — ქართ. **ჯვარბალ-ი** : ზან. **ქობალ-ი**, ქართ.
მ-**ჯც**-ე : ზან. **ქჩ**-ე „თეთრი“, ქართ. **ჯოც** - : ზან. **ქოს** - ...),
ოღონდ ერთი შენიშვნით, რომ ქართული **ჯიხვი** ← **ძიხვი**-ი, რასაც ამტკი-
ვებს ქართულიდან ნასესხები **ძიხვი** „ჯიხვი“ ფორმა მეგრულში.

საერთოქართველური ***ძიხუ-** არქეტიპის შესატყვისი სვანური ეკვი-
ვალენტი უნდა ჩანდეს ბერძნულ ζῆμψιδ „დომბა“ ლექსემაში (შდრ. ოსუ-
რი **დომბა** ← ***ძომბა**, რუმინული **ზიმბ-რუ**, ძვ. რუს. **зѣбрь**, ჩეხ. **zubr**
„ჯიხვი“...). როგორც ეტყობა, ს.-ქართვ. **ძიხუ-** სვანურში ***ძიფ-რა** ალო-
მორფით იყო წარმოდგენილი, სადაც **-რა** საკუთრივ სვანური სუფიქსია
(ტახ-**რა** : ტახ-ი, კუცი-**რა** : კვიცი-ი). ინლაუტური **ფ** მომდინარეა **ჭუ**
კომპლექსისაგან — **ჭუ** → **ფ**, რაც ბუნებრივია სვანურში, შდრ. ქართ.
ჭურ- „ხურება“ : სვან. **ფგრ-** ← ***ჭური-** (ქ. ლომთათიძე). სწორედ სვანუ-
რის **-რა** დაბოლოებიანი ***ძიფ-რა** || ***ზიბ-რა** სახეობა ისესხეს ინდოევრო-
პულმა ენებმა.

ს.-ქართვ. ***ძიხუ-** „გარეული ხარი; ჯიხვი“ → ქართ. **ჯიხვი**

← ***ძიხვი** : ზან. **ჯიქი** ← **ჯიქვი** : სვან. **ზიბ-რა** || **ძიბ-რა** ← ***ძიხუ-რა**
← ***ჯიხუ-რა**.

სვან. **ძიკ-ჟ** „თავი (ნანადირვეის, კომბოსტოს...), ლგ-**ძიკ-ჟ** „თავიანი“, **ძიკ-ჟ** „უთავო“.

ქართ. (იმერ.) **ციკ**-ი „რაიმე საგნის თავი, წვერი“ ქიზიყ. **ციკა** „მეტიჩარა ქალიშვილი“.

ზან. (მეგრ.) **ჩიკ**-ი || **ჩიკ**-ჟ „ნიკაპი“, შდრ. **ციკ**-ი „წვეტი“, ო-**ციკ**-ინ-ან-ს „თავი აქვს ამოყოფილი“, **ციკ**-ალ-ი „მეტიჩარა“, ვე-**ციკ**-ინ-ჟ-ა „ნუ მეტიჩრობ“.

ანლაუტური შეფარდება ქართ. **ც** : ზან. **ჩ** → **ც** : სვან. **ძ** უჩვეულოა. ცვალება სვანურში მომხდარა — **ც** → **ძ**. ტიპოლოგიურად მსგავსი ვითარებაა ს.-ქართვ. ***ცუილ**- ფუძის შემთხვევაშიც, შდრ.: ქართ. **ცვილ**-ი : ზან. **ჩირ**-ი ← ***ჩვირ**-ი : სვან. **ჭუილ** ← ***ჩუილ** ← ***ჩუილ**. ამდენად, სვან. **ძიკ-ჟ** ← ***ციკ-ჟ** ← ***ჩიკ-ჟ**.

ამ შეპირისპირებაშიც ნათლად ჩანს სისინა → შიშინა → || სისინა პროცესის რეალურობა ქართველურ ენებში (სვანურსა და ზანურში), რაც სულ სხვაგვარად აგვიხსნის ქართ. სისინა : ზან. სისინა : სვან. სისინა სიბილანტთა მიმართების ისტორიას (იხ. აქვე, § 23).

ს.-ქართვ. ***ციკ**- „რაიმე საგნის თავი, წვერი, წვეტი“ → ქართ. **ციკ**-ი/ა : ზან. **ციკ**-ი) ← **ჩიკ**-ი → || **ჩიკ**-ჟ : სვან. **ძიკ-ჟ** ← ***ციკ-ჟ** ← ***ჩიკ-ჟ**.

ქართ. **ძრახ**-, **ძრახ**-ვ-ა, **ძრახ**-ავ-ს, ნა-**ძრახ**-ი, სა-**ძრახ**-ავ-ი, სა-**ძრახ**-ი, სა-**ძრახ**-ის-ი.

ზან. (მეგრ.) **ჯლორ**-, მ-ო-ო-**ნჯლორ**-ჟ(ნ) „მესირცხვილება“, ო-**ნჯლორ**-ე „სირცხვილი“, სა-ო-**ნჯლორ**-ო „საძროხისი“, ჭან. ო-**ნჯლორ**Ლ-ე „id“.

სვან. —.

რუსთველისეულ ნა-**ძრახ**-ში აშკარაა სასირცხვილოს შინაარსი (სჯობს სიცოცხლესა **ნაძრახსა**...). მეგრულში შესატყვისი ზმნური ჯლორ-დაკარგულია; მისი არსებობის კვალი ჩანს ო-(ნ)**ჯლორ**-ე ნაზმნარ სახელში, რომელიც ქართული სა-**ძრახ**-ავ-ის იდენტურია სტრუქტურულ-სემანტიკურად (შდრ. ნასახელარი ზმნა მ-ო-**ონჯლორ**-ჟ(ნ)).

შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით ქართ. **ძ** : ზან. **ჯ**, ქართ. **ა** : ზან. **ო** რეგულარულ-კანონზომიერია (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა...). მეგრულში მოსალოდნელი იყო **ჯროხ**- ქართ. **ძრახ**-ის ეკვივალენტად, მაგრამ, რადგანაც კონსონანტი + სონანტი თანმიმდევრობა აქ აკრძალულ თანმიმდევრობათა ჯგუფს განეკუთვნება, განხორციელდა საურთიერთო მეტათეზისი **რ**-სა და **ხ**-ს შორის, ხოლო **ჯ**-ს მომდევნოდ **ხ** გამჟღერდა — **ძრახ**- : ***ჯროხ**- → ***ჯხორ**- → **ჯლორ**-¹.

¹ თუმცა არ გამოირიცხება **ღ** → **ხ** შესაძლებლობა თვით ქართულში, შდრ.: **ძღ**-ოლ-ა — გა-ჟ-**ძენ**-, **ძღ**-ომ-ა — გა-ვ-**ძენ** || **ძედ**... ანუ **ძრახ**- ← ***ძრად**-(?).

ს.-ქართვ. ***ძრახ-** „ძრახვა; სირცხვილი“ → ქართ. **ძრახ-** : ზან. **ჯლორ-**, **ო-ნჯლორ-**ე (←***ჯროხ-**).

ქართ. **ძურა** „ძუკნა“, ზ. იმერ., ლეჩხ. **ძურა** „არაწესიერი ყოფაქცევის ქალი“.

ზან. (მეგრ.) **ძგრე** → || **ძერე** „მსუბუქი ყოფაქცევის ქალი“, შდრ. **ჯოლ-ა** „ხათრიელი“.

სვან. —.

მეგრულში უფრო ძველად ***ჯურ-ა** უნდა გვქონოდა, საიდანაც **ო/უ** → **გ** → || **ე** გადასვლით **ძგრ-ე** || **ძერ-ე** განვითარდა. ზანურ-სვანური **ზურ-ა** „დედალი“ სხვა ძირი უნდა იყოს, შდრ. ქართ. **ძურ-ა** : ზან. **ჯოლ-ა** ←***ჯურ-ა**.

ს.-ქართვ. ***ძურ-ა** „ძუკნა“, „ძუ“ → ქართ. **ძურ-ა** : ზან. **ძგრ-ე** || **ძერ-ა** ←***ძორ-ა** || ← **ჯოლ-ა** ←***ჯურ-ა**.

სვან. **ძლირ-** || **ძღვრ-** || **ძღრ-**, ა-**ძღრ-ე** (ოთ-**ძღირ**) ზს., ლშხ., ა-**ძღრ-ე** (ათჟა-**ძღირ**) ლნტ. „ასველებს“, მგ-**ძღირ** ლშხ., მგ-**ძღვრ** ლნტ. „სველი“.

ქართ. **ზღვ-ა**.

ზან. (მეგრ.) **ძღვარ-** || **ზღვარ-**, დნ-ბ-**ძღვარ-**ი „ძლიერ დავსველდი“, გო-**ზღვარ-**ილ-ი || გო-**ძღვარ-**ილ-ი „დასველებული, წყალში ამოვლებული“.

სავარაუდოა, რომ აქვე შემოდირდეს **ზღვის** აღმნიშვნელი საერთოქართველური ფორმები — ქართ. **ზღვ-ა** : ზან. (მეგრ.) **ზღვ-ა** || **ძღვარ-**, ჭან. მ-**ზოლ-ა** || **ზოლ-ა** || **ზულ-ა** : სვან. **ძულვ-ა** || **ზულვ-ა** ←***ძულ-ა** „ზღვა“. თუ ვარაუდი მართებულია, მაშინ **ძღვარ-**ში -**არ** ზმნური აფიქსია, რომელიც ნასახელარ ზმნებში დაჩნდება: **ზღვ-ა** → **ზღვარ-ჟ-ა** || **ძღვარ-ჟ-ა**, ტყები „ტყავი“ → **ტყაბარ-ჟ-ა** „გატყავება“, ჭით-ა „წითელი“ → **ჭითარ-ებ-ა**, ი-ჭით-**არ-ებ-ჟ(ნ)** „წითლდება“, ა-ჭით-**არ-ენ-ს** „აწითლებს“, კუნტა „მოკლე“ → **კუნტარ-ებ-ა**, ი-კუნტ-**არ-ებ-ჟ(ნ)** „მოკლდება“, ა-კუნტ-**არ-ენ-ს** „ამოკლებს“... ასევე ჩვეულებრივია -**ირ** ზმნური სუფიქსი სვანურში -**ძღ-ირ-** (←***ძულ+ირ-**): ხ-ო-ცხკ-ე — ხ-ო-ცხკ-**გრ-ე** „სთხრის თვალს“, ხ-ო-ცხკ — ხ-ო-ცხკ-**გრ-ე** (ოთ-**ცხირ**) „იცის, უხსნის, აგებინებს“, ი-კედ — ი-კედ-**გრ-ე** (ოთ-კედ-**ირ**) „იხდის“...

ს.-ქართვ. ***ძულ-ა** || ***ძულ-** „ზღვა; დასველება“ → ქართ. **ზღვ-ა** ← (***ძულ-ა** ←***ძულ-ა**): ზან. **ზოლ-ა** || **ზულ-ა** || **ძღვარ-** (←***ძულ-არ**) : სვან. **ძულჟ-ა** (←***ძულ-ა** →) **ძღ-ირ-**.

სვან. **ძღუერ** || **ძღერ** „ცხიმი, ყუათი“.

ქართ. **ძღ-**, **ძედ-**, **ძღ-ომ-ა**.

ზან. **ნძღ-ილ-**, **ნძღ-ილ-უ-**, **ნძღ-ილ-ი** „ცხიმი“, გო-**ნძღ-ილ-ირ-ი** „მსუყე, ნოყიერი“, (**რ**)**ძღ-** „ძღომა“, **ო-ძღ-უ** „გაძღომა“.

მეგრული **ძღ-ილ-** ნასახელარი ზმნაა, რომელსაც საფუძვლად **ძღ-** „ძღომა“ ზმნიდან ნაწარმოები **-ილ** სუფიქსიანი მიმღობა უდევს საფუძვლად. მსგავსი აგებულებისაა სვანური **ძღ-უ-ერ** || **ძღ-ერ** ← ***ძღ-ერ-უ-**, სადაც **ძღ-** ძირია, **-ერ** ზმნური სუფიქსი (იხ. § 38), ხოლო **-უ** დერივაციული სუფიქსია ქართული **ო-**ს ბადალი (იხ. აქვე, სვან. **-უ** (← **ო**) : ქართ. **-ო**).

„ც ხ ი მ ი, ყ უ ა თ ი“ სვანურში **გ ა მ ა ძ ღ ა რ ი** ს გაგებიდან განვიტარდა.

ს.-ქართვ. ***ძედ-** || ***ძღ-** „ძღომა“ → ქართ. **ძედ-** || **ძეხ-** || **ძღ-** : ზან.

ძღ- → || **რძღ-** || **ნძღ-+ილ-** : სვან. **ძღ-ერ** || **ძღ-უ-ერ** ← ***ძღ-ერ-უ-**.

სვან. **ძღუ-ილ-** || **ძღუ-ილ-** || **ძღუ-ლ-**, **წ-ძღუ-ილ-ე** ბზ., **წ-ძღუ-ლ-ე** (ოხუ-**წ-ძღუ-ილ-**) ბქ., **ა-წ-ძღუ-ილ-ე** ლშხ., **წ-ძღუ-ილ-ნ-ე** ლნტ. „შესწივის“.

ქართ. —.

ზან. **ძღუმ-**, მეგრ. **ძღუმ-ინ-ი** „ჩივილი“, **ძღუმ-ინ-უნ-ს** „უკმაყოფილებას გამოთქვამს“.

ქართულში **ძღუ-** ტიპის შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი.

მეგრული **ძღუმ-** მატერიალურადაც და შინაარსობრივ უახლოვედ

სვანურ **ძღუ-ილ-** სიტყვას, ოღონდ — **ძღუმ-** ← **ძღუ-უმ-**. საინტერესოა რედუბლიცირებული **ძღ-ირ-ძღ-ინ-ი** „ჩივილი“ სახეობა მეგრულში, რასაც

ძღ- ძირი უდევს საფუძვლად — ***ძღუ-ირ-** → **ძღ-ირ-**, შდრ. სვან. **ძღუ-ილ-**.

ს.-ქართვ. ***ძღუ-** „ჩივილი“ → ქართ. — : ზან. **ძღვ-**, **ძღ-ირ-**, **ძღ-უმ-** : სვან. **ძღუ-ილ-** || **ძღუ-ილ-**.

სვან. **ძღღ** ბზ., **ძღღ** ლშხ., **ძღუღ** ლნტ. „დიდი“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) **ძუღ-ე** „ძალიან“, ძლიერ“.

ძირად **ძუღ-** გამოყოფა, რაზეც სვანურში **-ღ** ბრუნვის ნიშნის დართვით ჯერ **ძუღ-ღ** მივიღეთ, ხოლო შემდგომ **ღ-**ს მეტათეზისით — **ძღუ-ღ** (შდრ. სვან. **მა-ღლაღუ** ← ***მა-ღლაღუ** „მოლაღური“...) კიდევ უფრო გვიანდელია ზმნური **ძღუიღ-ე** || **ძღღღ-ე** „ადიდებს“ ფორმები სვანურში.

მნიშვნელობის მხრივ სვანურის ჩვენება უფრო ძველია — **დიდი**,

დიდად → **ძალიან**, **ძლიერ**.

ქართულში სათანადო ძირი დაკარგული ჩანს.

ს.-ქართვ. *ძულ- „დიდი“ → ქართ. — : ზან. ძულ-ე : სვან. ძღ-ღ || ძღ-ღ || ძლუ-ღ ←*ძულ-ღ.

სვან. ძგგერ ბზ., ძიგირ ბქ., ძგგერ ქს. „ძეძვი“.

ქართ. ძიგურ-ა-ღ „ეკალა“.

ზან. (მეგრ.) ძიგერ-ი || ძიგირ-ი „ეკალი“.

ქართული და ზანური ფორმების ერთიანობა ცნობილია (გ. როგავა, ჰ. ფენრიხი). საფიქრებელია, რომ სვანური ძიგირ || ძგგერ სიტყვა არ არის ნასესხები რომელიმე ქართველური ენიდან და საერთოქართველური-დან მომდინარე დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს.

ფუძის გახმოვანების ისტორიის თვალსაზრისით უწინარესად ქართულის ვითარებას მივიჩნევთ, რაც მეგრულში ძიგურ- → ძიგერ- → || ძიგირ- პროცესს ვარაუდობს.

ს.-ქართვ. *ძიგ-ურ- „ეკალი, ძეძვი“ → ქართ. ძიგ-ურ-ა-ღ : ზან. ძიგ-ირ-ი || ← ძიგ-ერ-ი ←*ძიგ-ურ-ი : სვან. ძგგ-ერ || ძიგ-ირ ←*ძიგ-ურ.

სვან. ძენ-ერ-ა „ერთგვარი მცენარე, რომლისგანაც საცერს აკეთებენ“.

ქართ. (აჭარ.) ძინ-არ-ა-ღ „მოყვითალო ფერის კაჟოვანი სიმინდი“.

ზან. (მეგრ.) ჯინ-ორ-ი, ჯინ-ორ-ია „ად. საკ. გვარ.“, ჯინ-ორ-ი „საკ. სახ.“

თუ ზანურის მონაცემს შემოვიტანთ შემოთავაზებულ შეპირისპირებათა რიგში, ცხადი ხდება რომ სვან. ძენ-ერ-ა ←*ჯინ-ერ-ა. მეგრული გვარები ხშირად წარმოაჩენენ ისტორიულად უფრო ძველ ფორმებს, ვიდრე სასაუბრო სიტყვებია — შღრ. ქართ. ძეწნ- : მეგრ. ზ ი ჭ ო ნ-, მაგრამ ჯ ი ჭ ო ნ-აია = ძ ე წ ნ-ა-ძე (შღრ. ჰყონ-ია = მუხა-ძე, წიფურ-ია = წიფელ-ა-ძე...).

ს.-ქართვ. *ძინ-არ- „ერთგვარი მცენარე სიმინდისებრთა სახეობიდან“ → ქართ. ძინ-არ-ა-ღ : ზან. ჯინ-ორ- : სვან. ძენ-ერ-ა ←*ჯინ-ერ-ა.

სვან. ძეძ-, ძეძ-გ ზს., ძეძ-ინ ლშხ. „ძვრა“.

ქართ. (დიალ.) ძეძ-, ძეძ-ებ-ა „სვლა“.

ზან. (მეგრ.) ძანძ-, ძანძ-უნ-ს „არყევს, არწევს“, ძანძ-უ-ა „დანძრევა, დარწევა“, ძანძ-ილ-ი „ნარყევი“.

ქართველური ფუძეებისათვის ძირითადია „გადაადგილების“ სემა, რომელიც იტევს ძ ვ რ ი ს, ს ვ ლ ი ს, რ ყ ე ვ ა / რ წ ე ვ ი ს შინაარსს.

მიუხედავად ფუძის სიმბოლიკური აგებულებისა, ბგერათშესატყვისობა ქართ. ე : ზან. ა დაცულია, რასაც ვერ ვიტყვით სვანური გახმოვანების შესახებ — სვან. ძეძ- ←*ძეძ-.

ს.-ქართვ. *ძეძ- „გადაადგილება“ → ქართ. ძეძ- : ზან. ძანძ- ←*ძანძ- : სვან. ძეძ- ←*ძეძ-.

წ

სვან. წაბ-ჟ- ზს., ლნტ., წაბ- ლშხ. „სამართებელი“, ი-წბ-ჟრ-ე (←*ი-წაბ-ჟ-ირ) (ოთ-წაბ-ჟ-ირ, ად-წაბ-ჟ-ირ-ნ-ე) ბზ., ლშხ., ი-წაბ-ჟრ-ე (←*ი-წაბ-ჟ-ირ-ე) „იპარსავს“.

ქართ. წიბ-ო „წვერი, გვერდი“, თუშ. „წვრილი ჯოხი“, ნა-წიბ-ჟრ-ი „ნაპირი“, „პირი“.

ზან. (მეგრ.) ბიწკ-ი „წვერი (ფეხის)“.

სვანურში წვრილი წვერის გაგებიდან მივიღეთ მჭრელი, სამართებელი ლექსემა, რომელიც გაპარსვის მნიშვნელობას დაედო საფუძვლად. წვერი ~ პარსვა მიმართების თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ქართველურ ენათა ჩვენება - ქართ. წვერი : წვერ- „წვერვა, მეგრ.-ჭან. წვანჯ-ი (←ქვაჯ-ი) „წვერი“ : ქვარ- „გადაჭრა“ (ფორმალური მიმართებისთვის შდრ. ცვაჯ-ი || ცვარ-ჟ-ა „დაკოდვა“).

სვანური წაბ-ჟ სახელი ქართული წიბ-ო-ს ზუსტი სტრუქტურული შესატყვისია — სვან. -ჟ (← -ო) : ქართ. -ო დერივაციული სუფიქსია (იხ. აქვე); სვან. ა : ქართ. ი ხმოვანმიმართება გვიანდელია, სავარაუდოა ი → ე → ა სვანურში მ. ქალდანის წესით (*წკიბ-ჟ → *წებ-ჟ → წაბ-ჟ → წაბ-ჟ). სახელური წაბ-ჟ-დან -ირ ზმნური სუფიქსის დართვით არის ნაწარმოები წაბ-ჟ-ირ- „პარსვა“ ზმნა (შდრ. ოთ-წაბ-ჟ-ირ, ად-წაბ-ჟ-ირ-ნ-ე ბზ.). -ირ სუფიქსისათვის იხ. აქვე, § 36, 37, 38. სვანურში უძველესი წკ კომპლექსი გამარტივებულია — წკ → წ (შდრ. სვან. ლი-სედ ← ლი-სგედ- : ზან. სქიდ- „დარჩენა“, იხ. § 29), ამას მეგრული ბიწკ-ის ადასტურებს, რომელიც უფრო ძველი წკიბ-ისგან მომდინარეობს საურთიერთო მეტათეზისის გზით, შდრ. ზან. ბიძგ- || ძგებ-; ქართ. ო : ზან. ი-სთვის შდრ. ღვინ-ო : ღვინ-ი || ღინ-ი... (ქართ. წ : სვან. წკ იხ. § 26).

ს.-ქართვ. *წიბ-ო „წვერი, პირი“ → ქართ. წიბ-ო, ნა-წიბ-ჟრ-ი : ზან. ბიწკ-ი (←*წკიბ-ი) : სვან. წაბ-ჟ → || წაბ-, წაბ-ჟ-ირ- → || წაბ-ჟრ- ←*წკიბ-ჟ.

სვან. წად- || წად- || წედ-, ხ-ე-წად „ხედავს, უყურებს“, ლი-წედ „დანახვა, შეხედვა, ყურება“, ხ-ე-წედ-ენ-ი (ამ-წად ზს., ემ-წად ლშხ.), ხ-ე-წედ-ენ-ი (ამე-წად) ლნტ. „ენახვება“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) წკგდ- || წკიდ- (უ — ა) „ყურება“, ქიგი-ბ-წკგდ-ი „შემოვიხედე“, ქიგი-წკიდ-ჟ „შემოხედა“, ჭან. წკედ-, გო-ვ-ი-წკედ-ი „გავიხედე“.

ქართულში შესატყვისი ვერ გამოვავლინეთ.

სვანურში **წკ** კომპლექსი აქაც გამარტივებულია (იხ. აქვე, § 29), რაც წინა მაგალითშიც გამოჩნდა — ***წკად** → **წად** || **წად** || **წად** || **წად**. მეგრულში **ი** || **გ**-ს პონიერება ამოსავლ **ო**-ზე მიუთითებს: სვან. **წკად** : მეგრ.-ჭან. **წკოდ**.

ს.-ქართვ. ***წად** „ხედვა, დანახვა, ყურება“ → ქართ. — : ზან.

წკად || **წკიდ** || **წკვდ** ← ***წკოდ** : სვან. **წად** || **წად** || **წად** ← ***წკად**.

სვან. **წად** || **წად**, ა-**წად**-ატი ზს., ა-**წად**-ატი ლმზ., ა-**წად**-ატი-ლნტ. „წალავს“, ლგ-**წად**-ატი ზს., ლმზ., ლგ-**წად**-ატი „მოთუთქული“.

ქართ. **წად**, **წად**-ა, **წად**-ავ-ს, მო-**წად**-ულ-ი.

ზან. (მეგრ.) **წოდ** || **წოდ**, **წოდ**-ა || **წოდ**-ა „ჭვარტლი, მური კვამლისა“, **წოდ**-უა „გაჭვარტლვა“, გო-**წოდ**-ირ-ი „გაწალული“, ჭან. **მწოლა** || **წოლა** „id“.

სვან. **წად**-ატი არ შეიძლება ქართულიდან იყოს ნასესხები, რადგანაც სვან. -ატი ნასახელარ ზმნებში ბუნებრივია: **ბაჩ** „ქვა“ → ა-**ბაჩ**-ატი „აქვავებს“, **ყალ** „შიში“ → ა-**ყალ**-ატი „აშინებს“....

ს.-ქართვ. ***წად** „ჭვარტლი, წალვა“ → ქართ. **წად**, **წალა** : ზან.

წოდ || **წოდ** || **წოდ**-ა || **წოდ**-ა : სვან. **წად** || **წად**.

ქართ. **წად**-ო „მთხრებლის სახეობა (საბა)“; ფშ., ქიზიყ. „განჯინა“.

ზან. [ჭა], ინ-ჭა „ჭა“.

სვან. —.

ზანურში ბოლოკიდური **ლ** → **რ** დაკარგულია. და რომ ის ისტორიულად არსებობდა, ამაზე სვანურში შესული ფორმები მეტყველებენ. კერძოდ, ბალსქვემოურში დაცული **ჭარ**-პრ „ჭები“ აშკარა ზანიზმად გვეჩვენება — ქართ. **წად** : ზან. **ჭარ**.

მეგრულში გავრცელებული ინ-ჭა რთული შედგენილობის სიტყვაა, მიღებულია ინი „ქვედა“ + **ჭა** „წალო“ სემანტიკისაგან. აქედან დასკვნა, **ჭ** ის გაგება მეორეულია, მას საფუძვლად დაედო **წ ა ლ ო ს**, **გ ა ნ ჯ ი** - **ნ ი ს** სემა.

ს.-ქართვ. ***წად** „წალო, განჯინა“ → ქართ. **წად**-ო : ზან. ინ-ჭა,

ჭა (← ***ჭარ**-).

ს.-ქართვ. ***წად** არქეტიპს შესატყვისება ნახურ ენათა **წა(ნ)** ფუძე :

ბაცბ. **წა** (მრ. რ. **წენ**-ბუდ), ინგ. **წა** (**წენ**-ომ), ჩაჩნ. **წა** (**წენ**-ომ) „ოთახი, სახლი“...

ქართ. **წან-** || **წნ-**, ვ-**წან-**, ნა-**წნ-**ავ-ი, **წნ-**ულ-ი.

ზან. «**ჭონ-**».

სვან. —.

საკუთრივ ზანურში ქართული **წან-** ფორმის შესატყვისი **ჭონ-** არ იძებნება, დაკარგულია. სავარაუდო ალომორფი ქართულმა შემოინახა. ვვარაუდობთ **ჭონ-**ი „მკერავი (ბეწვის, ქუდის)“ ლექსემის ზანურ წარმომავლობას, შდრ. გურ. **ჭონ-**ვ-ა „ცუდად კერვა“, შე-**ჭონ-**ვ-ა, რაჭ. **ჭონ-**ია „ვენახის ასახვევი“. ჰიპოთეზა ეყრდნობა ბგერათშესატყვისობათა ჩვენებას ქართველურ ენებში — ქართ. **წ** : ზან. **ჭ**, ქართ. **ა** : ზან. **ო**.

ს.-ქართვ. ***წან-** „კერვა, წვნა“ → ქართ. **წან-** || **წნ-** : ზან. **ჭონ-**, **ჭონ-**ი (შდრ. მეგრ. **ჭ-**ალ-ა „კერვა“).

ქართ. **წარ-** || **წერ-**, ზე-**წარ-**ი, იმერ. **წერ-**ი „ნიგვზის კანი“.

ზან. (მეგრ.) **ჭელ-ა** || **ჭილ-ა** „ნიგვზის (კაკლის) გარეკანი“.

სვან. —.

საერთოქართველურ **წარ-** ფორმას ზანურში **ჭორ-** უნდა მოეცა; გვაქვს კი **ჭელ-ა** || **ჭილ-ა**, რომელიც **ო** → **გ** || **ი** ფონეტიკური გადასვლით (გ. როგავა) და **რ** → **ლ** ალტერნაციით (შდრ. ქართ. **გორა** : ზან. **გოლა**, ქართ. **ჩირ-**ი → მეგრ. **ჩილ-**ა, ქართ. **ქვირით-**ი → მეგრ. **ქვილით-**ი (გვარი **ქვილითაია**), ქართ. **გარე** : მეგრ. **გალე...**) მივიღეთ მოსალოდნელი **ჭორ-**ისაგან. **რ** → **ლ** ზანურში პოზიციურია (ინტერვოკალური).

ს.-ქართვ. ***წარ-** „კანი, გარეკანი“ → ქართ. **წარ-**ი → || **წერ-**ი : ზან. **ჭილ-ა** || **ჭელ-ა** (←***ჭორ-**ა).

ს.-ქართვ. **წარ-**ს უკავშირდება: ნახ. **ჭარ** „კანი, გარეკანი; თმა“, ხუნდ. **ჭირი**, ტინდ. **მიჭა**, ჭამ. **მიჭა**, ჰუნზ. **მუჭ**, ლეზგ. **ჭარ**, თაბ. **ჭარ**, აღ., რუთ. **ჭარ**, წახ. **ჭარ**, ბუდუხ., კრიწ. **ჭერ**, ხინ. **ჭარ**, არჩიბ. **ჭარგ** „თმა“...

ქართ. **წარ-**, **წარ-**აფ-ი „ორ ნახნავს შუა დარჩენილი მოუხნავი კვალი“.

ზან. (მეგრ.) **წურ-**, **წურ-**უ-ა „კვალის გავლება“, **წურ-**უნ-ს „კვალს ავლებს“.

სვან. —.

სემანტიკური იგივეობა ქართველურ სიტყვებს შორის ადვილი დასანახია. ორსავე ენაში კვალის გავებაა მთავარი, იქნება ეს ხვნით კვალის გავლება (მეგრული), თუ მოხნულს შორის მოუხნავის კვალად გამოჩენა (ქართული).

ქართულში **-აფ-** (**წარ-**აფ-) ზედმეტია და იმავე ღირებულებისაა, რაც ს-**წრ-**აფ- სიტყვაში, შდრ. ს-**წარ-** (გავა-ს-**წარ**), სადაც **-აფ-** აღარ

გამოჩნდება. ეტყობა, **-აფ-** სახელური წარმონაქმნია. ამიტომაც ზმნურ **წურ** **-(-უ-ა)** ფორმაში ის აღარ დასტურდება.

ს.-ქართვ. ***წარ-** „კვალის გავლება; კვალი“ → ქართ. **წარ-**, **წარ-აფ-** : ზან. **წურ-** ← ***ჭორ-**.

ქართ. (გურ.) **წართ-** „ხვავი“.

ზან. (მეგრ.) **ჭორთ-**, მე-**ჭორთ-**უ(ნ) „ბევრი ასხია“, გო-**ჭორთ-**ილ-ი „დახუნძლული“.

სვან. —.

ქართული **წართ-** ნაზმნარი სახელი უნდა იყოს წარმოშობით. რა-ზედაც ცალსახად მიუთითებს მეგრულში დადასტურებული **ჭორთ-** ფუძე, შდრ. ჰან. **ჭორთ-**ონ-ა (ტობ.).

წართ-/ჭორთ- შეპირისპირება ავლენს კანონზომიერ ფორმობრივ-სე-მასიოლოგიურ შესატყვისობას (**წ : ჭ, ა : ო**), ხ ვ ა ვ ი ~ და ხ უ ნ ძ ვ - ლ ა.

სათანადო სვანური ფუძე ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. ***წართ-** „ხვავი, დახვავება, დახუნძლვა“ → ქართ. **წართ-** : ზან. **ჭორთ-**.

სვან. **წარფხ-**ან ბზ., ქს., **წარფხ-**ან ბქ. „წიხლი“.

ქართ. **წიფხ-**ი „წვრილი წნელი“, „წვრილი და გრძელი ყლორტი (საბა)“.

ზან. (ჰან.) **ჭეფხ-**ე „წნელი“.

სვანურის მონაცემთა აქ შემოტანა პირობითია, მეტად დიდია სემანტიკური სხვაობა. ქართული **წიხ-**ლ-/**წიხ-**ნ- ფუძეთა ისტორია გაარკვევს საერთო ფუძეა, თუ სხვა მონაცემთან გვაქვს საქმე (შდრ. მე-**წიხ-**არ-ი „მწიხლავი“).

ჰანურში აუსლაუტური **-ე** სახელობითის **-ი** ნიშნის ალომორფია, შდრ. მეგრ. კუჩხ-**ი**, მაგრამ ჰან. კუჩხ-**ე**. სწორედ ამ **ე**-სთან ასიმილაციით განვითარდა ინლაუტური **ე**- ჰანურში — ქართ. **წიფხ-**ი : ზან. **ჭიფხ-**ი → ჰან. **ჭიფხ-**ე → || **ჭეფხ-**ე.

ს.-ქართვ. ***წიფხ-** „წნელი (შოლტი?)“ → ქართ. **წიფხ-**ი : ზან. **ჭეფხ-**ე ← ***ჭიფხ-**ე : სვან. **წარფხ-**ან || **წარფხ-**ან ← ***წეფხ-**ან- ← ***ჭიფხ-**ან-.

სვან. **წაღ**, **წაღ-არ-**აღ „წულეები“.

ქართ. **წაღა** „მაღალყელიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი“.

ზან. (მეგრ.) **წულა** „უყელო ან დაბალყელიანი ფეხსაცმელი“, ჰან. **წულა** „ჩაფულა, ფეხსაცმელი“.

სვანური **წად-არ-აღ** ორმაგი მრავლობითის ფორმაა. თავიდან **წად-არ** pluralia tantum-ს წარმოადგენდა, მაგრამ, როცა მან დაკარგა მრავლობითობის გაგება, კვლავ იქნა მრავლობითობის **-არ** → **-აღ** სუფიქსით გაფორმებული.

ქართულში გავრცელებული **წულა** ზანიზმია; ენამ ნასესხები სიტყვა გამოიყენა **წაღა**-ს სემანტიკურ ველში **დაბალყელიანი ფეხსაცმლის** აღსანიშნავად.

ს.-ქართვ. ***წად-ა** „ჩასაცმელი; ფეხსაცმელი“ → ქართ. **წად-ა** : ზან. **წულ-ა** ← ***წოდ-ა** : სვან. **წად-არ-აღ**.

ს.-ქართვ. ***წად-ა** ფორმას შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: ადიღ. **ცაჴ** „ფეხსაცმელი“, ნახ. **ბარწყ** || ← **ბარზაღ** „ტანსაცმელი“, დიდ. **შეტაუ**, ჰინ. **შეტაუ**, ხვარშ. **შიტაუ**, ჰუნზ. **შიტაა** „ტანსაცმელი“...

სვან. **წედ-** || **წდ-**, ხ-**წდ-უნ-ი** ზს., ლშზ., ხ-**წედ-უნ-ი** ლნტ. „ნახვა სურს, ენატრება“.

ქართ. **წად-**, მ-**წად-ს** || მ-**წად-ია**, **წად-ილ-ი**, **წად-ინ-**, მო-**წად-ინ-ა**, სა-**წად-ელ-ი**.

ზან. (მეგრ.) **წვად-ილ-ი** „წადილი“, მო-**წვად-ილ-უ(ნ)** „მსურს, მწადია“. მეგრული აქ პირობითად შემოვიტანეთ; **წვად-ილ-ი** ალბათ ქართული **წად-ილ-ია**, თუმცა შეიძლება მეგრ. **წვად-ილ-** ← **წოდ-ილ-**: ქართ. **წად-ილ-** (ზან. **ო** : ქართ. **ა**). უფრო საინტერესო ჩანს ჰან. **ნჳელ-**, გომ-**ანჳელ-უ** „მომენატრა“, გომ-**ნჳელ-ერ-ი** „მონატრებული“, რომელიც **ო** → **ე** (კოროცხ- → კორეცხ-) და **ღ** → **ლ** გარდაქმნით ს.-ქართვ. **წად-** ძირს ასახავს.

ქართულ **წად-** ძირთან აკავშირებენ სვანურ ლი-**ჟად-ი** „ნატვრა“ ზმნას (ნ. მარი, გ. კლიმოვი), რაც უმართებულოა. სვან **ჟად-** „სურვილი“, ი-**ჟდ-ი** „ნატრობს“ სწორად არის შეწყვეილებული ქართ. **ვედ-** (გ-ვედ-ია, ვედ-რ-ებ-ა) ფუძესთან (ჰ. ფენრიხი).

ს.-ქართვ. ***წად-** „ნატვრა, წადილი“ → ქართ. **წად**, **წად-ილ-**, **წად-ინ-** : ზან. **ჳელ-** ← ***ჳოდ-**, **წვად-** ← **ჳოდ-** (?) : სვან. **წდ-** || **წედ-** ← ***ჳად-**.

საკითხი ისმის ს.-ქართვ. **წად-** „ხედვა, დანახვა“-სთან მიმართების შესახებ (იხ. აქვე).

ქართ. **წელ-**, **წელ-ვ-**, **წელ-ავ-**ს, გა-**წელ-ილ-**ი, გა-**წელ-ვ-**ა „გაჭიმვა“.
ზან. (მეგრ.) **ნჯალ-**, გო-**ნჯალ-უ-**ა „გაკავება“, გო-**ნჯალ-ირ-**ი „დაჭი-
მული, გაკავებული“.
სვან. —.

მეგრულში **ნ** ფონეტიკური დანართია — **ნჯალ-** ← **ჯალ-**. შესატყვი-
სობა ქართ. **ე** : ზან. **ა**, ქართ. **წ** : ზან. **ჭ** უეჭველს ხდის ამ ფუძეთა ერთი-
ანობას. **წელ-** : **ჯალ-** ზუსტი ფონეტიკურ-სემანტიკური ეკვივალენტებია.

ს.-ქართვ. ***წელ-** „გაწელვა, დაჭიმვა“ → ქართ. **წელ-** : ზან. **ნჯალ-**
← **ჯალ-**.

სვან. **წემაშ** ბზ., **წამაშ-უ** უშგ., **წემაშ-უ** ლნტ., **წემეშ** || **წემბეშ**
ლშხ. „ჭაბანი“.

ქართ. **წმას-ნ-**, **წმას-ნ-ა**, **წმას-ნ-ი-ს**, **წმას-ნ-ილ-**ი.
ზან. (მეგრ.) **ჭემოშ**, **ჭემოშ-უ-**ა „წმასნა“, **ჭიმოშ-ილ-**ი „წმასნილი“,
ჭან. ო-**ჭიმოშ-უ** „გრება თოკისა“, ბ-**ჭიმოშ-ი** „დავეგრიხე თოკი“.

სვანური ფუძე წარმოშობით ნაზმნარი სახელია, რაზეც უშუალოდ
და ლენტეხურში შემორჩენილი -**უ** სადერივაციო სუფიქსი მიუთითებს —
სვან. **წამაშ-უ** || **წემაშ-უ** ← ***წამეშ-ო**. ისტორიულად **წემეშ-ო**-ს რეალუ-
რად არსებობას ამტკიცებს ლეჩხუმური **წემბეშ-ო**, რომელიც გახმოვანე-
ბით უფრო ახლოს დგას ლაშხურ **წემებშ(უ)** ალომორფთან.

ანლაუტური **წ** სვანურში მესამეულ საფეხურს ასახავს — **წ** → **ჭ** →
წ (შდრ. ზან. **ჭიმოშ-**). **შიშინა** → || **სისინა** ალტერნაციის შესახებ სვა-
ნურში იხ. აქვე, § 23. სამაგიეროდ სვანური ფუძის გახმოვანება საერთო-
ქართველურ სრულხმოვნობას ასახავს. აქ ცვალება ნაკლებია — **წამაშ-**
← ს.-ქართვ. ***წამას-**.

ეტიმოლოგიურად სვანური **ჭაბანი** წარმოშობილია ნ ა გ რ ე -
ხ ი თ ო კ ი ს ა გ ა ნ, ამგვარი დაშვების მართებულობას მხარს უჭერს ჭა-
ნურის სემანტიკა **ჭიმოშ-** „თოკის გრება“ — თ ო კ ი ს გ რ ე ხ ა →
ნ ა გ რ ე ხ ი თ ო კ ი → **ჭაბანი**.

ს.-ქართვ. ***წამას-** „გრება, წმასნა“ → ქართ. **წმ-ას-ნ-** : ზან. **ჭიმოშ-** ||
ჭემოშ- ← ***ჭუმ-ოშ-** : სვან. **წემაშ** || **წემაშ-უ** || **წემეშ** || **წამაშ-უ**
← ***ჭამ-ეშ-ო**.

ქართ. **წენ-**, სა-**წენ-**ურ-ი „საყული“.

ზან. **წინ-**, ო-**წინ-**არ-ი.

სვან. —.

ო-წინ-არ-ი აგებულებით ზანურობას უჭერს მხარს; **ო**—**არ** ზანური
კონფიქსია ქართული **სა**—**ელ-**ის ზუსტი სტრუქტურულ-ფუნქციური შე-

სატყვისი (ო-ცვილ-არ-ი : სა-კვლ-ელ-ი, ო-ლიბაფ-არ-ი : სა-ლბობ-ელ-ი, ო-ლალ-არ-ი : სა-ყფ-ელ-ი...). იმერული სა-წენ-ურ-ი საკუთრივ ქართული ეკვივალენტი უნდა იყოს ო-წინ-არ-ისა. საკვლევიამ გამოყოფილი წენ-, წინ- ზმნური ფუძის წარმომავლობა ქართველურ ენებში. ხომ არ ჩანს იგი სვანურ წენ- „შეშველება, მოხმარება“ ზმნაში?

ს.-ქართვ. *წენ-/*წინ- → ქართ. სა-წენ-ურ-ი : ზან. ო-წინ-არ-ი
←*ო-ჭინ-არ-ი (შდრ. ქართ. (← ზან.) ა-ჭინ-არ-ი (საბა)) : სვან. წენ- (?).

ქართ. წერ-ო (ფრინ.).
ზან. ჭარ-ო (ფრინ.) „ქორსა ჰგავს, თევზს ამოიტაცებს წყლით და სჭამს (საბა)“.

სვან. —.

ქართულში დადასტურებული ჭარ-ო ზუსტი სტრუქტურულ-ფონეტიკური შესატყვისია წერ-ო-სი (ქართ. წ : ზან. ჭ, ქართ. ე : ზან. ა, ქართ. რ : ზან. რ, ქართ. -ო : ზან. -ო). ქართული -ო : ზანური -ო ამ შემთხვევაში აფიქსურია, ასახავს ზანურის ძველ ვითარებას, როცა ენაში

წ → ჭ, ე → ა განხორციელებული იყო, ხოლო ო → უ ჯერ კიდევ არ მოქმედებდა (შდრ. წყალ-ტუბ-ო, ჭან. ტუბ-უ, მეგრ. ტიბ-უ).

საბასეული დახასიათება ჭარ-ო-სი მიანიშნებს მის მონათესავეობას წერ-ო-სთან: „თევზს ამოიტაცებს წყლით და სჭამს“.

ს.-ქართვ. *წერ-ო „წერო“ → ქართ. წერ-ო : ზან. ჭარ-ო.

სვან. წექ- || წქ-, ხ-ა-წქ-უნ-ე ზს., ხ-ა-წექ-უნ-ე ლშხ., ხ-ა-წექ-უნ-ე ლნტ. „აწვეთებს“ ← წექ-ტ ზს., წექ-ტ ლშხ., წექ-ტ „წვეთი“.

ქართ. (გურ., იმერ.) წაქ-ი „შრატი“, რაჭ., ქართლ. წაქ-ა „წათხი“.

ზან. წუქ-ი „სველიდან ნადულის მოხდის შემდეგ დარჩენილი სითხე“.

ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული წუქ-ი ზანიზმია.

ფორმალურად სვანურში ზმნური ფუძე მეტ სიძველეს ამჟღავნებს -

წექ- — წექ-ტ. ქართულ-ზანურში ზმნური ფორმები გვაკლია, სვანურის სემანტიკისათვის შდრ. ქართ. წო-წოქ-ა ←*წაქ-წაქ-ა „ხმელის მჟავის გამონაწერი (საბა)“.

სვან. წაქ || წრაქ „სველი, შრატი, წაქი“ ქართულიდან არის შესული.

ს.-ქართვ. *წაქ- „წვეთება, წვეთი; წაქი“ → ქართ. წაქ-ი/ა : ზან.

წუქ-ი ← კოქ-ი : სვან. წექ-ტ || წექ-ტ || წაქ-ტ || წექ- || წექ- ←*კაქ-.

სვან. **წი-კართ** ზს., ლნტ., **წი-კართ** „ლშხ. ←*წირ-კატ „ქამრის ლითონის ენა“.

ქართ. **წალ-კატ-ი**.

ზან. (მეგრ.) **ჭარ-კენტ-ი** „თავმოკაკული ჯიხი“.

ქართული **წალ-კატ-ი** ასიმილირებული სახეობა ჩანს ისტორიულ ***წერ-კატ-ისა** (შდრ. **წერ-ა-ქვ-ი** : ზან.(ჭან.) **ქვა-მჭარუ** „ფანქარი“), რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ჭარ-კენტ-ი** ←***ჭარ-კოტ-ი**. ამ უძველესი საერთოქართველური კომპოზიტის (შდრ. ქართ. **ზამ-თარ** : ზან. **ზო-თონჯ-**) პირველი კომპონენტი იგივე **წერ-/ჭარ-** „წერა“ უნდა იყოს (ქიზიყ. **წერ-ვ-ა** „დახაზვა და ამოჭრა“); გასარკვევია **კატ-** ფუძის წარმომავლობა (კეტ-ი?).

სვანურში შესაბამისი სიტყვა სისინა ალომორფითაა წარმოდგენილი —

წი-კართ ←***წერ-კატ** ←***ჭერ-კატ**.

ს.ქართვე. ***წერ-კატ-** „წალკატი“ → ქართ. **წალ-კატ-ი** ←***წერ-კატ-ი** : ზან. **ჭარ-კენტ-ი** ←***ჭარ-კოტ-ი** : სვან. **წი-კართ** || ← **წი-კართ** ←***წერ-კატ** ←***ჭერ-კატ**.

სვან. **წიკუ-** || **წიკუ-** || **ჭიკუ-** || **წკურ-**, ლწ-**წიკუ-**წრ ბზ., ლწ-**წიკუ-**წრ-ი ბქ., ლა-**წიკუ-**ან ლშხ., ლა-**ჭიკუ-**არ-ი ლნტ. „ჭუჭრუტანა, გასაჭვრეტი“, **წკურ-**უ ზს., ქს. „ჭუჭრუტანა“.

ქართ. **ჭვირ-**, **ჭვირ-ი** „შეხედვა (საბა)“, **მ-ჭვირ-ობ-ელ-ი**, **სა-ჭვირ-ალ-ი**, **გა-მ-ჭვირ-ვ-ალ-ე**, **ჭვირ-ს** „გამოსჭვრეტს“.

ზან. (მეგრ.) **ჭკორ-**, **ო-ჭკორ-ი-ე** „საჭვრეტელი, ჭუჭრუტანა“, **წკვირ-**, **უ-წკვირ-ინ-ან-ს** „უჭვრეტს“, **წკვირ-ინ-ი** „განქიქებით ჭვრეტა“.

ქართული **ჭვირ-** ფუძე მეგრულში ორგვარ ფორმას შეიფარდებს: **ჭკორ-** (გ. როგავა), **წკვირ-** (ვ. შენგელია); ცხადია, ქართ. **ჭვირ-** : ზან. ***ჭკვირ-** → **ჭკორ-** || **წკვირ-**. იქ, სადაც **ჭკ-**ს მომდევნოდ **ვ-** სტაბილურად ზის **ჭკუ-** → **წკვ-** განხორციელდა (თ. გამყრელიძე).

სვანური **წიკუ-** || **ჭიკუ-** || **წკუ-** გამარტივებული ფუძე ჩანს. **ჭკუირ-** ისტორიულად უფრო ძველი სახეობა უნდა გვექონოდა სვანურშიც, საიდანაც **რ-**ს დაკარგვა-ჩავარდნით მივიღეთ **ჭკუი** გარდამავალი საფეხური, ხოლო აქედან **ჭიკუ-** || **წკუ-** → || **წიკუ-** || **წიკუ-** ალომორფები განვითარდა. ისტორიული **რ** სონანტის კვალი ჩანს **ი** ძირისეული ხმოვნის სიგრძეში : ლწ-**წიკუ-**წრ || ლა-**წკუ-**ან ←*ლა-**ჭკუირ-**არ. ლა-არ კონფიქსი პროდუქტიულია სვანურში და სხვაგანაც გამოიყოფა: ლწ-ჯიშ-წრ „საქსოვი დაზგა“ — **ჯიშ-** „ქსოვა“, ლა-მდბ-წრ „სამუშაო იარაღი“ — მდბ- „მუშაობა“, ლა-ყალ-წრ „საშიში“ — მა-ყალ „შიში“, ლა-მგლდ-ან-წრ „დასათვლელი ადგილი“ (შდრ. ლწ-**წიკუ-**წრ „გასაჭვრეტი ადგილი“) — მგლდ-ენ- „დათვლა“...

საძიებელი რ შენარჩუნებულია წყურ-უ „ჭუჭრუტანა“ სიტყვაში, რომელიც მომდინარეობს *ჭაჭირ-უ (-უ ← -ო, შდრ. ქართ. -ო) არქეტიპიდან: *ჭაჭირ-უ → *წკვირ-უ → *წყურ-უ → წყურ-უ; უ-ს გამარცვლიანება (უ → უ) პოზიციურია და წინამავალ უ-ს მიეწერება: სვან.

წყურ-უ (←*ჭაჭირ-უ) : ზან. ო-ჭკორ-იე.

სვანურ ფორმებში დადასტურებული წ || ჭ სუბსტიტუცია აიხსნება ენაში მოქმედი ზოგადი შიშინა → || სისინა პროცესით (იხ. აქვე, § 23).

ს.-ქართვ. *ჭაჭირ- „ჭვრეტა, მჭვრეტი, საჭვრეტი“ → ქართ. ჭვირ- : ზან. ჭკორ- || წკვირ- ←*ჭკვირ-: სვან. წიკუ- || წიკუ- || წიკუ- || ჭკიუ- || წკურ- ←*ჭაჭირ-.

ქართ. წიპწა, ზ. იმერ. წინწა, ქართლ. წაპწა „ყურძნის კურკა (თესლი)“.

ზან. წიმჭა „ყურძნის კურკა“.

სვან. —.

ქართული წიპწა სიტყვის კანონზომიერი საკუთრივ ზანური შესატყვისი ჭანურსა და მეგრულში დაკარგულია, მაგრამ არა უკვალოდ; მის ოდინდელ არსებობაზე მიუთითებს იმერულში შემორჩენილი ჭიმჭა, რომელსაც ზანური ფონოტაქტიკით შეპირობებული პ → მ ფონეტიკური პროცესის კვალიც ეტყობა. საქმე იმაშია, რომ, განსხვავებით ქართულისაგან, ზანურში პწ || პჭ თანხმოვანთმიმდევრობა აკრძალულია. მისი სუბერაცია-დაძლევა მოხდა ბუნებრივი მჭ კომპლექსის შენაცვლებით — პჭ → მჭ.

ს.-ქართვ. *წიპ-წა „ყურძნის კურკა (თესლი)“ → ქართ. წიპწა → ||

წინწა || წაპწა : ზან. ჭიმჭა ←*ჭიმჭა.

ქართულ წიპწა-ს აკავშირებენ დაღესტნურ ენათა სათანადო მონაცემებთან, შდრ.: ხუნძ. წიბილ, კარატ. წიბილ, დარგ. ტუტი ←*ჭუჭი, ლაკ. ტუტი ←*ჭუჭი, ლეზგ. ციფიწ; არჩიბ. ტუმმულ ←*ჭუმმულ, თაბას. ტუმუტ ←*ჭუმუჭ, აღულ. ტიბით-არ ←*ჭიბიც-არ, რუთ.

ტგმგლ ←*ჭგმგლ, წახ. თგმგლ ←*ცგმგლ, უდ. თაულ ←*ჭულ „ყურძენი“ (არნ. ჩიქობავა, ოტ. კახაძე...). შესაძლოა აქვე შემოდიოდეს ნახურ ენათა ჭიმ „ლიმი, ატოლი“, აფხაზ. ა-წიპ „ვაშლი“...

საერთოკავკასიური ენობრივი ერთიანობის დონეზე ყურძნის აღმნიშვნელი ლექსემის პოზიციურება უდაოდ იმაზე მიუთითებს, რომ პროტოკავკასიელები პირველნი იყვნენ კაცობრიობის ისტორიაში, ვინც ყურძნის კულტურა მოაშინაურა, რაზეც მევენახეობასთან (მეღვინეობასთან) დაკავშირებული სხვა ტერმინებიც მიუთითებენ (შდრ. აფხ. ა-უგ(ნ) : ს.-ქართვ. უინ-(აწ-) : ს.-ნახ. ვენ „ღვინო“...).

სვან. **წიჷ-ერ** ბზ., **წიჷ-ერ** ბქ., ლნტ., **წიორ** ← **წიჷ-ერ** ლშხ. „წავი“.
 ქართ. **წავ-ი**.
 ზან. (მეგრ.) **წვინ-ორ-ი** „წავი“, ჭან. **წინ-არ-ი** || **წვინ-არ-ი** „წავი“.
 ყურადღებას იქცევს სვან. **-ერ** || **-ერ** და ზან. **-ორ** სუფიქსები, რაც ქართულისთვის **-არ**-ს გვარაუღებინებს. როგორც ეტყობა, **-არ** დაიკარგა ქართულში — **წავ-არ-ი** → **წავ-ი**.

ქართველურ ენათა ვოკალიზმის თვალსაზრისით, საინტერესოა **ა** → **გ** → **ი** პროცესი სვანურში — ***წაჷ-ერ** → ***წგჷ-ერ** → **წიჷ-ერ**; ქართ. **ა** : ზან. **ვი** ვარაუდობს **ო/უ** → **ვი** პროცესს ზანურში — ***წონ-ორ-** → || ***წუნ-ორ-** → **წვინ-ორ-**, შდრ. **ათ-ი** : **ვით-ი** ← ***ოთ-ი**, **შულ-** „ხრჩობა“ : **შქვიდ-** ← ***შქულ-**... უჩვეულო ჩანს ქართ. **ვ** : ზან. **ნ** მიმართება, რასაც პარალელი ეძებნება — ქართ. **კავ** „დაკავება“ : ზან. **კენ-** || **კინ-** „დაკავება“
 იხ. § 21. **ვ** → **ნ**. საზოგადოდ, საერთოქართველური **ვ**-ს შესატყვისად ზანურში განსხვავებულ რეფლექსებს გამოაჩენს — ქართ. **ტ ე ვ** : ზან. **ტ ა ლ** „გაშვება“, ქართ. **(მ) შ ე ვ - / (მ) შ ი (ვ) -** : ზან. **შ ქ ო რ -** || **შ ქ გ რ -** || **შ ქ ი რ -** „შიმშილი; დამშევა“, ქართ. **ტივ-/ტი(ვ)-** : ზან. **(ნ) ტ ი რ -** || **(ნ) ტ ი ნ -**...

ს.ქართვ. ***წაჷ-(არ-)** „წავი“ → ქართ. **წავ-ი** : ზან. **წვინ-ორ-ი** (← ***წუნ-ორ-ი**) : სვან. **წიჷ-ერ** || **წიორ** || **წიჷ-ერ** (← ***წაჷ-არ-**).
 საერთოქართველური **წაჷ-** ძირის შესატყვისი ჩანს ნახურ ენათა მონაცემები: ჩაჩნ. **ჭობ**, ინგ. **ჭობ**, ბაცბ. **ჭობ** ← **ჭობ** „წყლის ბულა“, „выпь“...

სვან. **წიფ-რ-ჷ** ბქ., **წიფ-არ-ი** ლნტ. „წითელი“, **წიფ-რ-ჷ** შდხ „წითელი, მწიფე თხილი“.

ქართ. **წამ-**, მე-**წამ-ულ-ი** „წითელი“.
 ზან. (მეგრ.) **ჭუბ-**, **ჭუბ-ერ-ი** დინა-**ჭუბ-ერ-ი** „თინა წითელი“ (საგო-ზავი მიწა).

ქართულში ძირად **წამ-** გამოსაყოფია, ხოლო კონფიქსად — **მე-ულ-** : **მე-რწყ-ულ-ი**, **მე-კვერცხ-ულ-ი**, **მე-რძე-ულ-ი**... **მე-წამ-ული**.

საერთოქართველური **წამ-** ძირის შესატყვისია მეგრული **ჭუბ-** ფორმა, რომელიც შემორჩენილია კომპოზიტური შედგენილობის დინა-**ჭუბ-ერ-ი** (=თინა-წითელი) სიტყვაში, სადაც **ჭუბ-ერ-ი** ს ი წ ი თ ლ ი ს (წ ი - თ ე ლ ი ს) ფუნქციური ეკვივალენტია. ალბათ ტოპონიმი **ჭუბერ-ი**ც იმავე **ჭუბ-ერ-** „წითელი“ ფუძეს შეიცავს.

ქართ. **წამ-** : ზან. **ჭუბ-** ← ***ჭობ-** შეპირისპირებისას საჭიროდ მიგვაჩნია დიალექტური (გურ.) **წიფ-ინ-**, გა-**წიფ-ინ-**ებ-ა „გაწითლება“ სიტყვის მოხმობა, რომელიც ასიმილაციით არის მიღებული ***წაბ-ინ-** არქე-

ტიპისაგან. გურულის ჩვენება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აქ მ-ს(წამ-) წინაპარი ბგერის ბ (→ ფ)-ს არსებობა რეალური ხდება ქართულსთვისაც, შდრ. მეგრ. ჭ უ ბ - ე რ - ი.

ს.-ქართვ. *წაბ- „სიწითლე, წითელი“ → ქართ. წამ ← *წაბ-, მე-წამ-ულ-ი, წიფ-ინ- ← *წაბ-ინ- : ზან. ჭუბ-ერ-ი ← *ჭობ-ერ-ი : სვან. წიფ-რ-უ || წიფ-არ-ი ← *ჭაბ-არ-ი.

ს.-ქართვ. *წაბ- „წითელი“ ძირის შესატყვისი ჩანს ნახურ ენათა *მუწ-, შდრ. ჩაჩნ. მუწ-ა-დუოლა „გაწითლება“...

ქართ. წიწ-აკ-ა, წიწმ-ატ-ი/ა, ლეჩხ. წიწმ-არ-იტ-ი, გურ. წიწმ-არ-იტ-ა „წიწმატი“.

ზან. (ჭან.) ჭიჭ-ი „მარილი“, ჭიჭამ-ი „ობრახუში“.

სვან. —.

შედარებითი ანალიზის წყალობით შესაძლებელი ხდება ქართულსთვის *წიწმ- არქაული სახეობის რეკონსტრუქცია, შდრ. ქართ. ე : ზან. ა, ს.-ქართვ. ე. საკითხი დაისმის წიწ- (წიწ-აკ-ა, წიწ-ინ-დერ-ა...) ძირთან ურთიერთობის თაობაზე, შდრ. ჭან. ჭიჭ-ი-კვერ-ი „მარილკვერი“.

სვანურში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი.

სემანტიკური მიმართება წ ი წ მ ა ტ ი ~ ო ხ რ ა ხ უ შ ი ბუნებრივად გვესახება.

ს.-ქართვ. *წიწ- „წიწაკა, მარილი“, *წიწ-ემ- „წიწმატი“ → ქართ.

წიწ-აკ-ა, წიწ-ინ-დერა, წიწმ-ატ-ი/ა, წიწმ-არ-იტ-ი-ა/ი ← *წიწ-ემ- : ზან. ჭიჭ-ი, ჭიჭ-ამ-ი.

სვან. წალ ზს. „მაშა“.

ქართ. წალ-, წალ-დ-ი.

ზან. (ჭან.) წკილ-ი „შანთი“, მ-წკილ-ი „საჭრეთელი კბილი“.

ქართულ წალ-დ-ში -დ სუფიქსურია (შდრ. მ-შვილ-დ-ი, ცულ-დ-ი...), ძირად გამოყოფილი წალ- ფუძე ისტორიულად ჭ რ ი ს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რაზეც ჭანურის სემანტიკაც მიუთითებს; აქ შანთი ა მ ო მ ჭ რ ე ლ ი ს სემიდან განვითარდა ისევე, როგორც ს ა ჭ რ ე თ ე - ლ ი კ ბ ი ლ ი — მ ჭ რ ე ლ ი კ ბ ი ლ ი სგან. სვანურის „მ ა შ ა“ „შ ა ნ - თ ი ს“ შემდგომ ევოლუციად გვევლინება.

ქართულისა და სვანურის ა ძირისეული განმოვანება ჭანურში ი-ს შეიფარდებს, რომელიც ო-საგან (შდრ. ქართ. ა : ზან. ო) მომდინარეობს —

ა : ო → გ → ი (გ. როგავა).

ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართ. წ : ზან. წკ : სვან. წკ, რაც არაერთ მაგალითში დასტურდება (იხ. აქვე, § 26).

ს.-ქართვ. *წალ- „ჭრა“ → ქართ. წალ-, წალ-დ-ი : ზან. (მ)წკილ-ი
←*წკგლ-ი ←*წკოლ-ი : სვან. წკალ.

სვან. წკარ- || წკერ-, წკარ-ა ბზ., წკერ-ა ქს. „ბზარვა“.
ქართ. (მობ.) წერ-, გა-ი-წერ-ა „გაიბზარა“.
ზან. წწკერ- || წწკირ-, გო-წწკერ-უ-ა „გაბზარვა“, გი-წწკირ-უ „გა-
იბზარა“, გო-წწკერ-ილ-ი „გაბზარული“.

თავკიდური ნ ფონეტიკური დანართია ზანურში — წკერ- →
წწკერ- || წწკირ-. ასახსნელია ქართველურ ენათა ვოკალიზმი; რაც ამოსა-
ვალში ა-ს გვავარაუდებინებს, ე. ი. ა → ე ისტორიულ ქართულსა და
სვანურში, ზანურში — ო → გ || ი (შდრ. ქართ. ა : ზან. ო → გ → || ი
(გ. როგავა)). გვიანდელი ე → წ სვანურში პოზიციურია და მომდევნო
ა-ს მიეწერება — წკერ-ა → წკარ-ა (მ. ქალღანი).

საყურადღებოა ქართ. წ : ზან. წკ : სვან. წკ ბგერათმესატყვისობა
(იხ. აქვე, § 26).

სემანტიკური იგივეობა ქართველურ ენებში ეჭვს არ იწვევს.

ს.-ქართვ. *წარ- „ბზარვა, ბზარი“ → ქართ. წერ- : ზან. წწკირ- ||
წწკერ- ←*წკორ- : სვან. წკარ- || წკერ- ←*წკარ-.

სვან. წკებ-, ძკებ „წახნაგი“.
ქართ. წობ-ი „წვეტი, წვერი“.
ზან. (მეგრ.) წკობ-ი || ძკობ-ი „წვეტი, წახნაგი, წვერი, კიდე“.
მეგრულში ნაწილობრივ, ხოლო სვანურ ფორმებში მთლიანად
მკვეთრთა გამჟღერება საცნაურია: წკობ-ი → ძკობ-ი, წკობ → წკაუბ
→ ძკებ. მნიშვნელოვანია ბგერათმესატყვისობა ქართ. წ : ზან. წკ : სვან.
წკ → ძკ (იხ. აქვე, § 26).

ს.-ქართვ. *წობ- „წობი, წახნაგი, წვერი“ → ქართ. წობ-ი : ზან.
ძკობ-ი || ← წკობ-ი : სვან. ძკებ ←*წკაუბ ←*წკობ.

ქართ. წკვერტ-/წკვირტ- „წკვერტვა, აბრეხა“, ა-წკვერტ-ილ-ი „აბ-
რეხილი (ულვაში)“, წკვერტ-ი.

ზან. (მეგრ.) ჭყვართ-, ჭყვართ-უნ-ს „გამართავს, გაჭიმავს“, გო-ჭყვ-
ართ-ილ-ი „გამართული“, ჭყვენტ-ერ-ე → || წკვენტ-ერ-ე „წკვენტი“.

სვან. —

ქართველური ფუძეები ბგერწერითი (სიმბოლიკური) აგებულებისაა.
ამიტომაც მჟღავნდება კ/ყ, თ/ტ სუბსტიტუცია ერთი და იმავე ძირის

ფარგლებში. თუმცა ხმოვნითი შესატყვისობა ქართ. ე : ზან. ა ნაწილობრივ დაცულია — **წავერთ-** : **კევართ-**.

ს.-ქართვ. ***წყურთ-/წყურით-** „გამართვა, აპრება“ → ქართ.

წავერთ-/წავირთ-, **წავერთ-**ი : ზან. **კევართ-**, **კევენტ-**ერ-ე → || **წავენტ-**ერ-ე.

სვან. **წლიხ-** || **წილხ-** || **ხლიწ-**, ლგ-**წლიხ-**ე ბზ., ლგ-**ხლიწ-**ე (← ლგ-**წლიხ-**ე) ბქ., ლშხ., ლგ-**წილხ-**ე ლტ. „გაწურული“.

ქართ. **წნებ-/წნის-**, **წნეს-ს/წნის-ა**, სა-**წნებ-**ელ-ი, **წნებ-**ი.

ზან. (მეგრ.) **წგლოხ-** || **წილოხ-**, **წილოხ-**უნ-ს „წურავს“, **წგლოხ-**ირ-ი „გაწურული“, ო-**კენახ-**უ „საწნებელი“, ჰან. ო-**წილოხ-**უ „წურვა“, ბ-**წილოხ-**უფ „გწურავ“, ო-**კინახ-**უ „წნება; საწნებელი“, ბ-**კინახ-**ი „დაწურე“.

სვანურში ზმნური **წლიხ-** ფუძე დაკარგულია, იგი მხოლოდ ნაწარმოებ (მიმღებურ) ფორმებში შემოგვრჩა. სვან. **წლიხ-** ასახავს ი განმრავანებას (შდრ. ქართ. **წნის-**). აქ ანლაუტური **წ** სტაბილურია (**კ** → **წ**) მაშინ, როდესაც ზანურის ორსავე დიალექტში **კ** → || **წ** მონაცვლეობა რეალურია. როგორც ეტყობა, გაშიშინების შემდგომ ძლიერი პირუკუ **ში-შინა** → **სისინა** პროცესიც მოქმედებდა (იხ. § 23). ქართველურ ენებში (ზანურ-სვანურში) ასხნას ითხოვს **ლ** || **წ**.¹

ს.-ქართვ. ***წან-ებ-/წან-ის-** „წურვა, წნება“ → ქართ. **წნ-ებ-/წნ-ის-**, **წნ-ებ-**ი, სა-**წნ-ებ-**ელ-ი : ზან. **წგლოხ-** || **წილოხ-** || **წგლოხ-** || **წილოხ-**, **კენახ-** || **კინახ-**, ო-**კენახ-**უ || ო-**კინახ-**უ ← ***კონახ-** || ***კონის-** : სვან. **ხლიწ-** || **წილხ-** || **წლიხ-** ← ***კან-ის-**.

ქართ. «**წო-**», (იმერ.) **წო-**ია „პატარა ჩიტი, მუდამ ერთსა და იმავე ხმას გამოსცემს“, ლეჩხ. **წო-**იო „ლამეძახია, ზარნაშო“.

ზან. (მეგრ.) **კუ-**ია „პატარა მწივანა ჩიტი“; „ინდაურის წიწილა“.

სვან. —.

ბგერათშესატყვისობათა ჩვენება: ქართ. **წ** : ზან. **კ**, ქართ. **ო** : ზან. **უ** ამ ფუძის საერთოქართველურიდან მომდინარეობაზე მეტყველებს. -**ია** კნინობითობის სუფიქსი მეგრულშიც მეორდება, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ს.-ქართვ. ***წო-(ია)** „მწივანა ჩიტი“ → ქართ. **წო-ია** || **წო-იო** : ზან. **კუ-ია**.

¹ ხშირად სვანური ფორმებიც **ლ**-ს გამოაჩენენ ქართული **წ**-ს წილ, შდრ. ქართ. **ძილ-/ძინ-** : ზან. **ჯირ-/ჯან-** : სვან. **ჟუ-** ← ***ჟაჟ-** ← ***ჯილ-** „ძილი“.

ქართ. **წორ-ო** || მ-**წორ-ო** „ცირცელი (მცენ.)“.

ზან. **ჭორ-ი** „კესანე, ციცინო (მცენ.)“.

სვან. —.

ქართული **წორ-ო**-ს შესატყვისი ზანური **ჭორ-ი** უნდა ჩანდეს იმე-
რულ დიალექტში დადასტურებულ **ჭორ-ი** სიტყვაში. ფუძის აგებულების-
თვის შდრ. ქართ. ღ ვ ი ნ - ო : ზან. ღ ვ ი ნ - ი → || ღ ი ნ - ი ...

სვანურში შესაბამისი ლექსემა ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. ***წორ-(ო)** „ცირცელი“; „ციცინო“ → ქართ. **წორ-ო** ||
მ-წორ-ო : ზან. **ჭორ-ი** ←***ჭორ-ო**.

ქართ. (მოხ.) **წრეკ-**, გა-**წრეკ-**ა „დაგრება“.

ზან. (მეგრ.) **ჭირაკ-**, **ჭირაკ-**უ-ა „გრება; დანაოჭება“, **ჭირაკ-**ილ-ი
„დანაოჭებული“, „დაგრებილი“, ი-**ჭიროკ-**უ(ნ) „იკლაკნება, იგრიხება“.

სვან. —.

ფუძე სიმბოლიკური (ბგერწერითი) სახეობისაა, მაგრამ, მიუხედავად
ამისა, ბგერათშესატყვისობათა ჩვენება არ არის დარღვეული — შდრ.:

ქართ. **წ** : ზან. **ჭ**, ქართ. **ე** : ზან. **ა**.

„გ რ ე ხ ა“, „მ ა ნ ჭ ვ ა“, „დ ა ნ ა ო ჭ ე ბ ა“, „კ ლ ა კ ნ ა“ საერთო რი-
გის სემანტიკებია.

ს.-ქართვ. ***წირ-ეკ-** „კლაკნა, გრება“ → ქართ. **წრ-ეკ-** : ზან. **ჭირ-
ოკ-** || ← **ჭირ-აკ-**.

ქართ. (იმერ.) **წრიფ-ი** „გამხდარი; ფიზიკურად სუსტი“.

ზან. **ჭიფ-ე** „წვრილი“, „გამხდარი“, **ჭიფ-არ-**, დე-**ჭიფ-არ-**უ „წვრილი
გახდა“.

სვან. —.

ქართული **წრიფ-ელ-ი** დაკავშირებულია ზანურ **ჭიფ-ე**, მ-**ჭიფ-ა** ფუ-
ძეებთან (არნ. ჩიქობავა). ჩვენ მიერ მოხმობილი იმერ. **წრიფ-ი** კარგად
აჩვენებს ქართული ფუძის ისტორიას — **წრიფ-ელ-ი** ←***წრიფ-ელ-ი** (შდრ.
ზან. **ჭიფ-** ←***ჭრიფ-**).

მნიშვნელობის განვითარება საერთო მიმართულებისაა ქართველურ
ენებში: **წრიფ-** || ← **წრიფ-** ძირს ქართულშიც აღმოაჩნდება ს ი გ ა მ -
ხ დ რ ი ს, ს ი წ უ რ ი ლ ი ს გაგება ისევე, როგორც ზანურში (ჭანურში)
ს ი წ რ ფ ე ლ ი ს, ს ი წ მ ი ნ დ ი ს ნიაუნსია ხელშესახები (ს. ჟღენტი,
ჰ. ფენრიხი).

ს.-ქართვ. ***წრიფ-** „წვრილი, წრფელი; გახდომა“ → ქართ. **წრიფ-ი**,
სი-**წრიფ-ო**, **წრიფ-ელ-ი**, **წრიფ-**(შე-ს-**წრიფ-ა**) : ზან. **ჭიფ-ე** ,მ-**ჭიფ-ა** (←*მ-
ჭრიფ-ა—, **ჭიფ-არ** (←***ჭრიფ-არ-**).

ს.-ქართვ. ***წრიფ**- ფუძეს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში, შდრ. ჩაჩნ. **ჭაფ**-და^ნ „გაბრტყელება“, ინგ. **ჭაფ**-დჟ...

ქართ. **წურ**-, ი-**წურ**-ებ-ა, მი-ი-**წურ**-ა, მი-**წურ**-ულ-ი.

ზან. (მეგრ.) **წკურ**-, გინო-**წკურ**-უ-ა „გადაწურვა“, გეგნო-**წკურ**-უ „გადაწურა“, იმენდგგინო-**წკურ**-ილ-ი = იმედ-გადა-**წურ**-ულ-ი.

მეგრულში ფიქსირებული **წურ**-, ილა-**წურ**-უ-ა „დახრა, ჩახრა“ ქართულიდან არის შეთვისებული. საკუთრივ ზანური **წკურ**- — ქართული **წურ**-ის შესატყვისი — შემორჩენილია ზემოთაღწერილ სპეციფიკურ გამოთქმებში.

ამ შეპირისპირებაში ვლინდება ქართ. **წ** : ზან. **წკ** ოპოზიცია, რაც ბუნებრივია და აიხსნება **წ** → **წკ** გარდაქმნით ზანურში (იხ. აქვე, § 26).

ს.-ქართვ. ***წურ**- „მიწურვა“ → ქართ. **წურ**- : ზან. **წკურ**-.

ქართ. **წუხ-ელ**- || **წუხ-ელ**-ის, მ-**წუხრ**-ი, თუშ. **ძოდ**-ი, **ძოდ**-ან-ის, ხევს., მოხ. **ძოდ**-ან „ამას წინათ“, **წედ**-ან || **წებ**-ან.

ზან. (მეგრ.) **წობ-ოლ-ე** „წინ, წინათ, ამას წინათ“, ჭან. **წობ-ლე** „წინ“.

სვან. —.

ქართულში ფორმათა მრავალფეროვნება ამოსავალში **წობ**- || **წობ-ელ**- || **წობ-ან**-ის არსებობაზე მიუთითებს, რომელსაც კანონზომიერად უკავშირდება ზანური (resp. მეგრულ-ჭანური) **წობ**- (**წობ-ოლ-ე**) ძირი. — შდრ.: გურ. **წახან**-აი || **წახ-ან-ე** ← ***წობ-ან** „წელან“.

მნიშვნელობის მხრივ, ძირითადია **წ ი ნ ა ს** (ამას წინას) შინაარსი.

ს.-ქართვ. ***წობ**- „წინათ, ამას წინათ“ → ქართ. **წუხ-ელ**-(ის), **წედ**-ან **წახ**-ან- || **წებ**-ან, **ძოდ**-ი || **ძოდ**-ი || **ძოდ**-ან- (ის) : ზან. **წობ-ოლ-ე** → || **წობ-ლე**.

ს.-ქართვ. ***წობ**-ს უკავშირდება აფხაზური ა-**წს** „ღამე“, რომლის კვალს სომხურშიც ხედავენ (ს. ჯანაშია).

სვან. **წჷენ**- || **წონ**-, ხ-ო-**წჷენ**-ე ბზ., ლშხ., ხ-ო-**წონ**-ე ბქ. (შდრ. ო-ხ-**წჷენ**) „უსინჯავს“.

ქართ. **წვნ-ევ**-, ვ-ა-**წვნ**-ევ, ი-**წვნ-ევ**-ს „გასინჯავს, იგემებს“, ი-**წვნ**-ი-ა „გამოსცადა, გასინჯა“, **წვნ**-ევ-ა.

ზან. —.

ქართულში, ისევე როგორც სვანურში, ფუძის დისტრიბუცია მეტად შეზღუდულია. ის გამოიყენება მხოლოდ გარკვეულ კონტექსტებში (მყარ გამოთქმებში), როგორცაა: მარცხი იწვნია, გემო იწვნია, გაჭირვება იწვნია...

სვანური **წუნ-** ქართულისთვისაც გახმოვანებულ ფუძეს გვაგარაუდებინებს ისტორიულად. ე-ს რედუქცია ამ შემთხვევაში ძირს შეხორცვბულ -ევ სუფიქსს მიეწერება — *წვენ-ევ- → წვ-ევ-.

ზანურში შესაბამისი ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი (შდრ. წის-აფ-ა „წვენვა, გასინჯვა, ჭაშნიკი“ — წ-ის-(?)).

ს.-ქართვ. *წუნ- „გასინჯვა, წვენვა, ჭაშნიკი“ → ქართ. წვ-ევ- ←*წვენ-ევ- : სვან. წონ- || წუნ-.

სვან. წუი, წიუ ზს., ლშზ., წუ-არ ლნტ. „წველი“.

ქართ. წუელ-ი || წველ-ი, ძვ. ქართ. წველ-ა.

ზან. (მეგრ.) ჭოლ-ი „წველი“, წუ „ბზე“, ჭან. წუ „ბზე“, ო-წვალ-ე „საბზელი“ (შდრ. იმერ. ჭვალ-ო „წველი“).

სვანურში წუი/წიუ სუბსტიტუცია და სხვა ქართველურ ენათა სათანადო ფუძეებთან მისი შედარება გვაფიქრებინებს, რომ ამოსავალში გვქონდა წუჲ- (←*წუეჲ-); ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მრავლობითის ჩვენება სვანურში, შდრ.: წუჲ-არ ბზ., წუჲ-არ ლშზ., წუ-არ ← წუჲ-არ ბქ., აქედან ირკვევა, რომ ლენტეხური წუ-არ pluralia tantumi-ა.

ქართული წველ-ის მიმართ ზანური ორგვარ შესატყვისობას იძლევა —

ქართ. წუელ- : ზან. წუ-; ქართ. წუელ- : ზან. *ჭვალ- → ჭოლ- || წვალ-. ამგვარი სურათი არ არის უჩვეულო ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით, შდრ.: ქართ. წყალ- : ზან. წყუ, მაგრამ ქართ. წყალ- (მო-ვ-წყალ) : ზან. ჭყოლ-, ჭყოლ-უ-ა „დაწყვლა, დაჭრა“, ჭყოლ-ირ-ი „წყლული“. ცხადია, ს.-ქართვ. წყ-ალ- → ქართ. წყალ-ი, წყალ- : ზან. წყ-უ ←*ჭყ-უ, ჭყ-ოლ-.

იმერულ დიალექტში დადასტურებული ჭვალ-ო „წველი“ ზანიზმია.

სვანურში აქაც წ → ჭ → წ პროცესი ბოლომდეა მიყვანილი მაშინ, როდესაც ზანურში (წ →) ჭ || წ მერყეობა რეალური ფაქტია (იხ. აქვე, § 23).

ს.-ქართვ. *წუნ-ელ- „წველი, წბილი“ → ქართ. წუელ-ი || წველ-ი : ზან. წუ-, წვალ- || ჭოლ- ←*ჭვალ- : სვან. წუი || წიუ || ← წუჲ ←*წუეჲ ←*ჭუნ-ელ-.

ს.-ქართვ. წუ-ელ- არქეტიპს შესატყვისები მოეპოვება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: ს.-ნახ. წოჲ „ძნა“, ლეზგ. ცჲულ || ჩოულ ← ჭჲულ, თაბ. შალ ← ჩჲულ, აღ. შელ ← ჩჲელ, რუთ. ჯჲლ ← ჭჲელ, წახ. ჯოლ ← ჭჲელ, ხინ.. ცჲულ ← წჲულ „ძნა“...

სვან. **წჷიდ-** || **წუდ-**, ნე-**წჷიდ** || ნე-**წუდ** (ბ-ო-ნ-წუდ-ა) ზს. „წვრილი“.

ქართ. **წულ-ილ-ი** → || **წურ-ილ-ი**, სი-**წლ-ო**, სი-**წულ-ილ-ე**, მო-**წლ-ო**, ნიაგ-**წულ-ილ-ი** (საბა).

ზან. (ჭან.) **წულ-უ** „მცირე, პატარა“, მეგრ. **რწულ-ე** „ვიწრო“.

ქართულ-ჭანურ ფუძეთა გენეტიკური ერთიანობა ცნობილია (ლ. ნა-დარეიშვილი). სვანური ნე-**წუდ-** → || **-წჷიდ-** სახელიც ადვილად დაუკავ-შირდება ქართულ-ზანურ **წულ-** ფუძეს, თუ გავითვალისწინებთ **ლ** → **დ** ფონეტიკურ შესაძლებლობას: ქართ. **ქულა** → სვან. **ქუდა...** (იხ. აქვე, § 2. **ლ** → **დ**).

სემანტიკის მხრივ სვანური იდენტურობას ამჟღავნებს ქართულთან მაშინ, როდესაც **წ ვ რ ი ლ ი** → **მ ც ი რ ე**, **პ ა ტ ა რ ა** ჭანურ დიალექტში საცნაურია.

ს.-ქართვ. ***წულ-** „წვრილი, დაწვრილება“ → ქართ. **წლ-** || ← **წულ-**, **წულ-ილ-ი** → || **წურ-ილ-ი** : ზან. **წულ-უ** → || **რწულ-ე** : სვან. **ნე-წჷიდ** || ← **ნე-წუდ** ← **ნე-წულ**.

სვან. **წჷიდ-** || **წუდ**, ა-**წჷიდ-ე** (შდრ. **ოთ-წჷიდ**) „წურავს“, **ლა-წჷიდ-წრ** „საწური“.

ქართ. **წვენ-**, **წვენ-ი**.

ზან. (მეგრ.) **წონ-**, **წონ-უ-ა**, ბ-**წონ-გ** სქას „თაფლის ამოღება სკიდან და დაწურვა“.

მეგრული **წონ-**(უ-ა) იგივე **წვენ-**ის გამოყვანაა.

მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით მეგრულის მსგავსი ვითარებაა ქართულის დიალექტებიდან მთიულურში, სადაც **წ ვ ე ლ ა**, **მ ო წ ვ ე ლ ა** ზმნა გამოიყენება „სკიდან თაფლის ამოღება-დაწურვის“ აღსანიშნავად.

მატერიალურად ქართულ **წვენ-**ს ზანურში შესატყვისად ***წვან-** უნდა ჰქონოდა, რომელმაც მოგვიანებით **ვა** → **ო** (შდრ. **წველ-ი** : მეგრ. ***ჭვალ-ი** → **ჭოლ-ი** იხ. აქვე) გადასვლით თანამედროვე **წონ-** მოგვცა ქართ. **წვენ-** : ზან. ***წვან-** → **წონ-** : სვან. ***წჷინ-** → **წჷიდ-**.

აქამდე **წვენ-** ქართულში განმარტოებით იდგა; მაშინ როდესაც სხვა: **წვ-ელ-**, **წვ-ეთ-**, **წვ-იმ-წვ-** ძირიან სიტყვებს ზანურში შესატყვისები დაეძებნა: **ჭვალ-**, **ჭვათ-**, **ჭვიმ-**. და კიდევ, **წვ-** ძირიანი სიტყვათა ჩვენება იმას ადასტურებს, რომ მეგრულში **წვენ-**ის შესატყვისი **წონ-** ← ***წვან-** უფრო ადრე ***ჭვან-** სახისა იყო.

ს.-ქართვ. ***წჷინ-** „წვენი; წვენის გამოყვანა, წურვა“ → ქართ. **წვენ-ი** : ზან. **წონ-** ← ***წვან-** ← ***ჭვან-** : სვან. **წჷდ-** || **წჷიდ-** ← ***ჭჷინ-**.

სვან. **-წჳინ-** „დამიზნება, გასწორება“, მჟ-მ-**წჳინ**-ე ბზ., ბქ., ლზხ., მჟ-მე-**წჳინ**-ე ლნტ. „გამსწორებელი, დამიზნებელი“, მე-**წჳინ** ზს., ქს. „სწორი“.

ქართ. ს-**წორ**-ი, ს-**წორ**-ებ-ა, ს-**წორ**-ე, სა-ს-**წორ**-ი.

ზან. **წურ**-, გე-**წურ**-აფ-ა „დამიზნება“, უ-**წურ**-უ-ან-ს „უმიზნებს“, მა-**წურ**-აფ-უ „მისწავლებელი“, მე-**წურ**-აფ-ა „მისწავლება“.

ქართველურ ენათა მასალის ფორმალურ-სემანტიკური ერთიანობა ეჭვს არ იწვევს. აუსლაუტური **წ** სვანურში აიხსნება ენაში გავრცელებული **რ** → **წ** ფონეტიკური გარდაქმნით — **წჳინ**- ← **წჳირ**- ← **წორ**- (იხ. აქვე, § 17. **რ** → **წ**).

გასარკვევია ქართულში გამოყოფილი **ს**- პრეფიქსის ისტორიული ფუნქცია. უკავშირდება თუ არა იგი სხვაგან დადასტურებულ **ს**- სეგმენტს: **ს**-**წ** ა ვ - (ლ -), **ს**-**ყ** ი დ -, **ს**-**ძ** ე, **ს**-**ძ** ა ლ - ი, **ს**-**წ** ა რ - / **ს**-**წ** რ - ა ფ - ი, **ს**-**ე** - ფ - ე || **მ**-**ე** - ფ - ე || **წ**-**ე** - ფ - ე ...

ს.-ქართვ. ***წორ**- „გასწორება, სწორი“ → ქართ. **ს-წორ**-, **ს-წორ**-ი : ზან. **წურ**- : სვან. **წჳინ**- ← ***წჳირ**- ← ***წორ**-.

სვან. **წურ**-, ხ-ო-**წურ**-ე „უდენს, ადენს (ოფლს, ცრემლს...), მე-**წურ**-ე „მდენი, თხევადი“.

ქართ. **წურ-წურ**-, მო-**წურ-წურ**-ებ-ს (ოფლი, სისხლი...), **წურ-წურ**-ით სდის, **წურ-წურ**-ი.

ზან. (მეგრ.) **ჭურ-ჭულ**-, **ჭურ-ჭულ**-ი „წურ-წურ-ი“, მ-ა-**ჭურ-ჭულ**-უ(ნ) || მ-ა-**ჭვარ-ჭვალ**-უ(ნ) „წურწურით ჩამოსდის (ოფლი, წყალი, ცრემლი...)“.

ქართულ-ზანურში რედუბლიცირებული ფუძეები დასტურდება, სადაც **წურ**- || **ჭურ**- ძირად გამოიყოფა, მისი სვანური ეკვივალენტი რედუცირებული ფორმაა — ***ჭურ**- → **წურ**-; აქ საცნაურია **ჭ** → **წ** განშიშინების პროცესი (იხ. § 23).

ს.-ქართვ. ***წურ**- „სითხე, თხევა“ → ქართ. **წურ-წურ** : ზან. **ჭვარ-ჭვალ**- || **ჭურ-ჭულ**- : სვან. **წურ**- ← ***ჭურ**-.

ქართ. **წყვილ**-ი, სწორ-**წყვილ**-ედ-ი „გვერდი“, იმერ. **წყვილ**-ებ-ი „ჭანჭლები“.

ზან. **ჭყვირ**-ი „ნერბი, დედალი (თხა, ცხვარი)“.

სვან. —.

ზანური **ჭყვირ**-ი კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **წყვილ**-ფუძეს (ქართ. **წ** : ზან. **ჭ**, ქართ. **ლ** : ზან. **რ** ← **ლ**).

საინტერესო სემანტიკური ცვალები დასტურდება ზანურში:
წყვილი → დედალი. რაც ალბათ სინონიმური მნიშვნელობიდან განვითარდა — წყვილი = ლუწი, დედალი (კენტის საწინააღმდეგო).

ს.-ქართვ. *წყვილ- „წყვილი“ → ქართ. წყვილ-ი : ზან. ჰყვი-ირ-ი
←*ჰყვი-ილ-ი.

ქართ. წყურ-ტ-, წყურ-ტ-ი „სნეულობა არს, რომელი მრავალს წყალს ასმევს კაცს და განახმობს სიმკლით (საბა)“.

ზან. წყვრ-ტ-ი || წყირ-ტ-ი „წყურტი“, „ჰყურ-ტ-ი“, „მა-ჰყურ-ტ-ია“.
სვან. —

საკუთრივ მეგრულში დღეს მხოლოდ სისინა სიბილანტიანი წყირ-ტ- || წყვრ-ტ- დასტურდება; მისთვის უწინარესი ჰყურ-ტ- ალომორფი შემორჩენილია ქართული ენის ლეჩხუმურ დიალექტში ნასესხები მა-ჰყურ-ტ-ია სიტყვის სახით. აქ მა-ია კონფიქსად გამოიყოფა (შდრ. მეგრ. მა-ლულ-ია „მელეღვია (ავადმყოფ.)“). ლეჩხუმურში ზანური ჰყურ-ტ- მაშინ არის გადასული, როცა უ → გ → || ი პროცესი ენაში არ მოქმედებდა, ასევე ჰ მყარად იჯდა სიტყვის თავში (შდრ. წყირ-ტ- || წყვრ-ტ- ←*ჰყურ-ტ-).

ცხადია, ქართველურ ენათა წყურ-ტ- || ჰყურ-ტ- უკავშირდება წყურ- „წყურვილი“ ფუძეს, რომელიც, თავის მხრივ, ეტიმოლოგიურ კავშირშია წყ- (წყ-ალ-, რ-წყ-ევ-ა, ნე-რ-წყ-ტ-...) „წყლის“ აღმნიშვნელ საერთოქართველურ ძირთან (ვ. თოფურია).

ს.-ქართვ. *წყურ-ტ- „წყურტი“ → ქართ. წყურ-ტ-ი : ზან. წყირ-ტ-ი || ← წყვრ-ტ-ი || ← ჰყურ-ტ-ი, მა-ჰყურ-ტ-ია.

სვან. წვრს- || წირს- || წირს-, ა-წვრს-ე ბზ., ა-წირს-ე ბქ., ლნტ., ა-წირს-ე ლშ. „გრებს“, წვრს || წირს „ღვლერჭი“.

ქართ. წრეს-/წრის-/წრას-ნ-, წრეს-ს/წრის-ა, წრას-ნ-ილ-ი „მეტად შეგრეხილი (საბა)“, ს-წრას-ნ-ი.

ზან. (მეგრ.) წიროს-, წიროს-უ-ა „გრება კანაფის თოკის“, წიროს-ილ-ი „დაგრეხილი, ნაგრეხი“.

სვანურ-ზანურში მხოლოდ სისინა შესატყვისებია შემორჩენილი. და რომ შიშინა ალომორფებიც არსებობდა ამაზე ნათლად მიუთითებს სვანური ჰირეს || ჰერეს ლექსემა (იხ. აქვე).

ქართველურ ფუძეებში საცნაურია სტრუქტურულ-სემანტიკური სიანხლოვე.

ს.-ქართვ. *წირ-ას-/წირ-ეს-/წირ-ის- „გრება“ → ქართ. წრას-ნ-/წრეს-/წრის- : ზან. წიროს- (←*ჰიროს-) : სვან. წვრს- || წირს- || წირს- (←*ჰირის-).

სვან. **წგხ**-ი „საჭიროება“, **მა-წგხ** ზს., **მგ-წგხ** ქს. „საჭიროება“.
ქართ. **წუხ**-ი, სულ-**წუხ**-ი „ჩქარი“, მუ-**წუხ**-ი „სასწრაფო, საჭირო, საჩქარო“.

ზან. —.

სულ უფრო მეტ მასალაში იჩენს თავს სვანური მასდარისეული **მ**-პრეფიქსის ბადალი **მ**- ქართულში. წინამდებარე შეპირისპირება იმიტაცაა მნიშვნელოვანი, რომ პრეფიქსი **მ**- აქ საერთოქართველური წარმოშობის გენეტიურად საერთო ფუძეში ვლინდება. ძირად გამოყოფილი **წგხ-წუხ**-შეიძლება დაუკავშირდეს **წუხ**- (**წუხ**-ილ-ი) ზმნას.

ს.-ქართვ. ***მ-V-წუხ**-, **წუხ**- „საჭიროება; საჭირო“ → ქართ. **წუხ**-, **მუ-წუხ**-ი : სვან. **წგხ**-, **მგ-წგხ** || **მა-წგხ**.

ჭ

სვან. **ჭანტი** ბქ., **ჭანტი** ბზ., ლშხ., **ჭანტი** ლნტ. „კორკოტი“.
ქართ. **წანდილ**-ი „კორკოტი“, „მგბარი ხვარბალი (საბა)“.
ზან. —.

სვანური ფორმები კანონზომიერი ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია ქართული **წანდილ**-ისა. ზოგი რამ ცვლილება მაინც შეინიშნება; კერძოდ, დაკარგულია აუსლაუტური **ლ**- სვანურში, ალბათ, **ლ** → **ჟ** საფეხურის გავლით. მისი კვალი წინამავალი პირველი მარცვლისეული **ან**-ს სიგრძეში დაჩნდება — **ჭანტი** ← **ჭანტიჟ** ← **ჭანტილ**. **ჭანტილ** არქეტიპის რეალურობას ამტკიცებს სვანურიდან ნასესხები რაჭულ-ლეჩხუმური **ჭანტილა** „კორკოტი“. ამით ირკვევა, რომ **ნდ** → **ნტ** გამკვეთრების პროცესი (**ჭანდილ** → **ჭანტილ**) ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა **ლ** → **ჟ** გადასვლას სვანურში.

ს.-ქართვ. ***წანდ-ილ**- „წანდილი, კორკოტი“ → ქართ. **წანდილ-ი** : სვან. **ჭანტი** || **ჭანტი** || **ჭანტი** ← ***ჭანდილ**.

ს.-ქართვ. ***წანდ-ილ**- ფუძეს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: ნახ. **ჭან-უო** || **ჭან-ო** || **ჭონ-უა** „პურის სახეობა“, ხუნძ. **ჩედ**, ლაკ. **ჩაბ**, ლეზგ. **ჭაბ**, წახ. **ჭად** „პური“...

წინარეიბერიულ-კავკასიურ ენაში წ ა ნ დ ი ლ ი ს = დ ა ნ ა ყ ი - ლ ი ხ ო რ ბ ლ ი ს აღმნიშვნელი სიტყვის არსებობა მნიშვნელოვანია კულტურის ისტორიის თვალსაზრისით.

სვან. **ჭაფურ** ბზ., **ჭაფორ** უშგ., **ჭაფხური** ბქ., **ჭაფორ** ლშხ., ლნტ. „ფამფარა (მცენ.)“, „სამყურა ბალახი“.
ქართ. (გურ.) **წებარ-ი** „ხოვერა“.

ზან. (მეგრ.) **ჭაფურ-ია** „ერთგვარი ბალახი (ყუათიანი)“.

გურულში დადასტურებული **წებარ**- ფუძის კანონზომიერი ზანური (მეგრული) შესატყვისია **ჭაფურ**- ფორმა. ქართ. **წ** : ზან. **ჭ**, ქართ. **ე** : ზან. **ა** ბგერათშესატყვისობა ამ ენებისათვის ბუნებრივია. რაც შეეხება ობოზიციას ქართ. **ა** : ზან. **უ**, იგი ამოსავალში **ა** → **ო** → **უ** პროცესს ვარაუდობს მეგრულ-ჭანურში.

ბუნებრივია ზანურ-სვანურ ფორმათა მიმართებაზე მსჯელობა. ამის საფუძველს იძლევა მათი მატერიალური და სემანტიკური სიახლოვე, შდრ.

სვან. **ჭაფურ/ორ** → || **ჭაფხური** : ზან. **ჭაფურ**-(ია). სვანური ალომორფები ზანურიდან ნასესხებად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ს.-ქართვ. **წებ-არ**- ფუძე ეტიმოლოგიურად **წებ/ჭაბ**- „წებო, წებავს“

უკავშირდება. მეგრულის სემანტიკა ამის საფუძველს იძლევა, შდრ. გამო-
თქმა: **ჭაფურია** ცალო მიკგაჭაბუ „ჭაფურისავეთ გეწებება“.

ს.-ქართვ. ***წებ-არ-** „ხოვერა, სამყურა ბალახი“ → ქართ. **წებ-არ-ი**
: ზან. **ჭაფ-ურ-ია** ← ***ჭაბ-ურ-ია** : სვან. **ჭაფხური** || **ჭაფურ** || **ჭაფორ** ||
ჭაფორ ← ***ჭებ-არ-(?)**.

სვან. **ჭაბ-** || **ჭბ-**, ი-**ჭბ-**ი (ოთ-**ჭაბ**, ად-**ჭაბ**, ად-**ჭაბ-ნ-ე**) „იბარებს“,
ლი-**ჭბ-**ი „დაბარება“.

ქართ. **წამ-**, ვ-უ-**წამ-ე** „ვამცნე“, **წამ-ებ-ა** „შეტყობინება“, გურ.,
აჭარ., ქართლ. დამო-**წმ-ებ-ა** „დაბარება“.

ზან. (ჭან.) **წუმ-**, დო-ვ-უ-**წუმ-ე** „დავუბარე“, უ-**წუმ-ერ-ს** „ეტყვის“.

დაბარების გაგება ძირითადია ქართველურ ენა-კილოებში.

მნიშვნელოვანია ფუძის ფონეტიკური მხარეც. ჭანური სიტყვის თავ-
ში ისტორიული **ჭ**, ქართული **წ**-ს შესატყვისი, კვლავ **წ**-ში გადასულა —
წუმ- ← ***ჭუმ-**; აქ დადასტურებული ქართ. **ა** : ზან. **უ** ბუნებრივია **მ**-სთან
მეზობლობაში (ტ. გულავა). ფონეტიკურად ცვლილია სვანური ფორმის
აუსლაუტიც — **მ** → **ბ** (იხ. აქვე, § 10).

კიდევ ერთხელ გამოჩნდა ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით შიში-
ნა სიბილანტთა მეორეული გასისინების შესაძლებლობა ქართველურ ენებ-
ში (გ. როგავა), იხ. აქვე, § 23.

ს.-ქართვ. ***წამ-** „დაბარება, შეტყობინება“ → ქართ. **წამ-** : ზან.
წუმ- ← ***ჭუმ-** ← ***ჭომ-** : სვან. **ჭაბ-** || **ჭაბ-** || **ჭბ-** ← ***ჭამ-**.

სვან. **ჭაბ** ზს., **ჭაბ** ლშხ., **ჭაბ-ს** ლნტ. „თეთრი ნიშანი (სახეზე)“,
ჭაბ-ი ბზ., **ჭაბ-ი** უშგ., **ჭაბ-ად** ლშხ., **ჭაბ-ს** ლნტ. „ნიკორა, ნიშა“, ნე-**ჭა**-
← ***ნე-ჭაბ-ა** „წარბი“.

ქართ. **წარბ-ი**.

ზან. **ჭობ-ი** „წარბი“.

სვანურში საინტერესო სემანტიკური გადაწევა ფიქსირდება —
წ ა რ ბ ი → **თ ე თ რ ი ნ ი შ ა ნ ი**; **ნ ი შ ა**. ნე-**ჭა**-ში აშკარად გამოი-
ყოფა ნე—ა კონფიქსი (ამისთვის იხ. აქვე, ნე-**ბგჟ-ა**). ამ ფუძის ამოსავა-
ლი სახეობა ნე-**ჭაბ-ა** უნდა ყოფილიყო **ქ**-ს გაჩენა ანალოგიით მოხდა,
ნებგჟა „შუბლი“ სიტყვის ზეგავლენით. ხოლო **ჭა** (ნე-**ქ-ჭა**) ელემენტი
ქართული **წარბ-**ის შესატყვისი სვანური **ჭაბ-**ის ფონეტიკურად შეცვლილი
სახეობაა. ბაგისმიერთა გაუჩინარება სვანურ სიტყვათა აუსლაუტში ცნო-
ბილი ფაქტია: ქართ. **თაფლ-** : სვან. **თუ**, ქართ. **ცხემლ-** : სვან. **ცხუ** ||
ცხუი „ისარი“...

ზანურში, ისევე როგორც სვანურში, რ სონანტი დაკარგულია: **კობი** ← **კობრბ-ი**, **კაბ-** ← **კარბ-** (ქართ. **წარბ-**).

ს.-ქართვ. ***წარბ-** „წარბი“ → ქართ. **წარბ-ი** : ზან. **კობ-ი** ← ***კობრბ-ი** : სვან. **კა-** || **კაბ-** || **კაბ-** ← ***კარბ-**.

სვან. **კაბ-** || **კაბ-** || **კბ-**, ი-**კბ-ი** (აღ-**კაბ-ი**-ე ბზ., ედ-**კაბ-ი**-ე ლშხ.), ი-**კაბ-ი** ბქ., ლნტ. „იკვალავს (გზას თოვლში)“.

ქართ. **წებ-**, **წებ-ო**.

ზან. **კაბ-**, **კაბ-ო** || **კაბ-უ**, **კაბ-აკ-**, **კაბ-აკ-ან-ს** „თოვლს ტკეპნის; გზას იკვალავს“.

უმლაუტიანი ა (**კაბ-**) სვანურში საერთოქართველურ **ე**-ს ასახავს — ***კებ-** → **კაბ-**.

წებება ~ გაკვალვა სემანტიკური სხვაობის გასაღებს თითქოს მეგრულის **ტკეპნა** სემანტება იძლევა, რომელიც გარდამავალი საფეხურია მნიშვნელობის განვითარების გზაზე.

-აკ (**კაბ-აკ-**) სუფიქსია მეგრულში და ძირისეულ განზოგადებას იმეორებს ფუძეზე დართვისას, შდრ. მეგრ. **ფელ-ეკ-** : ქართ. **ფლ-ეთ-**.

ასევე საერთოქართველური **წებ-** ძირის სვანური შესატყვისი შეიძლება ჩანდეს -**უნ** || -**ენ** სუფიქსით გაფორმებულ **კბ-უნ-** || **კბ-ენ-** ზმნურ ფუძეში: ი-**კბ-ენ-ე** ზს., ი-**კბ-უნ-ე** ქს. „მოიხვევს, ჩატენის“.

ს.-ქართვ. ***წებ-**, ***წებ-ო** „დაწებება, წებო“ → ქართ. **წებ-**, **წებ-ო** : ზან. **კაბ-**, **კაბ-აკ-**, **კაბ-ო** || **კაბ-უ** : სვან. **კაბ-** || **კბ-** ← ***კებ-**, **კბ-ენ-**.

სვან. **კაბ-იდ-** || **კებ-დ-** || **კებ-იდ-** || **კბ-იდ**, ხ-ა-**კბ-იდ-ა** ზს., ხ-ა-**კბ-იდ-ა** ლშხ., ხ-ა-**კებ-დ-ა** ლნტ. „ამწყვდევია“, ა-**კბ-იდ-ე** (ოთ-**კებ-იდ**) ზს., ა-**კბ-იდ-ე** (ოთ-**კებ-იდ**) ლშხ., ა-**კებ-დ-ე** (ათჟა-**კებ-იდ**) ლნტ. „ამწყვდევს“, ლა-**კბ-იდ-ა** ზს., ლა-**კბ-იდ-ა** ლშხ., ლა-**კებ-დ-ა** ლნტ. „ჩაუსამწყვდევია“.

ქართ. **წაფ-**, და-**წაფ-ებ-ა**, ე-**წაფ-ებ-ა**, და-ე-**წაფ-ა**.

ზან. **კოფ-**, ო-**კოფ-უ** „დაჭერა; დაიჭირა“, **კოფ-ილ-ი** „დატყვევებულის, დაჭერილი“, ო-**კოფ-ალ-ი** „დასაჭერი“, **კოფ-უნ-ს** „იჭერს, აპატიმრებს“.

მნიშვნელობის მხრივ სვანური ზანურს მიჰყვება — „**დამწყვდევა**“/„**დაჭერა**“ საერთო პარადიგმის წევრებია — „**დაჭერა**“ → || „**დამწყვდევა**“. ქართულშიც „**დაწაფების**“ მნიშვნელობა დაჭერის ან განვითარდა: დაეწაფა ← დაიჭირა.

ფორმალური თვალსაზრისით სვანური ახსნას მოითხოვს. აქ -**იდ** „ზედმეტი“ (შდრ. სვან. **კებ-იდ-** : ქართ. **წაფ-** : ზან. **კოფ-**), ხოლო აუს-

ლაუტში — სვან. **ბ** : ქართ.-ზან. **ფ**. ჩვენთვის საინტერესო შეპირისპირება ზუსტად ისეთსავე სურათს იძლევა, როგორც საერთოქართველური **ტეფ**-„თბობა, თბილი“ ძირის შემთხვევაში — შდრ.: ქართ. **ტეფ** : სვან. **ტებ-ილ-** (ქართ. **ფ** : სვან. **ბ**, ქართ. **ფ** : სვან. **-ილ-**), ქართ. **წაფ** : სვან. **ჭებ-ილ-**ში გამოყოფილი **-ილ** ზმნური სუფიქსია სვანურში ქართული **-ედ-**ის შესატყვისი (სხ-ედ-, წყუ-ედ-/წყუ-ილ-...). ე/ი აბლაუტი სვანურშიც ბუნებრივია **ტებ-ედ-/ტებ-ილ-**, **ჭებ-ედ-/ჭებ-ილ-**...

ს.-ქართვ. ***წაბ-** „დაჭერა, დამწყვდევა, დაწაფება“ → ქართ. **წაფ** : ზან. **ჭოფ-** ← ***ჭობ-** : სვან. **ჭებ-** ← ***ჭაბ-**.

სვან. **ჭარ-** || **ჭარ-** || **ჭრ-**, ხ-ე-**ჭრ-**ი, ხ-ე-**ჭრ-**ენ-ი (ლა-ხ-**ჭარ-**ი) ზს., ხ-ე-**ჭრ-**ენ-ი (ლე-ხ-**ჭარ-**ი) ლშხ., ხ-ე-**ჭარ-**ი ლნტ. „მიეზმის“ ლი-**ჭრ-**ენ-ი ზს., ლშხ., ლი-**ჭარ-**ნ-ე ლნტ. „გადაბმა, მიბმა“, ლა-**ჭარ** ზს., „მისაბმელი“.

ქართ. (მობ., ქსნის ხეობ., რაჭ.) **წერ-**ი „მომკილი სვილის ძნა“, ხევს. **წერ-**ილ-ა „შეკრული ძნა“, ფშ., მთიულ. **წერ-**ა „ოთხფხად დადგმული ძნა, სულ რამდენიმე ძნისა“.

ზან. (მეგრ.) **ჭერ-ინ-** → || **ჭირ-ინ-**, მო-**ჭირ-ინ-**აფ-ა „რალაცის დაკავშირება“, მი-**ჭირ-ინ-**უ-ან-ს „იკავშირებს, ქიმბ-**ჭირ-ინ-**უ „დაიკავშირა“, მი-ო-**ჭირ-ინ-**უ „მისწვდა, მიადწია“, გე-უ-**ჭირ-ინ-**უ „ხელი მოჰკიდა“.

ქართულში ზმნური ერთეული გვაკლია მაშინ, როდესაც ზანურ-სვანურში მხოლოდ ზმნური ფუძეები დასტურდება. ხევსურული **წერ-ილ-ა** ნამყოს **-ილ-ა** სუფიქსიანი მიმღეობაა წარმოშობით, ამას ფუძის სემანტიკაც ამტკიცებს — **წერ-ილ-ა** = **შეკრული** (ძნა) (შდრ. **წერ-იულ-**ი „ყანის **ნაკრეფი შეკონვილი** (საბა)“.

საერთოქართველურ გახმოვანებაზე ფიქრისას, მიმართება ქართ. **ე** : ზან. **გ** || **ი** : სვან. **ა** || **ჲ** უწინარესად სვანურის ვითარებას მიგვაჩვენებს — ქართ. **ე** ← **ა** : ზან. **ი/გ** ← **ო** : სვან. **ჲ** || ← **ა** (შდრ. ქართ. **ჭერ-** „ჭრა“ : ზან. **ჭკირ-** || **ჭკერ-** || **ჭკორ-**...).

სამსავე ქართველურ ენაში ძირითადია **შეკვრის**, **მიბმის**, **დაკავშირება** / **შეკავშირების** სემანტიკა.

ს.-ქართვ. ***წარ-** „მიბმა, შეკვრა, დაკავშირება“ → ქართ. **წერ-**, **წერ-**ი, **წერ-**ა, **წერ-**ილ-ა ← ***წარ-** : ზან. **ჭირ-** || **ჭერ-ინ-** ← ***ჭორ-ინ-** : სვან. **ჭრ-** || **ჭარ-** || ← **ჭარ-ენ-** (შდრ. ს.-ქართვ. ***წან-**).

სვან. **ჭაჭკ-უ** ზს., **ჭაჭკ-უ** ლნტ., **ჭეჭკ-უ** ქს. „თვლემა“.

ქართ. **წინწყ-**ალ-ი „ნაპერწყალი“, ლეჩხ. **წინწყ-**ალ-ა „ფიცხი, გულ-ფიცხი“, ფშ. **წინწყ-**ლ-ი „ნაპერწყალი“.

ზან. (მეგრ.) **ჭვაჭკ-**, **ჭვაჭკ-**უ-ა „ციმციმი, კიაფი, ბჟუტვა“, ი-**ჭვაჭკ-**უ მურიციხი „ვარსკვლავი ციმციმებს“.

სვანურისა (resp. ქვემო სვანურის) და მეგრულის განმეორება მხარს უჭერს საერთოქართველურისთვის **ე** ხმოვნის რეკონსტრუქციას. შესაბამისად — ქართული **წინწკ-ალ-** ← ***წენწკ-ალ-**; **ე** → **ი** გადასვლა მომდევნო მარცვლეული **ა**-ს ზეგავლენით აიხსნება.

ბოლოვიდური **ჟ** სვანურში, რომლის გამოც **ე** → **ჟ** || **ა** პროცესი განვითარდა — **ჟაჟკ-ჟ** ← **ჟანჟკ-ჟ** ← **ჟეჟკ-ჟ** (მ. ქალღანი), ფონეტიკურად შეესატყვისება ქართულ **-(ა)ლ-ს** (**წინწკ-(ა)ლ-**), ე. ი. **ჟეჟკ-ჟ** ← ***ჟეჟკ-ლ-** (შდრ. **ჟედ-ჟ** : ქართ. **ძალ-ლ...**). ინლაუტური **ვ** მეგრულში ფონეტიკური დანართია, ისევე როგორც ქართულში **ნ**.

მნიშვნელობის თვალსაზრისით ქართველურ ლექსემებს აერთიანებს ბჟჟტვის, ციმციმის შინაარსი, საიდანაც განვითარდა თვლე-მის სემა სვანურში.

ს.-ქართვ. ***წინწკ-(ა)ლ-** „ციმციმი, კიაფი, ბჟჟტვა“ → ქართ. **წინწკ-ლი** || **წინწკ-ალ-ა** || **წინწკ-ალ-ი** ← ***წენწკ-ალ-ი** : ზან. ***ჟეჟკ-ჟ** ← ***ჟეჟკ-ჟ** : სვან. **ჟაჟკ-ჟ** ← || **ჟანჟკ-ჟ** ← || **ჟეჟკ-ჟ** ← ***ჟეჟკ-ლ-**.

სვან. **ჟანდ-** || **ჟანდ-** || **ჟანდ-** || **ჟანდ-**, ა-**ჟანდ-** ბზ., ა-**ჟანდ-** ბქ., ლნტ., ა-**ჟანდ-** ლშნ., „ფარცხავს“, ლა-**ჟანდ-** რ ბზ., ლა-**ჟანდ-** რ ლშნ., ლა-**ჟანდ-** რ ბქ., ლნტ. „ფარცხი“.

ქართ. **კალ-**, **კალ-ვ-ა** „ლეწვა“, მ-**კალ-ავ-ი** (ად. გვარ. მ-**კალ-ავ-ი** შვილ-ი), **კალ-ო** „სალეწავი ადგილი“, მ-**კალ-ი**, სა-მ-**კალ-ი**.

ზან. (მეგრ.) **კელ-ი/ო-ნკე-ე**ში „კალო“, ჟან. **ო-ნკალ-ა**შ-ე „კალო“.

მიუხედავად იმისა, რომ სვანური ფორმები სრულიად არ აჩვენებენ გარეგნულ მსგავსებას ქართულ შესატყვისთან, სპეციფიკური ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ საერთოქართველური **კ** სიტყვის ანლაუტში პალატალიზაცია-აფრიკატიზაციის გზით **ჟ**-ში გადასვლა — **კანლ-** → **ჟანლ-** (შდრ. **კაც-** : **ჟანშ-** ← **კანშ-**) ხოლო საერთოქართველური **ლ** სვანურში **დ**-თი არის შეცვლილი: ***ჟანლ-** → **ჟანდ-** (შდრ. ქართ. **ქულა** → სვან. **ქულა**, ქართ. **შველ-** → სვან. **შედ-** „შველა“, ქართ. **თელ-** : სვან. **თოდ-**..., იხ. § 2. **ლ** → **დ**).

მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით, **ლეწვა/ფარცხვა** სინონიმური ჩანს.

ს.-ქართვ. ***კალ-** „ლეწვა, ფარცხვა“ → ქართ. **კალ-**, **კალ-ო** : ზან. **კე/ალ-**, **ო-ნკე-ე**ში || **ო-ნკალ-ა**შ-ე : სვან. **ჟანდ-** || **ჟანდ-** || **ჟანდ-** || **ჟანდ-** (← ***კანდ-**).

სვან. **ჭერეს** || **ჭირეს** ბქ., ლშხ., ლნტ. „სახარატო იარაღი“.

ქართ. **წირეს**-ი (ქეგლ-ი), გურ., აჭარ. „ღვლერჭი“.

ზან. (მეგრ.) **წურეს**-ი „ღვლერჭი“.

ცხადია შეპირისპირებული სახელური ფუძეები საერთოა ზმნურ **წრეს**-**წრან**-**წრის** : სვან. **წრის** - || **წირს** ალომორფებთან (იხ. **წგრს**-).

ამგვარი ანალიზი ამტკიცებს **ჭ** → || **წ** პროცესის რეალურობას ქართველურ ენებში (იხ. § 23).

მეგრული **წურეს**-ი შებრუნებული სახეობაა ზმნური **წიროს**-ისა — ***ჭიროს**- → ***წოროს**- → **წურეს**-.

ს.-ქართვ. ***წირ-ან**-/***წირ-ეს**- || ***წირ-ის**- „გრეხა, გრეხილი; ღვლერჯი“ → ქართ. **წირ-ეს**-ი : ზან. **წურ-ეს**-ი ← ***ჭირ-ოს**-ი : სვან. **ჭერ-ეს** || ← **ჭირ-ეს**.

ქართ. (კახ., გურ.) **ჭვინტ**-ი „ქალამნის, ფეხსაცმლის ცხვირი“.

ზან. (მეგრ.) **წკვინტ**-ი „წვერი, ცხვირი რაიმე საგნისა“, უ-**წკვინტ**-ან-ს „გამოშვერილი აქვს რაიმე საგანს (აღამიანს) წვერი, ცხვირი“.

სვან. —

ზანურში **წკვინტ**- ფორმა ფუძის უფრო ძველ გახმოვანებას წარმოაჩენს — ქართ. **ჭ ვ ი ნ ტ** - : ზან. **წ კ ვ ე ნ ტ** - || ← **წ კ ვ ი ნ ტ** -.

სიბილანტური რიგის შესატყვისობა ქართ. **ჭვ** : ზან. **წკვ** პოზიციურია და აიხსნება **ვ**-ს ზეგავლენით: **ჭკვ** → **წკვ** (თ. გამყრელიძე), თუმცა შიშინა → სისინა ტრანსფორმაცია უამისოდაც შეიმჩნევა ზანურში, შდრ.

წვეთ- : **ჭვათ**- → || **წვათ**-, **ცელ**- : **ჩალ**- → **ცალ**-... (გ. როგავა).

ს.-ქართვ. ***ჭვინტ**- „რაიმე საგნის წვერი, ცხვირი“ → ქართ.

ჭვინტ-ი : ზან. **წკვინტ**-ი || ← **წკვინტ**- ← ***ჭკვინტ**-.

ქართ. **ჭილ**-, **ჭილ**-ი „ჭიხი“, „წილი“, ქსნ. ხეობ. **ჭი-ჭილ**-ა „ტილი“.

ზან. (მეგრ.) **ჭკირ**-ი, ჰან. მ-**ჭკირ**-ი „წილი“.

სვან. —

უფრო ადრე ზანურ **ჭკირ**- ფუძეს აკაშირებდნენ ქართულ **წილ**-თან, რომელიც ფუძის სიმბოლური აგებულების გამო დაკარგული **ჭილ**- სახეობის ალომორფად მიიჩნეოდა (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). არადა, საბას ლექსიკონში **წილ**-ი სიტყვის პარალელურად **ჭილ**-ი-ც დასტურდება. კერძოდ, **ჭივ**-ი ლექსემის განმარტებისას დიდი ლექსიკოგრაფი ცხ რედაქციაში **ჭილ**-ი ფორმასაც მოიხმობდა: **ჭივ**-ი (მძრომ)... ტილი (**ჭილ**-ი CB) CD (ხაზი ჩვენია — მ. ჩ.), შდრ. ქართ. **ჭი-ჭილ**-ა ← ***ჭილ**- (ფუძის რედუქლიკაცია).

ს.-ქართვ. ***ჭილ**- „წილი; ტილი“ → ქართ. **ჭილ-ი**, **ჭი-ჭილ-ა** : ზან. **ჭკირ-ი** || მ-**ჭკირ-ი**.

ს.-ქართვ. ***ჭილ**- ფუძეს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: აფხაზ. ა-**წა**, აღილ. **წა**, ყაბ. **წა** „ტილი“, ხუნძ. **ჭეტ** ← **ჭერ**-ტი, ანდ. **ჭონ**-ნი ← **ჭორ**-ნი, ჭამ. **ჭან** ← **ჭარ**-დი, ტინდ. **ჭან**-დი ← **ჭარ**-დი, კარ. **ჭან**-ტე ← **ჭარ**-ტე, ახვან. **ჭან**-ტი ← **ჭარ**-ტი..., დარგ. **წი**-ქა, არჩიბ. **ჭინ**, თაბ. **ჭირ**, აღ. **ჭიდ** || **ჭირ** ← **ჭილ**, წახ. **ჭინ**., ულ. **ინ** ← **ჭინ** „რწყილი“, ს.-დალ. ***ჭილ**...

ქართ. **ჭილ**-, **ჭილ**-ყვავ-ი.

ზან. **ჭკა** „შავი ფრინველი“.

სვან. —.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია რომ ჩვენს ენებში ორგანული წარმოების ს ი შ ა ვ ი ს გამომხატველი საერთოქართველური ფუძე დღემდე არ არის გამოვლენილი: ქართ. **შავ**-ი ოსურ-ირანულიდან მომდინარეობს (ვ. აბაევი, მზ. ანდრონიკაშვილი...), ზან. **უჩა** თეთრის (**ჩე**-) უარყოფითაა მიღებული — **ჩე** „თეთრი“ → **უჩა** „უთეთრო“, „არათეთრი“ ანუ „შავი“; სვან. მე-**შხ**-ე || მე-**შხხ**-ე „შავი“ ნა-**ჭშ**-ირ-ს უკავშირდება — ნ ა ხ შ ი რ ი → შ ა ვ ი (იხ. აქვე, **შხ**- || **შხხ**- || **შხხ**-).

შ ა ვ ი ს / ს ი შ ა ვ ი ს მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ქართულ **ჭილ**-ფუძეს, რომელიც **ჭილ**-ყვავ-ი სიტყვაში შემოგვრჩა. ამას თავად **ჭილ**-ყვავ-ი სიტყვის ეტიმოლოგია ცხადჰყოფს. საბასთან იგი განიმარტება როგორც შ ა ვ ი ყვავი, ე. ი. **შავი** = **ჭილ**-. სხვა ენებშიც **ჭილ** ყ ვ ა ვ ი ს ცნება ასევე გადმოიცემა, შდრ. თურქ. **ყარა**-ყარლა = **ჭილ**-ყვავ-ი, **ყარა** „შავი“ = **ჭილ**-.

ქართული **ჭილ**- „შავი“ ფორმის ზანური შესატყვისი მჟღავნდება **ჭკა** სიტყვაში, რომელიც შ ა ვ ი ფ რ ი ნ ვ ე ლ ი ს გადმოსაცემად გამოიყენება ქართული ენის დიალექტებში — **ჭკა** (ხევს., მოხ.) „შავი ფრინველი“, ხოლო საბას, ნ. ჩუბინაშვილის, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში **ჭკა** **ჭილ** ყ ვ ა ვ ი ს სახეობად არის წარმოდგენილი, მისი სინონიმია.

ქართ. **ჭილ**- : ზან. **ჭკა** ოპოზიცია საერთოქართველურისთვის **ჭელ**-არქეფორმას ვარაუდობს (შდრ. ქართ. **ე** : ზან. **ა**). ზანურში ბოლოკიდური **ლ** ისევე დაიკარგა, როგორც **ჭითა** : **წითელ**- ზედსართავ სახელში. ე. ი. ამოსავალი, რეკონსტრუირებული სურათი ქართველურ ენებს შორის წარმოგვიდგება შემდეგი სახით — ქართ. ***ჭელ**- : ზან. **ჭკალ**- (შდრ. ქართ. **ძელ**- : ზან. **ჯა(ლ)**-, **ჯალ**-ეფ-ი „ხეები“). იქნებ საძიებელი **ჭელ**-

„შავი“ ჩანდეს ა. არაბულის მიერ მოდიებულ კონტექსტში: „მომეგონნეს სუნნელემა, აღმიხსენდენ ლაწვნი — ჭელნი (ალ. ჭავჭავაძე)¹.

ს.-ქართვ. ***ჭელ-** „შავი“ → ქართ. **ჭილ-** || **ჭელ**² : ზან. **ჭკა** (← **ჭკალ**).

ს.-ქართვ. ***ჭელ-** არქეტიპის შესატყვისებია: ხუნძ. **ჭეშ-ერ-აბ** ← **ჭედ-ერ-აბ**, ანდ. **ბე-ჭედ-ირ**, ბოთლ. **ბე-ჭერ** ← **ბე-ჭედ**, ჭამ. **ბე-ჭატ-უბ**, ტინდ. **ბე-ჭეტ-უბ**, ახვან. **ბე-ჭიდ-აბ-ე**, კარ. **ბე-ჭატ-ირ-უბ**, ლოდ. **ბე-ჭერ** ← **ბე-ჭედ**., ლეზგ. **ჭულ-აჟ** „შავი“ ← ს.-დალ. ***ჭელ-** → || **ჭედ-** → || **ჭერ-** (ლ → დ → რ ფონეტიკურ პროცესთა გათვალისწინებით)...

სვან. **ჭინჭილ** ზს., ქს. „ნაწლავი“.

ქართ. (აჭარ.) **წენწულ-ი** „ნაწლავი“.

ზან. **ჭინჭა** || **ჭიმჭა** „ასფურცელა“ (შდრ. ოშ-ფა).

სვანური **ჭინჭილ** სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევა ქართ.

წელ- „ნაწლავი“ : ზან. **ჭგ-** || **ჭუ-** „id“ ფუძეთა შესატყვისი ***ჭელ-** სვანურ-რი ძირის რედუბლიცირებულ სახეობად — ***ჭელ-ჭელ-** → **ჭინჭილ** (ჰ. ფენრიხი). ჩვენის აზრით, უფრო უპრიანია საუბარი **ჭინჭილ** სიტყვის ქართულ (აჭარულ) **წენწულ-ი** „ნაწლავი“ ფორმასთან ნათესაობის შესახებ. კვლევა-ძიების მომდევნო ეტაპზე არ გამოირიცხება საერთოქართველური ***წელ-** და ***წენწულ-** ფუძეთა შესაძლო ერთიანობა. ფაქტობრივი მასალა აჩვენებს, რომ რედუბლიკაცია მომხდარა არა სვანურში ან აჭარულ დიალექტში, არამედ მას ადგილი ჰქონდა უკვე საერთოქართველური ერთობის ხანაში, საიდანაც, ფუძეების დიფერენციაციის შემდგომ, განვითარდა: სვან. **ჭინჭილ**, ზან. **ჭინჭა** → || **ჭიმჭა**, აჭარ. **წენწულ-ი**.

ს.-ქართვ. ***წენწულ-** „ნაწლავი“³ → ქართ. **წენწულ-ი** : ზან. **ჭინჭა** || **ჭიმჭა** ← ***ჭინჭალ-** : სვან. **ჭინჭილ** ← ***ჭენჭელ**.

სვან. **ჭირ-** || **ჭრ-**, ხ-ო-ჭრ-ე (ოთ-ჭირ, ოთ-ჭირ-ე, ოთ-ჭირ-ნ-ე ბზ., ლშზ., ოთ-ჭირ-ისგ ბქ.), ხ-ო-ჭრ-ი (ათჟ-ჭირ, ათო-ჭირ-ე, ათო-ჭირ-ი) ლნტ. „შემოუთვლის“, ლა-ჭირ ზს., ლნტ., ლა-ჭირ ლშზ. „დასაბარებელი, დანაბარები“.

¹ ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001, გვ. 65; შავი = წითელი.

² ქართ. **ჭელ-** || **ჭილ-** მიმართებისათვის შდრ.: **ღვეზ-ელ-** || **ღვეზ-ილ-**.

³ ზანურის სემანტიკა ასფურცელასი (**ჭინჭა**) შეიძლება ყველაზე არქაული აღმოჩნდეს ***წენწულ-** არქეტიპისთვის. ფუძის რედუბლიკაცია ***წელწელ-** სიტყვის ექსპრესიულობის გასაძლიერებლად გახდა საჭირო — ***წელწელ-** „ასფურცელა“ ე. ი. „მრავალი ნაწლავი ერთად“.

ქართ. **წირ-**, **წირ-ვ-**, **წირ-ავ-**ს „მიუძღვნის“, **შე-წირ-ულ-**ი, **მო-წირ-**ავ-ი „მომცემი“.

ზან. —.

სვანურში **ჭირ-** ძირად გამოიყოფა; რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ქართულ **წირ-** ფორმისა. მნიშვნელობის თვალსაზრისით, ამოსავალია „**მ ი მ ა რ თ ვ ი ს**, **მ ი ძ ღ ვ ნ ი ს**“ შინაარსი.

ს.-ქართვ. ***წირ-** „მიმართვა; მიძღვნა“ → ქართ. **წირ-** : სვან. **ჭრ-** || ← **ჭირ-**.

სვან. **ჭიჭკუ** ზს., ქს. „კვირტი“.

ქართ. (მთიულ.) **წიწკვ-**ი „ხის წვრილი ტოტი“, მოხ., თუმ., ხევს.

წიწკ-ი (← **წიწკვ-**ი) „არყის, ფოხვის ნედლი ტოტები, რომლებსაც საქონელი ჭამს ზამთარში“, ლეჩხ. **წიწკა** (← **წიწკვა**) „ჭიჭლაყა“.

ზან. (მეგრ.) **ჭინჭკვ-**ი „კვირტი“, „აყვავებული“.

მეგრულში **წ** ფონეტიკური ჩანართია, რაც გვიანდელი მოვლენაა. ამაზე ნათლად მიუთითებს ქართული ენის დასავლურ დიალექტებში დადასტურებული იმერ.-რაჭ. **ჭიჭკვ-**ი „აყვავებული (ჭარხალი)“; „ნედლი ტარო“, რომელიც ზანური წარმოშობისაა.

ს.-ქართვ. ***წიწკუ-** „კვირტი; ნედლი; ყვავილი“ → ქართ. **წიწკვ-**ი || **წიწკ-**ი || **წიწკა** : ზან. **ჭინჭკვ-**ი ← **ჭიჭკვ-**ი : სვან. **ჭიჭკუ**.

სვან. **ჭიმ-ა** ბზ., ლშხ., **ჭიმ-ა** ლნტ. "pubes".

ქართ. **წამ-**ი „ბეწვი“; „თმა, რომელიც იზრდება თვალის ქუთუთოების კიდეზე“.

ზან. **ჭემ-**ი „ილიისა და ადამიანის სხეულის სხვა ნაწილების თმა (pubes)“.

სვანურში, ქართულსა და ზანურში დადასტურებული სემანტემები გვაჩვენებენ, რომ საერთოქართველური **წამ-** სიტყვა სხეულის თმის ან საფარს აღნიშნავდა საზოგადოდ.

შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით სხვა გამონაკლისთა ჯგუფში ჯდება აქ გამოვლენილ ხმოვანფარდობა ქართ. **ა** : ზან. **ე**, რაც საერთოქართველურ **ა-**ს ასახავს, შდრ.: ქართ. ძარღვ-ი : ზან. ჯერღვ-ი, ტყავ-ი :

ტყებ-ი, ლამ-ი : ლეშქ-ი... **ა** : **ე** შეფარდება უნდა აიხსნას როგორც **ა** → **ე** ნაწილობრივი ასიმილაცია მომდევნო სახელობითი ბრ.-ის ნიშან **ი-**სთან

სახელურ ფუძეებში. ზანურში ჯერ **ა** → **ა** გადაწევა განხორციელდა, ხოლო შემდგომ ეტაპზე ხდება **ა** → **ე** შდრ.: ზან. **ენ-**ი ← **აენ-**ი : ქართ.

აც-ი, ზან. **ღეჯ-**ი ← **ღაჯ-**ი : ქართ. **ღორ-**ი... და რომ, ვთქვათ, ქართულ **ტყავ-** ფუძეს ზანურში **ტყობ-** შეესატყვისებოდა, ამას რეალურად ამტკი-

ცებს ზანურიდან გურულ დიალექტში შესული ტყავ- ძირიანი სიტყვა. მხედველობაშია გურ. **ტყობ-ერ-ა-დ** „კანი, ტყავი ხის“, შდრ. უფრო გვიანდელი სვანური ნასესხობა **ტყებ-ერ-ა** „ტყავის საზამთრო ფეხსაცმელი“. ე. ი. **ჭემ-ი** ← **ჭომ-ი**, **ტყებ-ი** ← **ტყობ-ი**, **ჭერღვ-ი** ← **ჭორღვ-ი**, **ლეშქ-ი** ← **ლოშქ-ი**...

ს.-ქართვ. ***წამ-** „ბეწვი, სხეულის თმისანი საფარი“ → ქართ. **წამ-ი** : ზან. **ჭემ-ი** ← ***ჭომ-ი** : სვან. **ჭმ-ა** || **ჭიმ-ა** ← ***ჭმ-ა** ← ***ჭამ-ა**.

სვან. **ჭირს-** || **ჭირს-**, ლგ-**ჭირს** ბზ., ლშბ., ლგ-**ჭირს** ბქ., ლგ-**ჭირს**-ე „ამოჭრილი“, ა-**ჭირს**-ი ბზ., ა-**ჭირს**-ე ლშბ., ა-**ჭირს**-ი ბქ., ა-**ჭირს**-ე ლნტ. „ამოძირკვავს“; „ამოტვიფრავს“.

ქართ. **წრანს-ა**, **წანს-ა**გ-ი „წათლილი“.

ზან. (მეგრ.) **ჭვერს-**ი „ძირი; საძირკველი“.

ქართული **წრანს-** და **წანს-ა**გ-ი ისევე მიემართება ერთმანეთს, როგორც **ქად-ილ-ი**, **ქად-ებ-ა**, **ქად-ნ-** და **ქად-აგ-ი**. სვანურ ზმნურ ფუძეს სახელური **ჭირებს-** || **ჭერებს-** დაედო საფუძვლად; ზანური **ჭვერს-**ი ← ***ჭურებს-**ი (შდრ. **წურებს-**ი, იხ. აქვე).

ს.-ქართვ. ***წირ-ანს-** || **წირ-ებს-** || **წირ-ის-** „გრება, გრებილი“, ლვლერჭი“ → ქართ. **წრანს-**, **წანს-ა**გ-ი : ზან. **ჭვერს-**ი ← ***ჭურებს-**ი : სვან. **ჭირს-** || **ჭირს-** ← **ჭირებს-**.

სვან. **ჭკამ** || **ჭკამ** || **წკუამ** || **წკუამ**, მგ-**ჭკამ** ზს., ლნტ. მგ-**ჭკამ** ლშბ. „ნაპერწკალი“, **წკუამ** ბზ., ლნტ., **წკუამ** ლშბ. „ნაპერწკალი“.

ქართ. **ბრწყინ-**, **ბრწყინ-ავს-**, **ბრწყინ-ვალ-ე**, **ნა-ბერწყალ-ი** „ნაპერწკალი“.

ზან. (მეგრ.) **წკინ-** || **რწყინ-**, **წკინ-უნს-**, „ბრწყინავს“, **მა-რწყინ-** აია „ციცინათელა“ (შდრ. ბალსქვემოური მგ-**ჭკამ** „id“).

ზანურ-სვანურში ფუძის ანლაუტი გამარტივებულია, დაიკარგა **ბრ-** თანმიმდევრობა, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აქვე: სვან. **ყური-** : ზან. **ყვირ-ე** : ქართ. **ბრყვილ-ი**). ზანურში **ჭკ** → **წკ** პროცესი დასრულებულია (***ბრჭკინ-** → (**რ**)**წყინ-**) მაშინ, როდესაც **წკ** || ← **ჭკ** სვანურში დღესაც შეიმჩნევა. კანონზომიერება ასეთია, სადაც **ყ** სტაბილურად ზის, იქ **ჭკუ** → **წყუ**, ხოლო **ყ**-ს გაუჩინარების შემთხვევაში **ჭკ** ⇄ **წყ** (მგ-**ჭკამ**).

საერთოქართველური **ი** სვანურში დაექვემდებარა **ი** → **ან** || **ა** გადაბგერებას, რაც დერივაციული **ყ**-ს ზეგავლენით აიხსნება (მ. ქალდან) — ***ჭკინ-ყ** → **ჭკემ-ყ** || **ჭკამ-ყ** || **ჭკამ-ყ** → **წყუამ-** || **წყუამ-** || **ჭკამ-** ||

ჭკამ- (ნ → მ გადასვლისთვის შდრ.: ქართ. **ლოგინ-ი** → სვან. **ლგრგიმ** „გრძელი სკამი; დივანი“, **ლოშგ-ინ** → || **ლოშგ-იმ...** იხ. აქვე § 13. **ნ** → მ).
ს.-ქართვ. ***ბერწყ-ინ**- || ***ბრწყ-ინ**- „ნაპერწყალი; ბრწყინვა“ →
ქართ. **ბერწყ-**, **ბრწყ-ინ**- : ზან. (რ)**წყ-ინ**- (←***ბრჭკ-ინ**-) : სვან. **ჭკამ**- ||
ჭკამ- || **წყაჴამ**- || **წყაჴამ**- (←***ჭკ-ინ-ჴ**).

სვან. **ჭკეჴ/ჭკოჴ-**, ხ-ო-**ჭკჴ**-ენ-ი ზს., ლშხ., ხ-ო-**ჭკეჴ**-ენ-ი ლნტ.
„უწყდება“, **ჭკოჴ**-ე ზს., ქს. „ამოწვეტს, დახოცავს“, მგ-**ჭკჴ**-ე ← მგ-**ჭკეჴ**-ე
„ამომწყვეტი“.

ქართ —.

ზან. **წკიზ-**, ო-**წკიზ**-ან-ს „მწყობრად აწყობს“, ქგდა-**წკიზ**-ჴ „მწყობ-
რად დააწყო“, დო-**წკიზ**-ილ-ი „მწკვრივად დაწყობილი“, **წკაზ-**, **წკაზ**-ჴ-ა
წკაზ-ილ-ი || **წკიზ**-ილ-ი (შდრ. **დრეკ-/დრიკ-** : **დირაკ-(ილ-ი)** || **დირიკ-**
(ილ-ი)).

ზმნა ფუძედრეკალია როგორც ზანურში (**წკიზ-/წკაზ-**), ასევე სვა-
ნურში (**ჭკეჴ/ჭკოჴ-**). ამ ფუძეთა შესატყვისად ქართულში მოველოდით
***წკეზ-/წკიზ-** ან ***ჭკეზ-/ჭკიზ-** სახეობის ფორმებს, რაც არ არის გამო-
ვლენილი. შეიძლება ზანური მონაცემის ქართულს ასახავდეს, თუმცა **ჭკ**
→ **წკ** გადასვლა ზანურს ყველა პოზიციაში ახასიათებს. გარდა ამისა,
სვან. **ე** : ზან. **ა** შესატყვისობა ამ ფუძის ზანურობას უჭერს მხარს. ე. ი.

ზან. **წკაზ-/წკიზ-** ←***ჭკაჴ-/ჭკოჴ-**.

სათანადო ქართული ეკვივალენტის უქონლობის გამო თავს ვიკავებთ
საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქციისაგან. შევნიშნავთ მხო-
ლოდ, რომ ამ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა **მწყობრად და-**
წყობისა უნდა ყოფილიყო, საიდანაც **დახოცვა**, **დაწყვეტი** ის
შინაარსი განვითარდა.

სვან. **ჭკირ-ნ**- || **ჭკგრ-ნ**-, **ჭკგრ-ნ**-ჲ ბზ., **ჭკგრ-ნ**-ჲ ბქ., ლნტ., **ჭკგრ-**
ნ-ჲ ლშხ. „მომთმენი (თმენია)“, მგ-**ჭკგრ-ნ**-ე ← მგ-**ჭკგრ-ნ**-ე ზს. „მომთმენი“.

ქართ. **ჭირ-ნ**-, ხელ-მო-მ-**ჭირ-ნ**-ე, მ-**ჭირ-ნ**-ე, მო-მ-**ჭირ-ნ**-ე (საბა).

ზან. —.

ქართულ-სვანურში **მოთმენის**, **რაიმეს** შეკავებ-
ბის/დაკავებბის მნიშვნელობა ადვილი დასანახია.

აგებულების თვალსაზრისით ფუძეები იდენტურია — ქართ. **ჭირ-ნ** :

სვან. **ჭკგრ-ნ** ←***ჭკირ-ნ**-.

ზანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. *ჭირ-ნ- „მოთმენა, შეკავება, დაკავება“ → ქართ. **ჭირ-ნ-**,
მ-ჭირ-ნ-ე : სვან. **ჭკგრ-ნ-**, მგ-ჭკგრნ-ე ←-ჭკირ-ნ-

სვან. **ჭკრუ-** || **ჭკიუ-**, ა-ჭკრუ-ან-ე ბზ., ა-ჭკიუ-ან-ე ბქ., ა-ჭკრუ-ან-ე
ლშხ., ა-ჭკიუ-ან-ე ლნტ. „ციმციმებს“, მგ-ჭკგუ-ე ბზ., მგ-ჭკგუ-ე ბქ., მგ-
ჭკრუ- ლშხ., მგ-ჭკიუ-ე ლნტ. „მოციმციმე“.

ქართ. **ჭევ-ლ-**, **ჭევ-ლ-ი** „მდინარის ჩაციმციმება, მდინარის ციმციმი
(საბა)“, **ჭავ-ლ-ი** „id“, მ-ჭევ-ლ-ი.

ზან. —.

ქართულში ამოსავალი **ჭევ-** ზმნური ფუძე არ არის გამოვლენილი.
ნაზმნარ სახელებში აშკარად გამოიყოფა **-ლ** დეტერმინანტი სუფიქსი
(არნ. ჩიქობავა) — ***ჭევ-**(ა) → **ჭევ-ლ-ი** (შდრ. **ცემ-**(ა) → **ცემ-ლ-ი** (სა-
ბა)). სვანურში ა/ე → ი გადასვლის მექანიზმი დაუდგენელია — ქართ.

ჭავ-ლ- || **ჭევ-ლ-** : სვან. **ჭკიუ-** (←***ჭკაუ-**). სხვა მხრივ, სხვაობა არ შე-
იმჩნევა; სემანტიკური მონაცემი იდენტურია.

შესაბამისი ზანური ფუძე ვერ გამოვავლინეთ.

ს.-ქართვ. ***ჭაუ-** „ციმციმი“ → ქართ. **ჭავ-ლ-ი** || **ჭევ-ლ-ი**, მ-**ჭევ-**
ლ-ი : სვან. **ჭკრუ-** || **ჭკიუ-**, მ-**ჭკრუ-** || მ-**ჭკიუ-** ←***ჭკაუ-**.

სვან. **ჭკ-უნ-**, ა-ბ-ჭკ-უნ-ე ბზ., ბქ., „ახრამუნებს“.

ქართ. **ჭ-ამ-**, **ჭ-ამ-ა**, **ჭ-ამ-ს**, სა-**ჭ-ამ-ი**, სა-**ჭ-მ-ელ-ი**.

ზან. **ჭკ-ომ-** || **ჭკ-უმ-**, **ჭკ-უნ-ს** || **ჭკ-უმ-უნ-ს**, ო-**ჭკ-ომ-ალ-ი** „საჭმე-
ლი“, ო-**ჭკ-ომ-ონ-ი** „შესაჭმელი“, **ჭკ-ომ-ურ-ა** „ლორმუცელა“, ბ-**ჭკ-ომ-ი**
„ვჭამე“.

ქართულსა და ზანურში **-ამ**, **-ომ** || **-უმ** სეგმენტი თემის ნიშნად არ
მოიხარება; მხოლოდ ერთგან, მეგრულ დიალექტში **-უმ** თითქოს თემის-
ნიშნად მიიჩნევა — **ჭკ-უნ-ს** „ჭამს“ (შდრ. ქართ. ი-**ჭ-ამ-ს** : მეგრ. ი-**ჭ-უნ-ს**).

სვანურთან შედარებაც მხარს უჭერს **-ამ**, **-ომ** || **-უმ** მორფემათა
გამოცალკევებას ქართველურ ენებში — **ჭ-ამ-** : **ჭკ-უმ-** : **ჭკ-უნ-**. თუმცა
არ გამოირიცხება სვანური **-უნ-**ის ძირეულობის შესაძლებლობაც; საქმე
იმაშია, რომ სვანურის ფონეტიკით **მ** → **ნ** და **ა** → **უ** ლაბიალიზაცია ად-
ვილად აიხსნება — ***ჭკ-ამ-** → ***ჭკ-უმ-** → || **ჭკ-უნ-**.

სვანური **ემ-** „ჭამა“ ლექსემის დაკავშირებას საერთოქართველურ
ჭ-ამ- ფუძესთან (ნ. მარი) გადაულახავი სიძნელე ელოდება წინ; რამდენა-
დაც საერთოქართველური **ჭ** არ იძლევა **ჭ** → || **Ø** რეფლექსს, შდრ. ბგე-
რათშესატყვისობა ქართ. **ჭ** : ზან. **ჭკ** : სვან. **ჭკ** || **შკ** (იხ. § 31).

ს.-ქართვ. ***ჭამ-** „ჭამა“ → ქართ. **ჭამ-** : ზან. **ჭკ-ომ-** → || **ჭკ-უმ-** : სვან. **ჭკ-უნ-** (←***ჭკ-უმ-**).

ს.-ქართვ. ***ჭამ-** სიტყვას შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: ხუნდ. **ჭამ-**, ანდ. **ჭამ-მ-**, ბოთლ. **ჭამ-დ-**, ჭამ. **ჭა-ჭან-**, ტინდ. **ჭა-ჭან-**, ბაგვ. **ჭან-**, კარ. **ჭამ-** || **ჭამ-დ-**, ახვან. **ჭან-**, არჩიბ. **ჭამ-უს**, რუთ. **დი-ჭინ** (ტ. გუდავა) „ღეჭვა, ცონხა“.

იბერიულ-კავკასიური ფუძეები სიმბოლიკური აგებულებისაა, რაც ხელს არ უშლის მათი საერთო წარმომავლობის შესაძლებლობას.

სვან. **ჭკუ-არ-** || **ჭკუ-წრ-**, ა-**ჭკ-ურ-** ← ა-**ჭკუ-არ-** (ოთ-**ჭკუ-წრ**) ბზ., ა-**ჭკუ-არ-** ბქ., ლნტ. ა-**ჭკუ-არ-** || ა-**ჭკუ-არ-** ლშხ. „ფიქრობს“, ხ-ა-**ჭკ-გრ-** ბზ., ლშხ., ხ-ა-**წკ-გრ-** ბქ., ხ-ა-**ჭკ-გრ-** „ფიქრობს, წუხს“, მგ-**ჭკ-გრ-** ლნტ. „მზრუნველი“.

ქართ. **ჭოვ-** || **ჭუვ-**, **ჭუვ-ი-ს/ჭოვ-ი-ს** „წუხს“, **ჭუვ-ილ-** „წუხილი“.

ზან. **ჭკუ-** ← ეტ. „ფიქრი“.

სვანურში **ჭკუ-** გამოიყოფა (-**არ**, -**გრ** || -**ირ** ზმნური სუფიქსებია, იხ. აქვე, § 37) ძირად, რომელიც რედუცირებული სახეობაა ***ჭკოუ-** (→ **ჭკუ-**) არქეტიპისა — ქართ. **ჭოვ-** || **ჭუვ-** : სვან. **ჭკუ-**. შეპირისპირების საერთო წარმომავლობა არც სემანტიკით და არც აგებულებით ეჭვს არ იწვევს. საძიებელი ზანური ეკვივალენცია **ჭკუ-** (?).

ს.-ქართვ. ***ჭოუ-** „ფიქრი; წუხილი“ → ქართ. **ჭოვ-** || **ჭუვ-** : ზან.

ჭკუ- ←***ჭკოვ-**: სვან. **ჭკუ-არ-** || **ჭკ-გრ-** ←***ჭკოუ-არ-**.

სვან. **ჭკენ-** || **ჭკნ-**, ხ-ე-**ჭკნ-** „უჭკნება“, ი-**ჭკნ-** (აღ-**ჭკენ-**) „ჭკნება“.

ქართ. **ჭნ-**, **ჭნ-ობ-**, **ჭნ-ავ-** „მჭლე“, (და-)მ-**ჭნ-**არ-ი.

ზან. (ჭან.) **ჭკონ-**, დო-**ჭკონ-**დ-ინ-უ „დაჭკნა“, ხე-**ჭკონ-**დ-ინ-ერ-ი „ხელდამჭკნარი“.

ქართულში ისტორიულ **ჭნ-** ძირს **ჭკნ-** ალმორფი მოეპოვება. კ-ს განვითარება ნ-ს წინ ჩვეულებრივია ქართულში (შდრ. **წნელ-**ი → || **წკნელ-**ი...). **ჭნ-** ძირის განმოვანებულ სახეობაზეც მიუთითებენ —**ჭან-**ი „გამზდარი“ (ა. არაბული).

ქართულ-ქართველურში ამოსავალ ა განმოვანებაზე მიუთითებს ჭანურისეული **ო-ც** (ქართ. **ა** : ზან. **ო-ჭან-** : **ჭკონ-**).

მეგრულში ზმნური ფუძე — ქართ. **ჭან-**ის შესატყვისი — დაკარგულია. არც სვანურში ვლინდება **ჭან-**ის შესაბამისი სუბსტანტივი.

ქართ. **ჭან-/ჭნ-** : ზან. **ჭკონ-**ს ეტიმოლოგიურად უკავშირდება სახელური მ-**ჭლ-**ე/**ჭკოლ-**ა (ბ. ჭარაია, გ. როგავა). საერთოქართველური **ჭან-/ჭალ-**

ანუ **ნ/ლ** სუბსტიტუცია ისეთივე ფუნქციისაა, რაც ს.-ქართვ. **ძინ-/ძილ-** (ზან. **ჯან-/ნჯირ-** ←*ჯილ-)... სიტყვაში.

ს.-ქართვ. ***ჰან-** „ჰკნობა, გახდომა“ → ქართ. **ჰნ-**, **ჰნ-ავ-**, **ჰან-** : ზან. **ჰკონ-** : სვან. **ჰკნ-** || **ჰკვნ-** ←***ჰკან-**.

სვან. **ჰმ-ინ-** „წმენდა, დაგვა, ხვეტა“, მე-**ჰმ-ინ-**წლ „ვარსკვლავთმრიცხველი“, მე-**ჰმ-ინ-**ე „დამგველი“, ლგ-**ჰმ-ინ-**ე „დაგვილი, დახვეტილი, გამოწმენდილი“.

ქართ. **წმ-ედ-/წმ-იდ-**, **წმ-იდ-ა**.

ზან. (მეგრ.) **წიმ-ინდ-**, გო-**წიმ-ინდ-**უ „გაწმინდა“, **წიმ-ინდ-**ან-ს „წმენდს“, **წიმ-ინდ-**ელ-ი „გაწმენდილი“.

სვანურში ზმნური ფორმები გვაკლია. აქ ფიქსირებული **ჰმ-ინ-** ამოსავალში ***ჰმ-იდ-** ვარიანტს ვარაუდობს. თუმცა ქართული **-ედ/-იდ** სუფიქსიანი ზმნები სვანურში უსუფიქსოდაც ფუნქციონირებენ, შდრ. ქართ. **ხუ-ედ-** : სვან. **ხუ-** „შეხვედრა“...

საინტერესოა მეგრულის ვითარება, სადაც დამახასიათებელი სრულხმოვნობა ვლინდება. ამ მხრივ მეგრულის ვითარება უძველესია, საერთო-ქართველური მდნომარეობის ამსახველი. სვანური ფუძის ჩვენების გათვალისწინებით საცნაური ხდება, რომ ზანურში ქართულთან ადაპტაციის შედეგად უწინარესი შიშინა ***ჰიმ-იდ** არქეფორმა დაიკარგა — ***ჰიმ-იდ-** → **წიმ-ინდ-**.

სვანური მე-**ჰმ-ინ-**წლ (ივ. ნიჟარაძე) ტერმინი ეტიმოლოგიურად გა მ წ მ ე ნ დ ს (შდრ. მე—წლ : მე-ზელ-წლ „მოსიარულე“, მე-ღარ-წლ „მომღერალი“, მე-ჯგრ-წლ „მლოცველი“...) ნიშნავს და უპირისპირდება მე-მხ-ე „ავდრის გამომწვევ“ პიროვნებას (ქურუმს). მე-**ჰმ-ინ-**წლ „გამწმენდი“ გულისხმობდა ცუდი ამინდების პერიოდში გამოდარების შემძლე (გამომწვევ) პიროვნებას, რომელსაც ცის გა წ მ ე ნ დ ა (ღრუბლებისაგან, ნისლისაგან...) ევალებოდა.

ს.-ქართვ. ***წიმ-(ედ/-იდ-)** „წმენდა, გასუფთავება“ → ქართ. **წმ-ედ-/წმ-იდ-**, **წმ-იდ-ა** : ზან. **წიმ-ინდ-** ←***ჰიმ-იდ-** : სვან. **ჰმ-ინ-** || **ჰმ-ინ-** ←***ჰიმ-იდ-**(?).

ს.-ქართვ. ***წიმ-** ძირის შესატყვისია სნ.-ნახ. **წემ-/წამ-**, შდრ. ბაცბ. **წემ-(ღ-არ)** || **წამ-(ღ-არ)** „გასუფთავება“...

ქართ. **ჰონ-**, **ჰონ-**ია „მოკლე“, **ჰონ-**ია ჩოხა „მოკლე ჩოხა“.

ზან. (ჰან.) **ჰკონ-**ი „პატარა“, **ჰკონ-**ი კითი „ნეკი“.

სვან. —.

ქართულ **ჭონ-** ძირის (**ჭონ-**ია) ძირითადი მნიშვნელობა სიმცირის, სიმოკლის აღნიშვნა უნდა ყოფილიყო, რაც ჩანს შესიტყვებაში **ჭონ-**ია ჩონხა „მოკლე ჩონხა“.

სიმცირის გაგებაა ძირითადი ჭანურ **ჭკონ-**ი კითის „ნეკი“ შემთხვევა-შიც. რადგანაც ცნობილია, რომ ნეკი ყველაზე მცირე, მოკლე თითს აღნიშნავს. ასე, რომ ჭანური **ჭკონ-**ი კითი შესატყვევის ეტიმოლოგიური სემანტიკა მოკლე თითისა უნდა ყოფილიყო.

ფუძეენებში გამოვლენილი ბგერათმიმართებაც ამ ფორმათა საერთო წარმომავლობას უჭერს მხარს — **ჭონ-** : **ჭკონ-** (ქართ. **ჭ** : ზან. **ჭკ**).

ს.-ქართვ. ***ჭონ-** „მოკლე“ → ქართ. **ჭონ-**(ია) : ზან. **ჭკონ-**ი.

ქართ. **ჭორ-**, **ჭორ-ტ-**ი.

ზან. (მეგრ.) **ჭკორ-**ი „მონა“, პატონ-**ჭკორ-**ალ-ა „ბატონყმობა“.

სვან. —.

ზანურ **ჭკორ-** ფუძეს ადრე ქართულ **მ-ჭირ-** „დაჭერა“ სიტყვასთან აკავშირებდნენ (კ. შმიდტი, გ. მაჭავარიანი...) მიუხედავად სემანტიკური სიახლოვისა ფორმალური მხარე, კერძოდ, ფუძეთა განზოგადება (ქართ. **ი** : ზან. **ო**) გამორიცხავს ამგვარ შესაძლებლობას.

მართალია, ქართულში **ჭორ-ტ-**ის ძირითადი სემანტიკა მონისა დღეს ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით დაჩრდილულია, მაგრამ ქართულიდან სომხურში გადასული სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი **ჭორ-ტ-** „მონა, ყმა“ ტერმინი ამართლებს ჩვენს ვარაუდს.

ქართ. **ჭორ-ტ-** : ზან. **ჭკორ-** შეპირისპირება ქართულში **ტ-**ს „ზედმეტად“ გამოაჩენს. მისი გამონაწევრება დამოუკიდებელ აფიქსად ქართულისავე ნიადაგზე ხერხდება (მდრ. ქართ. **წყურ-** „წყურვილი“ → **წყურ-ტ-**ი (იხ. აქვე)).

ჭორ-ტ-ი/**ჭკორ-**ი მიმართება ებარალებს ქართ. **შკლ-დ-**ი : ზან. **შქვილ-**ი შეპირისპირებას (-დ აქაც „ზედმეტია“).

ს.-ქართვ. ***ჭორ-** „დამონება, ყმა“ → ქართ. **ჭორ-ტ-**ი : ზან. **ჭკორ-**ი.

სვან. **ჭრჷ-** || **ჭარჷ-**, ხ-ა-**ჭრჷ-**ი ზს., ხ-ა-**ჭრაჷ-**ი ლშხ., ხ-ა-**ჭარჷ-**ი ლნტ. „სთავაზობს, აძალეხს, მიართმევს“, ნა-**ჭრაჷ-**უნ ზს., ნა-**ჭარჷ-**უნ ლნტ. „მისართმევი, შესათავაზებელი“, ნა-**ჭრაჷ-**ჷ ზს., ნა-**ჭრაჷ** ლშხ., ნა-**ჭარჷ** ლნტ. „შენაძლევია“, მგ-**ჭრჷ-**ი ზს., მგ-**ჭრაჷ-**ი ლშხ., მგ-**ჭარჷ-**ი ლნტ. „შემოთავაზებული, დამძალეხელი“.

ქართ. **კერძ-**, მი-**კერძ-**ო-ებ-ა, გან-**კერძ-**ო-ებ-(ულ-ი), ე-**კერძ-**ებ-ა, მი-**კერძ-**ვა.

ზან. —.

სემანტიკის მხრივ ქართულ ფორმებს სვანურთან ახლოებს **მიკერ-ძობა/მირთმევის, დაძალება/აკრძალვის** გაგება, შდრ. მი-კერძ-ვ-ა, ე-კერძ-ებ-ა „ედლევა“, „რაც უნდა ჭირი მამკერძონ...“ (ვაჟა).

საფიქრებელია, რომ სვანური **ჭრაჟ-** მიღებულია რთული ფონეტიკური ტრანსფორმაციების გზით — ქართ. **კერძ-** : სვან. **ჭრანჟ-** ← **ჭარჟ-** ← ***კარჟ-** ← ***კარჯ-** (შდრ.: ქართ. **კაც-** : სვან. **ჭაშ-** ← **კაშ-**, ქართ. **კალ-** : სვან. **ჭანდ-**, იხ. აქვე).

ს.-ქართვ. ***კერძ-** „განკერძობა, მირთმევა, დაძალება“ → ქართ. **კერძ-**, **კერძ-ო** : სვან. **ჭრანჟ-** || **ჭარანჟ-** ← **ჭარჟ-** ← ***კარჯ-**.

სვან. **ჭურ-**, ი-**ჭურ-**ე „მოზელს“, ლი-**ჭურ-**ე ლნტ. „მოზელა“.

ქართ. **წველ-**, **წველ-ა**, მე-**წველ-**ი, **წველ-**ი-ს.

ზან. **ჭვალ-**, **ჭვალ-ა** „წველა“, ო-**ჭვალ-**უ „საწველი; წველა“, მა-**ჭვალ-**უ „მეწველი“.

სვანური **ჭურ-** ლენტეხურის კუთვნილებაა და მიღებულია **ჭუ-** + **-ირ** უფრო ძველი სახეობისაგან. **ჭუ-** ძირი „მოზელის“ მნიშვნელობით ჩანს სხვა საერთოსვანურ ფუძეშიც: ჰი-**ჭუ-** ბზ., **ჭუიჭ-** ← ***ჰი-ჭუ-** ბქ., ი-**ჭუ-** ლშხ., ი-**ჭუ-** ლნტ. „მოზელა, ზელა“. სვანურში გამოყოფილი **ჭუ-** ძირი კანონზომიერი შესატყვისია საერთოქართველური **წუ-**სი, რომელიც ჩანს **წვენ-**ი, **წუ-**ა (საბა) ლექსებშიც. **წველა** / **მოზელა** სემანტიკურ მიმართებას წინააღმდეგობა არ ახლავს.

ს.-ქართვ. ***წუ-**(ელ-) „წველა; ზელა“ → ქართ. **წვ-**ელ- (**წვენ-**, **წუ-**ა) : ზან. **ჭვ-**ალ- : სვან. **ჭურ-** ← ***ჭუ-**ირ-.

ქართ. **ჭურ-**ი „აბჯარი“, სა-**ჭურ-**ვ-ელ-ი, **ჭურ-**ვ-ილ-ი „ჯავშნით შეკაზმული“ (საბა), აღ-**ჭურ-**ვ-ა, აღ-**ჭურ-**ავ-ს.

ზან. (მეგრ.) **წკურ-**ი „კანი, ჩენჩო“.

სვან. —.

ქართული **ჭურ-** ძირისთვის უმთავრესია რალაციტ შემოსვის შინა-არსი. სწორედ **ს ა ფ ა რ ი ს**, **ა ლ ჭ უ რ ვ ი ლ ო ბ ი ს** ნიუანსი აერთიანებს **ჭურ-** : **წკურ-** ფუძეებს ერთმანეთთან; მათვე ადვილად დაუკავშირდება მეგრული **წკურ-** ზმნა, რომელსაც **დ ა ხ უ ჭ ვ ა / დ ა კ ე ტ ვ ი ს** შინაარსი ახასიათებს.

აქ ყურადღებას იქცევს ქართ. **ჭ** : ზან. **წკ** ოპოზიცია, რაც არ არის უნიკალური (შდრ. ქართ. **ჭუმ-**ინ- : ზან. **წკუმ-**ინ- : სვან. **წკუნამ** „წკმუტუნი“) არ გამოირიცხება ამგვარ შეპირისპირებებში **წ** → **ჭ** გადასვლის შესაძლებლობა ქართულში (შდრ. ფრცხილ-ი → ფრჩხილ-ი, მძილ-ი (საბა) → მჭილ-ი...).

ს.-ქართვ. ***წურ-** „გარე საფარი; კანი“ → ქართ. **ჭურ-**, **ჭურ-**ი : ზან. **წკურ-**, **წკურ-**ი.

სვან. **ჭუ¹**, **ჭუ-ემ**, ი-**ჭუ**-მ-ე ← ი-**ჭუ**-ემ-ე (ქჷ-ხ-**ჭუ**-ემ-ნ-ედ ბზ.), ი-**ჭუ**-ემ ლნტ. „მო-¹რბის“.

ქართ. **წევ-წი(ვ)**-, გა-ს-**წევ**-ს, გა-ს-**წი**-ე-თ/გა-ს-**წი**-თ.

ზან. **ჭუ**-, გო-**ჭვ**-ი „გაიქეცი“, მე-**ჭვ**-უნ-ს → || მე-**ჭ**-უნ-ს „მირბის“, მო-**ჭვ**-უნ-ს „მორბის“, ი-ნ-**ჭუ**-აფ-უ(ნ) „მიიწევს, მიიჩქარის“ მნ-**წვ**-ილ-უ „სწრაფად მიდის“.

ზანურ-სვანურში რედუცირებული ფუძეები დასტურდება, ძირისეული ხმოვნის ჩავარდნა მომდევნო -**უმ** (ზანურში), -**ემ** (სვანურში) თემისნიშანთა ზეგავლენას მიეწერება. რაც შემდგომ მთელს პარადიგმაზე გავრცელდა. სვანურში -**ემ** თემისნიშანი ფუძეს შეეზარდა. მისი გამონაწევრება მხოლოდ შედარებითი ანალიზით ხერხდება — **ჭუ**- + **-ემ** → **ჭუ-ემ**.

ს.-ქართვ. ***წიუ**-/***წიუ**- „რბენა, სიჩქარე“ → ქართ. **წევ-წი(ვ)**- : ზან. **ჭვ/ჭუ**- : სვან. **ჭუ¹**, **ჭუ-ემ**-.

სვან. **ჭუმ** (მრ. რ. **ჭომ-ჰრ**) ზს., ლნტ., **ჭემ** (← **ჭუმ**) ლზმ. „სახელური, ყური, ტარი“.

ქართ. (გურ.) **წუმ**-ი „მტევანი (ყურძნისა)“, ხევს. **ყურ-წუმ**-ი „ყურე“.

ზან. —.

სვანურისთვის უწინარესია მრავლობითის ფორმებში შემონახული **ჭომ** სახეობა, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **წუმ**-ფუძეს. ხმოვნებში შენიშნული სხვაობის მიზეზი შეიძლება **ო** || **უ** სუბსტიტუცია იყოს, რომელიც სვანურისთვის ბუნებრივია (**ფხოლე** || **ფხოლე** „თითი“...).

მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით საყურადღებოა მ ტ ე ვ ა ნ ი ~ ს ა ხ ე ლ უ რ ი, ყ უ რ ე, ტ ა რ ი მიმართება, სადაც უძველესია მ ტ ე ვ ა ნ -ის გაგება (შდრ. შესიტყვება ხ ე ლ ი ს მ ტ ე ვ ა ნ ი).

ს.-ქართვ. ***წუმ**- „მტევანი, სახელური“ → ქართ. **წუმ**-ი : სვან. **ჭემ** || **ჭუმ** || **ჭომ** ← ***ჭუმ**.

სვან. **ჭყან** ზს., ლნტ., **ჭყან** ლზმ. „ქონი, ცხიმი (გადამდნარი)“.

ქართ. (გურ.) **ჭყან**-ი „ხორცის ნახარში, ქონიანი წყალი“.

ზან. **ჭყან**-ი¹.

ზანურში შესაბამისი ფუძე არ არის გამოვლენილი. მისი (**ჭყან**-) აქ შემოტანა პირობითია. არა ვართ დარწმუნებული გურულის ჩვენებაში; ეს ზანიზმია თუ საკუთრივ ქართული მონაცემი.

¹ ქართველური **ჭყან**- ძირის შესატყვისი ჩანს ნახურ ენათა თევზის აღმნიშვნელი შემდეგი ლექსემები: ბაცბ. **ჭარ**-ე, ინგ. **ჭყარ**-ჰ, ჩაჩნ. **ჭარ**-ა || **ჭყარ** || **ჭყარ**, ს.-ნახ. **ჭყარ**-ე. თ ე ვ ზ ი ~ ც ხ ი მ ი, ქ ო ნ ი მიმართება სემანტიკის დონეზე ბუნებრივია, შდრ. ქართ. **ცხიმი**-ი : ზან. **ჩხომ**-ი „თ ე ვ ზ ი“...

საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს. მანამდე ძნელია საერთო-ქართველურ არქეტიპზე საუბარი. ამიტომ ჩვენ თავს ვიკავებთ საერთო-ქართველური არქეტიპის რეკონსტრუქციისაგან.

სემანტიკურ დონეზე გურულ-სვანურის ჩვენება ცალსახად მიუთითებს გადამდნარი ქონ - (ცხიმ-) -ის ძირითად მნიშვნელობაზე.

სვან. **ჰყარ-** || **ჰყრ-**, ხ-ა-**ჰყრ-**ენ-ი (ა-ხ-**ჰყარ** ბზ., ლა-ხ-**ჰყარ** ბქ.), ხ-ა-**ჰყარ-**ნ-ე ლნტ. „ავად ხდება“, ლი-**ჰყარ** „ავად გახდომა, დასენიანება (заражаться)“.

ქართ. **წყენ-/წყინ-**, ა-**წყენ-**ს, ა-**წყინ-**ა „მოწამლა“.

ზან. (ჰან.) **ჰკინ-**, დი-**ჰკინ-**დ-ინ-უ „დაიღალა, მოქანცა“ (შდრ. მეგრ. **ჰყან-**ა „ძალა“).

სვანური ქართულის ე (**წყენ-**) გახმოვანებას მიჰყვება — ქართ.

წყენ- : სვან. **ჰყარ-** ←***ჰყერ-**. ჰანურში ი გახმოვანება ფუძისა ერთადერთია — ქართ. **წყინ-** : ჰან. **ჰკინ-** ←***ჰკინ-**.

სიტყვის აუსლაუტში სახეზეა შესატყვისობა ქართ.-ზან. **ნ** : სვან. **რ**, რაც აიხსნება **ნ** → **რ** პროცესით სვანურში (იხ. § 12).

ს.-ქართვ. ***წყენ-/წყინ-** „წყენა, მოწამლა, დაქანცვა“ → ქართ.

წყენ-/წყინ- : ზან. **ჰყან-/ჰკინ-** (← **ჰყან-/ჰკინ-**) : სვან. **ჰყრ-** || **ჰყარ-** (←***ჰყენ-**).

ს.-ქართვ. ***წყენ-/წყინ-** ფუძეს უკავშირდება „ძალის“ აღმნიშვნელი ძირები მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: ნახ. **ჰალ-**ონ⁵ „ძლიერ(ი)“, ხუნძ. **წყა-**ბ, ახვან. **ჰყა-**ბ, კარ. **წყა-**ი, ბეჟიტ. **წყა-**, დარგ. **წყა-**ლი „ძლიერ(ი)“...

სვან. **ჰყერ-** || **ჰყარ-** || **ჰყარ-**, **ჰყერ-**ნ-ი (ოთ-**ჰყერ**) „ებმის ერთმანეთს“, ლე-**ჰყარ** ზს., ლნტ., ლე-**ჰყარ** ლშხ. „გაბმული“, ლგ-**ჰყარ** ზს., ლნტ., ლგ-**ჰყარ** ლშხ. „მუღმივი“, „ხანგრძლივი“, მგ-**ჰყარ** „მუღმივი“.

ქართ. **წყა-**, რ-**წყა-**, მი-**წყა-**ივ „მარადის“, ე-რ-**წყა-**მ-ი-ს, შე-ე-რ-**წყა-**, შე-რ-**წყა-**მ-ულ-ი.

ზან. (მეგრ.) **ჰყან-**, გამგ-ნა-**ჰყან-**ი „შთამომავლობა“ ი-**ჰყან-**უ-ან-ს „აფუძნებს, იკავშირებს, მოიშენებს“.

სვანურში ძირად **ჰყა-** გამოიყოფა, -**ერ** ზმნური აფიქსია (შდრ. ლი-**შდ-**ერ, ლი-სგ-ერ... იხ. აქვე, § 38).

ქართულში რ- „ზედმეტი“ ანლაუტში (რ-**წყა-**), იგი ძველი კაუზატივის პრეფიქსი ჩანს (**წყა-**მ-ე-ბ-ა — რ-**წყა-**მ-ენ-ა...).

ს.-ქართვ. ***წყა-** „მიბმა, დაკავშირება, შერწყმა; მუღმივი, ხანგრძლივი, გაბმული“ → ქართ. **წყა-**, მი-**წყა-**ივ, რ-**წყა-**(ამ;) : ზან. **ჰყან-** : სვან. **ჰყარ-** || **ჰყარ-** || **ჰყერ-**.

სვან. **ქყორ** „მუხა“, **ლა-ქყორ-ა** „მუხები“, „სამუხე“.

ქართ. **წყონ**-, **წყნ**-ეთ-ი (ტობ.), **წყნ**-ორ-ი (ტობ.).

ზან. **ჰყონ**-ი → || **ჰკონ**-ი || მ-**ჰკონ**-ი „მუხა“.

ქართულ-ზანურ ფუძეთა ერთიანობა ცნობილია (არნ. ჩიქობავა). სვანურში **ქყორ**- შესატყვისის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს რაჭულ დიალექტში ფიქსირებული **ლა-ქყორ** „მუხის სარები“ სიტყვა. რომელიც, თუ გავიზიარებთ მის სვანურ წარმომავლობას, მრავლობითი რიცხვის ფორმაა **ქყორ** „მუხა“ სახელისა, რაზეც ქართულის შინაარსიც მიუთითებს („სარები“) : სვან. **ქყორ** „მუხა“ — **ლა-ქყორ-ა** „მუხები, სამუხე, მუხისა“ → ქართ. (რაჭ.) **ლა-ქყორ**- „მუხის სარები“.

აუსლაუტური შეფარდება ქართ.-ზან. **ნ** : სვან. **რ** აიხსნება როგორც

ნ → **რ** გადბგერება სვანურში (იხ. აქვე, § 12. **ნ** → **რ**).

საგარაუდო **ქყორ** ფორმა გარკვეულად მიგვითითებს საერთოქართველური ფუძის განმოვანებაზე, იგი ***წყონ**- სახეობისა უნდა ყოფილიყო.

ს.-ქართვ. ***წყონ**- „მუხა“ → ქართ. **წყნ**-ეთ-ი, **წყნ**-ორ-ი : ზან.

ჰყონ-ი → || **ჰკონ**-ი || მ-**ჰკონ**-ი : სვან. **ქყორ** ←***ჰყონ**.

სვან. **ჰყუნ**- || **ჰყენ**- || **ჰყონ**-, **ჰყუნ** (მრ. რ. **ჰყონ**-არ) ზს., ლნტ., **ჰყენ** (მრ. რ. **ჰყონ**-არ) ლზმ., **ჰყონ** ლშბ. „საზარდული“.

ქართ. (ხევს.) მ-**წყვილ**-ი „საზარდული“ (ა. შანიძე).

ზან. (მეგრ.) **წყურ**-, **წყურ**-კუჩხ-ი „კოჭი“.

ხევსურულ დიალექტში დადასტურებული მ-**წყვილ**-ი „საზარდული“ (ა. შანიძე), ჩვენი დაკვირვებით, შესატყვისება ამავე მნიშვნელობის საერთოსვანურ **ჰყონ**- ფუძეს. აუსლაუტური ქართ. **ლ** : სვან. **ნ** წინააღმდეგობას ვერ შეგვიქმნის (იხ. § 5. **ლ** → **ნ**). საერთოქართველურ **ლ**-ს ზანურში, როგორც მოსალოდნელი იყო, **რ** მოუცია აუსლაუტში სახელობითის **ი** ბრ. ნიშნის წინ (გ. როგავა) — ქართ. მ-**წყვილ**-ი : სვან. **ჰყონ** (←***ჰყუილ**) : ზან. **წყურ**- (←***ჰყვირ**-).

ზანურში შიშინა → სისინა გადასვლა შეინიშნება — **ჰყ** → **წყ**.

ს.-ქართვ. ***წყუილ**- „საზარდული“ → ქართ. მ-**წყვილ**-ი : ზან.

წყურ-ი ←***ჰყვირ**-ი : სვან. **ჰყუნ** || **ჰყენ** || **ჰყონ** ←***ჰყუილ**.

სვან. **ჰგბერ**- || **ჰუბერ**- || **ჰუბერ**-, ა-**ჰუბერ**-ე (ოთ-**ჰუბერ**) ბზ., ლშბ., ა-**ჰგბერ**-ი ბქ., ა-**ჰუბერ**-ე ლნტ. „გმანავს“, ლგ-**ჰგბერ**-ე „დაგმანული“.

ქართ. (ლენხ., რაჭ.) **წბერ**-, ლენხ. სა-**წბერ**-ი „საპრესი“, **წბერ**-, **წბერ**-ვა || **წბერ**-ვა „პრესით გამოწურვა“, „ღვინის დაწურვა“, **წბერ**-ი „ჭაჭის საწური, ღვინის სახდელი“.

ზან. —

სვანურში **კბ** არაკანონიკური ბგერათთანმიმდევრობა თავდაპირველად **გ** პროთეტური ხმოვნით გაითიშა, რომელიც (**გ**) შემდგომ **ბ**-სთან ლაბიალიზაციით უ-ში გადავიდა: ***კბერ-** → **კგბერ-** → || **კუბერ-** → **კუბერ-**.

ქართველური ფუძეებისათვის დამახასიათებელია „დაპრესა / დაგმანვა / დაწურვა“ მნიშვნელობები.

ს.-ქართვ. ***წბ-ერ-** „ბრესა; გმანვა“ → ქართ. **წბერ-** → || **წბერ-**, **წბერ-ი** : სვან. **კუბგერ-** || **კუბერ-** || **კგბერ-** ←***კბერ-**.

სვან. **კგმინ** ზს., ქს. „ქერი“.

ქართ. (რაჭ.) **წინოლ-ი** „ტიმოთელა, ბალახეული მცენარე“.

ზან. **ჭიმურ-ი** (საბა).

სვანური **კგმინ** „ქერი“ სიტყვა განმარტოებით დგას; რაჭული **წინოლ-ი** კანონზომიერი შესატყვისია **კგმინ** ფორმისა, რომელსაც ზანური **ჭიმურ-ი**ც ადვილად დაუკავშირდება, მხოლოდ — რაჭ. **წინოლ-ი** ← **წიმოლ-ი** ნაწილობრივი (**ლ**-სთან) ასიმილაციით.

საბასთან **ჭიმურ-ი** ზოგადად „მგბარი მარცვლის“ აღმნიშვნელია, რაც ახლოსაა „ქერისა“ და „ტიმოთელას“ მნიშვნელობასთან (შდრ. მესხ. **ჭიმბურ-ი** (← ზან. **ჭიმურ-ი**) პურის ან მჭადის ნაფხვენი (საჭმელია)“.

ლ → **ნ** სვანურში (იხ. § 5) და **ლ** → **რ** ზანურში აღნიშნული პროციისთვის დამახასიათებელი პროცესებია. სომხური **ჭიმურ** ზანური წარმომავლობისა ჩანს.

ს.-ქართვ. ***წიმ-ოლ-** „მარცვლეული; ქერი“ → ქართ. **წინ-ოლ-ი** ← **წიმ-ოლ-ი** : ზან. **ჭიმ-ურ-ი** : სვან. **კგმ-ინ** ←***კგმ-გლ**.

სვან. **კგნჭ-ალ**, ი-**კგნჭ-ალ-ბ** „დაობენ“, ლი-**კგნჭ-ალ** „დავა, კინკლაობა“.

ქართ. **წიწ-**, **წიწ-ვ-ა** (შდრ. **წუწ-ვ-ა** „კინკლაობა“) გა-ვ-**წიწ-ე**.

ზან. **ჭიჭ-ოლ-ი** „წიწვა; კინკლაობა“, ვე-**ჭიჭ-ოლ-ა-თ** „ნუ დაობთ, კამათობს, ხმაურობთ“.

სიტყვა ქართველურ ენებში ბგერწერითი ხასიათისაა. საინტერესოა საერთო ზმნური აფიქსის პრონიერება სვანურ-ზანურში — სვან. **-ალ** : ზან. **-ოლ** (**კგნჭ-ალ-** : **ჭიჭ-ოლ-**). **ნ** ფონეტიკური ჩანართია სვანურში (ს. ჟღენტი).

ს.-ქართვ. ***წიწ-(ალ-)** „დავა, კამათი, კინკლაობა“ → ქართ. **წიწ-** || **წუწ-** : ზან. **ჭიჭ-ოლ-** : სვან. **კგნჭ-ალ-** ←***ჭიჭ-ალ-**.

სვან. **ჭერემ** ბზ., **ჭერამ** ბქ., ლშხ., ლნტ. „ჭრელა, წითელზოლება საქონელი“.

ქართ. **წირან**-ი „წითელი“, მესხ. „ჭერამი“.

ზან. **ჭერამ**-ი „ჭერამი“.

სვანური **ჭერემ** || **ჭერამ** ზუსტი შესატყვისია ქართული **წირან**-ისა; აუსლაუტური ქართ. **წ** : სვან. **მ** შეფარდება მეორეულია — შდრ.: ქართ.

ლოგინ-ი → სვან. **ღგრემ**, **ღღშგინ** → || **ღღშგიმ**... (იხ. § 13).

ქართული **ჭერამ**-ი ზანური წარმომავლობისაა, რადგანაც **ან** → **ამ** გადასვლა მეგრულში ბუნებრივია; შდრ. ქართ. **-ან** : მეგრ. **-ამ** (ქუდ-**ი-ან**-ი : ქუდ-**ამ**-ი, ტილ-**ი-ან**-ი : ტი-**ამ**-ი...).

რაჭული **ჭემარ-ო** „ფერადი საქონელი“ სვანურიდან არის შეთვისებული — **ჭემარ-ო** ← **ჭერამ-ო**.

სვანური **წგრან** ბქ., ლნტ. „წითურა (მხლის ჯიშია)“, **წგრნ-ი** ზს., ლშხ., **წგრან-ი** ლნტ. „წითელი“, ისევე როგორც სომხური **წირან** „ჭერამი“, ქართულიდან არის ნასესხები.

და კიდევ ერთი, ქართ. **წი-რ-ან-ი** || **წი-თ-ელ-ი** || **წი-ქ-არ-ა** „წითელი (საბა)“ || **წი-ფ-ინ-** (გურ. გა-**წი-ფ-ინ-ე**ბა „გაწითლება“) ფუძეთა შედარებითი ანალიზისას ირკვევა, რომ ს ი წ ი თ ლ ი ს აღმნიშვნელი საერთო-ქართველური ძირია ***წი-**, ხოლო **-რ-**, **-თ-**, **-ფ-** ისტორიული ნივთთა გრამატიკული კლასის ნიშნებია, რომელნიც ფუძეს არიან შეზრდილნი. გვკითხავენ — **წი-ქ-არ-ა**? მართლაც **ქ** ასეთი გრ. კლასის ნიშანი უცნობია იბერიულ-კავკასიურ ენებში, მაგრამ შეუძლებელია აქვე არ გავახსენდეს ნახურ ენათა მონაცემი — **წე-გ-ენ** „წითელი“, რომელსაც **წი-ქ-არ-ა** შეესატყვისება. გურული **წიქორ**-ი „წითელი“ ზანური შესატყვისია **წიქარ-ა**-სი.

ს.-ქართვ. ***წი-რ-ან** „წითელი; ჭერამი“ → ქართ. **წირან-ი** : ზან. **ჭერამ-ი** ← ***ჭირონ-ი** : სვან. **ჭერემ** || **ჭერამ** ← ***ჭირან**.

სვან. **ხალ-**, ხ-ო-**ხა** || ← ხ-ო-**ხალ** (ხ-ო-**ხალ**-და ბზ., ლნტ., ხ-ო-**ხალ**-დ ბქ., ხ-ო-**ხალ**-და ლშხ.) „იცის, ჰგონია“, მა-**ხალ** „ცოდნა, გამოცდილება“.

ქართ. **ხელ-**, **ვ-ა-ხელ-**, **ა-ხელ-ა**, **ხილ-**, **ვ-ი-ხილ-ე**, **ხილ-ვ-ა**, **მ-ხილ-ვ-არ-ე**, **ხილ-ულ-ი**, **უ-ხილ-ავ-ი**.

ზან. (მეგრ.) **ხვილ-**, წგმო-**ხვილ-აფ-ა** „ნახვა რაიმესი“, ქემგ-ვ-ო-**ხვილ-ე** „შევეუმჩნიე“, **ხვილ-უ-ა** „შენახვა, შემჩნევა“.

ქართულ **ხელ-/ხილ-** და სვან. **ხალ-** ფუძეთა ერთიანობაზე ადრეც მიუთითებდნენ: სვან. **ხ-ალ-** არა მხოლოდ ძირეული მასალის მიხედვით, არამედ სტრუქტურულადაც შესაძლოა ქართ. **-ხ-ელ** ფუძის ადეკვატური იყოს (ილ. ცერცვაძე). **ხ-ელ-/ხ-ილ-** ფუძე საერთო ძირისაა ნა-**ხ-ა**, **ხ-ედ-ვ-ა**, სა-**ხ-ე** ფორმებთან (ვ. თოფურია).

მეგრულში დადასტურებული **ხვილ-** ფუძისთვის ბუნებრივია ქართულისმავგარი ხ ე დ ვ ა / ნ ა ხ ვ ა / ხ ი ლ ვ ა სემანტიკა. ამას თვალსაჩინოს ხდის კონტექსტების განხილვა, შდრ. ქართ. „წადი და იქ იხილავ“ და მისი ზუსტი ზანური თარგმანი „მეუ დო თექ ქ ი გ ი ო ხ ვ ი ლ უ ა ნ ქ ე“, ან კიდევ „ნ ა ხ ა ვ, თუ ასე არ იქნა“ — ქ ი გ ი ო ხ ვ ი ლ უ ა ნ ქ, თაშგ ვეჟუღა“.

ერთგვარი შეუსაბამობა ჩანს შესაღარებელ ფუძეთა ხმოვნებში, სადაც ქართული ე/ი ზანურში ვი-ს შეიფარდებს. ე → || ი : ვი (**ხელ-/ხილ-** : **ხვილ-**) შეფარდებას ზუსტი ანალოგი ეძებნება ქართ. **ცქერ-** (ვუც-ქერ)/**ცქირ-** (ვუცქირე) : ზან. **ცქვირ-** (უცქვირინანს) „განქიქებით ცქერა“ ზმნური ფორმების სახით. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ზანური **ხვილ-**, **ცქვირ-** ისტორიულად ***ხილ-**, ***ცქირ-** არქეფორმებიდან მომდინარეობენ ი-ს წინა პოზიციაში თანხმოვნის შემდგომ გ-ს განვითარებით. თუმცა, არ გამოირიცხება ო → ვი შესაძლებლობაც მეგრულ-ჭანურში, შდრ.: ხომა → || ხვიმა, ხოლარ-ი → || ხვილარი „ხვლიკი“, ქართ. კალ- ←*ყალ- „კვლა“ : ზან. ცვილ- || ყვილ- ←*ყოლ- „id“, წათ-ი : ჭვირთ-ი ← ჭორთ-ი...

ამრიგად, საერთოქართველურ ფუძეენას ჰქონდა ხ- ძირიანი ზმნური ფორმები, რომელთა სემანტიკაც „ხედვით“, „ხილვით“ შემოისაზღვრებოდა; განსხვავებული მნიშვნელობები, რაც თანამედროვე ქართველურ ენა-კილოებში დასტურდება, ინოვაციას წარმოადგენს და გაჩენილია ქართველურ ენათა დამოუკიდებელი განვითარების პერიოდში.

ს.-ქართვ. ***ხ-(ელ-)/*ხ-(ილ-)** „ხილვა, ხედვა, ნახვა“ → ქართ. **ხ-ელ-/ხ-ილ-**, **ხ-ედ-**, **ნა-ხ-** : ზან. **ხვილ-** ←***ხ-ილ-** ან ***ხ-ოლ-** : სვან. **ხა** || ← **ხალ-** ← **ხ-ალ-**(?).

სვან. **-ხარ** || **-ხარ**, მგ-**ხარ** ზს., ლნტ., მგ-**ხარ** ლშხ. „ხვალე“, მგ-**ხარ** „ხვალე“.

ქართ. **ხვალე** || **ხვალე**, **ხვალე-ე** || **ხვალე-ე**, და-**ხვალე-ი-ებ-ა** (საბა).

ზან. **ხოლ-ო** „კიდევ“; „კვლავ“.

სვანურს ბოლოკიდური **-ე** სუფიქსი მოეკვეცა (შდრ. ქართ. **-ე** : ზან. **ო** — ქართ. თხლ-ე : ზან. თხოლ-ო...), თუმცა რთული (კომპოზიტური) აგებულების ფუძეებში **-ე** შემორჩენილია: მგ-**ხარ-ე**-ჩხენ ბზ., მგ-**ხარ-ე**-ჩხენ ბქ., მგ-**ხარ-ე**-ჩხენ ლნტ., მგ-**ხარ-ე**-ჩხენ ლშხ. „ზეგ“. თუ გავითვალისწინებთ მ-სთან დისიმილაციით **ჟ**-ს გაუჩინარებას, ხოლო აუსლაუტურ **ლ** → **რ** გადასვლას სვანურში, ცხადი ხდება, რომ უძველესი სვანური შესატყვისი ს.-ქართვ. **ხჟალ-ე** ფუძისა *მგ-**ხჟალ-ე** უნდა ყოფილიყო.

სემანტიკური მიმართება **ხვალე** ~ **კიდევ/კვლავ** ადვილად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ მონათესავე ენათა ინფორმაციას, სადაც გენეტურად საერთო ფუძეები დასტურდება, შდრ. ჩაჩნ. (ჭებ.) **კენ** „კიდევ“, **კენ-ო** „შემდგომ (после)“, **კან-ა** „ხვალე“...

ს.-ქართვ. ***ხჟალ-(ე)** „კიდევ, შემდგომ, ხვალე“ → ქართ. **ხვალე**, **ხვალე-ე** : ზან. **ხოლ-ო** (←***ხვოლ-ო**) : სვან. **[-ხარ]**, **მგ-ხარ** || **მგ-ხარ** ← || **მგ-ხარ-ე** (←***მგ-ხჟალ-ე**). (შდრ. ხუნძ. **ხადუბ**, ანდ. **ბეხუდუ**, ახვან. **კ'ედო**..., დიდ. **ლუდე**, ხვარშ. **ღჟადე** „ხვალე“..., ლეზგ. **ახნა**, აღ. **კანი** „შემდეგ“...).

ქართ. **ხარ-ო** „მარცვლეულის შესანახი ხის ჭურჭელი (ან ბელის განყოფილება)“ ქეგლ-ი, გურ.-იმერ. „ნალია“, ქართლ., ქიზიყ., მესხ., თიან., ყიზლ.-მოზდ. „პურის ორმო“.

ზან. **ხულ-ა** „ბეღელი“, მე-**ხულ-ე** (რ. ერისთავი).

სვან. —.

ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული მნიშვნელობებიდან სვანურ „ბეღელი“ სემანტიკისთან ყველაზე ახლოს დგას გურ.-იმერ. „ნალია“, თუმცა სალიტერატურო ენის ჩვენებაც მცირედ სხვაობს — **ბეღელი** ~ **ბეღლის განყოფილება**. ცხადია, პროტოქართველურში **ხარ-ო** ერთ-ერთი სახობა იყო **ბეღლისა**.

ფორმალური მიმართების თვალსაზრისით ქართულ **ხარ-ო**-სა და სვანურ **ხულ-ა**-ს შორის ისეთივე სურათია როგორც — ქართ. **რაბ-ო** : ზან. (ჭან.) **რუბ-ა**, მეგრ. **რობ-უ**. ამ ნიმუშებში ქართ. **-ო** : ზან. **-ა** ფონეტიკური არ უნდა იყოს (ფუნქციურია). ქართული **ხარ-ო**-ს ზუსტი სვანური შესატყვისი ჩანს ტოპონიმ **ხულ-ო**-ში.

სვანურში ინტერვოკალურ პოზიციაში **რ** → **ლ** გადაბგერება ჩვეულებრივი მოვლენაა: ქვირით-ი → ქვილით-ი, გორა/გოლა → || გვალა, გარე/გალე, ჩირ-ი → ჩილა... ასევე ქართ. **ხარ-ო** : ზან. ***ხორ-ო** → **ხულ-ო**.

გურ.-იმერ.-რაჭ.-აჭარ. **ხულა** „ნალია, ბელელი“ ზანურიდან არის შეთვისებული.

ს.-ქართვ. ***ხარ-** „მარცვლეულის (ჭირნახულის) შესანახი ნაგებობა“ → ქართ. **ხარ-ო** : ზან. **ხულ-ო** || **ხულ-ა** ← ***ხორ-ო**.

ქართ. **ხაშარ-ი** „მცენარის გრძელი ამონაყარი“; „თრთვილი“.

ზან. (მეგრ.) **ხოშქორ-ი** „გამონაყარი ხეზე; ხორკლი“; „თრთვილი“, **ხოშქორ-ამ-ი** ჯა „ხორკლიანი ხე“; „ყინვისაგან შეყინული ხე“.

სვან. —.

შესატყვისობა კანონზომიერია როგორც სემანტიკურ, ისე ფორმალურ დონეზე. სვანურში ქართულიდან შეთვისებული **ხანსარ** || **ხაშარ** „თრთვილი; ყინული“ ალომორფები დასტურდება, სადაც **შ** → **ს** შიშინა სიბილანტის გასისინების მეტად მნიშვნელოვანი პროცესი შეინიშნება.

ს.-ქართვ. ***ხაშ-არ-** „ხორკლი; თრთვილი“ → ქართ. **ხაშ-არ-ი** : ზან. **ხოშქ-ორ-ი**.

ქართ. **ხელ-**, ქართლ. **ხელ-ა** „მაწვნის ქილა“.

ზან. (მეგრ.) **ხარ-ა** „ღვინის სასმისი“, **ო-ხარ-ო** „წყლის ჭურჭელი (ხისა)“.

სვან. —.

მეგრული **ხარ-ა** ფორმალური თვალსაზრისით ქართლური **ხელ-ა** სიტყვის ზუსტი ეკვივალენტია, თუმცა ეტიმოლოგიურად იმავე **ხელ-/ხარ-** ძირებს ვხვდავთ ქართულ (იმერულ) **ხელ-ედ-ან-ი**, მეგრულ **ო-ხარ-ო** (შდრ. იმერ. **ო-ხარ-ო**, სვან. **ჟონარ** || **ონარ** ზს., ლნტ. **ჟონარ** || **ონარ** ლშხ. „წყლის საზიდი მცირე ხის კასრი“ ← ზან. **ო-ხარ-ო**) სიტყვებშიც.

ქართული **ხელ-**, ზან. **ხარ-** ძირების შესატყვისი ჩანს სვანურში გავრცელებული ზმნური ფუძე „სმის“ მნიშვნელობით, შდრ. სვან. **ხულ-**, ი-**ხულ-ი** ბზ., ლშხ., ი-**ხულ-ი** ბქ., ლნტ. „სვამს“. ძნელი ასახსნელია სვანური **უ** გახმოვანება ქართული **ე**, ზანური **ა**-ს შესატყვისად. საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს (შდრ. ქართ. **გენ-ი** : ზან. **გინ-ი** (**გან-**) : სვან. **ღუნ** „ხბო“).

ს.-ქართვ. ***ხ-ელ-** „სასმისი, სმა“ → ქართ. **ხელ-ა**, **ხელ-ედ-ან-ი** : ზან. **ხარ-ა**, **ო-ხარ-ო** : სვან. **ხულ-** || **ხულ-**.

ს.-ქართვ. ***ხ-ელ-** ფუძეს შეესატყვისება აფხაზ. **ა-ხა-რა** „წოვა, სმა“; ნახ. დ-ა-**ხ-არ** „სმა, თრობა“; ხუნძ. **ხაუ-ე-ზე**, ტინდ. **ხა-ლ'ა**, ჭამ. **ხე-ლა**, ბოთლ. **ხაუ-დ-ი**, ჰუნზ. **ხუ-ლ'ა**, ბეჟიტ. **ხუ-ლ'ა-ლ**, დიდ. **ჰა-ლ'ჟ-ა..**, ლაკ.

ხაუ-ჩ-ინ || **ხაუ**-ტ-ინ, ლეზგ. **ჯ**-უნ || **ხ**-უნ, თაბას. უ-**ჯ**-უზ || უ-**ხ**-უზ, აღულ. უ-**ხ**-ას „სმა“...

ქართ. **ხელ**- „გახელება“, სი-**ხელ**-ე, **ხელ**-ი „არს, რომელი უცნობოდ გარბოდეს და არცა სხვათა ავნებდეს (საბა)“.

ზან. (მეგრ.) **ხან-გა** „გიჟი“, გე-**ხან-გ**-უ „გაგიჟდა“, სი-**ხან-გ**-ე „სიხელე“.
სვან. —.

მეგრულში ძირად გამოყოფილი **ხან**- (**ხან-გა**) ქართული ხელ- ფორმის შესატყვისია. ჩანს მეგრულში საერთოქართული **ლ** ჯერ **რ**-ში გადასულა — ქართ. **ხელ**-ი : ზან. (მეგრ.) **ხარ**-ი; ხოლო -**გა** სუფიქსის ფუძესთან შეხორცების შემდგომ **რგ** → **ნგ** პროცესი განხორციელდა (**ხარ-გა** → **ხან-გა**) ისევე, როგორც **ფუნ-გა** „ყრუ“ სიტყვაში: **ფურ-გა** → **ფუნ-გა**, შდრ. პარალელური წარმოების მეგრული **ფურ-უ** : ქართ. **ყრ-უ** (ყურ-ი).

ასე რომ, საერთოქართველური **ხელ**- ფუძის შესატყვისად ზანურს

ხარ- მოუცია, რაც შენახულია **ხან-გა** ← **ხარ-გა** სიტყვაში.

გამონაკლისად ვერ ჩაითვლება -**გა** „უქონლობის სუფ.“-ის გამოყენება საპირისპირო ფუნქციით, შდრ. მეგრ. **ქარ-გა** „დაწერტილი“, „ჭრელი“ (ქართ. **წერ**- „ჩხვლეტა“ **წერ-ტ**-ილ-ი...) შდრ. მეგრ. **ქარ-ჭ**-ულ-ია „ჭრელი“ (იხ. აქვე, სვან. -**აგ** || -**აქ** : ქართ. -**აგ** : ზან. -**გ**-, -**გა**-).

აქვე ვსვამთ საკითხს აღწერილ ფუძეთა სვანურ **ხრ-ინ**- „გაბრაზება“, მეგრ. **რხ-ინ**- ← **ხრ-ინ**-თან მიმართების შესახებ (იხ. აქვე, სვან. **ხრ-ინ**-).

ს.-ქართვ. ***ხელ**- „გახელება, გიჟი“ → ქართ. **ხელ**-, **ხელ**-ი : ზან.

ხან-გა ← **ხარ-გა**, **რხ-ინ** ← **ხრ-ინ** ← ***ხარ-ინ**- : სვან. **ხრ-ინ**- ← ***ხლ-ინ**-.

სვან. **ხერ**- || **ხერ**- || **ხერ**, ა-**ხერ**-ი (ო-ხჷ-**ხერ**) ბზ., ხ-ა-**ხერ**-ი ბქ., ხ-ა-**ხერ**-ე ლშხ., ხ-ა-**ხერ**-ე ლნტ. „ფხანს“, ლი-**ხერ**-ე ბზ., ლი-**ხერ**-ი ლშხ., ლი-**ხერ**-ე ბქ., ლი-**ხერ**-ი ლნტ. „ფხანა“, მა-**ხერ**-ა ბზ., ლშხ., მა-**ხერ**-ა ბქ., ლნტ. „მუნი“ (← ეტ. „ფხანა“).

ქართ. **ფხან**-, **ფხან**-ა, ი-**ფხან**-ს, ო-**ფხან**-ი.

ზან. —.

სავარაუდოა, რომ საერთოქართველური **ფხ** კომპლექსი სვანურში გამარტივდა **ფ**-ს გაუჩინარებით, რასაც ძირეული **ჲ** (← **Ⴣ**) ხმოვნის საკომპენსაციო დაგრძელება მოჰყვა (შდრ. ქართ. **ფხეკ**- : სვან. **ხე-გნ**-, ა-**ხე-გნ**-ე „ფხეკს“ : ზან. (მეგრ.) **ხეკ**- (← **ფხეკ**-), გუმო-**ხეკ**-ილ-ი „გამო-ფხეკილ-ი“...). სიტყვის აუსლაუტში შეინიშნება ქართ. **ნ** : სვან. **რ**, რაც კანონზომიერია (იხ. აქვე, § 12. **ნ** → **რ**).

ს.-ქართვ. *ფხან- „ფხანა“ → ქართ. ფხან- : სვან. ხერ- || ხერ- || ხან- ←*ფხან-.

ქართ. (აჭარ.) ხვანძ- „ცერცველა“.

ზან. (მეგრ.) ხაჯ-ი „ცერცვი“.

სვან. —.

აჭარულ ხვანძ- სიტყვაში ნ ფონეტიკური დანართია. ამოსავალ *ხვანძ- ძირს ზანურში *ხოჯ- უნდა მოეცა (შდრ. ქართ. ვა : ზან. ო (თვალ-ი/თოლ-ი...), ქართ. ძ : ზან. ჯ), მაგრამ სხვა ხოჯ- „ხარი“ სიტყვასთან ომონიმის თავიდან ასაცილებლად ენამ გამოიყენა ო → ა ფონეტიკური შესაძლებლობა (ომონიმური სუბერაცია) — ქართ. *ხვანძ- : ზან. *ხოჯ- → ხაჯ- (შდრ. ქართ. სოლ-ი : ზან. (ფ)სალ-ი ←*სოლ-ი).

ს.-ქართვ. *ხუანძ- „ცერცვი“ → ქართ. *ხვანძ- → ხვანძ- : ზან.

ხაჯ-ი ←*ხოჯ-ი.

ს.-ქართვ. *ხუანძ- „ცერცვი“ სიტყვის შესატყვისად მივიჩნევთ აფხაზ.

ა-ხუძ „ლომი“ ლექსემას. სემანტიკური მონაცვლეობა ც ე რ ც ვ ი ~ ლ ო მ ი სავსებით კანონზომიერია.

ქართ. ხვანჯ-, გურ. ხვანჯ-ალ-ი „გასუფთავება, გაწმენდა“, ლეჩხ. ხვანჯ-ალ-იე „სუფთა, გაწმენდილი“.

ზან. (მეგრ.) ხურჯკ-, ხურჯკ-უმ-ი „კაშკაშა; სუფთა, ელვარე“.

სვან. —.

ქართულ ხვანჯ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ხურჯკ- (ვა : უ ←*ვო, ჯ : ჯკ); ნ/რ მიმართება ქართველურ ენებში ბუნებრივად გვეჩვენება, შდრ. ქართ. სვან- : ზან. შურ-ო (იხ. აქვე). გასათვალისწინებელია ასევე თანზომონის წინ ნ/რ სუბსტიტუცია მეგრულში: გირძე || გინძე „გრძელი“, რტინი || ნტინი „გაქცევა“...

-ალ სუფიქსს მეგრულში ფუნქციურად -უმ (ხურჯკ-უმ-ი) შეეფარდება, ორივე ზმნური ფუძეებიდან არის გადმოყოლილი, შდრ. გურ. გა-ხვანჯ-ალ-ებ-ა, გა-ხვანჯ-ალ-ებ-ულ-ი; მეგრულშიც ალბათ *ხურჯკ-უმ-ს „აკრიალებს, ელვარეს ხდის“ ფუნქციონირებდა, საიდანაც სახელური ხურჯკ-უმ- შემოგვრჩა, ისევე როგორც შუმ-ს „სვამს“ და შუმ-ი (იხ. საბა)...

ს.-ქართვ. *ხუანჯ- „ელვარება, გაწმენდა, კაშკაში“ → ქართ. ხვანჯ-ალ- : ზან. ხურჯკ-(უმ-) ←*ხვანჯკ-.

ქართ. **ხიმ-** || **ხიბ-**, ლეჩხ. სა-**ხიმ-ი** || **სახიბ-ი** (საბა) „სწორი ჯოხი, რითაც ძალი არის დაბმული“, გურ. გადა-**ხიმ-ვ**-ა „შეღობვა“.

ზან. (მეგრ.) **ხიბ-**, გინო-**ხიბ-უ**-ა „გადაღობვა“, ო-**ხიბ-ალ-ი** „საკეტი“, **ხიბ-ილ-ი** „ღობილი“.

სვან. —.

ქართულში **მ** || **ბ** მონაცვლეობა შეიმჩნევა, მეგრულში **ხიბ-** ერთადერთია. ზანური **ხიბ-** ფუძე უნდა ჩანდეს **ხიბ-ულ-ა** (ხობის რაიონი) ტოპონიმშიც, შდრ. ძვ. ქართ. სა-**ჯივ-ი** „ბორკილი“.

ს.-ქართვ. ***ჯიჟ-** „შეღობვა, გადაღობვა“ → ქართ. **ხიმ-** || **ხიბ-**, სა-**ჯივ-ი** || სა-**ხიმ-ი** || სა-**ხიბ-ი** : ზან. **ხიბ-**.

ქართ. (ლეჩხ., ქიზიყ.) **ხიხვ-ი** „დიდი და სავსემტევნიანი თეთრი ყურძნის ძველებური ჯიში“.

ზან. (მეგრ.) **ხემხუ** „სამურზაყანოში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიში“.

სვან. —.

ქართული **ხიხვ-ი** — ზანური **ხემხუ** სიტყვათა შეპირისპირებითი ანალიზისას ირკვევა, რომ ადგილი აქვს გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებებს მეგრულში; კერძოდ, ა) ინლაუტური **ი** : **ე** უნდა აიხსნას როგორც **ი** → **ე** მეგრულში (შდრ. წვიმა : ჭვემა || ← ჭვიმა, თიჯა : დეხა || ← დიხა...); ბ) აუსლაუტური **ვ-ი** თანმიმდევრობა **უ-ში** გადასულა ***ხიმხვ-ი** → **ხემხუ** (შდრ. ქართ. ნაძვ-ი : მეგრ. ნუზუ ←*ნოდვ-ი), გ) ინლაუტში **ხ-ს** წინ **მ** ფონეტიკური დანართია — **ხემხუ** ←***ხეხუ**.

გურულ დიალექტში ფიქსირებული **ხემხო** „ვაზის ჯიშია ერთგვარი“ მეგრულ **ხემხუ**-საგან უნდა მომდინარეობდეს (ზანიზმია).

ს.-ქართვ. ***ხიხჟ-** „თეთრი ყურძნის ჯიში“ → ქართ. **ხიხვ-ი** : ზან. **ხემხუ** ←***ხეხუ** ←***ხიხვ-ი**.

სვან. **ხრინ-**, ი-**ხრინ-ი** ზს., ქს. „ბრაზდება“, ი-**ხრინ-ა**ლ ბზ., ი-**ხრინ-ა**ლ ბქ., ლნტ., ი-**ხრინ-ა**ლ ლშხ. „ბრაზობს, ჯავრობს“, ა-**ხრინ-ე** „აბრაზებს“, ლი-**ხრინ-ე** „გაბრაზება, გაჯავრება“.

ქართ. **ხელ-**, **ხელ-ობ-ს**.

ზან. (მეგრ.) **რხინ-**, ი-**რხინ-უ(ნ)** „ავარდება, გულს იყვანს“, მუს გი-**რხინ-უქ** „რას ჯავრობ, ბრაზდება“.

ქართულში შესადარებელი სიტყვა ჩანს **ხელ-(?)**.

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს **ხრ** → **რხ** გადასვლა მეგრულში, რაც შეპირობებულია მეგრულში არსებული ფონოტაქტიკური შეზღუდვით: თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი + ს ო ნ ა ნ ტ ი თანმიმდევრობა აქ არაკანონიკურია (აკრძალულია).

ს.-ქართვ. ***ხლ-ინ-** „ბრაზი, ჯავრი; გაბრაზება“ „გახელება“ → ქართ.
ხელ- : ზან. **რხ-ინ-** (←***ხრ-ინ-**) : სვან. **ხრ-ინ-**.

სვან. **ხუკჷ** „უმწეო, ბეჩავი“.
ქართ. (ლექს.) **ხუკ-ი** „საბყარი, დავრდომილი“.
ზან. (მეგრ.) **ხუნკ-ი** „ინვალიდი, პარალიზებული“, **ხუნკ-**, **დე-ხუნკ-ჷ**
„დაინვალიდდა“.

სვანურ შესატყვისში აუსლაუტური **ჷ** ფონეტიკური დანართია, გაჩე-
ნილი წინამავალ **ჷ**-თან ანალოგიით, შდრ. ქართ. **ბუქ-ი** : სვან. **ბუქჷ** ||
ბუქჷ ← **ბუქ-ი** „ქარი“, **კუნ-ი** : **კუნჷ** || **კუნჷ** ← **კუნ-ი**...

ქართული (resp. ლექსუმური) **ხუკ-**ის ფონეტიკურ-სემანტიკური ვა-
რიანტებია: აჭარ. **ხმუკ-ი** ← **ხუკ-ი** „მჭლე, გამხდარი (საქონელი)“, იმერ.,
ჯავახ. **ხოკ-ი**, შდრ. საბასთან: **ხოკ-ი** „ღორთა და კამბემთ სენი“.

ს.-ქართვ. ***ხუკ-** „უმწეობა, ავადმყოფობა; საბყარი“ → ქართ. **ხოკ-ი** ||
ხმუკ-ი || ← **ხუკ-ი** : ზან. **ხუნკ-ი** ← **ხუკ-ი** : სვან. **ხუკჷ** ← **ხუკ-ი**.

სვან. **ჩჷ-**, **ამა-ჩჷ** ზს., ქს. „მტერი“, **ლ-ი-ამა-ჩჷ** ბზ., **ლ-შხ.**, **ლი-ამა-
ჩჷ** ბქ., **ლი-ამა-ჩჷ** **ლნტ.** „მტრობა“, **ი-ამა-ჩჷ** „იმტრობს“, **ხ-ე-ამა-ჩჷ** „ემ-
ტერება“.

ქართ. **ხვ-**, **ხუ-**ებ-ა „გაბრაზება“, **ხუ-**ობ-ს.
ზან. (მეგრ.) **ხვ-**, **ა-ხვ-ი-ენ-ს** „აბრაზებს, განარისხებს“.
ქართულ-ზანურ ფუძეთა ნათესაობა ადრეც იყო შენიშნული (რ.
აბაშია). რაც შეეხება სვანურ ერთეულს, იგიც (**ჩჷ-**) აქვე შემოდის; **ამა-**
პრეფიქსი ჩვეულებრივია სვანურში: **ამა-შტჷმ** || **ამა-შტჷამ** „მოსვენება“,
შდრ. **ლი-შტჷემ** „მოსვენება“...

რ ი ს ხ ვ ა / ბ რ ა ზ ი / მ ტ რ ო ბ ა სემანტემათა ერთიანობა ეჭვს არ
იწვევს.

ს.-ქართვ. ***ჩჷ-** „მტრობა, მტერი, განარისხება“ → ქართ. **ხვ-** : ზან.
ხვ- : სვან. **ჩჷ-**, **ამა-ჩჷ-**.

სვან. **ჩჷატ** || **ღჷატ** „დიდი წნელი, ჭოკი“.
ქართ. **ხალ-**, **ხალ-ი** || **ხალ-ა** „ჭოკი, გრძელი ჯოხი“.
ზან. **ჩოლ-ი** „ნიგვზის საბერტყი გრძელი ჯოხი“.
ქართული **ხალ-ი** ფუძის შესატყვისი ზან. **ხოლ-ი** (შდრ. **კალ-ი** :
კოლ-ი „კალია“) ფორმა შემოინახა რაჭულმა დიალექტმა.

ფორმალური თვალსაზრისით სვანური **ჩჷატ** → **ღჷატ** მეტ სხვაო-
ბას ავლენს. ვფიქრობთ, აქ უძველესი ფორმა **ხალ-ჷ** ტიპისა უნდა ყოფი-
ლიყო. იგი უფრო ქართული **ხალ-ა** სახეობისკენ იხრება (შდრ. ქართ.

ც ი ც - ა : სვან. ც ი ც - უ) — ქართ. ხალ-ა : სვან. *ხალ-უ → *ხად-უ → ხუად → ხუატ || ღუატ.

წარმოდგენილი შეპირისპირება შესაძლებელი ხდება ლ → დ პროცესის წყალობით სვანურში (იხ. აქვე, § 2. ლ → დ).

ს.-ქართვ. *ხალ-(ა) „ჭოკი; წნელი (გრძელი)“ → ქართ. ხალ-ი || ხალ-ა : ზან. ხოლ-ი : სვან. ღუატ || ხუატ ← *ხუად ← *ხალ-უ.

ს.-ქართვ. *ხალ-(ა) არქეტიპის შესატყვისებია: ბაცბ. ხენ, ინგ. ხე (მრ. რ. ხენ-აშ), ჩაჩნ. ხენ || ხან „ძელი, ხე“ ← ს.-ნახ. ხენ (→ ქართ. ხე), ანდ. ლ'უდი, ჭამ. ლ'უნნი, ლოდ. ლ'უდი, ტინდ. ლ'უმი || ლ'უდე, კარ. ლ'უდა, ბოთლ. ჰუდი || ჰურ, ახვახ. ლ'უდა ← ს.-ანდ. *ხული „შეშა“, ბეჟ. ხე-ხა „ხე“, ჰუნზ. ხო-ხე „ტყე“, რუთ. ხუ-ქ „ხე“...

სვან. ხუ-ერ- || ხუ-რ-, ხ-ე-ხუ-რ-ენ-ი (ან-ხუ-ერ-ნ-ი ზს., ეხ-ხუ-ერ-ნ-ი ლშხ.), ხ-ე-ხუ-ერ-ენ-ი ლნტ. „ენგრევა“, ი-ხუ-რ-ე ზს., ქს. „ინგრევა; იშლის (თმებს...)“.

ქართ. —.

ზან. (მეგრ.) ხუ- → || ხ-, ხ-უნ-ს „დაშლის“, ი-ხუ-აფ-უ(ნ) „იშლება, ინგრევა“, ი-ხ-უნ-ს (← ი-ხუ-უნ-ს) „იშლის (თმებს...)“, გო-ხ-ილ-ი „ჩამოშლილი“, თუმა-გო-ხ-ილ-ი „თმაგაშლილი“.

სვანური ძირი გართულებულია -ერ ზმნური სუფიქსით, რაც ბუნებრივია (იხ. აქვე, § 38). გამოყოფილი ხუ- იგივე ძირია, რაც ზანური ხ(უ-). ქართველურ ფუძეებს „დაშლის“ სემანტიკა აერთიანებს.

შესაბამისი ქართული ფუძე არ არის გამოვლენილი.

ს.-ქართვ. *ხუ- „დაშლა, ნგრევა“ → ქართ. — : ზან. ხ(უ-) : სვან. ხუ-ერ-.

სვან. ხუირ ზს., ქს. „ხვალი“.

ქართ. (ლექს.) ხვირ-ა „ხვალი კატა“.

ზან. (მეგრ.) ხვანჯ-ა „მამალი ღორი დაუკოდავი“.

ქართულსა და ზანურში (resp. მეგრულში) სიტყვის მნიშვნელობა დავიწროებულია: ხ ვ ა დ ი → ხ ვ ა დ ი კ ა ტ ა ; ხ ვ ა დ ი ღ ო რ ი.

მეგრულში ფონეტიკური ცვლილებები საგრძნობია: ხვანჯ-ა

← *ხვინჯ-ა ← *ხვიჯ-ა (შდრ. ქართ. ხვირ-ა).

ბოლოკიდური ა სვანურში მოკვეცილია (შესაძლებელია, არც ჰქონოდა).

ს.-ქართვ. *ხუირ-(ა) „ხვალი“ → ქართ. ხვირ-ა : ზან. ხვანჯ-ა ← ხვიჯ-ა : სვან. ხუირ.

სვან. **ხუ-ორ-** || **ხიუ-ორ-** || **ხი-ორ-** || **ხი-ორ-**, ა-**ხუ-ორ-** (ოთ-**ხიუ-ერ**, ად-**ხიუ-ორ-**) ბზ., ა-**ხი-ორ-** ლშხ., ა-**ხი-ორ-** ლნტ. „სიგრძეზე ხევს (ნაწლავებს)“, ლი-**ხი-ორ-** ბზ., ლშხ. ლი-**ხი-ორ-** „სიგრძეზე გახევა, გაჭრა“.

ქართ. **ხევ-ხივ-**, **ხევ-**ს, გა-**ხი-ა** (←გა-**ხივ-**ა).

ზან. —.

უფრო ძველი **ხიუ-** სახეობა ბალზემოურს შემოუნახავს (ად-**ხიუ-ორ-**), სხვაგან **უ** სემანტი დაკარგულია ისევე, როგორც ქართულის აორისტის წყებაში. სვანური **ხიუ-** საერთოქართველურ **ი** განმოვანებას ასახავს მაშინ, როცა ქართულში ორივე **ე/ი** საფეხური დასტურდება (-**ერ** სუფიქსზე იხ. § 38).

ფუძეები მნიშვნელობის მხრივ მინიმალურ სხვაობას აჩვენებენ, სვანურში ოდნავ დავიწროებულია სიტყვის სემანტიკა — ხ ე ვ ა → სიგრძეზე ხ ე ვ ა. აქ ძირად გამოყოფილი **ხეუ-/ხიუ-** შესაძლებელია ჩანდეს ზემოთგანხილულ ***ხუ-** „დაშლა, ნგრევა“ ზმნაში.

ს.-ქართვ. ***ხ-ეუ-/ხ-იუ-** „ხევა“ → ქართ. **ხევ-/ხი(ვ-)** : სვან. **ხუ-ორ-** || **ხი-ორ-** || ←***ხიუ-ერ-**.

ს.-ქართვ. **ხ-ეუ-/ხ-იუ-** ზმნურ ფუძეებს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: ხუნძ. **ბი-ვ-**, ანდ. **ვაბ-** (ვაბ-ვაშ-), ბოთლ. **ვაბ-**, ლოდ. **ვაბ-**, ჭამ- **ვა-დ-** (←ვაბ-დ-), ტინდ. **ვაბ-დო**, ბაგვ. **ვაბ-**, კარ. **ვაბ-** || **ვაბ-**, ახვან. **ვარ-** (←**ვაბ-რ-**) „გახევა; გაბობა“...

ვ

სვან. **კაბ-ჟ**, **კაბ-კაბ-წლ** ბზ., **კაბ-ჟ** ბქ., **ლნტ.**, **კაბ-კაბ-ელ** ლშზ., **კაბ-კაბ-ელ** ლნტ. „გულალმა, პირალმა“.

ქართ. **ყაფ-არ-ი**, **მ-ყაფ-არ-ი** „ამართული“, **მ-ყაფ-ი** „შელმართი (საბა)“.
ზან. —

ქართველურ მონაცემთა შედარებითი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ აქ ძირად ***ყაბ-** გამოიყოფა, რომელსაც ქართულში **ბ-**ს დაყრუებით **ყაფ-** მოუცია, ხოლო სვანურში **ყ** → **ვ** ფონეტიკური გარდაქმნის შემდგომ ეტაპზე **კაბ-** მივიღეთ (იხ. აქვე, § 34. **ყ** → **ვ**).

ფუძის სუფიქსაცია განსხვავებულია ქართველურ ენებში; **-ჟ** : **-არ** სხვადასხვა მონაცემი უნდა იყოს. მიმართების კვალიფიკაცია მხოლოდ ფუნქციურ-მორფოლოგიური ჩანს. ლაშურ დიალექტში მხოლოდ ფუძეგაორკეცებული ვარიანტი გვიდასტურდება.

სემანტიკურ-სტრუქტურული იგივეობა საგრძნობია. ამ ქართველური ძირის ეტიმონი **აღმა-**სი უნდა ყოფილიყო.

ს.-ქართვ. ***ყაბ-** „აღმა“ → ქართ. **მ-ყაფ-**, **(მ)-ყაფ-არ-ი** (←***ყაბ-**) : სვან. **კაბ-ჟ** || **კაბ-ელ** ←***ყაბ-**.

სვან.. **კამ-**, **კამ-შ-ა** ზს., ლშზ., **კამ-აშ-ა** ლნტ. „ძალა, ღონე, შეძლება“.

ქართ. **კან-**, **მ-კნ-ე** „შემძლებელი (საბა)“, **სი-მ-კნ-ე** „ძალა და შეძლება“.

ზან. —

სვანურში ისტორიულად მასდარული ფორმებია შემორჩენილი **-ეშ-**(ა) → || **-აშ-**(ა) ზმნური სუფიქსით გართულებული, რომელიც ქართულის მიმართ „ზედმეტად“ სხვაგანაც გამოჩნდება (შდრ. ქართ. **გაგ-** : სვან. **ჭ-ეშ-** (←***გ-ეშ-**) || **ჯ-ონ-** (ვ. თოფურია)). ***კამ-ეშ-ა** → || **კამ-აშ-ა** (**ე** → **წ** → **ა**) უკუმიმართულების უმლაუტი მასდარული **ა-**ს ზეგავლენით აიხსნება (მ. ქალღანი). **წ** → **მ** (**კან-** → **კამ-**) გადასვლისათვის იხ. § 13.

ამოსავალი ზმნური ძირი ქართულშიც განზოგანებული უნდა ყოფილიყო — ***კან-** → **კნ-**, ***მ-კან-ე** → **მ-კნ-ე**. საერთოქართველური ზმნური **კან-** ფუძე არ შემორჩენია ჩვენს ენებს. (ქართულ-ზანური ღონ- ხომ არ არის ***კან-**-ის ზანური ეკვივალენტი?).

სემანტიკის მხრივ იგივეობა უდაოა — ძ ა ლ ა , ღ ო ნ ე , შე ძ ლ ე - ბ ა .

ს.-ქართვ. ***კან-** „ძალა, შეძლება“ → ქართ. **კან-**, **მ-კნ-ე** : სვან. **კამ-შ-ა** || **კამ-აშ-ა** ←***კან-**ეშ-ა.

სვან. **ვასგ** ზს., ლშხ., **ვასკ** ლნტ. „ჭადარა“, **ვასგ-წრ** ბზ., **ვასგ-წრ** ბქ., **ვასგ-წრ** ლშხ., **ვასკ-წრ** ლნტ. „ჭადაროსანი“.

ქართ. **ვც-**, მ-**ვც-ე**, მ-**ვც-ოვ-ან-ი**.

ზან. (მეგრ.) **(რ)ჩ-ე** „თეთრი, ჭადარა“, **რჩ-ინ-უ** „მოხუცი“, დნ-**რჩ-ინ-უ** „დაბერდა“, ჰან. **ქჩ-ე** || **ხჩ-ე** „თეთრი“, **ქჩ-ინ-ი** || **ხჩ-ინ-ი** „დედაბერი“.

სვანურში ბოლოკიდური საერთოქართველური -**ე** აფიქსი დაკარგულია. ინლაუტური **ა** პროთეტული ხმოვანია. გაჩენილია ფონეტიკურ ნიადაგზე, **ვსგ** აქცესიური თანმიმდევრობის დასაძლევად (თუ ***ვსგე** → ***ვესგ** → ***ვასგ(?)**).

ქართველურ ენათა ბგერათმესატყვისობის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შეფარდება ქართ. **ც** : სვან. **სგ** (←***ცქ**) — ს.-ქართვ. **ც**.

ს.-ქართვ. ***ვც-ე** „თეთრი, ჭადარა“ → ქართ. **ვც-**, მ-**ვც-ე**, მ-**ვც-ოვ-ან-ი** : ზან. **(რ)ჩ-ე**, **რჩ-ინ-უ**; **ხჩ-ე** || **ქჩ-ე**, **ხჩ-ინ-ი** || **ქჩ-ინ-ი** (←***ვჩ-ე**, ***ვჩ-ინ-**) : სვან. **ვასგ** || **ვასკ** ← **ვასქ** ←***ვაცქ-ე**.

სვან. **ვად** (**ვადჷ**-ემ ბქ.) ზს., ლნტ., **ვად**, **ვად-ილ** (კნინ.) ლშხ., **ვად-ილ** (კნინ.) ლნტ. „მუცელი“.

ქართ. (ქართლ., ქიზიყ.) **ღენდერ-ი** „ლიბი“, **ღენდერ-ა** „ლიბიანი“.

ზან. **ქენდერ-ი**¹ (?).

საერთოქართველური არქეტიპი ***ვედ-** უნდა ყოფილიყო. **ნ** ფონეტიკური დანართია ქართულ დიალექტებში, ხოლო **-ერ** — საკუთრივ ქართული სადერივაციო აფიქსი. რომელსაც ფუნქციურად **-ჷ** შეეფარდება სვანურში, ამ უკანასკნელს მიეწერება **ე** → **ა/ა** უკუმიმართულების უმლაუტი სვანურში (მ. ქალდანი).

ახსნას ითხოვს სვან. **ვ** : ქართ. **ღ** მიმართებაც. სავარაუდოა **ვ** → **ღ** ქართულში, შდრ. ქართ. **ვ** უ ე ზ - ა || **ღ** ვ ე ზ - ე / ი ლ - ი : ზან. **ხოზ** - ო.

ქართული ენის რაჭულ დიალექტში შემონახული ჩანს ზემოხსენებულ ქართველურ ფუძეთა ზანური ეკვივალენტი, რადგანაც **ვ** → **ქ** ტიპის გარდაქმნა მხოლოდ ზანური დიალექტებისთვის არის დამახასიათებელი, შდრ. **ვეარბალ-ი** || **ვორბალ-ი** : ზან. **ქოვალ-ი** || **ქობალ-ი**, **ვოც-** : **ქოს-...** ასევე **ვენდ-ერ-ი** : **ქენდ-ერ-ი**.

ს.-ქართვ. ***ვედ-** „ლიბი, მუცელი“ → ქართ. **ღენდ-ერ-ი** ←***ვედ-ერ-ი** : ზან. **ქენდ-ერ-ი** (←***ქედ-არ-ი**)¹ : სვან. **ვად-** || **ვად-ჷ** ←***ვედ-ჷ**.

¹ იქნებ ს.-ქართვ. ***ვედ-**ის კვალი ჩანდეს ზანურ **ქორბა** || **ქორა** „მუცელი“ სიტყვაშიც (←***ქოდბა?**), შდრ. **ქოთმე** → **ქორმე** „ქათამი“, დ/თ → რ ბაგისმიერების წინ ზანურში.

სვან. **კაფჷ** ზს., ლნტ. **კაფ** ლშხ. „ღრუ (პირის)“, ბქ., ლშხ. „შე-
ჭრილი, გულამოღებული“.

ქართ. (თუშ.) **კვაფ**-ი „ჩარმავებული ადგილი“, ხევს. **კვაფ**- „ამო-
ღრმავებული“, მოხ. **კოფ**-ი „ორმო“, ფშ. **კვამფ**-ი „ჩარმავებული ადგილი“.

ზან. (მეგრ.) **ხვიპ**-ი „ღრმა“, **ხვიპ**-ი სენი „ღრმა თეფში“, **ხვიპ**-ია
„ზოგადად ღრმა ჭურჭელი“, **ხოპ**-ი || **ხოფ**-ი || **ხოპ**-ი (ტოპ.), **ხოპ**-წყარ-ი
„ხოპის წყალი (ჰიდრ.)“, ჭან. **ხოფ-ა** (ტოპ.).

ქართველური ფუძეებისთვის ძირითადია ამოღრმავებულის, ღრმას
შინაარსი. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ლექსემათა შესიტყვების დონეზე —
შდრ.: ხევს., თუშ. **კვაფ** კოზი „ამოღრმავებული კოვზი“ : ზან. **ხვიპ**-ი
კვზი „ამოღრმავებული კოვზი“...

სვანურში შეინიშნება **ჟ**-ს მეტათეზისი, ლაშხურში ის საერთოდ გა-
უჩინარდა: სვან. ***კჟაფ** → **კაფ** || **კაფჷ**.

მეგრულში მკლავნდება **ვა** : **ო** → || **ვი** : **ხვაფ** → **ხოფ** → **ხვიფ** ||
ხვიპ-. აქვე საცნაური ხდება ტოპონიმ **ხოპ**- || **ხოფ**- || **ხოპ**-ის წარმომავ-
ლობა. იგი ისტორიულად ჩარმავებულ ადგილს აღნიშნავდა, ხოლო **ხოპ**-
წყარ-ი „ხოპის წყალი“ — ღრმა მდინარეს (შდრ. ჭან. **ხოფ-ა** (ტოპ.)).

ს.-ქართველ. ***კჟაბ**- „ღრმა, ჩარმავებული; ღრუ, ორმო“ → ქართ.
კჟამფ-ი || ← **კჟაფ**-ი → || **კოფ**-ი : ზან. **ხვიპ**-ი || ← **ხოპ**-ი || **ხოფ**-ი ||
ხოპ-ი : სვან. **კაფ** || **კაფჷ** ← ***კჟაფ**.

სვან. **კაშ-ჷ** ბქ., ლნტ., **კაშ** ლშხ. „ზვინი (სარიანი)“, „ჩხა, ორკაპა
სარი ს ა კ ი დ ლ ა დ“.

ქართ. **ყეს**-, მ-ყეს-ი.

ზან. (მეგრ.) **ყაშ**-, **ყაშ**-ჷ-ა, დო-**ყაშ**-ინ-ი „წინდვა, გადაწინდვა ვაზი-
სა“, „ღარგვა“, „დამაგინება“.

ქართ. მ-ყეს-ი ნახმნარი ფუძეა, ძირია **ყეს**- „მოხმის, დამაგრების“
მნიშვნელობით (მსგავსი წარმოებებისთვის შდრ. ქართ. ***ყენ**- → მ-**ყენ**-ი →
მ-**ყენ**-ობ-ა : ზან. **ყონ**-).

სვან. **კაშ-ჷ** → || **კაშ** : ქართ. მ-ყეს-ი მორფოლოგიური მიმართე-
ბისთვის სხვა მასალაც მოიძებნება, შდრ. სვან. **ყაბ-ჷ** || **კაბ-ჷ** : ქართ.

მ-ყაფ-ი. აქ -**ჷ** (← **ო**) სუფიქსის ქართულის **მ**- პრეფიქსის ფუნქციურ
შესატყვისობაზე შეიძლება საუბარი — სვან. **კაშ-ჷ** ← ***კეშ-ჷ** (მ. ქალდა-
ნის წესის მიხედვით).

ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს ქართ.-ზან. **ყ** :
სვან. **კ** შეფარდების რეალურობას (იხ. აქვე, § 34).

საერთოქართველური **ყეს**- ფუძისთვის დამახასიათებელი იყო **მ** **ო** -
ბ **მ** **ი** **ს**, **მ** **ო** **კ** **ი** **დ** **ე** **ბ** **ი** **ს**, **დ** **ა** **მ** **ა** **გ** **რ** **ე** **ბ** **ი** **ს** შინაარსი.

ს.-ქართვ. ***ყეს-** „მობმა, მოკიდება, დამაგრება“ → ქართ. **ყეს-**,
მ-**ყეს-** : ზან. **ცაშ-** : სვან. **კაშ || ← კაშ-ჟ ←*კეშ-ჟ.**

სვან. **კან-** || **კან-** || **კან-**, ხ-**კან** ზს., ლშხ., ხ-**კან** ლნტ. „სუნი
სცემს“, ხ-**კან-**ე ბზ., ლშხ., ხ-**კან-**ე ბქ., ხ-**კან-**ე ლნტ. „სუნს უდენს“,
ხ-**კან** ზს., ქს. „სუნი ასდის“, ლი-**კან-**ე ბზ., ლშხ., ლი-**კან-**ე ლნტ., ლი-
კან-ე ბქ. „სუნის დენა, ყროლა“.

ქართ. **ყარ-** || **ყრ-**, **ყარ-**ს, ა-**ყრ-**ოლ-ებ-ს, მ-**ყრ-**ალ-ი.

ზან. (მეგრ.) **ცორ-**ად-/**ცორ-**იდ-, **ცორ-**იდ-უნ-ს „აღპობს, აყროლებს“,
ცორ-ად-ილ-ი „დამპალი, მყრალი“, **ცორ-**დ-ჟ(ნ) „ლპება“.

ბგერათმეფარდება სვან. **კ** : ქართ. **ყ** სვანურის ნიდაგზე აიხსნება —
ყ → **კ** (შდრ. **ყ** || **კ** სუბსტიტუცია თვით სვანურში: ფ ა **ყ** ჟ შ ი რ ბზ.,
ფ ა **ყ** შ ჟ ი რ ლხმ., მაგრამ ფ ა **კ** შ უ რ ლშხ. „ზერეღე“, სვან. დ ა **ყ** ჟ
|| დ ა **კ** ჟ „ჩაწეული ადგილი“. **ყ** : **კ** შეფარდების შესახებ იხ. § 34).

აუსლაუტური ქართ.-ზან. **რ** : სვან **ნ** გულისხმობს **ნ** ← **რ** წარმო-
მავლობას სვანურში (შდრ. **ჯარ-**ი : **კან**, იხ. § 17).

ს.-ქართვ. ***ყარ-** „ყროლა, სუნის დენა“ → ქართ. **ყარ-** || **ყრ-**, მ-**ყრ-**
ალ-ი, **ყრ-**ოლ-ა : ზან. **ცორ-**, **ცორ-**იდ-/**ცორ-**ად-/**ცორ-**დ- : სვან. **კან-** || **კან-** ||
კან- ←***ყარ-**.

სვან. **კემად** ბზ., **კემად** ბქ., **კემეტ** || **კემად** || **კემად** ლშხ., **კემანტ**
ლნტ. „მშვილდი“.

ქართ. **ყოდალ-ი** → || **კოდალ-ი** „ისარი“.

ზან. —.

სვანურისთვის უძველესია ***კუდამ** არქეტიპი, რომელიც ასახავს საერ-
თოქართველურ ***ყოდალ-** ფორმას **ლ** → **მ** გადასვლით (იხ. § 4) და **ყ** → ||
კ სუბსტიტუციით (იხ. § 34).

სემანტიკური მიმართება მ შ ვ ი ლ დ ი ~ ი ს ა რ ი ბუნებრივია,
რადგანაც უძველეს ეპოქაში საერთოქართველური ***ყოდალ-** შეითავსებ-
და მთლიანად „მ შ ვ ი ლ დ - ი ს რ ი ს“ ცნებას.

ს.-ქართვ. ***ყოდალ-** „შვილდ-ისარი“ → ქართ. **ყოდალ-ი** → ||
კოდალ-ი : სვან. **კემად** || **კემედ** || **კემად** ←***კოდამ**.

სვან. **კერ** || **კერ** ბზ., ბქ. „სამკლავე, სახელური, ტარი“.

ქართ. **კერ-**, **კერ-**ი „რტო“, შვიდ-**კერ-**ი „შვიდრტოედი (საბა)“.

ზან. —.

მნიშვნელოვანია შესატყვისობა სემანტიკურ დონეზე : ქართ. რ ტ ო
|| შ ტ ო ~ სვან. სახელური, ტარი, რომლისთვისაც ეტიმონურია
შტოს (გამოშვებლის) შინაარსი.

კონსონანტთა ამ რიგში იდენტური კორესპონდენციები ბუნებრივია —
ქართ. **ჭ** : სვან. **ჭ**, ქართ. **რ** : სვან. **რ**. ასახსნელია **წ**-ს სიგრძე ბალსზემო-
ურში. იქნება სახელობითის **ი** ისტორიული ბრ. ნიშნის კვალი იყოს.

ს.-ქართვ. ***ვერ-** „შტო, შვერილი, სახელური“ → ქართ. **ვერ-** :
სვან. **ვერ** || **ვერ**.

სვან. **ვეფ-** || **ვეფ**, **ვეფი** „იკბინება“, ლი-**ვეფ** „კბენა“, ხ-**ვეფ** (პთ-
ვეფ-ნი) ზს., ლშხ., ხ-**ვეფი** ლნტ. „კბენს“, მგ-**ვეფ**-ია ზს., ლშხ., მგ-**ვეფ**-
ია ლნტ. „კბენია“.

ქართ. **ვეფ**, **ვეფ**-ს, მ-**ვეფ**-არ-ი, მ-**ვეფ**-ია || **ვეფ**-ია.

ზან. —.

სვანურში **-ეფ** ზმნურ სუფიქსად გამოიყოფა —**ვეფ**, შდრ. სვან.
ვეშელ-ე „ყეფს“, ლი-**ვეშელ** ზს., ლი-**ვეშელ**-ე ლნტ. „ყეფა“.

ე ↔ **ვე** გადასვლა აქაც უეჭველია (იხ. § 34).

ს.-ქართვ. ***ვეფ** „ყეფა, კბენა“ → ქართ. **ვეფ** : სვან. **ვეფ**.

ს.-ქართვ. ***ვეფ** ხმაბაძვით ფუძეს შეესატყვისები ეძებნება მონათე-
სავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: ხუნდ. **ჰაფ**, კარატ. **ჰაბ**, ტინდ. **ჰაბ**,
ბაგვ. **ჰაბ**, ბოთლ. **ჰაბ**, ჰინუხ. **ჰაფ**, დარგ. **ღამფ**, ლაკ. **ჰაფ**, არჩიბ.
ჰამფ „ყეფა“...

სვან. **ვეშღან** || **ვეშღან**, ი-**ვეშღან**-ი ბზ., ი-**ვეშღან**-ნი ბქ., ი-**ვეშღან**-ე
(ოხ-**ვეშღან**) ლშხ. „ღრღნის, ხრავს“, ლი-**ვეშღან**-ი ბზ., ლი-**ვეშღან**-ი ბქ.,
ლი-**ვეშღან**-ე ლშხ. „ღრღნა, ხრა“.

ქართ. **ვეურთნ**, **ვეურთნა** „თრგუნვით ლეწა (საბა)“; „სრესით
მტვრევა“, [და-]ჰ-**ვეურთნ**-იდ-ეს.

ზან. —.

სვანურში **ჟ** ბილაბიალი დაკარგულია, რისის კვალიც ჩანს ფუძისე-
ული **წ** ხმოვნის სიგრძეში — **ვეშღან** → **ვეშღან**.

საერთოქართველურ **თ**-ს სვანურში **შღ** შეეფარდება, რაც უეჭველს
ხდის ამ ფუძეთა საერთოობას.

სემანტიკური სხვაობა: „მ ტ ვ რ ე ვ ა, ღ რ ღ ნ ა, გ ა მ ო ხ რ ა“,
ვფიქრობთ, წინააღმდეგობას ვერ შექმნის.

ს.-ქართვ. ***ვეუ(ს)თ-ან** „ღრღნა, გამოხრა; მტვრევა“ → ქართ.

ვეურთან : სვან. **ვეშღან** || **ვეშღან** ← ***ვეშღან**.

სვან. **ვერ-** || **ვირ-** || **ვერ-**, **ვერ-**-ი (ო-ვერ ბქ.) ზს., ლშზ., **ვერ-**-ენ-ი ლნტ. „ცვეღება“, **ვირ-**-ე ზს., **ვერ-**-ე ლშზ., ლნტ. „ცვეთს“, ლი-ვერ- ზს., ლშზ., ლი-ვერ-ე ლნტ. „ცვეთა“.

ქართ. **ვეც-**, **ვოც-**, მ-ვეც-ი, ნა-მ-ვეც-ავ-ი, **ვოც-**-ვა, **ვოც-**-ავ-ს, სა-**ვოც-**-ი (პირ-სა-**ვოც-**-ი, ხელ-სა-**ვოც-**-ი...).

ზან. **ხუშ-**, **ხუშ-**-უნ-ს „ვეის“, **ხუშ-**-უ-ა „ხოცვა, დაგვა“, ო-**ხუშ-**-ალ-ი „ცოცხი“.

მეგრული **ხუშ-** (←***ხურ-**) ძირი სამართლიანად არის დაკავშირებული ქართულ **ვოც-** ზმნურ შესატყვისთან (არნ. ჩიქობავა). ზანური ქოს- „გვა“ ზმნა ქართულიდან შეთვისებული **ვოც-** არის — **ვოც-** → **ქოს-**. სა-მეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია აზრი მ-ვეც-ისა და **ვოც-**-ის სა-ერთო წარმომავლობის შესახებ (კ. შმიდტი). საერთოქართველურ სიტყვა-თა ამავე რიგში შემოგვყავს სვანური **ვერ-/ვირ-** „ცვეთა“ ზმნა, რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ქართული **ვეც-** (მ-ვეც-ი) ძირისა. მნიშვნელო-ბის ცვლა ხოცვა → ცვეთა მიმართულებით ცნობილია ჩვენს ენებში — შდრ. ქართ. **სარ-** „სრვა“ → ზან. **შერ-** || **შირ-** „ცვეთა“. პრობლემური ჩანს, ერთი შეხედვით, შესატყვისობა ქართ.-სვან. ე : ზან.

უ (← ო). მსგავსი შესატყვისობები ქართველოლოგიაში ახსნილია რო-გორც ა : ო კორესპონდენციის შემდგომი საფეხური, ე. ი. ქართ. ა → ე (გ. მაჭავარიანი). ამგვარ დაშვებას ეხმიანება ქართ. **ვაც** → სვან. **ვაც-** || **ვაც-** ზმნური ძირი, რომელიც უძველეს ნასესხობას წარმოადგენს, მანამ-დელს, ვიდრე ა → ე განხორციელდებოდა ქართულში; შდრ. სვან. ა-**ვაც-**-ე ზს., ლშზ., ა-**ვაც-**-ე ლნტ. „ღუპავს“.

ს.-ქართვ. ***ვაც-** „ხოცვა; ცვეთა“ → ქართ. **ვეც-/ვოც-**, მ-ვეც-ი, **ვოც-** : ზან. **ხუშ-** ← **ხორ-** : სვან. **ვერ-** || **ვერ-/ვირ-** ←***ვაი-/ვირ-**.

სვან. **ვერ-** || **ვერ-**, **ვერ-**-ი ბზ., **ვერ-**-ი ბქ., ლშზ. „ყური, კიდე“. ქართ. **ყურ-**-ე. ზან. (მეგრ.) **ყურ-**-ე „მხარე“, ჩქიმ-**ყურ-**-ე „ჩემს მხარეს“, სქან-**ყურ-**-ე „შენს მხარეს“.

სვანურში უ-ს დაშლამ (უ → უი), შემდგომ კი მისი ლაბიალური სეგმენტის მოშლამ, კვალი დატოვა ძირისეული ხმოვნის სიგრძის სახით — ქართ. **ყურ-**-ე : სვან. ***ვურ-**-ი → ***ვური-**-ი → ***ვური-**-ი (დისიმილაციით ო — ი → ე — ი) → **ვერ-**-ი → || **ვერ-**-ი (შდრ. ძვ. ქართული მ-**ვარ-**-ე).

ბოლოკიდური -ი სვანურში არამხოლოდ მორფოლოგიურ-ფუნქციური შესატყვისია ქართულ-ზანური -ე სადერივაციო სუფიქსისა.

ყ → ვ ამ ფუძეშიც საცნაურია (იხ. § 34).

ს.-ქართვ. *ყურ-(ე) „კიდე, ყურე, მხარე“ → ქართ. ყურ-, ყურ-ე :
ზან. ღურ-ე : სვან. კერ-ი || კერ-ი ←*კურ-ი.

სვან. კოჲ ბზ., კოჲ ბქ. „შეშის ან ყავრის წყობა“.
ქართ. ხორ-ა „შეშის ზვინი (საბა)“.
ზან. «ხოჯ-ი».

სვანური ფორმები ზანურ წარმომავლობას ჰგულისხმობენ. სვანაირ-
ად აუხსნელი გვრჩება ქართ. რ : სვან. ყ შეფარდება აუსლაუტში. რ → კ
მხოლოდ ზანურის ფონეტიკით აიხსნება (გ. როგავა) — ხორ-ი → ხოჯ-ი.
სხვა საკითხია ხ → კ აფრიკატიზაციის შემთხვევები სვანურში, რაც ნა-
სესხებ სიტყვებში ფონემათა არაადეკვატური აღქმით აიხსნება, შდრ.:
ქართ. ხარდან → სვან. ვარდან, მეგრ. ხურუ → სვან. ვურუ „ხვრელი“...
საკუთრივ სვანური შესატყვისი უნდა ჩანდეს შემდეგ სვანურ სი-
ტყვებში: ლუ-ხორ „შეკრება“, ხორ-ეჲ ზს., ხორ-აჲ ლნტ., ხორ-აჲ ლშხ.
„გროვა, ხორა; კრებული“...

ს.-ქართვ. *ხორ- „შეკრება; ხორა“ → ქართ. ხორ-ა : ზან. «ხოჯ-ი» :
სვან. ხორ-.

სვან. კულ „თავხუა (სიმინდის ტაროს სოკო)“.
ქართ. კუვილ-ი „თავთავი“.
ზან. ხვი(რ)-ხვილ-ი „კვირტი, ყვაილი“.

„თავხუა“-ს გაგება სვანურში მეორეული ჩანს. უფრო ძველად
კულ ალბათ ტაროს თუ აღნიშნავდა. თავთავი ~ ტარო სემან-
ტიკური შეფარდება სავსებით ბუნებრივია. ტარო → თავხუა
მნიშვნელობის დავიწროებას სვანურში ხელი შეუწყო ქართულიდან შესუ-
ლი ტარო სიტყვის გაბატონებამ.

პრობლემურია ფორმალური მიმართებაც — კუვილ : კულ. ვი
თანმიმდევრობის ჩავარდნას სვანურში ვერ დავუშვებთ. ამგვარი განვითარ-
ება პროცესისა უკვალოდ არ ჩაივლიდა. მხედველობაშია ხმოვნის და-
გრძელება დაკარგული მარცვლის საკომპენსაციოდ — უ ⇄ უ. გადამწყვე-
ტი მნიშვნელობისაა ზანურის ჩვენება, რომელიც სვანური ფორმის პრიმა-
რობას უჭერს მხარს — კულ : ხვი(რ)-ხვილ- (რედუბლ.) და ქართულის-
თვის *კულ-ივ- არქეფორმას გვაგვარაუდებინებს, შდრ. ყულ-ივ-ი „მხრის
ძვალი“...

ს.-ქართვ. *კულ- „თავთავი“ → ქართ. კუვილ-ი (←*კულ-ივ-ი) :
ზან. ხვი(რ)-ხვილ-ი (←*ხულ-ხულ-ი) : სვან. კულ.

ს.-ქართვ. ***გულ-** „თავთავი“ სიტყვის შესატყვისებია: ხუნძ. **ტორ** || ← **ტ'ორი** (ჰიდ.), ანდ. **ტ'ორა**, კარ. **ტ'არა..**, ახვან. **ტარა** || ← **ტ'არა**, დიდ. **ტარა**, ჰინ. **ტერა**, ხვარშ. **ტალა**, ბეჟ. **ტერა**, ჰუნზ. **ტერა** || **ტელა**, დარგ. **ლუგი** ← **გული**, ლაკ. **ჭალი** ← **ჯალი**, არჩიბ. **ლოქ** ← **ქოლ**, ლეზგ. **ყილ**, თაბას. **კულ**, რუთ., წახ. **გგტ** ←***გუდ** ←***გულ**, ხინ. **კილ** „თავთავი“...

სვან. **კუმდ-** || **კუმდ-**, მა-**კუმდ-აგ** || მა-**კუმდ-აგ** „ბარკალი, ბარძაცი“. ქართ. **კურთ-ი/ა** „სილა, მჭილი“.
ზან. —.

სემანტიკური მიმართება სილა, მჭილი ~ ბარკალი, ბარძაცი ამოსავალში წიხლის ეტიმონურ შინაარსზე უნდა მეტყველებდეს.

სვანურში ძირად **კუმდ-** ←***კუმთ-** სეგმენტი გამოიყოფა; **მა-** იგივე პრეფიქსია, რაც სხვა სომატურ სახელშიც დაჩნდება, შდრ.: ქართ. **კელ-ი** „ხელი“ : ზან. **ხუ-** : სვან. **მწ-კწლ**, **კწლ** || **კალ** „მხარი“ (სვან. **-აგ** || **-აქ** სუფ. იხ. აქვე).

***კუმთ-/კურთ-** შეპირისპირებაში სვან. **შთ** : ქართ. **რთ** მიმართება დაჩნდება, რაც **სთ** → **რთ** (შდრ. სთუელ-ი → რთველ-ი...) პროცესს ვარაუდობს ქართულში.

ს.-ქართვ. ***კუსთ-** „წიხლი, ბარკალი (მჭილი)“ → ქართ. **კურთ-ი/ა** : სვან. **კუმდ-** || **კუმდ-** ←***კუმთ-**.

სვან. **კუამ** (ნათ. ბრ. **კუამ-წ-შ**) ზს. „ბუჩქი, ჩირგვი“. ქართ. (ლექს.) **ხვილე** „ჩირგვი“.
ზან. —.

სვანურში ბოლოკიდური ფუძისეული **ა** მოკვეცილია, მაგრამ ნათ. ბრ. ფორმაში ისტორიული **ა** ხმოვანი დაცულია: **კუამწ-შ** ←***კუამა-იშ**. მომდევნო **ა**-ს პოზიციური ზემოქმედებით ფუძის ინლაუტში **ი** → **ე** → **წ** → **ა** უკუმმართულების უმლაუტი განხორციელდა. თუ გავითვალისწინებთ **ლ** → **მ** (იხ. აქვე, § 4) გადასვლის შესაძლებლობას სვანურში, გამოდის, რომ ამოსავალში ***კუილ-ა** არქექტიპი არსებობდა ლექსუმური **ხვილე**-ს შესატყვისად — სვან. **კუამ-ა** ← **კუწლ-ა** ←***კუელ-ა** ←***კუილ-ა** : ქართ. ***კუილ-ა-ა** → ლექს. **ხვილ-ა-ა** → **ხვილ-ე**.

სემანტიკური იდენტურობა ქართველურ ენებში კიდევ უფრო ამაგრებს ზემოთაღწერილ ფუძეთა საერთო წარმომავლობის შესაძლებლობას.

ს.-ქართვ. ***ჭუილ-ა** „ბუჩქი, ჩირგვი“ → ქართ. **ჭუილ-ა-ფ** → ლეჩხ.
ხვილ-ა-ფ → **ხვილ-ფ** : სვან. **ჭუამ** || **ჭუამ**- ←***ჭუნალ-ა** ←***ჭუნელ-ა**
 ←***ჭუილ-ა**.

სვან. **ჭუამ**-, **ხ-ო-ჭუნამ**-ი ბზ., **ხ-ო-ჭუნამ**-ი ბქ., **ხ-ო-ჭუნამ**-ე ლშხ.
 „გადა-ულოცავს“, **ლა-ჭუნამ** ბზ., **ლა-ჭუამ** ლშხ., **ლნტ.**, **ლა-ჭუმ**-ი ბქ.
 „ეკლესია“, **მა-ჭუნამ** ბზ., **მა-ჭუამ** ბქ. „მადლობა“, **მა-ჭუმ**-წრ ბზ., **მა-ჭუმ**-
 წრ ბქ. „მადლობელი, მადლიერი“.

ქართ. **ჭამ-ა**, **ჭამ**-ობ-ა, **ჭამ**-ევ-ა „დახმარება“ **სა-ჭამ**-ევ-ელ-ი, **სა-ჭამ**-არ-ი
 „შესაწევნელი (საბა)“.

ზან. **ხომ**- || **ხვამ**-, **ხომ**-ა → || **ხუმ**-ა „ხმა“, **ხვამ**-ა „ლოცვა“, **დო-**
ხვამ-ა „გადალოცვა“, **ა-ხვამ**-ან-ს, **ი-ხვამ**-ან-ს „ილოცავს“ „გადაულოცავს“,
ხვამ-ან-ს „ლოცავს“, **ხვამ**-ერ-ი „დალოცვილი“, **ო-ხვამ**-ერ-ი || **ო-ხვამ**-ირ-ი
 „დასალოცი, ლოცვა“, **ო-ხვამ**-ე „ეკლესია, სალოცავი“, **ო-ხვამ**-უ || **ო-ხომ**-უ
 „ლოცვა“, **ო-ხომ**-ალ-ა „სალოცავი“.

ცხადია, **ლოცვა** / **დალოცვა**, **სალოცავი** = **ეკლე-**
სია სემანტიკებს საფუძვლად **ხმ-ა** / **ხმ-ობ-ა** სემა დაედო. საინტე-
 რესოა, ქართული **მო-ი-ჭმ-ობ-ს** / **მო-ი-ჭმ-ევ-ს**, რომელიც ერთდროულად
 „მოხმობასაც“ აღნიშნავს და „დახმარებასაც“ ანუ „მოხმობას დასახმარებ-
 ლად“, ე. ი. მოიხმობს, რათა დაიხმაროს; სწორედ აქედან განვითარდა შე-
 მდგომში **ლოცვის** მნიშვნელობა, შდრ. ლათ. *orāre* „თხოვნა, თქმა,
 ლოცვა“ → *orāculum* „ღმერთების მისამართი ადგილი“, რუს. *орать* „დახი-
 ლი, ყვირილი“...

ქართველურ ფუძეთა შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო-
 ქართველურისთვის აღვადგენთ **ჭუამ**- არქეტიპს, რომელიც სვანურის (ბქ.)
 თანამედროვე მდგომარეობას ემთხვევა. ქართულში რედუცირებული ფუ-
 ძეები დასტურდება — **ჭუამ**-ა → **ჭამ**-ა...

ამოსავალ **ჭა** თანმიმდევრობას ზანურში **ო** (→ || **ვა**) || **უ** მოუცია,
 რაც კანონზომიერია.

ს.-ქართვ. ***ჭუამ**- „ხმა, მოხმობა“, „ლოცვა“ → ქართ. **ჭამ**-ა, **ჭამ**-ევ- ||
ჭამ-არ : ზან. **ხომ**- → || **ხვამ**-, **ხუმ**- : სვან. **ჭუნამ**- || **ჭუნამ**- || **ჭუნამ**- ||
ჭუამ-.

ს.-ქართვ. ***ჭუამ**- არქეტიპის კანონზომიერი შესატყვისებია: აფხაზ. **ჭო**-,
 ა-**ჭო**-არა „თქმა, თხოვნა/ხვეწა, ლოცვა“, ნახ. **მოჭ** „ჰანგი, ლექსი, სიმღერა“...

სვან. **ჭუასგ**- || **ჭუასკ**-, **ჭუესგ**- || **ჭუესკ**-, ხ-ე-**ჭუესგ**-ენ-ი/ლ-ხ-**ჭუესგ**-
ნ-ი ბზ., ათ-**ჭუასგ** ბქ., ლე-ხ-**ჭუასგ** ლშხ.) ხ-ე-**ჭუესკ**-ენ-ი (ათე-**ჭუასკ**)
ლნტ. „მიეპარება“, **ჭუესგ**-ნ-ი ზს., **ჭუესგ**-ენ-ი ლშხ., **ჭუესკ**-ენ-ი ლნტ.
„გაიპარება, მიიპარება“, ლი-**ჭუესგ** ზს., ლი-**ჭუესკ** ლნტ. „მიპარვა“.

ქართ. **ხუაშ**-, **ხვაშ**-იად-ი „საქმე დაფარული სახორციელო“,
„საქმე დაფარვითი (საბა)“.

ზან. —.

ქართულში **ხვაშ**- ძირად არის გამოსაყოფი; -ი-ად გავრცელებული
სადერივაციო აფიქსია ქართულში: ძნ-ი-ად-ი, ვმ-ი-ად-ი, წყვდ-ი-ად-ი,
ზვ-ი-ად-ი...

ქართველურ ფუძეთა შინაარსობრივი იგივეობა ადვილი დასანახია —
გ ა პ ა რ ვ ა , დ ა ფ ა რ ვ ა → ს ა ი დ უ მ ლ ო , დ ა ფ ა რ უ ლ ი .

საინტერესოა სვან. **ჭ** : ქართ. **ხ** შეფარდება, სადაც ქართულის ვი-
თარება მეორეულად გვეჩვენება —ქართ. **ხუაშ**- ←***ჭუაშ**- (შდრ. სვან.
ჭუასგ/კ ←***ჭუაშგ/კ**- (**სგ** || **სკ** ← **შგ** || **შკ**)) ისევე, როგორც ქართ.
ლხუ- ←***ლჭუ**- : სვან. **ლაჭუ/ლეჭუ**- „ლხობა“...

ს.-ქართვ. ***ჭუაშ** „საიდუმლო, დაფარული; დაფარვა (პარვა)“ →
ქართ. **ხვაშ**-, **ხვაშ**-იად-ი (←***ჭუაშ**-იად-ი): სვან. **ჭუესგ**- || **ჭუესკ**- ||
ჭუასგ/კ- ←***ჭუაშქ**-.

სვან. **ჭუილ-ა** ზს., ქს. „ყორე“.

ქართ. **ყორ**- „აღყორვა“, **ყორ-ე**.

ზან. (მეგრ.) **ყორ**-, **ყორ**-უ-ა „აღყორვა“.

ქართულ-ზანურ ფუძეთა შეპირისპირება ცნობილია (ჰ. ფენრიხი).
ჩვენი დაკვირვებით, შესაძლებელი ჩანს სვანური **ჭუილ-ა** ლექსემის სი-
ტყვათა ამ რიგში შემოტანა. მით უფრო, რომ ქართ. **ყ** : სვან. **ჭ** ბუნებ-
რივია — **ყ** → **ჭ** (იხ. § 34) ისევე, როგორც **რ** → **ლ** (იხ. აქვე, § 16)
სვანურში.

ამრიგად, ქართულ **ყორ**-ე ფუძეს სვანურში შეესატყვისებოდა ისტო-
რიული **ჭორ**-ე არქეტიპი, საიდანაც თანამედროვე **ჭუილ-ა** განვითარდა.

ს.-ქართვ. ***ყორ**-(ე) „ყორვა, ყორე“ → ქართ. **ყორ**-, **ყორ**-ე : ზან.
ყორ- : სვან. **ჭუილ-ა** (←***ჭორ**-ა).

ჭ

სვან. **ჯაბ** || **ჯუაბ** ბქ., ლშხ. „ბეჭედი, დამლა“.

ქართ. **ძივ-**, **მ-ძივ-**, **ძვ-**ინ-ი „შანთი“.

ზან. (მეგრ.) **ძი-**ა „მძივი“.

სხვაობა მნიშვნელობის დონეზე ბეჭედი, დამლა ~ მძივი ადვილად აიხსნება, თუ დავუშვებთ, რომ „დამლა“ საქონელზე დაკიდებული განმასხვავებელი ნიშნის მოვალეობას ასრულებს, ფაქტიურად იმასვე, რასაც — მძივი.

მეგრულში ფუძე გასისინებულია (**ჭ** → **ძ**), რაც ჩვეულებრივი პროცესია (შდრ. ჭან. **ჩხორტ-** → || მეგრ. **ცხონტ-** || **ცხოტ-** „ჩამოკაფვა“) — **ძი-ა** ← ***ჯივ-ა**. სვანურში შიშინა **ჭ** სიტყვის თავში შენარჩუნებულია. ასახსნელია ფუძის გამომვანება — ქართ. **ი** : სვან. **ა**. ცვლილება სვანურში მოხდა **ი** → **ჲ** — **ა**, რაც შეპირობებულია პოზიციურად და **ჟ**-ს მიეწერება, რომელიც ფუნქციური შესატყვისია მეგრული **ა**-სი (შდრ. ციცი-**ა** : სვან. ციცი-**ჟ**) გამოყოფილი **-ჟ** (← **-ო**) ასევე ფუნქციურად ქართ. **-ინ** სუფიქსის შესატყვისია — **ძვ-ინ-** ← ***ძივ-ინ-**. ე. ი. ამოსავალში გვქონდა ქართ. **ძივ(ინ-)** : ზან. ***ჯივ-ა** : სვან. ***ჯიბ-ჟ** (შდრ. წოვ- : წობ-) → ***ჯაბ-ჟ** → ***ჯაბ-ჟ** → **ჯუაბ-** || **ჯაბ-**.

ს.-ქართვ. ***ძიჟ-** || **ძიჟ-**ინ- „მძივი, ნიშანი, დამლა, შანთი“ → ქართ. **მ-ძივ-**, **ძვ-**ინ-ი : ზან. **ძი-**ა ← ***ჯივ-ა** : სვან. **ჯაბ** || **ჯუაბ** ← ***ჯიბ-ჟ**.

სვან. **ჩაჯან-** „ნაყოფიერების, მოსავლიანობის ღმერთი“.

ქართ. **ზადენ-**ი „ნაყოფიერებისა და მცენარეულობის ღმერთი“ (მ. წერეთელი).

ზან. (მეგრ.) **ჭუჭელ-**ია „მოსავლიანობის ღმერთი“ (ი. ჯავახიშვილი).

ძველი ქართული **ზადენ-**ი, რომელიც ითვლება ხეთური **სანდონ** || **სანთას** „მცენარეულობის ღმერთის“ შესატყვისად (მ. წერეთელი, ი. ჯავახიშვილი) უნდა ჩანდეს მეგრულ **ჭუჭელ-**ია სიტყვაში. ამას მხარს უჭერს შესატყვისობები — ქართ. **ზ** (← **ძ**) : ზან. **ჭ**, ქართ. **ა** : ზან. **ჟ** ← **ო**, ქართ. **დ** : ზან. **ჯ** ← **ღ** (შდრ. ქართ. ჯუნდ-ი : ზან. ხუნჯ-ი, ტრედ-ი : ტორონჯ-ი...).

საერთოქართველური ***ძად-ენ-**ი სვანურში ***ჯად-ენ-**ს მოგვცემდა, საიდანაც **ე** → **ჲ** გადასვლით, ხოლო მისივე გავლენით **დჲ** → **ჯჲ** პალატალიზაცია-აფრიკატიზაციით, **ჩაჯან-**ს მივიღებდით (შდრ. გვარი **ჩაჯან-**ი-ძე); შდრ. სვან. კეჯაბ ← *კენდაბ : კბოდე...).

თეორიულად ნავარაუდევია სვანური **ჯაჯან**- რეალურად დასტურდება ნასესხობის სახით აფხაზურში, შდრ. აფხაზ. **ჯაჯან** „ნაყოფიერების, მოსავლიანობის ღმერთი“. ქართველური **ჯ** → აფხაზ. **ჯა** ბუნებრივია — ქართ. **ჯმუხ**-ი → აფხაზ. **ა-ჯაგხ**.

ს.-ქართვ. ***ძადენ**- „ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის ღმერთი“ → ქართ. **ზადენ**-ი ← ***ძადენ**-ი : ზან. **ჯუჯელ**-ია ← ***ჯოდელ**-ია : სვან. **ჯაჯან** ← ***ჯადენ**.

სვან. **ჯარ** ზს., ლნტ., **ჯარ** ლშხ. „ვარცლი“.

ქართ. **ძარ**-ი „გოდორი, ველ-**ძარ**-ი „ხელის გოდორი“, გურ. **ძარ**-ო || **ძარ**-ი „წვრილი წნელით დაწნული საქათმე, სასიმინდე“.

ზან. **ჯორ**-ოფ-ა, **ჯინ**-ი¹.

ქართულ-სვანურ ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იდენტურობა ეჭვს არ იწვევს. ზანური შესატყვისი შემონახულია იმერულ დიალექტში გავრცელებული **ჯორ**-ოფ-ა „დიდხანს ნახმარი უვარგისი ქვაბი“ სიტყვაში, რომელიც გართულებულია **-ობ** → **-ოფ** სადერივაციო სუფიქსით, შდრ. ზან. **კოკ-ობ**-ე, **კოჭ-ობ**-ი...

შეიძლება ზანური **ჯორ-ოფ**-ა სტრუქტურის ფუძე ჩანდეს ქართული ენის მთის კილოებში არსებულ **ძობან**-ი ← ***ძან-ობ**-ი „ჭერში ჩამოკიდებული კალათა“ ლექსემაში (შდრ. ქართ. ← (ზან.) **ჯინ**-ი (საბა)).

ს.-ქართვ. ***ძარ/ძან**- „ვარცლი, გოდორი“ → ქართ. **ძარ**-ი || **ძარ**-ო, **ძობან**-ი ← ***ძან-ობ**-ი : ზან. **ჯორ**-ოფ-ა, **ჯინ**-ი ← ***ჯენ**-ი ← ***ჯონ**-ი : სვან. **ჯარ** || **ჯარ**.

სვან. **ჯაჟ** ბზ., **ჯაჟ** ბქ. „ძირი, ძირ-ფესვი“ გამოთქმაში **ჯაჟ**-აშ ლი-ჭმინ-ე „ძირფესვიანად ამოგდება“.

ქართ. **ძევ**-, მ-**ძევ**-ალ-ი || **ძევ**-ალ-ი, გარე კახ. **ძევ**-არ-ი „ქათმის საბუდარი“.

ზან. **ჯალ**-, **ჯა**-ალ-ი → || **ჯა**-ლ-ი „მძევალი; ბუდეში ჩატოვებული ბოლო კვერცხი“.

მსგავსი გამოთქმა **მძევალ/ჯალ**- სიტყვის მონაწილეობით მეგრულ-შიც დასტურდება — სი, **უჯალეთ** ეშალაფირი „შე, უმძევლოდ ამოგდებლო“. სემანტიკურად გასაგებია, თუ რატომ მიიღო სვანურში სიტყვამ ძირ-ფესვის გაგება. განმარტება კონტექსტით არის შეპირობებული, რაზეც მეგრული მონაცემი მეტყველებს. ამიტომაც გვგონია, რომ სვანური **ჯაჟ** || **ჯაჟ** კანონზომიერი გავრძელებაა საერთოქართველური **ძეჟ**- ძირი-სა. **ა** → **ჟ** || **ა** გადაბგერება აიხსნება მ. ქალდანის წესით — ქართ. **ძევ**- :

სვან. ***ჯეჷ**- → **ჯანჷ**- || **ჯაჷ**-. ხოლო სვანური **ჯალ** || **ჯალ** || **ჯელ** „მძევალი“ ზანიზმად უნდა ჩაითვალოს.

ხომ არ შეიცავს ქართული **მ-ძევ**-ალ- ფორმა **ძე**- „მემკვიდრე; ვაჟიშვილი“ ფუძეს? მაშინ კიდევ უფრო მეტად გასაგები ხდება სვანურის სემანტიკა („უძეოდ, უმემკვიდროდ ამოგდება“).

ს.-ქართვ. ***ძეჷ**-(ალ-) „მძევალი“ → ქართ. **მ-ძევ**-ალ-ი || **ძევ**-ალ-ი || **ძევ**-არ-ი : ზან. **ჯა**-ლ-ი || ← **ჯა**-ალ-ი (ი. ყიფშიძე) : სვან. **ჯაჷ** || **ჯანჷ** (←***ჯეჷ**).

სვან. **ჯანჷკ**-იან ბზ., **ჯანჷკ**-იან ბქ., ლნტ. **ჯანჷკ**-იან ლშხ. „ჩაფსკვნილი“.

ქართ. **ძეწკ**-(?) (საბა).

ზან. (მეგრ.) **ჯგვიჯგვ**-ალ-ი „ჩაფსკვნილი“, ო-**ჯგვიჯგვ**-ინ-ან-ს „ჩაფსკვნილად, ძვალმსხვილად გამოიყურება“.

ქართული **ძეწკ**-ის მნიშვნელობა ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის, ამიტომაც იგი პირობითად, მხოლოდ კითხვის ნიშნის ქვეშ (საკითხის დასმის წესით) შემოგვაქვს შეპირისპირებათა ამ რიგში, შდრ. გა-**ძეწკ**-ილ-ი, გა-**ძეძგ**-ილ-ი „სავსე“.

მეგრული ფორმა ასიმილაციით არის მიღებული — **ჯგვიჯგვ**- ←***ჯვიჯგ**- ←***ჯვიჯკ**- ←***ჯოჯკ**-. ს.-ქართვ. **ა** → ზან. **ო** (→ **ვი**) ფაკულტატიურად დასტურდება სხვა მასალაშიც : ქართ. **ათ**- : ზან. **ვით**- „ათი“, ქართ. **კალ**- (← **ყალ**-) : ზან. **ცვილ**- „კვლა“, მეგრ. **ხოლ**-არ-ი → || **ხვილ**-არ-ი „ხვლიკი“... (შდრ. ასევე **ჯინჯვ**-ელ-ი : **ჯვიჯგ**-იტ-ია).

მეგრულიდან არის შესული ქართული ენის დასავლურ დიალექტებში გავრცელებული ფორმები: იმერ. **ჯიჯგვ**-ი „დაბალი, სქელი, ქონმორეული“, ლეჩხ. **ჯიჯგვ**-ი „მაგარი, ურყევი“, გურ. **ჯიჯგვ**-ი || **ჯვიჯგ**-ი „ჩაფსკვნილი კაცი“. ქართული დიალექტური ერთეულები ფონეტიკურად უფრო ძველ ალომორფებს წარმოადგენენ, ვიდრე თავად მეგრულია (შდრ. გურ. **ჯვიჯგ**-ი).

ზანურ-სვანურ ფუძეთა სემანტიკა იდენტურია; სვანურში გვაკლია ზმნური ფუძე.

ს.-ქართვ. ***ძაწკ**- „ჩაფსკვნა; მსხვილძვალი“ → ქართ. **ძეწკ**- : ზან.

ჯგვიჯგვ- ←***ჯვიჯგ**- ←***ჯოჯკ**-. სვან. **ჯანჷ**- || **ჯანჷკ**-.

სვან. **ჯით** ზს., ქს. „ბურვაკი“.

ქართ. **კიდ**-ო „უციკნო თხა (ქველ-ი)“, ქართლ., მობ. „უბატკნოდ მეწველი ცხვარი“, ხევს. **კიდ**-უ „უღედო ბატკანი“.

ზან. —.

ქართველურ მონაცემთა შედარების საფუძველზე საერთოქართველურ არქეტიპად *გიდ-ო ფორმას აღვადგენთ, საიდანაც გ → ჯ პალატალიზაცია-აფრიკატიზაციის გზით სვანურში ჯიდ → ჯით მივიღეთ, ხოლო ქართულში გ-ს გლოტალიზაციით კიდ-ო || კიდ-უ განვითარდა.

რა თქმა უნდა, ახსნას ითხოვს შესატყვისობა სემანტიკის დონეზე — ქართ. ცხვარი, ბატკანი ~ სვან. ბურვაკი. ამგვარი მიმართების გარკვევაში ნამდვილად დაგვეხმარება სვანური თომირ სიტყვის სემანტიკური დისტრიბუცია, რომელსაც გარდა „ბურვაკისა“ (ძირითადი სემა) ბეჩოურში „ცხვრის“ მნიშვნელობაც უდასტურდება.

ს.-ქართვ. *გიდ-ო „ცხვარი, ბატკანი; ბურვაკი“ → ქართ. კიდ-ო → || კიდ-უ : სვან. ჯით (←*ჯიდ ←*გიდ).

სვან. ჯინირ ზს. „ციყვი“.

ქართ. ძამლ-ი „ვირთაგვა“.

ზან. (ჭან.) ძემურ-ი „ვირთაგვა“.

საინტერესოა შესატყვისობა, სემანტიკის დონეზე — სვან. „ციყვი“ ~ ქართ.-ზან. „ვირთაგვა“. სახელწოდება ობიექტის გარეგნულ მსგავსებას ეყრდნობა.

სვანური ფორმა მრავალმხრივ საყურადღებოა: ჯერ ერთი, აქ შემონახულია ქართული ძ-ს შესატყვისი ჯ შიშინა სიბილანტი მაშინ, როდესაც ისტორიული ჯ ზანურში კვლავ ძ-დ ქცეულა — ძემური ←*ჯემური-ი. ლ → რ ფონეტიკურ პროცესზე სვანურში სხვა მაგალითებთან დაკავშირებით უკვე გვქონდა საუბარი (იხ. § 6). აქვე მივუთითებთ ზუსტ სტრუქტურულ ანალოგზე ქართულ-სვანურში: ქართ. ვამლ-ი (შდრ. ძამლ-ი) : სვან.

ვემირ || ვემერ || ვამირ (შდრ. ჯინირ ← ჯემერ). მ → ნ გადასვლის ფაქტებიც საკმაოდ ვიციტ სვანურიდან (იხ. აქვე, § 8).

ქართულში ფუძე რედუცირებულია; დაკარგული ჩანს მეორე მარცვლისეული ხმოვანი. ვფიქრობთ, უძველეს ქართულში გვქონდა წამ-ალ-ტიპის ძამ-ალ- არქეტიპი, საიდანაც უმანვილო პოზიციაში ა-ს ჩავარდნით მივიღეთ ისტორიული ძამლ- ალომორფი — ძამ-ალ- → ძამლ-.

ს.-ქართვ. *ძამ-ალ- „ციყვი; ვირთაგვა“ → ქართ. ძამლ-ი : ზან.

ძემ-ურ-ი ←*ჯემ-ურ-ი : სვან. ჯინ-ირ ←*ჯემ-ერ ←*ჯამ-ალ.

სვან. [ჯინჯლ-უ], ძინძლ-უ → || ძინცხ-უ ზს. „ნამგალა“.

ქართ. ჯიჯლ-ი „შაშვისებური ფრინველი“.

ზან. (მერ.) ჯლირჯლ-უ → || ჯღერჯღ-გ „შაშვისებური, მომცრო ფრინველი, ბელურაზე უფრო დიდი“.

სვანურის სემანტიკა ახლოს დგას სხვა ქართველურ ენათა ჩვენებასთან. ყურადღებას იქცევს **შიშინა** → **სისინა** პროცესი სვანურში, რაც ანალოგიურია სვან. **ცხაკუ** || **ცხეკუ** (←***ჩხიკუ**) : ქართ. **ჩხიკუ**- : ზან. **ჩხვირკ**- შეპირისპირებისა (იხ. აქვე, § 23).

ზანურსა და სვანურში ფუძე გართულებულია შესაბამისად **-უ** (→**გ**) და **უ** (← **-ო**) სადერივაციო აფიქსებით. ამდენად სვანურისთვის სავარაუდოა **ჯიჯღ-ო** ტიპის არქეტიპი, რაც საერთოქართველურ **ჯიჯღ-ო**-ს ემთხვევა. **ნ/რ** განვითარებულია სვანურსა და ზანურში.

ს.-ქართვ. ***ჯიჯღ-(ო)** ←***ძიძღ-ო** „ნამგალა“ → ქართ. **ჯიჯღ-ი** : ზან. **ჯღჯღ-ღ** || ← **ჯღორჯღ-უ** ←***ჯიჯღ-უ** : სვან. **ძინცხ-უ** || ← **ძინძღ-უ** ←***ჯიჯღ-უ**.

სვან. **ჯიჰ-რა** ზს., **ჯი-რა** ქს. „მუხა“.

ქართ. **ძაბ-რა** „აყირო“ (კახ.), „სუსქა“ (ქართლ.).

ზან. (მეგრ.) **ჯუმ-ე-ნე** „ჯიჯღაყა, მხალი საჭმელი“.

ქართულსა და სვანურში სუფიქსად გამოყოფილი **-რა** დამახასიათებელი დაბოლოებაა ზოგი მცენარის სახელწოდებაში (ქართ. კანკ-**რა**, ძიგ-**რა**... სვან. წიფ-**რა**, ზესხ-**რა**, ჰებ-**რა**... ჰ. ფენრიხი). მისი ზანური ეკვივალენტი ჩანს **-ენე** (ჯუმ-**ენე**).

ქართველურ ენათა აუსლაუტში გამოვლენილი ბგერათფარდობა ქართ. **ბ** : ზან. **მ** : სვან. **ჰ** → **Ø** საერთოქართველურისთვის **გ**-ს ვარაუდობს, რადგანაც **გ** → **ბ** ბგერათკომპლექსებში ჩვეულებრივია ქართული ენის დიალექტებში: თეგზ-ი → თებზ-ი, აგჟანდ-ი → აბჟანდ-ი, კოვზ-ი → კობზ-ი... ასევე **გ** → **მ** მეგრულში არაიშვიათად გამოჩნდება: ქართ. ღლაგ-ი : მეგრ. ღლამ-ი, ქართ. არჩგ-ი : მეგრ. ერცქემ-ი, ქართ. დეგ-ი : მეგრ. დემ-ი, ქართ. ვეძა : მეგრ. მენჯ-ი... ხოლო **გ** → **ჰ** || **Ø** სვანურში გავრცელებული ფონეტიკური პროცესია, შდრ. ქართ. ზგაგ-ი : სვან. ჟჰჰ || ჟჰ, ქართ. ცვ-ელ-ა „ნაძვი“ : სვან. ცჰჰ-რა ←*ცაჰ-რა...

